



© გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი
თბილისი 2013

The Autobiographies of the Writers
Literature Museum, Tbilisi 2013

www. literaturemuseum.ge
ტელ.: +995 32 293-20-45
info@literaturemuseum.ge

| | |
|-------------------|--|
| გამომცემელი | ლაშა ბაქრაძე |
| რედაქტორი | თეა თვალავაძე |
| ნიგნზე მუშაობდნენ | მარინა ხუბულური, ირინე ამირიძე, ლიანა ქიტიაშვილი, ნანა კობალაძე, ნინო გოგუა |

ლიტერატურის მუზეუმი მადლობას უხდის



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს
წიგნის გამოცემის დაფინანსებისათვის

დაიბეჭდა სტამბაში კოლორპაკი

ISBN 978-99940-28-82-5 (ყველა წიგნი)
ISBN 978-99940-28-85-6 (მეორე წიგნი)

მწერალთა ავტობიოგრაფიები

მეორე წიგნი



თბილისი

2013

გიორგი ლეონიძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ლეონიძე გიორგი ნიკოლოზის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1899 თვე დეკემბერი დღე 27 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. პატარძელი (გარე კახეთი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | სასულიერო წოდება |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია, ისტორია, ლიტერატურა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულზე |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1911 |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1934 |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | ცისფერ ყანწელთა კოორპარაცია |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | დავამთავრე თბილისის სასულიერო სემინარია და შემდეგ ვსწავლობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული, ვსწავლობდი ლათინურს |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>არასამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>ბერლინში, რუმინეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში და პოლონეთში; გაგზავნილი ვიყავი საბჭოთა მთავრობის მიერ</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>სმმ გამგეობის წევრი, პრეზიდიუმის და სამდივნოს წევრი და სხვ.</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალია რისთვის</p> | <p>ლენინის ორი ორდენი, შრომის წითელი დროშის ორდენი, ვარსამგზის ლაურეატი და მედლები: – „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“.</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>მწერალთა კავშირის – მდივანი</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>უნივერსიტეტის 50, 3-00-51, 1-32</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|---|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1921 | 22 | „ლიტოს“ გამგე | განათლების კო- მისარიატი | |
| 1922 | | რედაქტორი | სამხედრო გაზე- თისა და ჟურნა- ლების | |
| 1923 | 24 | რედაქტორის მოადგ. | ჟურნ. „გრდემლი“ | |
| 1924 | 27 | რედაქტორის მოადგილე | ჟურნ. „დროშა“ | |
| 1927 | 30 | „-“ | ჟურნ. „საქართვე- ლოს ეკონომისტი“ | |
| 1931 | | დირექტორი | ლიტერატურული მუზეუმისა | |
| 1951 | წლიდან | მწერალთა კავში- რის თავმჯდომარე | | |
| 1953 | წლიდან | მდივანი | | |
| სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | | | |

გიორგი ნიკოლოზის-ძე ლეონიძის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1899 წელს, 27 დეკემბერს (ძვ. სტ.) სოფელ პატარძელში (გარე კახეთი, ივრის ხეობა).

მამა ჩემი – ნიკოლოზ ლეონიძე სახალხო მასწავლებელი იყო. სულ ახალგაზრდა, 39 წლის გარდაიცვალა, 1900 წელს.

1918 წელს დავასრულე თბილისის სასულიერო სემინარია, რის შემდეგ შევედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ლექსების წერა დავიწყე 1911 წლიდან. პირველი ჩემი ლექსი „მცხეთა“ დაიბეჭდა იმავე წელს. აქტიურად ჩავები ლიტერატურულ მუშაობაში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დანყებიდან. მე პირველმა დავაარსე ქართველ წითელ არმიელთა გაზეთი, აგრეთვე ჟურნალები „გრდემლი“ და „დროშა“.

1931 წელს აქტიური მონაწილე ვიყავი საქართველოში ლიტერატურული მუზეუმის დაარსებაში, რომლის დირექტორი ვიყავი 1953 წლამდე.

1936 წელს არჩეული ვიყავი საბჭოების მე-8 საგანგებო ყრილობის დელეგატად, ამ ყრილობაზე გამოვედი ლექსით, რომელიც მიმართული იყო ამხანაგ სტალინისადმი.

დანერლი მაქვს რამდენიმე წიგნი ლექსებისა, პოემების და ისტორიული ნარკვევებისა. ამათში აღსანიშნავია ლექსები სტალინზე: „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“, „ქართლის ბალი“, „სტალინი“, წიგნი 1-ლი, „ყრმობა“ – ამ წიგნის დაწერის გამო დაჯილდოვებული ვიქენი სტალინური პრემიით 1944 წ. 1950 წელს სტალინური პრემია მივიღე სცენარ „ჯურღის ფარის“ დაწერისათვის. მესამე პრემია მივიღე 1951 წელს პოემებისთვის – „ბერშოულა“ და „ფორთოხალა“.

ომის შემდეგ საბჭოთა მთავრობის მიერ გაგზავნილი ვიყავი გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიაში, რუმინეთში, უნგრეთში და პოლონეთში.

ვარ მშვიდობის მომხრეთა კომიტეტის წევრი.

ვარ კპ-ს წევრი და საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობისა, პრეზიდიუმის, სამდივნოს წევრი და აგრეთვე ერთ-ერთი მდივანი.

ჩემი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის დაჯილდოვებული ვარ ლენინის ორი ორდენით, ვარ სამგზის ლაურეატი, მიღებული მაქვს „წითელი დროშის ორდენი“ და მედლები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“.

გ. ლეონიძის ნაწარმოებთა სია

1. ლექსები, 1938 წ. 2. „სტალინის ბავშვობა და ყრმობა“, 1929 წ. 3. „შახნავაზიანი“, 1935 წ. 4. „იოსებ თბილელი და მისი დიდმოურავიანი მე-18 საუკუნეში“, 1936 წ. 5. „ივანე მაჩაბელი“, მონოგრაფია. 6. გიორგი ლეონიძის ლექსები,

1942 წ. 7. „სტალინის სამშობლო“, 1942 წ. 8. „ლექსები“, 1944 წ. 9. „ქართველი მეომრები“, 1944 წ. 10. „ქართლის ბედი“. 11. პოემა „სტალინი“, თარგმნილია რუსულ, ოსურ, უკრაინულ, აზერბეიჯანულ, ბელორუსულ და უზბეკურ ენებზე. 12. „სამგორი“, პოემა, 1946 წ. 13. „ბელადის ყრმობა“. 14. „ლექსები“, კრებული, 1950 წ. 15. „სტალინი“, წიგნი I. 16. „ქართლის ბაღი“, 1947 წ. 17. „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“, 1949 წ. 18. ლექსები და პოემები, 1947 წ. 19. ცალკეული ლექსები. 20. ლექსების ციკლი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1951 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი

მცირედი მოსაგონარი

(ავტობიოგრაფიული მასალები და მოგონებანი)

დავიბადე 1899 წელს, 27 დეკემბერს, (ახ. სტ.) სოფელ პატარძელში (გარედ კახეთი). პატარძელი მთელ ივრის ხეობაში ერთ მრავალრიცხოვან და მაგარ სოფლად ითვლება.

მამაჩემმა ნიკოლოზ სვიმონის ძე ლეონიძემ¹ დაასრულა გორის საოსტატო სემინარია 1886 წელს. მისი სკოლის ამხანაგები იყვნენ: ვაჟა-ფშაველა, ბაჩანა, ვანო ავალიშვილი, ლადო აღნიაშვილი, ალ. გარსევანიშვილი და სხ. მათთან ერთად იგი იყო აქტიური წევრი გორის ხალხოსნური წრისა. ალბად, ამავე წრის ზეგავლენით, გახდა ახლობელი თანამშრომელი გაზეთ „ივერიისა“, „ცისკრისა“, როცა იგი სამეურნეო გაზეთად გადაკეთდა, ჟურნალ „თეატრის“ და სხ. „ივერიაში“ ხშირად შეხვედებით მისს ვრცელ ისტორიულ-არქეოლოგიურ წერილებს და კორესპონდენციებს შიდა ქართლიდან, მთიულეთიდან, გარე-კახეთიდან. როგორც ივანე კერესელიძის მისდამი წერილებიდან ირკვევა, მას „ცისკრისთვის“ გადუთარგმნია სტრუვეს კაპიტალური ნაშრომი მევენახეობასა და მეღვინეობაზე. მამაჩემს კალამი უცდია აგრეთვე მხატვრულს მწერლობაში. დღემდე ჩემს არქივში შემონახულია მისი მოთხრობა „პეპელა“, რომელსაც აწერია რედაქტორის რეზოლუცია-დასკვნა: „არ დაიბეჭდება“. ნიკო ლეონიძე გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა, 39 წლისა (დაბ. 1861 წ.), ბრმა ნაწლავის ანთებით. დარჩა ხუთი შვილი: სამი ვაჟი და ორი ქალი. ვაჟებიდან ყველაზე უმცროსი მე ვარ.

მე ძალიან ადრე გამეღვიძა მწერლობის სიყვარული. 4 წლისამ უკვე ვიცოდი ანბანი და ხუთი წლისა უკვე ვკითხულობდი გაზეთებს. ასე, ოჯახში მე მაკითხებდნენ იაპონიის ომის ამბებს გაზეთ „ცნობის ფურცელში“.

1. მამაჩემი ჯერ მასწავლებლობდა სოფ. ქვემო ჭალაში, შემდეგ ლუდაში (მთიულეთი). იგი, როგორც სამაგალითო პედაგოგი მოხსენებულია გაზეთ „ივერიის“ მეთაურში (1889 წ.). შემდეგ ეკურთხა მღვდლათ.

ზემო ბავშვურ გათვითცნობიერებას ალბად ხელს უწყობდა მამაჩემის მიერ დატოვებული ბიბლიოთეკაც და სრულიად ბავშვი გატაცებით ვკითხულობდი ყაზბეგს, ილიას და ქართულ ისტორიულ წიგნებს.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ქართული მწერლობის სიყვარული ახასიათებდა არა მარტო მამაჩემს და დედას, რომელიც ძალიან იყო დაინტერესებული ქართული მწერლობითა და ისტორიით, არა მარტო ჩემს მამიდებს და დეიდებს, რომელნიც კორესპონდენციებსაც კი ათავსებდნენ მაშინდელ გაზეთებში (დეიდა ჩემის – მაიკო მათიკაშვილის დღიურებით ისარგებლა შიო არაგვისპირელმა რომელიღაც თავის ნაწარმოების შექმნისას, როგორც ამბობს ჩვენი ოჯახური გადმოცემა). თვით ჩემს ბიძებს დედის მხრიდან ფეხი უდგიათ მწერლობაში. ასე: ბიძაჩემი ზაქარია გულისაშვილი (მწერლობაში „შაქრო“) არის ერთ-ერთი ნიჭიერი წარმომადგენელი ჩვენი ხალხოსნური მწერლობისა (იხ. მ. ზანდუკელის წიგნი), სოფრომ მგალობლიშვილთან და ნიკო ლომოურთან ერთად (ამ ჟამად, 1947 წ.) მზადდება გამოსაცემად მისი მოთხრობების და ნარკვევების ტომი.

დედაჩემის ღვიძლი ძმა – ალექსი გულისაშვილი, ძველი სემინარიელი, იყო ახლო თანამშრომელი გაზეთ „დროებისა“ (იხ. მისი ისტორიულ-არქეოლოგიური წერილები: „ბოჭორმა და მისი ნაშთები“, „ნინოწმინდის ტაძარი“, „იალბუზზედ ასვლა“ და სხ.). მეორე ბიძა იერემია გულისაშვილი – ცნობილი დრამატურგია (ავტორი ცნობილი პიესებისა: „დრონი მეფობენ“, „ცხოვრება ბრძოლა“ (დაბეჭდილია ცალკე წიგნად).

მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ობოლი, ჩარიცხულ ვიქმენ თბილისის სასულიერო სასწავლებლის პანსიონერთა რიცხვში, 1907 წელს. კარგად მახსოვს, როცა მე სახლში დამაბინავეს, დედაჩემი გაეშურა სიონის ტაძარში, სადაც ესვენა ილია ჭავჭავაძე. პანაშვიდიდან დაბრუნებული დედაჩემი გვიამბობდა, ილიას გახვრეტილ შუბლზე, ნატყვიარზე, მუხის ფოთოლი აფენიაო. ეს სიტყვები ძალიან კარგად მახსოვს.

აუტანელი და შემზარავი იყო თბილისის სასულიერო სასწავლებლის რეჟიმი. ყოველდღე ლოცვა, წირვა, ქართული ენის აკრძალვა, ყოველგვარი თავისუფლების შეზღუდვა სულს გვიხუთავდა.

ერთხელ, დაახლოებით 1911 წელს, მორიგე ზედამხედველმა გამიჩხრიკა გარდერობი და ორი ქართული წიგნისათვის ორი სილა მითავაზა.

ასეთი დევნა მშობლიური ენისა ჩვენს გულში სასტიკ პროტესტს აღვიძებდა და გერაზმავდა მჩაგვრელთა წინააღმდეგ. ჩვენ გაორკეცებულის ენერგიით დავენაფეთ მშობლიური მწერლობის შესწავლას.

1912 წელს თბილისის სასულიერო სასწავლებელში, როცა მესამე კლასში ვიყავი, შევადგინე ლიტერატურული წრე. წრეში ვაწარმოებდით ქართველ მწერალთა შესწავლას. მუშაობამ გაგვიტაცა და ბოლოს შეუდექით ხელნაწერ ჟურნალის გამოშვებას „ფანდური“-ს სახელწოდებით. ვრედაქტორობდი მე. რადგან პანსიონში სასტიკად გვქონდა აღკრძალული ქართულ საერო წიგნების კითხვა, ცხადია, ჟურნალის გამოშვებაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა და არალეგალურად უნდა გვემუშავნა. ჟურნალში უმთავრესად ვმუშაობდით: მე,

ვანო ჩოხელი (დღეს დამსახურებული ექიმი), გიორგი ღვთისავერიშვილი (გარდაიცვალა სიჭაბუკობაშივე), კოტე ჭრელაშვილი, ბარნაბიშვილი და სხ.

ერთ დღეს გავიგე, რომ ვაჟა-ფშაველა თბილისში ჩამოვიდა. ეს ამბავი პანსიონში მოიტანა კოტე ჭრელაშვილმა, რომელიც გარედან დადიოდა და „ნახლებნიკად“ სცხოვრობდა მწერალ „მელანია“-ს ოჯახში, როგორც ნათესავი. ვაჟაც ამ ოჯახს სტუმრებოდა, როგორც ახლობელი და მეგობარი (მელანიას ცოლის და ჰყავდა ცოლად ვაჟას უმცროს ძმას სანდრო რაზიკაშვილს).

კოტემ მოგვიყვა ვაჟას სტუმრობა და მისი ზოგიერთი ნალაპარაკევი, მელანიას ოჯახში, გადმოგვცა (ლაპარაკი თურმე ეხებოდა მაშინდელ ახალგაზრდა მწერლებს – სანდრო შანშიაშვილს და იოსებ გრიშაშვილს).

ის იყო, ჟურნალის მორიგ ნომერს ვამზადებდი. პირველ გვერდზე „ქრონიკაში“ მკითხველს ვაუწყებდი ვაჟას ჩამოსვლას, ხოლო მეორე გვერდზე მოვათავსე საკუთარი ლექსი „მთის არწივს – ვაჟა-ფშაველას“ და კოტე ჭრელაშვილის ხელით ვაჟას გაუგზავნე, თუ თითონ კოტეს წაელო, კარგად აღარ მახსოვს. მახსოვს მხოლოდ ის ბედნიერი ნოემბრის დილა, როცა კოტემ პირველ გაკვეთილზე დამიბრუნა ჩვენი ჟურნალი შიგ ვაჟა-ფშაველას საკუთარი ხელით ჩანერილი ლექსით (ჩემი ლექსის მეორე ცარიელ გვერდზე პასუხად). აი, ეს ლექსიც:

„სიჭაბუკის დროს პირველად,
როს ვახილებდი თვალებსა
და ვუცქეროდი მტირალი
სამშობლოს განანვალებსა,
ვეძებდი აქეთ-იქითა
ქვეყნის დამხმარე ძალებსა,
არავინ უჩნდა დარაჯად
ამ ჩვენს დაჩაგრულ მხარესა;
ვტიროდი უფრო ძალიან,
ცრემლებს ვაფრქვევდი მწარესა,
...დღეს, ვხედავ, გამრავლებიან
მშობელ ქვეყანას შვილები,
მტერს არ მისცემენ სათელად
თავის სამშობლოს გმირები,
მირჩება ნყლული გულისა,
ვყურდები ანატირები...“

გასაგებია, თუ რა დიდ სიხარულს გამოიწვევდა ჩემში დიდი მგოსნის ლექსი, ჩემი ლექსის პასუხად დაწერილი (ეს ლექსი 1915 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „განათლებაში“).

აქვე უნდა ავღნიშნო ერთი ფაქტი, რომელიც მაშინ მე არ ვიცოდი. საქმე იმაშია, რომ მამაჩემი – ნიკო ლეონიძე ვაჟა-ფშაველასთან ერთად სწავლობდა გორის საოსტატო სემინარიაში. მამა რომ ხსენებულ სასწავლებელში სწავლობდა, ეს ვიცოდი, მაგრამ მისი დაახლოვებული მეგობრობა ვაჟასთან გავიგე მხოლოდ 1922 წელს, როცა შიო მღვიმელმა და სოფრონ მგალობ-

ლიშვილმა დაბეჭდეს თავისი მოგონებები ვაჟა-ფშაველაზე და იქ მოიხსენიეს მამაჩემი, როგორც ვაჟას განუყრელი მეგობარი. მათი მონაწილეობა გორის ხალხოსნურ წრეში, კრივში, თევზაობაში და სხვა.

ამ რიგად, არც ვაჟა-ფშაველამ იცოდა, რომ მე მისი ახლო მეგობრის შვილი ვიყავ და არც მე ვიცოდი, რომ ვაჟა მამას მეგობარი იყო.

* * *

ლექსების წერა დავიწყე 1909 წელს. თუმცა ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის სიკვდილზე, 1907 წელს მაქვს დანერილი „ლექსისებური“ რალაც, რომელიც ახლაც შემრჩენია ჩემს არქივში.

ოფიციალურად პირველი ჩემი ლიტერატურული გამოსვლა ეკუთვნის 1910 წელს, როცა ჟურნალ „ჯეჯილში“ დაიბეჭდა ჩემი თარგმანი „მხვნელ-მთესველის მეგობრები“. 1911 წელს, ივ. როსტომაშვილის ორ-კაპეიკიან გაზეთ „სინათლეში“ დაიბეჭდა ჩემი ლექსები: „მცხეთას“ და „ხმალს“.

სხვათა შორის, ერთი პატარა ამბავი:

ივანე როსტომაშვილს გაუჭირდა გაზეთის გამოცემა და გაზეთით სთხოვდა თავის თანამშრომლებს, რათა ფულით დახმარებოდნენ და დაბეჭდვაში, სტრიქონზე ერთი კაპეიკი გადაეხადნათ.

იუმორისტული ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“ როსტომაშვილის წინადადებას სასტიკი დაცინვით გამოეხმაურა. მან დაბეჭდა კარიკატურა, რომელშიც გამოსახულია პატარა ბავშვი, რომელსაც ლექსი მოუტანია რედაქტორისთვის. ბავშვი ეუბნება, მართალია, ლექსში ათი სტრიქონია, მაგრამ მე ცხრა კაპეიკი მოგიტანეო. „ეშმაკის მათრახის“ ამ კარიკატურას მოჰყვა სასტიკი წერილი ივ. როსტომაშვილისა, სახელწოდებით „ფშუტურებო“ („ფშუტურა“ ნიშნავს ფიტულს, „ჩუჩელო“-ს). წერილში აღმფოთებული რედაქტორი თავს აწონებს თვით „მცირე“ თანამშრომლებსაც და კონკრეტულად მასახელებს მე დიდის ქებით და მომავალის ქადებით. ეს იყო 1911 წელს.

ამ წელს მე დავბეჭდე კიდევ რამდენიმე ლექსი საკუთარი გვარით და „გივრისხეველის“ ფსევდონიმით. და აგრეთვე მოთხრობა „მკვდრის პასუხი“, თარგმნილი რუსულიდან. ამავე ხანებში მე ვსთარგმნე საბავშვო წიგნი „აკობზარი“ (ლეგენდარული ცხენის სახელია) ყირგიზების ცხოვრებიდან.

ლიტერატურული გონორარი მაშინ თითქმის არ არსებობდა ჩვენში და მე, როგორც ბავშვს, მით უმეტეს, ოცნებაც კი არ შემეძლო, მაგრამ 1913 წელს, ერთ მზიან დილას, როცა მე შეველი „ნაკადულის“ რედაქციაში მორიგი ახალი ნომრის მისაღებად, რომელშიც ჩემი ლექსი „შემოდგომა“ იყო დაბეჭდილი, „ნაკადულის“ რედაქტორმა – ნინო ნაკაშიძემ შემაჩერა, არ წახვიდეთ, ჰონორარი გაქვთ მისაღებიო და იქვე გადმომითვალა ვერცხლის ფულად რვა მანეთი და ათი შაური. მე გავშრი ასეთი უჩვეულო ყურადღებით, მაგრამ ნინომ პირდაპირ ძალით ჩამომაჩერა ხელში ხსენებული თანხა.

გამოველ რედაქციიდან თუ არა, მე პირდაპირ წიგნის მაღაზიებს ვეცი და ჩემი სასურველი წიგნები ვიყიდე, რომელთა შეძენას საკუთარი ფულით, წინააღმდეგ ვერც კი წარმოვიდგენდი.

ასეთი იყო ჩემი პირველი გონორარი. შემდეგში კი ასეთი გონორარი

აღარ ამიღია, რადგან „ნაკადულში“ აღარ ვწერდი. პირველი ნამდვილი გონორარი, რასაკვირველია, მე ავიღე მხოლოდ გასაბჭოების შემდეგ.

* * *

ბავშობიდან მე ძალიან ვეტანებოდი ქართულ ისტორიულ წიგნებს.

პირველი ასეთი წიგნი იყო იაკობ გოგებაშვილის „თავდადებულნი ქართველნი“, რომელმაც პირდაპირ წარუხოცელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე. ეს იყო 1906 წელს. წიგნი მივიღე საჩუქრად შობის ხეზე, რომელიც სოფ. ახალ-სოფლის (მარტყოფთანაა) სკოლამ გამართა.

ასეთივე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე აკაკი წერეთლის „სოლომონ დიდმა“, სიკო კანდელაკის მიერ ნაამბობი (აკაკის უფროსი „კრებულში“). 1907 წელს უკვე წაკითხული მქონდა საქართველოს ისტორია მოსე ჯანაშვილისა და „ქართლის ცხოვრება“ ზ. ჭიჭინაძის მიერ გამოცემული. შემდეგ დავეწაფე აგრეთვე რუსულ ხელმისაწვდომ წიგნებს საქართველოს ისტორიის შესახებ. მალე ისე გავიწაფე, რომ თვით დავინყე ისტორიულ-არქეოლოგიურ კომპილიაციების წერა და ბეჭდვა.

ასე, 1912 წელს, გაზეთ „სახალხო გაზეთში“ დაიბეჭდა ჩემი: „სამების მონასტერი გარედ-კახეთში“, „მიქელ მოდრეკილი“, „ს. ნინოწმინდა და მისი ტაძარი“, „ამბროსი ნეკრესელი“, „ივერიის ათონის მონასტერი“ (ორს ფელეტონად), 1913 წ. გაზეთ „თემში“ დავებეჭდე „უჯარმა და მისი ნაშთები“, და სხ.

იმავე ხანებში მე შეუდექი ენერგიულად ძველი ხელნაწერი წიგნებისა და სიგელების შეგროვებას, რომელთაც ვსწირავდი წერა-კითხვის საზოგადოებას და საქ. საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმებს. მრავალ ჩემს შეწირულებათა შორის აღსანიშნავია: „წმ. ევსტატის ცხოვრება“, „ფუტკარი“, „ვახტანგიანი“, „კატილორია“ ანტონ კათალიკოზისა, „ამბროსი ნეკრესელის ქადაგებანი“ და სხ. სიგელებიდან – გედევანიშვილების სიგელები 15-18 საუკუნეებისა, ცნობილი „არვანბეგის“ სიგელი მეცამეტე საუკუნისა, ციციშვილების საგვარეულო კოლექცია და მრ. სხვა...

* * *

აქ მე მინდა ვახსენო ჩემი ერთი დიდი მოამაგის სახელი. ეს არის ზაქარია ჭიჭინაძე. ეს დაუცხრომელი მოხუცი დიდათ გვაქეზებდა მწერლობით დაინტერესებულ მონაფეებს.

ყოველ კვირა დილით მივდიოდით მასთან წიგნების სასყიდლად (თუმანოვის ქუჩაზე) და ორ-სამ აბაზში გვატანდა 20–25-მდე წიგნს. ზოგ წიგნში ფასს სრულიადაც არ იღებდა. მის ბინაზევე ვეცნობოდით ზოგ ჩვენს მოღვაწეებსაც, რომელნიც მამაშვილური კურთხევით გვისტუმრებდნენ.

ასეთივე ჩვენი მფარველი იყო მეორე მსცოვანი ბიბლიოფილი ივანე როსტომაშვილი, რომელმაც სათითაოდ დაგვირიგა მის მიერ გამოცემული ბატონიშვილი ვახუშტის გეოგრაფია და თან დაგვმოძღვრა, რომ სამშობლოს სიყვარულისთვის საჭიროა მისი ცოდნაო.

ასეთივე დიდი ამაგი ჰქონდა ჩემზე მოსე ჯანაშვილს, რომელიც თავისს პატარა მეგობარს მეძახდა, რომელსაც არა ერთხელ უჩუქებია ჩემთვის სა-

კუთარი წიგნები წარწერით, აგრეთვე ანტონ ნატროშვილს (ავტორი „Мичет и его собор Свэти-цховели“), ჩემს ნათლიას და ჩემს მასწავლებელს.

დასასრულ, არ შემოძლიან, დიდი სიყვარულით არ მოვიგონო ჩემი ორი მასწავლებელი, შიო ისაკის ძე შიუკაშვილი და ცნობილი მწერალი ვასილ ბარნოვი, რომელთა ყურადღებით ასე ვარ დავალებული.

შიო შიუკაშვილი ქართულ ენას გვასწავლიდა სასულიერო სასწავლებელში. იმ საშინელ ატმოსფეროში, რომელიც მაშინ სასულიერო სასწავლებელში სუფევდა, შიო შიუკაშვილი ჩვენთვის, მონაფეებისთვის ერთადერთი შუქურა იყო. იგი დაუცხრომელად გვიღვიძებდა გულში სამშობლოს სიყვარულს, გვაძლევდა წიგნებს, გვასწავლიდა ზედმინეწით ენას და ისტორიას, გვახალისებდა, გვაქეზებდა, გვაძლევდა გადასანერად ძველ ქართულ ხელნაწერებს, რათა ძველ-ქართულის კითხვაში თვალი გაგვეტეხა და გადანერაში სასყიდელსაც გვაძლევდა. ყოველივე ამას აკეთებდა თითქმის არაღეგალურად, რადგან ასეთი მოღვაწეობისათვის იგი ათვალისწინებული ჰყავდა სასწავლებლის მთავრობას, რომელსაც შავრაზმელი რუსობა შეადგენდა.

სამშობლოს სიყვარულში გვაქეზებდნენ აგრეთვე ჩვენი გალობის მასწავლებლები – ნიკო სულხანიშვილი და შემდეგ ია კარგარეთელი, რომელნიც ძალიან ხშირად, გალობის გაკვეთილის მაგიერ გვმოძღვრავდნენ, როგორც ანთებული პატრიოტები.

დასასრულ, ჩემთვის დიდ ბედნიერებას შეადგენდა ის გარემოება, რომ სასულიერო სასწავლებლიდან თბილისის სასულიერო სემინარიაში შესვლისას (1913 წ.) მე მოვხვდი ვასილ ბარნოვის მონაფეთა რიცხვში. ჩვენი მეგობრობა მალე გაიბა. მე მისი უსაყვარლესი მონაფე და მესაიდუმლე გავხდი. არ მახსოვს, მას რაიმე მოთხრობა ან რომანი დაენეროს, რომ ჩემს ხელში არ გაეელოს. ბოლოს მან ოფიციალურად მიძღვნა თავისი რომანი „ხაზართა სასძლო“, რომლის პოსტპრიქტუმში გამჟღავნებულია დიდი სიყვარული ჩემდამი, რასაც, რასაკვირველია, მე არც ერთს შემთხვევაში არ ვიმსახურებ.

ვასილ ბარნოვმა და ზემორე ჩამოთვლილ მასწავლებლებმა ჩემს ცხოვრებაში, ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს და მათ ნათელ, ჭაღარა სახეებს ვერასოდეს ვერ დავივიწყებ.

სასულიერო სემინარიიდან და სასულიერო სასწავლებლიდან მე გამომყვა კარგი ქართულის ცოდნა, სასულიერო მწერლობის ცოდნა და აგრეთვე ლათინური ენის და რუსული ისტორიისა, რასაც გატაცებით ვსწავლობდი. სხვა რამ ამ სასწავლებლებს ჩემთვის არა მოუციათ რა.

* * *

არ შემოძლიან, სიყვარულით არ გავიხსენო ჩემი ბავშვობის ერთი აღმზრდელთაგანი, ცნობილი „ჯეჯილის“ რედაქტორი ანასტასია თუმანიშვილ-ნერეთლისა, რომელსაც მე წარვუდექი ჩემი ლექსებითა და მოთხრობებით 1910 წლის შემოდგომაზე. მან დიდი ალერსით მიმიღო და ალბად მან მომცა საბაბი, რომ თითქმის ყოველდღე მევლო მასთან. სულ მალე, 1910 წ. „ჯეჯილის“ ნომბრის ნომერში, მე ვნახე დაბეჭდილი ჩემი გვარი და სახელი და სიხარულით ცას ვენეოდი. 1911 წელს, როგორც ზემოთ მოვიხსენიე, გაზეთ „სინათლეში“

დაიბეჭდა ჩემი პირველი ლექსები, მას შემდეგ მე ძალიან ხშირად ვიბეჭდებოდი ლუარსაბ ბოცვაძის ჟურნალ „განათლება“-ში, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებაში“, გაზეთ „სახალხო გაზეთის“ (შემდეგ „სახალხო ფურცლის“), „საქართველოს“ დამატებებში და სხ. რასაკვირველია, უმრავლესობა ამ ლექსებისა – ბავშვური ვარჯიშობაა და არც ერთს ჩემს კრებულში არ შემიტანია.¹

1916 წელს მე ჩემი საკუთარი ფულით გამოვეცი მხატვრული კრებული „საფირონი“, რომელშიც მონაწილეობდნენ: სანდრო შანშიაშვილი, კოტე მაცაშვილი, შიო მღვიმელი, ნიკო ლორთქიფანიძე, განდევილი, გერონტი ქიქოძე და სხვები. აქვე დავბეჭდე ალექსანდრე ყაზბეგის უცნობი მოთხრობის „ბედკრულადის ოჯახი“-ს ნაწყვეტი.

ჯერ კიდევ სასულიერო სასწავლებელში ვსწავლობდი, როცა ვიცოდი, რომ სემინარიაში პოეტების წრე არსებობდა. ჩემი უფროსი ძმის მეოხებით მე მალე გავიცანი სემინარიელი პოეტები: აკაკი სვანი (მარგიანი), ვასო გორგაძე, ქელბაქიანი და სხ. რომელნიც თავისს საკუთარ ლექსებს მიგზავნიდნენ სასწავლებლის პანსიონში. განსაკუთრებით დამიახლოვდა ვასო გორგაძე, რომელიც ყოველ კვირას მინახულებდა ხოლმე პანსიონში თავისი ახალ-ახალი ლექსებით.

1913 წელს მე შეველი სასულიერო სემინარიაში. სწორედ ორი წლით ადრე სემინარიიდან დაეთხოვნათ გალაკტიონ ტაბიძე, ნიჭიერ ახალგაზრდა პოეტს „დემონს“ (ქუჩუ ქავთარაძე), ვერ აეტანა სემინარიის რეჟიმი და თავი მოეკლა. გორგაძე უკვე ათავებდა სემინარიას, ხოლო ი. მოსაშვილს უკვე მოესწრო ხარკოვის უნივერსიტეტში შესვლა.

მიუხედავად სემინარიის ლიტერატურული ძალების ასეთი დაქსაქსულობისა, ახლად მისულებმა ჩამოვაცალიბეთ ახალი ლიტერატურული წრე და მხნეთ შეუდექით მუშაობას. ჩვენ დავაარსეთ არალეგალური ხელნაწერი ჟურნალი „ფუტკარი“, რომლის რედაქტორადაც მე ვითვლებოდი. სარედაქციო ოთახი გვექონდა დღ. ნიკოლაძის ქუჩაზე, ამხანაგის ბინაზე. ჟურნალი რამდენიმე ეგზემპლარად გამოდიოდა. გადანერასაც ჩვენ თითონ ვკისრულობდით.

სათავადაზნაურო გიმნაზიის მოწაფეებიდან მხარს გვიჭერდნენ: ნიკო კეცხოველი, დათა აგლაძე, გრიმა მეგრელიშვილი. უკანასკნელი, როგორც მეტად ნიჭიერი პოეტი, მწერლობაში გამოდიოდა „მთის ნიავი“-ს ფსევდონიმით. 1919 წელს, იგი მოჰკლეს ოსმალოს ასკერებმა აწყურის ფრონტზე, როგორც მხნე მებრძოლი სამშობლოსათვის.

1913 წლის ნოემბერში ახლად დაარსებულმა ჩვენმა ლიტერატურულმა წრემ მონაწილეობა მიიღო სემინარიის ყოველწლიურ „ლიტერატურულ აქტში“, რომელსაც დაესწრნენ: კავკასიის ნამესტნიკის მეუღლე, სასახლის დიდკაცობა და საქართველოს ექსარხოსი. „აქტზე“ მე წავიკითხე ლექსი „შემოდ-

1. 1913 წელს მე ვიყავი თითქმის არაოფიციალური რედაქტორი, მდივანი და სულის ჩამდგმელი იუმორისტული ჟურნალების „ლახტი“-ს, „სუსხი“-ს, რომელსაც თავისი ხარჯით ბეჭდავდნენ გაზეთ „სახალხო ფურცლის“ ასოთამწყობები. ამ ჟურნალებში აუარებული ლექსები მაქვს დაბეჭდილი ჩემი საკუთარი სახელ-გვარით და მრავალი ფსევდონიმებით გამოქვეყნებული.

გომა“. რეცენზია ამ ლიტერატურული სალამოს შესახებ დაიბეჭდა მაშინდელს გაზეთებში (ვრცლად გაზეთს „თემში“).

* * *

1917 წლის რევოლუციამ სკოლის მერხზე მოგვისწრო. რამდენიმე თვის შემდეგ შესდგა მოწაფეთა კომიტეტი, რომლის წევრადაც მეც ვითვლებოდი. კომიტეტის მიერ არჩეულმა დელეგაციამ (რომელშიც მეც შევდიოდი) ულტიმატუმით მიჰმართა ჩვენს მჩაგვრელ შავრაზმელ მასწავლებლებს, რათა ორს დღეში დაეტოვებინათ სემინარია, რაც უყოყმანოდ შეასრულეს. მალე რექტორად დაგვინიშნეს კორნელი კეკელიძე, რომელიც ამავე დროს ღვთისმეტყველებას და ეკლესიის ისტორიას გვასწავლიდა.

1918 წლის იანვარში გავათავეთ სემინარიის კურსი და შემდეგ წელს შეველი ახლად დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საიდანაც ორი წლის შემდეგ გამოველი მემარცხენე მწერლობით გატაცებული.

რადგან მენშევიკური მთავრობა მწერლობას არავითარ დახმარებას არ უწევდა, მაშინ თვით მწერალთა ჯგუფებმა მიჰყვეს ხელი გამოცემის საქმეს. ასე იბეჭდებოდა ჟურნალები: „ხომალდი“, „ცისარტყელა“, გაზეთი „ბარიკადი“ და სხ..

ქართული მწერლობის გაჭირვებას ბოლო მოეღო მხოლოდ საქართველოს გასაბჭოებისას.

1921 წლის თებერვლის ბოლო რიცხვებში მე წარუდექი განათლების სამინისტროსთან არსებულ „გლავპოლიტპროსვეტს“, სადაც მუშაობდნენ: გიორგი ხაჭაპურიძე და სანდრო ეული და გამოვსთქვი ჩემი სურვილი მუშაობის შესახებ. 1-ელ მარტიდან მე უკვე შეუდექი მუშაობას „გლავპოლიტპროსვეტის“ „ლიტო“-ში (ლიტერატურული განყოფილება). სამი-ოთხი თვის განმავლობაში სანდრო ეულთან ერთად (მე მის ერთ-ერთ თანაშემწედ ვითვლებოდი) მე 50-ამდე ქართული წიგნი გამოვეცი. პოლიტგანათლებაში ჩვენ დავაარსეთ აგრეთვე იუმორისტული ჟურნალი „ყუმბარა“, წითელ არმიელთა გაზეთი „წითელ-არმიელი“. მე ვიყავი ერთ-ერთი პირველი მუშაკთაგანი სამხედრო კორესპონდენტებთან და მონაწილე სამხკორთა კონფერენციისა.

პოლიტგანათლებაში გამოცემულ წიგნებიდან აღსანიშნავია სხვათა შორის „რევოლუციის პოეტები“, ჩემი რედაქციით გამოსული.

1922 წელს, 1-ელ ივნისიდან მე შეუდექი საკუთარი გაზეთის, ყოველკვირეული ლიტერატურული გაზ. „ბახტრიონის“ გამოცემას. ეს იყო პირველი ქართული პერიოდული ლიტერატურული გაზეთი, რომელიც წლის ბოლომდე რეგულიარულად გამოდიოდა.

ამ გაზეთის დამსახურებად შეიძლება ისიც ჩაითვალოს, რომ მან პირველმა გასწია პროპაგანდა გენიალური სახალხო მხატვრის – ნიკო ფიროსმანაშვილის შესახებ; პირველმა დაადგინა მისი ბიოგრაფია, მისი სადაურობა (ქიზიყი, მირზაანი). ყოველივე ეს იყო აღნიშნული „ბახტრიონის“ სპეციალურ ნომერში, რომელიც მიეძღვნა ფიროსმანს.

ფიროსმანის ნომრის გარდა გამოვეცი თ სპეციალური ნომრები ვაჟაფშაველასა, ილია ჭავჭავაძისა, იაკობ ნიკოლაძისა, არტურ ლაისტისა და

სხ. იმ დროისათვის, როცა მბრძანებლობდა „მემარცხენე“ გემოვნება, ასეთ პროპაგანდის ინიციატივას დიდი დაბრკოლებები ელოებოდა.

* * *

მე ბედნიერი ვარ მით, რომ მომიხდა ხილვა დიდი ქართველი პოეტების, – აკაკი წერეთელის და ვაჟა-ფშაველასი.

კვირადღის საღამო იყო. დღევანდელი შოთა რუსთაველის ძეგლის სიახლოვეს, ჩემი ყურადღება მიიპყრო უეცარ სანახაობამ. მთელი ქუჩა განცვიფრებული უყურებდა მომავალ ეტლს, რომელშიც იჯდა ვინმე ჭალარა, თითქოს ღმერთ-კაცი. შევხედე და მაშინვე ვიცანი აკაკი წერეთელი, ჩვენი ღვთაებრივი აკაკი!.. სწორედ ერთი კვირის შემდეგ მომეცა ბედნიერება, მომესმინა თვით აკაკის ხმა.

„ზუბალოვის სახალხო სახლში“ (დღევანდელს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში) შესდგა სალიტერატურო დილა. პირველად გამოვიდა აკაკი. ეს იყო 1913 წლის ზაფხულს (ვგონებ, მაისში). მთელი დარბაზი ფეხზე იდგა. აკაკიმ დაიწყო კითხვა ლექსის „მთანმინდა“, რატომღაც შეჩერდა ერთ ალაგას, დაავიწყდა. აუდიტორიამ დავეინყებულ ლექსის ხანა უკარნახა. აკაკიმ განაგრძო. შემდეგ კიდევ დაავიწყდა. ხალხმა კიდევ უკარნახა. აკაკი აღელდა.. ეს იყო მომენტი ცოცხალი კავშირისა პოეტსა და ხალხს შორის, გულის აღმძვრელი, ამაჩუყებელი...

ოვაცია გრძელდებოდა ათს წუთს...

ფეხზე ამდგარი ხალხი არ სცხრებოდა...

შემდეგ, თავის ღარიბულ ჩოხაში გამოვიდა ვაჟა-ფშაველა. ჯერ ნაიკითხა „არწივი ვნახე დაჭრილი“, შემდეგ „ბახტრიონი“-ს შესავალი.

„მოგესალმებით ქედებო,

მომაქვს საღამი გვიანი“...

არავითარი შესტი. როგორ არ ჰგავდა მისი ლექსების დღევანდელ მკითხველებს. არც „ფშაური“ მოქცევა ენისა, არც ხმის ყალბი აწევა. თითქოს საუბრობსო. კითხულობდა თითქოს ოდნავ დარცხვინილი, ოდნავ ხამი სცენისა. საზოგადოებამ გულთბილად მიიღო მხოლოდ... არავითარი ოვაციები ხალხს ვაჟასთან არ გაუმართნია. ეტყობოდა, რომ ხალხი ჯერ კიდევ არ იცნობდა ვაჟას, როგორც ბუმბერაზ პოეტს... და ეს იყო 1913 წელს, ვაჟას სიკვდილამდე ორი წლის წინედ... შემდეგ გამოვიდნენ: ია ეკალაძე, ნარკანი (ნიკოლოზ კურდღელაშვილი), სანდრო შანშიაშვილი, ი. გრიშაშვილი. შანშიაშვილი პირველად ვნახე ამ დილას, და მახსოვს, როგორ ავეყვი მას ვერის ხიდზე, როგორც მისი პოეზიის დიდი მათაყვანებელი.

აკაკისა და ვაჟა-ფშაველას გარდა, მე შევესწარი გასული საუკუნის დიდ-სა და პატარა ხალხს. მე მისაუბრნია ნიკო ნიკოლაძესთან, ახლო ვიცნობდი კრიტიკოსს – ხომელეს, შიო მღვიმელს, გიგო ყიფშიძეს („ივერიის“ მდივანს და ცნობილ მთარგმნელს), სოფრონ მგალობლიშვილს, ბაჩანას, შიო დავითაშვილს, ილია აგლაძეს, შაქრო ბილანიშვილს, არტემ ახნაზაროვს, შიო არაგვისპირელს და მრავალთა სხვათ. ზოგი მათგანის წერილები ჩემდამი, დღემდის შენახული მაქვს, როგორც ძვირფასი სახსოვარი.

რაკი „ძველ ხალხთან“ ნაცნობობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, მე უნდა გავიხსენო აგრეთვე სომხური მწერლობის კლასიკოსი – ოვანეს თუმანიანი, რომელიც გულწრფელი მოყვარული იყო ჩვენი კულტურის, ჩვენი მწერლობის. მან ერთხელ, საგანგებო სადილი გაგვიმართა ქართველ პოეტებს, სადაც წაიკითხა თავისი ახალი ლექსი „ქართველ პოეტებს“.

„სომეხ-ქართველთა ომის“ დღეებში, ის აცრემლებული ტიროდა და მოგვინოდებდა კავკასიის ხალხთა სოლიდარობისაკენ. ხსენებულ ომის დღეებში მან გამოაქვეყნა მონოდება ორივე ერისადმი. ცნობილია, რომ მან თავისს შვილებს აუკრძალა მონანილეობა მიელოთ ქართველ-სომეხთა ომში, რომელიც დაშნაკებმა და მენშევიკებმა მოახვიეს თავზე ქართველსა და სომხის ხალხებს. აქვე არ მინდა დავივინყო ჩემი მეგობრობა და ნაცნობობა რუსულ პოეზიის ორს ბრწყინვალე წარმომადგენელთან. მე ვლაპარაკობ ვლადიმერ მაიაკოვსკიზე და სერგეი ესენინზე. სერგეი ესენინი იყო ქარიშხლიანი ადამიანი, მუდამ ზარხოში, მუდამ „ყალყზე ანეული“, სკანდალების და დუელის მოყვარული. ვლადიმერ მაიაკოვსკი პირიქით – წყნარი, დინჯი, დარბაისელი, საქმიანი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ის ყოველდღე შემოქმედებითს მუშაობაში იყო და ამბობდენ მუდამ: „ის რა დღეა, რომ 8–10 სტრიქონი არ გამოვიშვავო“. ერთხელ, მე შევხვდი „სასახლის“ ქუჩაზე. რაღაცას ბუტბუტებდა გზად მომავალი. გამოირკვა, თურმე ლექსს სწერდა...

ამხანაგებმა ერთხელ, სადილი გაუმართეთ ორთაჭალაში, ცნობილ ჩოფურაშვილის დუქანში. შემთხვევით გვერდით უჯექი. მოულოდნელად მომმართა სუფთა ქართულად:

– თქვენი ენა ძალიან აჭრელებულია რუსიციზმებით, ეს არ ვარგა!

მე გამიკვირდა, რომ ქართულად დაილაპარაკა და გაცუბულმა შევძახე:

– ვლადიმერ, განა ქართული იცით, საიდან?

– როგორ არა, – მომიგო ბოხი ხმით იმერულ აქცენტზე, – მე ქუთაისში გავიზარდე. ათ წლამდის იქ გავატარე ჩემი ბავშვობა და იცით, ყველაზე დიდი გავლენა ჩემზე რომელმა პოეტმა მოახდინა? – იროდიონ ევდოშვილმა!.. მაშინ, 1905 წელში, ქუთაისში დიდი და პატარა ვმღეროდით მისს ლექსს: „მეგობრებო ნინ, ნინ გასნით, ნუ შედრკება თქვენი გული!“

სამწუხაროდ, მეტი აღარ მახსოვს. მაშინ კი, ევდოშვილის ეს ლექსი თავიდან ბოლომდის ზეპირად ვიცოდი. ამ ლექსმა, რომელიც მაშინ ნამდვილი „ქართული მარსელიეზა“ იყო, წარუბოცელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე! – მიაშობდა ვლადიმერ მაიაკოვსკი, რასაკვირველია, რუსულად.

– ახლა კი თქვენი ენა აჭრელებულია რუსიციზმებით. აბა, რა არის ასეთი ნათქვამი: „სლესარს კალესო ნაულე გასაკრასკავად“. აქ მხოლოდ ერთი სიტყვაა ქართული „ნაულე“, დანარჩენი კი – რუსული!

ვახშამზე ძალიან წყნარად იჯდა. არც სადღეგრძელო უთქვამს და არც არაფრით არ გამოჰხმაურებია ქართულ ნადიმს. დილის 7 საათზე მე და მაიაკოვსკი ორნი ვბრუნდებოდით ორთაჭალიდან ტრამვაით. ტრამვაიში მას ცოტახნით ჩაეძინა. შემდეგ მივიყვანე თავისს ბინაზე, სასტუმრო „ორიანტში“.

ესენინი პირიქით, მეტად ლირიკული ადამიანი იყო პირად ცხოვრებაში. ბუნებით მეტად ნაზი, მასთან მეტად ლალი და რაც გასაკვირია, მეტად „ემმაკი“, რუსები რომ იტყვიან, „Лукавый“. უყვარდა პოეტური ტყუილები და

არავისი ისე არ ეშინოდა, როგორც თავისი ნაცოლარის, ცნობილის აისედორე დუნკანის, რაც ჩემთვის არა ერთხელ გაუმჟღავნებია.

ერთხელ, მე და მას ერთად გვეძინა დღევანდელს მწერალთა კავშირის შენობაში. გათენებისას გამოიღვიძა და ტირილი დაიწყო.

– სერგეი, სერიოჟა, რა დაგემართა? – ვეკითხები მე.

– წუხელის სიზმარი ვნახე, ჩემი ორივე და ქურჩა-ქურჩა მოწყალებას თხოვლობდნენ! დღესვე უნდა რამენაირად ფული ვიმოვნო და დებს გავუგზავნო!

შუადღისას მე და სერგეი ვიყავით „ზარია ვასტოკა“-ს გამომცემლობაში. მან ხელშეკრულება დასდო გამომცემლობასთან და ხელშეკრულების მიხედვით მიღებული ავანსი იმავე დღეს მთლიანად გაუგზავნა მოსკოვში თავისს დებს.

ერთხელ, და ისიც კაფე „ქიმერიონში“ (რუსთაველის თეატრის ქვეშ), მე და სერგეი ესენინს დიდი ჩხუბი მოგვივიდა, რადგან ძალზე მთვრალი ვერაფრით ვერ დავანყნარე და იქ მჯდომ მანდილოსნებს შეურაცყოფას აყენებდა. საქმეში ჩაერია მილიცია. ესენინი დაატუსაღეს და მეორე თუ მესამე დღეს, თბილისის რუსულ გაზეთში „Тифлисская Правда“-ში დაიბეჭდა წერილი პოეტების თავგასულობის შესახებ.

მაგრამ მე და ესენინი მალე შევრიგდით. მალე რუსეთში წავიდა და მეგობრებთან მოწერილს წერილებში პირველ მოკითხვას მე მითვლიდა.

ჩვენი ჩხუბის შემდეგ მან დასწერა ლექსი „Поэтам Грузии“:

„Ссорилися сомнища племен,

Зато не ссорились поэты.

.....

Поэт поэту есть кунак“... და სხ.

„გარდასულ ხალხიდან“, არ შემიძლიან, არ მოვიგონო ჩემი ახლო მეგობრობა ბელორუსიის სახალხო პოეტთან – იანკა კუპალასთან და ცნობილ რუს ბელეტრისტს, „ცუსიმას“ ავტორ ნოვიკოვ-პრიბოისთან.

ორივე ჩემთან იყვნენ სტუმრად 1937 წელს, რუსთაველის იუბილეს დღეებში. შემდეგ ერთად წაველით წყალტუბოში. ორივენი აღტაცებულნი იყვნენ საქართველოთი. იანკა კუპალამ არა ერთი ლექსი დასწერა საქართველოზე. ერთი ლექსი მისივე თხოვნით („გენაცვალე“) მე ვთარგმნე ქართულად. იგი აღტაცებული იყო საქართველოში პოეტების მიღებით და ხშირად შეგვანატროდა. ერთხელ, გულისტკივილით წარმოსთქვა: „ბელორუსიაში „მწერალი“ ზოგს „Писарь“-ი ჰგონიათო და მე ხშირად მიწვნივია ეს ტკივილიო“. და ამას ამბობდა არა დამწყები, არამედ პოპულარული, სახალხო პოეტი..

უკანასკნელად იგი ვნახე მოსკოვში 1941 წელს. ორივემ ერთად მივიღეთ სტალინური სახელობის პრემია და შემთხვევით, ორივე ერთად გავეშურეთ ბანკში პრემიის თანხის მისაღებად. როცა ჩვენ ხელი მოვანერეთ ფულის აღებაზე, მთელმა ბანკმა ფეხზე ადგომით ოვაცია გაგვიმართა.

დათქმული გვქონდა, რომ ორივეს ერთად უნდა გვესადილნა იმ დღეს, მაგრამ როცა ბანკიდან გამოველით, იანკამ გვერდით ქუჩისკენ გასწია და მას მერე აღარ მინახავს... ომის წლებში, იგი კიბიდან გადმოვარდა და დაიმსხვრა მოსკოვის დიდ სასატუმრო „Москва“-ში.

ნოვიკოვ-პრიბოი, ეს დაუდგრომელი მეზღვაური და ენთუზიასტი, უკანასკნელად ვნახე მოსკოვში 1942 წელს პლენუმზე. პლენუმის შემდეგ ერთად ვისადილეთ მწერალ პეტროვთან ერთად (რომელიც სულ მალე დაიღუპა თვითმფრინავის კატასტროფის დროს). დაღონებული იყო, დაძმარებული... სიბერე ძალზე ეტყობოდა...

– ჰხედავ, რას გვიბედავს მტერი? მაგრამ ბოლო ჩვენია! რუსის ხალხმა იცის მაგარი პასუხი! სანამ სტალინი გვყავს, არაფრისა არ გვეშინიან! – ამბობდა დაიმედებული და მუშტს არტყავდა მაგიდაზე.

ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა..

მე ახლაც სახსოვრად მაქვს შენახული საკუთარი დიდი წარწერით ჩემდამი მოძღვნილი მისი წიგნი „Цусима“.

სხვათა შორის, ერთი დეტალი: როცა პლენუმი მიმდინარეობდა, ყურადღებას იქცევდა შემდეგი სურათი: მწერალთა კლუბი მოსკოვში მტერს დაეპობმა და პრეზიდენტს ახდელ ჭერიდან თავისუფლად დასდიოდა თოვლი. მაგრამ ასეთი აგზნებული, გულ-გამაგრებული, იმედიანი ხალხი არ მინახავს, როგორც ამ პლენუმის მონაწილენი... ეს ის დრო იყო, როცა მტერი ჯერ კიდევ მოჟაისკში იდგა, მოსკოვთან სულ ახლოს.

* * *

1943 წელს მე მივიღე მონაწილეობა საქართველოს დელეგაციაში, რომელიც წარგზავნილი იყო ფრონტზე ანაპის ქართულ დივიზიაში. კვირა დილით, როცა ჩამწკრივდა ჯარის ნაწილები, მე გამოველი მისასალმებლად ლექსით. არასოდეს არ მიგრძენია ასეთი მღელვარება როცა ლექსი დავინყე:

„სალამი საქართველოსი,
ცაში აყრილი მთებიდან..

...

მტკვარმა, რიონმა, თბილისმა,
მოკითხვა გამოგიგზავნეს!”

შევხედე მრავალ მებრძოლს, სქელ ულვაშებზე ცრემლი მოსდიოდათ. მე თვით ავძაგძაგდი და ლექსი ძლივს გავაგრძელე (ლაპარაკია ჩემს პოემაზე „ქართველ მეომრებს“). ლექსის დამთავრებისას მებრძოლებმა მაღლა ამნიეს და „ჰაერში მისროლეს“.

გამოსვლა მომიხდა კიდევ მეორე დღეს სხვა ნაწილში და აქაც იგივე გამეორდა. მაშინ პირველად ვიგრძენ სიტყვის მნიშვნელობა და როლი პოეტისა. დელეგაციაში შედიოდნენ: მიხეილ ბარამია (ცენტრალური კომიტეტის მდივანი), აკაკი ხორავა, უჩა ჯაფარიძე, სიმონ ჩიქოვანი, გიორგი კირვალიძე და მე.

გზად, ანაპიდან გამოსვლით, შევიარეთ ქ. ნოვოროსიისკში, რომელიც მთლად გადამწვარი, გადაბუგული და მიწასთან გასწორებული აღმოჩნდა.

არც ერთი სახლი, არც ერთი კედელი ამ ვეება ქალაქისა აღარ იყო მთელი. თვით ქალაქის პარკის ხეები, რომელნიც კიდევ იდგნენ ზეზე, მთლიანად დანახშირებულნი იყვნენ.

მაგრამ ყველაზე მეტად, ჩვენ გაგვაკვირვა საზარელმა სიჩუმემ. ქალაქში მოსახლეობა არ იყო და იგი შემოგვყურებდა, როგორც დიდი სასაფლაო.

ხიდზე რომ გამოვდიოდით, უცბად გაისმა ჭექა. ჩვენს გვერდით, მდინარეში ფაშისტების მიერ ჩაწყობილი ნალმი აფეთქდა! ნალმი ორი თვის წინ ჩაწყობილი!

ერთი წვრილმანი: როცა ვბრუნდებოდით, ერთ სადგურზე, დავინახე ქართველი ჯარისკაცი საგუშაგოზე. დილა იყო. მიუახლოვდი.

– გამარჯვება! – შევძახე ქართულად.

წინალამ თოფი არ გაუვარდა ხელიდან მოულოდნელი სიხარულით.

– გეგონება, ჩიტმა დამძახაო! რამდენი ხანია ქართული არ გამიგონიაო! – უეცარი სიხარულით ატაცებული შემომხაროდა ქართველი მეზობლი.

დღეეგაციამ მრავალი საომარი პუნქტი ინახულა ქ. ტემრიუკიდან დაწყობილი. ჩვენ ვნახეთ აგრეთვე მთა გირლიანაია, რომელიც ქართველებმა აიღეს სასტიკი ბრძოლის პირობებში. ამ გირლიანაიას მთის ახლო გვაჩვენეს ქართველთა საფლავები. თითოეულ საფლავს ხის ჯვარი ესვა სახსოვრად. ერთს ხის ჯვარს ფანქრით დაწერილი წარწერა თითქმის სრულიად გადასულიყო ქარისა, მზისა და წვიმისაგან. ოდნავ-ლა სჩანდა მკრთალად სახელი „ლევანი“, გვარი კი მთლად წარხოცილიყო.

ამ სამარის ხილვამ დამაწერინა ლექსი „არ დაიდარდო, დედაო“, რომელიც ჩემს მკითხველებს შორის პოპულარობით სარგებლობს.

სიტყვა ჩემს მიერ წარმოთქმული ბრძოლის ველზე („ქართველ მეომრებს“) სახელგამმა დაბეჭდა ცალკე წიგნად და გაუგზავნა მეზობლებს. თბილისში გასასყიდად არ გამოსულა.

* * *

ბავშვობიდანვე დიდი სიყვარული მაქვს სტამბისა და გამომცემლობისადმი. 1915 წლიდან განუწყვეტელი საქმე მაქვს სტამბებთან. როგორც მოგახსენეთ, 1916 წელს გამოვეცი საკუთარი ჟურნალი „საფირონი“, 1922 წელს მქონდა საკუთარი გაზეთი, იმავე დროს ვმუშაობდი ხან სტილისტად, ხან რედაქციის მდივნად, პასუხისმგებელ რედაქტორად, რედაქციის მდივნად.

ასე, 1923 წლიდან მე ვმუშაობდი ჟურნალ „დროშა“-ს რედაქციის გამგედ (ამ ჟურნალის დაარსების ინიციატორი მე ვიყავი თვით ჟურნალის სახელის ავტორიც). შემდეგ ვმუშაობდი ჟურნალ „გრდემლში“ ფაქტიურ რედაქტორად, შემდეგ ვიყავ პასუხისმგებელ რედაქტორის მოადგილედ ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტისა“.

ამ გამომცემლობისა და სარედაქციო მუშაობის დროს მრავალ სტამბის მოღვაწე და ლიტერატორი გავიცანი.

მაგონდება ღრმად მოხუცებული ასოთ-ამწყობი ზაქარია კოტეტიშვილი, რომელიც ჯერ კიდევ 1860-იან წლებში გაზეთ „დროშაზე“ მუშაობდა და რომელიც იყო საყვარელი ასოთ-ამწყობი ალექსანდრე ყაზბეგისა. სხვათა შორის, მან ააწყო ცალკე წიგნად ყაზბეგის „მოძღვარი“ და როდესაც ცენზურამ შეუბრალებლად გაანადგურა „მოძღვარის“ მთელი ტირაჟი, ერთად-ერთი ეგზემპლარი ზაქარია კოტეტიშვილს გადაემაღნა და შეენახა.

მაგონდება უძველესი, 1880-იან წლების კორექტორი და რეპორტიორი – ნიკო ჩიგიანაშვილი, თბილისელი სომეხი, რომელიც საინტერესო ამბებს გვიყ-

ვებოდა გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის და ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ. მაგონდება აგრეთვე სერგეი მესხის ცოლის ძმა, „დროების“ გამომცემელი – სოსიკო მელიქიშვილი (სტეფანეს ძმა). იგი ისევე, როგორც ნიკო ნიკოლაძე, კერძო საუბარში ილია ჭავჭავაძეს „ილიკოს“ ეძახდა, ყაზბეგს – „სანდროს“ და მათი მეგობრობით დიდად ამაყობდა.

1924 წელს, როდესაც პროფ. მიხ. ზანდუკელი შეეხო ალექსანდრე ყაზბეგის ავტორობის საკითხს, აღშფოთებული სოსიკო მელიქიშვილი შემოვარდა ჟურნალ „დრომას“ რედაქციაში და მოგვთხოვა, იმავე ნომერში სასწრაფოდ დაგვებეჭდა მისი წერილი ალ. ყაზბეგის ავტორობის დასაცავად.

იგი იყო ერთ-ერთი ცოცხალ მოწმეთაგანი იმისა, თუ ალ. ყაზბეგი როგორ სწერდა პირდაპირ, თეთრად, „ელგუჯას“, „მოდღვარს“ და სხვა რომანებს მისი თანადასწრებით გაზეთ „დროების“ რედაქციაში.

სოსიკო მელიქიშვილის წერილს გამოეხმაურნენ ძველი, გადარჩენილი ლიტერატორები (დათიკო მესხი, კეკე მესხი, ეკატერინე გაბაშვილი, სოსიკო მერკვილაძე და სხვები), რომელთაც თავგამოდებით დაიცვეს ალ. ყაზბეგის ავტორობა, როგორც მისმა ახლო მცნობებმა და მეგობრებმა.

მაგრამ ამ ძველ მოღვაწეთა შორის აღმოჩნდა ერთი, სახელდობრ, გიორგი ნათიძე, რომელიც სრულიად წინააღმდეგს ამტკიცებდა. მას არა თუ არ სჯეროდა ალექსანდრე ყაზბეგის ავტორობა, მას ალექსანდრე მიაჩნდა ქურდად, სისხლის სამართლის დამნაშავედ. მან დაწერა დიდი ნაშრომი, რომელშიც ამტკიცებდა დიმიტრი ყაზბეგის ავტორობას. ეს მისი ნაშრომი ამ ჟამად საქ. სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში ინახება.

ძველი სტამბის მოღვაწეებიდან გამოირჩეოდნენ პოეტი ქალი განდგეგლი, რომელიც 16 წლიდან კორექტორობდა თვით სიკვდილამდე. იგი ჩიოდა, რომ არასოდეს არ ჰქონია თავისუფალი დრო ლექსის წერისათვის. იგი იმავე დროს სათავადაზნაურო ბანკში მსახურობდა რომელიღაც წვრილმან მოხელედ.

მუდამ სტამბაში ნახავდით აგრეთვე პოეტს შიო მღვიმელს და ილია აგლაძეს, რომელნიც უმთავრესად კორექტორობით და მთარგმნელობით (ილია აგლაძე) სცხოვრობდნენ.

ხსენებულმა ლიტერატორებმა ბევრი რამ იცოდნენ ჩვენი ახლო წარსულიდან, ახლო ურთიერთობაში იყვნენ ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, ვაჟა-ფშაველასთან. ბევრს საინტერესო ამბებს გვყვებოდნენ მათი პირადი ცხოვრებიდან, მაგრამ როცა დაჟინებით ვთხოვდით, მოგონებანი დაეწერათ, ისინი მტკიცე უარს გვეუბნებოდნენ. ეს უმთავრესად მათი მოკრძალების ამბავი იყო.

– აბა, როგორ უნდა დაწერო ისეთ დიდ ადამიანზე, როგორიც იყო ილია! – გაასავსავებდა ხელებს ილია აგლაძე.

სანანურია, რომ მრავალი რამ საყურადღებო ჩვენი მწერლობის წარსულისა, სამარეში ჩაიყოლეს.

* * *

რაკი სიტყვა ჩამოვარდა ჩვენი მწერლობის წარსულზე, ორიოდ სიტყვით უნდა შევეხო საქ. სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმის დაარსების საქ-

მეს. 1931 წელს, მთანმინდაზე გაიმართა ალექსანდრე გრიბოედოვის გამოფენა-მუზეუმი. როცა ეს პანაწინა და ერთს ოთახში გამართული გამოფენა ვინახულე, გული მეტკინა, რომ ასეთივე გამოფენა არ არსებობდა არც ილია ჭავჭავაძისა, არც აკაკი წერეთლისა, არც ვაჟა-ფშაველასი ან სხვათა, რომელნიც მთანმინდაზე არიან დაკრძალულები.

მეორე დღესვე მე შევიტანე განცხადება თბილისის საბჭოში, რომელშიც მე ვამტკიცებდი „მთანმინდის მწერალთა მუზეუმის“ მოწყობას. თბილისის საბჭოში ყურადღებით მიიღო ჩემი წინადადება და ამ საქმის ორგანიზაციაც მე მომანდო. შტატში ვიყავი მე და ერთი დარაჯი. ბინად მოგვცეს მთანმინდაში ერთი ოთახი, შემდეგ ორი, მთანმინდის ყოფილ მღვდლის სახლში. განსაკუთრებით მძიმე იყო ჩემთვის ზამთრის დღეებში სიარული მთანმინდის აღმართზე, ხშირად ფეხი მიცურდებოდა და ბუჩქებს ვეჭიდებოდი, მაგრამ საქმემ გამიტაცა, ამაგზნო. დღე და ღამ დავდიოდი ოჯახებში და ვაგროვებდი ექსპონატებს. მრავალი საინტერესო საბუთები, ხელნაწერები თვით ილიასი, თვით აკაკისა, სრულიად შემთხვევით აღმომიჩენია უცნობ ოჯახებში ისე, რომ თვით პატრონებმაც კი არ იცოდნენ. ასე აღმოჩნდა მაგალითად, ილია ჭავჭავაძის დიდი „Докладная Записка“ – საბანკო საქმეები (რუსულად), „ბაბილონის ხელმწიფის დაუდ-ფაშის“ წერილი თავისს მშობლებთან. ბაღდადის ფაშა დაუდი, რომელიც მოღვაწეობდა მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში, რომ ტომით ქართველი იყო, უცნობი ამბავი იყო და მხოლოდ ამ წერილმა დაადასტურა პირველად (ხსენებულ დაუდ-ფაშასთან რუსეთის მთავრობის დავალებით მოლაპარაკებას აწარმოებდა ალ. გრიბოედოვი, როცა იგი სრულყოფილებიან წარმომადგენლად იმყოფებოდა სპარსეთის კარზე).

ასევე დიდ შენაძენს წარმოადგენს „ქილილა და დამანა“-ს ხელნაწერი. ცნობილია, რომ „ქილილა და დამანა“ საბა-სულხან ორბელიანმა და ვახტანგ მეექვსემ გადმოთარგმნეს. ისიც ცნობილია, რომ ჯერ კიდევ მეთექვსმეტე საუკუნის ბოლო წლებში „ქილილა და დამანა“ სთარგმნა კახთა მეფემ დავითმა (ქეთევან დედოფლის მეუღლემ) ჯერ კიდევ ბატონიშვილობაში. მან ეს არაკი მიიყვანა „კუს“ არაკამდის, როგორც ვახტანგის წინასიტყვაობა გვამცნებდა. მაგრამ თვით დავითის ნამუშევარი არსად სჩანდა. ჩვენგან ნაპოვნი „ქილილა და დამანას“ ხელნაწერი კი სწორედ დავითის თარგმანი გამოდგა. ცხადია, ფასდაუდებელია მნიშვნელობა ამ ხელნაწერისა. განსაკუთრებით საყურადღებოა დავითის წინსიტყვაობა, რომელიც ერთგვარს შუქსა ჰფენს მეთექვსმეტე საუკუნის კახეთის კულტურულ ცხოვრებას, კერძოდ კი მამინდელ კახთა მწერლობას.

არა ერთი და ორი ძვირფასი ხელნაწერი და საბუთია დაბინავებული მუზეუმში, არა ერთი და ორი ძვირფასი ნივთია დაცული. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი მწერალი მეცხრამეტე საუკუნისა, რომ მისი არქივი ან ხელნაწერები, ან მიმოწერა არ მოეპოვებოდეს მუზეუმს.

განსაკუთრებით მდიდარია მუზეუმის იკონოგრაფიული ფონდი. საერთოდ, მუზეუმის ქონება ოცდაათ ათასამდე ექსპონატს აღწევს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მუზეუმი უბინაოდ იყო ოთხი წელიწადი, თუ გამოვაკლებთ სამამულო ომის დღეთა სიძნელებს, თამამად შეიძლება ითქვას,

რომ მუზეუმმა დიდი საქმე გააკეთა, იგი უკვე ერთგვარ კერად იქცა. მისი მომავალი უზრუნველყოფილია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც სომხეთს, არც აზერბაიჯანს, თვით არც უკრაინას ჯერ სალიტერატურო მუზეუმი არა აქვთ.

* * *

თუმცა ლექსების წერა ადრე დავიწყე, მაგრამ პირველი ჩემი ლექსების წიგნი 1938 წელს გამოვიდა. მე დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი, არ ვიყავ კმაყოფილი ჩემი ლექსებით და არც წიგნად გამოცემას ვაპირებდი, რომ გამომცემლობა „ფედერაციას“ და ამხანაგებს თითქმის ძალა არ დაეტანებინათ. პირველ წიგნს მოჰყვა ჩემი ცნობილი პოემა „სტალინი. ბავშვობა და ყრმობა“, წიგნი პირველი, რის გამოც 1941 წელს მე მივიღე სტალინის სახელობის პრემია.

1939 წელს გამოვიდა ჩემი ლექსების კრებული „სტალინი“, 1942 წელს – ლექსთა დიდი კრებული. 1943 წელს დაიბეჭდა ლექსები სამამულო ომზე „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“, 1944 წ. – მცირე ლექსთა კრებული. 1946 წელს დაიბეჭდა ლექსთა კრებული „ქართლის ბალი“. 1947 წელს გამოვიდა (გამოდის ამ დღეებში) ჩემი ერთტომეული, რომელშიც მოქცეულია ლექსები და პოემები. 1926–1947 წლებში დაწერილი ჩემი ლექსები თარგმნილია რუსულად (მთარგმნელები: ნ. ტიხონოვი, ბ. პასტერნაკი, პ. ანტოკოლსკი, ვლ. დერჟავინი, სერგეი სპასსკი, ნიკ. ზაბოლოცკი, არ. კოშტეინი, ალ. გატოვი, ვერა ზვიაგინცევა და სხ.). პირველი წიგნი ჩემი ლექსებისა რუსულ ენაზე დაიბეჭდა 1938 წელს, მოსკოვს, გამომცემლობაში „Гослитиздат“-ში.

ჩემი ლექსები აგრეთვე თარგმნილია: უკრაინულად, სომხურად, აზერბაიჯანულად, ოსურად, ბელორუსულად, ჩეხოსლოვაკურად და სხ.

ხოლო პოემა „სტალინი“ რუსულად ითარგმნა ორჯერ: პირველად სთარგმნა ნიკ. ტიხონოვმა და შემდეგ გიორგი ცაგარელმა (ოთხი გამოცემა: პირველად გამოსცა „ზარია ვოსტოკამ“ ორივე. შემდეგ, წრეულს, 1947 წელს, გამოსცა მოსკოვის „Гослитиздат“-მა (ძვირფასი, აკადემიური გამოცემა) დღე-დღეზე გამოდის ცაგარლის თარგმანი იმავე გამომცემლობაში). ჩემი პოემა აგრეთვე ითარგმნა ბელორუსულად, უკრაინულად.

ითარგმნება: აზერბაიჯანულად, თურქმენულად, უზბეკურად...

ამ ყამად ვწერ „სტალინი“-ს მეორე წიგნს – „ბელადის სიჭაბუკე“-ს.

ამას გარდა, მე ვარ ავტორთაგანი ცნობილი „მიმართებისა“ ამხანაგ სტალინისადმი და ავტორი თბილისის საქალაქო საბჭოს რუსთაველის საიუბილეო საზეიმო პლენუმის მიმართვისა ამხანაგ სტალინისადმი (1937 წელს).

1936 წელს, „ბედმა“ მაღირსა ვყოფილიყავ საქართველოს რესპუბლიკის დელეგატი საბჭოების სრულიად საკავშირო მე-8-ე ყრილობაზე, სადაც 1936 წლის 27 ნოემბრის საღამოს სხდომაზე გამოველი ვრცელი გალექსილი სიტყვით საქართველოს ხალხის სახელით. ჩემს სიცოცხლეში არასდროს არ დამავიწყდება ეს ბედნიერი დღე. ლექსი ჯერ წარმოვსთქვი ქართულად, შემდეგ რუსულად.

სამწერლო მოღვაწეობისათვის დაჯილდოებული ვარ: ლენინის ორი ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის“, „შრომითი მამაცობისთვის“.

* * *

როგორც ზემოდ მოგახსენეთ, მშობლიურმა მწერლობამ და ისტორიამ ბავშვობიდანვე გამიტაცა. 1912 წლიდან მე პრესაში ვათავსებდი ისტორიულ-არქეოლოგიურ წერილებს კომპილიაციური ხასიათისას. შემდეგ უკვე სერიოზული მუშაობა დავიწყე.

1920 წელს მე დავბეჭდე ცალკე წიგნად „ჭაშნიკი“ – მამუკა ბარათაშვილის პოეტიკა. 1924–1928 წლ. ჟურნალ „მნათობში“ მე ვბეჭდავდი მონოგრაფიას „ივანე მაჩაბელი“. 1928 წელს, გამოვაქვეყნე ჩემი კაპიტალური ნაშრომი „სულხან-საბა ორბელიანი და „სიბრძნე-სიცრუისა“. 1931 წელს დავბეჭდე „მგოსანი საათნავა“ ახალი ქართული წყაროების მიხედვით.

ჯერ კიდევ 1929 წელს მე გავემგზავრე ლენინგრადს და იქ მთელი თვის განმავლობაში ვმუშაობდი „შაჰნავაზიანის“ უნიკალურ ხელნაწერზე.

ლენინგრადში გადმოვწერე ტექსტი, გადავიღე ფოტოპირი, ვიმუშავე რამდენიმე წელი და ვრცელი გამოკვლევით და კრიტიკული აპარატით გამოვეცი 1934 წელს.

1938 წელს ვრცელი გამოკვლევით და ლექსიკონით გამოვეცი მეჩვიდმეტე საუკუნის ისტორიული პოემა იოსებ თბილელისა „დიდ-მოურავიანი“. ჩემი წინასიტყვაობით და თანამშრომლობით და რედაქციით „დიდ-მოურავიანი“ გამოვიდა რუსულ ენაზედაც.

მაქვს გამოუქვეყნებელი ვრცელი ნაშრომი „ვოლტერიანობა საქართველოში“. გამოქვეყნებული მაქვს: „ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიული მასალები“, „პუშკინი საქართველოში“, „პუშკინის ქართველი ნაცნობები“.

პუშკინის „Путешествие в Египет“–ში მოხსენებულ უცნობ ქართულ ლექსის შესახებ. მე პირველმა დავადგინე, რომ იგი არის „ახალ აღნაგო სულო და“ და ეკუთვნის ცნობილ მგოსანს დიმიტრი თუმანიშვილს. მაქვს ნაწილობრივად გამოქვეყნებული (უმთავრესი ნაწილი ჯერ დაუბეჭდავია) „ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიული მასალები“. გამოვაქვეყნე: მამია გურიელზე, ალექსანდრე ყაზბეგზე ახალი მასალები. დავბეჭდე: „იოანე ბატონიშვილი“, „ქართველი მხატვრები“, „ვახტანგ მეექვსე“, „დავით გურამიშვილი“, „სიტყვა ნიზამის იუბილეზე“ და მრავალი სხვა, რაც გაბნეულია ჩვენს პერიოდულს გამოცემებში.

და ბოლოს, ჩემი კაპიტალური ნაშრომი „ბესიკი და მისი დრო“ (დაიბეჭდა ნაწილი), სადაც პირველად, ახალი მასალების საფუძველზე განხილულია დიდი ქართველი პოეტის ცხოვრება და მოღვაწეობა.

1946 წელს, თებერვალში ჩემი ლიტერატურული და სამეცნიერო შრომისათვის მე არჩეულ ვიქმენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

* * *

დასასრულ, ჩემი მოღვაწეობის ერთი დარგიც: ჩემი უახლოესი მონაწილეობით (საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი) ჩატარდა იუბილეები: ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ალ. პუშკინისა, ალ. გრიბოედოვისა, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და სხვათა.

ასევე ჩემს მიერ ჩატარებულია ყველა საიუბილეო რესპუბლიკური გამოფენები 1937 წლიდან ვიდრე დღევანდლამდე.

1939 წლიდან ვრედაქტორობ ლიტერატურული მუზეუმის ორგანოს „ლიტერატურული მათიანე“-ს.

ამაზე ადრე, 1935 წ. ვიყავ პასუხისმგებელი მდივანი საკვლეო დიდი ჟურნალის „ლიტერატურული მემკვიდრეობისა“.

1931-1932 წწ. მე ვხელმძღვანელობდი სტალინის სახელობის ორთქლმავალთა სარემონტო ქარხანაში არსებულ მუშათა სალიტერატურო წრეს. ამ წრის ნაყოფიერი მუშაობა არა ერთხელ აღნიშნულია თვით მუშების მიერ საქარხნო პრესაში.

1931-1933 წლებში მე პირველმა შევკრიფე ცნობები სახალხო მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის შესახებ. დავწერე მისი ბიოგრაფია და შევკრიბე თბილისსა და რაიონებში ფიროსმანიშვილის 20-მდე სურათი და გადავეცი მეტენის მუზეუმს.

ჩემს მიერ დანერილია ცნობილი ბალეტის „მთების გული“-ს ლიბრეტო. ეს ბალეტი დიდი წარმატებით სარგებლობს დღესაც. იგი დაიდგა ლენინგრადში, თბილისში, ტაშკენტში, კიევში და სხ.

დავწერე სცენარი „გიორგი სააკაძე“, „ნ. ბარათაშვილი“, მევე მეკუთვნის დადგმული კინო-სურათებიდან: „ჯურღალის ფარი“, „მზიური საქართველო“.

ჩემი განცხადებით და თაოსნობით აღმოჩენილია რუსეთში, ვორონცოვის არქივში მეჩვიდმეტე საუკუნის „ვეფხის-ტყაოსნის“ ხელნაწერი („ზაზა-სეული“ ვარიანტი).

* * *

1940 წელს არჩეულ ვიქმენ თბილისის საბჭოს დეპუტატად.

აქვე უნდა დავსძინო, რომ მე ხანგრძლივად ვმუშაობდი თბილისის ქუჩების სახელების გადარქმევაში. კომისიაში, რომელიც ქუჩების „გადანათვლაზე“ მუშაობდა, მე 300-მდე ქუჩის სახელი გავიყვანე.

ვითვლები საქ. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრად და საკავშირო მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად.

1945 წლიდან ვითვლები საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) წევრად.

გიორგი ლეონიძე
[1947 წელი]

ვლადიმერ ტატიშვილი

Краткая автобиография

Происхожу из жителей сел. Марани Тифлисской губернии, Горийского уезда. Родился в городе Баку, в 1899 году. Отец служащий, большую часть жизни провел в г. Поти, где работал секретарем городской управы у Нико Николадзе. В Баку отец служил в таможне казначеем. Умер в 1917 году. Мать домашняя хозяйка, умерла в 1929 году.

Кончил гимназию в Баку в 1918 году. Работал в реквизиционном отделе Продовольственного комитета у Алеши Джапаридзе. После падения Бакинской коммуны переехал в Тбилиси и в 1919 году поступил в Тбилисский университет, затем в Политехнический институт. При утверждении в Грузии Советской власти работал в Главполитпросвете Грузии и в Грузавроста. В конце 1921 года переехал снова в Баку, поступил там в университет, на филологический факультет и начал сотрудничать в газете „Бакинский Рабочий“, где печатал рассказы, художественные очерки, фельетоны. Кроме литературной работы вел в газете и организационную работу, руководил литературными кружками на промыслах и предприятиях, собирал вокруг газеты рабкоров. С 1923 года по 1932 год попеременно работал в „Бакинском Рабочем“, „Заре Востока“, „Рабочем Пути“ (Смоленск), сотрудничая в то же время и в центральных газетах и журналах: „Рабочей газете“, „Правде“, „Прожекторе“, „Наших достижениях“ (редактор М. Горький), „Дружбе Народов“, (ред. М. И. Горький), „Литературной Неделе“, „Красной Панораме“, „Красной Ниве“ и др.

Во время коллективизации был представителем редакции газеты „Бакинский Рабочий“ в сельскохозяйственных районах Азербайджана.

В 1928 году вышла первая моя книга „Глаза Меджнуна“ на русском, а затем и на азербайджанском языках. Затем были опубликованы в Баку и Тбилиси – роман из жизни грузин-горцев „Франкский меч“, сатирическая повесть „Рассказ об уездном городе“, сатирический роман „Двуличная сталь“, критическое исследование „По щучьему велению“ (Москва), „Азербайджан на с/х выставке“ (Москва).

Работая в печати вел активную борьбу с административным произволом, вредительством, кулацкими выступлениями, невежеством, пережитками капитализма в сознании людей – что отразилось в ряде моих очерков и разоблачительных фельетонах. По ряду моих фельетонов руководящие органы принимали специальные решения („Джудьфинка“, „Аварцы и национальный вопрос в Азербайджане“ и др.). В 1932 году был мобилизован Рабоче-Крестьянской инспекцией и послан, в связи с кулацким восстанием, в Закаталы для проверки коренизации советского аппарата.

В 1934 году, при организации Союза Советских Писателей СССР, был принят в члены Союза Писателей.

С 1934 года работал сценаристом-редактором сперва в Бакинской киностудии, затем – в Москве в студии „Союздетфильм“, „Мостехфильм“.

Во время войны 1941–1945 г.г. активно работал в прессе – в Москве в газете „Социалистическое Земледелие“ и „Истринская Стройка“. В Тбилиси в 1942 году написал патриотическую пьесу „Хочу на войну“, успешно шедшую в районных театрах.

В 1946 году изучал в Москве грузинскую старину, в связи с актуальной темой „Исторические корни дружбы грузинского и русского народов“. В результате изучения грузинских древностей в Москве явилась книга „Грузины в Москве“, опубликованная сперва в виде очерков к 800-летию Москвы в газетах „Литература да Хеловнеба“ и „Заря Востока“, в журнале „Мнатоби“, а затем вышедшая отдельным изданием на грузинском и русском языках.

Работая над книгой, добивался принятия организационных мер по охране грузинских памятников в Москве (б. Донский монастырь, Всесвятское). В результате ряда моих докладных записок, писем в газету „Правда“ и руководящим товарищам, в Москве в 1951 году отделом пропаганды ЦК ВКП/б/ было созвано специальное совещание по грузинским памятникам, с участием академика Грекова, писателя Тихонова и др.

В связи с этим совещанием, принявшим ряд конкретных решений, по распоряжению тов. К. Н. Чарквиани в Москву были направлены грузинские ученые для участия в организации в Москве постоянной выставки по истории русско-грузинских взаимоотношений.

Материалы мои по истории грузинской колонии в Москве включены в академическое издание „Истории Москвы“ (шеститомник), первый том которого должен выйти в 1952 году.

Вл. Татишвили

სოლომონ ცაიშვილი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ცაიშვილი სოლომონ მაქსიმეს-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1900 თვე თებერვლის დღე 26 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. ცაიში (ზუგდიდის მაზრა) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | ლიტერატურათმცოდნე |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1918 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1947 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არცერთს |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|-----------------|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | საშუალო |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული, ქართული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>არასამხედრო ვალდებული ასაკის გამო</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>მწერლობა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>მწერლობა</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ფალიაშვილის 47</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1919 | 23 | გამგე | დანყებით სკოლაში | ურტა |
| 1923 | 24 | „-“ | „-“ | ზუგდიდი, ს. ხატია |
| 1924 | 26 | მასწავლებელი | შვიდწლიანი სკოლა | ცაისში |
| 1926 | 30 | „-“ | პატარძელის შვიდ- წლიან სკოლაში | |
| 1930 | 32 | მდივანი | ჟურნ. „კულტურუ- ლი მშენებლობა“ | თბილისი |
| 1932 | 41 | განყ. გამგე | გაზ. კომუნისტური განათლების რედაქ- ციაში | „-“ |
| 1941 | 46 | სწავლული მდივანი | ლიტერატურის მუზეუმისა | „-“ |
| 1946 | 48 | უფრ. სწავლული მუშაკი, განყ. გამგე | სახალხო განათ- ლების მუზეუმისა | „-“ |
| 1948 | | განყ. გამგე შეთავ- სებით | რედაქცია გაზ. „სახალხო განათ- ლება“ | „-“ |
| | | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

შეკვ. №193. ტ. 1000

ხელმოწერა _____

სოლომონ მაქსიმეს-ძე ცაიშვილის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1900 წელს, 26 თებერვალს ზუგდიდის მაზრაში, სოფ. ცაისში, მეჯოგე გლეხის ოჯახში. ჩემი მომავალი საქმიანობაც მამის მხრივ უკვე იყო გარკვეული, რომ პირველად ისევ პაპაჩემს, რომელსაც ესმოდა განათლების მნიშვნელობა არ დაერღვია ეს ტრადიცია. ამიტომ უკვე 10 წლისა, ყოფ. ნამწყემსარი ვიყავი, როცა სამრევლო სკოლაში მიმაბარეს.

1912 წელს აღნიშნული სკოლის ნარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა განვაგრძე ცაიშის ე. წ. სამინისტრო ორკლასიან სკოლაში, რომელიც აგრეთვე ნარჩინებულად დავამთავრე 1914 წ. და ერთი ნათესავ ხუცის შემწეობით ეგრეთ წოდებულ საეკლესიო-სამასწავლებლო სასწავლებელში მოვეწყე, რომელსაც სულ 3 წლის კურსი ჰქონდა.

1917 წ., პირველ სექტემბერს, უკვე ქუთაისის პირველი თავისუფალი გიმნაზიის მე-5 კლასში ვიყავი, ხოლო 1921 წ. რაკი უმაღლესში სწავლის გაგრძელების საშუალება აღარ აღმომაჩნდა, მასწავლებლობა დავიწყე ზუგდიდის მაზრაში. 1926 წ. თბილისისაკენ გამოვემგზავრე, მაგრამ რაკი ვერც მაშინ მომიხერხდა სწავლის გაგრძელება, კვლავ მასწავლებლობას დავუბრუნდი და 4 წელი დავყავ ს. პატარძელში (საგარეჯოს რაიონი).

1930 წ. გადაყვანილ ვიქენ საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატში, საუწყებო ჟურნალისა და გაზეთის რედაქციებში, ხან რედაქც. მდივნად, ხან ლიტ. მუშაკად და ხან განყ. გამგის თანამდებობაზე, როგორც განათლების სამინისტროს საუწყებო გამომცემლობის პ/მგ მდივანი და აგრეთვე შეთავსებით საქართველოს სახალხო განათლების მუზეუმის უფროს მეცნიერ მაშაკად ვმუშაობდი.

1940–46 წლებში ვმუშაობდი აგრეთვე სწავლულ მდივნად საქართველოს სახ. ლიტერატურულ მუზეუმში. სიყვარული ქართული ლიტერატურისა და მწერლობისათვის ჯერ კიდევ სამრევლო სკოლიდან ჩამენერგა კარგი მასწავლებლისა და შემდეგ ცნობილი მწერლის იონა მეუნარგიას ოჯახის გავლენით. ეს სამაგალითო ოჯახი შეიქნა ჩემი ნამდვილი სკოლა და უმაღლესი სასწავლებელიც, დაუშრეტი წყარო თვითგანვითარებისა და მუდმივი საზრდო სულისა. იონას და მის მეუღლეს შვილებიდან არ გამოვერჩეოდი და ამგვარად გავხდი ბრწყინვალე ოჯახის ღმერთი (რომელიც მალე ჩაჰქრა) და ჭირის გამზიარებელი.

ნერა დავიწყე 1918 წელს პუბლიცისტურ, ლიტერატურულ, ეთნოგრაფიულ, პედაგოგიურ და სხვა ხასიათის წერილებისა და ნარკვევების სახით. დღემდე დაბეჭდილი მაქვს ქართულ პერიოდიკაში სულ 328 ლიტერატურული და სხვა ხასიათის ნაშრომი, ხოლო ცალკე წიგნებად მაქვს გამოცემული რამდენიმე შრომა (იხ. თანდართული სია). ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში დღესაც დიდი ხალისით და მონდომებით განვაგრძობ მუშაობას ქართულ ლიტერატურათმცოდნეობის სფეროში, როგორც მკვლევარი და კრიტიკის ჟანრის მწერალი.

47 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდინოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ს. ცაიშვილის ნაწარმოებთა სია:

1. ქართულ პრესაში გამოქვეყნებულია 350-მდე ლიტერატურული ხასიათის ნაშრომები: მასალები ნ. ბარათაშვილის, ალ. ჭავჭავაძის, გ. ერისთავის, დ. ერისთავის, გ. ჭალადიდელის, ვ. ორბელიანის, ი. მეუნარგიასი, სულხან ბარათაშვილის, ნიკ. ბარათაშვილის და სხვათა ბიოგრაფიული მასალის შესახებ.
2. წერილები: ი. გოგებაშვილიზე, დ. ჭონქაძეზე, ვ. ბარნოვზე, ვაჟა-ფშაველაზე, ეკ. გაბაშვილზე, ი. ბატონიშვილზე, ი. ჭავჭავაძეზე, აკ. წერეთელზე.
3. ცალკე წიგნებად: ალ. ჭავჭავაძე, ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი – ნაკვესები, დავით დადიანი და მისი დრო.
4. ქართველი მწერლები: 1 და 2 წიგნი „პუბლიკაცია“.
5. ერეკლე მეფის გმირული სახე ხალხურ შემოქმედებაში, თამარ მეფე ხალხურ სიტყვიერებაში.
6. გამოქვეყნებული მაქვს 145 ნაშრომი, მათ შორის – ზ. ფალავანდიშვილი, ალ. ყაზბეგი და ხალხი, ალ. ყაზბეგი და ვ. ბარნოვი, ტარას შევჩენკო. ნინოშვილის ერთი მოთხრობის შესახებ. გრ. ორბელიანის შესახებ და სხვ.
7. რეცენზიები – თანამედროვე მწერლებისა და კლასიკოსების შესახებ.
8. ილია და აკაკი ქართული წიგნის სამსახურში.
9. გეგეჭკორისა და კოლხეთის იგივეობისათვის და მრავალი სხვა.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

Автобиография Георгия Владимировича Крейтана-Попова

Родился 17(30) мая 1900 года в г. Ленинграде, в семье саперного офицера Л. А. Попова.

Вследствии того, что мои родители, в то время еще не были повенчаны, я был записан в метрике по фамилии первого „законного“ мужа моей матери, тоже офицера В. В. Крейтана.

В 1910 г. мой отец Л. А. Попов, был направлен служить на Кавказ и с этого времени я и живу в Закавказье.

Отец скончался в 1916 г. в Тбилиси. С тех пор я живу самостоятельным трудом. В годы меньшевитского господства в Грузии наша семья сильно бедствовала, большую часть этих лет я был безработным.

С первых дней Советской власти активно повел работу в комсомольских организациях и по линии физкультурного движения в Грузии. Окончил в 1918 г. Тбилисское Реальное училище, дважды затем пытался получить высшее образование, но оба раза бросал учебу в вузах, сначала потому, что пришлось идти в грузчики, чтобы семья не померла с голоду, а второй раз – из-за перегруженности комсомольской работой.

Стихи стал писать с 18-ти лет. 1921 год считаю началом своей литературной деятельности, в этом году будучи арестован меньшевиками (по подозрению в сочувствии большевикам), в кутаисской тюрьме написал первое стихотворение, которое попало в печать, в газету „Кавказская коммуна“, расклеивавшуюся на стенах тифлиских домов в первые недели установления советской власти в Грузии. С этого времени (март, 1921 год) начинаю работать в грукавроста по составлению литературного материала для местного „Окна роста“. В 1922-23 г.г. вхожу в АПП Грузии, работаю в качестве ответ. секретаря русской секции АППГр.

С 1924 по 1928 год служил в войсках ЗакЧЕКА – ЗакГПУ, сначала преподавателем политпредметов в школе войск погранохраны, а затем на командно-политических должностях, вплоть до помкомдива отдельного 109-го, по политической части. В мае 1924 года вступил в кандидаты партии. Вследствие переводов (Тбилиси-Ахалцих-Нахичевань-на Араксе), из части в часть, не мог оформить вступление в члены партии почти два года. Принят в члены ВКП(б) в июле 1927 года.

По решению Заккрайкома ВКП(б) в начале 1928 года был демобилизован и направлен на газетно-журнальную работу. С тех пор по сие время, т. е. около 22 лет, преимущественно работал в журналах и газетах. Одновременно вел и веду чисто литературную работу, а также систематически, примерно с 1936 года читаю лекции и доклады по вопросам международного положения. В 1937 году весьма успешно окончил 1½ годичную школу пропагандистов при ТК КП(б) Грузии.

В 1926 году в Тбилиси вышла моя первая книга стихотворений „Маршрут жизни“. К настоящему времени опубликовано 14 моих книг. В годы Великой Отечественной войны работал вместе с художниками Гурро и Надареишвили над „Окнами сатиры“, плакатами, листовками. В 1941 г. и 1942 г. вышли две книги моих сатирических антифашистских стихотворений. С 1936 г. являюсь членом Союза Советских Писателей СССР.

В 1948 г. по окончании ВПШ при ЦК ВКП(б) принят в действительные члены общества по распространению политических и научных знаний.

Моя журналистская деятельность протекала, в основном, в Тбилиси до 1945 года. Член редколлегии журнала „На рубеже Востока“, зам. отв. секретаря газеты „Молодой рабочий“, зам. зав. сектором литературы и искусства Заккрайкома КП(б), зам. директора Зактага, с 1935 по 1945 год в системе комбината „Зари Востока“, зам. отделом литературы и искусства газеты „Заря Востока“, затем отдела обзора печати, зав. отд. „Партийная жизнь“. Руководил русской группой начинающих поэтов и писателей.

С 1945 по 1947 г. по решению ЦК ВКП(б) работал: сначала отв. редактором республиканской газеты „Советская Киргизия“ (Фрунзе), затем и. о. отв. редактором областной газеты „Калининградская Правда“ (Калининград).

Весной 1947 г. заболел сердцем и по болезни был освобожден от обязанностей редактора направлен снова в Грузию, где вырос и к климату которой привык.

Здесь закончил, находясь в резерве ЦК КП(б) Грузии, заочно, курс ВПШ при ЦК ВКП(б) и весной 1948 г. весьма успешно сдал в Москве Госэкзамены.

С 20 мая 1948 г. по постановлению бюро ЦК КП(б) Грузии работал зам. редактора газеты „Большевицкая путевка“.

С 5 мая 1950 г. работаю ответственным редактором газеты „Большевицкая Путевка“.

Считаю нужным добавить, что за все время пребывания в партии отклонений от генеральной линии не допускал. Партийных взысканий не имею.

С 1945 по 1949 г. являлся членом Центрального Комитета КП(б) Киргизии, в 1945-1946 годах также кандидатом в члены бюро ЦК КП(б) Киргизии.

Награжден орденом „Знак почета“ и медалями: „За оборону Кавказа“, „За доблестный труд“, „За победу над Германией“.

*п. п. Георгий Крейтан – Попов
Тбилиси
11 июня 1950 г.*

Г. В. Крейтан умер в 1951 году 11 февраля в гор. Тбилиси в год, когда исполнялось 30-ти летие его литературной деятельности, прошедшей главным образом в Грузии.

Литературная автобиография

Начал писать ребенком (14 лет). Написал горю „Общих тетрадей“ рассказы, романами и набросками. Все это потерялось (за исключением одного „военного“ романа написанного под влиянием мировой войны в 1915 году).

Первое стихотворение написал 4 марта 1918 года вечером после „Задушевной“ беседы с А. Лишка, имевший решающее влияние на меня в те годы. Начав

писать стихи под влиянием символистов (преимущественно французских) и потом акмеистов (представители которых в 1919-20 г. подвизались в Тифлисе), развел бешенные темпы. За 1919 год мною написано было около 200 стихов. Затем, в связи с безрадостной обстановкой моего бытия в захваченной меньшевиками Грузией, темпы пошли на снижение. В 1921 году, будучи арестован меньшевиками, в Кутаисской тюрьме написал первое стихотворение, которое попало в печать (в газету „Кавказская коммуна“ расклеивавшуюся на стенах Тифлисских домов в первые недели Советизации Грузии).

С этого времени (Март 1921 года) начинаю печататься в местной периодической печати и активно работать в Грукавроста в качестве составителя плакатных подписей в стихах, частушек и другого материала для местного „Окна роста“.

В 1921 году мое стихотворение „1 мая“ переводится на грузинский и армянский языки.

В 1922-23 г. вместе с М. Юриным и рядом товарищей вхожу в первые в Грузии организации пролетарских писателей.

В 1926 году весной в издании „Заря Востока“ вышла моя первая книга „Маршрут жизни“, в которую вошло около 30 стихов, написанных главным образом в 1924-25 годах.

Осенью 1927 г. из-во „Заккнига“ выпускает мою вторую книгу „Человек на крыше“, в которую входит большая часть моих стихов, написанных во время службы в Красной Армии (1924–27 г.).

В 1925 году в „Молодой Гвардии“ печатается моя поэма „Снежный Ильич“, которая затем принимается для выпуска отдельным изданием (кажется, деткомиссией при ВДИК) позже выпущена отдельно так и не была.

Все время я активно работаю в АппГрузии, а в последствии и ЗСФСР (ЗАНП) в качестве ответ. секретаря русской секции АППГ, члена правления и президиума АПП Груз. и правления ЗАПП. Был делегатом I всесоюзного съезда РАПП от ЗСФСР. Примерно с 1924 года систематически печатаюсь в газетах „Заря Востока“, „Рабочая Правда“, журналах „Красные всходы“ (до его закрытия) и впоследствии „На рубеже Востока“. В 1928–30 годах усиленно работал над переводами поэтов народов ЗСФСР и перевел за эти годы около 30 авторов.

В 1929-30 годах печатался (отдельные стихи) в Московских журналах и газетах: „Октябрь“, „Огонек“, „Пятидневка“, „Красноармеец“, „Литературная газета“, „Комсомольская Правда“ и др.

В 1930 году вышла третья моя книга „Земные звезды“, в 1931 году – книга переводов „Поэты народов закавказья“ и четвертая книга стихов „Ударники“.

С 1924 года в коммунистической партии. Мне 31 год.

[1941 წელი]

ლევან ასათიანი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | გარდაიცვალა 1955 წლის 14 მაისს ასათიანი ლევან ნიკიფორეს-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1900 თვე ივნისის დღე 28 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) თბილისში |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | აზნაური |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | კრიტიკა, ისტორია, ლიტერატურ- რათმცოდნეობა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართული, რუსული |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1927 |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1934 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებ- ში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | მემარცხენე |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|-----------------------------------|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმალლესი, ლიტერატურული ფაკულტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული, სუსტად გერმანული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--------------------------------------|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემაღგენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღგენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>მობსნილია</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>არა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>—</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>მარჯანიშვილის 4</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღ- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1928 | 1930 | ლიტმუშაკი | რედ. „ქართული მწერლობა“ | |
| 1932 | 35 | პ/მგ. მდივანი | უ. „მნათობის“ რე- დაქცია | |
| 1936 | 38 | ლიტერატ. ნაწ. გამგე | რუსთაველის თეატრი | |
| 1938 | 39 | პ/მგ. მდივანი | ჟურ. „მნათობი“ | |
| 1939 | 40 | ლიტ. ნაწ. გამგე | რუსთაველის თეატრი | |
| 1940 | 43 | საქარ. კორეს- პონდენტი | გაზ. „ლიტ. გაზეთა“ | |
| 1943 | 45 | პ/მგ. მდივანი | უ. „მნათობი“ | |
| 1949 | | უფროსი მეცნიე- რი მუშაკი | მეცნიერებათა აკა- დემია რუსთაველის სახ. ისტ. და ენის ლიტერატურის ინ- სტიტუტი | |
| | | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

შეკვ. №193. ტ. 1000

ხელმოწერა _____

ლევან ნიკიფორეს-ძე ასათიანის ავტობიოგრაფია

მე დავიბადე 1900 წელს, ივნისის 28, ქალ. თბილისში, ინტელიგენტის ოჯახში. ბავშვობა ნაწილობრივ ტფილისშივე გავატარე, შემდეგ ვცხოვრობდი ქუთაისში, სადაც დავამთავრე საშუალო სასწავლებელი. ვსწავლობდი ქართულ გიმნაზიაში, რომელიც იმ დროს წარმოადგენდა ნაციონალ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ კერას საქართველოში. ჩვენი პედაგოგები მხურვალე პატრიოტები იყვნენ, სასტიკად ებრძოდნენ ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას და ბავშვებს გვინერგავდნენ სამშობლოსადმი სიყვარულსა და ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლის მაღალ მოქალაქეობრივ იდეებს. გიმნაზიის გათავების შემდეგ, 1919 წელს, შევედი ტფილისის უნივერსიტეტში, ლიტერატურულ ფაკულტეტზე. ვსწავლობდი ძველი ქართული ლიტერატურის კათედრაზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფ. კ. კეკელიძე.

სტუდენტობის პირველი წლებიდანვე იწყება ჩემი გაცნობა-დაახლოვება ტფილისის სალიტერატურო წრეებთან. ხანგამოშვებით ვთანამშრომლობდი კიდეც იმ დროინდელ ლიტერატურულ გამოცემებში: „ლომისში“, „ბახტრიონში“, „მეოცნებე ნიამორებში“. ამავე დროს ვმაცადინობდი უნივერსიტეტში, სადაც, გარდა ზეპირი გამოცდების ჩაბარებისა, აქტიურად ვმონაწილეობდი სემინარებში: ძველი ქართული ლიტერატურის (პროფ. კ. კეკელიძე), „ვეფხისტყაოსნის“ (პროფ. ა. შანიძე), მე-19 ს. ქართული მწერლობის (ს. გორგაძე) და სხვ. უნივერსიტეტი დავამთავრე 1925 წელს.

მუდმივი ლიტერატურული მუშაობა დავიწყე 1927 წელს, როდესაც ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ დავბეჭდე ისტორ.-ლიტერატურული ხასიათის ერთ-ერთი გამოკვლევა. ამის შემდეგ ვთანამშრომლობდი საბჭოთა ყველა გამოცემებში, სადაც ისტორიულ-ლიტერატურულ ნაშრომებთან ერთად, ვათავსებდი კრიტიკულ წერილებსაც თანამედროვე საბჭოთა მწერლების შემოქმედებაზე. ზოგადი ხასიათის სტატიების გარდა, სპეციალური წერილები მაქვს მიძღვნილი შემდეგი ავტორებისათვის: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ალ. ყაზბეგი, დ. კლდიაშვილი, ალ. პუშკინი, ვლ. მაიაკოვსკი და სხვ. თანამედროვე ქართველ ავტორებიდან: გ. ტაბიძე, ლ. ქიანელი, შ. დადიანი, ა. აბაშელი, ვ. გაფრინდაშვილი, ა. ქუთათელი და სხვ.

აკაკი წერეთლის რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის დავალებით გავაკეთე მონოგრაფია „აკაკი წერეთლის ცხოვრება და შემოქმედება“, რომელიც ცალკე წიგნად გამოვიდა.

1928 წლიდან ვიყავი რედკოლეგიის წევრი და ლიტმუშაკი ჟურნალ „ქართული მწერლობისა“ და 1932 წლიდან ჟურნალ „მნათობის“ რედკოლეგიის წევრი და პასუხისმგებელი მდივანი. შემდეგ, ავადმყოფობის გამო რედაქციას თავი დავანებე.

1939 წლიდან მუშაობა დავიწყე რუსთაველის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგედ და აგრეთვე საქართველოს კინო-სტუდიაში სასცენარო განყოფილების კონსულტანტად.

1940 წელს ვიყავი საქართველოს კორესპონდენტი მოსკოვის გაზეთ „ლიტერატურნაია გაზეტასი“.

1943 წლიდან 45 წლამდე ისევ დავუბრუნდი ჟურნალ „მნათობს“ და ვმუშაობდი პასუხისმგებელ მდივნად.

1949 წლიდან მუშაობა დავიწყე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში რუსთაველის სახელობის ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-მუშაკად.

ლევან ასათიანის ნაწარმოებთა სია

1. „ვოლტერიანობა საქართველოში“ (ისტ. ლიტერ. გამოკვლევა), 1933 წ.
2. „ცეცხლი, ფოლადი, ადამიანი“ (მხატვრული ნარკვევი), 1934 წ.
3. „ლიტერატურა და სხვა“ (კრიტიკა), 1934 წ.
4. „შავი ქვის ამბავი“ (საბავშვო წიგნი), 1934 წ.
5. „მინა“ (მხატვრული ნარკვევი), 1935 წ.
6. „ძველი საქართველოს პოეტი ქალები“ (ისტ.-ლიტერ. გამოკვლევა), 36 წ.
7. კომენტარები ი. მანსვეტაშვილის „მემუარები“-სა, 1936 წ.
8. „აკაკი წერეთლის ცხოვრება და შემოქმედება“, 1940 წ.
9. „სტატიები და წერილები“, 1945 წ.
10. „წერილები ლიტერატურაზე“ (კრიტიკა), 1946 წ.
11. „გრიგოლ ორბელიანი“ (ლიტერატურული მოთხრობა), 1946 წ.
12. „ქართული ლიტერატურა“ (კრიტიკა), 1948 წ.
13. „პუშკინი და ქართული კულტურა“ (ლიტმცოდნეობა), 1949 წ.
14. „ი. ბ. სტალინი და ქართული რევოლუციური პოეზია“, 1950 წ.
15. „მაიაკოვსკი და საქართველო“, 1951 წ.
16. „ენა და სტილი ი. ბ. სტალინის ადრინდელ ნაწარმოებებში“, 1951 წ.
17. „აკაკი წერეთლის ცხოვრება“ (რუსულად), 1947 წ.
18. „პუშკინი და ქართული კულტურა“, „-“, 1949 წ.
19. ქართული მუშათა რევოლუციური პოეზია, 1901–1907 წლებში.

ჩემი რედაქციითა, შენიშვნებით და წინასიტყვაობით გამოცემულია სხვადასხვა დროს ს. მაგალობლიშვილის მოგონებანი ქართველ მწერლებზე, არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა“, ილია ჭავჭავაძის მოთხრობები (რუსულად), აკაკი წერეთლის მოთხრობები, გალ. ტაბიძის ლექსები და დ. კლდიაშვილის მოთხრობები (რუსულად) და სხვ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

პეტრე ბახტურიძე ჩემი ავტობიოგრაფია

მე, პეტრე ბესარიონის ძე ბახტურიძე, დავიბადე 1900 წლის 7 აგვისტოს ქალ. ქუთაისში, ხელოსნის ოჯახში. მამა ჩემი იყო ტანსაცმლის მკერავი, დედა – მეოჯახე. 1907 წელს სწავლა დავიწყე ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, რომელიც 1919 წელს დავაშტავრე. 1919 წელს შევედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიურ ფაკულტეტზე. 1920 წლიდან ვმასწავლებლობდი ჩოხატაურის რაიონის სოფ. ამაღლებაში.

1922 წლის იანვრიდან 1923 წლის იანვრამდე ვმასწავლებლობდი წითელი არმიის რიგებში.

1923 წლის თებერვალში დავინიშნე მასწავლებლად ქუთაისის აგრონომიულ ტექნიკუმში. 1925 წლის სექტემბრიდან გადაყვანილ ვიქენი მასწავლებლად ქუთაისის XII საშუალო სკოლაში. 1928 წლიდან ვიყავი ლიტერატურულ ჟურნალ „წითელი აფრის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, შემდეგ კი გაზეთ „საბჭოთა მწერალის“ რედაქტორი. ორივე ეს ორგანო ქუთაისში გამოდიოდა.

1931 წლის მარტში დავინიშნე გაზეთ „ლენინის გზით“ (ამჟამად „ინდუსტრიული ქუთაისი“) პასუხისმგებელ მდივნად, სადაც ვმუშაობდი 1943 წლის ივლისამდე, როცა დანიშნულ ვიქენი ქუთაისის კულტურის სახლის დირექტორად.

1944 წლის მარტიდან ვმუშაობ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში, პირველ ხანებში ვიყავი მთარგმნელად, ამჟამად კი ვასრულებ ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგის მოვალეობას.

საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი ვარ 1940 წლიდან.

1928 წლიდან ვმუშაობ ლიტერატურის დარგში. ამ ხნის განმავლობაში ჩემს მიერ დაწერილი და გამოქვეყნებულია წერილები: ა. პუშკინის, ბესიკის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ა. ყაზბეგის, დ. კლდიაშვილის, ვ. მაიაკოვსკის, გ. ტაბიძის, ნ. ოსტროვსკის, ნიზამის, ბ. ბელინსკის, ნ. ნეკრასოვის, ა. ოსტროვსკის და სხვათა შემოქმედების შესახებ და მიმოხილვა „ქუთაისის თეატრი 1917–21 წლებში“. აგრეთვე გარჩეული მაქვს ქუთაისში მომუშავე მწერალთა (დ. თომაშვილი, შ. ჩარკვიანი, ე. ფურცხვანიძე, დ. კვიციანი, ვ. დარასელი, გ. გიასელი და სხვათა) შემოქმედება.

ჩემს მიერ თარგმნილი და გამოქვეყნებულია ა. ჩეხოვის, მ. შოლოხოვის, თ. გლადკოვის, ვ. ვასილევსკაიას, ი. ერენბურგის, ნ. ტიხონოვის მხატვრული პროზის ნიმუშები, აგრეთვე პიესა „დღეები დნებთან“ და საბავშვო ოპერის ლიბრეტო „მგელი და 7 თიკანი“.

სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილია ჩემს მიერ დაწერილი რეცენზიები შექსპირის, ბენ ჯონსონის, მოლიერის, გუცკოვის, სუმბათაშვილის, დ. ერისთავის, მ. გორკის, დ. კლდიაშვილის, ნ. შიუკაშვილის, ვ. შალიკაშვილის, ა. კორნეიჩუკის, აფინოგენოვის, თანამედროვე ქართველ დრამატურგთა – შ. დადიანის, ს. კლდიაშვილის, ს. შანშიაშვილის, პ. კაკაბაძის, ი. ვაკელის, გ. მდივნის, ს. მთვარაძის, გ. ნახუცრიშვილისა და ბ. გამრეკელის, ვ. დარასე-

ლის პიესების დადგმეზე რუსთაველის სახელობის, მარჯანიშვილის სახელობის, ქუთაისის, სოხუმის, ფოთის, ჭიათურის სახელმწიფო თეატრებში, თბილისის მუსიკალური კომედიის და მოზარდ მაცურებელთა თეატრებში.

ზემოაღნიშნული მასალები დაბეჭდილია კრებულებსა და ჟურნალ-გაზეთებში (ჟურნალები: „წითელი აფრა“, „ლიტერატურული ფრონტი“, „საბჭოთა მწერალი“, „მუშა და კოლმეურნე“, „სტალინელი“, „ინდუსტრიული ქუთაისი“, „კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „საბჭოთა მწერალი“, „ლიტერატურული საქართველო“, კრებულები: „ქუთაისის თეატრი“, „სამშობლოს ვიცავთ გმირულად“, „აკაკი“, „სამშობლოსათვის“).

რამდენიმე წლის განმავლობაში ვიყავი მწერალთა კავშირის ქუთაისის ორგანიზაციაში ერთ-ერთ მდივნად და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ქუთაისის განყოფილების მასიური განყოფილების გამგედ.

ამჟამად განვაგრძობ მუშაობას ლიტერატურული კრიტიკისა და მხატვრული პროზის თარგმნის დარგში.

1947 წელს თბილისში, საბლიტგამის გამოცემით გამოქვეყნდა ჩემს მიერ თარგმნილი ა. პ. ჩეხოვის მოთხრობები.

1948 წელს ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა ჩემს მიერ თარგმნილი აფხაზი მწერლის – გიორგი გულიას მოთხრობა „გაზაფხული საკენში“.

პ. ბახტურიძე

იონა ვაკელი – მეგრელიძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ვაკელი – მეგრელიძე იონა ლუკას ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | იონა ვაკელი |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1900 თვე ნოემბერი დღე |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. ვაკე (ოზურგეთის მაზრა) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია, დრამატურგია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1919 |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1934 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | პროლეტ. მწერ. ასოციაცია |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|---------------------------------|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | საშუალო, უმაღლესი დაუმთავრებელი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>მოხსნილია აღრიცხვიდან</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>რარისაბჭოს დეპუტატი საქ. მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედლები „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>თავისუფალი პროფესია – მწერლობა</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ძერჟინსკის 18</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|---|-------------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1921 | 22 | პ/მგ. ინსტრუქტორი | საბჭოთა მუშაკე- ბის პროფკავშირი | თბილისი |
| 1922 | 24 | რედაქტორის მოადგ. | „ნითელარმიელის“ რედაქცია | |
| 1924 | 26 | მდივანი ლიტფურ- ცელი „ჩირალდანი“ | გაზ. კომუნის- ტთან | |
| 1927 | 28 | პ/მგ. მდივანი | „მოპრი“-სა | |
| 1930 | | ავადმყოფობდი | | |
| 1931 | წლიდან | პროპაგანდ. განყ. გამგე | სახელგამი | |
| 1933 | 46 | ვმუშაობდი ლიტერატურული ხაზით, ვწერდი ლექსებსა და პოემებს, აგრეთვე დრამატიულ ნაწარმოებებს | | |
| 1947 | წელს 49-მდე | საქ. მწერალთა თავმჯდომარე | კავშირის დრამსექციის | |
| ამჟამად სრულად გადასული ვარ ლიტერატურულ მუშაობაზე | | | | |
| სწორია: ნ. კლ., 1956 წ. გადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | | | |

ვაკელი – მეგრელიძე იონა ლუკას-ძის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1900 წელს 15 ნოემბერს, სოფელ ვაკეში, შრომის თემი, ყოფ. ოზურგეთის მაზრა, ახლა მახარაძის რაიონი. პირველ დაწყებითი სწავლა ჩემ სოფელში მივიღე, სოფლის ორკლასიან სასწავლებელში, შემდეგ 1914 წელს შვედი ფოთის უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებელში, მაგრამ კურსი არ დამიმთავრებია. მესამე კლასის შემდეგ იძულებული გავხდი, უსახსრობის გამო სწავლისათვის თავი დამენებებია. მამა ადრე გარდამეცვალა, 1911 წელს, ოზურგეთის საპყრობილეში. ის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო გურიის რევოლუციური მოძრაობისა. რეაქციის წლებში – 1906-1907, ჩვენ სოფელში ჩაყენებულმა ეგზეკუციამ, ტოლმაჩიევის რაზმმა სახლ-კარი გადაგვინვა. ასეთი გაპარტახების შემდეგ, ცხადია, აღარ შეეძლო დედაჩემს ჩემი უზრუნველყოფა და იძულებული გავხდი, 1916 წელს ისევ სოფელს დავბრუნებოდი. აქ ვმუშაობდი სოფლის მეურნეობაში და ამავე დროს ვმაცადინებოდი. გზას მივიკვლევდი თვითგანვითარებით. თებერვლის რევოლუციის შემდეგ თბილისში წამოვედი. აქ სხვადასხვა დროს ხან ვმსახურობდი დაწესებულებებში, ხან კიდევ ფიზიკური შრომით მიხდებოდა თავის რჩენა. ასეთ მძიმე პირობებში ვახერხებდი მეცადინეობას პედაგოგებთან. ვემზადებოდი სიმნიფის მონუმობაზე გამოცდების ჩასაბარებლად. 1920 წელს დეკემბერში დავასრულე პროფესორ შალვა ნუცუბიძის მიერ დაარსებული კურსები წარჩინებულად. ლექსების წერა ხუთმეტი წლიდან დავიწყე. ბევრს ვწერდი. პირველი ლექსი დაიბეჭდა 1919 წელს ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებაში“, „მხედარი“ და შემდეგ 1920 წელს „კომუნისტში“.

1921 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ვიყავი მეც. მიმუშავებია სხვადასხვა დაწესებულებებში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე და თან ინტენსიურ შემოქმედებით მუშაობასაც ვწვევი.

ამ ხნის განმავლობაში დაწერილი და გამოქვეყნებული მამქს:

1. ლექსების პირველი წიგნი, 1923 წ.
2. ლექსების მეორე წიგნი, 1927 წ.
3. „მენისქვილე“ (პოემა).
4. „ევროპა“ (პოემა).
5. „არსენა ჯორჯიაშვილი“.
6. „საბჭოთა დღეები“.
7. „ზელიმ ხანი“.
8. „შირაქიანი“.
9. ლექსების მესამე წიგნი, 1939 წ.
10. „აპრაკუნე ჭიმჭიმელი“ (პიესა), კომედია, დაიდგა მარჯანიშვილის სახ. თეატრში.
11. „შამილი“ – ტრალედია პრემირებული, დაიდგა მარჯანიშვილის სახ. თეატრში.
12. „შური“ დრამა, დაიდგა მარჯანიშვილის სახ. თეატრში.
13. „გიორგი სააკაძე“, პრემირებულია, დაიდგა გრიბოედოვის სახ. თეატრში.
14. „თამარ მეფე“, დრამა ხუთ მოქმედებად. ამჟამად ვწერ პიესას თანამედროვე თემაზე მარჯანიშვილის სახ. თეატრისათვის.
15. „რვალი“.
16. „საქმიანი კაცი“.
17. „შური“.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ვასილ სანაკოევი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | სანაკოევი ვასილი მიხეილის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1901 თვე იანვარი დღე 15 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) თბილისი |
| 4. ეროვნება | ოსი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პროზა, დრამატურგია |
| 8. რა ენაზე წერს | ოსურად და ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1936 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1953 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | არხანგელსკის მეტყვევების აკადემია, დამზადების მექანიზატორი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული, ქართული, ოსური |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | 1921 წლიდან 23 წლამდე |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | 1941 წლიდან 1943 წლამდე ვიყავი გოსპიტლის კომისარი |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>პოლიტნაწილი</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრი, პარტიის რაიკომი, ქალაქის აღმასკომის წევრი</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედეგები: „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“, „კავკასიის დაცვისათვის“, „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელი საზ-ბის თავმჯდომარე სტალინირში</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>სტალინის ქ. 69</p> |

„ — “ _____ 1953 წ.

ხელმოწერა _____

| მუშაობა წარსულში | | | | |
|-----------------------|--------|--|--|--|
| (შრომითი საქმიანობა) | | | | |
| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1913 | 15 | დურგლის მონაფე | კერძო სახელოსნო | თბილისი |
| 1915 | 16 | შეგირდი | მექ. ქარხანა | „-“ |
| 1917 | 18 | უმუშევარი | ვახნიანსკისა | „-“ |
| 1917 | 21 | შიკრიკი | რკ. გზის საავად- მყოფო | „-“ |
| 1918 | 23 | დურგალი | სოფ. კევხიანი კახეთი | |
| 1921 | 25 | მსროლელი | წ/არმია | |
| 1923 | 26 | შავი-მუშა | სხვადასხვა სეზონუ- რი ორგანიზაციები | თბილისი |
| 1925 | 30 | დაზგის მუშა | მექანიკური ქარხანა | თბილისი |
| 1926 | 33 | მუშა | ავეჯის ქარხანა | „-“ |
| 1930 | 37 | დირექტორი | სატყეო მეურნეობა | სტალინირი |
| 1933 | 38 | მსმენელი | სამრეწველო აკადე- მია | არხანგელსკი |
| 1937 | 40 | თავმჯდომარის მოადგილე | ს. ოსეთის ცაკისა | სტალინირი |
| 1938 | 43 | დირექტორი | სატყეო კომბინატი | ს. ჯილაბეთი |
| 1941 | 46 | კომისარი | საბჭოთა არმია | |
| 1943 | 48 | დირექტორი | სახ. თეატრისა | სტალინირი |
| 1943 | 48 | „-“ | სატყეო კომბინატი | ს. ჯილაბეთი |
| 1946 | | „-“ | „-“ მეურნეობა | სტალინირი |
| 1948 | წლიდან | გამგეობის თავმჯ- დომარე | პოლიტ. მეც. გამავ- რც. საზოგ. ს. ოსე- თის განყოფილება | |
| | | ვადასტურებ სამდივნოს | გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | |

ვასილ მიხეილის-ძე სანაკოვეის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1901 წლის 15 იანვარს, ქალ. თბილისში, ასანთის ფაბრიკის დარაჯის ოჯახში. მამის სიკვდილის შემდეგ მძიმე ეკონომიურ პირობებში ჩავარდნილი, სამ-ოთხ წელს უპატრონოდ დავეხეტებოდი. შემდეგ მუშაობა დავიწყე სხვადასხვა სახელოსნოებში, ვახნიანსკის მექანიკურ ქარხანაში. 1916 წელს ამ ქარხნის მუშები გაიფიცნენ და გაფიცულებთან ერთად დამითხოვეს მეც. ერთხანს დავდიოდი უმუშევრად, შემდეგ მუშაობა დავიწყე რკინიგზის საავადმყოფოში შიკრიკად, მაგრამ ერთი წლის შემდეგ საავადმყოფოდან გამაძევეს იმის გამო, რომ პირადად გამგეს არ დაუპე შეშა.

1918 წელს წავედი კახეთში სოფ. კევხიანში, სადაც 1921 წლამდე ძმასთან ერთად ვმუშაობდი დაქირავებით. 1921–23 წლებში მოხალისედ ვიყავი არმიაში, დემობილიზაციის შემდეგ, ვინაიდან დიდი უმუშევრობა იყო, იძულებული გახვდი, მემუშავნა შავ მუშად შარაგზის მშენებლობაზე.

1925 წელს დიდი სიძნელით მოვახერხე მუშაობის დაწყება მექანიკურ ქარხანაში, სადაც შევისწავლე ხის მექანიკური დამუშავებაც. შემდეგ გადავედი თბილისის ავეჯის ქარხანაში, 1930 წელს დაწინაურებული ვიქენი სამხრეთ-ოსეთის სატყეო მეურნეობის სისტემაში და გადავედი საცხოვრებლად სტალინირში. 1933 წელს გამგზავნეს არხანგელსკის სატყეო მრეწველობის აკადემიაში, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, 1937 წელს, სკკპ ცეკას გადაწყვეტილებით, გაგზავნილი ვიქენი სამხრეთ ოსეთის ცაკის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის დროებით აღმსრულებლად.

1939 წელს გადაყვანილი ვიქენი ჯალაბეთის სატყეო კომბინატის დირექტორად. 1941 წელს მოხალისეთ წავედი საბჭოთა არმიაში. დემობილიზაციის შემდეგ 1943 წელს დავუბრუნდი ისევ სატყეო კომბინატს. 1948 წელს მუშაობა დავიწყე მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების სამხრეთ ოსეთის განყოფილებაში.

ლიტერატურული მუშაობა დავიწყე ადრე, სისტემატურად კი ლიტერატურულ მოღვაწეობას ვენევი 1936 წლიდან.

1928 წელს შევედი კომპარტიის რიგებში. არა ერთხელ ვყოფილვარ არჩეული პარტიულ ორგანოებში.

1928 წელს არჩეული ვიქენი ქალ. თბილისის საბჭოს დეპუტატად. ამჟამად ვარ სტალინირის ქალაქის საბჭოს დეპუტატი და ქალაქის აღმასკომის წევრი.

ჩემი ნაწარმოებები:

1. „განთიადის სხივები“, დრამა, 1949 წ.
2. „მწყემსები“, პროზა, 1950 წ.
3. „ბრძოლა“, პროზა, 1949 წ.
4. „ოჯახი“, პროზა, 1950 წ.
5. „ოდესლაც განწირულნი“, დრამა, 1941 წ.
6. „მწყემსის სიმღერა“, პოემა, 1951 წ.
7. „ვარდო“, დრამა, 1953 წ.
9. „თხზულებათა კრებული“, 1951 წ.
10. „კრებული“, პოეზია, 1953 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვდასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

არნო ონელი – ალექსანდრე ბურდილაძე

ავტობიოგრაფია

რიონი და ჯეჯორი... ამ ორი მდინარის შესაყართან მდებარეობდა ჩემი სოფელი. მდებარეობდა? მაშ, იყო და აღარ არის? – იკითხავთ, ალბათ. დიახ, იყო და აღარ არ არის! ახლა ის ქალაქის ერთ-ერთი უბანია.

წინათ, როცა ის სოფელი იყო, სახელად მოედანი ერქვა. ალბათ იმიტომ, რომ სოფლის შუაგულში სამკუთხა მოედანი იყო, იქით-აქეთ ნაპირებზე ჩამწკრივებული სახლებით. ეს მოედანი ძაბრისებურად ვიწრო ყელით თავდებოდა. სწორედ მის ბოლოში იდგა ჩვენი სახლი: დაბალი, ყავრით დახურული, პატარააივნიანი. წინ კალო-საბძელი, მის გვერდით ბოსტანი, სახლს უკან მწვანე ბაღი ალუბლებითა და ნაირ ხეხილით დამშვენებული. სახლს უკან ყანები იყო, ზოგი დიდი და ზოგი პატარა. თვითეულ ნაკვეთს თავისი პატრონი ჰყავდა, თავისი მფლობელი, წლითინლობით თვალისჩინივით რომ უვლიდა და უფრთხილდებოდა. მდინარის გაღმა-გამოღმა, მთის ფერდობებს ვენახები შეჰყვნოდა – ესენიც ზოგი დიდი და ზოგი პატარა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ზოგი შეძლებული იყო, ზოგიც ღარიბი და გაჭირვებული.

ყველაზე პატარა ნაკვეთები – ყანა იყო თუ ვენახი – ჩვენ გვქონდა, მაგრამ, როგორც ბოლოს მივხვდი, ღარიბი და პატიოსანი მშრომელი კაცის ლუკმაზე გემრიელი არაფერია ქვეყანაზე.

მამაჩემი ზედმინევნით გულმოდგინე და გამრჯელი გლეხი კაცი იყო. გამთენიიდან დაღამებამდე ან ყანაში, ან ვენახში მუშაობდა. ერთი უღელი ხარი ნიადაგ ჰყავდა: ფაქიზად უვლიდა და ეფერებოდა მათ, უერთგულეს მეგობრებად მიაჩნდა ისინი. სახნავ-სათესი მცირე ჰქონდა, რის გამოც იძულებული იყო, სხვისი მიწა დაემუშაებინა. ვენახიც მცირე ჰქონდა, მაგრამ ყოველ ვაზს დიდის მზრუნველობით ელოლიავებოდა. შემოდგომიდან ზაფხულამდე უღვევლად ჰქონდა მშვენიერი თავანკარა ღვინო, რითაც ნათესავ-მოკეთეებს გულგაშლილად უმასპინძლდებოდა.

დედაჩემი ლიხეთელი ბეშიძის ქალი იყო, მთელ სოფელში განთქმული თავისი გულკეთილობით და სტუმართმოყვარეობით. მისი გამრჯე ხელი შინ და გარეთ ტრიალებდა; რას არ ნახავდით მის ბოსტანში, მის კარ-მიდამოში. არასოდეს სხვასთან არ მივიდოდა რისიმეს სასესხებლად. სამაგიეროდ დიდად უყვარდა, სხვას რომ ხელს გაუმართავდა. „შენი ჭირიმეს“ და „შენ გენაცვალეს“ მეტი არა ესმოდა რა მეზობელ-ნათესავებს.

ოთხი შვილი ვყავდით: ორი ვაჟი და ორი ქალი. უფროსი ძმა – გრამიტონი ონში მსახურობდა. დარბაისელი და თავაზიანი, ახოვანი და ტკბილმოუბარი ვაჟკაცი იყო – ყველას შემწე და ყველასადმი გულისხმიერი. უამრავი მეგობარი ჰყავდა სოფლად თუ ქალაქად. მე ნაბოლარა ვიყავი. ასეთი იყო, მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენი ოჯახის შემადგენლობა.

აქ დავიბადე ამ საუკუნის დამდეგს – 1901 წლის 1 მარტს.

* * *

დროთა განმავლობაში ადამიანს ბევრი რამ ავიწყდება. მაგრამ ყრმობის-დროინდელი ამბებიდან ზოგიერთი ცალკე შემთხვევა რამდენ ხანსაც უნდა

იცოცხლო, არ დაგავინყდება. მეც ზოგიერთი რამ მეხსიერებიდან არ ამომშლია დღესაც, და ალბათ არც ხვალ, არც ზეგ და არც მთელი სიცოცხლის მანძილზე.

პატარაობისას ერთი ცინდალი მყავდა, მეტად ლამაზი და სანდომიანი, მოხდა ისე, რომ ეს საყვარელი არსება თორნეში ჩავაგდე. თორნე გახურებული ყოფილიყო: ბიცოლაჩემს ის-ის იყო პურები ამოეყარა და სახურავის გადაფარება დავინწყნოდა. ჩემი საბრალო ცინდალი სულმთლად გატრუსული ამოიყვანეს თორნიდან. ეს იყო ჩემი პირველი და უკანასკნელი ცოდვა. ბევრი ვიტირე თურმე, მაგრამ მკვდარს ვილა გააცოცხლებდა. ეს სამწუხარო გაკვეთილი ჩემს სიცოცხლეში გულიდან ვერ მომიცილებია. ამის შემდეგ არასოდეს ქათამიც არ დამიკლავს, ჩიტის ბუდე არ მომიშლია, ჭიანჭველა რომ ჭიანჭველაა, მისთვის ფეხიც არ დამიდგამს. მუდამ ვცდილობდი იმას, რომ კეთილმოქმედებით გამომესყიდნა ეს უნებლიე დანაშაული. შემინდოს უფალმა!

ავად გავხდი. დიდი სიცხე მქონდა თურმე. დღეს ასეთი ამბავი სულაც არავის უკვირს: უქეიმოდაც არსებობს სამკურნალო საშუალებები, მაშინ კი ავადმყოფი „ღვთის ანაბანად“ იყო. ცნობიერება დამკარგვოდა და საამქვეყნო პირი აღარ მიჩანდა. ფეხზე დადგა თურმე მთელი ჩვენი უბანი. ასე გრძელდებოდა რამდენიმე დღე.

ბოლოს, ერთ ნაშუაღამევს როგორღაც აზრზე მოვედი და ლოგინიდან გადმოვიხედე. გადმოვიხედე და... ასეთ სურათს ვხედავ: დედაჩემი მუხლის თავებზე დაჩოქილა ხატის წინ; ორივე ხელები მაღლა აღუპყვრია, ათივე თითებზე სანთლები აუნთია და ლოცულობს, თანაც ლაპა-ღუპით ცრემლი ჩამოსდის ღანწვებზე. ეს სურათი ახლაც თვალწინ მიდგას და ნიადაგ მაშფოთებს. თვალეები, დედაჩემის თვალეები! რა სასოებით ევედრებოდა მაცხოვარს! ცრემლები? ახლაც ნაპერწკლებად ცვივიან ჩემს სულში.

გადავრჩი.

– ვენაცვალე იმის დიდებას! არ გამწირა! – ხშირად იმეორებდა ხოლმე დედაჩემი ამ სიტყვებს.

...ერთხელ საიდანღაც შინ დავბრუნდი. დედაჩემი სახლს უკან დამჯდარიყო და მწარედ, ხმამაღლა მოსთქვამდა. შეშინებული უმაღლე კალთაში ჩავუვარდი.

– რატომ ტირი, დედიკო, რა მოგივიდა? – შევეკითხე.

დედაჩემმა თავსაფრით ცრემლიანი თვალეები შეიმშრალა, გულში ჩამიკრა და მითხრა:

– დედ-მამა გამახსენდა, შვილო, და იმაზე ვტიროდი!

მისი მშობლები ათიოდე წლის წინათ გარდაცვლილიყვნენ.

...სექტემბერი ახლოვდებოდა. დგებოდა სკოლაში წასვლის დრო. აქამდე თუ ზამთრობით ქალამანი მეცვა, ხოლო დანარჩენ დროს ფეხშიშველა დავდიოდი, ახლა უკვე ჩუსტი უნდა ჩამეცვა. ამიღეს ფეხის ზომა. როგორც ყოველთვის, ასეთი რამეების მოთავე და შემსრულებელი ჩემი უფროსი ძმა იყო. დათა ხარაზს აკერინებდა ხოლმე.

– ხუთშაბათისთვის იქნება მზად. – თქვა გრამიტონმა.

ხუთშაბათი ყველაზე სანუკვარ დღედ იქცა ჩემთვის. ახალი ჩუსტები

მექნებოდა. ორშაბათიდან კი მოსწავლე ვიქნებოდი – ვინახულებდი სკოლას, დავემშვიდობებოდი უზრუნველ ცხოვრებას.

ხუთშაბათიც გათენდა, როგორც გულის ფანცქალით ველოდი საღამოს – ჩემი ძმა ჩუსტებს ჩამომიტანდა, ოთხშაბათიან ჩუსტებს!

დაღამდა. გრამიტონი არ ჩანდა.

– დანექი, შვილო, დაიძინე. როცა ჩამოვა და ჩამოიტანს, ბალიშქვეშ ამოგიდებ. დილას რომ გაიღვიძებ...

დავწექი და დავიძინე.

გამთენიისას თვალი ვჭყიტე და ხელი ბალიშქვეშ შევყავი. ბალიშქვეშ შევყავი... მაგრამ ხელში არა მომხვდა რა. არ მიტირნია, მაგრამ გული კი დამწყდა. ბუზღუნი დავიწყე. დედაჩემს არაფერი გამოეპარებოდა. მიხვდა ჩემს გულისტკივილს.

– ქვე რა ქენი, ბეჩა, ამ ბიჭუნას ჩუსტები არ ჩამოუტანე? – გასძახა გრამიტნს დედაჩემმა მეორე ოთახში.

– კალაპოტში აქვს დათას. სანამ კარგად არ გაშრება, ვერ გაგატანო. დღეს აუცილებლად ჩამოვუტან. არხეინად იყოს.

დავმშვიდდი. ძილი შევიბრუნე და სიზმარში ჩემს სანატრელ ჩუსტებს ვეფერებოდი.

პირველი სექტემბრის დილა გათენდა. ახალ ჩუსტებსა და არცთუ მთლად ახალ შარვალ-ხალათში გამოწყობილი, ჩანთით ხელში გრამიტონმა ორკლასიან სასწავლებელში მის ზედამხედველ ემელიანე თუთბერიძესთან წარმადგინა.

ასე დაიწყო ჩემი მეორე – ახალი ცხოვრება.

დაიწყო ჩემი და ნიგნის ურთიერთსიყვარული.

* * *

ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გადავედი ახლად გახსნილ საქალაქო სასწავლებელში. დავამთავრე 1918 წელს. ქუთაისის ორთვიანი პედაგოგიური კურსების გავლის შემდეგ მივიღე სახალხო მასწავლებლის წოდება და მასწავლებლობა დავიწყე სოფ. აბარში (ახლანდელი ამბროლაურის რაიონი), შემდგომ კი ჩემი ინიციატივით გახსნილ ლიხეთის დაწყებით სკოლაში (ეს სოფელიც იქვეა, აბარის მახლობლად), სადაც დავყავი 1921 წლამდე. ამ წლის დეკემბერში გადმოვედი თბილისში და ვმასწავლებლობდი სოფელ დილოში. აქ ჩემი ინიციატივით აშენდა კლუბი, სადაც სისტემატურად იმართებოდა წარმოდგენები და ლიტერატურული საღამოები. ამავე დროს ვსწავლობდი თბილისში, შ. ნუცუბიძის კურსებზე, სადაც მივიღე საშუალო განათლება.

1924 წლიდან 1926 წლამდე ვმუშაობდი საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის ორგანო – ჟურნალ „ხელოვნების“ რედაქციაში ჯერ ლიტმუშაკად, მერე მის პასუხისმგებელ მდივნად.

პირველი ჩემი ლექსი დაიბეჭდა 1923 წელს „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“, ა. ნაქერალელის ფსევდონიმით. ამის შემდეგ ჩემი ახლანდელი ფსევდონიმით ვიბეჭდებოდი და ვიბეჭდები ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთში. მრავალი წლის განმავლობაში ვმუშაობდი რედაქციებსა და გამომცემლობებში; მთარგმნელად ვმუშაობდი პარტგამომცემლობაში, საქართველოს ალკკ ცენტრალურ

კომიტეტში, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტში. ამჟამად ვარ პენსიაზე და თან განვაგრძობ ლიტერატურულ მოღვაწეობას.

ვარ ავტორი შემდეგი წიგნებისა: „მთები“ (1927), ამ წიგნზე „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაიბეჭდა ალკა სულავას რეცენზია; „ნოდარის ოცნება“, „ფრიადოსნები“, „ვის უმღერს ჩიტი-ჩიორა“, „გზა, რომელიც ბრწყინავს მარად“, „გზა დიდი და გზა პატარა“, „ჩიორას სიმღერა“, „მშვიდობა გვინდა“, „ასე ვმღეროდი“, „მოდის გია თუხარელი“, „უბედური მელია“, „დილის ქება“, „ცრემლი და სიხარული“, „გელა მინდელი“ (რუსულად), „საბავშვო რკინიგზა“; თარგმანები: „ვინ მინდა ვიყო“ – ვ. მაიაკოვსკისა, ფრ. პილარჟი „მამიდა კაროლინას კუნძული“ და სხვ. ამ წიგნებსა და ჩემს შემოქმედებაზე დაბეჭდილი აქვთ რეცენზიები და სტატიები: ვლ. ჯიბუტს, ა. სანადირაძეს, ს. არველაძეს, ა. თოფურიას, გ. მებუკეს და სხვ.; ჟურნალი „მნათობი“, გაზეთები: „ლიტერატურული გაზეთი“, „თბილისი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „სახალხო განათლება“, „ვეჩერნი თბილისი“, „ქუთაისი“ და სხვ.

1961 წელს, ოქტომბერში, მწერალთა კავშირის კლუბში გაიმართა ჩემი დაბადების 60 წლის და ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლის საიუბილეო საღამო.

არნო ონელი

1970. 19. XI

თბილისი

ნიკოლოზ ჩაჩავა

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ჩაჩავა ნიკოლოზ ვლადიმერის ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1901 თვე ივნისის დღე 26 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ქუთაისი |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | აზნაური |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1922 წლიდან |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1943 |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | ქართველ ფუტურისტთა „ლეფელელების“ ჯგუფს |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი დაუმთავრებელი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული, ქართული, ვკითხულობ გერმანულსა და ფრანგულს |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>რიგითი 133</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>მწერლობა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედეები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>რედაქციის პ/მგ. მუშაკი</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>არარატის 12, 3-66-13</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უნწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|---|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1921 | 22 | საქმეთა მმარ- თველი | „ნარკომტრუდისა“ | თბილისი |
| 1922 | 25 | გამგის მოადგ. | დამზღვევე სალა- როსი | „—“ |
| 1925 | 26 | ლიტ. ნაწ. გამგე | მუსიკალური სატი- რის თეატრისა | „—“ |
| 1926 | 28 | ინსტრუქტორი ახალგაზრდა მუშაობის სექტ. | მუშათა ახალი კლუბი | „—“ |
| 1928 | 31 | ინსტრ. მასიური მუშაობისა | მუშათა კოოპერა- ტივი | „—“ |
| 1931 | 34 | პოლიტ. განათლ- ების განყ. გამგე | პროფკავშირთა საბჭო კულტგან- ყოფილება | „—“ |
| 1934 | 35 | პ/მგ. მდივანი | „ლიტ. გაზეთის“ რედაქცია | „—“ |
| 1935 | „—“ | პ/მგ. მდივანი | ჟურნ. „ჩვენი თაობა“ | „—“ |
| 1935 | 38 | პ/მგ. მდივანი | გაზ. „ლიტერატურუ- ლი საქართველო“ | „—“ |
| 1943 | 44 | რედაქტორი | თბილისის კინოსტუ- დია, კინო-ქრონიკა | „—“ |
| 1944 | 51 | დირექტორი | მწერალთა კავში- რის კლუბისა | „—“ |
| 1951 | დღემდე | პოლიტ. საზ. განყ. გამგე | ჟურნ. „დროშა“-ში | |

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე ჩაჩავას ავტობიოგრაფია

დავიბადე 1901 წელს, ქალ. ქუთაისში, ივნისის 26-ს.

1921 წელს დავასრულე ქუთაისის მეორე ვაჟთა გიმნაზია. ვსწავლობდი სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურულ ფაკულტეტზე. ოჯახური პირობების გამო სწავლის გაგრძელება ვერ შევძელი და მეორე კურსიდან გამოვედი.

ლიტერატურული მუშაობა დავიწყე 1922 წლიდან, ვითვლებოდი ქართველი ფუტურისტების ჯგუფის წევრად (ვიყავი ამ მიმდინარეობის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი). 1932 წელს ვცემდი ჟურნალ H_2SO_4 . ვიყავ ამ ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი. შემდეგ ჩემი რედაქტორობით გამოვიდა ჟურნ. „ლიტერატურა და სხვა“. 1925 წელს ვცემდი გაზეთ „დროულს“ – ჯერ რედაქტორი ვიყავი ამ გაზეთისა, შემდეგ კი სარედაქციო კოლეგიის წევრი.

1927-1928 წლებში ვცემდი ჟურნალ „მემარცხენეობა“-ს (ქართული ლიტერატურის მემარცხენე ფრონტის ორგანოს). ვიყავი ამ ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

გარდა ამ პერიოდული გამოცემებისა ჩემი ლექსები და სტატიები ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე იბეჭდებოდა ჟურნალებსა და გაზეთებში: „ქართული მწერლობა“, „საბჭოთა მწერლობა“, „ხელოვნება“, „მნათობი“ და სხვა.

ამასთან ერთად ვმუშაობდი თბილისის თეატრებში, როგორც ავტორი და როგორც ლიტმუშაკი. ჩემი პიესები იდგმებოდა მუშათა თეატრში, მუსიკალურ სატირის თეატრში და მრავალ რაიონულ თეატრებში.

1928–1936 წ.წ. სისტემატურად ვთარგმნიდი პიესებს (შვარციანის „ვისი ბავშვია“, კნორეს „ყაზარმაში“, დემენტიევის „გამარჯვება“, სიდნეი კინკსლეს „თეთრხალათიანები“ და სხვ., რომლებიც იდგმებოდა სანკულტურის თეატრსა და მრავალ რაიონულ თეატრში.

1921 წლიდან დღემდე სისტემატურად ვმსახურობ საბჭოთა და კულტ. დანესებულებებში.

1934 წლიდან ვმუშაობ მწერალთა კავშირში და ამასთან არსებულ ლიტერატურულ ორგანიზაციებში.

ჩემი ლექსები სისტემატურად იბეჭდებოდა და იბეჭდება „ლიტერატურულ საქართველოში“, „ლიტერატურასა და ხელოვნებაში“.

1942 წლიდან აქტიურად ვმუშაობ საბავშვო მწერლობაში. ვიბეჭდები ჟურნალ „დილაში“, ჟურნალ „პიონერში“, გაზეთ „ნორჩ ლენინელში“.

საბლიტგამმა გამოსცა ჩემი საბავშვო წიგნები: „რატომ ვერ აგებს ჩხიკვი კარგ ბუდეს“, „მტირალა ილია“, „ყველა მოსწავლემ უნდა იცოდეს“. იბეჭდება და გამოვა ჩემი საბავშვო ლექსების წიგნი.

გამოცემულია ჩემს მიერ თარგმნილი საბავშვო წიგნები: თ. გერსამიას „მოთხრობები პირველ ჩეკისტზე“, არ. გაიდარის „თემური და მისი რაზმი“.

დამზადებული მაქვს გამოსაცემად ლირიული ლექსების წიგნი „ჩემი ლექსების წიგნი პატარა“.

ვენევი საზოგადოებრივ მუშაობასაც. ვარ პოლიგრ. მრეწველობის და

ბექვდითი სიტყვით მუშაკთა რესპ. კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, მწერალთა კავშირის ადგილკომის თავმჯდომარე, 24-ე ვაჟთა სკოლის მშობელთა კომიტეტის წევრი.

საკ. კ.პ.(ბ) წევრი ვარ 1945 წლიდან.

დაჯილდოვებული ვარ მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის“ და „თავდადებული შრომისათვის სამამულო ომის პერიოდში“.

1948 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ნ. თოფჩიშვილი.

ჩაჩავას ნაწარმოებთა სია:

1. „გოგია ხრისელი“ (საბავშვო პიესა 3 მოქმედებად), 1940.
2. მოთხრობები „პირველ ჩეკისტზე“ (თარგმანი), 1941 წ.
3. „თემური და მისი რაზმი“ (თარგმანი), 1943 წ.
4. „თეთრხალათიანები“, „ვისია ბავშვი“, პიესა.
5. პიესა „ყაზარმა“ შვარკინის.
6. საბავშვო პოემა „მტირალა ილო“, 1941 წ.
7. „რატომ ვერ აგებს ჩხიკვი კარგ ბუდეს“, 1947 წ.
8. ლექსთა კრებული, 1948 წ.
9. „გოგიას წიგნი“, ლექსთა კრებული, 1949
10. „სიცოცხლეს ვუმღერ“, ლექსთა კრებული, 1950 წ.
11. „ზანგი გოგო“ და მრავალი ლექსები.
12. „სხვისი ბავშვი“.
13. „კრონე“.
14. „თეთრხალათიანი ადამიანები“.

სწორია: ნ. კ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ავტობიოგრაფია

დავიბადე 1901 წელს, 26 ივნისს, ქ. ქუთაისში. მამა, ვლადიმერ ჩაჩავა, სამთამადნო ინჟინერი იყო. დედა, გოგუცა თავდგირიძე, შინგანსწავლული ქალი, ქართული ლიტერატურის კარგი მცოდნე და მისი მოყვარული იყო. ვსწავლობდი ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, რომელიც 1921 წელს წარჩინებით დავასრულე და ამავე წელს გადმოვედი საცხოვრებლად ქ. თბილისში. ვსწავლობდი სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. ოჯახური პირობების გამო იძულებული ვიყავი მესამე კურსიდან თავი დამენებებია უნივერსიტეტისათვის.

მხატვრული ლიტერატურისადმი სიყვარულს ბავშვობიდანვე ვიჩენდი. ჯერ კიდევ მეორე კლასში ვიყავი, როცა დავაარსე ხელთნაწერი ჟურნალი „წინსვლის ემბლემა“, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სიმონ ჩიქოვანი, ბესარიონ ჟღენტი, აკაკი ბელიაშვილი, დავით გაჩეჩილაძე. სიმონ ჩიქოვანი და დავით გაჩეჩილაძე ჩემს ოჯახში ცხოვრობდნენ. ჩვენ ბავშვობიდანვე გატაცებით ვკითხულობდით მხატვრულ ლიტერატურას, ვკამათობდით ლიტერატურის სხვა და სხვა საკითხებზე. ამ კამათში მონაწილეობდნენ ბესარიონ ჟღენტიცა და აკაკი ბელიაშვილიც, რომლებიც ჩემთან სისტემატურად დადიოდნენ ხოლმე. ვწერდით ლექსებსა და მოთხრობებს, ერთმანეთს ვუკითხავდით და ვარჩევდით. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ ეს ხელთნაწერი ჟურნალი ბექდვით ჟურნალად გადავაქციეთ. მასში მე და სიმონ ჩიქოვანი გამოვდიოდით ფსევდონიმებით – ჩემი ფსევდონიმი იყო ნარჩინაძე, სიმონ ჩიქოვანისა კი – სევდიან-მხიარულიძე. უფრო მოგვიანებით დეკადენტური ლიტერატურის ზეგავლენით გამოვეცით ახალი ჟურნალი „ეარის ინანთი“.

ჩვენი ლიტერატურული ჯგუფი მართავდა ლიტერატურულ დილებს და საღამოებს სკოლებსა და სკოლის გარეშე. აწყობდა ლიტერატურულ დისპუტებს, ვკითხულობდით სკოლაში საჯარო მოხსენებებს ლიტერატურის სხვა და სხვა საკითხებზე ან ცალკეულ მწერლებზე. ვაწყობდით ლიტერატურულ გასამართლებებსაც.

ჩამოვაცალიბეთ გამომცემლობაც, რომელსაც დავარქვით „აკსიმკოლი“ (აკაკი, სიმონი და კოლია), გამოვეცით კიტა აბაშიძის ვრცელი წერილი წიგნად „ბრუნეტიერის ევოლუციური მეთოდის შესახებ“.

თბილისში ეს ლიტერატურული დაჯგუფება არ დაშლილა. ხშირად ვიკრიბებოდით ჩემს ოჯახში. 1922 წელს ჩამოვაცალიბეთ ფუტურისტების ჯგუფი, რომლის პირველი მანიფესტი შედგენილია ჩემი და აკაკი ბელიაშვილის მიერ. ვიყავი ამ ლიტერატურული სკოლის ჟურნალების „H₂SO₄“ და „მემარცხენეობა“ სარედაქციო კოლეგიის წევრი და ჩემი რედაქტორობით გამოდიოდა გაზეთი „დროული“ და ჟურნალი „ლიტერატურა და სხვა“.

ჩემი ლექსები და სტატიები ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ პერიოდულ პრესაში, ხან ჩემი გვარით, ხან ფსევდონიმებით.

1925–28 წლებში ქართული ესტრადა და მუსიკალური სატირის თეატრი იკვებებოდა ჩემი რეპერტუარით. ამ ხანებში თბილისის მუშათა თეატრმა დადგა „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, რომელიც ჩემ მიერ იყო შევსებული ინტერმედიებითა და დამატებითი სცენებით.

1926 წელს გამოვეცი ჩემი პოემა „25 ოქტომბერი – აგიტპრონიკა“.

1948 წელს გამოვიდა ჩემი ლირიკული ლექსების წიგნი „სიცოცხლეს ვუმღერ“. ამის შემდეგ სისტემატურად გამოდის ჩემი ლექსების წიგნები: 1958 წ. – „სადაც ვმოხილვარ“; 1961 წ. – „ცისა და მინის“; 1969 წ. – „რაც განმიცდია“; 1964 წ. – „ამ ქვეყანაზე“; 1967 წ. – „საიუბილეო-ქართულ საბჭოთა პოეზიის ბიბლიოთეკაში „ლექსები“; 1969 წ. – „შენდამი, შენთვის, ადამიანო“.

გამომცემლობა „ზარია ვასტოკამ“ 1960 წელს გამოსცა რუსულ ენაზე თარგმნილი ჩემი ლექსების წიგნი „Рождение песни“. ამის შემდეგ, როგორც

ადგილობრივ რუსულ პერიოდიკაში, ისე რუსეთისა და მოძმე რესპუბლიკების ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება ჩემი ლექსების თარგმანები.

1968 წელს გამოიც. „მერანმა“ გამოსცა რუსულად თარგმნილი ჩემი ლექსების მეორე წიგნი „30B“.

სისტემატურად იბეჭდება ჩემ მიერ თარგმნილი რუსი და მოძმე რესპუბლიკების პოეტების ლექსების თარგმანები.

პერიოდულ პრესაში ხშირად იბეჭდება ჩემი სტატიები ლიტერატურისა თუ ხელოვნების სხვადასხვა საკითხებზე.

ჩემს მიერ თარგმნილია და სხვა და სხვა დროს თბილისისა და რაიონულ თეატრებსა და თვითმოქმედ თეატრალური კოლექტივების მიერ იდგმებოდა: შვარკინის „სხვისი ბავშვი“, კნორეს „ყაზარმა“ და სიდნეი კინგსლის „თეთრხალათიანები“ (ეს უკანასკნელი ვთარგმნე დავით გაჩეჩილაძესთან ერთად).

ინტენსიურად ვმუშაობ საბავშვო მწერლობაშიც. 1940 წელს „საბლიტგამმა“ გამოსცა ჩემი საბავშვო პიესა „გოგია ხრისელი“ (3 მოქმ.).

1941 წლიდან სისტემატურად ვმონაწილეობ საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში და გამოდის ჩემი საბავშვო ლექსების წიგნები: 1. პოემა „მტირალა ილა“ (1941 წ.), 2. პოემა „რატომ ვერ აგებს ჩხიკვი კარგ ბუდეს“ (1947 წ.), 3. ლექსების კრებული „გოგიას წიგნი“ (1949 წ.), 4. „ყველა მოსწავლემ უნდა იცოდეს“ (1950 წ.), 5. ლექსების კრებული „ზანგი გოგონა“ (1952 წ.), 6. ლექსების კრებული „ციალას მეზობლები“ (1953 წ.), 7. „საბავშვო ლექსების კრებული“ (1955 წ.), 8. ზღაპრები და ლექსები „იყო ერთი ბეკეკა“ (1959 წ.), 9. საბავშვო ლექსები და პოემები „ორი ძმა და მურია“ (1961 წ.), 10. „ვითამაშოთ ერთად“ (ლექსები და პოემები, 1966 წ.).

1959 წელს მოსკოვში გამოვიდა ჩემი საბავშვო ლექსების წიგნი. 1969 წ. უკრაინაში ცალკე წიგნათ გამოიცა ჩემი საბავშვო მოთხრობა „ოთარის დედა“.

ჩემს მიერ თარგმნილია და ცალკე წიგნებადაა გამოცემული: არკადი გაიდარის „თემური და მისი რაზმი“, იური გერმანის „მოთხრობები პირველ ჩეკისტზე“ და სოფიო ვინოგრადსკაიას „ნაპერწკალი“ (მოთხრობები ლენინზე).

ჩემი რედაქტორობით გამოცემულია მრავალი საბავშვო წიგნი.

სამსახურებრივი ასპარეზი:

ლიტერატურულ მოღვაწეობასთან ერთად, 1921 წლიდან 1961 წლამდე, სისტემატურად ვმუშაობდი სხვადასხვა დანესებულებაში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე:

1921 წლიდან 1925 წლამდე – შრომის სახალხო კომისარიატსა და სოციალური დაზღვევის სალაროში.

1925-26 წ. – მუსიკალური სატირის თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგედ.

1928-31 წ. – მუშკოოპის კულტგანყოფილების გამგის მოადგილედ.

1932-33 წ. – პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში პოლიტგანათლების სექტორის გამგედ.

1934 წლიდან კი სისტემატურად ვმუშაობდი ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში: 1934-35 წ. „ლიტერატურული გაზეთის“ პ/მ. მდივნათ; 1935 წ. ჟურ-

ნალ „ჩვენი თაობის“ პ/მ. მდივანთ; 1936–43 წ. „ლიტერატურული საქართველოს“ პ/მ. მდივანად.

ამ წლებში შეთავსებით ვმუშაობდი ჯერ ფილარმონიის სამხატვრო კოლეჯის წევრად და ლიტერატურული ნაწილის გამგედ, შემდეგ კი კინოსტუდიის ქრონიკალური ფილმების სექტორის რედაქტორად.

1951 წლიდან 1961 წლამდე ვმუშაობდი ჟურნალ „დროშას“ რედაქციაში ჯერ საზოგადოებრივ-პოლიტიკური განყოფილების გამგედ, შემდეგ კი პ/მ. მდივანად.

საზოგადოებრივი ასპარეზი:

საქართველოს მწერალთა I ყრილობაზე არჩეული ვიყავ ხელოვნების კომიტეტში და წლების მანძილზე ვიყავი მისი პრეზიდიუმის წევრი.

მრავალი წლების განმავლობაში ვითვლებოდი მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრად.

1933 წელს ვიყავი კულტლაშქრობის შტაბის თავმჯდომარის მოადგილე. საქართველოს ცაკის დადგენილებით, ლაშქრობის შედეგების შეჯამების შემდეგ მე დაჯილდოებული ვიყავი სიგელით და მომენიჭა საპატიო კულტარმიელის წოდება.

წლების მანძილზე ვიყავი პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაკთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი.

1955–67 წ. ვიყავი საბავშვო ლიტერატურის სექციის თავმჯდომარის მოადგილე. 1967 წლიდან კი ვითვლები ამ სექციის თავმჯდომარედ. წლების მანძილზე ვარ ლიტფონდის გამგეობის წევრი.

1962 წლიდან ვარ გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

1967 წლიდან ვარ განათლების სამინისტროსთან არსებული მუდმივ მომქმედი „დედაენის“ კომისიის წევრი.

1967 წლიდან ვითვლები გამომცემლობა „ნაკადულის“ საგამომცემლო საბჭოს წევრად.

ვარ ჟურნალის „საშუალო სკოლა და სკოლამდელი აღზრდა“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

1969 წლიდან ვითვლები მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრად.

1968 წლიდან ვარ ნახატი ფილმების სამხატვრო საბჭოს წევრი.

გარდა ამისა, სისტემატურად გამოვდივარ რადიო და ტელეგადაცემებში ლიტერატურის სხვა და სხვა საკითხებზე.

გამოვდივარ მოხსენებებით ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებზე და სისტემატურად ვმონაწილეობ ლიტერატურულ დისკუსიებში. სისტემატურად ვეხმარები საბავშვო წიგნის სახლს ყოველდღიურ მუშაობაში. ვარ სკკპ წევრი 1945 წლიდან.

ნ. ჩაჩავა
1969 წელი, მაისი
თბილისი

მიხეილ ლაკერბაი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ლაკერბაი მიხეილ ალექსანდრეს-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1901 თვე დეკემბერი დღე 19 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. მერხეული (გულირიპშის რაიონი) |
| 4. ეროვნება | აფხაზი |
| 5. სოციალური წარმოშობა | მამა იყო აზნაური, ხოლო დედა გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | დრამატურგია |
| 8. რა ენაზე წერს | აფხაზურ, რუსულ ენაზე |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1921 |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1938 |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არცერთს |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ვიცი თურქული ენა; ვკითხულობ და ვწერ რუსულ, ქართულ და აფხაზურ ენაზე |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | 1941 წელს ვიყავი სევასტოპოლში 388 მსროლელ დივიზიის სამხედრო ტრიბუნალის უფრ. მდივანი |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | – |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | 1942 წელს ჩავარდი ტყვედ, ხოლო ერთი თვის შემდეგ გამოვიქეცი და დავუბრუნდი რკკა-ს რიგებს |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | 1942 წელს ვიყავი დნეპროპეტროვსკის ოლქში აგვისტო-სექტემბრის თვეებში |

| | |
|---|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>ახლა ვარ არასამხედრო ვალდებულებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>მიმუშავენია ადგილკომის ხაზით, ვატარებდი მკითხველთა კონფერენციებს და სხვ.</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>დაპატიმრებული ვიყავი ბერიას საწინააღმდეგო ლაპარაკის გამო, გათავისუფლებული ვიქენი მალე და მომეხსნა ბრალდებაც</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>არაფერი</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>აფხაზეთის თეატრი – ხელშეკრულებით</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>წერეთლის ქ. 15</p> |

„ ——— “ ————— 1955 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1926 | 31 | ადვოკატი | დამცველთა კოლეგია | თბილისი |
| 1938 | 47 | მწერალი, დრა- მატურგი | საქართველოს სხვადასხვა ორგანიზაციებში | |
| | | 1955 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

მიხეილ ალექსანდრეს-ძე ლაკერბაის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1901 წლის 19 დეკემბერს, სოფელ მერხეულში (გულირიპშის რაიონი). ვსწავლობდი და დავამთავრე სამრევლო-საეკლესიო სკოლა, შემდეგ ვსწავლობდი სუხუმის მთიელთა სკოლაში და რეალურ სასწავლებელში, რომელიც დავამთავრე 1920 წელს. ამის შემდეგ სწავლა განვაგრძე თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. დავამთავრე საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი იურიდიული განხრით. 1926 წელს შევედი საქართველოს უმაღლესი სასამართლოს დამცველთა კოლეგიაში და ვმუშაობდი დამცველად სუხუმსა და თბილისში 1929 წლამდე. 1929-30 წლებში ვსწავლობდი მოსკოვში (ალმოსავლეთის კინოში) კინო-სცენარის უმაღლეს ლიტერატურულ კურსებზე. 1932 წელს ჩემი სცენარის მიხედვით გადაღებულ იქნა ფილმი „მზის ყვავილი“, რომელშიც ასახულია კოლექტივიზაცია აფხაზეთის სოფლებში. აღნიშნული ფილმი გავიდა საკავშირო ეკრანზე.

1938 წელს თბილისის კინოსტუდიაში ჩემი სცენარის მიხედვით გადაღებულ იქნა ფილმი „ქალი მწვანეში“, რომელიც სხვადასხვა მიზეზების გამო არ შესრულდა. ჩემ ლიბრეტოზე 1939-40 წლებში კომპ. შვედოვმა დაწერა ოპერა „განდევნილნი“. აგრეთვე ჩემი ლიბრეტოს მიხედვით კომპოზიტორმა ა. ბალანჩივაძემ დაწერა ოპერა „ბედნიერება“, რომელიც დაიდგა თბილისის ოპერის სცენაზე. 1939-40 წლებში სუხუმის აფხაზურ თეატრში იდგმებოდა ჩემი პიესა „საბიდა“, ხოლო 1940-41 წლებში – კომედია.

სამამულო ომის წლებში ვიმყოფებოდი ფრონტზე, სადაც ჩავარდი ქალ. სევასტოპოლთან ტყვედ. ტყვეობიდან გამოვიქეცი და დავბრუნდი ისევ მომქმედ არმიასში. 1947 წელს დამაპატიმრეს და ბრალი დამდეს ბერიას წინააღმდეგ გამოსვლებში. ყოველგვარი გასამართლების გარეშე მომისაჯეს ათი წელი. გადასახლებაში ყოფნის დროსაც ვენეოდი საზოგადოებრივ მუშაობას. ვწერდი თვითმომქმედი წრეებისათვის, ვატარებდი მკითხველთა კონფერენციებს, განვაგრძობდი მუშაობას აფხაზურ ნოველებზე და ძველი პიესების გადაამუშავებაზე. ამჟამად ვენევი აქტიურ ლიტერატურულ მოღვაწეობას.

ლიტერატურაში ვმოღვაწეობ 1919 წლიდან.

ჩემი ნაწარმოებების სია:

1. „მზის ყვავილი“, კინო-სცენარი, 1932 წ.
2. „ქალი მწვანეში“, „-“, 1938 წ.
3. „განდევნილნი“, ოპერის ლიბრეტო, 1939 წ.
4. „ბედნიერება“, „-“, 1940 წ.
5. „მზია“ (იგივე „ბედნიერება“, თარგმანი ქართულზე), ლიბრეტო.
6. „საბიდა“, კომედია, 1939-1940 წლები.
7. „შთამომავალი“, (კომედია), 1940-1941 წლები.
8. „დანაკაი“, პიესა, 1955 წელი.

1955 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი

ალექსანდრე ბარამიძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ბარამიძე ალექსანდრე გიორგის ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | არა მაქვს |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1902 თვე მარტის დღე 27 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) დ. ლანჩხუთი (ოზურგეთის მაზრა) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | ლიტერატურის მცოდნე |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1927 |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1947 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | – |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | 1925 წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | ეკითხულობ – გერმანულს, ფრანგულს და სპარსულ ენაზე, რუსული და ქართული |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | არა |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>თადარიგის ოფიცერი</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>პროფესორი, რუსთაველის სახ. ლიტერატურისა და ენის ინსტიტუტის განყ. გამგე</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>ორდენი „საპატიო ნიშანი“, ლენინის ორდენი, მედლები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტი</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ძნელადის ქ. 11, 3-91-38</p> |

„ 4 “ მაისი 1952 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებულება, ორგანიზაცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ადგილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) | |
|-----------------------|--------|---|---|---|-----|
| შეუდგა | წავიდა | | | | |
| 1921 | 25 | განათლების მუშაკთა პროფკავშირის საქმეთა მმართველი | განათლების მუშაკთა პროფკავშირი | თბილისი | |
| 1925 | 27 | ასპირანტი | თბილისის უნივერსიტეტი | | |
| 1927 | 30 | დოცენტი | „—“ | | |
| 1930 | 36 | „—“ | „—“ | | |
| — | — | „—“ | „—“ | | |
| 1944 | 45 | ფაკულტეტის დეკანი | „—“ | | |
| 45 წლიდან | 49 | პრორექტორი | „—“ | | |
| 1943 | | განყ. გამგე | მეცნიერებათა აკად. რუსთაველის სახ. ენისა და ლიტ. ინსტიტუტი | | „—“ |
| | | პროფესორი სახ. | უნივერსიტეტისა | | |
| | | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | | |

შეკვ. №193. ტ. 1000

ხელმოწერა _____

ალექსანდრე გიორგის-ძე ბარამიძის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1902 წელს, 27 მარტს დაბა ლანჩხუთში, სოფლის მღვდლის ოჯახში. საშუალო სკოლა დავამთავრე ხაშურში 1920 წელს. ამავე წელს შევედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიკო-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში სწავლა დავამთავრე 1925 წელს, რის შემდეგ დატოვებული ვიქენი უძველესი ქართული ლიტერატურის კათედრაზე. 1927 წლის სექტემბერში დანიშნული ვიქენი ასპირანტად ჩემი სპეციალობისდა მიხედვით.

1930 წელს მივიღე დოცენტის წოდება. 1936 წელს დისერტაცია დავიცავი ფილოლოგიის დოქტორის ხარისხზე (ეს დადასტურებული იქნა განათლების კომისარიატის მიერ 1936 წლის 19 მარტის თარიღით, პროფესორის წოდება კი – 1936 წლის 19 დეკემბრის თარიღით).

1944-45 წლებში ვიყავი დეკანი ფილოლოგიის ფაკულტეტისა, 1945 წლის ოქტომბრიდან. 1946 წლის დეკემბერში არჩეული ვიქენი ნევრ-კორესპონდენტად მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს სსრ-ის, ამავე დროს განვაგებდი უძველესი ქართული ლიტერატურის საკვლევო-ინსტიტუტს.

მაქვს ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

1946 წელს არჩეული ვიქენი რსსრ უმაღლესი სკოლების პროფკავშირის პრეზიდიუმის ნევრად. 1947 წ. არჩეული ვიქენი პოლიტიკური და სამეცნიერო სწავლების საზოგადოების ნევრად.

ვარ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ნევრი.

ალ. ბარამიძის ნაწარმოებთა სია:

1. ნარკვევი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1932 წ. მეორე გამოც., 1945 წ.
2. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, მე-2 ტ., 1940 წ.
3. „პატრიოტული მოტივები ძველ ქართულ პოეზიაში“, 1942 წ.
4. მეცნიერულ-კრიტიკული წერილები „ვისრამიანის“, „თეიმურაზ I-ის“, „არჩილის“, „გურამიშვილის“, „ბესიკის“, „კალმასობის“, „ნარგიზოვანის“ და სხვათა შესახებ.
5. ვახტანგ მე-6 ლექსები და პოემები – რედაქცია და შენიშვნებით, 1947 წ.
6. „ქილილა და დამანა“, 1948 წ.
7. „დავითიანი“, წინასიტყვაობით და რედაქციით, 1948 წ.
8. „ნიზამი“, 1947 წ.
9. „ნიზამი და ქართული ლიტერატურა“, 1947 წ.
10. ნ. ბარათაშვილი და ძველი ქართული პოეზია, 1947 წ.
11. ალიშერ ნავოი, 1948 წ.
12. „ვეფხის ტყაოსნის“ გაგრძელებათა საკითხებისათვის, 1949.
13. „ვეფხის ტყაოსნის“ ტიპაჟის საკითხისათვის, 1950 წ.
14. ვეფხის ტყაოსნის პოეტიკის საკითხები, 1949 წ.
15. ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთი საკითხი ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო შრომების სინათლეზე, 1950.
16. დავით გურამიშვილის ცხოვრება და შემოქმედება, 1950 წ.

იბეჭდება ნარკვევი საქართველოს ძველი ლიტერატურის ისტორია.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგ: ნ. თოფჩიშვილი.

გიორგი ნახუცრიშვილი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--------------------------------------|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ნახუცრიშვილი გიორგი დავითის ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | არა მაქვს |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1902 თვე მაისი დღე 7 ძვ. სტ. |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ქ. თბილისი |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | მოსამსახურის ოჯახიდან |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პროზა, დრამატურგია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულ, რუსულ ენაზე |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1920 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1940 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|---------------------------------------|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმალლესი, სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული, ქვეითი, უფრ. შემადგენლობა – ადმ. შემადგენლობა უმცრ. ლეიტენანტი</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>არა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“, აგრეთვე ვარ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>–</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ჯანაშიას 4</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უნწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღ- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|---|---|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1910 | 1920 | თბილისის 1-ლ გიმნაზიის მოსწავლე | | |
| 1921 | 22 | ა/კ გზის სამსახურის კანტორის მოხელე | | |
| 1923 | 28 | სახ. უნივერსიტეტის სტუდენტი | | |
| 1925 | 26 | აქც. საზ-ბის „ზაკკინიგას“ საუნწყებო მოანგარიშე | | |
| 1927 | | პრაქტიკანტ სტატისტიკოსად „ცენტროსპირტის“ არყის ქარხანაში | | |
| 1928 | 29 | სტაჟიორად | „-“ | |
| 1929 | 30 | 1-ლი ქართული მსრ. ლეგიონის წ/არმიელი | | |
| 1930 | 32 | ეკონომისტ-მგეგმავად ცეკავშირში | | |
| 1932 | 36 | მეცნიერ თანამშრომლად საქ. რევოლუციურ მუზეუმში | | |
| 1936 | 41 | მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მთარგმნელად იმელში | | |
| 1941 | 42 | სამობილიზაციო ჰუნქტის გაგზავნის მაგიდის მუშაკად | | |
| 1942 | 43 | საქ. მწერალთა კავშირის შემოქმედებითი სახლის დირექტორად | | |
| 1943 | 44 | მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მთარგმნელად „იმელში“ | | |
| 1944 | 46 | გაზ. „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებების“ ქართული გამოცემის მთარგმნელად მოსკოვში | | |
| | | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

ავტობიოგრაფია

(გიორგი (გუგა) დავითის-ძე ნახუცრიშვილი)

დავიბადე 1902 წლის 7 მაისს (ძვ. სტ.) ქ. თბილისში ცნობილი ქართველი მწერლის და საზოგადო მოღვაწის – დავით ნახუცრიშვილის ოჯახში (მამაჩემიც და დედაჩემიც, ანნა ივანეს ასული შავკაციშვილი, სოფელ ხაშმიდან იყვნენ).

ადრეული ბავშვობა ანჩისხატის უბანში გავატარე, სადაც მამაჩემს ოროთახიანი ბინა ჰქონდა დაქირავებული.

6 წლისა ვიყავი, როდესაც (1908 წ.) ბინა გამოვიცვალეთ და სოლოლაკში, ამაღლების ჩიხში, სამოთახიანი ბინა ვიქირავეთ. სწორედ აქ დამაწყებინეს სწავლა ვინმე ბუღდანოვას კერძო სასწავლებელში, რომელიც ბავშვებს გიმნაზიაში შესასვლელად ამზადებდა.

1910 წელს წარმატებით ჩავაბარე გამოცდები თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში (ამჟამად პირველი საშუალო სკოლა რუსთაველის გამზირზე) და პირველ მოსამზადებელ განყოფილებაში ჩავირიცხე.

აღნიშნული გიმნაზია დავამთავრე 1920 წელს. 1923 წლამდე, მამის მძიმე ავადმყოფობისა და ეკონომიური გაჭირვების გამო, უმაღლეს სასწავლებელში ვერ შევედი და მხოლოდ 1924 წელს ჩავირიცხე სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1928 წელს.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, განათლების სახალხო კომისარიატმა მიმავლინა ვლადიკავკავის (ამჟამად ქ. ორჯონიკიძის) სპირტისა და არყის ქარხანაში შრომითი სტაჟის გასავლელად, ხოლო 1929 წლის შემოდგომაზე კვლავ დავბრუნდი თბილისში სამხედრო ბეგარის მოსახდელად.

1929 წლის შემოდგომიდან 1930 წლის შემოდგომამდე ვმსახურობდი წითელი არმიის ქართულ ნაწილებში, სახელდობრ, პირველი ქართული მსროლელი ლეგიონის ერთწლიანთა ასეულის წითელარმიელ-კურსანტად, რის შემდეგ (გამოცდების ჩაბარების შემდეგ) სხვებთან ერთად მომენიჭა უმცროსი ლეიტენანტის სამხედრო წოდება.

სამხედრო ბეგარის მოხდის შემდეგ, დავიწყე სამსახური ცეკავშირის სავაჭრო განყოფილებაში მგეგმავ-ეკონომისტის თანამდებობაზე, ხოლო 1932 წელს მივატოვე ცეკავშირი, რადგან იქ მუშაობის ხასიათი მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა ჩემს მისწრაფებას მწერლობისადმი, და გადაველ სამუშაოდ საქართველოს რევოლუციის მუზეუმში (ამჟამად იქ მოთავსებულია საქართველოს ლიტერატურული მუზეუმი) მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე. აქ სამუშაოს ხასიათიც მაკმაყოფილებდა და დროც ბევრი მრჩებოდა ჩემი მწერლური მუშაობისათვის, თანაც მუზეუმს მეტად მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა, რაც აგრეთვე ხელს მინყობდა ყოველმხრივ.

1936 წელს რევოლუციის მუზეუმი შეუერთეს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალს და მეც გადამიყვანეს ამ ინსტიტუტში მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მთარგმნელად. ამ თანამდებობაზე მომისწრო სამამულო ომმა და, როგორც თადარიგის მეტაური, მეორე დღესვე გამიწვიეს თბილისის სამხედრო კომისარიატის განკარგულებაში

(ვმუშაობდი ერთ-ერთ სამობილიზაციო პუნქტში), მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ, მძიმე ავადმყოფობის გამო, გამანთავისუფლეს ჯარიდან და 1942 წლის აპრილში მწერალთა კავშირის გამგეობამ საგურამოს დასასვენებელი სახლის გამგედ გამგზავნა. საგურამოში დავყავ ერთი წელი და 1943 წლის გაზაფხულზე კვლავ დავბრუნდი თბილისში, სადაც ისევ დავინწყე მუშაობა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში, იმავე მთარგმნელის თანამდებობაზე.

1944 წლის მარტში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოთხოვნით, საქართველოს უმაღლესმა საბჭომ მიმავლინა მოსკოვს სსრკ უმაღლესი საბჭოს სესიების მასალების მთარგმნელად, სადაც ვიმუშავე 1946 წლის აპრილამდე, ხოლო შემდეგ დავბრუნდი თბილისში და უკვე აღარსად სამსახურში აღარ შევსულვარ, მთელი ჩემი ძალ-ღონე ლიტერატურულ მუშაობას მოვანდომე.

სამწერლო ასპარეზზე ჯერ კიდევ 1920 წელს გამოვედი, როცა ჟურნალ „ნაკადულში“ წინო ნაკაშიძემ დაბეჭდა ჩემი პირველი მოთხრობა „თავუნიას თავგადასავალი“. შემდეგ წელს (1921 წ.) იმავე ჟურნალში დაიბეჭდა ჩემი მეორე მოთხრობა „დაკარგული შვილები“, ხოლო მომდევნო წელს (1922 წ.) იმავე „ნაკადულში“ დაიბეჭდა ჩემი ორი მოთხრობა: „პაპას ნაამბობი“ და „თამროს ოცნება“ (ყველა ეს მოთხრობები ხელმოწერილია ფსევდონიმით „ჰუგო ნარვილი“ ან „გუგა ნარვილი“). ამავე ხანს ამავე ფსევდონიმით დაიბეჭდა იოსებ იმედაშვილის ჟურნალში („თეატრი და ცხოვრება“) ჩემი ლექსი პროზად „თარის ხმაზე“.

ჩემი პირველი ვრცელი მოთხრობა „მამამ გამომგზავნა“ დაიბეჭდა ცალკე წიგნად სახელგამის მიერ 1933 წელს (მეორე გამოცემა – 1936 წ.). იმავე სახელგამმა 1934 წელს გამოსცა ჩემი მეორე ვრცელი მოთხრობა „სიღვა ვასილევია“ (მეორე გამოცემა – 1948 წ.). 1935 წელს დავასრულე რომანი „მგელკაცა“, რომელიც გამოსცა გამომცემლობა „ფედერაციამ“ 1939 წელს (მეორე გამოცემა – 1958 წ., ხოლო მესამე გამოცემა – 1961 წ.).

1935 წელს ჩემს ლიტერატურულ მუშაობაში ერთგვარი გარდატეხა მოხდა. მწერალთა კავშირის ერთ-ერთ პლენუმზე სიტყვით გამოვიდა თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი და ამ თეატრის მთავარი რეჟისორი – ალექსანდრე თაყაიშვილი. მან ილაპარაკა იმაზედ, რომ, აი, უკვე შვიდი წელია, რაც თბილისში დაარსდა მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი, მაგრამ ქართული ორიგინალური რეპერტუარის უქონლობის გამო, იგი დიდ სიძნელეებს განიცდის და ამიტომ ქართველი მწერლების წმინდა ვალია, დაეხმარნონ ახლად დაარსებულ თეატრს ორიგინალური ქართული რეპერტუარის შექმნით. მართლაც, მეორე დღესვე საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ გამოგვყო ხუთი მწერალი: 1. მარიჯანი, 2. მარიკა მიქელაძე, 3. ანიკო ღვინიაშვილი, 4. დავით მეტუკე (ცვარნამი) და 5. მე, გ. ნახუცრიშვილი, და მიგვავლინა ზემოდსხენებულ თეატრში სამუშაოდ. აქედან დაიწყო ჩემი გადრამატურგება.

ჩემი პირველი პიესა „ნაცარქექია“, რომელიც დაიწერა მამაჩემის – დავით ნახუცრიშვილის პიესის „ნაცარქექია კიკილა“-ს საფუძველზე, დაიდგა მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში 1935 წელს და მას შემდეგ ითარგმნა რუსულად, სომხურად, ჩეჩნურად, ყაზახურად და დაიდგა მოსკოვში, ბაქოში, გროზნოში, ალმა-ატაში, სარატოვში, ვოლგოგრადში, ომსკში და

რუსეთის ბევრ სხვა ქალაქში. პიესა გამოცემულია ცალკე წიგნად ქართულ ენაზე სახელგამის მიერ და რუსულ ენაზე – გამომცემლობა „ისკუსტვო“-ს მიერ მოსკოვში.

1937 წელს დავნერე პიესა „ლადო კეცხოველი“, რომელიც დაიდგა თბილისის მოზ. მაყ. ქართულ თეატრში იმავე წელს. შემდეგ პიესა დაიდგა ბათუმის თეატრში, ხოლო ქუთაისის განახლებული თეატრის საზეიმო გახსნაც ამ პიესის დადგმით აღინიშნა. პიესა გადათარგმნილია რუსულ ენაზე და დაიდგა მოსკოვის, ხარკოვის, ბაქოს, ტაშკენტის და სხვა ქალაქების თეატრების სცენებზე. პიესა გამოცემულია ცალკე წიგნად რუსულ ენაზე მოსკოვში, გამომცემლობა „ისკუსტვო“-ს მიერ.

1938 წელს დავნერე პიესა „ცეცხლის ხაზზე“ („ბორის ძნელაძე“), რომელიც იმავე წელს დაიდგა თბილისის მოზ. მაყ. ქართულ თეატრში. შემდეგ ეს პიესა დაიდგა სოხუმის, თელავის, ტყიბულის, ფოთის, ცხინვალის, და აგრეთვე თბილისის მოზ. მაყ. რუსული თეატრის სცენაზე. 1961 წელს ეს პიესა მესამედ დაიდგა თბილისის მოზ. მაყურებელთა ქართულ თეატრში საკავშირო ფესტივალზე საჩვენებლად მოსკოვში, სადაც ამ პიესის ავტორსაც და დამდგმელსაც (ს. ჭელიძეს) პირველი ხარისხის დიპლომი და ფესტივალის ლაურეატის ნოდება მიენიჭათ. აღნიშნული პიესა გამოცემულია საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ ცალკე წიგნად.

1939 წელს დავნერე ზღაპარი-კომედია „კომბლე“, რომელიც დაიდგა იმავე წელს თბილისის მოზ. მაყ. ქართულ თეატრში, ხოლო შემდეგ საქართველოს ყველა რაიონულ თეატრში. რუსულად დაიდგა თბილისისა და ბაქოს მოზ. მაყურებელთა რუსულ თეატრებში. დაბეჭდილია ცალკე წიგნად „საბლიტგამის“ მიერ, ხოლო მეორე გამოცემად „სახელგამის“ მიერ. ამ პიესაზეა დაწერილი რ. ლალიძის ოპერეტა „კომბლე“, რომელიც დაიდგა თბილისის მუსიკ. კომედიის თეატრში 1958-1959 წ.წ. სეზონში.

1940 წელს დავნერე კომედია „აჩაკუნე“ („პატარა მეომრები“), რომელსაც მიენიჭა მესამე პრემია საქართველოს რესპუბლიკანურ კონკურსზე. პიესა დაიდგა თბილისის მოზ. მაყ. ქართულ თეატრში 1941 წელს, ხოლო შემდეგ ზოგიერთ რაიონულ თეატრშიც (გორში, ლაგოდეხში, მახარაძეში, ხაშურში და სხვ.). პიესა გამოცემულია ცალკე წიგნად სახელგამის მიერ და პიესების კრებულში – „საბლიტგამის“ მიერ. „აჩაკუნე“ ითარგმნა სომხურად და დაიდგა თბილისის მოზ. მაყ. სომხურ თეატრში.

1946 წელს დავნერე კომედია „ის დრო წავიდა“, რომელიც დაიდგა ზოგიერთ რაიონულ თეატრში (სიღნაღი, ახალციხე და სხვ.). ამ პიესაზეა დაწერილი შ. აზმაიფარაშვილის ოპერეტა „ნანატრი საქმრო“, რომელიც დაიდგა თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრში.

1947 წელს დავნერე კომედია „უფსკრულის პირას“ თბილისის სანკულტურის თეატრისათვის, და იგი დაიდგა ამ თეატრში იმავე 1947 წელს.

1948 წელს მოსკოვის ცენტრალური საბავშვო თეატრის დირექტორის კ. შახ-აზიზოვის დაკვეთით დავნერე პიესა „სიჭაბუკე ბელადისა“ (ი. სტალინის სემინარიაში სწავლის წლების შესახებ), რომელიც დაიდგა 1949 წელს თბილისის მოზ. მაყ. ქართულ თეატრში, ხოლო 1950 წ. – ქ. ქუთაისის სა-

ხელმწ. თეატრში და გორის სახელმწ. თეატრში. 1951 წელს ეს პიესა დაიდგა მოსკოვის სტანისლავსკის სახელობის თეატრში, მაგრამ 1952 წელს ყველა პიესა, რომელშიც ი. სტალინი იყო გამოყვანილი, მოხსნეს რეპერტუარიდან, მათ შორის ჩემი ეს პიესაც. პიესა „სიჭაბუკე ბელადისა“ დაბეჭდილია ცალკე წიგნად ქართულად („საბლიტგამის“ გამოცემა), ჩინურად (პეკინში), რუსულად (კრებულში „Пьесы грузинских советских драматургов“, изд. „Заря Востока“) და უკრაინულ ენაზე ჟურნალ „ვიტჩიზნა“-ში.

1950 წელს რუსთაველის თეატრის დირექტორის, ა. ხორავას დაკვეთით, დავნერე პიესა „ავლაბრის სტამბა“ („დიადი ძეგლი“, „შუქი მინიდან“), რომელიც დაიდგა სოხუმის სახელმწიფო თეატრში 1951 წელს. შემდეგ ეს პიესა დაიდგა გორის თეატრში (1967-1968 წ. სეზ.), სათაურით „შუქი მინიდან“.

1952 წ. დავნერე პიესა „გენერალი ლესელიძე“, რომელიც დაიდგა თბილისის მოზ. მაყ. ქართულ თეატრში სახელწოდებით „გარდატეხა“. ეს პიესა შემდეგ დაიდგა თელავის თეატრშიც. დაბეჭდილია სახელგამის მიერ გამოცემულ პიესების კრებულში 1954 წ.

1957 წ. დავნერე პიესა „წინამური“, რომელიც ამავე წელს დაიდგა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, გორის და თელავის სახელმწიფო თეატრებში. პიესა დაბეჭდილია საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ გამოცემულ პიესათა კრებულში 1959 წ.

1960 წელს დავნერე პიესა „ფიროსმანი“, რომელიც დაიდგა რუსთაველის თეატრში 1961 წელს. პიესა დაბეჭდილია საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ გამოცემულ პიესების კრებულში 1969 წ. პიესა გადათარგმნილია რუსულ ენაზე და რეკომენდებულია საბჭოთა კავშირის თეატრებში დასადგმელად სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სარეპერტუარო კოლექციის მიერ (იხ. ВУОАП-ის გავრცელების განყოფილების საინფორმაციო ბიულეტენი, 1970 წ., აგვისტო-სექტემბერი).

1962 წელს დავნერე ზღაპარი-კომედია „ჭინჭრაქა“, რომელიც დაიდგა რუსთაველის თეატრში, 1963 წელს. შემდეგ ეს პიესა დადგეს ფოთის და ჭიათურის სახელმწიფო თეატრებში. ეს პიესა დაიდგა და იდგმება საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქში, სახელდობრ – ტულაში, კუბიშევში, ტაშკენტში, ომსკში, ვლადივოსტოკში, მახაჩ-კალაში, კალინინში, რიაზანში, მაგნიტოგორსკში, კოსტრომაში და სხვ. ამ წელს, ე. ი. 1970 წელს, იგი დაიდგა გერმანულ ენაზე, ბერლინის სცენაზე (მეგობრობის თეატრში). პიესა გამოცემულია ცალკე წიგნად გამომცემლობა „ხელოვნების“ მიერ.

1964 წელს დავნერე ზღაპარი-კომედია „შაითან-ხიხო, რომელიც დაიდგა 1965 წელს თბილისის მოზ. მაყურ. ქართულ თეატრში, ხოლო შემდეგ ბათუმის, ქუთაისის, მახარაძის, თელავის, ცხინვალის, გორის, ფოთის, ჭიათურის და სხვა თეატრებში. პიესა თარგმნილია სომხურად და დაიდგა თბილისის შაუმიანის სახელობის დრამატულ სომხურ თეატრში. თარგმნილია აგრეთვე რუსულად, უკრაინულად და ბალყარულ ენებზე. დაიდგა გროზნოში, ლისვამში, პერმში, ნალჩიკში, მაიკოპში, ჩერკასში, ბაქსანში და სხვ. ქალაქებში. პიესა გამოცემულია ცალკე წიგნად გამომცემლობა „ხელოვნების“ მიერ.

1967 წელს დავნერე პიესა ოპერეტისათვის „წინო“, რომლის მუსიკა დანე-

რა კომპოზიტორმა ა. შავერზაშვილმა. ოპერეტა დაიდგა და იდგმება თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრში. 1968 წელს დაენერე კომედია „რევიზია ანუ მელაძე, მგელაძე და ყაჩაღავა“. ჯერ არსად დადგმულა. 1969 წელს დავამთავრე ზღაპარი-კომედია „ალიბაბა“, რომელიც 1970 წელს დაიდგა გორის სახელმწიფო თეატრში. მალე შედგება პრემიერა ამ პიესისა კ. მარჯანიშვილის აკადემიურ თეატრში და ქიათურის სახელმწიფო თეატრში.

ზემოსხენებულ ორიგინალურ ნაწარმოებთა გარდა მაქვს აგრეთვე ინსცენირებები: 1. ა. პუშკინი „კაპიტანის ქალიშვილი“. 2. ი. ჭავჭავაძე „გლახის ნაამბობი“. 3. ა. ყაზბეგი „ციცია“. 4. ვ. ჰუგო „კაცი, რომელიც იცინის“. 5. მ. ჯავახიშვილი „არსენა მარაბდელი“.

ამჟამად ვმუშაობ პიესაზე, რომელშიც ასახული იქნება საქართველოს ვითარება მეფე გიორგი მეთორმეტის დროს.

გ. ნახუცრიშვილი
22 ნოემბერი, 1970 წ., ქ. თბილისი

თინათინ ჯავახიშვილი

ავტობიოგრაფია

ჯავახიშვილი თინათინ დავითის ასული დავიბადე ქ. გორში 1902 წ., 24 სექტ., მოსამსახურეს ოჯახში.

მამაჩემი, დავითი, იყო გორის მუშათა ბანკის თავმჯდომარე; დედა, ნინო ჩერქეზიშვილი – დიასახლისი.

1909 წელს მიმაბარეს თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, სადაც ერთი წელი ვსწავლობდი. 1910-1911 წლებში ვსწავლობდი საქართველოს ქალთა საზოგადოების სკოლაში, ყოფილ სვიატო-პოლკის ქუჩაზე, სადაც სკოლა „განათლება“ იყო მოთავსებული.

1912 წელს ია ეკლადესთან ერთად მამაჩემი გორში გადასახლდა, სადაც დავამთავრე გორის ქალთა კლასიკური გიმნაზია. ყველაფერი ასახულია ჩემი მოგონებების წიგნში.

1962 წელს მიმიღეს მწერალთა კავშირის წევრად.

1965 წელს გორის საზოგადოებამ მომიწყო შეხვედრა, სადაც მომესალმნენ სიტყვებით: კ. ლორთქიფანიძე და ა. გომიაშვილი.

1957 წელს მოსკოვში დეკადაზე გადაღებული სურათები ჰქონდა გიორგი შატბერაშვილს.

1966 წელს ვიყავი მწერალთა კავშირის ყრილობის დელეგატი №85. ვარ რესპუბლიკური მნიშვნელობის პენსიონერი.

ჩემი ყველა წიგნი, მოძღვნილი მწერლისგან, 400 ცალამდე, და ელისაბედ ჩერქეზიშვილის ნაქონი (ილია ჭავჭავაძის) „ზაპონკა“ გადავეცი გორის მხარეთ-მცოდნეობის მუზეუმს.

გიდგენტ ჩემს ფოტოსურათებს და ერთ მოძღვნილ წიგნს.

ჩემი წიგნების გამფორმებელი მხატვრები იყვნენ:

რესპუბლიკის დამსახ. მხატვარი – სევერიან კეცხოველი („წყნარი დონი“, I გამოცემა).

„–“ ნათელა იანქოშვილი („ფინიკიური ხომალდი“, I და II გამოცემა).

დავით დუნდუა, „წყნარი დონი“, II გამოცემა და „მოგონებები წარსულიდან“.

ბ. ხავთასი, „უგრიუმ-მდინარე“, I გამოცემა.

ლ. შენგელია, „უგრიუმ-მდინარე“, II გამოცემა.

ხახუტაშვილი, „წყნარი დონი“, ილუსტრაციები, II გამ.

ო. ჯიშკარიანი, „იაგუარი“.

თ. მიქაშვიძე, „რომეო, ჯულიეტა და წყვილი“.

თინათინ ჯავახიშვილი

დავით გაჩეჩილაძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | გაჩეჩილაძე დავით ალექსის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | არა მაქვს |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1902 თვე თქტომბერი დღე 19 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. ლორეშა (შორაპნის მაზრა) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია, მთარგმნელი |
| 8. რა ენაზე წერს | რუსული, ქართული |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1920 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1940 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | მემარცხენე დაჯგუფება |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმალლესი, დაუმთავრებელი მესამე კურსიდან |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული, ქართული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--------------------------------------|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>არა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>არსად, მწერლობა</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>მარჯანიშვილის 4</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|--|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1925 | 1932 | ტექნიკ-ნორმა- დარად | ჭიათურის შავი ქვის მალაროებში | |
| <p>სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.</p> | | | | |

დავით ალექსის-ძე გაჩეჩილაძის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1902 წელს, 19 ოქტომბერს (ძვ. სტილით) სოფელ ლორეშაში (შორაპნის მაზრა), გლეხის ოჯახში.

პირველ დაწყებითი სწავლა მივიღე სოფელში, შემდეგ გადავედი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განვაგრძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიურ ფაკულტეტზე და გამოვედი მესამე კურსიდან ავადმყოფობის გამო.

1925 წლიდან 1932 წლამდე ვმუშაობდი ჭიათურის შავი ქვის მალაროებში ტექნიკ-ნორმადარად.

ლექსების წერა 1920 წლიდან დავიწყე.

1923 წელს მიღებული ვიქენი მწერალთა მემარცხენე დაჯგუფების წევრად და ჩემი ნაწარმოებები იბეჭდებოდა ჟურნალში „მემარცხენეობა“ (ქართველ ფუტურისტთა ორგანო), აგრეთვე სხვადასხვა ჟურნალებსა და გაზეთებში.

ვთარგმნიდი და ამჟამადაც ვთარგმნი პოეტურ ნაწარმოებებს რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად, როგორც კლასიკოს მწერლების ნაწარმოებებს, აგრეთვე თანამედროვე მწერლებსაც.

დავით გაჩეჩილაძის ნაწარმოებთა სია

1. ლექსების კრებული, 1941 წელი.
2. ცალკეული ლექსები და თარგმანები.
3. საბავშვო ლექსები „უშიშროების ანბანი“, 1949 წ.
4. „ტყუილს მოკლე ფეხი აქვს“, საბავშვო მოთხრობა, რომელიც პრემირებული იქნა 1951 წ. თარგმანები:
 5. ლერმონტოვი, „მასკარადი“, 1947 წელი.
 6. ისაკოვი „სიმღერები“, 1948 წელი.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ანასტასია აგლაძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ანასტასია ილიას ასული აგლაძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | ანა აგლაძე |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1902 თვე ნოემბერი დღე 9 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ლენინაკანი |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | – |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პროზა, დრამატურგია |
| 8. რა ენაზე წერს | რუსულსა და ქართულზე |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1931 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1945 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ-ს წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|-----------------|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | საშუალო |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული, ქართული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>—</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>წითელი ჯვრის საზოგადოების თავ-რე</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>ლიტმუშაკი „ზარია ვოსტოკაში“</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>გრიბოედოვის 28</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

| <p style="text-align: center;">მუშაობა წარსულში (შრომითი საქმიანობა)</p> | | | | |
|---|--------------------------------------|--|---|--|
| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უნწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1933 | | მოლარეთ | სამხატვრო აკა- დემია | თბილისი |
| 1941 | | კლუბის გამგე | „-“ | |
| 1942 | 1944 | ინსპექტორად | საქ. მთავლიტში | |
| 1951 | - | ჟურნალისტი | გაზ. „ზარია ვოსტოკაში“ | |
| 1936 | წლის თებერვლიდან 1951 წლის იანვრამდე | წლის იანვრამდე ვმუშაობდი უშტატო კორესპონდენტად გაზეთებში: „ზარია ვოსტოკა“, „ახალგაზრდა სტა- ლინელი“ და „საქტაგში“ | | |
| | | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

ანასტასია ილიას ასული აგლაძის ავტობიოგრაფია

დავიბადე ქალ. ლენინაკანში, 1902 წ. 9 ნოემბერს. მამა ჩემი – ილია კონსტანტინეს-ძე ნიჟარაძე იყო სამხედრო პირი, დედა ალექსი-მესხიშვილის ქალი იყო დიასახლისი.

მე ვიზრდებოდი ყაბარდოში ბებიასთან. საშუალო განათლება მივიღე სტალინგრადში, სადაც მსახურობდა მამა.

1919 წელს ჩამოვედი საქართველოში. იმავე წელს გავთხოვედი ინჟინერ აგლაძეზე. 1924 წელს დავამთავრე თეატრალური სტუდია. 1924 წლიდან ვცხოვრობდი ქმართან რაიონებში, 1929 წელს გადმოვედი თბილისში საცხოვრებლად. მთელი ეს ხანები მე ვუვლიდი ავადმყოფ შვილს, რომელიც მძიმე დაავადებული მყავს წლობის განმავლობაში.

1931 წლიდან იწყება ჩემი ლიტერატურული მუშაობა.

ვუსმენდი ლიტერატურული წრეების მეცადინეობას, ვმეცადინეობდი დრამატურგთა სექციასში, რომელიც ჩამოყალიბებული იყო საქ. მწერალთა კავშირთან. დავამთავრე აგრეთვე დრამატიული კურსები სახკინმრეწვთან არსებული. პირველი ჩემი ერთ-აქტიანი პიესები იდგმებოდა მუშათა თეატრებში.

1936 წელს ქართველ დრამატურგთა ბრიგადასთან ერთად გავემგზავრე მოსკოვში, რომელმაც დიდი სტიმული მომცა და 1938 წლიდან ჩემი პიესები იდგმებიან სახელმწიფო თეატრებშიც, საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. დავწერე პიესა „ძია საშა“, აგრეთვე კომედია „მომავალი ოსტატები“.

ჩემი ოჯახი შესდგება სამი სულისაგან – მე და ორი ჩემი ქალიშვილი.

ანასტასია აგლაძის ნაწარმოებთა სია

1. „ორი ქურდი“, კომედია, 1935 წელი.
 2. „ცრუკულტუროსნები“, კომედია, 1936 წ.
 3. „გულნარა“, პიესა, 1938-39 წ.
 4. „თერგის კომისარი“, პიესა პრემირებული იყო 1940 წ.
 5. „დაუპატიჟებელი სტუმარი“, ლექსები სურათებით, 1942 წ.
 6. „პიონერთა ბანაკი“, ლექსები სურათებით, 1942 წ.
 7. „სიკვდილზე ძლიერი“, პიესა, 1942-43 წ.
 8. „ბროლის სასახლე“, პიესა-ზღაპარი მოზარდ მაყურებელთა თეატრისათვის.
 9. „გმირის დაბადება“, პიესა, 1945 წ.
 10. მხატვრული ნარკვევები ჟურნალ-გაზეთებში, 1936–39 წ.წ.
 11. „ვაშლის ხეივანი“, პიესა, 1957 წ.
 12. სცენარი „სიმღერა ქალიშვილზე“, 1947-48 წ.წ.
 13. „ნათელი დღე“, პიესა, 1948–50 წ.
 14. „პატარა მეთხილამურეები“, პიესა, 1950-51 წ.
 15. „შორს ოკეანეს გადაღმა“, პიესა მოზარდ მაყურებელთა თეატრისათვის, 1951 წ.
- ყველა პიესები დადგმულია ქალაქ თბილისის ან რაიონის თეატრებში.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

სიმონ ჩიქოვანი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ჩიქოვანი სიმონ ივანეს ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | არა აქვს |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1902 თვე დეკემბრის დღე 27 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. ნაესაკოვო (აბაშის რაიონი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | აზნაური |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1925 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1934 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | ფუტურისტული ჯგუფი, მემარცხენეები |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | საშუალო |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | მსახურობდა რიგით მუშაკად გაზეთის ხაზით |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>ვუს</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>მწერლობა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>დაჯილდოებული ვარ ლენინის ორდენით, „შრომის წითელი დროშის ორდენით“; ვარ სტალინური პრემიის ლაურეატი; მედელები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>მწერალთა ორგანიზაციები; ამჟამად პ/მგ. რედაქტორი ჟურნ. „მნათობისა“</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ლენინის 63, 3-52-32</p> |

მუშაობის შესახებ ცალკე ცნობები არ აღმოჩნდა, იხ. ავტობიოგრაფიული ცნობები.

„ — “ _____ 195 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ: სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

სიმონ ივანეს-ძე ჩიქოვანის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1902 წელს, 27 დეკემბერს, სოფელ ნაესაკოვოში (ახაშის რაიონი). მამაჩემი, ივანე სიმონის-ძე ჩიქოვანი, ახალგაზრდობიდანვე ინვალიდი იყო, გარდაიცვალა 1918 წ.

1921 წელს დავასრულე ქუთაისის რეალური სასწავლებელი.

ლიტერატურულ სარბიელზე გამოვედი მონაფეოების დროს, მაგრამ სისტემატურად ვიბეჭდები 1925 წლიდან.

1921 წლიდან 1924 წლამდე ვმსახურობდი წითელ არმიის ქართულ ნაწილების პოლიტგანყოფილებაში. შემდეგ ვმუშაობდი ჟურნალ „მნათობის“ რედაქციის მდივნად. ვიყავი საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოს წევრი და პოეტების სექციის თავმჯდომარე.

1944 წელს საქართველოს საბჭოთა მწერლების გამგეობის პლენუმზე ამირჩიეს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ.

1941 წლიდან ვარ კპ. სს წევრი.

ჩემი სამწერლო მუშაობისათვის 1939 წელს დაჯილდოვებული ვიქენი „შრომის წითელი დროშის“ ორდენით საკავშირო სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ, ხოლო 1946 წლის თებერვალში დაჯილდოვებული ვიქენი ლენინის ორდენით.

1922 წლიდან გამოცემულია ჩემი ლექსების თორმეტი წიგნი (ქართულად). ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილია ჩემი მონოგრაფიული ხასიათის წერილები შოთა რუსთაველზე, ნიკოლოზ ბარათაშვილზე, ვაჟა ფშაველაზე, ილია ჭავჭავაძეზე, ვასილ ბარნოვზე და აკაკი წერეთელზე. რუსულ ენაზე გამოცემულია ჩემი ლექსების რამდენიმე წიგნი. 1946 წელს კიევში უკრაინულ ენაზე დაიბეჭდა ჩემი რჩეული ლექსების წიგნი.

1946 წელს მომენიჭა სტალინური პრემია ნაწარმოებებისათვის: „სიმღერა დავით გურამიშვილზე“, „გორი“, „ქართლის სიმღერები“, „გამარჯვების დღესასწაული“, „ვინა სთქვა საქართველოზე“ და სხვ. 1947 წელს არჩეული ვიქენი სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

დაბეჭდილია ჩემი შემდეგი ნაწარმოებები: 1. ლექსების კრებული, 1925 წ. 2. „ბედი რესპუბლიკისა“, პოემა, 1928 წ. 3. მარტო ლექსები. 4. „გმირებზე“ (ლექსები). 5. ლექსების პირველი ტომი, 1934 წ. 6. „იგორის ლაშქრობის შესახებ“ (თარგმანი), 1940 წ. 7. „ახალი ლექსები“, 1942 წ. 8. „Моя Отчизна“, 1944 წ. 9. „დავით გურამიშვილი“, 1947–49 წ. 10. საიუბილეო კრებული მოსკოვში, 1950 წ. 11. საიუბილეო კრებული უკრაინაში, 1951 წ. 12. რჩეული ლექსები, 1950–51 წ. ცალკეული ლექსები. აგრეთვე თარგმნილია მოძმე ხალხთა ენაზე ჩემი ლექსების რამდენიმე წიგნი.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ავტობიოგრაფია

მე დავიბადე 1902 წელს, დეკემბრის 27, სოფელ ნაესაკოვოში (აბაშის რაიონი, ყოფილი სენაკის მაზრა, ქუთაისის გუბერნია) ულარიბეს ოჯახში. მამა ჩემი (ივანე სიმონის ძე ჩიქოვანი) ახალგაზრდობიდანვე ინვალიდი იყო, ორივე ფეხებით დაკოჭლებული. დედა ადრე მომიკვდა და მე არ მახსოვს იგი. მამაჩემი მოკვდა 1918 წელს, როდესაც მე ვიყავი მეოთხე კლასში (ქუთაისის რეალურ სასწავლებელში), 15 წლისა. ამის შემდეგ მე ვცხოვრობ ჩემი შრომით. ლიტერატურული მუშაობა და ლექსების წერა დავიწყე მონაფეობისას და ახალგაზრდობიდანვე მქონდა მიდრეკილება მწერლობისადმი. მონაფეობისას პოლიტიკურ მუშაობაში არასოდეს ვყოფილვარ ჩაბმული. მართალია, მონაფეობისას (პირველ ხანებში 1917-18 წლებში) ვტრიალებდი ნაციონალისტურად განწყობილ ახალგაზრდობაში და თანაუგრძობდი ფედერალისტებს კიდევ, მაგრამ არც ერთი პარტიის ორგანიზაციაში არ ვყოფილვარ და არავითარი პოლიტიკური ხასიათის გამოსვლა არასოდეს არ მქონია. 1920 წლიდან უფრო გამიტაცა მხატვრულმა მწერლობამ და ვებეჭადავდი მაშინდელ გაზეთებში წმინდა ლიტერატურული ხასიათის წერილებს (კრიტიკა, ბიბლიოგრაფია) და ლექსებს. ამ დროინდელი ჩემი ნაწერები დამწყები მწერლის ვარჯიშობაა და მეტი არაფერი. 1921 წელს დავასრულე სასწავლებელი და ამა წლის ივლისში დავიწყე სამსახური წითელარმიის ქართულ ნაწილების პოლიტგანყოფილებაში. ვიყავი კლუბის მომუშავე, თეატრალური სექტორის ინსტრუქტორი და ბოლოს არმიის საბიბლიოთეკო სექციის ინსტრუქტორი. ამგვარად, წითელარმიაში ვმუშაობდი 1925 წლამდე. ამავე ხანებში იწყება ჩემი პოეტური მუშაობის ახალი ხანა, როდესაც მე ჩავები ფუტურისტების წრეში და ვითვლებოდი ამ ჯგუფში. 1921–24 წელი ჩემი პოეტური მზადების ხანაა და შემოქმედებითი გზის ძიება. პირველ დღიდანვე მე ვცდილობ, ორგანიულად დაუკავშირდე საბჭოთა სინამდვილეს და შეძლებისდაგვარად ვცდილობ, მას ვემსახურო. 1924 წლიდან იწყება ჩემი პროფესიონალური სამწერლო მოღვაწეობა. და ამის შემდეგ ვიბეჭდები ჩვენში არსებულ ყველა ჟურნალ-გაზეთებში. ამ დროიდან ლიტერატურული შრომით ვცხოვრობ. ამ თუთხმეტი წლის განმავლობაში დაბეჭდილია ჩემი წიგნები: 1) ფიქრნი მტკვრის პირას, 2) ბედი რესპუბლიკა, 3) მხოლოდ ლექსები, 4) გმირი და წინ, 5) ლექსების ერთტომეული, 6) ახალი ლექსები (ლექსები დაწერილი 34 წლიდან 39-მდე), 7) იგორის ლაშქრობის თარგმანი, 8) ჩემი ლექსები რუსულად. ამასთანავე მაქვს დაბეჭდილი წერილები რუსთაველზე, ბარათაშვილზე, ილია ჭავჭავაძეზე, ვასილ ბარნოვზე თანამედროვე პროზის და პოეზიის პრობლემებზე, თეატრზე, ქართულ მხატვრობაზე და სხვ. ვიბეჭდები ყველა ქართულ საბჭოთა გამოცემებში. ვიბეჭდები აგრეთვე „პრავდაში“, „იზვესტია“-ში და რუსულ „სალიტერატურო გაზეთში“. ცნობილ რუსულ საბჭოთა ჟურნალებში („Красная Нов.“, „Новый Мир“ და „Дружба“-ში) და უკრაინის და სხვა ჩვენი მოკავშირე რესპუბლიკის ჟურნალებში. ჩემი ლექსები თარ-

გმნილია რუსულად, უკრაინულად, ბელორუსულად, სომხურად და სხვ. მოკავშირე ეროვნებათა ენებზე. უკრაინულად ამ წელს გამოვა ჩემი ლექსების წიგნი. ვიყავი ერთი რედაქტორთაგანი მრავალი ქართული მხატვრული გამოცემების და ქართული მწერლობის თარგმანების რუსულ ენაზე (ვლ. მაიაკოვსკის ლექსები, შევჩენკოს პოემები და ლექსები, ახალი კოლხიდა, რუსთაველისადმი მიძღვნილი კრებული, ბედნიერების სიმღერები, ბარათაშვილის ლექსები რუსულად, და ქართული პოეზიის ანტოლოგია რუსულად და სხვ.). ვარ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი 1930 წლიდან და ახლა ვითვლები აგრეთვე საქ. საბჭოთა მწერლებისა და პოეტების სექციის თავმჯდომარეთ. ამა წლის თებერვალს საბჭოთა ხელისუფლებამ ჩემი სამწერლო მუშაობისათვის დამაჯილდოვა „შრომის წითელი დროშის“ ორდენით. ჩემი მთელი საზოგადოებრივი სამწერლო მუშაობა მიმართულია საბჭოთა სინამდვილის და დიდი ბელადის ერთგულებისადმი. ჩემი მიზანია, ვემსახურო საბჭოთა სამშობლოს, რომელმაც აღმზარდა და დამავაჟიკა მე, როგორც პოეტი და მოქალაქე.

სიმონ ჩიქოვანი

გიორგი ნადირაძე

Автобиография

Родился в 1902 году в сел. Нижне-Мачхаани (Сигнахский район, Груз. ССР). Родители мои занимались сельским хозяйством. В 1921 году закончил среднее образование и поступил на философский факультет Тбилисского Государственного Университета. В 1924 году я перешел на литературный факультет. Высшее образование закончил в 1929 году.

Работаю в советских учреждениях с 1924 г.

С 1937 года начал читать лекции в высших учебных заведениях Тбилиси, Гори и Сталинири (Юго-Осетиинская Автономная Область). Читаю лекции по истории всеобщей литературы (античной и западно-европейской), литературоведению и истории эстетических учений.

Печатаюсь в грузинской прессе с 1924 года. Состою членом Союза Советских Писателей Грузии. За 12 лет литературной работы мною опубликовано большое количество критических статей и научных произведений по вопросам художественной литературы и искусства. За это время государственным издательством издано отдельными книгами несколько моих произведений и переводов.

В июне текущего года я представил Институту Грузинской литературы имени Руставели при Академии Наук Грузинской ССР диссертацию „К вопросу об эстетической концепции Руставели“ на соискание ученой степени кандидата филологических наук. Защита диссертации задержалась вследствие болезни одного из рецензентов.

Помимо педагогической и литературной работы я всегда занимался общественной работой, руководил литературно-художественными кружками на фабриках и заводах, читал публичные лекции и т. д.

Г. Надирაძე
26. X. 47

ივანე პაპასკირი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | პაპასკირი ივანე გრიგოლის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1902 თვე დეკემბერი დღე — |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. კვიტაული (ოჩამჩირის რაიონი) |
| 4. ეროვნება | აფხაზი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პროზა |
| 8. რა ენაზე წერს | აფხაზურ |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1932 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1940 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | – |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|--|---|
| <p>14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)</p> | <p>მქონდა გამოცხადებული საყვედური სახელგამის მუშაობის ჩავარდნების გამო, მაგრამ მომესსნა 1952 წელს</p> |
| <p>15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)</p> | <p>უმალლესი, სუხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი</p> |
| <p>16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)</p> | <p>არა</p> |
| <p>17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)</p> | <p>რუსული, აფხაზური</p> |
| <p>18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)</p> | <p>არა</p> |
| <p>19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)</p> | <p>არა</p> |
| <p>20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)</p> | <p>ვმსახურობდი სუხუმის სამხედრო ნაწილში პოლიტხელად 1941 წლიდან 42 წლამდე</p> |
| <p>21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)</p> | <p>–</p> |
| <p>22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)</p> | <p>არა</p> |
| <p>23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)</p> | <p>არა</p> |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>დეპუტატი სუხუმის ქალაქის საბჭოსი</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>—</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ლენინის 13</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1925 | 28 | ლიტმუშაკი | გაზ. „აპსნი კაპში“ | სუხუმი |
| 1929 | | სტუდენტი | აღმოსავლური ენების ინსტიტუტი | ლენინგრადი |
| 1929 | 30 | ინსპექტორი – კულტმუშაკი | აფხაზეთის კოოპერ. გაერთი- ანება | სუხუმი |
| 1930 | 37 | პარტ. განყ. გამგე | გაზ. „აპსნი კაპში“ | „–“ |
| 1937 | 38 | ინფორმაციის გან. გამგე | „–“ | „–“ |
| 1938 | | რედაქტორი | „–“ | „–“ |
| 1939 | 43 | უფროსი ლიტ- მუშაკი | სახელგამი | „–“ |
| 1943 | 49 | დირექტორი | „–“ | „–“ |
| 1950 | | აფხაზური გამო- ცემების რედაქ- ტორი | „–“ | „–“ |
| | | 1952 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

ივანე გიორგის-ძე პაპასკირის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1902 წლის დეკემბერში ოჩამჩირის რაიონის (აფხაზეთი) სოფ. კვიტაულში. ჩემი მშობლები ენეოდნენ მინათმოქმედებას.

1929 წელს მშობლები შევიდნენ კოლმეურნეობაში.

1915 წელს მშობლიურ სოფელში დავამთავრე ორკლასიანი სკოლა, ხოლო 1925 წელს სუხუმის პედაგოგიური ტექნიკუმი. 1925–28 წლებში ვსწავლობდი ლიტმუშაკად გაზეთში „აპსნი კაპში“. 1928–29 წლებში ვსწავლობდი ლენინგრადის აღმოსავლურ ენების ინსტიტუტში. 1929–30 წლებში ვმუშაობდი აფხაზეთის კოოპერატიულ გაერთიანების კავშირში ინსტრუქტორის თანამდებობაზე.

1930–37 წლებში კი ისევ გაზეთ „აპსნი კაპის“ რედაქციაში ვმუშაობდი პარტიულ განყოფილების გამგედ. 1938 წელს დამანიანურეს ამავე გაზეთის რედაქტორად. დაშვებული შეცდომების გამო ამ თანამდებობიდან მოხსნილი ვიქენი.

1939–43 წლებში მე ვმუშაობდი აფხაზეთის ასსრ სახელგამის ლიტმუშაკად. შემდეგ კი დირექტორად. 1950 წლიდან დაწყებული ვმუშაობ იქვე აფხაზური გამოცემის რედაქტორად.

კომკავშირის რიგებში შევედი 1921 წელს, 1938 წელს შევედი სკკპ წევრად. ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვედი 1932 წელს.

ჩემი ნაწარმოებების სია:

1. „ხანგრძლივი ცხოვრებისაკენ“, რომანი, 1948 წ.
2. „ხიმურის გზა“, რომანი, 1950 წ.
3. „კარვალის ფოთები“, მოთხრობა, 1950 წ.
4. მოთხრობები: „ბრიგადირი“, „ხბო“, „ნერილი ფრონტიდან“, „ორი ცნობა“, „სახრჩობელაზე“, „ტოსია ბულანოვა“ და სხვ. გამოცემულია სხვადასხვა დროს.
5. „თემირი“, მოთხრობა.

1952 წ.

ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ვიქტორ გაბესკირია

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | გაბესკირია ვიქტორ იპატის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | არა აქვს |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1903 თვე იანვარი დღე 28 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ქ. ფოთი |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია, დრამატურგია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულზე |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1929 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1935 წლიდან |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმალლესი, დაუმთავრებელი, ფილოლოგიის ფაკულტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსულ, ქართული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|--|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემაღენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღ-გენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღ-გენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>არასამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, რო-დის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>საქართველოს საბჭოთა მწერლე-ბის კავშირის გამგეობის წევრი</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედა-ლი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>მწერლობა</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>გოგებაშვილის 43</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უნწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|---|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1923 | 1926 | ლიტმუშაკი | გაზ. „ფუხარა“ | ბათუმი |
| 1928 | 1933 | ლიტ. განყოფი- ლების გამგე | გაზეთი „წითელ- არმიელი“ | თბილისი |
| 1933 | 1936 | ლიტ. განყ. გამგე | გაზ. „მუშას“ რედ. | თბილისი |
| 1942 | 1943 | უფრ. რედაქტო- რი ლიტ. დრამა- ტიული სექციისა | რადიოკომიტეტი | თბილისი |
| 1947 | | დრამსექციის თავმჯდომარე | საქ. მწერალთა კავშირის დრამა- ტიული სექციისა | თბილისი |
| | | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

ვიქტორ იპატის ძე გაბესკირიას ავტობიოგრაფია

დავიბადე 1903 წელს ქალაქ ფოთში, 28 იანვარს (ძვ. სტილით), მოსამსახურის ოჯახში. ვსწავლობდი ფოთის გიმნაზიაში.

1924 წელს შევედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც არ დამიმთავრებია.

წერა ადრე დავიწყე, პირველი ჩემი ლექსი დაიბეჭდა 1917 წელს მონაფეთა გაზეთში.

შემდეგ სისტემატურად ვიბეჭდებოდი პერიოდულ გამოცემებში: „ბახტრიონი“, „რუბიკონი“, მწერალთა კავშირის სხვადასხვა სახელწოდების ორგანოებში; გაზეთებში: „კომუნისტში“, „მუშაში“ და სხვა.

ჩემი ლექსების პირველი კრებული გამოვიდა 1929 წელს. ლიტერატურული მუშაობის გარდა, 1925 წლიდან ვიდრე 1933 წლამდე ვმსახურობდი გაზ. „ფუხრაში“ (საბჭოთა აჭარა), „კომუნისტში“, „მუშაში“ და უკანასკნელად გაზეთ „წითელ არმიელ“-ს რედაქციაში.

ვიყავი დრამსექციის ხელმძღვანელი საბჭოთა მწერლების კავშირში. ამჟამად ვწვები ლიტერატურულ მუშაობას.

ვიქტორ გაბესკირიას ნაწარმოებთა სია

1. ლექსების კრებული, 1-ლი და 2-ე.
2. „ლაქაშებს შორის“ (პიესა), 1933 წ.
3. „მათი ამბავი“, „-“, 1938 წ.
4. „ქეთევან ნამეხული“, „-“, 1943 წ.
5. „უფსკრულთან“, „-“.
6. „გაზაფხულის დილა“.
7. „საყვარელი ეზო“, „-“.
8. „ბალი ზღვის პირას“ (პიესა).
9. ლექსების წიგნი, 1950 წ.
10. „გმირთა სოფელში“ (ნარკვევი), 1950 წ.
11. ცალკეული ლექსები.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ალექსანდრე ჭეიშვილი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ჭეიშვილი |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | არა მაქვს |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1903 თვე მარტის დღე 17 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ასკანა (ოზურგეთის რაიონი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | მხატვრული პროზა, ლიტერატურ- რათმცოდნეობა, კრიტიკა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1927 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1936 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებ- ში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არც ერთს |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | 1917 – 23 წლამდე სოც. ფედერა- ლისტთა ახალგაზრდა ჯგუფში |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმალლესი, ფილოსოფიური ფაკულტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული, ქართული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | ლიტმუშაკი სამხედრო გაზეთ „ბოეც რკკა“, თბილისში; ბრძოლებში არ მიმიღია მონაწილეობა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული – პო-ლიტნანტი ვუს 8</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, რო-დის, რამდენ ხანს)</p> | <p>1930 წელს ვიყავი მივლინებაში გერმანიაში (ბერლინის უნივერ-სიტეტში), 1932 წლამდე</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>მწერლობა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედა-ლი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>სტალინური პრემია II ხარისხისა მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>მწერლობა</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>გოგებაშვილის 43</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უნწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღ- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|---|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1922 | 23 | კორრექტორი | რედ. გაზეთ „ტრი- ბუნა“ | თბილისი |
| 1924 | 26 | ლექტორი | გაერთიანებული სამხედრო სკოლა | თბილისი |
| 1926 | 29 | ასპირანტი | თბ. სახ. უნივერ- სიტეტი | თბილისი |
| 1932 | 45 | დოცენტი | თბ. სახ. უნივერ- სიტეტი | |
| 1941 | 49 | უფრ. მეცნ. მუ- შაკი | მეცნიერებათა აკადემია | |
| | | სწორია: ნ. კლდ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ჭეიშვილის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1903 წლის 17 მარტს, სოფ. ასკანაში (მახარაძის რაიონი საქარ. სსრ), გლეხის ოჯახიდან.

1926 წ. დავამთავრე ფილოსოფიური ფაკულტეტი თბილისის სახ. უნივერსიტეტისა. უნივერსიტეტთან დავამთავრე ასპირანტურა.

1929 წ. ვიყავი დანიშნული ფილოსოფიის კათედრაზე.

1928 წ. ვიყავი მიღებული კპ(ბ) წევრად.

ლიტერატურული მუშაობა დავიწყე 1927 წ. ვმუშაობდი კრიტიკის დარგში.

1929 წელს დავბეჭდე მხატვრული კრიტიკის ნაშრომი „ცხენის უზანგი“, დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“. 1930 წელს დაიბეჭდა ნარკვევი „ბრიგადირის დღიური“ ჟურნ. „მნათობში“. მუშაობას განვაგრძობდი ლიტერატურის კრიტიკის დარგში მეცნიერული ხაზით. სისტემატურად ვიბეჭდებოდი ჟურნალებში: „მნათობსა“ და „ლიტერატურნოე ზაკავკაზიე“ და „ნა რუბეჟე ვოსტოკა“, აგრეთვე ქართულ გაზეთში „ლიტერატურული გაზეთი“.

1938 წელს გამოვიდა ჩემი პირველი რომანი „ლელო“. სამამულო ომის პერიოდში მე შევასრულე მრავალი დავალება ა/კავკასიის ფრონტისათვის. გამოვდიოდი რესპუბლიკურ პრესაში მხატვრული ნარკვევის ხაზით.

1941 წელს გამოვიდა ჩემი მოთხრობების კრებული სამამულო ომის თემაზე. რომანი „ლელო“ გამოვიდა მეორეჯერ, გადამუშავებული, 1946 წელს.

1943 წელს დავიცავი დისერტაცია თემაზე: „ვაჟა-ფშაველა“.

1948 წელს გამოვიდა ჩემი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების კრებული, რომელიც მიძღვნილია თანამედროვე კლასიკურ ლიტერატურის საკითხებზე. ამავე 1948 წელს ჩემს მიერ გამოცემული იქნა რომანი „ლელოს“ მეორე წიგნი, ძირითადად გადავამუშავე პირველი წიგნი. 1948 წლის ბოლოს გამოვიდა 1 და 2 ნაწილი რომანისა ცალკე წიგნად, გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“-ს მიერ, რუსულ ენაზე.

რომანი „ლელო“ განხილული იყო გაერთიანებულ სხდომაზე საქართველოს ლიტერატურის თეორიის და კრიტიკის კომისიის მიერ საქარ. მწერალთა კავშირისა. რომანზე მოთავსებული იქნა რეცენზია მოსკოვის პრესაში.

მივიღე რა მხედველობაში მოცემული შენიშვნები, მე ისევ გადავამუშავე აღნიშნული რომანი და გადამუშავებული გამოცემული იქნა 1950 წელს მოსკოვში „გოსლიტიზდატის“ მიერ. ამჟამად მე ვმუშაობ ახალ რომანზე, რომლის თემად აღებული მაქვს სტალინური ხალხთა მეგობრობა.

ნაწარმოებების სია: 1. „ცხენის უზანგი“, 1927 წ. 2. „ბრიგადირის დღიური,“ მოთხრობა. 3. „მშობლიური ხმა“, „დაიგვიანეს“. 4. „ლელო“, პირველი წიგნი. 5. კრიტიკული წერილები და ნარკვევები ცალკე წიგნებად. 6. „ლელო“, მეორე წიგნი; „ლელო“, გადამუშავებული რუსულად, 50 წ. 7. ნარკვევი „სამშობლო ველზე“, „კახეთის ფერები“. 8. კრიტიკული წერილები. 9. რომანი „დიდი ტალღა“ და სხვა.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვდასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

აკაკი ბელიაშვილი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ბელიაშვილი აკაკი იონას-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | არა მაქვს |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1903 თვე აპრილი დღე 11 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ქ. ქიათურა |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | ბელეტრისტი, კინო-დრამატურგი |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულ და რუსულ |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1920 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1938 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | მემარცხენე დაჯგუფება |
| 12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, დაუმთავრებელი მეოთხე კურსიდან პოლიტექნიკურ ინსტიტუტის |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული, ქართული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>ადმინისტრ. შემადგენლობა</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>ძმა – საფრანგეთში</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კინოსექციის ხელმძღვანელი</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>ორდენი „საპატიო ნიშანი“; მედალები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>–</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>თბილისი, გოგებაშვილის 43</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|---|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1925 | 1929 | „მარკუშიდერი“ | ჭიათურის მაღა- როებში | ჭიათურა |
| 1929 | 1930 | ტოპოგრაფი | სამთო სამმართ- ველო | თბილისში |
| 1930 | 1933 | „-“ | მინეროლოგიის ინსტიტუტში | „-“ |
| 1933 | 1935 | გამომცემლობის გამგე | საქართველოს გეოგრაფიულ სა- ზოგადოებისა | თბილისი |
| 1935 | 37 | კინოსტუდიის სასცენარო განყ. გამგე | თბილისის კინოს- ტუდიაში | |
| 1937 | წლიდან | ემუშაობ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კინოსექციის ხელმძღვანელად | | |
| | | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

აკაკი იონას-ძე ბელიაშვილის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1903 წელს ქალ. ჭიათურაში, სამთო ტექნიკის ოჯახში. მამა ჩემი წერდა პატარ-პატარა ლექსებსა და მოთხრობებს. იგი გარდაიცვალა 1924 წელს. დედა იყო დიასახლისი და ამჟამად არის პერსონალური პენსიონერი და მუდმივად ცხოვრობს ადგილობრივ – საჩხერეში.

მე ვსწავლობდი ქუთაისის გიმნაზიაში, რომელიც დავამთავრე 1921 წელს და იმავე წელს შევედი უმაღლეს სასწავლებელში ა/კ პოლიტექნიკურ ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტზე. მეოთხე კურსიდან სწავლას თავი დავანებე და სრულიად გადავედი 1920 წ. ლიტერატურულ საქმიანობაზე, რომელიც მიზიდავდა კიდეც ბავშვობიდან.

გიმნაზიაში სწავლის დროს მე ვწერდი პატარ-პატარა მოთხრობებს, მიხიატურებს, მონაწილეობას ვიღებდი ლიტერატურულ წრეების მუშაობაში და ახალგაზრდობის მიერ დაარსებულ და გამოცემულ ჟურნალებში.

1946 წლამდე დაწერილი მაქვს დიდი რაოდენობის მოთხრობები და ნარკვევები თანამედროვე თემაზე.

დავწერე ორი რომანი, რამდენიმე კინო-სცენარი, რომელზედაც გამოშვებულია ფილმები და პიესები. ცალკე წიგნებად გამოცემულია მოთხრობების 11 კრებული, და 2 კრებული რუსულ ენაზე.

დიდ სამამულო ომის პერიოდში ჩემს მიერ დაწერილია ორი კრებული საბრძოლო თემაზე ნოველების სახით და ერთი რუსული თარგმანი.

დავწერე რომანი, რომელშიაც ასახულია 1942 წელი, „ქარიშხალი“.

1941 წელს მიწვეული ვიყავი სახკინმრეწვის სასცენარო განყოფილების გამგის თანამდებობაზე კინოსტუდიაში. ერთსა და იმავე დროს მე ვიყავი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კინო-მუშაკთა სექციის ბიუროს ხელმძღვანელი და პროზაიკოსთა ბიუროს წევრი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლის თავთან დაკავშირებით დაჯილდოვებული ვიქენი „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“.

აკ. ბელიაშვილის ნაწარმოებთა სია: 1. მოთხრობათა კრებული, 1937 წ. 2. ახალ მოთხრობათა კრებული, 1939 წ. 3. მოთხრობათა კრებული, 1940 წ. 4. პატარა მოთხრობათა კრებული, 1942 წ. 5. მოთხრობათა კრებული რუსულად, 1942 წ. 6. რომანი „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“, წიგნი პირველი, 1943 წ. 7. მოთხრობათა კრებული, 1943 წ. 8. მოთხრობათა კრებული, 1944 წ. 9. რომანი „ქარიშხალი“, 1945 წ. 10. „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“, მეორე და მესამე წიგნი, 1946 წ. 11. „თავგადასავალი ბესიკისა“, მთლიანი წიგნი, 1948 წ. 12. „ოქროს ჩარდახი“, რომანი, 1949 წ. 13. 1942–50 წლებში რამდენიმე მოთხრობა და ნარკვევი. 14. რომანი „ოქროს ჩარდახი“, 1951 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვდასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ალიო მირცხულავა – მაშაშვილი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | მირცხულავა ალიო ანდრეას-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | ალიო მაშაშვილი |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1903 თვე აპრილის დღე 28 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. ხორგა |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია, დრამატურგია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართული |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1921 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1934 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია |
| 12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|-------------------------|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, დაუმთავრებელი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული, ქართული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემაღგენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღგენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სამხედროვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>მწერლობა და სხვადასხვა სარედაქციო კოლეგიის წევრობა და სხვ.</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>ლენინის ორდენი; ორი ორდენი: „შრომის წითელი დროშისა“, ორდენი „საპატიო ნიშნისა“; მედლები: „კავკასიის დაცვისთვის“, „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>ამჟამად არ მუშაობს – ეწევა ლიტერატურულ საქმიანობას</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>კ. მარქსის მოედანი 1, 3-32-88</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1921 | 23 | ინსტრუქტორი | ალკკ საქართვე- ლოს | თბილისი |
| 1927 | 30 | მდივანი | პროლეტ. მწერალ- თა ასოციაციისა | „-“ |
| 1931 | 32 | პ/მგ. მდივანი | მწერალთა „ფე- დერაციისა“ | „-“ |
| 1937 | 39 | პ/მგ. მდივანი | მწერალთა კავში- რისა | |
| 1939 | 44 | ინსტრუქტორი | საქ. ცენტრალუ- რი კომიტეტისა | |
| 1936 | 46 | შეთავსებით პ/მგ. რედაქტორი | ჟურნ. „მნათობი- სა“ | |
| | | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

შეკვ. №193. ტ. 1000

ხელმოწერა _____

ა. მირცხულავას – მაშაშვილის ნაწარმოებთა სია:

1. რჩეული ლექსები, 1934 წელ.
2. ერთტომეული, ლექსები, 1939 წ.
3. რჩეული ნაწერები, 1941 წ.
4. ლექსები რუსულ ენაზე, 1942 წ.
5. „ახალი ოცნება“, ლექსები, 1946 წ.
6. პოემა „რუსთავი“, 1950 წ.
7. „სამშობლოს ჰიმნი“, 1951 წ.
8. რჩეული ლექსები და პოემები.
9. დანერილი მაქვს მრავალი ლექსის, პოემების კრებულები და სხვ.
10. ამჟამად გამოვიდა „მოგზაურობა ჩინეთში“, 1956 წ.

სწორია: ნ. კლ., 1957 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ავტობიოგრაფია

როდესაც ავტობიოგრაფიის წერა მიხდება, ყოველთვის ერთი არასასიამოვნო ამბავი გამახსენდება. ეს იყო, მგონი, 1930 წელს (კარგად არ მახსოვს). ოდესღაც დღიურებს ვწერდი. შემონახული მქონდა ამ დღიურებით შევსებული შვიდი წლის კალენდარი. ერთხელ სახლში მესტუმრა „მეგობარი“ კრიტიკოსი. სამუშაო კაბინეტში შემასწრო დღიურების წერის დროს. რამდენიმე გვერდის გადაკითხვის შემდეგ ის რატომღაც ჩემი დღიურებით ძალზე დაინტერესდა. ბევრი ხვეწნისა და ფიცის შემდეგ მან ეს დღიურები (შვიდი წლის კალენდარი) გამომტყუა, თანაც შემომფიცა, ერთ კვირაში დაგიბრუნებო. მაგრამ მოტყუებული დავრჩი. გადიოდნენ დღეები და კვირები და ჩემი დღიურების კვალსაც ვერ ვაგნებდი. „მეგობარი“ კრიტიკოსი კი ყოველ შეხვედრაზე მპირდებოდა, ხვალ-ზეგ უსათუოდ მოგიტანო. თანდათან მეც გადამავიწყდა დღიურების ამბავი. ერთხელ რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში მიმდინარეობდა კომკავშირის აქტივის კრება. მოხსენებას აკეთებდა ს.კ.პ.(ბ) ცეკას მაშინდელი მდივანი ლ. ლოლობერიძე, ხალხის მტერი. ამ კრებას მეც ვესწრებოდი, როგორც კომკავშირელი პოეტი და პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის და საქართველოს მწერალთა ფედერაციის პ/მგებელი მდივანი. პირველ რიგში ვიჯექი და თავს არხეინად ვგრძნობდი. მაგრამ, უცებ, თქვენ წარმოიდგინეთ ჩემი დაბნეულობა და უხერხულობა, როცა ცეკას მდივანმა, ილაპარაკა რა კომკავშირელის მორალსა და თვისებაზე, გახსნა პორთფელი, ამოიღო კალენდრების დასტა, გადაფურცლა ერთი მათგანი და კითხვა დაიწყო. ტანში გამაჟრჟოლა: ეს ხომ ჩემი დღიურებიდანაა? მომხსენებელი ყოველ ჩემს ციტატას თავისებურ დასკვნას უკეთებდა და დღიურების ავტორს სასტიკად მამათრახებდა. მერჩია, მინა გამსკდომოდა და უფსკრულში ჩავსულიყავი. არ მახსოვს, როგორ გამოვედი დარბაზიდან.

მომხსენებელი პოლიტიკურ კვალიფიკაციას უკეთებდა ჩემს მოსაზრებებს: მართალი უნდა მოგახსენოთ – ამ დღიურებში ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწესაც ვაკრიტიკებდი, უარყოფითად ვახასიათებდი, განსაკუთრებით ფილიპე მახარაძეს. ეს კაცი, რატომღაც, თავიდანვე არ მომწონდა. არ მომწონდა მისი მეტისმეტად მედიდური და უკმეხი ხასიათი. ალბად იმიტომ, რომ მას ახალგაზრდობა არ უყვარდა, განსაკუთრებით ახალგაზრდა პროლეტარული მწერლები. ისეთ თავზეხელაღებულ და საეჭვო მწერლებს კი მფარველობდა, როგორც იყვნენ: პ. ქიქოძე, ფ. ნაროუშვილი და სხვები, როდესაც ისინი „კაციჭამიურ“ ბრძოლას აწარმოებდნენ ქართველი კლასიკოსების, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ. მახსოვს, ერთხელ, მგონი, 1926 წელს, მოსკოვიდან არდადეგებზე ჩამოსული, დროებით ვმუშაობდი ჟურნალ „მნათობი“-ს რედაქციაში. რედაქტორის დავალებით მას მივუტანე სახლში მისივე წერილის ამონაბეჭდები. მოსამსახურემ კარი გამიღო, იკითხა ჩემი ვინაობა. მერე კარებთან გამოჩნდა ფილიპეს მეუღლეც. ანაბეჭდები გამომართვა და კარი მიიხურა. თითქმის ერთ საათს დერეფანში ვიცდიდი. თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობდი. მაშინ მე, ასე თუ ისე, საკმაოდ ცნობილი ახალგაზრდა პოეტი ვიყავი. არ შეიძლება, ჩემი სახელი ფილიპე მახარაძეს გაგონილი არ ჰქონოდა. მან კი ოთახში შეპატიჟების ღირსიც არ გამხადა... კიდევ მეორე მაგალითი: ეს იყო უფრო გვიან, 1932 წელს. მაშინ მე ცოლშვილიანი ვიყავი. ბინის მხრივ საშინელ მდგომარეობას განვიცდიდი. ვცხოვრობდი პუშკინის ქუჩაზე №3, მდებარე ძველ და ბინძურ სახლში (ყოფილ სასტუმროში), რვა კვ. მეტრიან ოთახში. ერთხელ, როგორც იყო, მაკლერის მეოხებით მოვახერხე ბინის გადაცვლა. ბინის გადამცვლელი აღმოჩნდა ვილაც ცაბაძე. იგი ცხოვრობდა ძერჟინსკის ქუჩაზე №9, სახანძრო რაზმის გვერდით, კუთხის სახლში. ვინაიდან მოქ. ცაბაძის ბინა შესდგებოდა ორი მოზრდილი ოთახისაგან, მან მოითხოვა შეღავათი. იძულებული გავხდი, ჩემი სიმამრი, თავისი ცოლშვილით გადამეყვანა ჩემს ოთახში და მისი ოროთახიანი ბინა, რომელიც მოთავსებული იყო ჩემს გვერდით, დამეთმო ცაბაძისათვის. ამრიგად, ბინის საკითხი თითქოსდა მოგვარდა. მაგრამ არ გასულა კვირაც და ერთი ამბავი ატყდა ჩემი ახალი ბინის გარშემო. გამომედავა პოეტი ალექსანდრე აბაშელი. თურმე, ნუ იტყვი, ყოფილი რევოლუციონერის – ვასო ცაბაძის ნაბინარში ჩავსახლებულვარ. ვასო ცაბაძე, შემთხვევით იყო თუ სხვა მიზეზით, 1924 წლის აგვისტოს ავანტიურაში მონაწილეობისათვის დაუხვრეტიათ. პოეტი აბაშელი კი თურმე მეურვეობდა მის ობლებს. მე ეს მდგომარეობა არ ვიცოდი. რასაკვირველია, ძალზე შევწუხდი. მიუხედავად ათასგვარი თხოვნისა და შუამდგომლობისა, აბაშელი პრინციპზე დადგა. დარაზმა „შეწოხელი“ მწერლები და კოლექტიური საჩივრით მიმართა ფ. მახარაძეს. საჩივარში მე გამოყვანილი ვიყავი, როგორც უზურპატორი. ფ. მახარაძემ სასწრაფოდ გასცა ბრძანება ბინიდან ადმინისტრაციული წესით ჩემი გასახლების შესახებ. საქმეში ჩაერია ხან პარტიის ცეკა, ხან კომკავშირი, ხან მწერალთა კავშირი, მაგრამ მთავრობის თავმჯდომარეს სიტყვა ვერ გადაათქმევინეს. არც ალექსანდრე აბაშელი ცხრებოდა. მას ამხ. ს. ორჯონიკიძისთვისაც გაუგზავნია საჩივრის წერილი. ამხ. ს. ორჯონიკიძის რეზოლუციის თანახმად, ჩემთვის

სამაგიერო ბინა უნდა მოეცათ. მაგრამ ფ. მახარაძემ თავისი მაინც გაიტანა და იმავე წლის, სწორედ რვა მარტს, ადმინისტრატული წესით ბინიდან გამასახლეს, ბარგები ქუჩაში გამიყარეს. იძულებული გავხდი, ამეკრიფა ჩემი ბარგი-ბარხანა და სასტუმრო „პალასში“ გადავსულიყავი დროებით საცხოვრებლად. ამრიგად, ჩემი რვა კვ. მეტრიანი ოთახიც დავეკარგე. ცაბაძის ნაბინარში კი გაიხსნა შინაურული სასადილო, რომელსაც დიასახლისობდა აბაშელის მეუღლე...

აი, ეს სამარცხვინო ამბავი მქონდა აღწერილი ერთერთ დღიურში. შემდეგში, როგორც გავიგე, ჩემი დღიურები ხელში ჩავარდნოდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ მაშინდელ რედაქტორს, ხალხის მტერს – დავით ვოლსკის. უკანასკნელის მეშვეობით კი ეს დღიურები გადასულიყო ლ. ლოლობერიძის განკარგულებაში. რასაკვირველია, მარტო გაკიცხვას არ დამაჯერეს. მეორე დღესვე იმავე ლოლობერიძის თავმჯდომარეობით შესდგა მწერალთა ფედერაციის კრება და მე მდივნობიდან გადამაყენეს. ასე დამთავრდა ჩემი დღიურების ისტორია... მე განზრახ გავუკეთე ასეთი გრძელი შესავალი ჩემს ბიოგრაფიას, რათა იცოდეთ, თუ რა გულისტკივილით განვიცდი ჩემი შვიდი წლის დღიურების უგზო-უკვლოდ დაკარგვას. ეს დღიურები რომ არ დაკარგულიყო, შეიძლება, ბევრი საინტერესო მასალა დარჩენოდა მომავალ თაობას ჩემი ცხოვრებიდან. ასე კი, ერთბაშად ძნელია ავტობიოგრაფიის დაწერა, მით უფრო ბავშვობისა და ყრმობის წლებიდან. ამას კი მახსოვრობის ფანტასტიური ნიჭი სჭირდება... მაინც მოგახსენებთ ცოტა რამეს ჩემი ბიოგრაფიიდან:

დავიბადე 1903 წელს, 28 აპრილს (ძველი სტილით), სოფელ ხორგაში, შეძლებული გლეხის ოჯახში. ბაბუაჩემი – ნიკოლოზ მირცხულავა მაშინდელი სოფლის პირობებში განათლებულ კაცად ითვლებოდა. შეძლებულადაც ცხოვრობდა. ედგა ძველი, მამაპაპური რვათავლიანი ოდა, რომლის წინ აღმართული ასწლიანი ჭადარი თითქმის ჰექტარიანი ეზოს ნახევარს ფარავდა. იგი იყო მწიგნობარი და განთქმული მედავითნე. შესანიშნავად იცოდა ქართული, რუსული, თათრული და ბერძნული ენები. სახლში საკმაო ბიბლიოთეკაც გააჩნდა, უფრო მეტად საღვთო წიგნები. იცნობდა საერო ლიტერატურასაც. ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსნი“-ს ბევრი ადგილი, განსაკუთრებით აფორიზმები. სიტყვა-პასუხში ხშირად ამ აფორიზმებს იშველიებდა. შესახედავად ფრიად ლამაზი და წარმოსადეგი კაცი იყო. მაღალი, ახოვანი, მკერდზე ფართო, თეთრი წვერები ეყარა. ნამდვილი ბიბლიური სახე ჰქონდა. იგი ერთ დროს ივანე ჯავახიშვილთან ნაცნობობასაც კი ჩემულობდა. ხობის მონასტერში ბერად ყოფნის დროს თითქოს მასთან მოსულიყოს ივანე ჯავახიშვილი, გამოეკითხოს მონასტრის წარსული, მისი ვინაობა-გენეალოგიაც. და ივანე ჯავახიშვილს მაშინ ეთქვას, თითქოს რომ გვარი „მირცხულავა“ წარმოსდგება ქართული ვარსკვლავიდან, თითქოს ჩვენი წინაპრები ერთდროს ვარსკვლავთმრიცხველები ყოფილიყვნენ და სხ. ბაბუჩემმა ასხუთი წელი იცოცხლა, გარდაიცვალა შემთხვევით – ცხენიდან ჩამოვარდნის დროს.

მამაჩემი – ანდრია ნიკოლოზის-ძე მირცხულავა – მინის დამუშავების გარდა – მოიჯარადრეობას ეწეოდა. წლების განმავლობაში სოფლის მექარ-

ხნეთა ამხანაგობაშიაც შედიოდა. ხობისწყლის პირად მუშაობდა სახერხსაფ-
ქვავე ქარხანა, რომლის მეხუთედი წილი მას ეკუთვნოდა. ერთხელ ამ ქარხა-
ნამ კინალამ იმსხვერპლა. ქარხანაში შემთხვევით გასკდა ათტონიანი საფქვა-
ვი ქვა და ზედ დაეცა, ფეხი მოსტეხა. დიდხანს მკურნალობდა ოდესაში, და-
ბეჟილი ფეხი მაინც ვერ გაუსწორეს. ერთხანს ეზოში, გზის პირად პატარა
სავაჭრო დუქანიც ედგა, მაგრამ ვაჭრობის შნო სრულებით არ ჰქონდა, მუდამ
აგებდა. სალაროში მხოლოდ ნისია – თამასუქები რჩებოდა. ამის გამო დედა-
ჩემსა და მამას შორის ხშირად უსიამოვნებას ჰქონდა ადგილი. ბოლოს და-
ცარიელებული დუქანი დიდის ვაი-ვაგლახით გადანეული იქნა უკანა ეზოში
და გადაკეთებული იქნა სიმინდის საწყობად. დედაჩემი – მაშული, გვარით
ქორთუა (ქორთუა – ქართულად ნიშნავს ქართველიშვილს), აზნაურის ქალი
იყო, სამეგრელოს აბასთუმნიდან. ბაბუაჩემი – დედით, მაცი ქორუა, შეძლე-
ბული ოჯახის პატრონად ითვლებოდა მთელ სოფელში. ენეოდა მევენახეო-
ბას. წლიდან წლამდე მის მარნებში გამოულეველი იყო ცოლიკოურის ღვინო.

დედაჩემი ბუნებით კეთილი, სანდომიანი და ღვთისმოსავი ქალი იყო. მე-
ზობლებში პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა დამსახურებული. ჩემი ოჯახი
განთქმული იყო სტუმართმოყვარეობით. ჩვენთან სტუმრობას არ თაკილობ-
დნენ იმდროინდელი ფეოდალებისა და თავადების ნაშიერები – ჯაიანები
და ლიპონავეები. თითქმის ყოველ წელიწადს შემოგვდიოდა სიმინდის უხვი
მოსავალი. ხანდახან ზედმეტი სიმინდი მამაჩემს ნავით (ხობისწყალზე) გაჰ-
ქონდა ფოთში გასასყიდად. მახსოვს, ერთხელ (მაშინ მე შვიდი წლის თუ
ვიქნებოდი) სიმინდით სავსე ნავი გადაგვიბრუნდა ხობისწყალზე და ხუთას
ფუთამდე სიმინდი წყალში ჩაგვიცვივდა. მაგრამ ეს უბედურება ჩვენს ოჯახს
თითქმის არც კი დასტყობია. სამაგიეროდ, ნავის გადაბრუნების ადგილას
იმ წელს გაჩნდა უამრავი თევზი და გაჩაღდა დიდი თევზაობა. სოფლის
განთქმულმა მელექსემ – ეფრემ კაკულიამ ამაზე ლექსიც კი გამოიგონა:
„ნეტავი, დამაჭერინა ხის მოგრეხილი კავებით – ჩვენი ანდრიას სიმინდით
გასუქებული ღლავეები“ (მომყავს ქართულად).

ხორგა თავიდანვე მჭიდროდ დასახლებული სოფელი ყოფილა. მას შუაზე
ჰყოფს მდინარე ხობი, რომელიც უშუალოდ შავ ზღვას ერთვის, ყულევთან.
ზღვიდან ამ მდინარით ხშირად შემოდიოდნენ პატარა, აფრიანი სავაჭრო სან-
დლები. ყოველი ამ სანდლის გამოჩენა ჩვენთვის, სოფლის ბავშვებისათვის
მთელ სანახაობას წარმოადგენდა. სანდალი რამდენიმე დღით გაჩერდებოდა
ხობისპირად, ეკლესიის წინ, წაივაჭრებდა და გედივით კვლავ აფრას გაშლი-
და და ნელ-ნელა გაუდგებოდა გზას აღმა, ხობისაკენ. ხორგა ყველაზე მდი-
დარ და სიმინდის უხვმოსავლიან სოფლად ითვლებოდა ახლომახლო მდებარე
სოფლებს შორის. სიტყვა ხორგა ქართულად ნიშნავს ხორაგს.

მაგრამ ამ სიმდიდრესთან ერთად იგი განთქმული იყო ჭაობებით. ჭალა-
დიდის ზონის ჭაობებში უხვად ბუდობდნენ ბუზის ოდენა კოლოები. მოსახ-
ლეობის თითქმის ოთხმოდცდაათი პროცენტი მაღიარით იყო დაავადებული.
შვიდი წლის ვიქნებოდი, როცა სოფლის სასწავლებელში შემიყვანეს. ჩვენი
სკოლა მოთავსებული იყო შუახორგაში, სოფლის კანცელარიასთან, ჩემი სახ-
ლიდან ერთი ვერსტით დაშორებით, მდინარის პირად, მაღალ ქვის ბოკონებზე

შემდგარ ხის უზარმაზარ შენობაში. მეც მომისწრო სკოლის ველიკორუსულმა რეჟიმმა. მეგრულად ან ქართულად დალაპარაკებისათვის „ბეზაბედას“ ფირფიტა იყო შემოღებული. ვაი მაშინ, თუ ვინმე ცუდლუტი მონაფეთაგანი ამ ნალის ოდენა ფირფიტას შემოგაჩეჩებდა ხელში! სალამომდე სკოლაში უსმელ-უჭმელად დაგტოვებდნენ. რამდენჯერ მეც მერგო ეს სასჯელი. რამდენჯერ დიდი ხვენისა და მუდარის შემდეგ დედაჩემს „ტყვეობიდან“ დაეუხსნივარ ხოლმე. სკოლაში, თავის ქებად არ ჩამომართვათ და, პირველ მონაფეთ ვითვლებოდი. მასწავლებლებისაგან როზგი და ყურის აწვეა არ მახსოვს. ისე კი ძალიან მკაცრი და უხიაკი პედაგოგები გვყავდა. ზოგი მასწავლებელი მეტად დაოსტატებული იყო ბავშვთა ფიზიკურ „აღზრდაში“. თავში ჩააფრინდებოდა მონაფეს, ორივე ყურით მაღლა ასწევდა და ასე იმდენხან ეჭირა, სანამ სანყალ ბავშვს გუგებიდან თვალები არ გადმოეკარკლებოდა და აგლეჯილ ყურებიდან სისხლი ყელზე არ გაესკვნებოდა. განსაკუთრებით სიბეჯითეს ვიჩენდი მათემატიკაში, მართლწერაში, გრამატიკაში და ხატვაში. საღვთო სჯული არ მიყვარდა. უფრო იმიტომ, რომ მისი არც ერთი სიტყვა არ მესმოდა. ამ საგანს გვასწავლიდა სოფლის მღვდელი, ვინმე კინტირია კვირკველია, რომელსაც მონაფეები კინტირია ბერს ვეძახდით. იგი ცხოვრობდა სოფელ ქარიატაში, სკოლიდან ერთი ვერსტით დაშორებით. სახლიდან სკოლაში და პირიქით მუდამ ჯორზე შემჯდარი დადიოდა. დარში თუ ავდარში მუდამ ნაბადი ეხურა, თუმცა, მღვდელი და ნაბადი უცნაური შეხამება იყო მაშინ. ერთხელ კინტირია ბერის ჯორის საქციელმა აალაპარაკა მთელი სოფელი: კინტირია ბერი, ყოველ დღით, როცა სკოლაში შემოდიოდა, ჯორს თოკით ხეზე მიაბამდა და ზედ თავის გაცვეთილ ნაბადს გადააფარებდა. ერთ დღეს, როდესაც კინტირია ბერი თავის გაკვეთილს გვასწავლიდა, ჯორს თოკი აენწყვიტა და ნაბდიანად სახლში წასულიყო. ბერმა გამოგვეყო რამდენიმე მარდი მონაფე და დაგვასაქმა: არიქა, ჯორს გამოეკიდეთ და უკან დააბრუნეთო. გზად მომავლებმა გვითხრეს, ბერის ჯორი ნაბდიანად თავის ეზოში დგასო. გავფრინდით ბერის სახლისაკენ, შევცვივდით ეზოში და ჯორს ალყა შემოვარტყით, მაგრამ, მეტი არაა შენი მტერი, ჯორმა ტლინკების სროლა დაიწყო და ახლოსაც არ მიგვიკარა. არც მოფერებამ გასჭრა, არც მუქარამ. უკან გავბრუნდით, პატრონს სხაპა-სხუპით მოვასხენეთ ჯორის გაჯიუტების ამბავი. ბერმა წვრილი, ქალღური ხმით ერთი მაგრად შეიკურთხა და ჩქარი ნაბიჯით სახლისაკენ გასწია... სოფელში, ახლაც, კაცი რომ გაჯიუტდება, იტყვიან – კინტირიას ჯორზე შეჯდაო...

სხვა მასწავლებლებიდან, თავისი კეთილი და ლმობიერი ბუნებით მახსოვს ძველი, დამსახურებული მასწავლებელი – ნესტორ ჭითავა, რომელიც რუსულ ენასა და მათემატიკას გვასწავლიდა.

ჩემი მონაფეობის დროს სკოლა დაიწვა. ამის გამო სოფელში ხმაც კი დაირხა, თითქოს ეს სკოლა ძალით დაენვათ ქარიატელებს, რათა კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი თავიანთ სოფელში გადაეტანათ. ამაში სასამართლოც ჩაერია... მხოლოდ არ ვიცი, საქმე როგორ გათავდა. ყოველ შემთხვევაში – კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი ისევ შუახორგაში დარჩა და ჩვენც, ახალი სკოლის აგებამდე, სწავლას განვაგრძობდით იქვე

დაქირავებულ კერძო ბინებში. მონათლული ვარ ბიძის მიერ (დედით). მისივე სახელი მქვია. შინაურობაში „დურჩეს“ მეძახდნენ. „დურჩე“ ქართულად ნიშნავს თეთრთავას. ბავშვობაში ძალიან ანცი და დაუდგარი ხასიათის ვიყავი. ჩემი საყვარელი სათამაშო იყო რიკტაფელობა და ბურთაობა. ბურთს მე თვითონ ვაკეთებდი ბენვისაგან. დაოსტატებული ვიყავი აგრეთვე შვილდისრისა და „თახვანტიას“ გათლაში. „თახვანტიას“ ვეძახდით ლერწმისაგან გაკეთებულ იარაღს, რომელსაც რკოს „ტყვიებით“ ვტენავდით და შემდეგ ზუმპის საშვალეებით ვისროდით. ზოგიერთ „თახვანტიას“ ნამდვილი რევოლვერის ხმა ჰქონდა და მისგან გასროლილი „ტყვია“ კამეჩსაც კი ააფუცხუნებდა. ეზოში, დილიდან საღამომდე იდგა ამ „რევოლვერების“ ბათქა-ბუთქი. უხმო იარაღთაგან განთქმული იყო შურდული. მაგრამ ის იშვიათი იყო, რადგან მაშინ სოფლად სათანადო რეზინის შოვნა ჭირდა.

ზამთარში კი მიყვარდა ეზოს უკან რაგვის დაგება. როკზე გამოვაბამდი გრძელ თოკს და ქოხის კარის ჭუჭრუტანიდან ბელურებს ვუთვალთვალავდი. და როდესაც ბელურების გუნდი ფრთხილი გოგმანით შევიდოდა რაგვში მარცვლების ასაკენკად, უეცრად თოკით როკს გამოვაცლიდი და რაგვი (უკეთ რომ ვთქვავთ კარი) დამბლასავით თავზე დაეცემოდა დაფრთხალ ჩიტებს. ეს ნადირობა დიდი სიხარულის მომგვრელი იყო ჩემთვის.

ხობისწყალი საკმაოდ მოზრდილი მდინარეა. მისი განი ალაგ-ალაგ ასიოდე მეტრს უდრის. წყალი ყველგან სუფთაა, მტრედისფერი. თევზიც ბლომად იცის. ზაფხულობით ეს მდინარე ჩვენთვის სასპორტო მოედანს წარმოადგენდა. ბავშვები ერთმანეთს ვეჯიბრებოდით გაღმა-გამოღმა გამოცურვაში. მე კარგად ვიყავი განაფული ორლიით (მკლავებით) ცურვაში. მხოლოდ ჩაყვინთვა მეზარებოდა. ოდნავ წყლის შიში მქონდა. ერთხელ, ჩაყვინთვის დროს, ნაპირზე მიბმულ ტივებ-ქვეშ მოვექეცი და იქიდან ბავშვებმა ძლივს გამომათრიეს – წყლით გაგუდული და გონდაკარგული. ეს შიში დღემდე თან დამყვა. თუმცა ცურვის ოსტატობას ზედმინევენით ვფლობ, ზღვაში მაინც შორს ვერ შევდივარ, ბავშვობიდან თანდაყოლილი წყლის შიში მიპყრობს.

არდადეგებზე ხშირად დავდიოდი ჩემს ბიძასთან, აბასთუმანში, რომელიც ხუთმეტრიოდე ვერსტით იყო ჩემი სოფლიდან დაშორებული. აბასთუმანი 1500 მეტრით აღემატება შავი ზღვის დონეს. იქ გზა ადიოდა ბილიკეებით. მიყვარდა მთების ნაზი ბუნება, მიტაცებდა ნაკადულების გიჟმაყური ლტოლვა და ჩხრიალი. მხოლოდ მეზარებოდა ერთი ადგილის გავლა. ეს ოღრო-ჩოღლო ადგილი შემოროფილი იყო უზარმაზარი ქვებით. ბიძაჩემს უთქვამს – ეს ჩამქრალი ვულკანი არისო. თურმე შიგ ერთხელ ჩაუშვიათ გრძელ თოკზე გამობმული კატა და უკან მხოლოდ გადამწვარი თოკი ამოუღიათ. არ ვიცი, ეს რამდენად შეიცავდა სიმართლეს, ყოველ შემთხვევაში, ამ ადგილზე გავლა მეზარებოდა და მივუახლოვდებოდი თუ არა „ჩამქრალ ვულკანს“ – გზას ყვირილით გავირბენდი შიშის დასაძლევად.

აბასთუმანი ჩემი მეორე სამშობლო იყო. აქ ტოლებთან ერთად ვერთობოდი ჩიტებზე ნადირობით, თევზაობით და ცხენზე სიარულით. პირველ ხანებში ძალიან მიჭირდა ცხენზე შეჯდომა. ხშირად მარჯვენა ფეხს გავუყრიდი უზანგს და ცხენს პირუკუ მოვექცეოდი. მაგრამ თანდათან გავინაფე

ამ სპორტშიაც და ხშირად მარტო მივსეირნობდი ცხენით ზუგდიდისაკენ, სადაც ახლო ნათესავები მეგულებოდა.

ხორგის პირველდანიეებითი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გადავწყვიტე, სწავლა განმეგრძო ფოთის საქალაქო სასწავლებელში. ამ კეთილი საქმის ინიციატორი იყო დედაჩემი. მამაჩემს უნდოდა, ჩემგან კარგი მოიჯარადრე და საქმის კაცი გამოსულიყო. ფოთის საქალაქო სასწავლებლის დირექტორად იყო მეტად ობროდი და უხეში ადამიანი, გვარად პოპოვი. სასწავლებელში მკაცრი რეჟიმი სუფევდა. პაპიროსის მოწევას სასწავლებლის ეზოშიაც ვერ ვბედავდით. დირექტორის უნებართვოდ მონაფეებს კინოშიაც არ გვექონდა წასვლის უფლება. ფოთში, დიდი სობოროს პირდაპირ, იყო ერთი პატარა კინო-დარბაზში, „ილიუზუმად“ წოდებული. ერთხელ, რამდენიმე მონაფე წავედით ამ კინოში რალაც რევოლუციონური სურათის სანახავად. კინოს დამთავრების შემდეგ, როდესაც დარბაზი განათდა და გარედ გამოსვლა დავაპირეთ, კარებთან შემოგვეჩეხა ჩვენი დირექტორი. ჩვენ დავიბენით და გავიქეციით. მეორე დღეს სასწავლებელში დაგვხვდა კედელზე გამოკრული ბრძანება, რომელიც იუნყებოდა სასწავლებლიდან ჩვენს გარიცხვას. ორი კვირა ვიყავით სასწავლებლის გარედ. ბოლოს, როგორც იყო, ჩვენმა მშობლებმა დიდი ხვეწნით და მუდართით დაამოშმინეს მრისხანე დირექტორი და ჩვენს მერხებს დაუბრუნდით.

ფოთის საქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მშობლებმა რატომღაც ზუგდიდის ქალ-ვაჟთა გიმნაზიაში შემიყვანეს. გიმნაზიის დირექტორად იყო, იმ დროისათვის ფრიად განათლებული და ნასწავლი კაცი, მექი კობახიძე, მგონი, ჩვენი გამორჩენილი სახალხო მსახიობის პიერ კობახიძის ბიძა. ვცხოვრობდი დეიდაჩემის, კვალანდარიას სახლში. დეიდაჩემს შვილობილად ჰყავდა ჩემი უფროსი და, რომელიც სწავლობდა ამავე გიმნაზიაში, წინა კლასში. ოჯახის პატრონი თეოფილე კვალანდარია შეძლებული გლეხი იყო. ჰყავდა ნახირი და მათ შორის ერთი უცნაური, მენველი თხა, რომელიც თავისი ტოლებისაგან გამოირჩეოდა ჯილიანი რქებით და ბიბლიური წვერებით. მონველვის წინ ყოველთვის სახლის სახურავზე ადიოდა და იქიდან დიდის ვაი-ვაგლახით ჩამოგვეყავდა. თეოფილე კვალანდარიას სისხლი ჰქონდა გამშრალი ამ თხის ჯიუტობისაგან. რამდენჯერ დააპირა მისი გაყიდვა, მაგრამ ვერ გაიმეტა, კარგად ინველიდა. კვალანდარიას სახლში ბინადრობდა ზუგდიდის მაზრის ყოფილი უფროსი, „ვეზნ-ნაჩაღნიკად“ წოდებული, მეფის მოხელე მიხა საჯაია. იგი კვალანდარიას შორეული ნათესავი იყო. უცნაური თავისებური კაცი იყო ეს საჯაია, მსხვილი და ტანდაბალი, ჩქარი და ფიცხი. რუსულად ნაკითხი და განსწავლული. კარგად იცოდა რუსული და უცხოური ლიტერატურაც. მაშინ მენშევიკების ბატონობის ხანა იყო. მეფის მოხელის თანამდებობიდან გადაყენებული და ჩინ-მენდლებ-ჩამორთმეული მიხა საჯაია ახლა ვექილობას ეწეოდა. მას მოსწონდა ჩემი კალიგრაფია და ხშირად განცხადებდა მანერინებდა რუსულად. ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა. ჭერამდე მიდგმული კარადა გაჭედილი იყო შექსპირის, შილერის, მოლიერის, შელის, პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის, დოსტოევსკის, ტურგენევის და იურიდიული ხასიათის წიგნებით. მე ხშირად ვსარგებლობდი ამ ბიბლიოთეკით.

განსაკუთრებით მიყვარდა მოლიერი. მისი რამდენიმე კომედიაც ვთარგმნე. ერთხელ საჯაიას გავანდე ჩემი გულისნადები და მორიდებით წავეუკითხე ერთი მეტის-მეტად გრძელი ლექსი, რომელიც ჰეინეს „სიზმარი“-ს გავლენით იყო დაწერილი. საჯაიამ ლექსი მომიწონა და წამახალისა. თან მითხრა: – ჩვენ აქ ადგილობრივი მწერალი გვყავს ლეო შენგელაია-ქიაჩელი და ხვალ იმასთან მიგიყვანო. მართლაც, მეორე დღეს წავედით ქალაქში. ბაღში რომ შევედით, მან უეცრად მკლავში ხელი ჩამჭიდა. – აი, ბედი თუ გინდა, სწორედ ის არის! – მითხრა და სამკითხველოს გვერდით, რუის პირად ჩამომჯდარ ქერა კაცზე მიმითითა, რომელიც ზედიზედ თამბაქოს აბოლებდა და გაზეთს ჩაჰყურებდა. „ის არის ლეო ქიაჩელი, წამოდი, ახლავე გაგაცნობო“. მაგრამ მე მომერი-და, გავჯიუტდი, ხელში ლექსი შევაჩერე და გავიქეცი. შორიდან ვუთვალთვა-ლებდი, თუ როგორ მივიდა ჩემი მეცენატი ქიაჩელთან, მიესალმა, გვერდით მოუჯდა, ლექსი გადასცა და გაუბა ლაპარაკი...

საჯაია საღამომდე არ დაბრუნებულა. მე გულისფანცქალით მოველოდი ჩემი ლექსის ბედს. საჯაია ცოტათი შექეიფიანებულიყო და მხიარულ გუნე-ბაზე იდგა. – ჰაი, შე გლახაკო, სად გაიქეცი! – მითხრა მან საყვედურით, – შენი ლექსი ქიაჩელს ძალიან მოეწონა და შენი გაცნობა უნდოდა, რად გაი-ქეცი? – შემდეგ უბიდან ლექსი ამოიღო, გადმომცა და თან დაუმატა, – შე-მოგიტვალა, წერა განაგრძოს და მისგან კარგი პოეტი გამოვაო! ჩემში ერთი-ორად გაიზარდა საჯაიას კეთილი ბუნება და ხასიათი. მაინც უცნაური კაცი იყო მიხა საჯაია. ის უკვე სამოც წელს მიღწეული იყო და თმაში ერთი ღერი თეთრი არ ერია. რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო უშავებოდა ულ-ვაშები. ერთხელ, პირის პარსვის დროს, შემთხვევით თავზე დავადექი. მან უცებ რაღაც გადამალა, სახეზე პირსახოცი შემოიფარა და დამიცაცხანა: გადი აქედანო. ამ დროს, სამართებლის მაგიერ, ხელში შევამჩნიე კბილის გაშავებული ჩოთქი. თურმე ულვაშებსა და წარბებს იღებავდა. ხანდახან კოხტად გამოიკვანწებოდა თავის ჩინ-მედლებიან ტანისამოსში და დიდხანს კედლის სარკეში იცქირებოდა. ასეთი უცნაური კაცი იყო მიხა საჯაია.

ზუგდიდის გიმნაზიაში მხოლოდ ერთ წელიწადს ვსწავლობდი. ფოთის ქალ-ვაჟთა გიმნაზიაში გადავედი. მაშინ გიმნაზიის დირექტორად იყო სერგო დანელია. მას მთელ ქალაქში მკაცრი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ის ცოტა ხანს იყო თავის თანამდებობაზე. ერთხანს მის თანამდებობას ასრუ-ლებდა ფილიმონ ნადარეიშვილი. სერგო დანელიასთან შედარებით მონა-ფეები მას კეთილ და ლმობიერ კაცად ახასიათებდნენ. ბოლოს ის გამოსცვა-ლა მიხეილ კინწურაშვილმა, „იასამანი“-ს ფსევდონიმით ცნობილმა პოეტმა. უკანასკნელთან უფრო ახლო ურთიერთობა გვექონდა. გვასწავლიდა საქარ-თველოს ისტორიას და მწერლობას და მის საგნებში ყოველთვის ხუთიანებს ვლებულობდი. მან ამავე დროს იცოდა ჩემი მიდრეკილება პოეზიისადმი. კითხულობდა ჩემს ლექსებს, მინონებდა, თან რჩევა-დარიგებას მაძლევდა. აგრეთვე თანამშრომლობდა ჩვენს ხელთნანერს ჟურნალში, რომელიც „ჩი-რალდანი“-ს სახელწოდებით გამოდიოდა ყოველთვიურად.

კომკავშირის არალეგალურ მუშაობაში გიმნაზიაშივე ჩავები, 1921 წელს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღიდანვე

ვმუშაობდი ხობის რაიონში, კომკავშირის ორგანიზატორად. ამავე წელსვე დავესწარი კომკავშირის პირველ ლეგალურ ყრილობას, როგორც დელეგატი ხობის რაიონიდან. ყრილობა მიმდინარეობდა რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში. მოხსენება გააკეთა ბორის ძნელაძემ. ახლაც თვალწინ მიდგას პირველი კომკავშირელის, ახალგაზრდა გმირის ნათელი სახე... შავი სათვალით, მწვანე ხალათში ქაშკაშით და უბრალო ჩექმებით. 1921 წელსვე გადმოვედი ტფილისში. ვმუშაობდი კომკავშირის ცეკაში, ბეჭვდით სიტყვის განყოფილების მდივნად. პარალელურად ვსწავლობდი სახელმწიფო უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე. 1923 წელს, კომკავშირის ცეკასთან, ჟურნალ „მომავალი“-ს რედაქციასთან დაარსდა ამავე სახელწოდების ახალგაზრდა კომკავშირელ მწერალთა წრე, რომლის თავმჯდომარეც მე ვიყავი. 1923 წელსვე, საქ. კ.პ.(ბ) ცეკას მივლინებით გავემგზავრე მოსკოვს, ვ. ბრიუსოვის სახელობის სალიტერატურო ინსტიტუტში სასწავლებლად. პოეტი ვ. ბრიუსოვი იყო ამავე ინსტიტუტის რექტორი და ლექტორიც. გვასწავლიდა პოეტიკას. ამ ინსტიტუტში სწავლობდნენ მაშინდელი გამოჩენილი პოეტები და მწერლები: ა. ბეზიმენსკი, ვ. გოლცევი, ი. უტკინი, დ. ალტაუზენი, მ. სვეტლოვი და სხვები. ჩვენთან ხშირად მოდიოდნენ და საღამოებს მართავდნენ: მ. გორკი, ა. ბელი, ნ. ასეევი, ვ. მაიაკოვსკი, ს. ესენინი, ბ. პასტერნაკი, ი. სელვინსკი და სხვ. მასხოვს რამდენიმე საინტერესო შემთხვევა: ერთხელ ვ. ბრიუსოვი ლექციას გვიკითხავდა პოეტიკაზე. ბრიუსოვი მუდამ ლექციას კითხულობდა მჯდომარე, გულზე ხელდაკრეფილი. უცებ აუდიტორიის კარი გაიღო და ბარბაც-ბარბაცით შემოვიდა ს. ესენინი. ის მეტის-მეტად მთვრალი იყო. „მე უკეთეს რამეს წავიკითხავთ“ – წაიდუღუნა მან და უბოდიშოდ კათედრაზე ავიდა. დაიწყო ლექსის კითხვა. მხოლოდ კარგად არ მასხოვს, რომელ ლექსს კითხულობდა. ჩვენ იძულებული გავხდით ტაში დაგვეკრა. ვ. ბრიუსოვი ისევ ისე იჯდა ჩუმად, გულზე ხელდაკრეფილი. ბოლოს, როგორც იყო, მთვრალი ესენინი მოწინებით დარბაზიდან გავიყვანეთ და ლექცია გავნაგრძეთ. მეორე შემთხვევა: რუსეთის ახალგაზრდობას თავიდანვე უყვარდა მაიაკოვსკი. 1924 წელს, ამავე ინსტიტუტში გაიმართა ლიტერატურული საღამო. ი. სელვინსკი კითხულობდა თავის ახალ პოემას „ულიალაევშიჩინას“. დარბაზი გაჭედილი იყო მოსწავლე აუდიტორიით... „ყოჩაღ, კარგია!“ – გაისმა უცებ დარბაზში შემოსასვლელ კარებიდან ბოხი ხმა. მოვიხედეთ – კარებთან იდგა ვლ. მაიაკოვსკის გიგანტიური ფიგურა. ყელზე ეკიდა ფართო, წითელი ჰალსტუხი. ორივე ხელი ჯიბეში ეწყო. მან სელვინსკის მისამართით ისროლა ეს რეპლიკა. „მაიაკოვსკი“ – ელვის სისწრაფით მოედო აუდიტორიას. ყველა ფეხზე წამოვდექით. ოვაცია გავუმართეთ. ვსთხოვდით – ლექსი წაეკითხა. მაიაკოვსკი ერთხანს ჯიუტობდა, არ უნდოდა, ხელი შეეშალა მეგობარ პოეტისათვის. ბოლოს ხელში აიტაცეს და სცენაზე აიყვანეს. სამჯერ წააკითხვინეს ლექსი. ერთ-ერთი ლექსთაგანი, როგორც მასხოვს, იყო „მარში მარცხნივ“. აუდიტორია მაინც არ ეშვებოდა. მაიაკოვსკი იძულებული გახდა, სცენის უკანა კარებიდან გაპარულიყო.

მას შემდეგ შემთხვევა მქონდა ახლოს გავცნობოდი მას. ეს მოხდა ტფილისში, 1925 წელს. მოსკოვიდან ჩამოსული ვიყავი არდადეგებზე. იმჟამად, ჟურნალ „მნათობი“-ს დამატებად გამოცემული იყო ჩემი, კ. კალაძის და კ. ლორ-

თქიფანიძის ლექსთა პატარა კრებულები. ჩვენ ახალგაზრდა პოეტებმა მაშინ შეხვედრა მოვუწყვეთ ტფილისში სტუმრად ჩამოსულ მაიაკოვსკის. ეს მოხდა მწერალთა კავშირში, ახლანდელ „საუდი“-ს ოთახში. მოვიდა მაიაკოვსკიც. მას ხელში ჩვენი სამი პატარა ლექსთა კრებული ეჭირა. მასსოვს, მაშინ მე წავუკითხე მას „დარიალი“. მაიაკოვსკი მისმენდა გულდასმით. მომიწონა, თან მითხრა: ასეთ ლექსს რუსეთში ახლა სელვინსკი წერსო. ამავე დროს: შენი ლექსი ბესიკსაც მაგონებსო და ქართულად დაიწყო: „ტანო ტატანო, გულწამტანო, ზილფად მარებო!“ ამ სალამო-შეხვედრაზე თავიანთი ლექსები წაიკითხეს აგრეთვე ჩემმა მეგობარმა პოეტებმა კარლო კალაძემ და კონსტანტინე ლორთქიფანიძემ. მაიაკოვსკი ნასიამოვნები დარჩა. ჩვენ არ მოვეშვეით და მასაც რამდენიმე ლექსი წავაკითხვინეთ (მხოლოდ არ მასსოვს, რომელი). ვიგრძენით დიდბუნოვანი ადამიანისა და პოეტის გულწრფელობა და მზრუნველი ხელი.

მაგრამ ყველაზე უფრო დაუფინყარ მოგონებად დარჩება ჩემთვის 1936 წლის მარტის თვე. ქართველი ხალხის რჩეულ შვილებთან ერთად წილად მხვდა ბედნიერება – გამგზავრებულვიყავი მოსკოვს და კრემლში ახლოს მენახა კაცობრიობის ბრძენი ბელადი – ამხანაგი სტალინი. ამხანაგ სტალინს მაშინ დავპირდი – უფრო ნაყოფიერად და ენერგიულად ვიმუშავებდი ჩემს დარგში დიდი ლენინის იდეების დაცვისა და განხორციელებისათვის, სტალინური ეპოქის შესაფერი ლიტერატურის ამალლებისა და განვითარებისათვის.

და თუ რამდენად შევძელი ბელადისადმი მიცემული პირობის შესრულება – ამის შესახებ თვით მკითხველმა იმსჯელოს.

ალიო ანდრიას-ძე მირცხულავა (მაშაშვილი)

8. 1. 52

თბილისი

მუშნი ხაშბა

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ხაშბა მუშნი ლავრენტის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1903 თვე მაისის დღე 5 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. პოკვეში, სუხუმის მაზრა |
| 4. ეროვნება | აფხაზი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პროზა, კრიტიკა, პუბლიცისტიკა |
| 8. რა ენაზე წერს | აფხაზურ ენაზე |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1938 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1945 წლიდან |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | ვიყავი პროლეტ. მწერალთა ასოციაციის წევრი |
| 12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, მოსკოვის ჟურნალისტიკის ინსტიტუტი დავამთავრე 1927 წ. |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული, სუსტად ვიცი ქართული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>ვუს 10 – უფროსი პოლიტბელი</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>დეპუტატი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსი</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>ორდენი „საპატიო ნიშნისა“; მედალები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ჭავჭავაძის 27</p> |

„ — “ _____ 1952 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1923 | 24 | რედაქტორი | გაზ. „აპსნი კაპში“ | სუხუმი |
| 1924 | 27 | სტუდენტი | მოსკოვის სახ. უნივერსიტეტი – ჟურნალისტიკისა | მოსკოვში |
| 1927 | 32 | პ/მგ. რედაქტო- რის მოადგილე | გაზ. „აპსნი კაპში“ რედაქცია | სუხუმი |
| 1932 | 38 | პ/მგ. რედაქტორი | „–“ | „–“ |
| 1938 | წლიდან | მდივანი | ასსრ უმაღლესი საბჭოს რეზიდენ- ტურისა | „–“ |
| | 1952 წ. | | | |
| | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. | | | |
| | ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | | |

მუშნი ლავრენტის-ძე ხაშბას ავტობიოგრაფია

დავიბადე 1903 წლის 5 მაისს, სოფელ პოკვეში, სუხუმის მაზრაში. ჩემი მშობლები ენეოდნენ მიწად მოქმედებას.

1911 წელს შევედი პოკვეშის სამრევლო-საეკლესიო სკოლაში, რომელიც დავამთავრე 1915 წელს. შემდეგ 1918 წლამდე ვსწავლობდი ოჩამჩირის უმაღლეს-დანყებით სასწავლებელში. 1918 წელს მე ჩავირიცხე სუხუმის სამასწავლებლო სემინარიაში, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გადაკეთდა პედაგოგიურ ტექნიკუმად. აღნიშნული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1924 წელს მივლინებული ვიქენი სასწავლებლად მოსკოვის ჟურნალისტიკის ინსტიტუტში, რომელიც დავამთავრე 1927 წელს.

ჩემი შრომითი მოღვაწეობა დაიწყო 1923 წლიდან. 1923-24 წლებში ვმუშაობდი კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ორგანოს „აპსნი კაპში“ რედაქტორად. ჟურნალისტიკის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ისევ ამ გაზეთს დაუბრუნდი და ამჯერად რედაქტორის მოადგილედ ვმუშაობ. ხოლო 1923 წლიდან 1938 წლამდე კვლავ რედაქტორი ვარ.

1938 წელს მე არჩეული ვიქენი აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად, სადაც ვმუშაობ დღემდე.

სკკპ წევრი ვარ 1928 წლიდან.

ვარ აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და სუხუმის საქალაქო კომიტეტის წევრი. დაჯილდოვებული ვარ ორდენით „საპატიო ნიშანი“ და მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“.

სალიტერატურო მოღვაწეობა დავიწყე 1938 წლიდან. ვმუშაობ პროზისა, კრიტიკისა და პუბლიცისტიკის დარგში.

მ. ხაშბას ნაწარმოებების სია:

1. „... საღამოები“, პიესა, 1924 წ.
2. „გვიამბეთ, ამხანაგო მდივანო“, სატირიკული მოთხრ. კრებული, 1927 წ.
3. „ალო!“, მოთხრობების კრებული, 1928 წ.
4. „დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ნაციონალიზმის წინააღმდეგ“, პუბლიცისტიკა, 1931 წ.
5. ლ. ტოლსტოის „ხაჯი მურატი“, თარგმანი აფხაზურად, 1935 წ.
6. ამხანაგ სტალინის მოხსენებების თარგმანი მე-15, 16, 17, 18 ყრილობებზე სხვადასხვა დროს.
7. ი. ბ. სტალინის ნაშრომის „მარქსიზმი და ენათმეცნიერება“ თარგმანი.
8. ასი ლექსი სხვადასხვა დროს.
9. ი. ბ. სტალინის წიგნი დიდი სამამულო ომის შესახებ თარგმანი, 1946 წელი.
10. სხვადასხვა სამეცნიერო წერილები ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, გაზ. „აპსნი კაპში“ სხვადასხვა დროს დაიბეჭდა.

1953 წელი

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

პანტელეიმონ ჩხიკვაძე

| პირადი ბარათი | |
|--|--|
| საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | გარდაიცვალა 1940 წელს, 15 აპრილს პანტელეიმონ მელიტონის-ძე ჩხიკვაძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1903 თვე მაისის დღე 30 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. ბაკურციხე (გურია) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | ცოლიანი |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | ბელეტრისტიკა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1925 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1934 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | საქ. პროლეტ. მწერალთა ასოციაცია |
| 12. პარტიულობა, № პარტიულისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|-------------------------|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | იხ. ანკეტა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, დაუმთავრებელი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>არასამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>მწერლობა, მწერალთა კავშირის პრეზ. წევრი</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>არაფერი</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>—</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>მარჯანიშვილის 4</p> |

„ — “ _____ 195 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ: სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

პანტელეიმონ მელიტონის-ძე ჩხიკვაძის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1903 წ., 30 მაისს, სოფ. ბუკისციხეში (გურია), ლარიბი გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი სწავლა მივიღე ბაკურციხის ორკლასიან სამრევლო სასწავლებელში. შემდეგ ვსწავლობდი დაფნარის სამასწავლებლო სასწავლებელში, საჭამიასერის უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებელში და ბოლოს ჩოხატაურის გიმნაზიაში. გიმნაზიაში ყოფნისას, 1920 წელს, მაისში, უკვე მეექვსე კლასის მოწაფე, საკმაოდ ვერკვევი პოლიტიკურ საკითხებში და შევდივარ ახალგაზრდათა კომკავშირის არალეგალურ ორგანიზაციაში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან, აქტიურად ვმუშაობ სხვადასხვა სამუშაოებზე, როგორც კომკავშირის, ისე საბჭოთა ხაზით.

1922 წლის ივლისში მოვემგზავრები ქ. თბილისში და ვიწყებ მუშაობას თბილისის საქონლის სადგურში, ჯერ მტვირთავ მუშად, შემდეგ გაერთიანებულ მუშათა ადგილკომის თავმჯდომარედ. 1923 წლის იანვარში შევდივარ პარტიის რიგებში. 1924 წ. აგვისტოს, ავანტურის დროს, გურიაში შევბუღებამი ყოფნისას, მაპატიმრებენ მენშევიკები და მამწყვდევენ სხვებთან ერთად სოფლის ეკლესიაში. პატიმრობის დროს ავად გავხდი ფილტვების ანთებით, რაც შემდეგ ფილტვების ქლექის ხასიათს ღებულობს და დღემდე დაავადებული ვარ ამ საზიზღარი სენით.

1924 წლიდან 1929 წლამდე ვმუშაობ ქ. თბილისის აღმასკომში ფინკონტროლის რევიზორად და ა/კ რკინიგზებზე ამავე თანამდებობაზე. ამ წლების მანძილზე მუდმივად ვარ ადგილკომის თავმჯდომარედ აღნიშნული დაწესებულებისა.

1930 წელს ვმუშაობ საქართველოს დრამკომში პ/მგ. მდივნად, 1930/31 წელს გამომცემლობა – „ქართული წიგნის“ დირექტორად, 1931 წლის შემოდგომიდან 1935 წლამდე საქართველოს მწერალთა კავშირში პრ. მწერ. ასოციაციის პ/მგ. მდივნად, მწერალთა ფედერაციის პ/მგ. მდივნად და მწერალთა კავშირის სამდივნოს წევრად. ვარ ლიტერატურულ ჟურნალების „პროლეტ. მწერლობა“ და „მნათობის“ კოლეგიების წევრი, ხოლო ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორის მოადგილე 1932 წ. 1935 წლამდე, აგრეთვე გაზეთ „სალიტერატურო გაზეთის“ კოლეგიის წევრი.

1931 წ. შევდივარ საქ. ცაკთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში ენისა და ლიტერატურის სექციის ასპირანტად და უკანასკნელ (მესამე) კურსზე გადასვლისას ავადმყოფობის გამო, თავს ვანებებ ასპირანტურას, 1933 წელს.

1930 წლიდან 1939 წლის სექტემბრამდე ვარ საქ. მწერ. კავშირის პრეზიდიუმის მუდმივი წევრი. 1935 წლიდან დღემდე, ავადმყოფობის გამო, მეძლევა სახ. სახკომსაბჭოს პერსონალური პენსია და ორგანიზაციულ თუ თანამდებობრივ მუშაობას აღარ ვწევი. აქვე უნდა აღვნიშნო, ერთი ეპიზოდი ჩემი პარტიული ცხოვრებიდან. 1927 წელს ოპოზიციური ბრძოლების დროს მე ვემხრობოდი ტროცკისტურ ოპოზიციას სამი თვის განმავლობაში, რის გამოც პარტიის საკონტრ. კომისიამ გამრიცხა პარტიიდან 8 მარტს, 1928 წელს. აღდგენილი ვიქენი პარტიაში იმავე საკონტ. კომისიის მიერ 19 იანვარს, 1930 წლისა.

ლიტერატურულ ასპარეზზე მუშაობას ვიწყებ 1925 წლიდან. სალიტერატურო ასპარეზზე ჩემი მუშაობა განისაზღვრებოდა პერიოდულ პრესაში

თანამშრომლობით. 1926 წელს მუშათა კრებულ „მიზანში“ ვბეჭდავ პატარა მოთხრობას. 1927-28 წელს რამდენიმე ლექსს ვათავსებ გაზ. „კომუნისტში“. ეს არის მოსამზადებელი პერიოდი ჩემი სამწერლო მუშაობისა.

1929 წელს ვბეჭდავ ჟურნ. „პროლეტ მწერლობაში“ მოზრდილ მოთხრობას „დაბინდებიდან გათენებამდის“ და მხატვრულ შემოქმედებით მუშაობის სანყისად და პირველ ნაწარმოებად ვთვლი ამ მოთხრობის გამოქვეყნებას.

1930 წელს ქვეყნდება საწარმოო რომანი „სართულები“ და საბავშვო მოთხრობების სერია, რაც ცალკე წიგნებად გამოიცა წლის დასასრულს.

1931 წ. ვაქვეყნებ მოთხრობას „ამხანაგი ბუთხუზი“ და ვიწყებ მუშაობას რომანზე „ნაბიჯები“, რომლის ბეჭდვა ჟურნ. „მნათობში“ იწყება 1932 წ. იანვრიდან და მთავრდება 1933 წ. აგვისტოს ნომერში. ცალკე წიგნებად ეს რომანი გამოდის 1934 წელს.

1932 წ. იბეჭდება მოზრდილი მოთხრობა „რომანტიული ამბავი“, „მინდვრის კვირეული“ და სხვ. მოთხრობები.

1934 წელს ვმუშაობ ისტორიულ რომანზე „მურზაყან დადიშკელიანი“, რომლის პირველი ნაწილი ქვეყნდება ჟურნალ „მნათობში“, 1935 წელს, მაგრამ მის დამთავრებას ვეღარ ვახერხებ მწერალთა კავშირში ჩემს გარშემო შექმნილ ლიტერატურულ-პოლიტიკურ ატმოსფეროში. თავს ვანებებ ისტორიულ თემაზე მუშაობას და ვიწყებ თანამედროვე თემაზე მასალების დაგროვებას. 1937-38-39 წლებში ვმუშაობ ახალ რომანზე „ახალი ხმელეთი“, რომლის პირველი ნაწილი დაიბეჭდა ჟურნ. „მნათობის“ №1-6-ში, 1939 წელს და რომლის მეორე ნაწილი დაიბეჭდება ამ უახლოეს დროში.

ცალკე წიგნებად, განმეორებითი გამოცემების ჩათვლით, კრებულების სახით თუ ცალკე წიგნებად, დაბეჭდილი მაქვს თუთხმეტიოდე წიგნი.

ჩემი ზოგიერთი მოთხრობა თარგმნილია რუსულ, სომხურ, აზერბეიჯანულ და ოსურ ენებზე, რომანი „სართულები“ ცალკე წიგნად გამოიცა სომხურ ენაზე. გარდა ბელეტრისტიკისა, დრო და დრო ვწერ კრიტიკულ წერილებს, საგაზეთო ნარკვევებს და სხვ.

1939 წ. დავწერე სცენარი „გვირაბი“, რაც დასადგმელად მიიღო საქართველოს კინო-სტუდიამ და მოსკოვის კინემოტოგრაფიის სამხატვრო საბჭომ. ამჟამად ვმუშაობ „ახალი ხმელეთის“ მეორე ნაწილზე, რომლის დამთავრების შემდეგ, ვფიქრობ, დავუბრუნდე უსამართლოდ მიტოვებულ „მურზაყან დადიშკელიანის“ დამთავრებას.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ აღმანახებისა და კრებულების გამოცემაში, როგორც საქართველოში ისე სხვა რესპუბლიკებში, ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას ვღებულობ, თანამშრომლობის სახით.

უკანასკნელად, 1939 წელს, ბელადისადმი მიძღვნილ კრებულში მე დავბეჭდე ახალი მოთხრობა „სწორუპოვარი“, ამხანაგ სტალინის ბათუმში მუშაობის პერიოდის მასალების მიხედვით.

აი, მოკლედ ჩემი ცხოვრებისა და ლიტერატურულ მუშაობის ავკარგი 1940 წლამდე.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ თოფჩიშვილი.

ბესარიონ ჟღენტი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ჟღენტი ბესარიონ დავითის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | ბეს. ჟღენტი |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1903 თვე ივლისის დღე 1 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. ქვაცინე (ჭიათურის რაიონი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | აზნაური |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | კრიტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართული, რუსული |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1922 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1934 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | „მემარცხენე“ კორპარაცია |
| 12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|---------------------|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, იურიდიული |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | აქვს |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>მოხსნილია</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>სსმკ გამგეობის წევრი და სხვადასხვა რედაქციების კოლეგიის წევრი და სხვ.</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>„საპატიო ნიშნის ორდენი“, მედალები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>ლიტერატურის დარგი</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ფურცელაძის 12, 3-20-49</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უნწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|---|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1928 | 30 | პ/მგ. მდივანი | განსახკომის რე- პერტკომში | |
| 1932 | 37 | პ/მგ. მდივანი | საქ. მწერალთა კავშირი | |
| 1937 | 42 | სასცენარო განყ. რედაქტორი | თბილისის კინო სტუდია | |
| 1943 | 1946 | დირექტორი | საქლიტფონდისა | |
| 1946 | 52 | მთავარ რედაქტო- რის მოადგილე | „ზარია ვოსტ.“, მხატვრ. ლიტე- რატურა | |
| 1942 | | უფრ. მასწავლე- ბელი | სახ. უნივერსი- ტეტისა | |
| 1947 | | უფრ. მეცნ. მუ- შაკი | მეცნიერებათა აკადემ. ლიტერა- ტურისა და ენის ინსტიტუტისა | |
| | | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

შეკვ. №193. ტ. 1000

ხელმოწერა _____

ჟღენტი ბესარიონ დავითის-ძის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1903 წელს, 1 ივლისს, სსრ ჭიათურის რაიონის სოფელ ქვაცხეში, ყოფილ აზნაურის დავით ჟღენტის ოჯახში. პირველდანიეებითი განათლება მივიღე ამავე სოფლის სამრევლო სკოლაში. 1913 წელს შევედი ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, რომელიც დავამთავრე 1922 წელს (ამ დროისათვის ხსენებული გიმნაზია გადაკეთებული იყო ქუთაისის ვაჟთა მეორე ტექნიკუმად).

1922 წელს შევედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტზე – იურიდიული განხრით. უნივერსიტეტი დავამთავრე 1926 წელს. რამდენიმე წელიწადს ვენეოდი იურიდიულ პრაქტიკას, როგორც დამცველთა კოლეგიის წევრი.

1932 წელს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საგანგებო ყრილობის მიერ ჩემი არჩევის გამო საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პ/მგ. მდივნად, თავი დავანებე დამცველთა კოლეგიაში მუშაობას და მის შემდეგ მხოლოდ ლიტერატურულსა და სამეცნიერო კვლევით მუშაობას ვენევი.

ჯერ კიდევ მონაფეობის წლებში ვმონაწილეობდი მონაფეთა ხელნაწერ და ნაბეჭდ ჟურნალებში და აგრეთვე იმდროინდელ ქართულ პრესაში. 1922-23 წლიდან კი სისტემატურად ვთანამშრომლობ როგორც ქართულ, ისე ცენტრალურ-საკავშირო ჟურნალ-გაზეთებში და აგრეთვე მოძმე რესპუბლიკათა პრესაში. სხვადასხვა დროს ვასრულებდი საპასუხისმგებლო მოვალეობას მთელ რიგ კულტურულ საზოგადოებრივ დაწესებულებებში. ვმუშაობდი საქარ. საბჭოთა მწერლების კავშირის პ/მგ. მდივნად, გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებას“ რედაქტორის მოადგილედ, ჟურნალ „ლიტერატურა ი ისკუსტვო ზაკავკაზია“-ს პ/მგ. რედაქტორის მოადგილედ, საქართველოს კინომრეწველობის კონსულტანტად სასცენარო დარგში და სხვ.

1928 წლიდან მუდმივად ვარ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის წევრი და ამ ხნის განმავლობაში სისტემატურად ვმონაწილეობ ხელმძღვანელ ორგანოებში. არჩეული ვიყავი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის წევრად, საქართველოს თეატრალურ საზოგადოების გამგეობის წევრად, ჟურნალ „მნათობის“ სარედაქციო კოლეგიის წევრად.

ვმუშაობდი მხატვრულ ლიტერატურის გამომცემლობის „ზარია ვოსტოკა“ მთავარ რედაქტორის მოადგილედ.

1930-31 წლებში ვირიცხებოდი თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის სისტემაში არსებულ ასპირანტურაში – ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის დარგში. 1933-34 წლებში ლექციებს ვკითხულობდი ა/კ უმაღლეს კომუნისტურ უნივერსიტეტში. 1936-37 წლებში ვასწავლიდი ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. მას შემდეგ სისტემატურად ვენევი სამეცნიერო პედაგოგიურ მუშაობას ქუთაისის პედ. ინსტიტუტში, გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში, თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში და სხვ.

1942 წლიდან ვმუშაობ თბილისის სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტში, სადაც ვკითხულობ ლექციებს.

1935 წლიდან ვმუშაობ საქართველოს კ.პ.(ბ) ცეკასა და საქარ. კ.პ.(ბ) თბილისის კომიტეტის შტატს გარეშე აქტიურად, აგრეთვე ა/კავკასიის სამხედრო ოლქის შტატს გარეშე ლექტორად.

დაჯილდოვებული ვარ „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“.

ბ. დ. ჟღენტის ნაწარმოებთა სია

კლასიკოსები:

1. „შოთა რუსთაველი და სოციალისტური თანამედროვეობა“, 1937 წ. 2. „ილია ჭავჭავაძის მხატვრული მემკვიდრეობა“, 1937 წ. 3. აკაკი წერეთელი – ნინასიტყვაობა რჩეულ ნაწერების ერთტომეული რუსულ გამოცემისათვის, 1940 წ. 4. „ნიკოლოზ ბარათაშვილი და საბჭოთა პოეზია“, 1945 წ.

ქართველ საბჭოთა მწერლების საკითხებზე, ლიტერატურული პორტრეტები: 1. გალაკტიონ ტაბიძე, 1943 წ. 2. ი. გრიშაშვილი, 1944 წ. 3. ნიკო ლორთქიფანიძე, 1944 წ. 4. ალექსანდრე აბაშელი, 1947 წ. 5. ილო მოსაშვილი, 1948 წ. 6. სერგო კლდიაშვილი, 1939 წ. 7. დემნა შენგელაია, 1940 წ.

კრიტიკული წერილები:

1. კ. გამსახურდია „მთვარის მოტაცება“, 1936 წ. 2. ლ. ქიაჩელი „გვადი ბიგვა“, 1938 წ. 3. ალ. ქუთათელი „პირისპირ“, 1939 წ. 4. 1924 წელი ქართულ ლიტერატურაში, 1925 წ. 5. 1926 წელი ქართულ ლიტერატურაში, 1927 წ. 6. „ქართული საბჭოთა პოეზია“, 1937 წ. 7. „საბჭოთა ეპოქის ქართველი მწერლები“, 1941 წ. 8. „ქართველი მწერლობა საბჭოთა ხალხის დიად სამამულო ომში“, 1944 წ. 9. „დიდი სტალინის სახე ქართულ ლიტერატურაში“, 1944 წ. 10. „ისტორიის მეგრძოლი სული“, 1944 წ. 11. „ქართული მხატვრული პროზა სამამულო ომის დღეებში“, 1942 წ. 12. „1946 წლის ქართული ლიტერატურა“, 1947 წ.

დამზადებულია დასაბეჭდად წერილები:

1. „ომი და ლიტერატურა“. 2. „ისტორიული თემა თანამედროვე ლიტერატურაში“. 3. „ქართული საბჭოთა ლიტერატურა“.

შენიშვნა: აქ აღნიშნულია მხოლოდ უმთავრესი ნარკვევები და მოხსენებები არ არის მრავალრიცხოვანი საჟურნალო და საგაზეთო წერილები, რომლებიც ქვეყნდებოდნენ ჩვენს პრესაში ამ 20–25 წლის მანძილზე.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ნიკა – ნიკოლოზ აგიაშვილი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | აგიაშვილი ნიკოლოზ დიმიტრის ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | ნიკა აგიაშვილი |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1903 თვე სექტემბერი დღე 1 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. დიხაშხო (ვანის რაიონი, ქუთაისის ოლქი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | აზნაური |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პროზა, მთარგმნელობა, კრიტიკა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1925 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1945 წლიდან |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | – |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, დაუმთავრებელი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | 1922 წლიდან 1945 წლამდე უფრ. ლეიტენანტი, მთარგმნელი გაზეთ „წინ სამშობლოსათვის, წინ გამარჯვებისაკენ“ |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | იხ. მუხ. 20 |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>–</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედლები: „ბრძოლითი მამაცობისათვის“, „კავკასიის დაცვისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>ჟურნ. „ხელოვნებას“ პ/მგ. მდივანი</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ენგელსის 19</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1925 | 27, 29, 33 | კორექტორი, განყ. გამგე | გაზ. „ახალგაზ- რდა კომუნისტი“ | თბილისი |
| 1933 | 38 | პ/მგ. მდივანი რედაქციისა | გაზ. „სტალინელი“ | ქუთაისი |
| 1938 | 41 | პ/მგ. მდივანი | საქართველოს საბჭ. მწერლების კავშირის ორგა- ნო „ჩვენი თაო- ბას“ (ყურნ.) | თბილისი |
| 1941 | 42 | ლიტ. დახელოვ- ნების განყ. გამგე | გაზეთ „კომუნის- ტის“ რედაქცია | „-“ |
| 1942 | 45 | მთარგმნელი, კორესპონდენტი, რედაქ. მდივანი | საფრონტო გაზე- თებისა | მობილიზაციით |
| 1945 | | პ/მგ. მდივანი | ყურნ. „მნათობის“ | თბილისი |
| | 1952 წ. | | | |
| | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. | | | |
| | ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | | |

შეკვ. №193. ტ. 1000

ხელმოწერა _____

ნიკოლოზ დიმიტრის-ძე აგიაშვილის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1903 წელს, 1 სექტემბერს (ძვ. სტ), სოფ. დიხაშხოში (ვანის რაიონი, ქუთაისის ოლქი). ვსწავლობდი სოფლის სკოლაში. დავამთავრე ქუთაისის კლასიკური გიმნაზია (1926–29) წლებში ვისმენდი ლექციებს ქ. თბილისის სახ. უნივერსიტეტში.

1922 წლიდან ვთანამშრომლობ პარტიულ და საბჭოთა პრესაში კორესპონდენტად, შემდეგ სამუშაოდ გადავედი კომკავშირულ ორგანო „ახალ-გაზრდა კომუნისტის“ რედაქციაში. 1925 წლიდან 33 წლამდე ვიყავი გაზ. „ახალგ. კომუნისტის“ კორესპონდენტი, განყ. გამგე და მდივანი. ვმუშაობდი ქუთაისის გაზეთ „სტალინელში“ 4 წელი. შემდეგ ვმუშაობდი ჟურნალ „ჩვენი თაობას“ რედაქციაში. სამამულო ომის დაწყების დღეებში განვეულები ვიყავი საბჭოთა არმიის რიგებში და ვმუშაობდი გაზ. „კომუნისტის“ ლიტერატურულ-სა და ხელოვნების განყოფილების გამგედ.

1942 წლიდან 45 წლამდე ვიყავი საფრონტო გაზეთის მთარგმნელი და კორესპონდენტი „წინ გამარჯვებისაკენ, წინ სამშობლოსათვის“, „სამხრეთის ფრონტი“-ს).

1945 წლის 20 ივნისიდან ვმუშაობდი ჟურნ. „მნათობის“ პ/მგ. მდივნად. ლიტერატურულ მუშაობას ვენევი 1925 წლიდან.

ჩემი ნაწარმოებები:

1. კრიტიკული წერილები და რეცენზიები ჟურნალ-გაზეთებში.
2. „პირველი გოგონა“ ბოგდანოვისა (თარგმანი), 1930 წ.
3. „სერვანტესის ცხოვრება“, ბიოგრაფიული რომანი, 1941 წ.
4. „ალექსანდრე ნეველი“, მონოგრაფია, 1942 წ.
5. „ლევ. ტოლსტოის ზღაპრები და მოთხრობები“ (თარგმანი), 1946 წ.
6. „დახვრეტილ ფრანგ კომუნისტთა წერილები“, 1950 წ.
7. ჟუკოვსკი „ექიმი აიბოლიტი“, 1951 წ.
8. ი. იოსელიანი „წყალქვეშელის მოგონება“, 1951 წ.
9. 1951 წელს ჩემი რედაქტორობით გამოდის „დონ კიხოტი“ ორ ტომად და პავლენკოს „ბედნიერება“.

1952 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

...

ლიტერატურული საქმიანობა დაიწყო 1927-1928 წლებიდან, როცა „ახალ-გაზრდა კომუნისტში“ დაიბეჭდა ჩემს მიერ თარგმნილი მ. გორკის „შევარდნის სიმღერა“ (1928 წ.) და შანდორ პეტეფის ლექსი „სიმღერა ცეცხლში“ (1926 წელი) (ფსევდონიმები „ს-კი“ და „ნა-ლი“); მასთან მოთავსდა მრავალი რეცენზია-შე-ნიშვნა კინო-ფილმებსა და სხვადასხვა წიგნებზე.

1932 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა ჩემს მიერ თარგმნილი ნიკოლოზ ბოგდანოვის „პირველი გოგონა“, 1940 წელს დაიბეჭდა ჩემს მიერ შედგენილი ბიოგრაფიული რომანი „სერვანტესის ცხოვრება“, რომელიც შემდეგ გამოვი-და 5-ჯერ. 1942 წელს „საბლიტგამმა“ გამოსცა ჩემი მონოგრაფია „ალექსან-დრე ნეველი“; იმავე გამომცემლობამ 1947 და 1948 წლებში დაბეჭდა კორნეი ჩუკოვსკის „ექიმი აიბოლიტი“ და ლ. ნ. ტოლსტოის „მოთხრობები და ზღაპ-რები ბავშვებისათვის“ და მისივე მოთხრობა „ფეხმარდი“ (1968 წ.) – ყველა ჩემს მიერ თარგმნილი. 1950 წელს „საბლიტგამმა“ ჩემი თარგმანით გამოსცა „დახვრეტილ კომუნართა წერილები“.

1961 წელს ჟურნალ „ცისკარში“ გაგრძელებებით იბეჭდებოდა ჩემი მო-გონებები „ჭაბუკები დარჩნენ მარად“, რომელიც შემდეგ 4-ჯერ გამოიცა ცალ-ცალკე წიგნებად.

სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გამომცემლობამ ჩემი რედაქტორობით გამოსცა: ბრეტ ჰარტის რჩეული ნაწარმოებების I ტომი, რად. კიპლინგის „მაუგლი“, ო. თუმანიანის „გიქორი“, ლევ ტოლსტოის „ანა კარენინა“, მი-სივე „კავკასიური მოთხრობები“, გ. ფლობერის „სალამბო“, სერვანტესის „დონ კიხოტი“ ორივე ტომი (ორჯერ), პეტრე პავლენკოს „ბედნიერება“, დე ფრისის „წითურთმიანი ქალიშვილი“, ალექსი ტოლსტოის „აელიტა“ და „ინ-ჟინერ გარინის ჰიპერბოლოიდი“, ე. ზოლას „აბატი მურიეს ცდომილება“, ლევ კასილის „თოვლის დედოფალი“ და „ჩემო საყვარელო ბავშვებო“, ლეონიდ ლეონოვის „რუსული ტყე“ და „ქურდი“, კონსტ. სიმონოვის „დღეები და ღა-მეები“, მოლა ნასრედინის „ოხუნჯობანი“, თ. დოსტოევსკის „მკვდარი სახ-ლის ჩანაწერები“, ბ. კელერმანის „სიკვდილის როკვა“, შ. ბრონტეს „ჯენი ეარი“, მორ იოკაის „ოქროკაცი“, გალვანის „ენრიკილიო“, ირ. სონლულაშვი-ლის „მირანდუხტ იადხმობილი“, სეით იაშვილის „მოგონებანი“, რეი ბრედბე-რის „მოთხრობები“, ო. კარაიანის „ლექსები“, ია ჩხაიძის „მოთხრობები“, აფ-ხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პოეტთა კრებულები (40), ლადო ასათიანის ერთტომეული და სხვ. 1968–1970 წლებში ჩემი რედაქტორობით „მერანმა“ გამოსცა სერვანტესის თხზულებათა 4-ტომეული, სადაც მე-4 ტომის რომა-ნის „პერსილევსისა და სიგიზმუნდას ყარიბობის“ თარგმანი მეკუთვნის მე-სულ – საერთოდ ამ ხნის მანძილზე ჩემს მიერ რედაქტირებულ ნაწარმოებ-თა მოცულობა შეადგენს 700-დე თაბახს.

1982 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ მსოფლიო ლიტერა-ტურის 80-ტომეულში გამოსცა ჩემს მიერ თარგმნილი დიდი ფრანგი მოაზ-როვნისა და მწერლის ჟან-ჟაკ რუსოს ცნობილი რომანი „ახალი ელოზა“ (46

თაბახის მოცულობით), 1984 წლის გეგმით იგივე გამომცემლობა დაბეჭდავს 25-თაბახიან წიგნს, რომელსაც ეწოდება „პირად-პირადი“ (ძველი ქართულით ეს სიტყვა იგივეა, რაც „ფერად-ფერადი“). ამ კრებულში შევა წლების მანძილზე სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში გამოქვეყნებული ჩემი მოგონებები და წერილები.

1945 წლიდან ვარ საკ. მწერალთა კავშირის წევრი. სხვადასხვა დროს დაჯილდოებული ვარ მრავალი სიგელით და მაქვს მიღებული მედლები: „საბრძოლო დამსახურებისათვის“ (1944), „კავკასიის დაცვისათვის“ (1944), „1941–1945 წლების სამამულო ომში მონაწილეობისათვის“ (1945). 1980 წელს მივიღე ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი და სხვ. ფრონტზე მქონდა უფროსი ლეიტენანტის წოდება, ომის დამთავრებამდე წარდგენილი ვიყავი კაპიტნის ხარისხზე. 1968 წლიდან მომენიჭა საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება. წლების მანძილზე ვიყავი გ. ლეონიძის სახელობის სახელმწ. ლიტერატურული მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს წევრი. ამჟამად ვარ ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს წევრი. მწერალთა კავშირში ვიყავი მთარგმნელთა სექციის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე (6 წელიწადს) და შემდეგ ამავე ბიუროს თავმჯდომარე (5 წელიწადს). 1968–1970 წლებში ვიმუშავე თბილისის კალინინის რაისაბჭოს დეპუტატად.

*ნიკა (ნიკოლოზ) დიმიტრის ძე აგიაშვილი
1983 წლის 14 ივნისი*

ელიზბარ ზედგინიძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ზედგინიძე ელიზბარ კონსტანტინეს ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1903 თვე ნოემბრის დღე 23 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ქ. თბილისი |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | მხატვრული პროზა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1927 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1934 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | 1927 წელს დავამავრე მუშათა უნივერსიტეტი, 1932 წლიდან ვსწავლობდი თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, არ დამიმთავრებია |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | 1942 წლიდან 47 წლამდე ვმუშაობდი სპეცკორესპონდენტად საფრონტო გაზეთში |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | ვმუშაობდი გაზეთ „ლენინის დროში“-ს რედაქციაში |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სათადარიგო ოფიცერი, პოლიტ-შემადგენლ.</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>არა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედლები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>ჟურნ. „მნათობი“</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>მარჯანიშვილის 4, 3-42-93</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღ- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1921 | 22 | ექსპედიტორი | სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭო | ონში |
| 1922 | 25 | „-“ | „-“ პოლიგრამ- მრეწველობაში | |
| 1925 | | თავმჯდომარე ნიტელარმიელის | პიონერორგანი- ზაციის ბიუროს | |
| 1926 | 27 | რედაქტორი | ვიყავი ჯარში რი- გითი ჯარისკაცი | |
| 1927 | 28 | ინსტრუქტორი | რედ. „ახალგაზ- რდა პიონერი“ | |
| 1928 | 29 | დირექტორი | მოზ. მაყ. თეატრი | |
| 1929 | 31 | პოლიტ. რედაქ- ტორი | მთავლიტი | |
| 1931 | 32 | რედაქტორი | რედ. გაზ. „სტა- ლინის საყვირი“ | |
| 1933 | | კორესპონდენტი | საქტაგი | |
| 1936 | | რედაქტორი | საქრადიოკომი- ტეტი | |
| 1938 | 42 | პროზის განყოფ. გამგე | ჟურნალ „მნათო- ბი“ | |
| 1942 | 46 | სამხ. კორესპონდ. | რედ. „ლენინის დროშა“ | |
| 1947 | 51 | სპეც. კორესპ. | რედ. „კომუნისტი | |
| | | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

ელიზბარ კონსტანტინეს-ძე ზედგინიძის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1903 წელს, ნოემბერის 23, ქ. თბილისში. მამა იყო პატარა მოხელე – სამხედრო პალატის საქმისმწარმოებელი (საფინანსო დაწესებულება). პირველ იმპერიალისტური ომის დროს იგი იბრძოდა მონინავე ხაზზე, რის გამო იგი დაავადმყოფდა და დემობილიზებული იქნა, როგორც უვარგისი და 1915 წელს გარდაიცვალა ტუბერკულოზით. ჩვენ ხუთი შვილი დავრჩით დედის ამარა.

მამის სიცოცხლეში მე ვსწავლობდი თბილისის ქართულ გიმნაზიაში, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ სწავლა 5 კლასიდან დავტოვე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა შემდეგ, 17 წლის ასაკისამ მუშაობა დავიწყე ექსპედიტორად. აგრეთვე შევედი მუშათა ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1927 წ. 1923 წელს შევედი ალკკ რიგებში.

ძალიან მიტაცებდა სპორტი და შევედი სპორტულ საზოგადოების წევრად „სოკოლ“-ში, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვიყავი.

დავინყე წერა სპორტის საკითხებზე. ჩემი ნაწერები იბეჭდებოდა ჟურნალ „მომავალ“-ში და გაზეთ „სპარტაკ“-ში, ლექსებისა და მოთხრობების სახით. შემდეგ უკვე ვმუშაობდი საპასუხისმგებლო სამუშაოებზე და აგრეთვე გულმოდგინეთ ვწეოდი ლიტერატურულ მუშაობას. ვწერდი და ვბეჭდავდი მოთხრობებს, ნოველებს, ნარკვევებს, წერილებს ყველა ჟურნალებსა და გაზეთებში. ჩემი ნაშრომი „ვერცხლის ქამარი“ გამოვიდა 1927 წ.

1925 წელს შევედი პროლეტმწერალთა ასოციაციაში, რომლის გამგეობის წევრი ყოველთვის ვიყავი.

პროლეტმწერალთა ასოციაციის რეორგანიზაციის შემდეგ არჩეული ვიყავი მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრად 1938 წლამდე.

1927 წ. მუშათა ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ შევედი თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, მაგრამ ოჯახური პირობების გამო არ დამიმთავრებია, გამოვედი მე-3 კურსიდან.

სამამულო ომის დროს ვიყავი განვეული წ/არმიაში, ვმსახურობდი საფრონტო გაზეთ „ლენინის დროშით“ სპეც. კორესპონდენტად. აგრეთვე დავდიოდი მონინავე ფრონტზე ქერჩში, სევასტოპოლში. ვწერდი ნარკვევებს და წერილებს საბრძოლო ხასიათისა სამხედრო გაზეთებში. ვმსახურობდი აგრეთვე სამხედრო კორესპონდენტად გაზეთში მე-11 საავიაციო არმიისა.

დემობილიზებული ვიქენი 1946 წელს, ამის შემდეგ მუშაობა დავიწყე რესპუბლიკანურ გაზეთებში და ჟურნალებში ლიტმუშაკად.

ამჟამად განვაგრძობ მუშაობას მხატვრული პროზის დარგში.

ელიზბარ ზედგინიძის ნაწარმოებთა სია: 1. „ვერცხლის ქამარი“, 1927 წ. 2. „შაშილარი“, 1927 წ. 3. „რკინის ძმები“, 1929 წ. 4. „ილვიძებენ მთები“, 1934 წ. 5. „ილვიძებენ მთები“, გამოვიდა რუსული თარგმანიც, 1937 წ. 6. მოთხრობები, 1939 წ. 7. „განთიადის წინ“, 1941 წ. 8. „ცხოვრება ბრძოლა“, 1942 წ. 9. მოთხრობები, 1946 წ. 10. „სალამურის ხმები“, 1947 წ. 11. საბავშვო მოთხრობები, 1949 წ. 12. „ორი მზე“, 1930 წ. 13. „შაშილარი“, 1930 და სხვა.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ლავროსი კალანდაძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | კალანდაძე ლავროსი გიგილოს ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1903 თვე დეკემბერი დღე 22 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ხიდისთავი (ჩოხატაურის რ-ნი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | კრიტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1925 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1945 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | – |
| 12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ-ს წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | წითელ პროფესორთა ინსტიტუტი ლიტერატურისა |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | 1925 წლიდან 28 წლამდე ვმუშაობდი დივიზიის პოლიტგანყოფილების ინსტრუქტორად და სხვა სალიტერატურო დარგის სამუშაოებზე |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>მოხსნილი ვარ აღრიცხვიდან</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>ამჟამად მუშაობს ჟურნ. „მნათობში“</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>გოგებაშვილის 43</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღ- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1916 | 17 | შიკრიკი | საგაზეთო ექსპე- დიციაში | თბილისში |
| 1917 | | ვმუშაობდი შავ- მუშათ | საწყობში | |
| 1924 | | პედაგოგად | 8 წლიან სკოლაში | |
| 1925 | | ვიყავი წითელ არმიაში | | ქუთაისი-თბილისი |
| 1929 | | რედაქტორი | ჟურნ. „განათლება“ | |
| 1932 | | ლექტორი | მეთოდოლოგია და ლიტერატურა სალამოს კომ. უნივერსიტეტში | მოსკოვი |
| 1934 | 35 | რედაქტორი | სამტრედიის მტს-ის პოლიტგაზეთისა | სამტრედია |
| 1935 | 37 | დირექტ. მოადგ. | სამტრ. მტს-ისა | |
| 1938 | 40 | დირექტ. მოადგ. | საქდესში | თბილისი |
| 1940 | 45 | სარედაქციო კოლეგ. უფროსი | სახელგამისა | |
| 1955 | წლიდან | მუშაობს ჟურნ. | „მნათობში“ | |
| | | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს | გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | |

შეკვ. №193. ტ. 1000

ხელმოწერა _____

ლავროსი გიგილოს-ძე კალანდაძის ავტობიოგრაფია

დავიბადე სოფ. ხიდისთავში (ჩოხატაურის რ-ნი) 1903 წლის დეკემბერში, 22-ს, გურული გლეხის ოჯახში. ოჯახის უფროსი წევრები იყვნენ მონაწილენი გურიის გლეხობის რევოლუციური მოძრაობისა და ამიტომ რეაქციის წლებში ჩვენმა ოჯახმა განიცადა დიდი შევიწროება. ჩემი ბავშვობის მოგონებანი შეიცავენ პოლიციელთა თარეშისა და დევნილი ახალ თაობის საიდუმლო მოღვაწეობის სურათებს. 12 წლის ასაკამდე ვსწავლობდი სოფლის სკოლაში, სადაც მივალწიე მეხუთე განყოფილებამდე. ამის შემდეგ იძულებული გავხდი, დამეწყო დაქირავებული შრომა. ვმსახურობდი სიღნაღში რკინიგზის სადგურში ხელზე მოსამსახურედ, შემდეგ თბილისში – საგაზეთო ექსპედიციის შიკრიკად და სხვა. დიდი თავდადებული შრომითა და მეცადინეობით ისევ დავუბრუნდი სწავლას სოფლად, დაწყებით სასწავლებელში, რომელიც 1918 წელს დავამთავრე. სწავლა განვაგრძე ჩოხატაურის გიმნაზიაში, სადაც სხვათაშორის ლიტერატურას მასწავლიდა მწერალი ია ეკალაძე. სკოლის სკამიდანვე გატაცებული ვიყავი მხატვრული ლიტერატურით; აქტიურად ვთანამშრომლობდი სასკოლო ჟურნალში. ჩოხატაურის გიმნაზიის მეშვიდე კლასიდან 1920 წლის დასაწყისში გადმოვედი თბილისში, სადაც ერთ-ერთ საწყობში ვმუშაობდი შავ მუშად და თანაც კერძოდ განვაგრძობდი მეცადინეობას. თბილისში ვცხოვრობდი უფროს დასა და ძმასთან, რომლებიც არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრები იყვნენ, განვიცდიდი მათს ძლიერ გავლენას. 1920 წლის ბოლოს ჩავაბარე საშუალო განათლების მთლიანი კურსის გამოცდები და 1921 წლის დასაწყისიდან ვმსწავლებლობდი სამშობლო სოფელ ხიდისთავში.

1921 წლის მაისში მიღებული ვიქენი კომუნისტური პარტიის წევრად.

1925 წლამდე ხიდისთავის რვანლიან და შვიდნლიან შრომის სკოლაში ვასწავლიდი ლიტერატურას. 1922 წლიდან 1924 წლამდე არჩევით ვმუშაობდი საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ოზურგეთის სამაზრო ორგანიზაციაში ხიდისთავის რაიკომის პასუხისმგებელ მდივნად. ამავე პერიოდში ვბეჭდავდი პატარ-პატარა ნარკვევებსა და წერილებს ლიტერატურის საკითხებზე.

1925 წლის დამდეგს გამიწვიეს წ/არმიაში, სადაც თანმიყოლებით ვიყავი ასეულის პოლიტხელი, ლეგიონის უფროსის მეთაურთა სკოლის პოლიტკომისარი, დივიზიის პოლიტგანყოფილების ინსტრუქტორი.

აქ გაზეთებში დაიბეჭდა ჩემი რამდენიმე წერილი ლიტერატურის საკითხებზე. ამავე დროს ერთ-ერთ თანაავტორთან ერთად შევადგინე ანბანის შესასწავლი და საკითხავი წიგნი წითელარმიელთათვის, რომლითაც ხელმძღვანელობდა წ/არმიის ქართული ნაწილები რამდენიმე წელს; ვთარგმნე რამდენიმე სამხედრო პოლიტიკური და მხატვრული წიგნი. 1928 წლის დამლევს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, დემობილიზებული ვიქენი არმიიდან. 1929-1930 წლებში ვმუშაობდი ჟურნალ „განათლების მუშაკის“ რედაქტორად, ამავე სახელწოდების გაზეთის რედაქტორის მოადგილედ. ამავე პერიოდში რამდენიმე თვის განმავლობაში შეთავსებით ვასრულებდი საქ. კ.პ.(ბ) ც-კას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ინსტრუქტორის მოვალეობას. „განათლების მუშაკში“ დავბეჭდე რამდენიმე წერილი მხატვრული ლიტერატურის შესახებ.

1930 წლის სექტემბერში შევედი ლიტერატურის წითელ პროფესურის ინსტიტუტში, მოსკოვში. ვსწავლობდი 1933 წლის ბოლომდე. ამ პერიოდში შეთავსებით ვკითხულობდი ლექციებს ლიტერატურის თეორიის საკითხებზე მოსკოვის სარედაქციო-საგამომცემლო ინსტიტუტში, პოკროვსკის სახელობის კომუნისტურ უნივერსიტეტში და მოსკოვის რადიო სტუდიაში. ინსტიტუტის ჟურნალში დაიბეჭდა ჩემი საკუთარი შრომა „სახის პრობლემა“. 1932 წელს პრაქტიკაზე ვიყავი ურალში, გაზეთ „ჩელიაბინსკი რაბოჩი“-ში დავბეჭდე რამდენიმე წერილი მხატვრული ლიტერატურის საკითხებზე. ამავე პერიოდში ჟურნალში დაიბეჭდა ჩემი საკუთარი შრომა ბაირონის შემოქმედების შესახებ. 1934 წელს ჟურნალ „ოქტიაბრ“-ში დაიბეჭდა ჩემი კრიტიკული წერილი ერთ-ერთი ქართველი მწერლის შემოქმედებაზე.

1934 წლის დამდეგს, როდესაც სადისერტაციო შრომაზე ვმუშაობდი, პარტიული მობილიზაციით გაგზავნილი ვიქენი მტს-ის პოლიტგანყოფილების გაზეთის რედაქტორად სამტრედიაში. 1935 წლის ბოლოს დანიშნული ვიქენი სამტრედიის მტს-ის დირექტორის მოადგილედ პოლიტიკურ ნაწილში. ამ თანამდებობაზე ვმუშაობდი 1937 წლის დამლევამდე. 1938 წლიდან 1940 წლამდე ვმუშაობდი საქართველოს დეპუტატთა სააგენტოში – პირველად მთარგმნელთა სექტორის გამგედ და შემდეგ დირექტორის მოადგილედ. დრო და დრო მაინც ვახერხებდი ლიტერატურის საკითხებზე მუშაობას. 1934 წლიდან 40 წლამდე გაზ. „კომუნისტში“ და ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა ჩემი რამდენიმე კრიტიკული და ლიტერატურათმცოდნეობის წერილი. 1940 წლის აპრილიდან დღემდე ვმუშაობ საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობაში – პირველად სასწავლო პედაგოგიური ლიტერატურის სექტორის გამგედ, შემდეგ კი სარედაქციო სამმართველოს უფროსად. სამამულო ომის პერიოდში დავბეჭდე რამდენიმე წერილი ლიტერატურის აქტუალურ საკითხებზე, ვთარგმნე ხუთ თაბახამდე მხატვრული ლიტერატურა (ვ. ვასილევსკაია, კორნეიჩუკი, ერენბურგი და სხვ.) და 20-მდე სახელწოდების პოლიტიკური ბროშურა.

1939 წელს არჩეული ვიქენი ქ. თბილისის ერთ-ერთი რაიონული საბჭოს დეპუტატად.

ლ. კალანდაძის ნაწარმოებთა სია

1. 1926 წლიდან ვწერდი კრიტიკულ წერილებს ესთეტიკის საკითხებზე, აგრეთვე რეცენზიებს ქართულ-რუსულ ჟურნალ გაზეთებში.

თარგმანები 1946 წლამდე:

ვანდა ვასილევსკაია „დღეები შობენ გმირებს“.

გერცენი, ნაწყვეტები წარსულ ფიქრებიდან, თარგმანი, 1951 წ.

ჰოვართ ფიხტი, „ხელოვნება და სინამდვილე“, 1951 წ.

კრიტიკული წერილები და რეცენზიები ჟურნალ-გაზეთებში.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ანა ღვინიაშვილი

ავტობიოგრაფია

მე, ანა სპირიდონის ას. ღვინიაშვილი, დავიბადე 1904 წელს, 1 იანვარს ქ. თბილისში გლეხი-ხელოსნის ოჯახში. დედა არ მახსოვს (ჩემს დაბადებას გადაჰყვა). მამა გარდაიცვალა 1906 წელს. მპატრონობდნენ და მზრდიდნენ დედინაცვალი (გარდაიცვალა 1947 წ.) და ორი ძმა (ერთი – პენსიონერი, მეორე გარდაიცვალა 1971 წელს).

პირველდარსებითი განათლება მივიღე თბილისის საეპარქიო გიმნაზიაში, რომელიც 1922 წელს დავამთავრე (საბჭოთა პერიოდში მე-10 ათწლეულად გადაკეთდა). ჩემი მასწავლებლები იყვნენ: კორნელი კეკელიძე, გიორგი ახვლედიანი, დიმიტრი უზნაძე, სერგი დანელია, სერგო გორგაძე და სხვ.

მონაფეობიდანვე მიზიდავდა ხელოვნება, განსაკუთრებით ლიტერატურა. ბევრს ვკითხულობდი ქართულს, რუსულსა და უცხოეთის ლიტერატურას, მხატვრობასა და თეატრზე დაწერილ წიგნებს.

1922 წელს შევედი თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. დავამთავრე 1927 წელს. გიმნაზიაში სწავლის დროს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა – სერგო გორგაძემ ყურადღება მიმაქცევინა საბავშვო ლიტერატურაზე, დამისახელა ლიტერატურა და მეც მონდომებით ვსწავლობდი მის განვითარების გზებს (ს. გორგაძე უნივერსიტეტის მასწავლებელიც იყო). ს. გორგაძის რეკომენდაციით 1924 წელს პირველმა წავიკითხე ქართული და რუსული საბავშვო ლიტერატურის კურსი პირველად მოწყობილ ერთთვიან საბიბლიოთეკო კურსებზე (მოწყობილი იყო ყოფ. პუშკინის სახ. ბიბლიოთეკაში).

აღნიშნული წლიდანვე დავიწყე ლექციებისა და მოხსენებების კითხვა სისტემატურად და აგრეთვე პრესაში თანამშრომლობა თანამედროვე ბავშვის კლასგარეშე კითხვის მოწესრიგების, საბავშვო ლიტერატურის საკითხებსა და მის წლიურ მიმოხილვებზე; ხოლო 1928 წლიდან თითქმის დღემდე მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრობასთან დაკავშირებით, მოხსენებებს ვაკეთებდი და ვწერდი თეატრის რეპერტუარის, სპექტაკლებისა და დრამატურგიის საკითხებზე; შემდეგ დავწერე ხსენებული თეატრის ისტორია (გამოვიდა 1956 წელს).

ვინაიდან ჩემი ძირითადი მუშაობა საბავშვო ლიტ-რის ისტორიის შესწავლაზე მიმდინარეობდა, თბ. განათლების განყოფილებამ მიმავლინა მოსკოვს, ორწლიან ინსტიტუტ დეტსკოგო ჩტენია-ში, 1930–1932 წლებში დავამთავრე.

1934 წლიდან თითქმის დღემდის სისტემატურად და ხანგამოშვებით ვკითხულობ საბავშვო ლიტერატურის კურსს პედაგოგიკურ ინსტიტუტებში (ქუთაისი, გორი, თელავი, თბ. პუშკინის სახ.) და აგრეთვე მასწავლებელთა დაოსტატების მიერ მოწყობილ კურსებზე და ცენტ. საბავშვო ბი-კის სემინარებზე.

1932 წელს პირველად მოწყობილ ქართული საბავშვო ლიტ-რის საკითხებზე საქალაქო კონფერენციაზე (მიმდინარეობდა მარიამ ორახელაშვილის თავმჯდომარეობით) გაკეთებული მოხსენების შემდეგ მიწვეული ვიყავი იმ

დროს სახელგამის საბავშვო და ახალგ. ლიტ-რის სექტორში რედაქტორად და მეთოდისტად. დასახელებული წლიდან 1963 წლამდე (სამი წლის გამოკლებით, სხვა სამუშაოებზე გადაყვანით) საბლიტგამში და სახელგამში ვმუშაობდი სხვადასხვა თანამდებობებზე: რედაქტორად, ტექნიკური განყ-ბის გამგედ, საწარმოო განყ-ბის გამგედ, უფროს რედაქტორად და სხვ.

ბევრი საბავშვო წიგნი, რომ იტყვიან, ჩემი თანადასწრებით დაიბადა, დაიბეჭდა, აგრეთვე ჩვენი კლასიკოსების გამოცემებს ტექნიკურ ხელმძღვანელობას ვუწვევდი.

ბევრჯერ გამომეცხადა წერილობითი მადლობა და დაჯილდოვებული ვიყავი ფულადი და ძვირფასი საჩუქრებით ენერგიული მუშაობისათვის.

დაჯილდოებული ვარ საქართველოს უმაღლესი პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, კულტურის სამინისტროს სიგელით, დიდი სამამულო ომის ორი მედლით და ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული“.

საერთოდ, შრომითი მუშაობა დავიწყე 1922 წლიდან: შინამრეწველობის ტექნიკუმის სასწ. ნაწილის გამგედ, ქართული ენისა და ლიტ-რის მასწავლებლად, ხე-ტყის ტექნიკუმის მასწავლებლად, ქართული საბავშვო წიგნის კაბინეტის გამგედ, ალ. ჯაფარიძის სახ. ბიბ-კის საბავშვო განყ-ბის გამგედ, პედაგოგიკის საკვლევო-სამეცნიერო ინსტიტუტის საბავშვო წიგნის გამგედ, ამხ. ბ. ძნელაძის პიონერთა და მოსწავლეთა მხატვრული აღზრდის გამგედ, მოზ. მაყ. ქართული თეატრის პედნაწილის გამგედ და სხვ.

არავინ მყოლია არც დაპატიმრებული, არც საზღვარგარეთ. პირადად მე კი სამჯერ ვიყავი ტურისტულ მოგზაურობაში (პოლონეთი, დემოკრ. გერმანია, კუბა, მექსიკა, ევროპის გარშემო).

შემდეგი წიგნების ავტორი და შემდგენელი ვარ:

1. თ. რაზიკაშვილის მოთხრობები – წინასიტყვაობით, 1947 წ.
2. მოზ. მაყურ. ქართული თეატრის ისტორია, 1956 წ.
3. ნარკვევები ქართული საბავშვო ლიტ-რის ისტორიიდან, 1962 წ.
4. ქართ. საბავშვო ლიტ-რის ქრესტომატია – ორ ტომად.
6. ქართული საბავშვო ლიტ-რის მოამაგენი.
7. ქართული ხალხური ზღაპრები, თ. რაზიკაშვილის ზღაპრების ტექსტის მომზადება – ორ წიგნად.
8. კართაგენის ნანგრევებთან – ტურისტული ჩანაწერები, 1969 წ.

ჩემს თავს ვთვლი უპარტიო ბოლშევიკად და ყოველთვის ერთგულად ვემსახურებოდი და კვლავაც ვემსახურები ჩემს მშობლიურ ქვეყანას.

*ანა ღვინიაშვილი
დავითაშვილის ქ. №17
ტელ. 93-10-12.*

კარლო კალაძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | კალაძე კარლო რაჟდენის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1904 თვე მარტი დღე 29 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ქუთაისი |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი, მწერლის ოჯახიდან |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია, დრამა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართული |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1920 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1934 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | საქ. პროლეტმწერალთა ასოციაცია |
| 12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ-ს წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|-------------------------|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | დაუმთავრებელი, უმაღლესი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>მწერალი</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>„საპატიო ნიშნის ორდენი“, მედელები: „კავკასიის დაცვისათვის“, „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>ლიტერატურა</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>მაჩაბლის 12</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1929 | 30 | დირექტორი | მარჯანიშვილის სახ. თეატრი | ქუთაისი |
| 1937 | 42 | რედაქტორის მოადგ. | ჟურნალი „მნათობი“ | |
| 1942 | 54 | პ/მგ. რედაქტორი | რადიო კომიტეტი | |
| 1950 | | რედაქტორი | ჟურნ. „ნიანგი“ | |
| | | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

კარლო რაჭდენის ძე კალაძის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1904 წელს 29 მარტს ქალ. ქუთაისში, ლიტერატორის ოჯახში. 1926 წელს დავამთავრე თბილისის პირველი ვაჟთა ტექნიკუმი. 1927-28 წ. ვირიცხებოდი თბილისის სახ. უნივერსიტეტის ლიტერატურის ფაკულტეტზე (კურსი არ დამიმთავრებია).

1931 წელს ვიყავი ქართული სიტყვიერების ფაკულტეტის ასპირანტურაში. ლიტერატურულ მუშაობას ვენევი ბავშვობიდანვე.

1920 წელს გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა ჩემი პირველი ლექსი.

გასაბჭოების პირველ დღიდანვე აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი პარტიულ და კომკავშირულ ჟურნალ-გაზეთებში.

1924 წელს ჩემი ინიციატივით დაარსებულ იქნა ახალგაზრდა პროლეტარულ მწერალთა საზოგადოება „პროლემაფი“-ს სახელწოდებით. ამ წლიდან მოყოლებული აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი პროლეტ მწერალთა ასოციაციის ყოველგვარ საქმიანობაში როგორც გამგეობის წევრი და დრამატურგი-პოეტი.

1928 წელს ვიყავი სარეპერტუარო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი.

1929–31 წლებში ვიყავი მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრის დირექტორი.

1936–1945 წლებში ვიყავი ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორის მოადგილე და მთავარი რედაქტორი ლიტ. გამომცემლობისა საქართველოს რადიოკომიტეტში.

ჩემს მიერ დაწერილია და დადგმული საქართველოს თეატრების სცენაზე პიესები: „როგორ“, 1927 წელს მარჯანიშვილის სახ. თეატრში; „ხატიჯე“ – 1929 წ.; ამავე თეატრში დაიდგა პიესა „სახლი მტკვრის პირას“, კომედია; 1943 წ. – რუსთაველის სახ. თეატრში „ერთი ღამის კომედია“; 1946 წელს – პიესა „ლალი“ მარჯანიშვილის სახ. თეატრში; 1948 წელს – პიესა „სოფლის საამური საღამოები“ და პიესა „ახალგაზრდა სპეციალისტები სოფლად“.

ზოგიერთი მათგანი გადათარგმნილი იქნა და დადგმული რუსულ, უკრაინულ და სომხურ ენაზე.

უმთავრესად ვმუშაობ, როგორც პოეტი.

გამოცემულია ჩემი ლექსებისა და პოემების 60-ზე მეტი წიგნი, მათ შორის ზოგიც რუსულ ენაზე.

ჩემი პირველი წიგნი ქართულად გამოიცა 1926 წელს.

ქართულმა პრესამ განსაკუთრებულად აღნიშნა და გამოეხმაურა ჩემს პოემას „უჩარდიონი“, ლექსების ციკლს „ხერთვისის განთიადი“, „შეხვედრა ბრძოლის ველზე“, ლექსებს „სიმღერა და ბალადები“, „ისევ მშობლიურ სოფელში“ და სხვ.

ლიტერატურული მუშაობისათვის დაჯილდოვებული ვარ „საპატიო ნიშნის ორდენით“, მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“.

კ. კალაძის ნაწარმოებთა სია

1. ლექსების და პოემების წიგნები, სხვადასხვა წლების გამოცემა, სულ 25 კრებული.
2. „შეხვედრები ბრძოლის ველზე“, ლექსთა კრებული.
 3. ახალი ლექსები, სიმღერები და ბალადები, 1944 წ.
 4. „ლექსები, სიმღერა და ბალადები“, რუსულად, 1944 წ.
 5. „საბავშვო პოემები“, ერთტომეული, 1947 წ.
 6. „რჩეული ლექსები“, რუსულად, 1948 წ.
 7. „ისევ მშობლიურ სოფელში“, წიგნი, 1949 წ.
 8. მრავალი ლექსები და ციკლები ჟურნალ-გაზეთებში
 9. „ერთი ღამის კომედია“, პიესა, 1948 წ.
 10. „როგორ“, პიესა, 1927 წ.
 11. „ხატიჯე“, „–“, 1929 წ.
 12. „სახლი მტკვრის პირას“, კომედია, 1943 წ.
 13. „ლალი“, პიესა, 1948 წ.
 14. „სოფლის საამური საღამოები“.
 15. „ახალგაზრდა სპეციალისტები სოფლად“, პიესა.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

სურენ ავჩიანი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ავჩიან სურენ გიორგის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1904 თვე ივლისი დღე 24 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) თბილისი |
| 4. ეროვნება | სომეხი |
| 5. სოციალური წარმოშობა | ხელოსანი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეტი, დრამატურგი, კრიტიკოსი |
| 8. რა ენაზე წერს | სომხურსა და ქართულ ენაზე |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1923 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1937 წლიდან |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიულისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | სასულიერო სემინარია ნერსესიანისა, ქალ. თბილისში, 1917–1919 |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | სომხური, ქართული და რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | ვმსახურობდი 1927-28 წლამდე რიგით ჯარისკაცად |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|--|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემაღენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღ-გენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღ-გენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>თავისუფალი</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, რო-დის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>ვკითხულობდი ლექციებსა და მოხსენებებს ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედა-ლი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>—</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>შირაქის 1 შეს. №5</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ: სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1923 | 1934 | ბიბლიოთეკის გამგე | მეტყვევთა კავ- შირის კლუბში | |
| 1934 | 1936 | კლუბის გამგე | „—“ | |
| 1936 | 1937 | დრამატიული წრის ხელმძღვა- ნელი | „—“ | |
| | | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

სურენ გიორგის-ძე ავჩიანის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1904 წელს, 24 ივლისს ქალ. თბილისში, ღარიბი ხელოსნის ოჯახში. პირველ დაწყებითი სწავლა მივიღე ქალაქის ერთ-ერთ სკოლაში, შემდეგ განვაგრძე სწავლა სუფსარქისისა და სუპგეორქის სკოლაში, რის შემდეგ გადავედი თბილისის ნერსესიანის სასულიერო სემინარიაში.

1920–23 წლებში დავიწყე თვითგანვითარება, დავენაფე სომხურ, ქართულ და რუსულ წიგნების კითხვას, აგრეთვე ვკითხულობდი პერიოდულ გამოცემებს.

1923 წელს მუშაობას ვიწყებ მეტყვევითა კლუბში კულტ-მუშაკად და სომხური და ქართული დრამატიული წრის სცენის მოყვარედ. ვმუშაობ მოკარნახედ, მხატვრად და შემდეგ კი გადავდივარ ბიბლიოთეკის გამგედ, შემდეგ – კლუბის გამგედ.

14 წლის ასაკისამ დავიწყე მუშაობა ზემოდდასახელებულ სამუშაოებზე და ვიმუშავე 1937 წლამდე, ვიდრე არ მოხდა კლუბის ლიკვიდაცია.

1937 წლიდან დავიწყე ლიტერატურული მუშაობა, გამოვედიოდი სომხურ და ქართულ პრესაში. 14-15 წლისამ დავსტამებ ჩემი პირველი ლექსი, 1923 წელს დაიბეჭდა სომხურ საბავშვო ჟურნალში „კარმირ ცილორ“ – მესამე ნომერში. ამის შემდეგ სისტემატურად ვთანამშრომლობდი სომხურ პერიოდულ ჟურნალ-გაზეთებში: „მართაკოჩი“, „პროლეტარი“, „ხათაბალა“, „კარმირ ცილორ“, „ოქტომბერიკ“, „არშავირ“, ხორურდინ ვრასტან“, „ხორურდინ გრაკანტიუკ“; ქართულ ჟურნალებში: „პროლემაფი“, „კომუნისტი“, გაზ. „მუშა“, „თეატრი და ცხოვრება“, „საბჭოთა ხელოვნება“, „სალიტერატურო გაზეთი“, „მნათობი“, „საბჭოთა აფხაზეთი“ და სხვა. ვათავსებდი აღნიშნულ ჟურნალ-გაზეთებში, როგორც ორიგინალურ ნაწარმოებებს, ისე თარგმნილ ლიტერატურას და კრიტიკულ წერილებს.

ჩემი პიესები: „თავისუფლება“, „პარიზის კომუნა“, „ლენინის გარდაცვალება“, „ნილაბ-ქვეშ“ და სხვა.

გარდა მცირე ფორმის პიესებისა მაქვს: კიდევ დანერილი სხვა პიესები, რომლებიც იდგმება სომხური დრამის თეატრში.

ცალკე წიგნებად გამოცემული მაქვს „ხელოსნობა“ და „ხელოვნება“ 1930 წელს, „ლიანა“ – 1939 წ., „ბელადი“ (კონსტ. გამსახურდიასი – თარგმნილი არის ჩემს მიერ სომხურ ენაზე) და სხვა.

აგრეთვე გადათარგმნილია ჩემს მიერ სანდრო შანშიაშვილის პიესა „არსენა“, ს. კლდიაშვილის პიესა „გმირთა თაობა“, ვ. გაბესკირიას პიესა „მათი ამბავი“, გ. ნახუცრიშვილის და ბ. გამრეკელის მიერ გაკეთებული პიესა „ნაცარქექია“. ეს პიესები დადგმული იქნა თბილისის სომხური დრამის თეატრებში და მოზ. მაყურებელთა თეატრში.

სომხურიდან ქართულად ვთარგმნე მარჯანიშვილის თეატრისათვის ლ. მიქაელიანის „გომ“, აგრეთვე დავით სასუნცი, რომელიც გამოვიდა საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობის მიერ.

აგრეთვე აღნიშნულ სამუშაოებთან ერთად პარალელურად ვმუშაობ

შრომაზე „ძველი თბილისის ტრადიცია“, „ჩემი თავგადასავალი“ (ავტობიოგრაფია-რომანი), „ჩვენი პატარძალი“ (კომედია), ალ. ჭავჭავაძე, კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“ და ნ. ბარათაშვილის პოემა, რომელიც გამოვიდა ცალკე წიგნად ჩემი წინასიტყვაობით და კომენტარებით.

სურენ გიორგის-ძე ავჩიანის ნაწარმოებები და თარგმანები

1. „სოსი და ვართთერი“ (პიესა), 1946 წ.
 2. თბილისის სომხურ თეატრში ბარათაშვილის პოემების და ლექსების თარგმანი, 1948 წ.
 3. „ქეთო და კოტე“ (ოპერა), თარგმანი, 1945 წ.
 4. „ქოროღლი“, 1948 წ.
 5. „საიათნოვა“, 1950 წ.
 6. თარგმნილია სომხურად შანშიაშვილის „არსენა“ და ს. კლდიაშვილის გმირთა თაობა“, გ. ნახუცრიშვილის და ბ. გამრეკელის „ნაცარქექია“.
 7. „ცხოვრების სიმღერა“ (ვამუშავებ ამჟამად).
 8. პიესა „საიათნოვა“, 1950 წ.
 9. ი. ლისაშვილის „კეცხოველი“, თარგმნილია სომხურად, 1951 წ.
 10. კრებული: ქართველი ისტორიკოსები, მეცნიერები, მწერლები და ხელოვანნი სომხეთისა და საქართველოს შესახებ, 1951 წ.
 11. ქართულად ვთარგმნე შირვან-ზადეს „ქაოსი“, 1951 წ.
- სწორია: ნ. კლ., 1956 წ.
ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

კალე ბობოხიძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ბობოხიძე კალე ფირანის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | არა მაქვს |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1904 თვე აგვისტოს დღე 16 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. მათხოჯი (ქუთაისის გ.) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1925 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1934 წლიდან |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია |
| 12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | მქონდა, მაგრამ მომეხსნა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ცოტა გერმანული და ფრანგული, რუსული და ქართული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | რედაქცია გაზეთ „ბოეც რკკა“-ს პოლიტბელი |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | ვმსახურობდი როგორც სამხედრო კორესპონდენტი |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>აღრიცხვიდან მოხსნილი ვარ</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>ვიყავი ირანში, ჩვენი ჯარების შესვლის დროს თავრიზში</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>რამდენჯერმე ვიყავი არჩეული უბნის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ, უმაღლესი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>სამი მედალი სამამულო ომის დროს მამაცური ბრძოლებისათვის</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღნიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>უფროსი რედაქტორი სახელგამისა</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>მარჯანიშვილის 4, 3-52-70</p> |

„ ____ “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღ- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1925 | 1926 | რეგისტრატორი | თბილისის ქალ. საბჭოს ადმინ. განყოფილებისა | |
| 1928 | 1930 | მასწავლებელი ქართული ენისა | თბილისის სამ- რენველო ტექნი- კუმისა | |
| 1930 | 1932 | მასწავლებელი ქართული ენისა | ა/კ ფეხოსანთა შკოლისა „ზეპეშა“ | თბილისი |
| 1932 | 1934 | პ/მგ. მდივანი | სსმკ სამხედრო კომისიისა | |
| 1934 | 1935 | პ/მგ. მდივანი და რედაქტორის მოადგ. | სსმკ ჟურნალი „ახალგაზრდა მწერალი“ | თბილისი |
| 1935 | 1936 | დირექტორის მოადგ. | 18 საშუალო სკო- ლისა | „-“ |
| 1936 | 1937 | პ/მგ. მდივანი | ჟურნ. „ნიანგისა“ | |
| 1937 | 1938 | განყ. გამგე | რადიოკომიტეტის | |
| 1938 | 1941 | განყ. უფროსი | სახელგამისა | |
| 1941 | 1942 | ლიტმუშაკი | სამხედრო გაზე- თი „ბოეც ერკკა“ | თბილისი |
| 1942 | 1956 | უფრ. რედაქტორი | სახელგამი, სადაც ვმუშაობ ამ თანამდებობაზე | დღესაც |
| | | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს | გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | |

შეკვ. №193. ტ. 1000

ხელმოწერა _____

კალე ფირანის-ძე ბობოხიძის ავტობიოგრაფია

მე კალე ფირანის-ძე ბობოხიძე დავიბადე 1904 წელს, 16 აგვისტოს, სოფ. მათხოჯში (ქუთაისის გუბერნია), ღარიბი გლეხის ოჯახში. პირველ დაწყებითი სწავლა მივიღე მახლობელ სოფელ ნახახულევში, საშუალო სწავლა კი მივიღე ქალ. ხონში (ამჟამად წულუკიძეთ ნოდებული). 1925 წელს შევედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რის შემდეგ ვსწავლობდი ასპირანტურაში, რომლის კურსი დავამთავრე. 1924 წლიდან ვიყავი ალკკ წევრი, ხოლო 1938 წლიდან კომუნისტური პარტიის წევრი. 1925 წლიდან ვიყავი საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრი, ამჟამად ვარ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრი.

პირველი ჩემი ლექსი დაბეჭდილი იყო გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტში“, 1925 წელს.

1926 წელს არჩეული ვიყავი პ/მგ. მდივნად კომკავშირულ ახალგაზრდა მწერლების წრისა, რომელიც ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ იყო დაარსებული მწერალთა კავშირთან ერთად და გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტთან“. ამ წრეს ვხელმძღვანელობდი და ვრედაქტორობდი ლიტერატურულ ფურცელს. ამ წრემ მოგვცა მრავალი ამჟამად გამოჩენილი მწერალი.

1928–32 წლებში მე ვიყავი პედაგოგად. 1932 წელს არჩეული ვიყავი სამხედრო თავდაცვითი ლიტსექციის მდივნად.

1937 წლიდან ვხელმძღვანელობდი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საბავშვო სექციას, აგრეთვე შეთავსებით ვმუშაობდი საქართველოს რადიოკომიტეტში ლიტერატურის განყოფილების გამგეთ.

1938 წლიდან 1941 წლამდე ვმუშაობდი სახელგამში და ვხელმძღვანელობდი მხატვრულ ლიტერატურის საქმეს.

1934 წელს გაგზავნილი ვიყავი საკავშირო თათბირზე სამხედრო კომისიისა ქალ. მოსკოვში, რომელიც იყო მოწვეული.

1939 წელს გაგზავნილი ვიყავი ქალ. კიევში ტარას შევჩენკოს საიუბილეო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად, როგორც საქართველოს შევჩენკოს საიუბილეო კომისიის წევრი.

1932–1939 წლებში მე ვიყავი წევრი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობისა, აგრეთვე 1938 წელს არჩეული ვიქენი სსმკ პირველადი პარტორგანიზაციის მდივნად.

ჩემი ნაწარმოებები იბეჭდებოდა ყველა პერიოდულ ჟურნალ-გაზეთებში და ცალკე წიგნებადაც გამოდიოდა.

ჩემი ლექსების წიგნები გამოცემულია მოძმე ხალხთა, რესპუბლიკის ხალხთა ენებზე (რუსულად, უკრაინულად, ბელორუსულად, სომხურსა, აზერბეიჯანულს, ოსურსა, აფხაზურსა და ინგუშეთის ენებზე).

ავტორი ვარ 14 წიგნისა.

1938 წელს გამოვიდა ჩემი ლექსების კრებული რუსული თარგმანით, ალკკ დაარსების ოცი წლის თავთან დაკავშირებით.

სამამულო ომის პერიოდში ჩემი ლექსები სისტემატურად იბეჭდებოდა პერიოდულ ჟურნალ-გაზეთებში. ჩემი ლექსები ვრცელდებოდა სამხედრო ნაწილებში და პოპულარობით სარგებლობდა. აღნიშნული მუშაობისათვის მე ვღებულობდი მადლობას და აგრეთვე მიღებული მაქვს სამი მედალი.

კალე ბობოხიძის ნაწარმოებთა სია

1. „ინდუსტრიული ლირიკა“, 1929 წ.
2. „ლექსების ლაშქრობა“, 1933 წ.
3. ლექსები, „სიყვარული“, 1935 წ.
4. პოემა „კავკასიონის ქარიშხალი“, 1936 წ.
5. ლექსები, 1938 წ.
6. „გამარჯვების სიმღერა“, 1938 წ.
7. „ლირიკა“, ლექსთა კრებული, 1940 წ.
8. „სიცოცხლისათვის“, 1945 წ.
9. „ახალი ლექსები“, 1947 წ.
10. პოემა და ლექსები, 1950 წ.
11. ლექსები ჟურნალ-გაზეთებში.

ყველა ჩემს წიგნებზე და ნაწარმოებებზე ბევრი წერილი დაწერილა ქართველ კრიტიკოსების მიერ. თითქმის ყველას გამოუთქვამს ჩვენს შესახებ თავისი აზრი, განსაკუთრებით – სულავას, რადიანს, სავარსამიძეს, ნატროშვილს, ბენაშვილს, დემეტრაძეს, მელაძეს, ჟღენტს, კაპანელს, ჯიბლაძეს, ლომიძეს, არსენიშვილს, ასტვაცატუროვს, შამათოვს და სხვებს, თათარიშვილს, გორდელაძეს, კალანდარიშვილს, თავზიშვილს.

წერილები იბეჭდებოდა 1926 წლიდან სხვადასხვა გამოცემებში: „ახ. კომუნისტში“, „კომუნისტში“, „მუშაში“, „წითელ არმიელში“, „კომგანათლებაში“, „სალიტ. გაზეთში“, „პროლეტ. მწერლობაში“, „მნათობში“, „ნა რუბეჟე ვოსტოკაში“, და სხვ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

მიხეილ მრევლიშვილი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | მრევლიშვილი მიხეილ ნიკოლოზის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1904 თვე აგვისტო დღე 19 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ქ. ონში (რაჭის მაზრა) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პროზა, დრამატურგია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1926 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1947 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|-------------------------------|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, ეკონომისტ-მგეგმავი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | როგორც ევაკო-გოსპიტლის მუშაკი |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>სსმკ გამგეობის წევრი, დრამ-სექციის ხელმძღვანელი</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>–</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>–</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>გოგებაშვილის 43</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშვნით | უნწყება, რომელშიც შედის დანესებულება, ორგანიზაცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ადგილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|---|--|---|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1924 | 25 | ტექნიკ. მდივანი | განათლების მუშაკთა პროფკავშირი | |
| 1925 | 28 | სტატისტიკოსი | შრომის სტატისტიკოსი | მოსკოვი |
| 1928 | 31 | სტატისტიკოს-ეკონომისტი | „მოსკულტპრომისა“ | „—“ |
| 1931 | 32 | ეკონომისტი | „სელხოზტრესტი“ | „—“ |
| 1932 | 36 | უფრ. ეკონომისტი | მინსახკომი | თბილისი |
| 1941 | 1945 | უფროსის მოადგ. | ევაკო-გოსპიტალი | თბილისი |
| 1945 | 48 | დირექტორის მოადგილე | ხელოვნების სახლში | „—“ |
| 1948 | 51 | ლიტკონსულტანტი | სსმ კავშირში | |
| | | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

შეკვ. №193. ტ. 1000

ხელმოწერა _____

მიხეილ ნიკოლოზის-ძე მრევლიშვილის ავტობიოგრაფია

მე, მიხეილ ნიკოლოზის-ძე მრევლიშვილი, დავიბადე 1904 წელს, 19 აგვისტოს, რაჭის მაზრაში, ქ. ონში. მამა ჩემი იყო თელავის მაზრის გლეხი, რომელიც თბილისის სემინარიის დამთავრების შემდეგ გაუგზავნიათ მასწავლებლად სოფ. კარდანახში. რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის მიღების გამო, იგი მოხსნილი იქნა სამსახურიდან და გაუგზავნიათ უბრალო სამუშაოზე ქ. ონში, სამაზრო სასამართლოში. იქ მან იცხოვრა სიკვდილამდე. იგი გარდაიცვალა 1906 წელს.

მამის სიკვდილის შემდეგ ჩვენ იძულებული გავხდით, გადავსულიყავით საცხოვრებლად კახეთში, მამის სამშობლოში, სოფ. იყალთოში (თელავის რაიონი). დედაჩემი ენეოდა სასოფლო მუშაობას. 1916 წელს მუშაობა დაიწყო ჩემმა დამ თბილისში. ამან მე მომცა საშუალება გადმოვსულიყავი თბილისში სასწავლებლად.

ოქტომბრის რევოლუციამ მე თბილისში მომიხწრო, ხოლო ჩემ დას – პეტროგრადში. 1929 წელს დედაჩემი პირველი შევიდა კოლექტივში სამუშაოდ და მუშაობდა ღრმა მოხუცებულობამდე.

1929 წელს დავამთავრე საშუალო სასწავლებელი და იმავე წელს შევედი სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სწავლასთან ერთად მუშაობა დავიწყე 15 უბნის განათლების მუშაკთა პროფკავშირში ტექნიკურ მდივნად. 1925 წელს გადავედი სტატისტიკურ ბიუროში სტატისტიკოსად. ამავე პერიოდში მუშაობა დავიწყე გაზეთ „მუშას“ მუშათა კორესპონდენტად და აგრეთვე ვიწყებ მხატვრულ პროზის ხაზით მუშაობას. ჩემი პირველი რომანი „ინონი“ დაიბეჭდა 1926 წელს. ამის შემდეგ ვენევი ლიტერატურულ მოღვაწეობას.

1929 წელს გადავედი მოსკოვში სასწავლებლად ჟურნალისტიკის ინსტიტუტში. ინსტიტუტში მიმავლინა საქართველოს მწერალთა კავშირმა, მაგრამ ინსტიტუტის რეორგანიზაციის გამო, იძულებული ვიყავი სწავლა ისევ ეკონომიურ ფაკულტეტზე გამეგრძელებინა. შემდეგ მუშაობა დავიწყე ტრესტ „მოსკულტმშენში“ მგეგმავად.

1932 წელს ჯანმრთელობის სისუსტის გამო საცხოვრებლად გადმოვედი თბილისში და მუშაობა დავიწყე „სამტრესტში“ უფროს ეკონომისტად, ვიმუშავე სამამულო ომის დაწყებამდე. ომის დროს მობილიზებული ვიყავი წითელ ჯარში, მაგრამ ჯანმრთელობის შეზღუდულობის გამო მოხსნილი ვიქენი აღრიცხვიდან. გამგზავნეს ჰოსპიტალში სამუშაოდ, სადაც ვიმუშავე 45 წლამდე, ომის დამთავრებამდე.

1945 წელს მუშაობა დავიწყე საქართველოს რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკთა სახლში დირექტორის მოადგილეთ.

1947 წელს შევედი სკკპ წევრად.

მთელი ჩემი აღნიშნული მუშაობის პერიოდში არ შემინწყვეტია ლიტერატურული მუშაობა.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრი ვარ 1927 წლიდან.

მ. ნ. ნაწარმოებთა სია

1. „ინონი“ (რომანი), 1926 წ.
2. „ობობა“ (მოთხრობა), 1927 წ.
3. „სემიდა“ (ნოველა), 1928 წ.
4. „ხავს მოდებული ნაფოტები“, 1929 წ.
5. „შიში“ (მოთხრობა), 1934 წ.
6. „კრწანისის ღამე“ (მოთხრობა), 1945 წ.
7. „ოქროსზარნაშოიანი ხანჯალი“ (ნოველა), 1946 წ.
8. „ხარატანთ კერა“ (მოთხრობა), 1947 წ.
9. „ხარატანთ კერა“ (რუსული თარგმანი), 1949 წ.
10. „პოეტის ბედი“ – ბარათაშვილი (პიესა), 1948 წ.
11. „ხარატანთ კერა“ (სცენარი), 1949 წ.
12. „ალაზნის ველზე“ (სცენარი).
13. „წერილი ბელადს“.
14. მოთხრობებისა და ნოველების კრებული, 1952 წ.
15. „ზვავი“ (პიესა), 1956 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტ. სამდ. გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

პაპუნა წერეთელი

ავტობიოგრაფია

დავიბადე სოფელ საჩხერეში, 1904 წლის 20 აგვისტოს, ძველი სტილით. ქართული წერა-კითხვა შემასწავლა ცნობილმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ – ანეტა იურკევიჩმა (პოეტ რუს-იმერლის ქალიშვილმა). მანვე და ჩემმა დედ-მამამ, ვერა პაპუნას ასულმა წერეთელმა და ალექსანდრე დიმიტრის ძე წერეთელმა, ჩამინერგეს ჩემი ქვეყნისა და ქართული ლიტერატურის სიყვარული.

ვსწავლობდი ქუთაისის გიმნაზიაში, შემდეგ კი თბილისის ქართულ გიმნაზიაში, რომელიც დავამთავრე 1922 წელს. 1923 წელს შევედი თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1927 წელს. 1936 წლიდან 1945 წლამდე ვმუშაობდი რუსთაველის სახ-ფო თეატრის მუზეუმის გამგედ, 1945 წლიდან პენსიაზე გადასვლამდე კი – თბილისის კინო-სტუდიის სასცენარო განყოფილების უფრ. რედაქტორად.

ნათარგმნი მაქვს ტოლსტოის, დოსტოევსკის, ჩეხოვის, პრიშკინის, ლეონოვის, სოლოუხინის, ზოშჩენკოს და სხვათა ნაწარმოებები. გარდა ამისა ნათარგმნი მაქვს ორმოცამდე პიესა. მათგან უმრავლესი იდგმებოდა და იდგმება ქართულ თეატრებში.

პაპუნა წერეთელი
21/IV-71 წ.

აღექსანდრე სულავა

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | დაიღუპა სამამულო ომში სულავა ალექსანდრე გიორგის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1904 თვე აგვისტოს დღე 25 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. ლანიჩაგანში (სამტრედიის რაიონი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | კრიტიკა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1927 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1934 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | 1924 წლიდან ვიყავი კომკავშირელი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | უმაღლესი, დაუმთავრებელი |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დაამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | არა |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | არა |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | განვეული იქნა სამამულო ომში და დაიღუპა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | |

ალექსანდრე გიორგისძე სულავას ავტობიოგრაფია

დავიბადე სოფ. ლანირ-ჭაგანში, 1904 წ. 25 აგვისტოს. ამ სოფელში ჩვენი წინაპრები გადმოსულან სამტრედიიდან. ბავშვობის წლები სოფელში გავატარე. მამაჩემი (გიორგი ივანეს-ძე) რკინიგზელი იყო. მონაწილეობას იღებდა მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში, რის გამოც 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, მეფის ხელისუფლებამ გადაასახლა ციმბირში. ციმბირიდან დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა ბაქოში.

პირველდანიწყებითი სწავლა მივიღე ბაქოში გოგოლის სახელობის სასწავლებელში, მაგრამ ორი წლის შემდეგ ისევ სამშობლოში ჩამომიყვანეს, რადგან ბაქოში არ ვისურვე ცხოვრება. მიმაბარეს ხონის გიმნაზიაში. აქ ვსწავლობდი ცუდად, რის გამოც მშობლებმა ისევ ბაქოში გადამიყვანეს. ვსწავლობდი ბაქოს რეალურ სასწავლებელში.

ბაქოში ათი წლის განმავლობაში ვცხოვრობდი. სამშობლოში დავბრუნდით 1919 წელს. ლიტერატურა ბავშვობიდანვე მაინტერესებდა და მიტაცებდა. მამას მოსდიოდა ქართული ჟურნალ-გაზეთები. მე ვკითხულობდი მათში მოთავსებულ ლიტერატურულ მასალებს, განსაკუთრებით მომწონდა გ. ქუჩიშვილისა და ალ. აბაშელის ლექსები. 12 წლის ვიყავი, როდესაც ვნახე აკაკი წერეთელი. აკაკი ლამაზი მოხუცი იყო, დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე.

ოქტომბრის რევოლუციის წლებში ბაქოში ვცხოვრობდი. თუმცა ბავშვი ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს ბაქოს კომუნის ამბები. ბაქოს კომუნის დამარცხების შემდეგ მშობლები გადმოვიდნენ საცხოვრებლად სამტრედიიაში. მე ვსწავლობდი სამტრედიის გიმნაზიაში, რომელიც დაფუძნდა ვასაბჭოელების შემდეგ, 1922 წელს. ამის შემდეგ ვცხოვრობდი სოფელში.

1924 წელს შევედი კომკავშირში, და მივიღე აქტიური მონაწილეობა მენშევიკური ავანტიურის საწინააღმდეგო ბრძოლაში.

1925–27 წლებში ვსწავლობდი თბილისის უნივერსიტეტში, რომელიც არ დამისრულებია. გამიტაცა მწერლობამ, ამ ხანებში რამდენიმე ლექსი დავბეჭდე, რის გამოც მიმიღეს საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში, 1925 წელს. ამ პერიოდში მოხდა მწერალთა პირველი ყრილობა, რომელსაც დავესწარი, როგორც დელეგატი. ყრილობაზე ვნახე ვასილ ბარნოვი, ნიკო ნიკოლაძე, ეკატერინე გაბაშვილი, დავით კლდიაშვილი. ამ ყრილობამ ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა.

1927 წლიდან დავიწყე ლიტერატურული კრიტიკის დარგში მუშაობა. პირველი სტატია დავბეჭდე „ახალგაზრდა კომუნისტში“ და ამის შემდეგ განვაგრძობ მუშაობას. ვთანამშრომლობ „მნათობში“, „ლიტ. გაზეთში“, „კომუნისტში“. ვრცელი სტატიებიდან შემიძლია დავასახელო „ქართული საბჭოთა დრამატურგია“, „ფილიპე მახარაძე, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი“, „დიდი სტალინი და ქართველი პოეტები“, „აკაკი წერეთელი და ტარას შევჩენკო“, „ვ. ნუ-ლუკიდის ლიტერატურული შეხედულებანი“ და სტატიები ქართველ პოეტებზე. ამჟამად ვმუშაობ წიგნზე „ქართველი საბჭოთა პოეტები“.

1939 წ. 28 ოქტომბერი
ალ. სულავა

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ნინო თარიშვილი

ავტობიოგრაფია

დავიბადე 1904 წ. წითელ წყაროს რაიონის სოფ. მირზაანში. 1922 წელს დავამთავრე თბილისის მე-7-ე შრომის სკოლა. 1927 წ. დავამთავრე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური (სიბრძნის მეტყველების) ფაკულტეტის ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური განყოფილებები. 1926 წლიდან 1928 წლამდე ვსწავლობდი აგრეთვე პედაგოგიური ფაკულტეტის სიტყვიერების განყოფილებაზე. 1927 წლიდან 1930 წლამდე ვსწავლობდი თბილისის უცხო ენათა კურსების ფრანგულ სექტორზე.

1928–1930 წ. ვმუშაობდი ფსიქონევროლოგიურ ინსტიტუტში მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. 1930 წლიდან 1939 წლამდე ვმუშაობდი უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე პედაგოგიკის ინსტიტუტის ზოგადი ფსიქოლოგიისა და საბავშვო ლიტერატურის სექციაში. ამავე დროს 1932 წლიდან 1937 წლამდე, შეთავსებით ვმუშაობდი უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1936–1938 წ. ვსწავლობდი მეცნიერ მუშაკთა მარქსიზმ-ლენინიზმის ორწლიან უნივერსიტეტში (1938 წ. ჩავაბარე გამოცდები და დავამთავრე). 1939 წლიდან ვმუშაობდი, როგორც ასპირანტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიის კათედრასთან. 1941 წ. დამლევს დავამთავრე ასპირანტურის სრული კურსი და ჩავაბარე საკანდიდატო გამოცდები. 1940-41 წ. ვკითხულობდი ლექციებს დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიაში, თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1941-1942 წლამდე ვმუშაობდი გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

1942 წლიდან 1986 წლის სექტემბრამდე (პენსიაზე გადავედი 1986 წ. სექტემბრიდან) ვმუშაობდი უფროსი პედაგოგის თანამდებობაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიის კათედრასთან, ხოლო ამ კათედრის გაუქმების შემდეგ – ფრანგული ფილოლოგიის კათედრასთან. ამავე დროს პარალელურად, 1942 წლიდან 1954 წლამდე, შეთავსებით ვმუშაობდი ა. პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართულ და რუსულ სექტორებზე – ვკითხულობდი, როგორც საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიას, ისე ანტიკური ლიტერატურის ისტორიას, ხოლო ფრანგული ლიტერატურის სპეციალურ კურსს ვკითხულობდი აგრეთვე თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში (საათობრივი წესით).

აქვე აღსანიშნავია აგრეთვე, რომ 1955 წლიდან 1962 წლამდე ვმუშაობდი თბილისის სახ. უნივერსიტეტის დას. ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტთან არსებულ გერმანული ენის კათედრასთან გერმანული ენის ლექტორად. ხოლო ფაკულტეტის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, 1963 წლიდან პენსიაზე გადასვლამდე, ე. ი. 1986 წლის სექტემბრამდე, ვმუშაობდი ფრანგული ფილოლოგიის კათედრასთან.

1942 წლიდან თბილისის სახ. უნივერსიტეტში ვკითხულობდი საზღვარგა-

რეთული (დას. ევროპის ქვეყნების) ლიტერატურის ზოგად კურსს უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტებზე (ქართული ფილოლოგიის, რუსული ფილოლოგიის, ევროპული ენებისა და ლიტერატურის, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის და ისტორიის ფაკულტეტებზე) და ფრანგული ლიტერატურის ისტორიასა და სპეციალურ არჩევით კურსებს ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში დასავლეთ ევროპული ფაკულტეტის ფრანგული სექტორის დღისა და საღამოს განყოფილებაზე. გარდა ამისა, ევროპული ფაკულტეტის ფრანგულ სექტორზე თავის დროზე წლების განმავლობაში ვკითხულობდი აგრეთვე ფრანგული კრიტიკის ისტორიასა და ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგიას.

დაბოლოს, აღსანიშნავია, რომ პედაგოგიური მუშაობის გარდა დაკისრებული მქონდა აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობაც გარკვეული ყოველწლიური გეგმით გათვალისწინებულ თემებზე. ამრიგად, ზემოთ დასახელებული წლების მანძილზე, ჩემს მიერ დამუშავებულია შემდეგი თემები (რომელთა შორის ზოგი დაბეჭდილია, ხოლო ზოგი მომზადებულია დასაბეჭდათ):

1. ფრანგული კოლონიალური რომანი (კლოდ ფარერი);
2. ემილ ზოლა და XIX საუკუნის ქართული პრესა;
3. ემილ ზოლა – ფრანგული რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში;
4. ბაირონი – დიდი ინგლისელი პოეტი;
5. ალენ რენე ლესაჟის „კოჭლი ეშმაკი“ (ფრანგული განმანათლებლური რომანის საკითხისათვის);
6. მონტესკეის „სპარსული წერილები“ (ფრანგული განმანათლებლური რომანის საკითხისათვის);
7. ანრი ბარბიუსი – ცხოვრება და შემოქმედება;
8. პროსპერ მერიმე – ცხოვრება და შემოქმედება;
9. აბატი პრევოს „მანონ ლესკო“ (ფრანგული განმანათლებლური რომანის საკითხისათვის);
10. ვოლტერის ფილოსოფიური მოთხრობები – „გულუბრყვილო“, „ბაბილონის პრინცესა“;
11. ფრანგული განმანათლებლური რომანი ვოლტერის „კანდიდის“ მიხედვით;
12. დიდროს „რამოს ძმისწული“;
13. ფრანგული განმანათლებლური რომანი ჟ. ჟაკ რუსოს „ახალი ელოიზის“ მიხედვით;
14. რუსთაველის აფორიზმები ფრანგულ თარგმანში;
15. ფრანგული განმანათლებლური რომანი;
16. დეკადენტური მიმდინარეობანი თანამედროვე ფრანგულ ლიტერატურაში;
17. ფრანგული განმანათლებლური რომანი და იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“;
18. დავით ბაგრატიონის „ახალი შიხი“ და ჟ. ჟ. რუსოს „ახალი ელოიზი“;
19. გიორგი ბაგრატიონის „ხუმარდიანი“ და ვოლტერის „ზადიგი“, „კანდიდი“, „ბაბილონის პრინცესა“...
20. დასავლეთ ევროპის ქვეყნების უძველესი მოსახლეობა;

21. ქართული თემატიკა მონტესკეეს „სპარსული წერილებისა“ და ალ. დეუმას (მამა) „La caucase-Impresions de voyage“-ის მიხედვით.

22. ქართული თემატიკა შატობრიანის „უკანასკნელი აბენსერაჟის თავგადასავალი“ მიხედვით.

23. ქართული თემატიკა ბალზაკის შემოქმედებაში („Le chef d’oeuvre inconnu“ და „La fille aux yeux d’or“).

დასახელებული შრომების გარდა პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში (ე. ი. 1930–1939 წ.) დამუშავებული მაქვს აგრეთვე შემდეგი შრომები: 1. მენტიმეტრული მეთოდების კრიტიკული ანალიზი. 2. სასკოლო ჰასაკის ბავშვთა ლოლიკური მეხსიერების განვითარების თავისებურებანი. 3. კრიტიკის უნარის განვითარება სასკოლო ჰასაკში. 4. ფიზიკულტსამწუთედის გავლენა გონებრივ მუშაობაზე, რომელიც შესრულებულია ჩემს მიერ ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში. ჩემს მიერ დასახელებული ეს უკანასკნელი ოთხი შრომა ექსპერიმენტული ხასიათისაა.

გარდა ამისა, 20–30-იან წლებში სისტემატიურად ვთანამშრომლობდი ქართულ ჟურნალ-გაზეთებში: „ილიონი“, „რუბიკონი“, „ბახტრიონი“, „ტრიბუნა“, „ქართული მწერლობა“ და სხვ. ამავე პერიოდში დაბეჭდილია ჩემი ლექსების კრებული „მზეში“ (1926 წ.), ხოლო 1980 წ. ლექსების კრებული „გვირილა“ და 1984 წ. ქართული პოეზიის მე-15-ე ტომში აგრეთვე დაბეჭდილია ჩემი ლექსები.

გარდა ამისა აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ქართული ენციკლოპედიის II ტომში დაბეჭდილია ჩემი ზოგიერთი წერილი, მაგ. ბომარშე, დენი დიდრო და სხვ.

გერცელ დავითის ძე ბააზოვი

მე დავიბადე 1904 წლის 28 ოქტომბერს ონში (რაჭა). საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გადმოვედი ტფილისში. 1923 წელს დავასრულე ტფილისის პირველი ტექნიკუმი, ამავე წელს შევედი ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ დარგზე. დავამთავრე 1927 წელს, პარალელურად ვსწავლობდი აგრეთვე სიტყვიერების დარგზე. წერას შეუდექი 1918-19 წლებიდან. ოფიციალურად საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად ვითვლება. 1922 წლიდან 1929 წლამდე პერიოდიკაში („ტრიბუნა“, „თეატრი და ცხოვრება“, „ლომისი“, „ქართული მწერლობა“, „კომუნისტი“, „ტფ. რაბოჩი“, „ზარია ვოსტოკა“ და სხვ.) იბეჭდებოდა ჩემი ლექსები, თარგმანები, ნარკვევები და სტატიები სხვადასხვა საზოგადოებრივ საკითხებზე. ამ პერიოდის ლექსებს და ზოგიერთ სხვა ნაწარმოებს გარკვევით აჩნიათ ნაციონალისტური მიდრეკილება. 1929 წლიდან ვმუშაობ აქტიურად როგორც დრამატურგი და ბელეტრისტი. სხვადასხვა ლიტერატურულ დაჯგუფებებში მონაწილეობა არ მიმიღია.

გამოცემულია ჩემი შემდეგი ნიგნები:

1. ქართულ ენაზე: 1. „გალობათა გალობა“, თარგმანი ებრაულიდან, გამოცემა ავტორის, ტფილისი, 1927 წ. 2. „დილლემარ“, გადმოკეთებული პიესა 4 მოქმედებად, გამოცემა სახელგამის, 1929 წ. 3. „გელათის ქუჩის დასასრული“, მოთხრობა, გამოცემა სახელგამის, ტფილისი, 1931 წ. 4. „შემარისა უკანასკნელი სიტყვა“, მოთხრობა, გამოც. სახელგამის, ტფილისი, 1931 წ. 5. „მუნჯები ალაპარაკდენ“, დრამა ოთხ მოქ., გამოც. „ფედერაცია“-ს, 1933 წ. 6. „ფეთხანი“, რომანი, გამოც. სახელგამის, ტფილისი, 1935 წ.

2. რუსულ ენაზე: 1. „შემარისა უკანასკნელი სიტყვა“, გამომ. „საქმესი“, ტფ., 1932 წ. 2. „მუნჯები ალაპარაკდენ“, გამოც. „გოსლიტიზდატი“, მოსკოვი, 1935 წ.

3. გადაცემულია და მზადდება გამოსაცემად: 1. „წითელი გორა“. 2. „ახალი ებრაელები“, „საქმესის“ გამოცემით. 3. „განურჩევლად პიროვნებისა“, 1934 წ. რესპ. კონკურსზე პრემირებული პიესა „ფედერაციას“ გამოცემით. 4. „ფეთხანი“, რუსულ ენაზე, ტფილისში „ზაკვიზის“ და მოსკოვში „გოსლიტიზდატის“ გამოცემით.

ეხლა ორიოდ სიტყვა ჩემი დრამატურგიის შესახებ: მე დაწერილი მაქვს ხუთი პიესა: 1. „მუნჯები ალაპარაკდენ“, პირველად დაიდგა 1932 წელს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. მას შემდეგ იგი იდგმებოდა საქართველოს ყველა ქალაქებში, დაიდგა აგრეთვე ბაქოს ქართულ თეატრშიც. 2. „ხაგაი“ ტრალედია ოთხ მოქმედებად, ჯერ არ დადგმულა. 3. „განურჩევლად პიროვნებისა“, პირველად დაიდგა მარჯანიშვილის თეატრში 1935 წელს და აგრეთვე სხვადასხვა თეატრებში. 4. „ჭინჭარი“, პიესა პირველად დაიდგა ა. წ. 24 თებერვალს სახელმწიფო მოზარდ მაყურებელთა თეატრში. 5. „ახასაოლას ნანგრევებზე“, პიესა დაიდგა ამხ. ბერიას სახ. კულტურის სახლში ა/წ. 25 თებერვალს.

ამ ჟამად მე ვამზადებ ორ პიესას: 1. იცკა რიჟინაშვილის ცხოვრებისა

და 2. „თანამედროვე აჭარის მასალებზე“. რაც შეეხება აღნიშნულ ნაწარმოებებს, მათ მნიშვნელობას თუ მათ ნაკლს, ვფიქრობ, ამის აღნიშვნა ლექსიკონისათვის არ უნდა ითაოს თვით მწერალმა. ეს როლი შეეფერება კრიტიკოსებს და ალბათ, შეავსებენ ამ ხარვეზს. კერძო ჩემს შესახებ კრიტიკული წერილები ქართულ პერიოდიკაში დაუნერიათ შემდეგ ამხანაგებს: შ. დუდუჩავას, მ. ბოკუჩავას, ბ. ჟღენტს, ა. არსენიშვილს, ბ. ბუაჩიძეს, ვ. ლუარსამიძეს, რ. დადვაძეს, გ. მებუკეს, ან. ღვინიაშვილს და სხვა.

გერცელ ბააზოვი

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ლორთქიფანიძე კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1904 თვე დეკემბერი დღე 25 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) დიდი ჯიხაიში (სამტრედიის რაიონი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | აზნაური |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პროზა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართული |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1924 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1934 |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | პროლეტ-მწერალთა ასოციაცია |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | საშუალო, ქუთაისის გუმანიური ტექნიკუმი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | 1942 წლიდან ვიმყოფებოდი სხვადასხვა დროს მომქმედ არმიაში კორესპონდენტ-ორგანიზატორად წ/არმიელთა გაზეთისა ყირიმის ფრონტზე და ჩრდილო კავკასიის ფრონტზე |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | იხ. მუხ. 20 |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>მწერალთა ორგანიზაციის გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრი</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>„შრომის წითელი დროშის“ ორდენი, „წითელი ვარსკვლავის“ ორი ორდენი და სამი მედალი</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>ლიტერატურული მუშაობა</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>გოგებაშვილის 43</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

კონსტანტინე ალექსის-ძე ლორთქიფანიძის ავტობიოგრაფია

მე დავიბადე 1904 წელს, სოფელ დიდ ჯიხაიშში (სამტრედიის რაიონი, საქართველოს სსრ), მოსამსახურის ოჯახში. 1924 წელს დავამთავრე გუმა-ნიური ტექნიკუმი. იმავე წელს კომკავშირული გაზეთის – „სპარტაკის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ჩემი პირველი ლექსი. მალე გადავედი საცხოვრებლად თბილისში და დავიწყე ლიტერატურული მუშაობა. 1924 წელს აღმანახ „დარიალში“ გამოქვეყნდა ჩემი პირველი მოთხრობა „სანაპიროზე“.

1926 წელს გამოვიდა ჩემი პირველი მოზრდილი რომანი კომკავშირულ ცხოვრებიდან „ხავსი“.

შემდეგ წლებში გამოვიდა ჩემი ლექსების რამდენიმე კრებული, მოთხრობა „პირველი დედა“, რომელიც მოგვითხრობს მუშა-ახალგაზრდობის ცხოვრების შესახებ; მოთხრობები: „მესამე გზა“, „ფოტოგრაფი“, „ახალი გლეხები“; საბავშვო წიგნი „ახალი ცხოვრებისაკენ“ და სხვა, რომლებშიც მე ვცდილობდი ამესახა საბჭოთა საქართველოს ახალი ცხოვრება.

1933 წელს ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა ჩემი რომანის – „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“-ს პირველი ნაწილი.

1934 წელს ეს რომანი გამოვიდა ცალკე წიგნად ქართულ ენაზე. ამას გარდა, იგი გადათარგმნილ იქნა რუსულ და საბჭოთა კავშირის სხვა ენებზე.

1938 წელს მე გამაგზავნეს შემოქმედებით მივლინებაში მოძმე ბელორუსიაში სხვა მწერლებთან ერთად. ჩემი იქ ხანგრძლივი ყოფნის შედეგად მე დავწერე ბელორუსული მოთხრობები. ამას გარდა, დიდი სამამულო ომის დანებებამდე მე გამოვაქვეყნე შემდეგი მოთხრობები: „საგმირო მოთხრობა“ 1941 წელს, „ძმები“, „ერთი იმამთაგანი“, „ანარია“ და სხვ.

მე მონაწილე ვიყავი დიდი სამამულო ომისა. დიდი სამამულო ომის წლების აღწერას მე ვცდილობდი ჩემს ბევრ მოთხრობებში და ნარკვევებში. მაგალითად, „როგორ მოკვდა მოხუცი მეზადური“, „ფიცი“, „ერთხელ ღამით“ და სხვა. ეს მოთხრობები იბეჭდებოდა ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში.

არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ მე დავწერე მოთხრობა „მწვანე ღილი“, „მაისის დილა“, „თერგის ყორღანებთან“ და სხვა. აგრეთვე დავამთავრე ჩემი რომანის „კოლხიდის ცისკარი“-ს მეორე წიგნი და გადავამუშავე პირველიც.

ამას გარდა, მე ვთარგმნიდი ქართულ ენაზე მოძმე საბჭოთა კავშირის ხალხთა თანამედროვე და კლასიკოს მწერალთა ნაწარმოებებს, მაგალითად, ადამ მიცკევიჩი, ივან ფრანკო, ტარას შევჩენკო, დავით სასუნცი, ვლ. მაიაკოვსკი, მაქსიმ რილსკი, მიკოლა ბაჟანი, ალ. სურკოვი, აბოვიანი, ავეტიკ ისაკიანი და აგრეთვე სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნების პოეტები.

დრამატურგ ილო მოსაშვილთან ერთად მე დავწერე სამი სცენარი მხატვრული კინოფილმებისათვის.

ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობის პერიოდში მე აქტიურ მონაწილეობას ვღებულობ საქართველოს სამწერლო ცხოვრებაში.

ჩემი ნაწარმოებები გადათარგმნილია რუსულ ენაზე, აგრეთვე უკრაინულ, ბელორუსულ, სომხურ, ოსურ, აფხაზურ და სხვა ენებზე.

ლიტერატურულ სარბიელზე ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვებული ვარ სამი ორდენით და სამი მედლით.

კ. ა. ლორთქიფანიძის ნაწარმოებთა სია

1. „ხავსი“ (რომანი), 1926 წ.
2. „ფოტოგრაფი“ (მოთხრობა), 1927 წ.
3. „ლიმილი“, 1927 წ.
4. „ახალი ცხოვრებისაკენ“ (საბავშვო მოთხრობები), 1928 წ.
5. „პირველი დედა“ (მოთხრობა), 1929 წ.
6. „ახალი გლეხები“ (ნარკვევი), 1930 წ.
7. „რჩეული ლექსები“, 1932 წ.
8. „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“ (პირველი წიგნი), 1934 წ.
9. რჩეული მოთხრობები, 1938 წ.
10. „ბელორუსული მოთხრობები“, 1940 წ.
11. „როგორ მოკვდა ბებერი მეზადური“ (მოთხრობა), 1942 წ.
12. „ჩვენ ვხედავთ მათ“ (ნარკვევი), 1943 წ.
13. „უსახელო სიმაღლეზე“ (მოთხრობა), 1947 წ.
14. „კოლხიდის ცისკარი“ (რომანი), 1949 წ. (მეორე წიგნი).
15. „ახალი მოთხრობები“, 1950 წ.
16. „მწვანე ლილი“ (მოთხრობების კრებული), 1950 წ.
17. „მაისის დილა“ (მოთხრობები), და სხვ.
18. „კოლხეთის ცისკარი“, ფრანგულ ენაზე ითარგმნა 1956 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ბორის ჩხეიძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ჩხეიძე ბორის ივანეს-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | არა მაქვს |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1904 თვე დეკემბერი დღე 30 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. გეზრული (ჭიათურის რაიონი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პროზა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1928 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1935 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | საქ. პროლეტ. მწერალთა ასოციაცია |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | ალკპ წევრი |

| | |
|---|---------------------------------|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | საშუალო, ა/კ საოსტატო სემინარია |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--------------------------------------|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>რიგითი</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>მწერლობა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>მწერლობა</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>გოგებაშვილის 43</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებულება, ორგანიზაცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ადგილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|--|--------|---|---|---|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1921 | 22 | მასწავლებელი | დანყებით სკოლაში | შორაპნის მაზრ. |
| 1922 | 23 | წ/არმ. რაიკომის მდივანი | „ნითელარმიელი“ | თბილისი |
| 1924 | 28 | საქმის მწარმ. | | |
| 1928 | 31 | აღმრიცხველი | სახბანკის | თბილისი |
| 1931 | 35 | რედაქტორი | სახელგამი | „—“ |
| 1935 | 37 | ჟურნ. მდივანი | | |
| 1937 | 39 | ლიტმუშაკი | განსახკომი | |
| 1939 | | სექციის მდივანი | საქ. მწერ. კავშირში | |
| <p>სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.</p> | | | | |

შეკვ. №193. ტ. 1000

ხელმოწერა _____

ბორის ჩხეიძის ნაწარმოებთა სია

1. „დღეები“, მოთხრობა, 1930 წ. 2. „ფერო“, რომანი, 1930–33 წ.წ. 3. „წიალი“, „საწამლის გადანვა“, „ხაფანგი“. 4. საბავშვო მოთხრობები, 1940 წ. 5. მოთხრობები: „მკა“, „შვილები“ და „ალაჰის ფეშქეში“, 1941 წ. 6. „ომგადახდილი“, მოთხრობა, 1943 წ. 7. „ლიახვის პირას“, რომანი, 1947 წ. 8. „ნამოსახლარზე“, მოთხრობა, 1949 წ. 9. მოთხრობების კრებული, 1950 წ. 10. „მატარებლის შესაქცევალთან“, 1951 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ბორის ჩხეიძე

დავიბადე 1904 წლის 30 დეკემბერს ჭიათურის რაიონის სოფელ გეზრულში. აქაური ჩხეიძეები არ იყვენ აზნაურები. არც ძიობდენ თუმცა ძლიერ დაიაზებით ინახავდენ იმერეთის მეფის სოლომონის სიგელს, რომლის ძალითაც აზნაურ ოთია ჩხეიძეს ებოძა სოფელი გეზრული სამვილისშვილო სამფლობელოდ. მამაჩემმა, ივანე ასლანისძემ კარგად იცოდა ქართული და რუსული წერა-კითხვა. ვინმე გენერალ დობჟანსკის, რომელისთვისაც ის და მისი ბიძაშვილი მალხაზი მამებს მანგლისის სამხედრო სკოლაში გაეტანებიათ მისაბარებლად, ორიენი მოეთავსებია გორის სასულიერო დაბალ სკოლაში, სადაც დობჟანსკიც ცხოვრობდა სამსახურის გამო და ბავშვებიც თავისთან ჰყავდა. მალხაზი რკინისგზაში მოეწყო ტელეგრაფისტად, მამაჩემი კი დობჟანსკისთან დარჩენილა ტყის მცველად და ობიეზდშიჩკად, სოფელ წალვლში.

ვერ ვიტყვი, როგორი კაცი იყო მამა. ეს კი არის, რომ წალვლელი მამის ნათლულები ახლაც კი არ სწყვეტენ ჩემთან კავშირს.

დედა, თეკლე სოფრომ ლომიძის ასული, 1909 წელს გარდაიცვალა. მე ის გარკვევით მახსოვს. კარგად მღეროდა ნანინას და ბევრი ამბებიც იცოდა. გარდაიცვალა ჩქარი სახის „ფინთი ხველით“, ალბად, ტუბერკულოზით.

ამ დღიდან სულ მამასთან ვიყავი მთასა და ტყეებში – ქართლსა და იმერეთში. თორმეტი წელიწადი ერთმანეთს არ დავცილებივართ, მაგრამ თორმეტი სიტყვაც არ მახსოვს მისგან. ერთხელ წითელა ბატონები მჭირდა და რომ არ იცოდა, როგორ დამლაპარაკებოდა ან ესიამოვნებია, სხვა ვერაფერი მოახერხა და ზაქი მომიყვანა. ეს ზაქი დიდი გაიზარდა, დიდხანს ყავდა შენახული, ჩემს მეტს არავის იკარებდა. ქედზე დავაჯდებოდი, რქებს ვკიდებდი ხელს და საჭიდაოდ დამყავდა.

1917 წელს მამამ, ძალზე მოხუცმა და თითქმის დაუძღურებულმა, მეორე ცოლი შეირთო და მეც სახლიდან წავედი.

ვცხოვრობდი მარტოდ მარტო. არავის ვეკარებოდი. ვმუშაობდი ჩეკიაზე (ჭიათურაში), შემდეგ გორში გადმოვედი. აქ ყოფილ სემინარიაში გამოვცხადდი. რატომღაც დირექტორმა კირილე არველაძემ გამოუცდელად მიმი-

ლო. სკოლის პანსიონში მომათავსა. როგორც იქნა, დავამთავრე ეს სკოლა. ნელინადში სამ თვეს ძლივს ვიყავი გორში, რადგან სამუშაოზე დავდიოდი და თუ გადავყავდით კლასიდან კლასში, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი მდგომარეობა იცოდენ და თანაც გუმანიტარულ საგნებს კარგად ვაბარებდი.

სულ ბოლოს კახეთში წავედი. აქ დედაჩემის ბიძაშვილებმა, ზალიკო და ვანიჩკა იორამის ძე ლომიძეებმა, რევეკომის მდივნად დამაყენეს. თავისუფალ დროს კი ლეკებთან ერთად ქვაბებს ვკალავდი ლაგოდებში და დალესტნის იალალებზე ბიძაჩემებთან ერთად სანადიროდ დავდიოდი ჯიხვებსა და ფსიტებზე. 1923 წელში კომკავშირში შევედი. აქ გადამწყვეტი ამბები მოხდა. შემთხვევით შევიარე სიღნაღის კომკავშირის სამაზრკომში. ვინახულე თედო კორსაველი მხოლოდ იმიტომ, რომ მენახა ჩვენი მეთაური. მან კარგად მიმილო და იქვე პოლიტსკოლას მიმამაგრა. პირადად გვიძახებდა კომკავშირლებს და გვცდიდა. როცა შეგვეშლებოდა რამ, გვტუქსავდა და გვეუბნებოდა, „თუ პოლიტიკურ ლიტერატურაში კარგად არ იმეცადინებთ, თქვენგან არაფერი გამოვაო“.

ამას ერთი ამბავიც დაემატა. გაიმართა სიღნაღის კომკავშირის სამაზრო კონფერენცია. მომხსენებლად ცეკადან ჩამოსული აგიტპროპი იყო ვ. გოგეშვილი. ამ მოხსენებაზე კომკავშირლებს გარდა პარტიის წევრებიც ესწრებოდნენ. გოგეშვილმა თან უამრავი ლიტერატურა ჩამოიტანა და მათ შორის ჟურნალი „მომავალიც“. კონფერენციის დამთავრების შემდეგ გოგეშვილი ორ დღეს დარჩა. დავდიოდი თელავის გზაზე სასეირნოთ, მრავალ შეკითხვებს ვაძლევედი გოგეშვილს. რატომღაც მაინტერესებდა მხატვრული ლიტერატურა და სულ ჟურნალ „მომავლის“ გარშემო ვაძლევედი კითხვებს. ერთხელ ალბად ამით დაეჭვებულმა მკითხა, შენ ხომ არაფერს წერო. არა მეთქი მიუგე. მართლაც არ ვწერდი მაშინ.

1928 წელში დავბეჭდე პირველი მოთხრობები ახალგაზრდა კომუნისტში. ამ დროს აქ დამწყებ კომკავშირელ მწერალთა წრე არსებობდა. წრეს ხელმძღვანელობდნენ ბ. ბუაჩიძე, ალკა სულავა, შალვა რადიანი და ვ. ლუარსაბიძე. წრეში თავს იყრიდნენ: ი. აბაშიძე, გ. კაჭახიძე, ნიკა აგიაშვილი, ლავრენტი ჭიჭინაძე და სხვა. წრეს ესწრებოდნენ: კონსტ. ლორთქიფანიძე, მაშაშვილი, დათიკო რონდელი და სხვა.

1930 დავბეჭდე „დღეები“, ამას მოჰყვა „მახლობლები“, „მეზობლები“ და „ფერო“. ყველა ჟურნალ „პროლეტარულ მწერლობაში“ დაიბეჭდა.

„მნათობში“ დავბეჭდე „სისხლიანი ბარი“ და „ალაჰის ფეშქაში“.

ეს მოთხრობები ცალკე გამოსცა სახელგამმა.

ჩემი შემოქმედების შესახებ კრიტიკული წერილები დასწერეს: შალვა რადიანმა, გ. ნატროშვილმა, დ. ბენაშვილმა, ბესარიონ ფლენტმა, ალ. სულავამ, კ. მელაძემ, გ. მეტუკემ და სხვა.

სისტემატიურად ვბეჭდავ საყმანვილო ჟურნალებში.

ქართულ მწერლობაში ჩემს წინაპრად ვთვლი ლავრენტი არდაზიანს და დანიელ ჭონქაძეს. ფსევდონიმით არ მიწერია.

ბორის ჩხეიძე

შალვა რადიანი – შენირული

ბენუვენტო ჩელინი ასე იწყებს თავის მოგონებას: „ყოველი დარგის ადამიანი, რომელიც მოიმოქმედებს რაიმეს სასახელოს, ან თუნდაც მისთვის მიმსგავსებულს, თუ იგი მართალი და პატიოსანია, თავისი საკუთარი ხელით უნდა აღწეროს თავისი ცხოვრება. მაგრამ ასეთი კეთილი საქმე არ უნდა დაიწყოს, სანამ ორმოც წელს არ გადააცილებ“. არ შემოიძლია, არ გავიხსენო ალფრედ მიუსესეს სიტყვებიც: „თავისი ცხოვრების ისტორია რომ დაწერო, ამისათვის საჭიროა უწინარეს ყოვლისა, თითონ ბევრი რამ გამოსცადო“.

მე არ ვაპირებ ჩემი ცხოვრების ისტორიის მოთხრობას, მე სხვების შესახებ მსურს საუბარი. ამ შემთხვევაში ვხელმძღვანელობ იმ აზრით, რომ მეორმოცე წელს უკვე გადაცილებული ვარ და თანაც არც თუ ისე მცირე რამ მინახავს.

* * *

დავბადებულვარ ოზურგეთში 1904 წლის 30 ნოემბერს, წვრილი ხელოსნის ოჯახში. მამაჩემი, დიმიტრი შენირული და დედა, ეკატერინე გიგინეიშვილისა, კეთილი ადამიანები იყვნენ, ყველას უყვარდა და ყველა პატივს სცემდა მათ. ჩემმა მშობლებმა წერა-კითხვა არ იცოდნენ. დედა თერთმეტი წლისა ყოფილა, როდესაც გაუთხოვებიათ. მამამ მთელი თავისი სიცოცხლე სულ მძიმე შრომაში გაატარა. ჯერ კიდევ ერთი წლისა ვიყავი, როდესაც „გამოვსცადე“ ცხოვრების სიმკაცრე. ცნობილია, რომ პირველმა რევოლუციამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა გურიაში. გამარჯვებულმა რეაქციამ შური იძია თავისუფლების მოყვარულ გურულებზე. 1906 წლის იანვარში გურიას „ესტუმრა“ პოლკოვნიკ კრილოვის დამსჯელი ექსპედიცია, რომელიც ცეცხლითა და მახვილით შევიდა ოზურგეთში, გადაწვა და გაძარცვა ის. შეშინებული ხალხი გარბოდა ქალაქიდან. ჩემი მშობლები გაქცეულან სოფელ აჭში ქართველ მაჰმადიანებთან. გზაზედ, როდესაც გადადიოდნენ მდინარეზე, მამაჩემი, რომელსაც ატაბეგული მიყვავდი, შემთხვევით ნაქცეულა და მეც ხელიდან გავვარდნივარ, მაგრამ მაინც გამამარჩინეს. ასე მივიღე პირველი ნათლობა, მდინარეში. აჭში რამდენიმე კვირას ყოფნის შემდეგ, ჩემი მშობლები დაბრუნებულან ოზურგეთში, იქ მათ აღარაფერი დახვედრიათ, ყველაფერი ცეცხლს შთაენთქა. ისევ ხელმეორედ დაიწყეს მათ ოჯახის მოწყობა. ოჯახი ჩვენი კი მრავალრიცხოვანი იყო.

ბავშვობისას ცელქი ვყოფილვარ. ბევრჯერ ჩამიგდია თავი ხიფათში, ხან ხიდან ჩამოვარდნილვარ, ხან მდინარეში ვიღრვებოდი. ვიყავი დიდი მორწმუნე, არასდროს არ დავაკლდებოდი ეკლესიაში წირვა-ლოცვას, ყოველთვის ვეზიარებოდი ხოლმე. იყო ისეთი შემთხვევაც, რომ ერთ დღეს ორჯერ დავაპირე ზიარების მიღება, გამიგეს და არ მომცეს მეორეთ ზიარების უფლება. წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთებისადმი ინტერესი და სიყვარული ბავშვობიდანვე მქონდა. ყოველ წიგნს, ყოველ გაზეთს გატაცებით ვკითხულობდი, მაშინაც კი, როდესაც მათი შინაარსი არც ისე გასაგები იყო ბავშვისათვის. ზოგჯერ აბრეშუმის ქრისტისთვის დასაფენად მოიხმარდა დედაჩემი ჩემს წიგნებს,

მქონდა ამის გამო დიდი დავიდარაბა. იყო შემთხვევები, როდესაც სახლის ჭერში ვინახავდი წიგნებს.

ჩემმა მშობლიურმა ქალაქმა შემდეგშიაც არა ერთი გზის გამოსცადა დაარბევა. 1918 წელს ბათუმის აღების შემდეგ ოზურგეთშიაც შემოიჭრენ თათრები. ამ ხანებში ქალაქში სრული უდარდელობა სუფევდა, არავინ ფიქრობდა, რომ მოახლოებულ მტერს შეეძლო თავდასხმა ქალაქზე. სალამო ხანი იქნებოდა, როდესაც გავრცელდა ხმა – „თათრები მოდიანო“. ხალხი პანიკამ მოიცვა. იმდროინდელი სამხედრო და სამოქალაქო მესვეურები ყველაზე ადრე გაიქცნენ ქალაქიდან. მათ ვერც კი მოახერხეს, სუსტი მტრის წინააღმდეგ დაერაზმათ ხალხი. ქალაქში დაიწყო ძარცვა-გლეჯვა. ხალხი გარბოდა უმთავრესად ნაგომრის მიმართულებით. პირდაპირ შემზარავ სურათს წარმოადგენდა შეშინებული, არევ-დარეული ხალხის გაქცევა, თან მიჰქონდათ, რისი წაღებაც სახელდახელოთ შესძლეს. თანდათან ძლიერდებოდა სროლის ხმაც, თათრები თანდათან უახლოვდებოდნენ ოზურგეთს. 1918 წლის 7 აპრილს ანასეულ-ეჟაიის მხრიდან შემოვიდნენ ისინი ქალაქში. თათრებმა რამდენიმე თვე გაატარეს ოზურგეთში. საზავო ხელშეკრულების შემდეგ დასცალეს მათ ქალაქი. დაბრუნდნენ მცხოვრებნი და შიმშილმა მოიცვა ყველაფერი, მახსოვს. ხალხს გამოსაკვებად მაშინდელი მესვეური ურიგებდნენ რალაცნაირ ნამცხვრებს, რომელთა კბილებით დაღრღნა არ შეიძლებოდა, ისე მაგარი იყო და თანაც სავსე მატლებით. დამშეული ხალხი სოფელ-სოფელ დადიოდა გამოსაკვების საშოვნელად, მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმე იყო.

1918–1920 წლებში ვსწავლობდი ქუთაისში, ქართულ გიმნაზიაში (ყოფ. სათავად-აზნაურო გიმნაზიაში). ამ სასწავლებელში იმხანად თავმოყრილი იყო საუკეთესო მასწავლებლები: სამ. ყიფიანი, დ. ოყროშიძე (თომაშვილი), ი. ნიკოლაიშვილი და სხვები. გიმნაზიის დირექტორი იყო იოსებ ოცხელი, ინსპექტორი – სილოვან ხუნდაძე. ეს ორი პიროვნება სავსებით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან ხასიათით. ი. ოცხელი, როგორც თავისი გარეგნობით, ისე ხასიათით იყო სათნო, მშვიდი და კეთილი, დიდი მოამაგე და მზრუნველი ახალგაზრდობისა. იგი ყველას უყვარდა. სილ. ხუნდაძე კი იყო ძალზე ფიცხი, ნერვიული. როდესაც გაბრაზდებოდა, არავის არ დაზოგავდა. მონაფეებს მისი ძალიან ეშინოდათ, მისი გამოჩენისას ყველანი გარბოდნენ ან იმალებოდნენ.

ქუთაისის ქუჩებში რამდენიმეჯერ შევხვედრივარ ბიბლიური სახის მოხუცს, რომელიც მძიმედ, შენელებული ნაბიჯებით მიემართებოდა ხოლმე, მისი გარეგნობა ყველას ყურადღებას იპყრობდა, იმდენად მიმზიდველი იყო. პირველივე შთაბეჭდილება ისეთი იყო, რომ მის ბუნებაში სრული ჰარმონია არსებობდა გარეგნობასა და შინაარსს შორის. მახსოვს, ჩემი სკოლის ამხანაგებთან ერთად საგანგებოდ მივყვებოდით მას ფეხდაფეხ, რომ კარგად შეგვეთვალაიერებია, მაგრამ იმ ხანებში იგი გარდაიცვალა და მის დაკრძალვაზე წავიყვანეს გიმნაზიის მოსწავლეებიც.

1924 წლის აგვისტოში ჩამოვედი სასწავლად და საცხოვრებლად თბილისში. მოხდა ისე, რომ თბილისში ჩასვლისთანავე მომიხდა უშუალო დაკავშირება ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. საქმე იმაშია, რომ მე ადრე დავინწყე ლიტერატურული-ჟურნალისტური მუშაობა. ჯერ კიდევ გიმნა-

ზიის მეხუთე კლასის მოწაფე ვიყავი, როდესაც დაიბეჭდა ჟურნალ-გაზეთებში ჩემი კორესპონდენციები. ერთი კორესპონდენციის გამოქვეყნებისათვის, ოზურგეთის გიმნაზიდანაც (სადაც ახალ გადმოსული ვიყავი ქუთაისიდან) კი დამითხოვეს. ჩემი ეს კორესპონდენცია შეეხებოდა ოზურგეთის გიმნაზიაში არსებულ უწესრიგობას. ეს კორესპონდენცია დაიბეჭდა გაზ. „ახალ სხივში“ შალვა შელიას ფსევდონიმით. იმ ხანებში მოხდა საქართველოს გასაბჭოება და მეც აღმადგინეს სასწავლებელში.

1923 წლიდან ჩემი ლიტერატურულ-კრიტიკული ნერილები იბეჭდებოდა ჟურ. „მომავალში“, გაზ. „სპარტაკში“, გაზ. „მუშაში“ შალვა რადიანის ფსევდონიმით თბილისში ჩამოსვლის შემდეგ კიდევ უფრო გაფართოვდა ჩემი მუშაობა, როგორც კრიტიკოსისა. ვსწავლობდი უნივერსიტეტში 1924 წლიდან და თან ვენეოდი ლიტერატურულ მუშაობას. მოკლე ხანში კრიტიკული ნერილები გამოვაქვეყნე ჟურ. „მნათობში“, ჟურ. „საზღვარზეში“, ჟურ. „მშრომელ ქალში“, ჟურ. „ხელოვნებაში“, ჟურ. „დროშაში“ და ა. შ.

ვსარგებლობ შემთხვევით და აქვე აღვნიშნავ, რომ შემდეგში მე არა მხოლოდ ვთანამშრომლობდი პრესაში, არამედ თვით მიხდებოდა მათი ხელმძღვანელობა. სხვადასხვა დროს ვიყავი რედაქტორი: „დროშის“, „პროლეტარული მწერლობის“, „პიონერის“ (გაზეთის და ჟურნალის), „მნათობის“, „На рубеже Востока“-ს (გაზეთისა და ჟურნალისა), „საბჭოთა მწერლის“, „სალიტერატურო გაზეთის“, მთელი ექვსი წლის განმავლობაში ვრედაქტორობდი (1937–1943 წწ.) გაზ. „ლიტერატურულ საქართველოს“.

თანდათან შევდიოდი ლიტერატურულ წრეებში. განსაკუთრებული პატივისცემით ვხვდებოდი ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ხანდაზმულ მოღვაწეებს, რომლებიც იმ ხანად ცოცხლები იყვნენ: ნ. ნიკოლაძეს, ვ. ბარნოვს, დ. კლდიაშვილს, შ. არაგვისპირელს. როგორც მე-19 საუკუნის მოღვაწეებს, თავისებური სურნელება და კეთილშობილება შემოქონდათ მე-20 საუკუნის 20–30-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში. ნ. ნიკოლაძე პირველად ვნახე ქართველ მწერალთა ყრილობაზე, იჯდა პრეზიდიუმში. ერთი შეხედვითაც ცხადი ხდებოდა მისი სიბრძნე და გონიერება. ეცვა თეთრი შალის კიტელი და შალვარი. მთელი სხდომის განმავლობაში გაუხმრევლად და მხრებ აწეული იჯდა. წლებს იგი ვერ მოეხარა მხრებში. სახე ლამაზი და ფაფუკი, წვერულვაში თოვლივით თეთრი ჰქონდა. ვისაც უნახავს მისი ახალგაზრდობის სურათი, იტყოდა: „წლებს არ შეუცვლია მისი გარეგნობა“. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ მას ცხოვრების თავისებური რეჟიმი ჰქონდა: რაიმე განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, იგი უეჭველად საღამოს თერთმეტ საათზე დანებოდა დასაძინებლად. დიდად მიმზიდველი იყო მისი საუბრების მოსმენა, თითქმის ყველაფერი ნათლად ახსოვდა თავისი ცხოვრების წარსულიდან, ვისთან ჰქონდა შეხვედრები და ხასიათი ამ შეხვედრებისა. ამ მხრით მას ამოუწურავი მარაგი ჰქონდა და ყოველთვის სიამოვნებით გესაუბრებოდათ. პირდაპირ განსაცვიფრებელი იყო, რომ ეს მოხუცი რა დაუზარებლად გვიყვებოდა ახალგაზრდებს ამბებს. ჰიუგო, ჩერნიშევსკი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი და სხვები და სხვები მის საუბარში პირდაპირ ცოცხლდებოდნენ. ჩერნიშევსკისადმი პატივისცემა მას ბოლომდე

შერჩა. იგი არაერთგზის აღნიშნავდა, რომ ეს დიდი რუსი მოაზროვნე უალრესი კეთილშობილებისა და პრინციპულობის განხორციელება იყო. ამისთანა გაუტყხელ ადამიანს ბევრს ვერ შევხვდებით მსოფლიო აზროვნების ისტორიაში. ჩერნიშევსკი ქართველებს გულისხმიერებებით გვეპყრობოდა, გვეხმარებოდა და გზას გვიკავავდაო. მისმა სიტყვებმა და ნაწერებმა განაღვიძეს ჩემი ახალგაზრდული გონებაო; თავის თანამედროვე ქართველი მწერლებიდან ნ. ნიკოლაძე განსაკუთრებულად აფასებდა ილია ქავჭავაძეს. ა. წერეთლის შესახებ ამბობდა, რომ პირადულ-ადამიანური გაორება მას თავის პოეზიაშიაც გადაქონდაო.

დავით კლდიაშვილი გარეგნულად არ იყო დიდი შთაბეჭდილების მომხდენი. იყო პატარა ტანის, „თხელი“ კაცი. ეცვა პაგონებ მოხსნილი სამხედრო ტანსაცმელი, თავზედაც ეხურა სამხედრო ქუდი. ხშირად ხვდებოდი მას ოპერაში, დირექციის ლოჯიაში. უკვე ღრმად მოხუცებული იყო, მაგრამ ინტერესი მუსიკის მოსმენისა დიდი ჰქონდა. ხშირად ყოფილა, რომ ოპერის მსვლელობისას გული ნაუფიდოდა, გამოვიყვანდით მეორე ოთახში, დავანვენდით სავარძელზე, იყო ერთხანს გარინდებული, შემდეგ გამოფხიზლდებოდა და თავისი ფეხით შევიდოდა ლოჯიაში და ისევ დაჯდებოდა. იყო შემთხვევები, რომ ერთ საღამოს რამდენიმეჯერ წასვლია გული. მაინც არ ეშვებოდა თეატრს. კარგადაც აღარ ესმოდა ყურებში და ყოველთვის ვერც არჩევდა, თუ რა ხდებოდა სცენაზე.

მასხოვს დ. კლდიაშვილის იუბილე. მე ვიყავი კომიტეტის მდივანი. თითონ იმხანად თავის მშობლიურ სოფელში – სიმონეთში იმყოფებოდა, ავად იყო. საგანგებოდ ჩამოიყვანეს თბილისში, ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა მის იუბილეს. ოპერის თეატრში, სადაც გაიმართა საიუბილეო სხდომა, აუარებელი ხალხი მოაწყდა, ყველას უნდოდა ენახა ჩვენი დიდებული მწერალი, მოესმინა, რას იტყოდნენ მის შესახებ. თვითონ დ. კლდიაშვილს ლაპარაკი თითქმის უჭირდა.

იჯდა სავარძელში, ისე თითქოს მას არ შეეხებოდა, რაც თეატრში ხდებოდა.

ხშირად მინახავს რუსთაველის პროსპექტზე ერთად მიმავალი დ. კლდიაშვილი და ვასილ ბარნოვი. თავისი ხასიათით, თავისი ბუნებით ისინი სრულ კონტრასტს წარმოადგენდნენ. დ. კლდიაშვილი – ჩქარი, მოუსვენარი, სწრაფად მოსაუბრე, იმერული აქცენტით; ვ. ბარნოვი – დინჯი, ძველი, არქაული ქართულით მოსაუბრე.

დ. კლდიაშვილი თავის სოფელში გარდაიცვალა. მწერალთა კავშირიდან გაგზავნეს დელეგაცია მის ჩამოსასვენებლად.

ვასილ ბარნოვს პირველად შევხვდი 1924 წელს, ახალგაზრდების ჟურნალ „მომავალის“ რედაქციაში. ამ ჟურნალში დაიბეჭდა მისი რამდენიმე ნაწარმოები. იგი ფრესკიდან ჩამოსულ წმინდანს ჰგავდა. გრძელი წვერები. სუფთა და დაწმენდილი სახე. საშუალო სიმაღლისა, თხელი ტანისა. აუჩქარებლად საუბრობდა. სიარულიც აუჩქარებელი იცოდა, ქუჩაში სათვალეებით, ჯოხით და კატელაოკის ქუდით. საუბარში მან მითხრა: „მეშინია, ერთიდაიგივე ხასიათი ერთნაირად არ გავიმეორო სხვადასხვა ნაწარმოებშიო. ეს, შესაძლოა, მომივიდეს არა მხატვრულ საშუალებათა სიღარიბით, არამედ გულმავინყობითო. ჩემს ნაწარმოებთა გმირებს ქალაქზე გადატანის შემ-

დეგ, თითქმის ყოველთვის თავიდან ვიშორებო. ისტორიული რომანის წერის დროს მე უპირველესად ადამიანზე ვფიქრობ. ადამიანი რთული მოვლენაა და ამიტომ იგი ნაწარმოებში ფილოსოფიური სიღრმით უნდა იქნას წარმოდგენილი. ამ მხრით ყოველი წოდებისა და მდგომარეობის ადამიანი მდიდარ მასალას იძლევაო“. ვ. ბარნოვი, თუ მას შეეჩვივლებდით რაიმე უსიამოვნებაზე, უბედურებაზე, ყოველთვის ბრძნული აფორიზმით გიპასუხებდა, სადაც გამოთქმული იყო ოპტიმისტური აზრები.

ჩემს მეხსიერებაში სიკვდილამდე არ აღმოიფხვრება ის დასაფლავება, რომელიც ხალხმა მოუწყო შესანიშნავ მომღერალს – ვანო სარაჯიშვილს. პირდაპირ ეროვნული გლოვის ხასიათი მიეცა მის დაკრძალვას: თვით ისინიც კი, რომელთაც არ მოუსმენიათ მისი ჯადოსნური ხმა და სიმღერა, უჩვეულო მწუხარებას გრძნობდა მისი გარდაცვალების გამო. იგი ხომ არც ისე ხნიერი გარდაიცვალა.

მე მხოლოდ ერთხელ მოვისმინე ოპერა „დაისში“, როდესაც ის პირველად იდგმებოდა, მისი სიმღერა და ეხლაც, 25-26 წლის შემდეგაც გამომყვა მისი ხმის სიდიადე. ხალხს ვ. სარაჯიშვილი გულწრფელად უყვარდა. მისი ნეშტი დასვენებული იყო ხელოვანთა სასახლეში (მაშინ ასე ეწოდებოდა მწერალთა სასახლეს). გამოსვენებისას ხალხი ორ წყებათ გაშლილი იყო მთელი მაჩაბლის ქუჩიდან რუსთაველის პროსპექტამდე. ეს უჩვეულო იყო. ასეთი მრავალრიცხოვანი ხალხის დასწრება მარტოოდენ 2-3 ქართველ მოღვაწეს თუ ხვდა წილად საერთოდ. ოპერის თეატრის აივნიდან ცნობილმა მომღერალმა ქალმა – პოპოვამ შეასრულა სამგლოვიარო სიმღერა. ოპერის ბაღში მიაბარეს მისი ნეშტი მიწას.

[1944 წელი]

რადიანი შალვა დიმიტრის ძის ავტობიოგრაფია

დავიბადე 30 დეკემბერს, 1904 წელს ქალ. ოზურგეთში, წვრილი ხელოსნის ოჯახში. პირველ-დანყოფითი განათლება მივიღე ოზურგეთში, შემდეგ ვსწავლობდი (1917–1920 წ.წ.) ქუთაისში, ქართულ გიმნაზიაში, რომლის დირექტორიც იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე იოსებ ოცხელი, ხოლო ჩემი მასწავლებლები – სილოვან ხუნდაძე, სამსონ ყიფიანი, დომენტი ოყროშიძე-თომაშვილი, ჯაჯუ ჯორჯიკია და სხვ.

1924 წელს დავამთავრე თბილისის მეორე ტექნიკუმი. ამავე წელს შევედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტის სიტყვიერების დარგზე, რომელიც დავამთავრე 1929 წელს. დატოვებული ვიქენი უნივერსიტეტთან სამეცნიერო მუშაობისათვის მოსამზადებლად. ხელმძღვანელობას მიწევდა აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე. პარალელურად მესამე საცდელ-საჩვენებელ (შემდეგ ი. ჭავჭავაძის სახ. სკოლის) უმაღლეს ჯგუფებში ვასწავლიდი ქართულ ლიტერატურას.

1930 წლიდან უნივერსიტეტში ვანარმოებ დამოუკიდებელ მეცნიერულ-პედაგოგიურ მუშაობას. 1942 წლამდე ვკითხულობდი უახლოესი (მეოცე საუკუნის) ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსს. 1932 წელს საქართველოს სსრ განათლების კომისარიატმა დამამტკიცა დოცენტად; 1942 წლის თებერვლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამნიშნეს ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგედ და დამევალა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურის ისტორიის კურსის წაკითხვა. ამ კურსს დღესაც, 1974 წელსაც, ვკითხულობ.

ოთხათეული წლის განმავლობაში სხვებთან ერთად უნივერსიტეტში აღვზარდე ათასზე მეტი სტუდენტი და რამდენიმე ათეული ასპირანტი, რომელთაგან მრავალი დღეს არის აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი, მეცნიერებათა დოქტორი-პროფესორი და კანდიდატი-დოცენტი. თბილისის უნივერსიტეტში ვიყავი პირველი საფუძვლის ჩამყრელი და ლექტორი მეოცე საუკუნისა და საბჭოთა ლიტერატურის კურსისა. მრავალი ჩემი სტუდენტი არის პარტიული და საბჭოთა მუშაკი, განათლების ფრონტის მოღვაწე, პრესისა და ლიტერატურის მოღვაწე.

შეთავსებით ვითვლებოდი რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1944 წლის სექტემბრიდან იმავე ინსტიტუტში დამნიშნეს ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის განყოფილების გამგედ. 1947 წლის ნოემბრიდან იქვე დამნიშნეს საბჭოთა ლიტერატურის განყოფილების გამგედ; 1949 წლის ნოემბრიდან დამნიშნეს რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორად. ვითვლებოდი ამ თანამდებობაზე 1956 წლის 12 სექტემბრამდე. ამ დროიდან კი თანახმად ჩემი თხოვნისა შეთავსებების გაუქმებასთან დაკავშირებით განმათავისუფლეს დირექტორის მოვალეობისაგან.

1943 წლის 3 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დავიცავი დისერტაცია ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „ვასილ ბარნოვი და ისტორიული რომანის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში“. ეს იყო პირველი დიდი გამოკვლევა გამორჩენილი ქართველი მწერლის შესახებ. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს შუამდგომლობა 1944 წლის 30 დეკემბერს დაადასტურა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ. ამავე დროიდან დამტკიცებული ვარ პროფესორის ნოდებაში.

1928 წლიდან პარალელურად ვმუშაობ საქართველოს მწერალთა კავშირში და საგამომცემლო ორგანიზაციებში. 1928–32 წ.წ. ვიყავი არჩეული საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთ ხელმძღვანელად, პასუხისმგებელ მდივნად, შემდეგ – მრავალი წლის განმავლობაში მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის ნევრად; სახელგამში, 1934 წლიდან, თავდაპირველად ვიყავი სამხატვრო-სალიტერატურო სექტორის გამგედ და შემდეგ სახელგამის გამგის მოადგილედ და სარედაქციო-საგამომცემლო სამმართველოს უფროსად.

დანყებული 1926 წლიდან სხვადასხვა დროს ვითვლებოდი შემდეგი ჟურნალ-გაზეთების პასუხისმგებელ რედაქტორად: „მნათობი“, „პროლეტარული მწერლობა“, „სალიტერატურო გაზეთი“, „პიონერი“ (გაზეთი, შემდეგ ჟურნალი), „დროშა“, „საბჭოთა მწერალი“, „ჩვენი თაობა“, „ნა რუბეჟე ვოსტოკა“. 1937 წლის

აპრილიდან 1942 წლის ოქტომბრამდე ვრედაქტორობდი გაზ. „ლიტერატურულ საქართველოს“. 1973 წლიდან ვითვლები ალმანახ „კრიტიკას“ სარედაქციო კოლეგიის წევრად. კომკავშირში ყოფნის წლებში (1921–1930) ვიყავი კომკავშირული პრესის („სპარტაკის“, „ახალგაზრდა კომუნისტის“, „მომავალის“) უახლესი აქტიური მუშაკი, გაზ. „სპარტაკში“ ჩემს მიერ იყო დაწერილი მრავალი მონინავე.

ქართული ლიტერატურული და მეცნიერულ საზოგადოებრიობისათვის დიდი ხანია და კარგად ნაცნობია ჩემი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ისტორიული ლიტერატურული და კრიტიკული შრომები, რომელთაგან უმეტესობა გამოიცა ორჯერ, სამჯერ და ოთხჯერ. აქედან დავასახელებთ: „ლიტერატურული მემკვიდრეობა“ (გამ. 1936, 1937, 1939, 1947), „ლიტერატურული პორტრეტები“ (გამ. 1931, 1932, 1934, 1956), „ახალი ქართული ლიტერატურა“ (ორ ნაწილად 1949-1950, 1952-1953, ერთად 1954 წ.), „მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა“ (გამ. 1945, 1952, 1959), „სახეები და შთაბეჭდილებანი“ (გამ. 1962), „თანამედროვენი“, „ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანები“ (გამ. 1945), „ქართველი მწერლები“ (გამ. 1963), „რჩეული წერილები“ (პირველი და მეორე ტომი). ცალკე წიგნებად ქართულ და რუსულ ენებზე გამოიცა მონოგრაფიები შალვა დადიანზე, გალაკტიონ ტაბიძეზე, კონსტანტინე გამსახურდიანზე, მიხეილ ჯავახიშვილზე; სხვებთან თანაავტორობით დაიბეჭდა „ქართული ლიტერატურის ისტორია“ (გამ. 1952, 1958 წ. რუსულ ენაზე), „ახალი ქართული ლიტერატურა“ (გამ. 1956 წ.), სახელმძღვანელო საშუალო სკოლებისათვის „ქართული ლიტერატურა“ (გამ. 14). საერთოდ ვარ ავტორი 22 წიგნისა. და აგრეთვე 300-ზე მეტი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილისა, რაც სისტემატურად იბეჭდებოდა 1923 წლიდან ჩვენს პრესაში. ზემოდ დასახელებული წიგნებით ფართოდ სარგებლობენ სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, კითხულობს მრავალრიცხოვანი მკითხველი საზოგადოება. რუსულ ენაზე დიდ ენციკლოპედიაში, ლიტერატურულ ენციკლოპედიაში გამოქვეყნებულია ქართულ ლიტერატურაზე და ქართულ მწერლებზე მრავალი ჩემი სტატია.

ჩემის რედაქციით და კომენტარით გამოვიდა მრავალი ქართველი მწერლის თხზულება. მათგან დავასახელებ: რაფ. ერისთავის თხზულებათა 4 ტომს, გ. ერისთავის თხზულებებს, ი. ევდოშვილის თხზულებათა 3 ტომს და აგრეთვე ერთტომეულს, ი. ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწარმოებთა ერთტომეულს, ვ. ბარნოვის ისტორიულ რომანებს, გ. ტაბიძის თხზულებათა ერთტომეულს, გ. წერეთლის ნაწერების ერთტომეულს; რუსულ ენაზე ჩემის რედაქციით და შესავალი წერილებით გამოვიდა ი. ჭავჭავაძის, გ. წერეთლის, ე. ნინოშვილის, შ. არაგვისპირელის, ჭ. ლომთათიძის და სხვ. ქართველ მწერალთა ნაწერები. სახელგამის მიერ გამოცემული ი. ჭავჭავაძის თხზულებათა საიუბილეო აკადემიური გამოცემის პირველ ტომს დართული აქვს ჩემი ვრცელი გამოკვლევა. ვიყავი ა. ყაზბეგის, ა. წერეთლის და ნ. ნიკოლაძის, აგრეთვე მიხ. ჯავახიშვილის თხზულებათა აკადემიური გამოცემის სარედაქციო კოლეგიის წევრად. ჩემი წერილები დაბეჭდილია ფრანგულ ენაზე (აკაკი წერეთელი), გერმანულ ენაზე (გალაკტიონ ტაბიძე) და სხვა.

ლიტერატურულ-კრიტიკული მუშაობის დარგში მიღწევებისათვის 1941 წელს საკავშირო უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დაჯილდოვებული

ვიქენი „საპატიო ნიშნის“ ორდენით და შემდეგ „შრომის წითელი დროშის“ ორდენით. 1945 წელს დამაჯილდოვეს მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის“ და „სასახელო შრომისათვის 1941–1945 წლის დიდ სამამულო ომში“.

1965 წელს მომანიჭეს მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწის წოდება. იენის უნივერსიტეტმა დამაჯილდოვა გამოჩენილ გერმანელი ფილოსოფოსის ჰეგელის მედლით. ამ უნივერსიტეტის რექტორის მომართვაში ნათქვამია: „თბილისი, საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ბატონ პროფესორ შალვა რადიანს,
დიდად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

პირადად ჩემი დიდი პატივისცემის ნიშნად, გიგზავნიტ გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსის გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის მედალს, რომელიც ჩვენმა უნივერსიტეტმა განსაზღვრული რაოდენობით გამოუშვა მისი დაბადების ორასი წლისთავთან დაკავშირებით. ჰეგელი დიდხნის განმავლობაში მოღვაწეობდა, როგორც პროფესორი იენის უნივერსიტეტში.

ამ მედლით ჩვენმა უნივერსიტეტმა მხოლოდ რამდენიმე ჩვენი და უცხოელი სწავლული დააჯილდოვა.

მიიღეთ ჩვენი საშობაო და საახალწლო კეთილი სურვილები.

თქვენდამი უღრმესი და გულითადი პატივისცემით ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის რექტორი – პროფესორი ფრანც ბოლკი. იენა. 14 დეკემბერი. 1970 წელი“.

უკრაინის მთავრობამ და საიუბილეო კომიტეტმა დამაჯილდოვა ლესია უკრაინკას სახელობის მედლით.

1929 წლიდან ვარ საკ. კ. პ. წევრი.

ამჟამად ვმუშაობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალ ქართულ ლიტერატურის კათედრის პროფესორად.

*შალვა რადიანი
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე,
პროფესორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი
1974 წ., აპრილი*

სიმონ ნვერავა ჩემი ავტობიოგრაფია

დავიბადე ქ. წულუკიძეში (ყოფილ დაბა ხონში) 1905 წლის 7 იანვარს (ძველი სტილით). მაშინ იმ ადგილს, სადაც დავიბადე სოფელ ქარჩხაბს ეძახდნენ, ახლა წულუკიძის უბანი ეწოდება. ჩვენი ოჯახი ღარიბი გლეხის ოჯახი იყო. მამა გარდამეცვალა 1909 წელს. დავრჩით ობლად შვიდი სული, ოთხი და და სამი ძმა. შვიდივენი ცოცხლები ვართ. დედა რომ დაქვრივდა, შვიდი შვილის პატრონი, 31 წლის იყო. გარდაიცვალა 1967 წელს 93 წლის ასაკში. ჩვენი აღზრდა უსწავლელმა დედამ იკისრა და ყველას დიდი შრომისა და გაჭირვების შედეგად უმაღლესი განათლება მიგვაღებინა. როგორც ობოლსა და ღარიბს, ფიზიკური შრომის დანყება 7 წლის ასაკში მომიხდა. ოთხი წლის მანძილზე ვმწყემსავდი სოფლის ნახირს ცხენისწყლის პირას, ძმებთან ერთად ქირაში ვთოხნიდი სხვის ყანებს. ასე ვარჩენდით ღარიბ ოჯახს. ჯერ დავამთავრე ხონის საოსტატო სემინარიასთან არსებული ორკლასიანი სასწავლებელი, მერე შევედი თვით ამ სემინარიაში, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გადაკეთდა პედაგოგიურ ტექნიკუმად, რომელიც 1924 წელს დავამთავრე.

ტექნიკუმში სწავლისას არდადეგების დროს ვმუშაობდი ხონის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში ხან აუზიდან წყლის მქაჩავათ, ხან სამანქანო განყოფილებაში მზეთავად, ბოლოს დიდ ხერხზე ოსტატის თანაშემწედ. ტექნიკუმში სწავლისას ვწერდი ლექსებს და მინიატურებს, რომლებსაც ვბეჭდავდი სკოლის კედლის გაზეთში, რომლის რედაქტორი მე ვიყავი. ტექნიკუმთან არსებულ სასულე და სიმებიან ორკესტრში ვუკრავდი ალტზე, კორნეტზე და სკრიპკაზე. ჩვენი კაპელმეისტერი იყო ცნობილი ჩეხი მუსიკოსი ანტონ ვიარჩელავ ჰაუდეგი. ვინაიდან ძალიან ღარიბი ვიყავი, დედა არ მიშვებდა უმაღლეს სასწავლებელში, შვილო, მასწავლებლად დაგნიშნავენ, ორკესტრში უკრავ, გუნდშიც მღერი, დარჩი და ოჯახში დამეხმარეო, მაგრამ მე დედას არ დაუჯერე, თბილისში გავეპარე და სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტზე ჩავაბარე მისაღები გამოცდები ფრიაღზე, კიდევაც ჩამრიცხეს. ჩემი პროფესორები იყვნენ: ი. ჯავახიშვილი, გ. ახვლედიანი, ფ. გოგიჩაიშვილი, შ. ნუცუბიძე, დ. უზნაძე, გ. გეხტმანი, პოლიაკტოვი, მ. ტოროშელიძე, ნ. ქოიავა, შ. გოგებაშვილი, ე. ტატიშვილი, ბ. რამიშვილი, კ. მეგრელიძე, ა. ინკირველი და სხვები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტი დავამთავრე 1928 წელს. უნივერსიტეტში სწავლის დროს აგრეთვე (1925 წ.) დავამთავრე ცეკავშირისა და წარმოკავშირის კოოპერატიულ მუშაკთა მოსამზადებელი კურსები. ამავე წელს დამნიშნეს მოანგარიშეთ შინაგან საქმეთა კომისარიატის საპატიმრო ადგილების სამმართველოში. ექვსი თვის შემდეგ აქედან გადამიყვანეს სპეციალური დანიშნულების იზოლიატორში (მეტეხის ციხე) მოანგარიშედ. აქედანაც ექვსი თვის შემდეგ გადამიყვანეს საგუბერნიო გამასწორებელ სახლში (ორთაჭალა) მოანგარიშეთ. რამდენიმე თვის შემდეგ, თანახმად ჩემი განცხადებისა, გამანთავისუფლეს და 1926 წ. მოანგარიშეთ მუშაობა დავინყე ნავთლულში, თბილისის საქალა-

ქო საბჭოს „ბოინიაში“, ახლანდელ ხორც-კომბინატში. 1927 წელს მუშაობა დაიწყო ჯერ საქ. წითელი ჯვრის კომიტეტში, შემდეგ ამ კომიტეტის სტამბაში დირექტორის მოადგილეთ საფინანსო დარგში. 1928 წლის პირველ სექტემბერს დამნიშნეს თბილისის მე-7-ე საშუალო შრომის სკოლაში საზოგადოებათა მეცნიერების მასწავლებლად და მეცხრე კლასის დამრიგებლად, ამავე დროს შეთავსებით ქართულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლიდი ე. ნინოშვილის სახელობის სკოლა-საკრებულოში (სალამოს) და რკინიგზის სალამოს მუშფაკში. ვიყავი მე-7-ე შრომის სკოლის ადგილკომის თავმჯდომარე. ჩემი მონაწილეობა იყვნენ ახლა უკვე ცნობილი მომღერლები: ნ. ნაკაშიძე, მ. შილდელი; პოეტი ალექსანდრე გომიაშვილი, ცნობილი მსახიობი ნ. მოსეშვილი; პროფესორები: ვ. შადური, გ. გობეჯიშვილი, მრავალი ახალგაზრდა, რომელთა დიდი ნაწილი ახლა სკოლების დირექტორები, მეცნიერული მუშაკები და პასუხისმგებელი მუშაკები არიან.

1928 წელს არჩეული ვიქენი საქ. განათლების მუშაკთა პროფესიული კავშირის გამგეობის წევრად და განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო-პედაგოგიური საბჭოს წევრად. მონაწილეობას ვღებულობდი საშუალო სკოლებისათვის სასწავლო პროგრამების და მეთოდური ხასიათის სახელმძღვანელოების შედგენაში. 1930 წელს შეთავსებით დანიშნული ვიყავი გაზეთ „განათლების მუშაკის“ რედაქტორის მოადგილეთ. პედაგოგებთან – ილია სიხარულიძესთან (საბავშვო მწერალი) და ა. მჭედლიძესთან ერთად შევადგინე და გამოვეცი ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო მე-6 კლასისათვის, რომელიც ისწავლებოდა 1930-31-32-33-34 წლებში.

1926 წელს შემოვდგი ფეხი მწერლობაში. პირველი ჩემი მოთხრობა „ჩატეხილი ხიდი“ დაიბეჭდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ლიტერატურულ გვერდში პირველ იანვარს. ამ დღიდან სისტემატიურად იბეჭდებოდა ჩემი მოთხრობები, ნოველები, ნარკვევები და კრიტიკული წერილები, როგორც ყოველდღიურ გაზეთებში („ახალგაზრდა კომუნისტი“, „კომუნისტში“, „მუშაში“, „ზარია ვასტოკაში“, „მაღალი სტალინელი“ და სხვა), ასევე ჟურნალ „პროლეტარულ მწერლობაში“, „მნათობში“, „დროში“, „განათლების მუშაკში“ და ცალკეულ მხატვრულ კრებულებში.

1926 წლიდან „ახალგაზრდა კომუნისტთან“ არსებული კომკავშირულ მწერალთა წრის წევრი ვიყავი, ხოლო 1928 წლიდან 1932 წლის იანვრამდე ამ წრის ბიუროს თავმჯდომარე, ვადგენდი და ვრედაქტორობდი გაზეთში დაბეჭდილ ლიტერატურულ გვერდებს. 1929 წელს დავინყე მუშაობა საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში საორგანიზაციო განყოფილების გამგეთ. ამავე წელს არჩეული ვიყავი პროლეტარულ მწერალთა ამ ორგანიზაციის გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრად. 1929 წლის თებერვალში მე და კრიტიკოსი ვალიკო ლუარსამიძე საქ. პროლეტარული მწერალთა ასოციაციისა და საქ. ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ გაგზავნილი ვიყავით ხარკოვში (მაშინ ხარკოვი უკრაინის ცენტრი იყო) უკრაინის ახალგაზრდა მწერლების ყრილობაში მონაწილეობის მისაღებათ. ყრილობაზე მისასაღმებელი სიტყვით გამოსვლა მე მომიხდა, ასევე ყრილობის დელეგატების ქალაქის კომკავშირის აქტივთან შეხვედრაზე („კრასნოზავოდსკის“ თეატრის დარბაზში) გამოვედი

სიტყვით. ჩვენს იქ ყოფნას დაემთხვა საკავშირო დრამკომთა ორგანიზაციის თათბირი, რომლის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებათ საქართველოდან ჩამოვიდნენ მწერლები: მიხეილ ჯავახიშვილი (ხელმძღვანელი), გუგული ბუხნიკაშვილი, პეტრე სამსონიძე და ბესარიონ ჟღენტი. მიხეილ ჯავახიშვილმა მე ამ დელეგაციაში შემეყვანა და მათთან ერთად რამდენიმე დღე დავრჩი ხარკოვში და მონაწილეობას ვღებულობდი ამ თათბირში. იქ გავიცანი მაშინ უკრაინის გამოჩენილი მწერლები. უკრაინის ახალგაზრდა მწერლების ჟურნალმა („მაღაღნიაკი“) დაბეჭდა ჩემი წერილი და ფოტოსურათი. მაშინ უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი იყო გამოჩენილი ქართველი ბოლშევიკი – ლავრენტი ქართველიშვილი, რომელიც ლავრენტიევის გვარით იყო ცნობილი.

1930 წლის მაისში მოსკოვში გაიმართა საკავშირო პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობის გაფართოებული პლენუმი. საქართველოდან პლენუმში მონაწილეობის მისაღებათ გავემგზავრეთ: ბენიტო ბუაჩიძე (ა/კავკასიისა და საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციების პირველი მდივანი), შალვა რადიანი და მე. ორივენი საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მდივნები ვიყავით. გაფართოებული პლენუმი გახსნა ბენიტო ბუაჩიძემ ვრცელი შესავალი სიტყვით. მისი სიტყვა ისე ღრმა შინაარსიანი იყო, რომ ჩვენს დელეგაციას პლენუმზე სახელი გაუთქვა, ალბათ ამიტომ იყო, რომ შალვა რადიანი და მე სხვადასხვა კომისიის ხელმძღვანელათ აგვირჩიეს. პლენუმის დამთავრების შემდეგ სურათი გადავიღეთ საქართველოს, ადერბეიჯანის და სომხეთის დელეგაციის წევრებმა საკავშირო პროლეტარული მწერლების ასოციაციის მდივნებთან – ლეოპოლდ ავერბახთან და ალექსანდრე ფადეევთან ერთად. იმ პლენუმზე გავიცანი სტავსკი, ბეზიმენსკი, უტკინი, ემ. იაროსლავსკი და სხვები.

1930 წლის 22 მარტს კოლექტივიზაციის ფრონტზე შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო კახეთში, იმერეთში და სამეგრელოში გაემგზავრა საქართველოს მთავრობის დელეგაცია ფილიპე მახარაძის (სახკომსაბჭოს თავმჯდომარე), მიხა კახიანის (საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი), გიორგი მამალაძის (ჯანსახკომი), შამშუ ლეჟავას (ჯანსახკომის მოადგილე) და სხვათა შემადგენლობით. ამ დელეგაციას მწერლებიდან კ. ლორთქიფანიძე და მე ვახლდით. მე ფილიპე მახარაძემ თავის თანაშემწეთ ამიყვანა. ამ ამბების შესახებ მე დავწერე დოკუმენტური მოთხრობა „იმ ბობოქარ დღეებში“ (ჯერ მხოლოდ კახეთში მომხდარ ამბებზე), რომლის ნაწყვეტი დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“, ხოლო მთლიანად ჩემი მოთხრობების კრებულში („იმ ბობოქარ დღეებში“), რომელიც 1970 წელს გამოიცა. ახლა ვმუშაობ მის გაგრძელებაზე (იმერეთი, სამეგრელო).

1927 წელს თბილისში ჩამოვიდა დიდი ფრანგი კომუნისტი მწერალი – ანრი ბარბიუსი. მე მას გავეცანი. აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი მისდამი გამართულ შეხვედრებში. დაუფინყარია ჩემთვის ის ბანკეტი, რომელიც ძველმა ბოლშევიკმა, საქ. ცაკის მდივანმა – სილვა თოდრიამ თავის ოჯახში გამართა. როცა ყველამ შესვა ანრი ბარბიუსის სადღეგრძელო, მე ყველაზე ბოლოს, როგორც ყველაზე უმცროსმა იქ მყოფ მწერლებს შორის, კომკავშირელი მწერლების სახელით ყანწი ავწიე და მთელი არსებით, მგზნებარე სიტყვით წარ-

მოვსთქვი მისი სადღეგრძელო. მას გვერდით უსხდნენ ფრანგული ენის კარგი მცოდნე ქართველი მწერლები – არისტო ჭუმბაძე და ლევან მეტრეველი, რომლებმაც ჩემი სიტყვა უთარგმნეს სტუმარს. მაშინ ანრი ბარბიუსი მომვარდა და გადამეხვია, თან რალაცას ფრანგულად იძახდა „ჟორეს-ჟორესიო“. მაშინ მე არისტოს ვკითხე, რას ამბობს-მეთქი. არისტომ საჯაროთ, ყველას გასაგონათ მიპასუხა, შენი სიტყვის ტემპერამენტი მოეწონა და სთქვა, ეს ახალგაზრდა ჟორესივით ორატორი დადგებაო. მაშინ ყველას გაეცინა, მე კი დავიმორცხვე. შემდეგ ბევრჯერ შემახსენებდა ამას ლეო ქიაჩელი და ნოე ზომლეთელი.

1928 წელს თბილისში ჩამოვიდა დიდი რუსი პროლეტარული მწერალი – მაქსიმ გორკი. გავიცანი თუ არა, ვესწრებოდი მასთან შეხვედრებს მწერალთა სახლში, მუშათა უბნებში, პლენაროვის პროსპექტზე მისი სახელობის კლუბში, დიდუბის პარკში და მწერალთა კავშირში გამართულ ბანკეტზე. ბანკეტის თამადა იყო ფილიპე მახარაძე. მ. გორკის შეხვედრებზე და საერთოდ მის საქართველოში მოღვაწეობაზე მისი ჩამოსვლის პირველ დღიდან (ცხრაასიანი წლები) მე დავწერე ვრცელი მონოგრაფიული ხასიათის წერილი, რომლის ნაწყვეტი დაიბეჭდა გაზეთ „თბილისში“, ხოლო მთლიანად შევიტანე ჩემს წიგნში („ნარკვევები ლიტერატურაზე“), სათაურით „მ. გორკი საქართველოში“. ეს წიგნი გამოსცა 1967 წელს გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“.

იმ ხანებში საქართველოს ეწვივნენ დიდი პოლიტიკური მოღვაწე მწერლები: იომან ბებერი, მათე ზალკა (გენერალ ლუკიჩი), ბელა ილემი და ვაისკოფი. ამ უცხოელ მწერალთა ჯგუფს ა. სულავა და მე მიგვამაგრეს მწერალთა ორგანიზაციიდან. ჩვენ მათ ქალაქის ღირსშესანიშნაობანი დავათვალიერებინეთ, ბოლოს მივიყვანეთ თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში.

1930-31-32 წლებში ვიყავი საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სამდივნოს წევრი, ამიერკავკასიის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი და ეგრეთწოდებულ წითელარმიელ მწერალთა ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი.

1931 წელს არჩეული ვიქენი საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის პასუხისმგებელ მდივანად. 1931-32 წლებში შეთავსებით ვიყავი გამომცემლობა „ფედერაციის“ დირექტორი. ამავე წლებში ვიყავი ჟურნალ „მნათობის“ და „ლიტერატურული გაზეთის“ კოლეგიების წევრი. 1931 წელს საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დამნიშნა „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქტორად, მაგრამ ვინაიდან რამდენიმე თანამდებობა მეჭირა, ჩემი დაბეჯითებითი მოთხოვნით, გამანთავისუფლეს რედაქტორობიდან.

1932 წლის იანვარს გამანთავისუფლეს საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობიდან და მობილიზაციის წესით გამაგზავნეს ხონის (წულუკიძის) რაიონში რაიპროფსაბჭოს თავმჯდომარედ. სამი წლის განმავლობაში ვიყავი ხონის რაიონისა და ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, საქ. რადიოკომიტეტის რწმუნებული, გაზეთ „დამკვრელის“ კოლეგიის წევრი. ამას გარდა, პედაგოგიურ ტენნიკუმში, სალამოს მუშფაკში და ინდუსტრიალურ ტენნიკუმში ვასწავლიდი საზოგადოებათა მეცნიერებას და ქართულ ენასა

და ლიტერატურას. მიმაგრებული ვიყავი ნულუკიდის სახელობის კოლმეურ-ნეობაში და აბრეშუმის ძაფსაღებ ფაბრიკაში.

1935 წელს თავი გავითავისუფლე რაიონში მუშაობიდან, დავბრუნდი თბილისში და მუშაობა დავიწყე მწერალთა კავშირში მასობრივი განყოფილების გამგეთ. სამამულო ომის დროს ვიყავი მწერალთა კავშირის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე, კლუბის დირექტორი, ადგილკომის თავმჯდომარე და სხვა. ომის დროს ჰოსპიტლებში, არმიის ნაწილებში, აგიტპუნქტებში, სამობილიზაციო პუნქტებში, ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებში და სკოლებში ჩემი ხელმძღვანელობით გაიმართა 1500 ანტიფაშისტური საღამო, პირადად მე ომის პერიოდში გავაკეთე 500 მოხსენება, ვარ დაჯილდოებული მედლით: „1941–1945 წ. დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

ოცდაათიან წლებში ჩემ მიერ შედგენილი იქნა და ჩემივე რედაქტორობით გამოიცა მხატვრული კრებული „კოლექტივიზაციის ფრონტზე“, რომელშიაც ჩემი რამოდენიმე მოთხრობაა შეტანილი. ჩემი „ნოველების“ პირველი წიგნი გამოიცა 1931 წელს, სახელმწიფო გამომცემლობის საბავშვო სექტორის მიერ 3 საავტორო თაბახის რაოდენობით, მცირე დოკუმენტური მოთხრობების კრებული „სტალინელები“, 1932 წელს, „ტეხნიკა და შრომას“ მიერ 3 საავტორო თაბახის რაოდენობით. იგი ეხება თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სტახანოველი მუშების შრომით ცხოვრებას. 1940 წელს გამომცემლობა „ფედერაცია“ დაბეჭდა ჩემი მოთხრობების კრებული 12 საავტორო თაბახის რაოდენობით, ამავე გამომცემლობამ 1942 წელს გამოსცა ჩემი ოთხი მოთხრობა, სამამულო ომის თემაზე დაწერილი, 3 საავტორო თაბახის რაოდენობით.

1936 წლიდან 1948 წლამდის ვიყავი საქ. ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი. 1936 წელს ვიყავი არჩეული დელეგატად საკავშირო კონფერენციაზე მოსკოვში, სადაც მომიხდა სიტყვით გამოსვლა.

1930 წელს გ. ლეონიძესთან ერთად ჩამოვაყალიბე მუშათა ლიტერატურული წრე თბილისის ი. ბ. ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანასთან, რომელსაც სხვა და სხვა დროს, 18 წლის მანძილზე, ვხელმძღვანელობდი. ამ წრის დაარსებიდან 25 წლის თავზე გამართულ საზეიმო სხდომაზე გ. ლეონიძესა და მე გადმოგვეცა საპატიო სიგელები. გარდა ამ წრისა, მე მთელი რიგი წლების მანძილზე ვხელმძღვანელობდი მასწავლებელთა სახლის, მაუდის ფაბრიკის, ნავთლულის რკინიგზის კლუბის, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის, სარენაო კლუბის და მთელი რიგი დაწესებულებების ლიტერატურულ წრეებს. ამას გარდა, მე და ვასო გორგაძე თბილისიდან დავდიოდით და ადგილზე ვხელმძღვანელობდით ლიტერატურულ წრეებს დუშეთში, ლაგოდეხში და სოფელ ანაგაში. ორგანიზაციას ვუკეთებდი და მოხსენებებით გამოვდიოდი ლიტერატურული წრეების წევრთა საქალაქო და რესპუბლიკურ შეკრებებს. ვადგენდი წრეებისათვის პროგრამებს და მეთოდური ხასიათის წერილებს. ვხელმძღვანელობდი რესპუბლიკის მამტაბით საქართველოში არსებულ ლიტერატურულ წრეებს.

1948 წლის სექტემბერს, საქართველოს მწერალთა კავშირის თხოვნით და საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით, გაგზავ-

ნილი ვიქენი აფხაზეთში მწერალთა ორგანიზაციის ქართული სექციის თავმჯდომარედ. იქ ვიმუშავე ოთხი წელი. ამ ხნის განმავლობაში ვიყავი (გარდა სექციის თავმჯდომარეობისა) ქართული ალმანახის რედაქტორი (სარედაქციო კოლეგიის წევრები იყვნენ: კლიმენტი გოგიავა, ივანე თარბა, პროკოფი რატიანი, შალვა ლლონტი, ალექო შენგელია), გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ კულტურის განყოფილების გამგე. მწერალთა ორგანიზაციის პარტიული კომიტეტის მდივანი, საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტის ლექტორი და სოხუმის მ. გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი, სადაც ფილოლოგიური ფაკულტეტის მეოთხე კურსზე ლექციებს ვკითხულობდი მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე. ამას გარდა, სისტემატიურად ვბეჭდავდი ლიტერატურულ გვერდებს „საბჭოთა აფხაზეთში“ და რუსულ გაზეთში. კომკავშირის 30 წლის თავზე შევადგინე და ჩემი რედაქტორობით გამოიცა მხატვრული კრებული კომკავშირის გმირული ცხოვრებიდან. ვიყავი რამდენიმე წიგნის რედაქტორი: გ. ლეონიძის ლექსების, ფუცუ დგებუაძის რომანის „ოქროს ბეჭედის“, ალექო შენგელიას ლექსების და სხვა.

სოხუმში ჩვენს ლიტერატურულ ორგანიზაციასთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლად ხშირად ჩამოდიოდნენ: შ. დადიანი, თ. სახოკია, ი. იმედაშვილი. გ. ლეონიძე, ი. აბაშიძე, კ. კალაძე, ს. ჩიქოვანი, კ. ლორთქიფანიძე, ო. ჭელიძე, ა. ადამია და სხვები; მოსკოვიდან: ნ. ტიხონოვი, კ. სიმონოვი, გორბატოვი, დერჟავინი და სხვები. არ დარჩენილა აფხაზეთის რაიონებში ისეთი მონინავე ადამიანი, რომ მათზე მხატვრული ნარკვევი არ დამებეჭდოს, ამის გარდა, სწორედ სოხუმში მუშაობისას დავწერე უამრავი კრიტიკული წერილი ქართველი და აფხაზი მწერლების შემოქმედებაზე. აფხაზეთში მუშაობისას ქ. სოხუმში გამოიცა ჩემი მოთხრობებისა და ნარკვევების კრებული 15,5 საავტორო თაბახის რაოდენობით, სახელწოდებით „გმირის ღიმილი“. ჩვენი თხოვნით, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი ხშირად გზავნიდა მწერალთა ბრიგადებს აფხაზეთში ლიტერატურული სალამოების გასამართავად, რაიც დეკადის სახეს ღებულობდა.

1952 წლის ივნისში, საქართველოს მწერალთა კავშირის მოთხოვნით და საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, გამომოყვანილი ვიქენი თბილისში და დავინიშნე გამომცემლობა „საბჭოთა მწერალის“ დირექტორათ. ამ თანამდებობაზე ვიმუშავე 7 თვე, გაუგებრობის გამო (უკეთ შეცდომით) განთავისუფლებული ვიქენი დირექტორობიდან, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნომ შეცდომით სცნო ჩემი განთავისუფლება და გააუქმა დადგენილება, მაგრამ მე ავადმყოფობის გამო ვერ შევსძელი მუშაობა და დამენიშნა რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსია.

1954 წელს გამომცემლობა „საბლიტგამში“ დაიბეჭდა ჩემი მოთხრობებისა და ნარკვევების კრებული „სოფლის სურათები“, 20 სააღრიცხვო თაბახი. 1957 წელს „სახელგამმა“ გამოსცა ჩემი დოკუმენტური მოთხრობა „მეხვედრა ტარიბანაში“, წითელი წყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის სახელობის კოლმეურნეობის მონინავე ადამიანებზე, 9 ნაბეჭდი თაბახი. 1958 წელს „საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა ჩემი მოთხრობებისა და ნარკვევების დიდტანიანი კრებული „მჭედლების უბანში“ 30 სასტამბო თაბახი. 1956 წელს „საბლიტგამმა“ გა-

მოსცა მხატვრული ნარკვევების კრებული სათაურით „სოფლის მეურნეობის მონინავე ადამიანები“, რომელშიაც შეტანილია ჩემი 6 მხატვრული ნარკვევი.

1960 წელს „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა ჩემი კრიტიკული წერილების პირველი კრებული სათაურით „წერილები ლიტერატურაზე“, 14 ნაბეჭდი თაბახის რაოდენობით. იმავე წელს „საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა ჩემი დოკუმენტური მოთხრობების კრებული „ფოლადის გზებზე“, მუშათა კლასის ცხოვრებიდან (კომუნისტური შრომის ბრიგადებზე), 18,88 ნაბეჭდი თაბახი. ეს წიგნი ეძღვნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლის თავს. 1962 წელს იგივე წიგნი გამოსცა რუსულ ენაზე იმავე გამომცემლობის რუსულმა სექტორმა.

1963 წელს „ნაკადულმა“ გამოსცა ჩემი დიდტანიანი წიგნი (ვრცელი დოკუმენტური მოთხრობა სოფლის თემატიკაზე) „ჩემი სოფლის სურათები“, 18,25 ნაბეჭდი თაბახის რაოდენობით.

1965 წლის 2 იანვარს აღინიშნა ჩემი დაბადებიდან 60 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა ჩემი მოთხრობების კრებული (საიუბილეო) სათაურით „მოთხრობები“, 23,8 ნაბეჭდი თაბახის რაოდენობით. 1967 წელს „ლიტერატურა და ხელოვნებამ“ გამოსცა ლიტერატურული წერილების მეორე კრებული „ნარკვევები ლიტერატურაზე“, 19,75 ნაბეჭდი თაბახი. 1968 წელს „ნაკადულმა“ გამოსცა ჩემი დოკუმენტური მოთხრობა „მწვანე ოქროს გმირი“, მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირ დალი წივნივაძეზე, 3,38 თაბახის რაოდენობით. ამავე გამომცემლობამ 1969 წელს დაბეჭდა დოკუმენტური მოთხრობა „ასკანელი ქალიშვილი“, სოციალისტური შრომის გმირ, მეჩაიე, კლავდია ნაცვალაძეზე.

1970 წელს „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა ჩემი მოთხრობების კრებული „იმ ბობოქარ დღეებში“, 21,21 ნაბეჭდი თაბახის რაოდენობით. წიგნი მიძღვნილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისათვის გმირულ ბრძოლებზე. წელს გამომცემლობა „მერანში“ გამოვა ჩემი წიგნი, სათაურით „რევკომის თავმჯდომარე“, მიძღვნილი საქ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისადმი. ძირითადად ამ წიგნში აღწერილია დასავლეთ საქართველოში რევოლუციური მოძრაობა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. ამაჟამად ვმუშაობ ლიტერატურული წერილების მესამე წიგნზე და რომანზე.

ჩემი სცენარებით დაიდგა ორი დოკუმენტური ფილმი: პირველი – „ღირსეული ცვლა“ ეხება ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ახალგაზრდულ კომუნისტური შრომის ბრიგადების ცხოვრებას (კინორეჟისორი შ. ჩაგუნავა) და მეორე – მილიციის ცხოვრებას, „მშვიდობის საგუშაგოზე“ (კინორეჟისორი – უ. მიქაძე).

1966 წლიდან ვხელმძღვანელობ თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოსთან არსებულ ლიტერატურულ გაერთიანებას, გაზეთ „მებრძოლ გუშაგში“ (სანამ დახურავდნენ) ვადგენდი ლიტერატურულ გვერდებს. წელს ჩემს მიერ მომზადებულ ლიტერატურული გაერთიანების ალმანახს მილიციის თემაზე გამოსცემს „საბჭოთა საქართველო“. ვარ ოქტომბრის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მე-7 საბავშო ოთახის საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარე. სოფლის მეურნეობისა და ფაბრიკა-ქარხნების მონინავე ადამიანებზე დაბეჭდილი მაქვს ძალიან ბევრი მხატვრული ნარკვევი

(მათ შორის სოციალისტური შრომის გმირები ბევრია), იგი დაახლოებით 40 საავტორო თაბახს შეადგენს, წარდგენილი მაქვს გამოსაცემად „მერანში“.

ვიყავი ლენინური კომკავშირის წევრი 1925 წლიდან 1935 წლამდის. 1948 წლიდან პარტიის წევრი ვარ, აქვე უნდა ავღნიშნო, რომ 1931 წელს თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა მიმიღო პარტიის წევრობის კანდიდატად, ლენრაიკომმა და შემდეგ თბილისის კომიტეტმა დამამტკიცა კანდიდატად. საქმე გადაეცა საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს დასამტკიცებლად (მაშინ ასეთი წესი იყო), მაგრამ ამ დროს მოხდა პარტიაში მიღების შეწყვეტა, პარტიაში მიღების განახლებისას კი ავად ვიყავი და ამიტომ მოხდა ჩემი პარტიაში დაგვიანებით მიღება.

მწერლობაში გამოსვლის დღიდან აქტიურად ვმონაწილეობ საზოგადოებრივ მუშაობაში, ახალი კონსტიტუციის შემოღების დღიდან ყოველი არჩევნებისას ხან საოლქო და ხან სარაიონო არჩევნების კომისიის თავმჯდომარე ვარ.

1965 წლის 20 იანვარს აღინიშნა ჩემი დაბადებიდან 60 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით, ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობისათვის, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, დაჯილდოებული ვიქენი საპატიო სიგელით. 1961 წლის აპრილს ჩემი წიგნის „ფოლადის გზების“ გამოსვლასთან დაკავშირებით, რომელიც დაწერილია თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშების შრომით ცხოვრებაზე. პარტიის ლენინის რაიკომმა მაუდკამვოლის ფაბრიკის კლუბში მოაწყო რაიონის მშრომელებთან ჩემი შეხვედრა. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა რაიკომის მაშინდელმა პირველმა მდივანმა – შოთა დოლიძემ. მოხსენება გააკეთა და განიხილა ჩემი წიგნი რაიკომის მეორე მდივანმა – ქეთო ლაცაბიძემ. სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები: ი. აბაშიძე, დ. სულიაშვილი, მ. ასათიანი, ვ. მაჭავარიანი, ვ. გორგანელი, სოციალისტური შრომის გმირი – მემანქანე გრ. ბოგვერაძე, კიროვის ჩარხმშენებელი ქარხნის მუშა – ნ. ილურიძე, სკოლის დირექტორი – ს. მორჩილაძე და სხვები. დასასრულ თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის დირექციის, პარტიული კომიტეტის და პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის სახელით, ამ ქარხნის მუშების შრომით ცხოვრებაზე დაწერილი მრავალ ნაწარმოებისათვის და ქარხნის კლუბთან არსებული ლიტერატურული წრის დაარსებისა და მთელი რიგი წლების მანძილზე მისი ხელმძღვანელობისათვის, დაჯილდოებული ვიქენი საპატიო სიგელით. 1967 წელს ახალგაზრდობის რევოლუციურ ტრადიციებზე აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის მიერ დაჯილდოებული ვიქენი საპატიო სიგელით, ხოლო 1969 წელს ლენინური კომკავშირის ნახევარ საუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით დაჯილდოებული ვიქენი საპატიო სიგელით და სამკერდე ნიშნით.

1968 წელს ლიტერატურული წრეების ხელმძღვანელობის საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის პროფესიული კავშირების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭომ დამაჯილდოვა საპატიო სიგელით.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით თავდადებული („დობლესტნი“) შრომისათვის დამაჯილდოვეს ლენინის მედლით.

1970 წლის 2 ნოემბერს გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქციამ ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის დამაჯილდოვა საპატიო სიგელით.

ამას გარდა აქტიური საზოგადოებრივი მუშაობისათვის მიღებული მამულის მრავალი მადლობა და წამახალისებელი ჯილდოები.

არ დარჩენილა საქართველოში ისეთი რაიონი, ქალაქი, კოლმეურნეობა, ფაბრიკა-ქარხანა და სკოლა, რომ მწერალთა ბრიგადებს ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით ლიტერატურული საღამოები და შეხვედრები არ მოეწყოს.

ასეთია მოკლეთ ჩემი, ერთი რიგითი მწერლის, ბიოგრაფია.

სიმონ დიმიტრის ძე წვერავა

5/II – 71 წ.

დამატება: 1952 წლის მაისის ბოლოს შვებულებით ჩამოვედი თბილისში აფხაზეთიდან. მაშინ საქართველოს მწერალთა კავშირმა ორი დიდი ღონისძიება ჩაატარა ოსეთში და აჭარაში. ოსეთში – 1952 წლის 31 მაისს, გ. ლეონიძის მეთაურობით (მაშინ იგი საქ. მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე იყო), გაემგზავრა ქართველ მწერალთა დელეგაცია (გ. ლეონიძე, გ. ტაბიძე, ს. შანშიაშვილი, დ. კასრაძე, დ. შენგელაია, კ. ლორთქიფანიძე, ა. მირცხულავა, კ. კალაძე, ა. ბელიაშვილი, ს. ფაშალიშვილი, ა. ქუთათელი, ვ. გორგაძე, ა. გომიაშვილი, ბ. ჟღენტი, კ. ბობოხიძე, თ. ჯანგულაშვილი, ი. ურჯუმელაშვილი, ო. ჩხეიძე და მე), რომელმაც იქ სამი დღე დაჰყო და მოაწყო შეხვედრები მშრომელებთან ქალაქებსა და სოფლებში. ამ შეხვედრებზე, გ. ლეონიძის დაბეჯითებითი მოთხოვნით, მომხსენებელი მე ვიყავი. ეს მოხსენება წერილის სახით დაბეჭდა მაშინ გაზეთ „საბჭოთა ოსეთმა“ სამ სარდაფში (1952 წლის 8 ივნისი). ამ დელეგაციაში მონაწილეობდა ისეთი ცნობილი კრიტიკოსი და ორატორი, როგორც ბესო ჟღენტი. იგი სიტყვით გამოდიოდა, მე კი – მოხსენებით. მართალი გითხრათ, ბესო ჟღენტს საღამოში მონაწილეობა მიელო და მე მოხსენებით გამოვსულიყავი, ცოტა უხერხულ მდგომარეობაში მაყენებდა, მაგრამ ვცდილობდი, ორატორიული ხერხებით მას არ ჩამოვრჩენოდი. ამის გამო პირველ დღესვე გამართულ ბანკეტზე გ. ლეონიძემ ხუმრობით „ანტიბესინი“ შემარქვა.

ოსეთიდან დაბრუნების შემდეგ მწერალთა დელეგაცია, რომელშიაც ა. მირცხულავა, კ. კალაძე, გ. ქუჩიშვილი, ს. თავაძე, ვ. გაბესკირია, ა. თევზაძე და მე შევედიოდი, აჭარაში გაემგზავრა. გავმართეთ ლიტერატურული საღამოები, მომხსენებლად ყველგან მე ვიყავი.

სიმონ წვერავა

5/II – 71 წ.

სიმონ მთვარაძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | მთვარაძე სიმონ ვასილის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი <u>1905</u> თვე <u>მაისი</u> დღე <u>3</u> |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. საგარეჯო (გარე კახეთი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | დრამატურგია, პროზა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1928 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1934 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--------------------------------------|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>რიგითი ქვეითი ჯ/კაცი</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>თეატრალურ საზ. წევრი, მწერალი</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>—</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ავლევის ქ. 32</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებულება, ორგანიზაცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ადგილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|---|---|---|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1931 | 37 | ლიტ. ნაწილის გამგე | მოზ. მაყ. თეატრში | |
| 1937 | 39 | მდივანი | საქ. მწერ. კავშირის დრამსექციისა | |
| 1943 | 44 | პ/მგ. მდივანი | რაილმასკომის საგარეჯოში | |
| 1947 | | ლიტ. ნაწილის გამგე | მოზ. მაყ. თეატრისა | |
| 1948 | | პრეზიდენტის პ/მგ. მდივანი | თეატრალური საზოგადოებისა | |
| | | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

სიმონ ვასილის-ძე მთვარაძის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1905 წელს, მაისის 3-ს, სოფ. საგარეჯოში (გარე კახეთი), დედა გლეხი მყავდა, მამა კი ჯერ ხელოსანი იყო (ნალბანდი, ხოლო შემდეგ მჭედელი, მაჯის მთავარი ძარღვი წალდით გადაიჭრა და დაუზიანდა), რის შემდეგ დაიწყო ვაჭრობა ღვინით. მამა ადრე მომიკვდა, 1918 წელს, დედა კი – 1938 წელს. მამის სიკვდილის შემდეგ სამ შვილს გაჭირვებით გვზრდიდა დედა-ჩემი, ნინო მთვარაძე. იგი ეწეოდა სოფლის მეურნეობას და მეტის მეტად მხნე ადამიანი იყო. 1900 წელს თბილისში სათავადაზნაურო გიმნაზიაში მამიდამ დიდის გაჭირვებით შემიყვანა, რადგან ამ გიმნაზიაში გლეხური შთამომავლობის ბავშვებს ძალიან მცირე პროცენტს ლებულობდნენ. 1924 წელს გიმნაზია დავამთავრე, ხოლო 1926 წელს შევედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც დავამთავრე 1930 წელს (პედაგოგიური ფაკულტეტის ლიტერატურული დარგი). 1927 წელს დავქორწინდი. მყავს ორი შვილი, ვასილი და საურმაგი.

ჩემს აღზრდაში დიდი ამაგი მიუძღვის მამიდაჩემს ანა გულაძისას, რომელთანაც მე ვცხოვრობდი სწავლის დაწყებიდან დასრულებამდე. ამჟამად იგი ჩემს კმაყოფაზეა.

1928 წლიდან საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში ვბეჭდავდი მოთხრობებს, ჩემი პირველი პიესა „ჩვენც“ დაიდგა თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში 1939 წელს. მას შემდეგ, ამავე თეატრში დაიდგა ჩემი პიესები „აურიე რგოლი“, „შირაქის გულში“, „სურამის ციხე“ (დ. ჭონქაძის მიხედვით), „არსენა მარაბდელი“, „პირველი გემი“ და სხვ.

1935 წელს თბილისის რუსთაველის სახ. თეატრში დაიდგა ჩემი პიესა „შლეგი“. 1939 წელს ამავე თეატრში დაიდგა მეორე პიესა „მთაგრეხილზე“. აქარის სახალხო თეატრმა დადგა ჩემი პიესა „თევრადი“. სახელგამმა გამოსცა ჩემი მოთხრობა „ამბავი ივრის ხეობაში“. დავამთავრე პიესა „ძეგლი“. ვმუშაობ პოემაზე.

ს. მთვარაძის ნაწარმოებთა სია

1. „ჩვენც, ჩვენც“, 1930 წ. 2. „აურიე რგოლი“, 31 წ. 3. „შირაქის გულში“, 32 წ. 4. „სურამის ციხე“, 34 წ. 5. „ჯუმბერი“, 33 წ. 6. „არსენა მარაბდელი“, 7. „პირველი გემი“, 1938 წ. 8. „თევრადი“, 37 წ. 9. „ამბავი ივრის ხეობაში“, 39 წ. 10. „მთაგრეხილზე“, 39 წ. 11. „საუღელტეხილო ბილიკი“, 12. „შორეული გზით“, 13. „შლეგი“, 1955 წ. 14. „სვავების ზეიმი“, 15. „შუამავალი“, 16. „მზაკვრულობა და ვაჟკაცობა“, 17. „საქორწინო მზადება“, 18. „სახსოვარი“, 1946 წ. 19. „ფიცზე ძლიერი“, 20. „უცნაური პროზა“, 21. „რკინის ხერხემალი“, 22. „ჩამლილი ქორწილი“, 23. „მსაჯული“, 24. „უტიფარი“ და სხვა.

მოთხრობები იხ. ავტობიოგრაფიაში.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ავტობიოგრაფია

დავიბადე სოფ. საგარეჯოში (გარე-კახეთი), 1905 წ. 3 მაისს. მამა, ვასო ფირანის ძე, ხელოსანი იყო (ნალბანდი), დედა, ნინო გიორგის ასული – გლეხი.

ხუთი წლისა შემეყვანეს საგარეჯოს დაწყებით სასწავლებელში. რვა წლისა, როდესაც მესამე განყოფილებაში გადაველ, მშობლებმა გადამიყვანეს თბილისში და, მრავალი ცდის შემდეგ, მიმიღეს თბილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის პირველ განყოფილებაში; ამ გიმნაზიას შემდგომში რამდენჯერმე შეეცვალა სახელი, ხან ორადაც გაყვეს და, საბოლოო ანგარიშით, 1924 წელს დავამთავრე თბილისის 2-ე გიმნაზია.

1926 წელს შევედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – სიბრძნის-მეტყველების დარგზე, მაგრამ ორი წლის შემდეგ ეს დარგი გაუქმდა და ჩემი სურვილით გადაყვანილი ვიქენი პედაგოგიურ ფაკულტეტის ლიტერატურულ დარგზე, რაც დავამთავრე 1930 წელს.

მწერლობა ბავშვობიდანვე ჩემი ოცნების საგანი იყო. ვიდრე ბავშვი მეტეპმოდა, ყოველ დღე უთუოდ ერთი ლექსი უნდა დამეწერა და ვწერდი კიდეც! (წარმოგიდგენიათ, რა იქნებოდა?). როდესაც წამოვიზარდე, უფრო სერიოზულად მოვკიდე ხელი ამ საქმეს. პირველი ჩემი „ნაჯღაბნი“ უბრალო კორესპონდენციის სახით დაიბეჭდა 1923 წელს გაზ. „ცნობის ფურცელში“ (სამწუხაროდ, თარიღი და ნომერი ზუსტად არ მახსოვს).

1926 წელს, ჩემი მშობლიური სოფლის თეატრს შეუსრულდა არსებობის 50 წლისთავი. ადგილობრივმა საზოგადოებრიობამ, ამ საიუბილეო თარიღისათვის, მე დამავალა ნარკვევის დაწერა. დავწერე და გაზ. „ზარია ვოსტოკას“ გამოცემით ცალკე წიგნადაც გამოვიდა. ალბათ, ეს წელი უნდა ჩაითვალოს ჩემი მწერლობის დაწყების წლად.

1928 წელს საბავშვო ჟურნალ „ოქტომბერში“ დაიბეჭდა ჩემი პირველი მოთხრობა „მანქანამ გაიმარჯვა“ და ამის შემდეგ განუწყვეტლივ ვბეჭდავდი საბავშვო მოთხრობებს, როგორც „ოქტომბრელში“, უფრო მეტად კი „პიონერში“, 1928-29-30 წლებში (ჩათვლით!).

1930 წელს, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, დავწერე პირველი საბავშვო პიესა „ჩვენც, ჩვენც!“ ამის შემდეგ, მთელი რიგი წლების მანძილზე, ძირითადად დრამატურგიაში მიხდებოდა მუშაობა, თუმცა პროზას სამუდამოდ ვერ მოვწყდი, ვერ შეველიე. თუ რა შევძინე, ან მივუმატე, ან ერთ ჟანრს, ან მეორეს, ამ ხნის განმავლობაში ეს აღნუსხული მაქვს ცალკე ფურცლებზე, სათაურით – „წანარმოებთა სია“, რაც თან ერთვის ამ ავტობიოგრაფიას და დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს. მართალია, არც ეს სია არის სრული, რომ სათანადო შთაბეჭდილება შეუქმნას მკითხველს მწერალზე, მაგრამ მიახლოებით წარმოდგენისათვის მაინც ივარგებს და არც ეს უნდა იყოს ურიგო...

რაკი 1926 წლიდან დაიბეჭდა ჩემი პირველი „ნაცოდვილარი“, იმ დღიდან – დღემდე მე მწერლობა მიმაჩნია არა მარტო ჩემს პროფესიად, არამედ სუნთქვად, სინათლედ და, ნუ გამკიცხავთ, თვით სიცოცხლედაც!

ს. ვ. მთვარაძე

თუ დამცალდა, ვაპირებ დავწერო მემუარული ხასიათის მოთხრობა, სადაც დანვრილებით იქნება აღწერილი, რაც მქმნიდა და მასაზრდოებდა, როგორც მწერალს და მოქალაქეს. ასეთ მოთხრობაში მე მინდა პირუთვნელად აღვწერო არა მარტო ის, რაც მახარებდა და მაბედნიერებდა, არამედ ისიც, რაც მანუხებდა, რაც ტკივილებს მაყენებდა და ხშირად ძალზე უბედურად მისახავდა ჩემს სიცოცხლეს და არსებობას! ასეთი მოთხრობა მკითხველს უფრო სრულ წარმოდგენას შეუქმნის ჩემს ნამუშევარზე და ჩემს ცხოვრებაზე, თუ კი... დიახ, თუ კი ოდესმე ვინმეს ან დასჭირდება ან მოაგონდება...

ს. მ.

აკაკი მესხი ავტობიოგრაფია

მე, მზერადი (აკაკი) ივანეს-ძე მესხი, დავიბადე ქ. ქუთაისში, 1905 წ. 12 მაისს. პირველი აღმზრდელობითი სწავლა შევითვისე დედის საშვალეებით, რის შემდეგაც მიმაბარეს ნ. წულუისკირის სახ. სასწავლებელში. იქ დავყავი ორი წელი. იქიდან გადავედი ილია ჭავჭავაძის სახელობის სამ განყოფილ. მოსამზადებელ სასწავლებელში, რომელიც დავამთავრე 1915 წ. შემდეგ ვსწავლობდი ყოფ. ქართულ გიმნაზიაში. დავამთავრე რა ის 1925 წ. მეორე შრომის შკოლის ცხრა წლედის სახელწოდებით, იმავე წელს ჩავაბარე სათანადო გამოცდა ქ. თბილისში, სახ. უნივერსიტეტის სოც. ეკონომიურ დარგზე.

ლექსების წერა დავიწყე სასწავლებელშივე მეექვსე კლასში. პირველი ლექსი დავსტამბე ქ. ქუთ. გაზ. „მუშა და გლეხში“. შემდეგ ვთანამშრომლობდი: გაზ. „წითელ ვარსკვლავში“, „კომუნისტში“, ჟურ. „ოქტომბრის ზვირთში“, „უშბაში“, „ჩირაღდანში“.

ამ ყამათ ვარ პრ. მწერალთა ასოციაციის წევრი და ვითვლები ქართულ უნივერსიტეტის ეკონ. დარგის მეორე კურსის მსმენელად.

*მზერადი (აკაკი) მესხი
24/XI, 1926 წ.*

ორდე დგებუაძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | დგებუაძე ორდე სოლომონის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1905 თვე <u>სექტემბერი</u> დღე – |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პროზა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართული |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1944 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1956 |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არცერთს |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|----------------------------------|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | საშუალო, კინოსტუდია დამთავრებული |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემაღგენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღგენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>მე-2 კატეგორიის სათადარიგო რიგოსანი</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>–</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედლები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>არ ვმუშაობ</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ბარათაშვილის 9, ტელ. 3-88-97</p> |

„ 19 “ X 1956 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უნყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღ- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|--|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1926 | 29 | თბილისის კინო სტუდიაში მულტ- ციხის ადმინისტრ- რატორი | | |
| 1929 | 38 | ბანდიტიზმის წინააღმდეგ მებ- რძოლი განყოფი- ლების უფროსი | შინაგან საქმეთა სამინისტრო, მი- ლიც. სამმართვე- ლო | თბილისი |
| 1938 | 46 | გადამღები ჯგუ- ფის ადმინისტრა- ტორი | კინოსტუდია | თბილისი |
| <p>სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.</p> | | | | |

გაჩეჩილაძე ამბერკი ნიკოლოზის ძე ავტობიოგრაფია

დავიბადე დ. საჩხერეში, 1905 წლის ოქტომბერში, გლეხის ოჯახში. პირველდანიწყებითი სწავლა მივიღე საჩხერეში. 1924 წელს დავამთავრე ქუთაისის ჰუმანიტარული ტექნიკუმი. 1925–27 წ.წ. ვმსახურობდი დ. საჩხერის საშუალო სკოლაში მასწავლებლად.

1932 წელს დავასრულე სამართლის ინსტიტუტი. მალე თავი მივანებე იურისტობას. 1938 წელს დავამთავრე სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურაში ჩამრიცხეს 1938 წელს ახალი ქართული ლიტერატურის განხრით, რომელიც დავასრულე 1941 წელს. ასპირანტურაში ჩემ მუშაობას მაღალი შეფასება მისცეს პროფესორებმა კ. კეკელიძემ და მიხეილ ზანდუკელმა.

1941 წელს შრომაში „გიორგი ერისთავის დრამატურგია“ (გამოიცა ცალკე წიგნად 1945 წ.) მომენიჭა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1940 წლიდან 55 წლამდე ვხელმძღვანელობდი ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ამავე დროს ვკითხულობდი ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ლიტერატურის თეორიის კურსს. პარალელურად ამავე საგნებს ვასწავლიდი პუშკინის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში.

1963 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დავიცავი დისერტაცია თემაზე „მეცხრამეტე საუკუნის ქართული დრამატურგია“ (გამოიცა შემდეგ ორ ტომად) და მივიღე ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. 1965 წლის თებერვალში უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილება. ავტორი ვარ ორმოცამდე მეცნიერული შრომის. ცალკე წიგნადაა გამოცემული ექვსი. ვარ თანაავტორი საშუალო სკოლის მეთათე კლასის სახელმძღვანელოსი „ქართული ლიტერატურა“. 1969 წლის მარტში მომენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ა. გაჩეჩილაძე
1971 წ. 18 თებერვალი
თბილისი

მიხეილ ჯაფარიძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ჯაფარიძე მიხეილ ვიქტორის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი <u>1906</u> თვე <u>მარტი</u> დღე <u>3</u> |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. ხრეთი (ჭიათურის რაიონი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | აზნაური |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | დრამატურგია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1924 |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1942 |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|-------------------------|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, დაუმთავრებელი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული, ქართული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემაღგენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღგენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>ავადმყოფობის გამო მოხსნილია</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>დრამსექციის ბიუროს წევრი და სხვ.</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>დრამატურგია</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>გრიბოედოვის 13, 3-55-35</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|---|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1926 | 27 | მსახიობი | მუშათა თეატრი | თბილისი |
| 1927 | 33 | აქტიორი, რეჟი- სორი | ქართ. მოზ. მაყ. თეატრი | „-“ |
| 1934 | 38 | „-“ | მარჯანიშვილის სახ. თეატრი | „-“ |
| 1938 | წლიდან | ვმუშაობ დრამატურგის საზით. | | |
| <p>სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.</p> | | | | |

მიხეილ ვიქტორის-ძე ჯაფარიძის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1906 წელს, სოფ. ხრეთში, ქიათურის რაიონში. მამა ჩემი ვიქტორ მიხეილის-ძე ჯაფარიძე ცხოვრობდა სოფ. ხრეთში, იგი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას და გარდაიცვალა 1934 წელს. დედა ჩემი ალექსანდრა ნიკოლოზის ასული მიქაშავიძე იყო დიასახლისი და ცხოვრობდა უმცროს ვაჟთან, თბილისში. ოჯახში მე ვიყავი ყველაზე უფროსი, შემდეგ და – სარა (დიასახლისი), ძმა დიდიმა (არტიტი, რომელიც მუშაობს ხელოვნების დარგში ქალ. თბილისში), და მარიამი (რადიოტექნიკა, მუშაობს თბილისში ოპერისა და ბალეტის თეატრში), აგრეთვე ძმა შოთა (მუშაობს თბილისის მუსიკალურ ათნლეტში). ბავშვობა გავატარე ქალ. ქუთაისში, სადაც ვსწავლობდი ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან გადმოვედი თბილისში და აქ დავამთავრე საშუალო სასწავლებელი 1925 წელს. პარალელურად ვსწავლობდი თეატრალურ სტუდიაში, რომელიც დავამთავრე 1926 წელს. ამავე წელს შევედი თბილისის მუშათა თეატრის დასში აქტიორად.

1927 წელს შევედი თბილისის სახ. უნივერსიტეტის ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელიც არ დამამთავრებია და გამოვედი მესამე კურსიდან.

ჩემი პირველი ლიტერატურული ნაწარმოები ლექსი და ფელეტონი გამოქვეყნდა 1924 წელს. შემდეგ მე გადავედი დრამატიულ ჟანრზე. პირველად ლიტერატურულ მუშაობას ვუფარდებდი დრამატიულ მუშაობასაც თეატრში აქტიორად და რეჟისორად. ეს შეთავსება გრძელდებოდა 1938-წლამდე, რის შემდეგ მთლიანად გადავივიარე ლიტერატურულ მუშაობაზე.

თეატრში ჩემი მუშაობის დროს შევირთე აქტიორი ქალი – ევგენია პეტრეს ასული ბარბაქაძე. 1929 წელს ჩვენ გაგვიჩნდა ქალიშვილი ია, რომელმაც დაამთავრა სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მ. ვ. ჯაფარიძის ნაწარმოებთა სია

1. „მეზობლები“, 2. „უჩინ მარინი“ (კომედია), 3. „გალაქტიონის საჩუქარი“ (კომედია), 4. „მეტოქენი“ (დრამა), 5. „მოტაცება მინდოდა“ (კომედია), 6. „მოჩვენება“, 7. „ხათაბალა“, 8. „ქურდი და“, 9. „მკერავთან“.

თარგმნილი და გადაკეთებული პიესები: 10. „კარიერა“, ვიალცევის პიესა. 11. „აზი და ფექტი“ (უცნობი ავტორი), 12. „უანგარო სიყვარული“ (ზოშჩენკოს მოთხრობის მიხედვით), 13. „დიადი ერეტიკოსი“, 14. „გალილეი“, 15. „ბატებ-გედები“, ი. ვეიზბერგის საბავშვო ოპერა, 16. „ნითელქუდა“ (ოპერა და ზღაპარი), 17. ფილმი „ცალთვალა ყვავი და ორი ქოსატყუილა“, 18. „მესხი“, 19. „ზემო იმერლები“, 20. „ოკრიბელი“.

საბავშვო პიესები და თარგმანები: 21. „ოჯახი“, 22. „ტაიმარი“ თარგმანი, 23. „80 დღე დედამინის გარშემო“, 24. „ჟიულ ვერნი“, 25. დიუმას „განკიცხულნი“, 26. „მათი ოცნება“ და სხვ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვდასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

დიმიტრი ჯანელიძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|-----------------------------------|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ჯანელიძე დიმიტრი სევასტის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | არა მაქვს |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1906 თვე აპრილის დღე 23 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ქუთაისი |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | თეატრისმცოდნეობა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1930 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1943 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, მოსკოვის ლიტერატურული კურსები |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | გერმანული ენა – ვკითხულობ, რუსული და ქართული ენა |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | ვმსახურობდი წ/არმიაში 27–41 წლ. პოლკის ინჟინერად, მწერლად |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სათადარიგო სამხედრო ვალდებულებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>(იხ. ანკეტა)</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>არა მაქვს</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>დოცენტი, რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტის ლიტერატურისა და ენის კათედრის გამგე</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ენგელსის 58</p> |

„ ____ “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

| <p style="text-align: center;">მუშაობა წარსულში (შრომითი საქმიანობა)</p> | | | | |
|---|--------|--|---|--|
| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღ- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1924 | 25 | სტატისტიკოსი | ზემოავჭალის შრომის ელექ- ტროსადგურის კომიტეტში | |
| 1929 | 30 | უმც. მეცნ. მუ- შაკი | მეცნიერებათა აკადემია | მოსკოვი |
| 1930 | 31 | „-“ | კომ. აკადემიაში ლიტერატურისა და ხელოვნების შემსწავლელი კომიტეტი | „-“ |
| 1931 | 33 | სწავლული მდი- ვანი | საქართველოს ც-კასთან არსებუ- ლი მარქსიზმ-ლენი- ნიზმის ინსტიტუტი | თბილისი |
| 1933 | 38 | ასსისტენტი ლი- ტერატურის კა- თედრაზე | რუსთაველის სახ. ინსტიტუტში | „-“ |
| 1938 | 40 | ლიტ. განყ. გამგე | მარჯანიშვილის სახ. თეატრში | „-“ |
| 1938 | 41 | სწავლ. მდივანი | თეატრალურ მუზეუმისა | „-“ |
| 1941 | წელს | მწერალი | 13-საინჟინრო პოლკი | „-“ |
| 1941 | 43 | ლიტმუშაკი, განყ. გამგე | ა/კ პოლიტგანყო- ფილ. სამხედრო მშენებლობ. სამ- მართველოსი | „-“ |

| | | | | |
|---|----|--|---|-----|
| 1943 | | მთ. რედაქტორი საბავშვო რადიო- გადაცემებისა | რადიოკომიტეტში | „-“ |
| 1943 | 44 | ხელოვნების განყ. გამგე | სსმკ გაზეთ „ლი- ტერატურა და ხელოვნებას“ | „-“ |
| 1944 | 51 | სწავლ. მდივანი | მეტეხის მუზეუ- მისა | |
| შემდეგ ასისტენტი-დოცენტი თეატრალურ ხელოვნების დარგში | | | | |
| სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | | | |

დიმიტრი სევასტის-ძე ჯანელიძის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1906 წელს, ქ. ქუთაისში, მასწავლებლის ოჯახში, რომელიც გარდაიცვალა 1918 წელს. დედა იყო დიასახლისი.

დავამთავრე თბილისის გუმანიური ტექნიკუმი 1924 წელს. 1925 წელს შევედი თბილისის სახ. უნივერსიტეტში ეკონომიურ ფაკულტეტზე. ამავე წელს ფედერალისტურ პარტიაში მუშაობისათვის გადამასახლეს ურალის გუბერნიაში 3 წლით. 1929 წელს მივიღე ნებართვა მოსკოვში ცხოვრებისა და სწავლის გაგრძელების. ვსწავლობდი უმაღლეს სასწავლებელში ლიტერატურის განხრით. მოსკოვში სწავლის დროს კომუნისტ სტუდენტებთან და კომკავშირელ ამხანაგებთან ყოფნამ და მუშაობამ საბოლოოდ გამარკვია და ამის შემდეგ დაიწყო ჩემი ცხოვრების ნამდვილი გზა.

მეცნიერული და ლიტერატურული მუშაობა დავიწყე 1930 წელს. 1933 წლიდან ვენოდი პედაგოგიურ მოღვაწეობას უმაღლეს სასწავლებლებში.

1943 წელს დავიცავი დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატობის მოსაპოებლად – „ქართული სახალხო თეატრის საწყისები“. სტალინის სახ. უნივერსიტეტის საბჭომ მომანიჭა მეცნიერებათა კანდიდატის სახელწოდება.

1943 წელს სსსრ უმაღლეს განათლების სამინისტრომ დაამტკიცა ჩემი შრომა და მომენიჭა დოცენტის წოდება. დანიშნული ვიქენი თეატრისმცოდნეობის კათედრის გამგედ.

1943 წელს მიღებული ვიქენი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრად. არჩეული ვიყავი თეატრალურ საზოგადოების გამგეობის წევრად. აგრეთვე მწერალთა კავშირის კრიტიკოსთა სექციის ბიუროს წევრად. არჩეული ვარ ლიტერატურისა და ხელოვნების ბიუროს წევრად. აგრეთვე კულტ-საგანმანათლებლო პოლიტიკურ მცოდნეობის საზოგადოების წევრად. დამტკიცებული ვარ რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტის მეცნიერებათა საბჭოს წევრად. აგრეთვე ვარ ჟურნალ „ხელოვნებას“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. მარჯანიშვილის სახელობის სახ. თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრი და სხვა.

ჩემი ნაშრომების სია

1. „ქართული თეატრის ხალხური საწყისები“ (სადისერტ. შრომა), 1943.
2. „მაქსიმ გორკი საქართველოში“.
3. „როგორ მუშაობდა ილია ჭავჭავაძე“.
4. „პირველი ქართული მუშათა ჟურნალები“.
5. „სტალინი ქართულ ხალხურ შემოქმედებაში“.
6. „კლასობრივი ბრძოლის ასახვა ქართულ ფოლკლორში“.
7. „გიორგი ერისთავის თეატრის სოციალური ბუნება“.
8. „ერთი სპექტაკლის ისტორიისათვის“.
9. „პირველი ქართული სპექტაკლი“.

10. „ქართული ფოლკლორი“.
 11. „რუსთაველი და მისი პოემა თეატრსა და დრამატურგიაში“.
 12. „დრამატურგია და თეატრი საქართველოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში“.
 13. „ძველი ქართული სასპორტო სანახაობანი“.
 14. „ქართული საბჭოთა დრამატურგია“.
 15. „ალ. ყაზბეგის უბის წიგნები“.
 16. „ბრძოლა რუსთაველის პოემის გარშემო“.
 17. „ილია ჭავჭავაძე და ფოლკლორი“.
 18. „იოსებ დავითაშვილის გამოუქვეყნებელი წერილები“.
 19. „ოქროპირ წერეთლის თეატრი და დრამატურგია“.
 20. „კოტე მარჯანიშვილი“, საიუბილეო კრებული, 1939 წ.
 21. „გიორგი ერისთავის თეატრი“.
 22. „ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის როლი ქართულ პროფესიულ თეატრის განახლებაში“.
 23. „მარჯანიშვილის შემოქმედებითი სიტყვა“.
 24. „XVII საუკუნის ქართული თეატრი“.
 25. „ქართული ხალხური სანახაობანი“.
 26. „შალვა დადიანი და ქართული თეატრი“.
 27. „კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებითი გზა“.
 28. „აქტიორული ხელოვნება ქართულ საბჭოთა თეატრში“.
 29. „ქართული საბჭოთა ხელოვნება“.
 30. „ლექციები ქართული თეატრის ისტორიიდან“.
 31. „ქართული თეატრის ისტორიის კურსიის ძირითადი საკითხები“.
 32. „ბელადის სახე ქართულ დრამატურგიასა და ქართულ სასცენო ხელოვნებაში“.
 33. „დავით კლდიაშვილი ქართულ სცენაზე“.
- ჩემს მიერ დანერილია 200-ზე მეტი წერილები და რეცენზიები ქართული თეატრისა და ხელოვნების სხვადასხვა საკითხებზე.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ნინო დოლიძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|-----------------------------------|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | დოლიძე ნინო ისიდორეს ასული |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1906 თვე ივლისი დღე 18 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) თბილისი |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პროზა, თარგმანი |
| 8. რა ენაზე წერს | ქართული, რუსული |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1934 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1943 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|--------------------------------------|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, არ დამიმთავრებია |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული, ვკითხულობ ინგლისურს |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|------------------------------------|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემაღგენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღგენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>არა</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>არა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>არაფერი</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>ლიტერატურულ მუშაობას ვენევი</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>გოგებაშვილის 43</p> |

„ ____ “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|---|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1924 | 26 | აქტიორი | რუსთაველის თეატრი | თბილისი |
| 1926 | 1927 | „-“ | მუშათა თეატრი | |
| 1927 | 28 | „-“ | ბათუმის დრამ. თეატრი | ბათუმი |
| 1929 | 30 | „-“ | დრამატიული თეატრი | ფოთი |
| 1932 | | ლიტ. მდივანი | გაზეთ „საგლეხო გაზეთი“ | მოსკოვი |
| 1933 | 34 | „-“ | „ლიტ. გაზეთი“ | „-“ |
| <p>სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.</p> | | | | |

ნინო ისიდორეს ასული დოლიძის ავტობიოგრაფია

დავიბადე ქალ. თბილისში, 1906 წელს, 18 ივლისს. 1922 წელს დავამთავრე ათწლედანი, 1922–24 წლებში ვსწავლობდი სახელმწიფო დრამატიულ სტუდიაში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყე რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრში აქტიორად, აგრეთვე ვიმუშავე აქტიორად ბათუმსა და ფოთში 1931 წლამდე.

1931 წელს წავედი მოსკოვში და მუშაობა დავიწყე „საგლეხო გაზეთში“ ლიტმუშაკად. შემდეგ გადავედი გაზეთ „ლიტ. გაზეთში“ ისევ ლიტმუშაკად.

1934 წლიდან მუშაობა დავიწყე თარგმანის საზით. ვთარგმნიდი ქართულიდან რუსულად და რუსულიდან ქართულად თანამედროვე და კლასიკოს მწერლების ნაწარმოებებს.

1941 წლიდან დავიწყე მუშაობა ორიგინალებზე, ჩემი მოთხრობები, ნოველები გამოსულია ცალკე წიგნებად.

1942 და 1945 წლებში მეუღლის გარდაცვალების გამო მუშაობა შემიფერხდა, თუმცა 1948 წელს გამოვიდა ჩემს მიერ თარგმნილი „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“.

1948 წელს დავწერე მოთხრობების კრებული. ქართული ზღაპრების კრებული, რუსულ ენაზე კომენტარებით.

1950 წელს დავწერე მოთხრობა – ახალშენზე.

ნოველები; ვიმუშაოთ თარგმანებზე.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ლავრენტი ჭიჭინაძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ჭიჭინაძე ლავრენტი ალმასხანის ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | არა |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1906 თვე აგვისტო დღე 3 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. საქარა (ზესტაფონის რიონი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პროზა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1934 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1938 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | მსახურობდა საბჭოთა არმიაში 1941 წლიდან 1946 წლამდე დივიზიის გაზეთის რედაქციაში უფრ. ლეიტენანტის ჩინით |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|--|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი:</p> <p>ა) ჯარის სახეობა</p> <p>ბ) შემაღენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღ-გენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღ-გენლობა, რიგითი)</p> <p>გ) №</p> <p>დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, რო-დის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>მწერლობა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედა-ლი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედლები: „გერმანიაზე გამარჯვე-ბისათვის“, „შრომითი წარჩინები-სათვის“, „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>—</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ფალიაშვილის 49</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1931 | 32 | მასწავლებელი | პედაგოგიური ტექნიკუმი | გორში |
| 1933 | 36 | პ/მგ. მდივანი | ჟურნ. „პიონე- რის“ რედაქცია | თბილისი |
| 1937 | 41 | „-“ | ჟურნ. „ოქტომბ- რელი“ რედაქცია | „-“ |
| 1942 | 46 | დივიზიის რედაქ. მოადგილე | სამხედრო ნაწილი | |
| 1947 | | პ/მგ. მდივანი | რედაქც. გაზეთ „ნორჩი ლენინე- ლი“ | „-“ |
| | | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

ლავრენტი ალმასხანის-ძე ჭიჭინაძის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1906 წელს, სოფელ საქარაში (ზესტაფონის რაიონი). პირველ-დანწყებითი სწავლა მივიღე სოფლის სკოლაში, შემდეგ დავამთავრე საშუალო სასწავლებელი და შევედი თბილისის სახ. უნივერსიტეტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1930 წელს.

წერა ლექსებისა და ვინეყე, მაგრამ შემდეგ ავირჩიე პროზა.

ჩემი პირველი ლექსი დაიბეჭდა გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტში“, 1926 წელს.

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ვწერდი ძალიან ცოტას. მწერლობაში ნაყოფიერ მუშაობას ვიწყებ 1932 წლიდან. ვთანამშრომლობდი ჟურნალებში: „მნათობში“, „პროლეტარულ მწერლობაში“, „ჩვენ თაობაში“, „პიონერში“ და „ოქტომბრელში“ და სხვა. ვწერდი კრიტიკულ წერილებსაც. მაგალითად, „ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური აზროვნება“ დაიბეჭდა გაზ. „კომუნისტურ განათლებაში“.

ჩემი მოთხრობების პირველი კრებული „ისლიანი სახლები“ განსაკუთრებით ახალგაზრდებისათვის საკითხავად, დაიბეჭდა 1934 წელს. მოზრდილი მოთხრობა „ჭარმაგი“ გამოიცა ცალკე წიგნად 1936 წელს. რამდენიმე წელს ვიმუშავე „ნარბევზე“ (რომანი), მკითხველამდე მივიდა 1939 წელში. 1942 წელს გამოვიდა ისტორიული მოთხრობების კრებული „ნადირ-შაჰის ხმალი“.

1932 წლიდან 1937 წლამდე ვმუშაობდი ჯერ ჟურნ. „პიონერის“ და შემდეგ „ოქტომბრელის“ მდივნად, ხოლო 1937 წლიდან საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დაწყებამდე ჟურნ. „ოქტომბრელის“ პასუხისმგებელ რედაქტორად. 1941 წლის ივნისიდან წითელ არმიაში ვარ, პირველ ხანებში რიგით ჯარისკაცად, ამჟამად უფროსი ლეიტენანტის სამხედრო ნოდება მაქვს. ვმუშაობ დივიზიის წითელარმიული გაზეთის რედაქტორის მოადგილედ. ლიტერატურული მუშაობა არც წითელ არმიაში შემინეყვეტია, მოთხრობები და წერილები სისტემატურად იბეჭდება წითელარმიულ გაზეთებში. 1943 წელს მოთხრობა „მიცვალებულით“ ამიერკავკასიის საფრონტო გაზეთის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მივიღე მეორე პრემია.

დაჯილდოვებული ვარ მედლით „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“.

ჩემი ნაწარმოებები:

1. „ისლიანი სახლები“, საბავშვო მოთხრობის კრებული, 1934 წ.
2. „ჭარმაგი“, საბავშვო მოთხრობა, 1936 წ.
3. „ნარბევი“ (რომანი), 1939 წ.
4. „ნადირ შაჰის ხმალი“, კრებული, 1942 წ.
5. საბავშვო მოთხრობები, 1949 წ.
6. „თხაბელა“, საბავშვო ზღაპარი, 1951 წ.
7. „ნამდვილი მეგობარი“, მოთხრობა, 1951 წ.
8. „ჩვენი ყვავილები“, მოთხრობა და სხვ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

გიორგი კაჭახიძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | კაჭახიძე გიორგი ვარლამის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | არა |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1907 თვე _____ დღე — |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. დიდი ჯიხაიში (სამტრედიის რაიონი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეტი |
| 8. რა ენაზე წერს | ქართული |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1927 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1934 |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, დამთავრებული თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული, ქართული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--------------------------------------|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>რიგითი სამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>–</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>–</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>არსენას 14</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1930 | 1934 | მასწავლებელი | რკ. გზის 8 შკო- ლისა | თბილისი |
| 1934 | 35 | პ/მგ. რედაქტორი | ჟურნ. „ოქტომბ- რელის“ | „-“ |
| 1935 | 36 | ვმუშაობდი ლიტერატურის დარგში | | „-“ |
| 1936 | 39 | მეცნ. მუშაკი | პედაგოგიკის საკ- ვლევო-სამეცნიე- რო ინსტიტ. | |
| 1939 | 40 | ვმუშაობდი ლიტე- რატურის დარგში | | |
| 1940 | 41 | მდივანი | მწერალთა კავშირის სექციებისა ჟურნ. „პიონერი“ | |
| 1942 | 45 | ვმუშაობდი ლიტერატურის დარგში | | |
| 1945 | 47 | რედაქტორის მოადგილე | ჟურნ. „ოქტომბერი“ | |
| 1947 | | პ/მგ. რედაქტორი | ჟურნ. „ოქტომბერი“ | |
| | | სწორია: ნ. კ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს | გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | |

შეკვ. №193. ტ. 1000

ხელმოწერა _____

გიორგი კაჭახიძე

ავტობიოგრაფია

დავიბადე 1907 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში, გლეხის ოჯახში. მართალია, მამაჩემი ვარლამი თბილისში მუშაობდა, მაგრამ სოფელთან მუდამ ჰქონდა კავშირი. დედა, ბებია და ბაბუა სოფელში ცხოვრობდნენ და მეც მათთან ვიზრდებოდი.

1925 წელს დავამთავრე დიდი ჯიხაიშის ცხრანლიანი შრომის სკოლა, ხოლო 1930 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

ლექსების წერა მონაფეობის დროს დავიწყე. მონაფეობის დროსვე გავხდი კომკავშირელი. ჩემი პირველი ლექსები დაიბეჭდა 1927 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“.

1928 წელს მიმიღეს საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში წევრად, ხოლო 1932 წლიდან, როცა გაუქმდა ლიტერატურული ჯგუფები და ჩამოყალიბდა ერთი მთლიანი საბჭოთა მწერლების კავშირი, ვარ ამ კავშირის წევრი.

1932 წელს გამოიცა ჩემი ლირიკული ლექსების პირველი წიგნი „ჩემი პირველი უჯრედი“, 1934 წელს კი – საბავშვო ლექსების პირველი კრებული „ჩემი ძმა“. დღემდე გამოცემულია ჩემი ლირიკული და საბავშვო ლექსების მრავალი კრებული. ამჟამად გამოდის ლირიკული ლექსების ერთტომეული და ასევე საბავშვო ლექსების რჩეული.

1934-1935 წლებში ვრედაქტორობდი ჟურნალ „ოქტომბრელს“.

1935 წლის ზაფხულში, მოკავშირე რესპუბლიკების ახალგაზრდა მწერლებთან ერთად, ვიმოგზაურე უკრაინაში ამ რესპუბლიკის ქალაქების, მრენველობისა და ცხოვრების გასაცნობად.

1936 წლის ივლისში მონაწილეობა მივიღე მოსკოვში ქართული საბავშვო წიგნის გამოფენაში.

1936–1939 წლებში ვმუშაობდი პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში მეცნიერმუშაკად. აქ დავწერე მონოგრაფიული შრომა შიო მღვიმელის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

1940 წელს მიმიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში წევრად.

1940-1941 წლებში ვიყავი მწერალთა კავშირის შემოქმედებითი სექციების მდივანი.

1941–1945 წლებში ვღებულობდი მონაწილეობას ომის ვითარებასთან დაკავშირებულ მრავალ ღონისძიებაში. ვაქვეყნებდი ლექსებს ჟურნალ-გაზეთებსა და ქუჩებში გასაკრავ ფურცლებში. ომის დამთავრების შემდეგ დაჯილდოებული ვიქენი მედლით „1941–1945 წლების დიდ სამამულო ომში შრომითი მამაცობისათვის“.

1945–1947 წლებში ვმუშაობდი ახლად აღდგენილ ჟურნალ „ოქტომბრელის“ რედაქციის მდივნად.

1947–1952 წლებში ვრედაქტორობდი ჟურნალ „პიონერს“.

1952–1953 წლებში ვმუშაობდი სახელმწიფო გამომცემლობაში მხატვრული ლიტერატურის რედაქციის გამგედ.

1956–1959 წლებში ვიყავი საქართველოს მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის სექციის ბიუროს თავმჯდომარე.

1958 წელს მონაწილეობას ვღებულობდი ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაში მოსკოვში.

1959–1967 წლებში ვმუშაობდი გამომცემლობა „ნაკადულში“ სხვადასხვა თანამდებობაზე.

ჩემი რედაქტორობითა და წინასიტყვაობით გამოცემულია მრავალი წიგნი. შევადგინე და კლასიფიკაცია გავუკეთე ქართულ ხალხურ ანდაზებს, რომელიც წიგნად გამოვიდა 1960 წელს სათაურით „სწავლა სიბერემდისო“.

1967 წელს შემისრულდა დაბადების 60 წლისთავი. ეს საიუბილეო თარიღი აღინიშნა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, რადიოთი, ტელევიზიითა და სალამოებით.

1967 წლის ივნისში გავედი შრომით პენსიაზე.

1969 წლის მაისში, ქართველ ტურისტთა დიდ ჯგუფთან ერთად, ვიმოგზაურე ბულგარეთსა და რუმინეთში.

საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საქმეში დამსახურებისათვის, 1966 წელს დამაჯილდოვეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში დამსახურებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ორჯერ დამაჯილდოვა საპატიო სიგელით. პირველად – 1948 წელს, მეორეჯერ – 1963 წელს. ამავე დამსახურებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ დამაჯილდოვა „იაკობ გოგებაშვილის მედლითა“ და სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული“. მაქვს სხვა ჯილდოებიც.

გიორგი კაჭახიძე
1970 წ. 2 დეკემბერი

სია დღემდე გამოცემული ჩემი წიგნებისა

1. „ჩემი პირველი უჯრედი“, ლექსები, 1932, სახელმწიფო გამომცემლობა.
2. „ის უბანი და ის კარმიდამო“, ლექსები, 1934, „–“.
3. „ჩემი ძმა“, საბავშვო ლექსები, 1934, „–“.
4. „მხიარული მეგობრები“, საბავშვო ლექსები, 1935, „–“.
5. „ლექსები“, 1936, ფედერაცია.
6. „შეფოთილი ხეივანი“, საბავშვო ლექსები, 1937, სახელმწიფო გამომცემლობა.
7. „შოი მღვიმელი“, კრიტიკული ნარკვევი, 1938, პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამომბა.
8. „შოი მღვიმელის ცხოვრება“, ბიოგრაფიული ნარკვევი, 1939, საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა.
9. „აღუბლები ჰყვავიან“, საბავშვო ლექსები, 1940, საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა – „საბლიტგამი“.
10. „ჩემი ქვეყნის მოზარდები“, საბავშვო ლექსები, 1947, „საბლიტგამი“.

11. „ჩვენი სკოლის ყმანვილები“, საბავშვო პოემა, 1949, „საბლიტგამი“.
12. „ახალი ლექსები“, 1950, „საბჭოთა მწერალი“.
13. „საბავშვო ლექსები“, 1952, „საბლიტგამი“.
14. „სიმღერა გრძელდება“, ლექსები, 1953, სახელმწიფო გამომცემლობა.
15. „სწავლასა და სიხარულში“, საბავშვო ლექსები, 1955, „საბლიტგამი“.
16. „ლექსები“, 1936, სახელმწიფო გამომცემლობა.
17. „რჩეული“, ლირიკული ლექსები, 1968, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
18. „მაღბაზებისთვის რაც მიმღერია“, საბავშვო ლექსები, 1959, „საბლიტგამი“.
19. „სწავლა სიბერემდისო“, რჩეული ქართული ანდაზები, კლასიფიკაცია, 1960, საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადული“.
20. „სექტემბერმა გაგვიცინა“, საბავშვო ლექსები, 1961, „ნაკადული“.
21. „სიმღერაში დამათენდა“, ლექსები, 1961, „საბჭოთა მწერალი“.
22. „Продолжение песни“, стихи, 1962, „Издательство Заря востока“.
23. „მადლი მიწისა“, ლექსები, 1962, „საბჭოთა საქართველო“.
24. „გაზაფხული მოგვილოცეს“, საბავშვო ლექსები, 1963, „ნაკადული“.
25. „მეც ჩემებური გუთნისდედა ვარ“, ლექსები, 1954, „-“.
26. „ჩვენთვის გალობს ყველა ჩიტი“, საბავშვო ლექსები, 1965, „-“.
27. „შიო მღვიმელის ცხოვრება და პოეზია“, მონოგრაფიული შრომა, 1966, „-“.
28. „სამოცი ლექსი“, ლირიკა. ჩემი დაბადების 60 წლისთავის აღსანიშნავი გამოცემა, 1967, „-“.
29. „Стихи“, 1967, Издательство „Литература да Хеловнеба“.
30. „ლექსები“, 1967, „ლიტერატურა და ხელოვნება“.
31. „თქვენ გაიხარეთ, მერცხლებო!“ საბავშვო ლექსები, 1968, „ნაკადული“.
32. „გიყვარდეთ...“, საბავშვო ლექსები, 1969, „-“.
33. „ერთტომეული“, რჩეული ლირიკული ლექსები, 1970, „საბჭოთა საქართველო“.
34. „რა სიხარული რგებიათ“, საბავშვო ლექსები, სერიით „ჩემი პატარა ბიბლიოთეკა“, 1970, „ნაკადული“.

გიორგი კაჭახიძე
1970 წ. 9. XII

ანდრო ლომიძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ანდრო იოსების-ძე ლომიძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | არა მაქვს |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1907 თვე ივნისის დღე 26 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ქ. ფოთი |
| 4. ეროვნება | ქართული |
| 5. სოციალური წარმოშობა | მუშა |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | ბელეტრისტიკა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულზე |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1940 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1942 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|---------------------------------|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | საშუალო, უმაღლესი დაუმთავრებელი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--------------------------------------|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>არასამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>არა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>მწერალი</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>გოგებაშვილის 43</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

ანდრო იოსების-ძე ლომიძის ავტობიოგრაფია

მე დავიბადე 1907 წელს, 26 ივნისს, საქ., ფოთში. მამა ჩემი იყო მუშა, შემდეგ დაანიინაურეს, უფროს ათისთავად მუშაობდა ნოვოროსისკსა და ბათუმში, ასევე ფოთში ნავთსადგურების მშენებლობაზე. 1927 წელს გახდა პენსიონერი, ხოლო 1930 წელს გარდაიცვალა. დედა დიასახლისია.

1916 წლიდან 1921 წლამდე ვსწავლობდი ფოთის გიმნაზიაში, შემდეგ სწავლა გავაგრძელე თბილისში. მაგრამ მძიმე ავადმყოფობის გამო იძულებული შევიქენი, სწავლა შეემწყვიტა. შემდეგ მუშაობა დავინყე ფოთის ნავთსადგურში.

1923 წლიდან ვმუშაობდი მტვირთავად, შავ მუშად, ნაოსნად, სანაპირო ნაოსნად, წყალმყვინთავის მენიშნეთ, წყალზე მაშველათ (ბათუმი, ფოთი, სოხუმი და ა. შ.) აგრეთვე ზეინკლის ხელქვეითად გემმემკეთებელ ქარხანაში (ფოთი), ტყის უფროს მუშათ (მოსკოვი), ჰიდრომეტროს თანამშემნედ (კოლხიდა), საქალაქო და რადიო-გაზეთის რედაქტორად (ფოთი), გაზეთ „პროლეტარულ სტუდენტობას“ გამომცემლობის გამგეთ (თბილისი), ფაბრიკა „მკერავის“ (№2) მრავალტირაჟიან გაზეთის რედაქტორად (თბილისი), გაზეთ „კოლხიდმშენის დამკვრელის“ რედაქტორად (ფოთი), მერე ისევ ნაოსნად, უფროს მუშას „კოლხიდაში“, ნაოსნად ფოთის ნავთსადგურის 40 ტონიან მცურავ ამწეზე („კრან“), „მოტოვიზის“ მოტორისტის თანამშემნეთ (ფოთის ნავთსადგური) და ბოლოს ფოთის ნავთსადგურის მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქტორად. 1930 წლიდან მუშაობა დავინყე ლიტერატურული კრიტიკის დარგში. რამდენიმე ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი მაქვს მოთავსებული „ახალ-გაზრდა კომუნისტში“, „განათლების მუშაკში“, „სიტყვა და საქმეში“ და სხვ.

1940 წლიდან მხატვრული პროზის დარგში დავინყე მუშაობა.

1923 წლიდან ვიყავი კომკავშირელი, ხოლო 1940 წლიდან ვარ კპსს წევრი.

ა. ი. ლომიძის ნაწარმოებთა სია:

1. პირველი წიგნი, 1942 წ.
2. უძველესი ძალა, 1942 წ.
3. „ახალი გრძნობა“, 1944 წ.
4. „ზღვაური“, 1947 წ.
5. „მონადირის ნაამბობი“, 1948 წ.
6. ახალი მოთხრობები, 1951 წ.

აგრეთვე გამოდის საბლიტგამის ხაზით ჩემი საბავშვო მოთხრობები. ვბეჭდავ რეცენზიებს და კრიტიკულ წერილებს ჟურნალ-გაზეთებში.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

კონსტანტინე მეძველია

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | მეძველია კონსტანტინე ნესტორის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | ნესტორაშვილი |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1907 თვე აგვისტოს დღე 15 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ნახახულევი (წულუკიძის რაიონი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | ლიტერატურისმცოდნე, კრიტიკა, დრამატურგია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1926 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1952 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არცერთს |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>მობსნილი აღრიცხვიდან</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>კრიტიკოსთა სექციის ხელმძღვანელი და სხვ.</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედელები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>ქუთაისის პედ. ინსტიტუტის კათედრის გამგე</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>მახარაძის 30</p> |

„ ____ “ _____ 1953 წ. სწორია: ნ. კლ.

ხელმოწერა _____

კონსტანტინე ნესტორის-ძე მეძველიას ავტობიოგრაფია

დავიბადე 1907 წელს სოფ. ნახახულევში (ქუთაისის ყოფ. გუბერნია, ახლანდელი დაყოფით ნულუკიდის რაიონი), ღარიბი გლეხის ოჯახში. მშობლები რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ ეწვეიან სოფლის მეურნეობას. არიან კოლმეურნეობის აქტიური წევრები, დღიდან მისი ჩამოყალიბებისა. საზღვარგარეთ ან გერმანიის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არასოდეს არ ვყოფილვარ და არც ვინმესთან რაიმე დამოკიდებულება მქონია.

1926 წელს დავამთავრე ქალ. ხონის ცხრანლიანი შრომის სკოლა და იმავე წელს მიმიღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიურ ფაკულტეტის სიტყვიერების დარგზე. უნივერსიტეტი დავამთავრე 1930 წელს და იმავე წელსვე, როგორც წარჩინებული სტუდენტი, დამტოვეს ასპირანტად ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე. ასპირანტურის კურსი დავამთავრე 1933/34 სასწ. წელს. 1934 წელს ერთი წლით ვიყავი მოსკოვში მივლინებული სამეცნიერო კვალიფიკაციის ასამაღლებლად. 1937 წელს დავიცავი დისერტაცია და მომენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება.

ახ.ლ.კ.კ. მიმიღეს 1923 წელს, ხოლო სკკპ რიგებში 1941 წელს. არასოდეს სხვა პარტიებში არ ვყოფილვარ და არც ანტიპარტიულ დაჯგუფებაში ან ოპოზიციაში არ მიმიღია მონაწილეობა. 1930 წლიდან ვიყავი ასისტენტი ქართული ლიტერატურის კათედრაზე თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ამ ინსტიტუტის ქუთაისში გადმოტანამდე, ხოლო 1933 წელს პედინსტიტუტის ქუთაისში გადმოტანასთან დაკავშირებით საქართველოს ცეკას მიერ მობილიზებული ვიყავი ქუთაისის ინსტიტუტში სამუშაოდ. დღემდე ვკითხულობ ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსს და ვარ ქართული ლიტერატურის კათედრის გამგედ.

სამამულო ომის პერიოდში აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი ფრონტის დამხმარე სამუშაოებზე. ვმონაწილეობდი ქალაქის გამაგრების სამუშაოზე. სისტემატურად ვკითხულობდი ლექცია-მოხსენებებს წარმოება-დანესებულებებსა და ჯარის ნაწილებში, რისთვისაც დაჯილდოვებული ვარ მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“.

ლიტერატურული მუშაობა დავიწყე 1926 წლიდან.

თავდაპირველად ვსტამბავდი ლექსებს ნესტორაშვილის ფსევდონიმით.

1932 წელს სახელგამმა გამოსცა ჩემი წიგნი „პროლეტარულ ლიტერატურის მოტივები ი. დავითაშვილის შემოქმედებაში“. იბეჭდება ჩემი სტატიები რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში სამეცნიერო დაწესებულებათა გამოცემებში, მაგ., „მნათობში“, „ლიტერატურულ საქართველოში“ და „ლიტერატურა და ხელოვნებაში“, „სიტყვა და საქმე“, „ინდუსტრიული ქუთაისი“ და ქუთაისის პედინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულში. დღემდე 40-მდე შრომა და სტატია მაქვს დაბეჭდილი. სამამულო ომის პერიოდში დავწერე პიესა კავკასიის დაცვის თემაზე, სახელწოდებით „მთების საიდუმლო“, რომელიც 1949 წელს განახორციელა ქუთაისის თეატრმა სცენაზე.

1951 წელს დავწერე უმაღლესი სასწავლებლის ცხოვრებიდან 3 მოქმედებიანი კომედია სახელწოდებით „შეხვედრა მეორედ“, რომელიც ნებადართულია დასადგმელად და გათვალისწინებული აქვს მის სცენაზე განხორციელება ქუთაისის სახელმწიფო თეატრს და პერიფერიების სხვა თეატრებს. ამჟამად ვმუშაობ სადოქტორო დისერტაციაზე „ქართული რომანტიზმი“, რომელსაც მოკლე დროში დავამთავრებ.

კ. მეძველიას ნაშრომების სია:

1. „პროლეტ. ლიტერატურის მოტივები ი. დავითაშვილის შემოქმედებაში“.
2. „პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა 1861 წლის აჯანყება და ქართველი სტუდენტები“.
3. „აკაკი წერეთელი და კირილე ლოლობერიძე“.
4. „აკაკი ქუთაისის გიმნაზიის მოწაფე“.
5. „აკაკი წერეთელი და მამები“.
6. „ნ. ბარათაშვილის „მერანი““.
7. პატრიოტული მოტივი XIX საუკ. ქართულ ლიტერატურაში.
8. გრ. ორბელიანის საზოგ. პოლიტიკური პროფილი.
9. გრძნობისა და გონების ურთიერთობის საკითხი ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში.
10. რომანტიზმის მოტივები ალორძინების პერიოდის ქარ. ლიტ-ში.
11. კირილე ლორთქიფანიძე (საარქივო დოკუმენტები).
12. დავით ლეონიძის ცხოვრება და შემოქმედება.
13. გიორგი წერეთელი და კრონშტატის აჯანყების შესახებ.
14. მხატვრული სახის საკითხი.
15. დიმიტრი ერისთავის ცხოვრება და შემოქმედება.
16. „ცისკრის“ მწერლები.
17. მხატვრული სახის პრობლემა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში.
18. ქართული რომანტიზმის ეპიგონები „ცისკარში“.
19. ლიტერატურული ურთიერთობა ბესიკსა და ალ. ჭავჭავაძეს შორის.
20. „მთების საიდუმლო“ (მხატვრული ნაწარმოები).
21. „შეხვედრა მეორედ“ (კომედია).
22. „სისხლიანი ჯილდო“ (ნოველა).
23. „მშვიდობის მტრედები“ (ნოველა).
24. „ის ჯვარს იწერდა“ (ნოველა – ნ. ბარათაშვილის ცხოვრებიდან).

1952 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ალექსანდრე შანიძე

ავტობიოგრაფია

მე, ალექსანდრე ილარიონის-ძე შანიძე დავიბადე 1907 წლის 15 აგვისტოს, სამტრედიის რაიონის სოფელ ზემონოლაში. მამა – ილარიონ ალექსის-ძე შანიძე სადგ. საჯავახოში რკინიგზის მეისრედ მუშაობდა, დედა, ესმა ირაკლის-ასული ბერძენიშვილი კი დიასახლისი იყო.

პირველდაწყებითი სწავლა მივიღე ქ. სამტრედიის რ/კ ორკლასიან სასწავლებელში, ხოლო 1926 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 2-ე ვაჟთა გიმნაზია.

1926–1929 წ.წ. ვმსახურობდი ნერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლის მასწავლებლად.

1929 წ. სწავლა განვაგრძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1932 წ.

1932–1939 წ.წ. ვმსახურობდი ქ. თბილისის კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში მასობრივი განყოფილების გამგედ, ხოლო უკანასკნელ წელს გადაყვანილი ვიქენი განსახკომის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის რესპუბლიკურ სამეცნიერო-მეთოდურ კაბინეტში მეთოდისტად.

1941 წლის ოქტომბერში განვეული ვიქენი დიდ სამამულო ომში. პირველად დავამთავრე ქ. თბილისის უმცროს ლეიტენანტთა სამთვიანი კურსები. კურსების დამთავრებისთანავე გაგზავნილი ვიქენი სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე, IX არმიის 140-ე დივიზიის ერთ-ერთი ასეულის მეთაურად. ვიბრძოდი ხარკოვის, კიევისა და იზიუმ-ბარვენკოვოს მიმართულებით. მტერთან შეტევითი ბრძოლების დროს მრავალი ჩემი მეზობელი გმირულად დაიღუპა. ჩემი ასეულიდან მხოლოდ 13 მეზობელი გადარჩა.

ქ. ბარვენკოვოსთან სასტიკი ბრძოლების დროს მძიმედ დავიჭერი და კონტუზიაც მძიმე ფორმებში მივიღე. ვინექი ქ. ორჯონიკიძის საველე ჰოსპიტალში, შემდეგ ქ. ერევანში.

გამოჯანსაღების შემდეგ გაგზავნილი ვიქენი ამიერკავკასიის ფრონტის განკარგულებაში. ვმსახურობდი 45-ე არმიის 349-ე მსრ. დივიზიის გაზ. „სამშობლოს სადარაჯოზე“-ს რედაქციაში – ლიტმუშაკად, შემდეგ კი პ/მგ. მდივნად.

1945 წლის ოქტომბერში, როგორც სამამულო ომის ინვალიდი დემობილი ვიქენი, ამჟამად საექიმო კომისიის მიერ ვარ მუდმივად ცნობილი, როგორც სამამულო ომის ინვალიდი.

შემოქმედებითი მუშაობა 1924 წელს დავინწყე. პირველი ლექსი დაიბეჭდა გაზ. „მონაფის ხმაში“, რის შემდეგ სისტემატურად ვაქვეყნებ ლექსებს პერიოდულ პრესაში. 1928 წ. გამოცემული იქნა ჩემი „ლექსების“ კრებული, დღევანდლამდე გამოცემული 30-მდე წიგნი, როგორიცაა: „სიყვარულმა მათქმევინა“, „ჩემი ოცნების ცისკარი“, „გულისნადები“, „საბრძოლო სიმღერები“, „რაც გინატრია“, „ჩემი სამშობლო“, „სახატე მზის და ვარდისა“ და სხვ.

25 წელზე მეტია ვკითხულობ ლექციებს ქართული ლიტერატურისა და ფოლკლორის საკითხებზე. აგრეთვე ახალგაზრდობისათვის პატრიოტულ თე-

მეზზე. ვარ რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მოღვაწე, მაქვს მიღებული მთავრობის ჯილდოები.

როგორც სამამულო ომის ვეტერანი, 1974 წ. სსრკ თავდაცვის სამინისტროს ომის ვეტერანთა საკავშირო საბჭოს მიერ, დაჯილდოებული ვარ სიგელით – ახალგაზრდობას შორის სამხედრო პატრიოტული აღმზრდელობითი მუშაობისათვის.

ალექსანდრე შანიძე
28.IV. 1975 წ.

გამოცემულია ჩემი შემდეგი ნიგნები:

1. ლექსები, 1928 წ.
2. ლექსები, 1930 წ.
3. ლექსები, 1931 წ.
4. „ტემარ და ხალისი“, ლექსები, 1932 წ.
5. ლექსები, 1933 წ.
6. „მეჩვიდმეტე“, ლექსები, 1934 წ.
7. ლექსები, 1936 წ.
8. ლექსები, 1937 წ.
9. „გუმღერ სამშობლოს“, ლექსები, 1938 წ.
10. ლექსები, 1939 წ.
11. „საბრძოლო სიმღერები“, 1943 წ.
12. „ლირიკული სიმღერები“, 1948 წ.
13. „სიყვარულმა მათქმევინა“, 1955 წ.
14. „რა ლამაზია, რა კარგი“, საბავშვო ლექსები, 1957 წ.
15. „ჩემი ოცნების ცისკარი“, ლექსები, 1957 წ.
16. „გულისნადები“, 1962 წ.
17. „ლომი და მელა“, საბავშვო პოემა, 1962 წ.
18. „რაც მინატრია“, ლექსები, 1971 წ.
19. „ჩემი სამშობლო“, ლექსები, 1971 წ.
20. „ლომი და მელა“, საბავშვო პოემა, 1971 წ.

მარია – მარიამ ბარათაშვილი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--------------------------------------|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ბარათაშვილი მარიამ გერვასის ასული |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | არა მაქვს |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1908 თვე ივლისი დღე 8 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ქ. ქიათურა |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | აზნაური |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია, დრამატურგია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულზე |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1935 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1940 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არცერთში |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | დავამთავრე თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიური სექტორი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ვიცი ინგლისური, კარგად რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--------------------------------------|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>არა</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>კინოსექციის ბიუროს წევრი</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>მწერლობა</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ორჯონიკიძის 36</p> |

„ 21 “ სექტემბერი 1952 წ.

ხელმოწერა _____

ავტობიოგრაფია

დავიბადე 1908 წ. 8 ივლისს მასწავლებლის ოჯახში, ქ. ჭიათურაში. იქვე მივიღე საშუალო განათლება, ხოლო 1945 წ. დავამთავრე ქ. თბილისის სტალინის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელ პედსექტორის ფილოლოგიური ფაკულტეტი.

მონაფეობის წლებიდან მაქვს ლირიკული ხასიათის რამდენიმე ლექსი, სერიოზულ ლიტერატურულ მუშაობას კი ხელი მოვკიდე 1936 წლიდან, უკვე ორი შვილის დედამ.

პირველი საბავშვო პოემა „ნანული“ მიძღვნილი ჩემი შვილისადმი, საინტერესო აღმოჩნდა სხვა ბავშვებისთვისაც და ეს პატარა გამარჯვება იქცა ჩემი შემდგომი მუშაობის სტიმულად.

„ნანულის“ მოჰყვა აღმზრდელობითი ხასიათის საბავშვო პოემები და ლექსები, გამოიცა ლირიკული ლექსების კრებულები. ამავე დროს ვაქვეყნებ პუბლიცისტური ხასიათის წერილებს და ნარკვევებს.

ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემებს მიეძღვნა ჩემი პირველი კომედია „მარინე“ („ჭრიჭინა“). პიესა პირველად დაიდგა 1950 წ. თბილისში, კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიული ქვეყნების თეატრების სცენებზე, ითარგმნა და დაიბეჭდა სხვადასხვა ენებზე (იტალიურ, ესპანურ, ჩინურ და სხ.), პიესის სიუჟეტი საფუძვლად დაედო კინოსურათ „ჭრიჭინას“ სცენარს.

თანამედროვეობის თემებზეა დაწერილი და დადგმული ჩვენი რესპუბლიკის თეატრებში პიესები: „მაღალი ოცნება“, „ჩემი ყვავილეთი“, „რატომ?“, „სიყვარულის წისქვილი“ („შეხვედრა ნაკადულასთან“) და „სართულები“. ამათგან „ჩემი ყვავილეთი“ და „სართულები“ დაიდგა ქ. თბილისის სომხური თეატრის (შაუმიანის სახ.) სცენაზეც. „ჩემი ყვავილეთი“ ითარგმნა (და დაისტამბა) უკრაინულ ენაზე. დავამთავრე მუშაობა პიესაზე „ჩქარი მატარებელი“, ვმუშაობ ლექსების ციკლზე. გამოიცა პიესების კრებული.

1940 წლიდან ვირიცხები საქ. მწერალთა კავშირის წევრად.

შეძლებისდაგვარად ვენევი საზოგადოებრივ მუშაობასაც: 1953 წ. ამირჩიეს ქ. თბილისის კალინინის სახ. რ-ნის მშრომელთა დეპუტატების საბჭოში, 1954 წ. – საკავშირო უმაღლესი საბჭოს IV მოწვევის დეპუტატად, ხოლო 1963 წლიდან ვიყავი ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სამი მოწვევის დეპუტატი. ვარ საქ. მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი და კინოკომისიის თავმჯდომარე, საქართველოს ქალთა კომიტეტისა და ქალთა საბჭოს თავ-რის მოადგილე, სსრკ ქალთა კომიტეტის გამგეობის წევრი, თბილისის კალინინის რ-ნის საზ-ბა „ცოდნის“ პრეზიდიუმის მშვიდობის დაცვის კომიტეტის, სსრკ საბავშვო ლიტერატურის საბჭოს, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის გამგეობის წევრი და სხ.

1965 წლიდან ვმუშაობ ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორად. ვარ სკკპ წევრი 1966 წლიდან. დაჯილდოებული ვარ „საპატიო ნიშნის ორდენით, მედლებით, საქ. სსრ და უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმის სიგელებით. მომენიჭა საქ. სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ნოდება. მყავს სამი შვილი.

მარია ბარათაშვილი

ვარლამ ჟურული

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|------------------------------------|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ჟურული ვარლამ ნიკოლოზის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1908 თვე სექტემბერი დღე 15 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ოზურგეთი |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1924 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1934 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არცერთს |
| 12. პარტიულობა, № პარტიულისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | თბილისის სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტი, ფილოლოგიის ფაკულტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---------------------------------|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>რიგითი სამხედროვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>–</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>–</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>ლიტერატურული საქმიანობა</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>აკ. წერეთლის 15</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

| <p style="text-align: center;">მუშაობა წარსულში (შრომითი საქმიანობა)</p> | | | | |
|---|--------|--|--|--|
| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უნყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1924 | 35 | ლიტმუშაკი | გაზ. „კომუნის- ტი“-ს რედაქცია | |
| 1935 | 41 | ლიტ. განყ. გამგე | „ახალგაზრდა კომუნისტი“ | |
| 1951 | 52 | ოჩერკისტი | ჟურნ. „დროშაში“ | |
| | | სწორია: ნ. კ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს | გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | |

ვარლამ ნიკოლოზის-ძე ჟურნალის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1908 წელს, სექტემბრის 15-ს, ყოფილ ოზურგეთის მაზრაში, სოფ. ჩიბათში, ახლანდელ ლანჩხუთის რაიონში, წვრილი ვაჭრის ოჯახში. მამა ადრე გარდამეცვალა. პირველდაწყებითი სწავლა მივიღე სოფლად, შემდეგ კი – ქუთაისის გუმანიტარულ ტექნიკუმში.

1935 წელს დავამთავრე თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი.

სამწერლო ასპარეზზე გამოვედი 1924 წელს. ამ პერიოდიდან მოკიდებული დღემდე სისტემატურად ვთანამშრომლობ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. ჩემი ლექსები გადათარგმნილია რუსულ და უკრაინულ ენებზე.

1935 წელს სახელგამმა გამოსცა ჩემი ლექსების პირველი კრებული „ვარდის ფურცლობა“, 1940 წელს კი საბლიტგამმა გამოსცა არქტიკული ლექსების ციკლი საბჭოთა კავშირის გმირებზე, სათაურით „ჩრდილოეთის დაპყრობა“.

სამწერლო მოღვაწეობასთან ერთად ვეწევი ჟურნალისტურ მუშაობას საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალურ ორგანოებში.

ვ. ჟურნალის ნაწარმოებთა სია:

1. ლექსთა პირველი კრებული „ვარდის ფურცლობა“, 1935 წ.
2. „ნარაზენი“, ლექსთა კრებული, 1935 წ.
3. „ლექსების ციკლი“, 1938 წ.
4. „ჩრდილოეთის დაპყრობა“, 1938 წ.
5. ქუთაისის საავატომობილო ქარხნის შესახებ მხატვრული ნარკვევი, 1949 წ.
6. ლექსთა კრებული „ჩვენი გაზაფხული“, 1950 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ბონდო კეშელავა

ავტობიოგრაფია

დავიბადე 1908 წელს, სოფელ ტალერში (გეგეჭკორის რაიონი).

პირველდანიებითი განათლება მივიღე ძველი სენაკის სათავადაზნაურო სკოლაში. საშუალო სასწავლებელი დავამთავრე ქუთაისში 1926 წელს.

1934 წელს ვსწავლობდი ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტის ლიტერატურულ ფაკულტეტზე.

1931–1941 წლამდე – ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ვმუშაობდი ქუთაისის, ქვედა-სიმონეთის, გეგუთისა და ძველი აბაშის საშუალო და არასრულ საშუალო სკოლებში.

1941 წლიდან 1944 წლამდე ქვემო სვანეთში სოფ. ჩოლურის საშუალო სკოლის დირექტორი და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვიყავი.

სხვადასხვა დროს ვმსახურობდი ქუთაისის თეატრში კოტე მარჯანიშვილის დროს, რიონჰესის მაღაროში მნგრევლად, ნიფლარის ხევში კულტმუშაკად, ქუთაისის გაზ. „ლენინის გზით“ რედაქციაში, ქვიშხეთის მწერალთა დასასვენებელ სახლის დირექტორად.

ჩემი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1923 წელს ახალ სენაკის გაზეთ „კომუნარში“. დღემდე გამოცემულია ჩემი ლექსების წიგნი პირველი – 1950 წელს „ლექსები“, შემდეგ „გულის პასუხი“, „ჩემი რჩეული“, „ვარდის სტუმარი“, „ნათელი ფიქრი“, „ჩემო კარგო ქვეყანავ“, ოქტომბრის 30 წლისთავზე ქართული საბჭოთა პოეზიის ბიბლიოთეკის სერიით ლექსები და „ცაო მაღალო“.

1962 წელს რუსულ ენაზე გამოიცა ჩემი ლექსები სათაურით „პობეგი მაგლარი“. 1967 წელს გამოიცა ჩემი საბავშვო პოემა „ტრაბახას ხვედრი“.

ბონდო კონსტანტინეს ძე კეშელავა
14.1 – 70 წ.

სოლომონ ხუციშვილი

ჩემი ბიოგრაფია

დავიბადე გორში, ხელოსნის, გიორგი ხუციშვილის ოჯახში, 1908 წლის იანვარში. ჩემი უფროსი ძმები სხვადასხვა სასწავლებლებში სწავლობდნენ გორში, ხოლო ორი მათგანი უნივერსიტეტის სტუდენტიც იყო უნივერსიტეტის დაარსების პირველ წლებში.

სასწავლებლად, 1915 წელს, გორის სასულიერო სასწავლებელში შემეყვანეს, მაგრამ მალე რევოლუციამ ეს სასწავლებელი გააუქმა. სკოლა ჩამოცილდა ეკლესიას და ამიტომაც ჩვენი სასწავლებელი საქალაქო გიმნაზიას შეუერთეს. საშუალო სასწავლებელი 1925 წელს დავამთავრე. ბედათ კარგი მასწავლებლები შემხვდნენ, თუმცა რევოლუციის შემდეგ სკოლამ ბევრი ცვლილება განიცადა, რაც, პირველ რიგში, სასწავლო პროცესის ნაკლებეფექტურობაში გამოიხატებოდა. ხან რა ერქვა და ხან რა ჩვენს სასწავლებელს, ვიდრე აღნიშნულ წელიწადს შრომის სკოლა არ დავამთავრე. ჩემი მასწავლებლებიდან ყოველთვის სიამოვნებით ვიგონებ ალექსანდრე გარსევანიშვილს, სერგი რობაქიძეს, ვლადიმერ ხიზანიშვილს, ნიკოლოზ ჯულაბაშვილს, თედო თედოს ძე ჟორდანიას და ყველას, რომელთაც სკოლის დაუსრულებელი რეფორმების ხანს მაინც მასწავლეს რაღაც. ყოველ შემთხვევაში, ქართველი, ევროპელი და რუსი მწერლების შესახებ ცნობები და მათი შემოქმედების ძირითადი ფაქტები მე საშუალო სკოლაში ვიცოდი, ასევე საქართველოსი და მსოფლიოს ისტორიის მნიშვნელოვანი ფაქტები. იმ დროს არც სტაბილური სახელმძღვანელო იყო და არც სტაბილური სისტემა, მაგრამ მაინც გვასწავლეს რაღაც ჩვენმა მასწავლებლებმა.

1925 წლიდან თბილისში ვცხოვრობ.

1927 წელს კი უნივერსიტეტში ჩავირიცხე. მაშინ ჩემს ფაკულტეტს ერქვა პედაგოგიური, ხოლო განყოფილებას – ენისა და ლიტერატურისა. უნივერსიტეტში ბრწყინვალე პროფესურა იყო მაშინ, მე ვისმენდი ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძის, გიორგი ჩუბინაშვილის, გრიგოლ წერეთლის, აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანის, მიხეილ ზანდუკელის, ვახტანგ კოტეტიშვილის ლექციებს. სვიმონ ჯანაშია, არნოლდ ჩიქობავა, ალ. ბარამიძე, ვარლამ თოფურია, კოტე ბაქრაძე, რევაზ ნათაძე და სხვანი მაშინ ახალგაზრდები იყვნენ და ან პრაქტიკუმში გვამეცადინებდნენ ან ასისტენტობდნენ პროფესორებს. შალვა ნუცუბიძისა და სერგი დანელიას ლექციები რუსულ და ევროპულ ლიტერატურაში იყო სერია სერიოზული საუბრებისა...

1930 წელს დავამთავრე უნივერსიტეტი, რომელიც იმ ხანებში დაშალეს და, უნივერსიტეტის მაგიერ პედაგოგიური ინსტიტუტი დავამთავრე. ეს ინსტიტუტი შემდეგ ქუთაისში გადაიტანეს და ახლაც არსებობს იგი იმ ბაზაზე.

მასწავლებლად მხოლოდ ორი სემესტრი ვიმუშავე. კიდევ სხვა დაწესებულებებში სამიოდე წელიწადს და 1934 წლიდან ვარ ისევ უნივერსიტეტში.

1936 წელს ასპირანტი გავხდი, ხელმძღვანელი იყო მიხეილ ზანდუკელი. სამი წელიწადი ვიმუშავე მასთან.

1938 წლიდან უკვე ლექციების კურსი მქონდა ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

1941 წლის მარტში, ომის წინ ორი თუ სამი თვით ადრე საკანდიდატო დისერტაცია დავიცავი თემაზე „ავქსენტი ცაგარელის დრამატურგია“. შემდეგ ომი დაიწყო და მეც მობილიზაციით ჯარში წავედი, სადაც ვიმსახურე 1942 წლის დეკემბრამდე. დემობილიზაციის შემდეგ ვმუშაობდი უნივერსიტეტში (ომამდე პუშკინის სახ. ინსტიტუტშიც), სოხუმის, ბათუმისა და გორის ინსტიტუტებში შეთავსებით.

ჩემი სულ პირველი წერილი დაისტამბა 1925 წელს მონაფეთა გაზეთში „მონაფის ხმა“, რომელსაც განათლების კომისარიატი ბეჭდავდა. ეს იყო მონაფის ნამუშევარი კორესპონდენცია გორიდან.

საკვლევა-ძიებო მუშაობა ასპირანტურაში ყოფნისას დაიწყო. მაქვს ნაშრომები სხვადასხვა ხასიათისა და სხვადასხვა ზომისა, ზოგიერთი ცალკე წიგნებადაც, ჟურნალებში, გაზეთებში, ქართულად, რუსულად, უკრაინულად. ჩემი სამუშაო ასპარეზი XIX საუკუნის ქართული ლიტერატურაა, ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ქართული ჟურნალისტიკის ისტორია.

დაბეჭდილი მაქვს რვა წიგნი, ჩემი რედაქციით და წინასიტყვაობით გამოცემულია 12 წიგნი, სამი წიგნი ნათარგმნი საბავშვო ლიტერატურიდან, ორი ალბომი ნიკოლოზ ბარათაშვილზე. საჟურნალო წერილები რაღა ჩამოსათვლელია, აგრეთვე საგაზეთონი.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ვარ 1964 წლიდან და უნივერსიტეტში მაქვს დამოუკიდებელი კურსი ლექციებისა ლიტერატურის ისტორიასა და ლიტერატურისმცოდნეობაში.

მონაწილეობა მიმიღია სახელმძღვანელოების შედგენაში, აგრეთვე სასწავლო პროგრამების დამუშავებაში და ა. შ.

პარტიის წევრი არა ვარ. არც სხვა პარტიაში ვყოფილვარ როდესმე.

ვცხოვრობ ილ. ჭავჭავაძის პროსპექტზე, №62.

ს. ხუციშვილი
1971 წელი, 18/II

გიორგი ქავთარაძე

ავტობიოგრაფია

ჩემს ავტობიოგრაფიაში დღემდე ყოველთვის ასე ვწერდი: დავიბადე 1908 წელს სოფელ ცხრანყაროში. ეს სოფელი ქ. ზესტაფონიდან ორი კილომეტრითაა დაშორებული. ასე ვწერდი, რადგან ჩემს მეტრიკას ვუჯერებდი. გვიან გამოვარკვიე, რომ მეტრიკაში 1907 წელიც არის აღნიშნული და 1908 წელიც. ეს უსათუოდ მღვდლისა თუ ჩამწერის შეცდომაა. მოკლედ რომ მოგახსენოთ: 1907-1908 წლებში ვარ დაბადებული, დეკემბერში, დედაჩემი იტყოდა ხოლმე. მეტრიკაში კი 17 აპრილია აღნიშნული. ეს ჩემი მონათვლის დღეა. მთავარი მწერლისთვის ის არის, თუ რას დაუტოვებს იგი სამშობლოს, შთამომავლობას და არა ის, თუ სინამდვილეში როდის დაიბადა.

მამაჩემი გრიგოლი რომ გარდაიცვალა, 5 წლისა ვიყავი. მყავდნენ ტყუები და-ძმანი – ანიკო და ალიკო. ძმა 30 წლისა გარდაიცვალა, დაჲ კი – უფრო გვიან. ჩემი მამით დაობლების დროს ოჯახში სამი შვილი ვიყავით. გასაოცარი ენერჯისა და მშრომელი დედის მზრუნველობით ძალიან სიმწვავეით არ გვიგრძვნია ობლობა. დედაჩემი მარიამ ალფეზის ასული სოფელ ღორეშელი ორჯონიკიძის ქალი იყო, გარეშე ბიძაშვილი სერგო ორჯონიკიძისა. დედა სამამულო ომის დროს, 1942 წელს გარდაიცვალა. დედის გარდაცვალების 1 თვის შემდეგ მე ფრონტზე წავედი. თბილისში უმცროს ლეიტენანტთა სამხედრო სასწავლებელში ვსწავლობდი ომის დროს, შემატყობინეს დედაჩემის ავადმყოფობა, მომცეს სამდღიანი შვებულება და წავედი მშობლის სანახავად. სულ მარტო დამხვდა დედა, მეზობლები უვლიდნენ დღისით, ღამით კი თურმე სულ მარტო იყო, ჩემი დაჲ 4 შვილისა და ლოთი ქმრის პატრონი სოფელ პატარა ხონში იყო გათხოვილი და არ შეეძლო, ოჯახური მდგომარეობის გამო, ჩამოსულიყო და თავზე დადგომოდა დედას. დამინახა თუ არა, დედამ გამიღიმა, მოვეხვიე და დავუკოცნე დამჭკნარი ძუძუები. სამი დღე და ღამე ტანზე არ გამიხდია და ვუვლიდი დედას. გულით ავადმყოფი იყო მუდამ ჯანმრთელი ქალი, ნოლა არ შეეძლო, მკერდზე მყავდა მიხუტებული. მესამე დღეს ხომ უნდა მიმეტოვებინა და წავსულიყავი თბილისში, მაგრამ არ ვიცოდი, ვისთვის ჩამებარებინა. ო, რა მწვავედ მაგონდებოდა ჩვენი სათაყვანებელი ილიას „დედა და შვილი“. ილიას „დედასავით“ მელაპარაკებოდა სულთმობრძავი დედა. მამხნეებდა და მომიწოდებდა საყვარელი სამშობლოს დასაცავად. უკანასკნელად ჩავეხვიე დედას, საათზე დავიხედე, სირბილით თუ ჩავუსწრებდი მატარებელს. „წყალიო“, რომ წამოიკვნესა დედამ, ახალშემოსულ მეზობელ ქალს ვთხოვე, მიეწოდებინა მისთვის წყალი და გავვარდი გარეთ, დავეშვი ზესტაფონისკენ და ძლივს მივუსწარი მატარებელს. ომში სულ თან დამდეგდა აჩრდილი უპატრონოდ მიტოვებული და გარდაცვლილი დედისა, მაგრამ კი არ მსაყვედურობდა, არა, მამხნეებდა, მაფრთხილებდა, თავისთვის მომეველო, რათა არ გამეცივებინა მამა-პაპის კერია. და მეც ვიბრძოდი უფრო დიდისა და მარად უკვდავი დედის – ჩემი სამშობლოს დასაცავად.

ექვსი წლის არც კი ვიყავი, როცა სწავლის სურვილი აღმეძრა, დააკმა-

ყოფილა დედამ ჩემი დაჟინებითი მოთხოვნა და მიმაბარა ჩემი სოფლის სკოლაში, სადაც მხოლოდ ორი წელიწადი ვსწავლობდი. შემდეგ გადამიყვანა ზესტაფონის 4 კლასიან სასწავლებელში, დავასრულე 1923 წელს. შემდეგ შევედი ამავე ქალაქის საშუალო სასწავლებელში, დავამთავრე 1926 წელს. იმავე წელს ნივთიერი ხელმოკლეობის გამო ვერ განვაგრძე სწავლა უმაღლეს სასწავლებელში, 2 წელი გამიცდა, ვიტანჯებოდი.

1928 წელს, აგარაკ სურამში გავიცანი მწერალი მარიამ გარიყული, მან მირჩია, ჩავსულიყავი თბილისში და განმეგრძო სწავლა უმაღლესში. მარიამ ქალბატონი თავის მხრივ დამპირდა ყოველგვარ დახმარებაზე, რაც კი შეეძლო. მარიამ გარიყულს ჰყავდა შვილები დაახლოებით ჩემი ჰასაკისა, ამით უფრო დავუახლოვდი მათს ოჯახს. მარიამ გარიყულის არც თუ შეძლებულმა ოჯახმა დიდი მატერიალური და მორალური დახმარება გამინია. დღემდის დიდი მეგობარი ვარ ამ ოჯახისა და დავრჩები მარად. გარიყულის ოჯახში გავიცანი დამსახურებული მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ავტორი ოპერა „აბესალომ და ეთერის“ ლიბრეტოსი პეტრე მირიანიშვილი. მორცხვად წავუკითხე ბატონ პეტრეს ჩემი ლექსები, მომიწონა და შემაქო დიდად. პეტრემ დამაწყებინა ფრანგული ენის შესწავლა, მას საფრანგეთში ჰქონდა მიღებული განათლება, მირჩია, შევსულიყავი უცხო ენათა ინსტიტუტში, შემესწავლა ფრანგული ენა. მაშინ ამ ინსტიტუტში სწავლა ფასიანი იყო, ჩემს მაგივრად სწავლის ფულს იხდიდა პეტრე მირიანიშვილი. შემდეგ, როგორც კარგი სტუდენტი, სრულიად გამათავისუფლეს სწავლის ფულის გადასახადისაგან. როცა გადავედი მეორე კურსზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტები ყველანი გადაგვიყვანეს უნივერსიტეტში და დავამთავრე 1933 წელს. ამდენად დიდი ამაგი დამდო ამ ორმა შესანიშნავმა ადამიანმა, მწერლებმა.

1934 წელს წითელ არმიამ გამიწვიეს, როგორც უმაღლესდამთავრებულმა მხოლოდ ერთი წელი ვიმსახურე ჯარში და დავბრუნდი შინ 1935 წელს. წითელ არმიამ გატარებულ ერთ წელს ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვიგონებ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი მქოდა ერთი ბედნიერი შემთხვევა. ვმონანილეობდი წითელარმიელ თვითშემოქმედების ოლიმპიადაში, პირველად ვნახე მოსკოვი, ვნახე ის ადგილები, რანიც დაკავშირებულნი არიან დიდი ლენინის მოღვაწეობასთან, დიდ თეატრში პირადად ვნახე დიდი სტალინი და ყველა მისი თანამებრძოლნი. სტალინთან, როგორც მისი ნათესავი, სერგო ორჯონიკიძემ წარმადგინა.

1936 წელს ისევ დავბრუნდი თბილისში და დავინყე მუშაობა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“. ჩემი პირველი ლექსი დაიბეჭდა, გამოქვეყნდა გაზეთ „წითელარმიელში“ ჩემი არმიამში სამსახურის დროს. ჩემი ნაწარმოებები ქვეყნდებოდა გაზეთებსა და ჟურნალებში: „მუშაში“, „ახალგაზრდა კომუნისტში“, „სტალინურ ლოკომოტივში“.

დაიწყო სამამულო ომი, შეიცვალა საბჭოთა ხალხების ბედნიერი ცხოვრება. მე მაშინ ვმუშაობდი გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციაში. სამხედრო ვალდებული ვიყავი და იმდღესვე გამოცხადდი სამხედრო კომი-

სარიატში. ადმინისტრაციული დარგის სათადარიგო მეთაური ვიყავი, თბილისშივე დამნიშნეს ერთ-ერთ შტაბში. სამხედრო სამსახურის დროს მხატვრული ლიტერატურითაც ვეხმარებოდი ომის მონაწილე მეომრებსა და ჩემს თანამოძმეთ. დავწერე და გამოვაქვეყნე რამდენიმე ანტინაცისტური ლექსი, მათ შორის: „პიტლერი ეიფელის კოშკზე“ და „ჩვენ გავიმარჯვებთ!..“

ომის დროს ძალიან დიდი მოთხოვნილება იყო სამწყობრო მეთაურებისა. ოთხი თვის სამსახურის შემდეგ გამანთავისუფლეს და ჩამრიცხეს ექვსთვიან სალექტენანტო სკოლაში, დავამთავრე 1942 წლის ივნისში. ამ სკოლაში თითქმის ყველანი უმალლეს დამთავრებული ვიყავით, გარდა 31 კაცისა, ყველანი შინ გაუშვეს სამხედრო კომისარიატის განკარგულებაში. 31 კაცი კი მეორე დღესვე ფრონტზე გავემგზავრეთ. თბილისიდან გავედით 1942 წლის 21 ივნისს. 17 დღე და ღამის მგზავრობის შემდეგ ქალაქ სტარობელსკში ჩავედით. მიგვითითეს და შევეუდექით ძებნას სამხედრო შტაბისას. მივაგენით დიდი ხნის ძებნის შემდეგ. ოთხი მეთაური – მე, ვასილ ლოსაბერიძე, დავით ჩახავა და იოსებ მანაშეროვი – შტაბმა ერთ ნაწილში ჩაგვრიცხა, ჩვენი თხოვნით. ახლა ჩვენი ნაწილის ძებნას შევეუდექით. ამ დროს გერმანელებს საკმაო წარმატება ჰქონდათ ფრონტებზე, თუმცა, როგორც საქმის ვითარებამ გვიჩვენა, მტრის წარმატებები დროებითი გამოდგა. ჩვენი წითელი არმია უკან იხევდა, ვერც კი მივაგენით იმ პოლკს, სადაც გაგვანაწილეს. როგორც იქნა, იმ პოლკის სატრანსპორტო ბატალიონს წავაწყდით. ამ ბატალიონის უფროსი ეროვნებით უკრაინელი იყო, ძალიან უყვარდა ქართველები, დიდი პატივისცემით მიგვიღო, გვაიმედა, მაგრამ რატომღაც არ გვითხრა სიმართლე. როგორც შემდეგ გავიგეთ, არ გაგვიძხილა ვითარება ფრონტისა, თურმე ალყაში ვიყავით მოქცეული, არ შეგვაშინა ომში გამოუცდელი ახალგაზრდა ქართველი ოფიცრები. ეთქვა: თუ გაუარესდა ვითარება საქმისა, მერე ვიტყვიო. მას აღარ დასცალდა. დიდხნის ალყაში მოქცეული ისე იყო შიშვითა და განსაცდელით მისულფერებული, რომ ლაპარაკის თავი აღარა ჰქონდა, ხანდახან თუ გაიღიმებდა ნალვლიანად, საოცრად შევნოდა კეთილი ღიმილი, რაც მის კაიკაცობაზე ლაპარაკობდა. თითქმის მთელი ორი კვირის განმავლობაში მშვიერ-მწყურვალნი, უტყვია-ნამლონი დავხეტებოდით ერთი ვეებერთელა წრის ირგვლივ.

1942 წლის ივლისი იდგა, უკრაინის კრიალა ცა ომის ღრუბლებს აემღვრია, მტრისა და მოყვრის ქვემეხებისა და ბომბდამშენების გრიალი აზანზარებდა დედამიწას, უკან იხევდა ჩვენი ჯარი, მერე დახევაც აღარ შეიძლებოდა ჩვენი ნაწილისა, რადგან რკალში ვიყავით მოქცეული. მხოლოდ ღამით ვცდილობდით ალყიდან თავის დაღწევას, მაგრამ ღამეც დღესა ჰგავდა, ისე ნათდებოდა პროჟექტორების შუქისგან. მეორე მსოფლიო ომი სრულიად არა ჰგავდა წარსულ ომებს, „შესწყდა ბინდისას ომი საზარი“... ასე რომ აღწერდენ XIX საუკუნის ქართველი პოეტები ომის სურათებს. ჩვენ ნაწილს მაინც ვერ მივაგენით, სულ სხვა ნაწილს შევეუერთდით, დროებით გავარღვიეთ რკალი, იმ დღეს მტერმა გაჰქუსლა, მერე ისევ შემოგვიტია და ისევ მოგვაქცია ალყაში. მიუუახლოვდით ქ. მილეროვოს, ვერ შევედით, ქალაქი გერმანელებს დაეკავებინათ. შემოფოთებულნი იყვნენ სოფლები, ზოგი გარ-

ბოდა ტყეში პარტიზანებთან, ზოგი სდუმდა უსაშიშრესი მტრის მოლოდინში. ვერ გავარღვიეთ რკალი, ჩემს ახლოს ყუმბარა დაეცა, კონტუზია დამემართა, ავარდნილი მინის შადრევანი ჩანჩქერით დაეშვა ჩემს თავზე, გვიან მოვედი გონზე, ძლივს, ლასლასით გავემართე და შევაფარეთ თავი სოფლად ვილაც მოხუცი უკრაინელის ოჯახში, ცოტა მოვსულიერდით, მაგრამ მესამე დღეს გერმანელები შემოვიდნენ და ტყვედ ჩავვარდი. დიდზე დიდი გაჭირვება გავიარე ამ ომში: ფრონტი, ტყვეობა და პარტიზანობა. მაინც ვიტყვი, რომ ფრონტი ვაჟკაცური ჭიდილია სიკვდილთან, ტყვეობა ნამდვილი ჯოჯოხეთია, პარტიზანობა კი შედარებით მტანჯველი სევდიანი პოეზიაა. სამივე განსაცდელი მარად დაუფინყარია, მაგრამ როდესაც ტყვედ ვვარდებოდი და მერე პირისპირ შევხვდი ჰიტლერელებს, მე ამის გამოხატვა სიტყვიერად მთელი სისრულით არ შემიძლია. თავის მოკვლა არ მიფიქრია, თუ აუცილებელი არაა, არა ვარ მომხრე თვითმკვლელობისა. მინდოდა, მეცოცხლა თუნდაც იმიტომ, რომ ჩემი თვალით მეხილა დამარცხება ნაციზმისა.

1942 წლის 17 ივლისს ჩავვარდი ტყვედ. შევცქეროდი ჰიტლერელებს და თავი სიზმარში მეგონა. არა, ასეთი ამაზრზენი სიზმარიც კი არ მინახავს ჩემს დღეში. ამ დღიდან დაიწყო ჩვენი, ტყვეების საშინელი ტანჯვა-წამება. მილიონობით გასწვყიტეს გერმანელებმა დროებით დაპყრობილი ქვეყნების ადამიანები. განა მხოლოდ შიმშილითა და ავადმყოფობით კვდებოდნენ ადამიანები? არა, დაუძლურებულ ტყვეებს მიუხედავად ქარხანაში გზავნიდნენ გადასამუშავებლად: ადამიანთა ქონისაგან საპნებს ამზადებდნენ, ტყავისგან ქალთა ხელთათმანებსა და ხელჩანთებს, ელექტროშუქფარებს. ისხდნენ ბატონი ნაცისტის ოფიცრები, გადაეშალათ ადოლფ ჰიტლერის ნაბოღვარი წიგნი „Mein Kampf“ (ჩემი ბრძოლა) და ადამიანის ტყავის შუქფარზე კითხულობდნენ. აი, რა ეწერა ჰიტლერის „მაინ კამპში“: „პირველ ყოვლისა, ჩვენი მიზანია ის, რომ უნდა დავამარცხოთ საბჭოთა კავშირი, უნდა აღვგავოთ პირისაგან მინისა მოსკოვი და მის ნაადგილარზე უნდა დარჩეს ნაგვის გადასაყრელი, 50 მილიონი კაცით უნდა შემცირდეს რუსეთი“... „მე გავათავისუფლებ ადამიანს იმ მახინჯი ქიმერისაგან, რასაც ეწოდება სინდისი“... „ომი უმხიარულესი საქმეა, გაიზრდები, მოჰკლავ 100 მტერს, ფიურერს უყვარხართ შენ და ომი“... – ამას ასწავლიდნენ გერმანელ მოსწავლეებს სკოლებში, სანამ ჯარისკაცი გახდებოდა.

„Gott mit uns!“ (ღმერთი ჩვენთანაა) – ასე ეწერა ჰიტლერელებს ქამრების ბალთებზე. ვერ უშველა ღმერთმა ნაცისტებს, ჩვენმა მამაცმა წითელმა არმიამ რისხვით შელენა კარი ბერლინისა და რაიხსტაგზე საბჭოთა დროშა ააფრიალა. იმ დროშაზე ლენინი და სტალინი ეხატნენ, ეს ორი უდიდესი ადამიანი ერთად იბრძოდნენ ვერაგი მტრის წინააღმდეგ.

ტყვეობაში ჯერ უკრაინის ტერიტორიაზე მდებარე საკონცენტრაციო ბანაკებში ვცხოვრობდი. გლუბოკა, ვოლოშინო, ლისიჩანსკი, ბელაიაცერკოვი და კიდევ რამდენიმე გამსვლელი ბანაკი. ვცხოვრობდი-მეთქი, თუკი იმ ცხოვრებას ცხოვრება ეწოდება. არ მინდოდა, გამემხილა და მაინც უნდა ვთქვა, რა საჭიროა დაფარვა? ბელაიაცერკოვის ბანაკში ისე დაამშვიეს სამხედრო ტყვეები გერმანელებმა, რომ ბევრმა მათგანმა დაჰკარგა ადამიანურობა. ერთ

უსაზიზღრეს საღამოს, ვილაც საფრთხობელადქცეულ ტყვეს წავანყდი, მას ადამიანის თავის ქალა ეჭირა ხელში და ხრავდა, თვალთ დამიბნელდა... ასეთი ამაზრზენი ამბები მოთხრობილი მაქვს ჩემს ავტობიოგრაფიულ რომანში „ჯარისკაცის ჩანაწერები“. ეს წიგნი რუსულადაც გამოვიდა წელს.

1942 წლის ნოემბერში კიევში წაგვიყვანეს რამდენიმე კაცი სამუშაოდ. გერმანელთა „დორჩევირგ ლაზარეთში“ ვმუშაობდით ნახშირის მზიდვებად და შეშის დამამზადებლებად. როცა ჩვენმა მამაცმა წითელმა არმიამ მაგრად შეუტია ჰიტლერის ნაქებ არმიას, მთელი უკრაინის ტერიტორიაზე მცხოვრები სამხედრო ტყვეები ერთად შეჰყარეს კიევიდან 30 კილომეტრით მდებარე დარნიცას ბანაკში. ძალიან ბევრი დახვრიტეს და ჩამოახრჩეს, მე პირადად და ჩემი ამხანაგები რამდენჯერმე მოვხვდით სიკვდილით დასასჯელთა ჯგუფში, მაგრამ გადავრჩით რაღაც სასწაულით. გერმანელები ჯერ დამშევენდნენ, დააუძღურებდნენ საბჭოთა მოქალაქეებს, მერე აძულებდნენ ემსახურნათ მათთან, ზოგმა ასეთ სამარცხვინო საქციელს სიკვდილი ამჯობინა, ზოგი მართლაც შევიდა მათს არმიაში და მერე იარალი ისევ ჰიტლერელებს მიუშვირა.

მოანვა თუ არა საბჭოთა ჯარი კიევს, აგვყარეს გერმანელებმა დარნიციდან და 21 დღის შეუსვენებელი მგზავრობის შემდეგ მიგვიყვანეს ქ. სლავუტაში. სლავუტას ბანაკში მთელი ერთი კვირის განმავლობაში რაიმე საჭმელი არ მოუციათ, მხოლოდ აქედან გასვლის დღეს ერთი ვეებერთელა მკვდარი ცხენი შემოაგდეს გერმანელებმა, შემოაგდეს და გაიქცნენ, რადგან სეირის ყურება შორიდან უფრო სასიამოვნოა. მშვიერი მგლებივით დაესივნენ ტყვეები მკვდარ ცხენსა და რამდენიმე წუთის განმავლობაში მკვდარი ცხენის ადგილზე აღარაფერი დარჩენილა, არც ტყავი, არც ძუა და ფლოქვები ცხენისა თავიანთი ნალებიანად. არც მე ვმდგარვარ გულხელდაკრეფილი, მეც შევუტეე „სანყალ“ ცხენს, მაგრამ არაფერი არ მერგო. ამ ყოვლად სულელური ცერემონიის დროს გერმანელები ხარხარებდნენ და თან კინოოპერატორი სურათს იღებდა. თან უკვირდათ, რომ ასე იქცეოდნენ შიმშილით შეშლილი ადამიანები. რატომ უკვირდათ? ჩვენს ქვეყანაში რომ ჩვენსავით დაემშიათ გერმანელი სამხედრო ტყვეები, როგორ მოიქცეოდნენ „განათლებული“ ევროპელები? როცა ცხენის ხორცს დაინახავდნენ, მოხარბულიც რომ ყოფილიყო, არ შეუტევენდნენ? დანა-ჩანგალს ხომ არ მოითხოვდნენ?

სლავუტადან გერმანიაში წაგვიყვანეს პოლონეთის გავლით. ჰიტლერული გერმანიის დანყველილ მიწაზე პირველად დავადგი ფეხი 1944 წლის 1 დეკემბერს. ვიხედებოდი აქეთ-იქით და მეღიმებოდა მწარედ. ვფიქრობდი: სადა ვარ? გერმანიაში ვარ? დიდი გოეთესა და ბეთჰოვენის სამშობლოში მოვხვდი? დიახ, იქა ვარ, მაგრამ, ღმერთო ნუ შემშლი, ნუთუ ამ პირობებში უნდა მენახა მშვენიერი გერმანია? ამოვიღე ჩემი უბის წიგნაკი, რაღაც მინდოდა ჩამეწერა, ხელი მიკანკალეზდა, მაინც დავწერე, ჩავიწერე რაღაც უბის წიგნაკში და რომ დავხედე, ვერაფერი ვერ წავიკითხე, ერთი აზრიანი წინადადება კი არა, ერთი სიტყვაც კი ვერ წავიკითხე, მშვენიერი ქართული ან-ბანი ანბანს კი არა ჰგავდა, რაღაც ლურსმული თუ იეროგლიფური რამ დამეჩხაპნა და მწარედ შევშინდი, ნუთუ მშობლიური წერა-კითხვაც კი დამავიწყდა-მეთქი. იმავე დღეს, ცოტა რომ დავმშვიდდი, ჩემი სახელი და

გვარი – გიორგი ქავთარაძე დავნერე კარგად გარკვევით და ისე დავცქერო-
დი თხუთმეტ ქართულ ასონიშანს, თითქოს თხუთმეტი რჩეული ქართველი
ქალ-ვაჟი დამენახოს.

პირველად ქ. ციჰენგაინში მიგვიყვანეს, თვენახევარი დავრჩით აქ. აქედან
სამუშაოდ აგზავნიდნენ სამხედრო ტყვეებს სხვადასხვა ქალაქებში და ჩვენც,
1944 წლის თებერვალში 60 კაციისგან შემდგარი ჯგუფი გაგვაგზავნეს ქ.
ვაილბურგში, სადაც გერმანელ ოფიცერთა სამხედრო სასწავლებელი იყო,
ვასრულებით სხვადასხვა სამუშაოს, ხანაც ქალაქის ვაგზალზე ვმუშაობდით
მტვிரთავებად. სამოც კაცში 14 ეროვნების წარმომადგენლები ვიყავით, ოთხი
ქართველი, დანარჩენები უზბეკები, ტაჯიკები, ყირგიზები, თურქმენები, ყა-
ზახები და ა.შ. ერთი რუსიც კი არ გვერია. რუსებსა და უკრაინელებს როდი
ურევდნენ სხვა ნაციონალურ უმცირესობაში. ჩვენს საბრალო ბანაკს თვალის
ასახვევად შესავალთან აბრა ჰქონდა მიკრული წარწერით: „Arbeitskommando
26-34“.¹ ჩვენი ბანაკი, თუ შეიძლება, ასე ითქვას: იყო პატარა ფილიალი
დიდი საკონცენტრაციო ბანაკების – დახუს, ბუხენვალდისა და დიდი სხვა
საშიში ბანაკებისა. დავდიოდით აგრეთვე სამუშაოდ შემდეგ ქალაქებში –
მაინის ფრანკფურტში, ლიმბურგსა და ვეცლარში, სხვა ქალაქებშიაც. 60
კაციდან მხოლოდ 5 კაცი მოგვიკვდა. არც ერთი ჩვენთაგანი არ გადარჩე-
ბოდა, ღმერთს რომ ჩვენთვის ბანაკის კარგი კომენდანტი არ დაენიშნა. ეს
გერმანელი გახლდათ პროფესიით კომპოზიტორი და დირიჟორი, გვარად
მარქსი. ჩემს წიგნში „ჯარისკაცის ჩანაწერებში“ მარქსი მაქსად არის მოხ-
სენებული. ამ ჩემი ავტობიოგრაფიისა და ჩემი წიგნის ნამკითხველი უსა-
თუოდ მიხვდება, რომ გვარი მარქსისა განგებ არის შეცვლილი „მაქსად“.
მაქსი გერმანული სახელია და არა გვარი. გერმანიაში მარქსები, ვოლფები,
ვაგნერები და ვალენშტაინები წარმოშობით გერმანელებიც არიან და ებ-
რაელებიც. კომპოზიტორი მარქსი როდი არცხვენდა დიდი მარქსის გვარს,
ბუნებით მშვიდი კაცი იყო, მშვიდი, საკმაოდ ფლეგმატური და გროტესკუ-
ლიც, მაინც კარგი ადამიანი იყო. როცა ტყვეებს სამუშაოზე ანაწილებდა,
ან ბანაკში შემოვიდოდა, ავინყდებოდა თავისი საქმე, ხელში მუდამ ეჭირა
თავისი განუყრელი სადირიჟორო ჯოხი, განუწყვეტლად ლიღინებდა, ხანაც
შტრაუსის უმშვენიერეს ვალსებს იმეორებდა, „ცისფერი დუნაი“ იქნებოდა
ეს ვალსები თუ „ვენის ტყის ზღაპარი“.

ყოველ მუშათა „კომანდებში“ და ბანაკებში გერმანელები ერთ ტყვეს
ნიშნავდნენ უფროსად, ამ უფროსს ევალებოდა დახმარებოდა გერმანელ კო-
მენდანტს, თოფს არ ანდობდნენ, მაგრამ სამაგიეროდ რეზინის ჯოხს დააჭე-
რინებდნენ ხელში, მას უნდა შეიძლებოდა ამ რეზინის ჯოხის კარგად მოქნე-
ვა. როგორც ყველაზე უკეთ მცოდნე გერმანული ენისა, პირველად მე დამ-
ნიშნეს ჩვენი ჯგუფის უფროსად, არაფერი არ გამომივიდა, ვერ შევასრულე
ჩემი მოვალეობა, უქმად დამქონდა ჩემი რეზინის მოქნეული ჯოხი. გადა-
მაყენეს და ჩემს ადგილზე დანიშნეს ჩემი ამხანაგი კალაბურა, იგი ჯაშუში
აღმოჩნდა და ერთგულად ემსახურებოდა ნაცისტებს. ჩვენთან იყვნენ ბატა-

1. მუშათა კომანდა (ჯგუფი) 26–34 (გერმ.).

ლიონის ყოფილი კომისრები – გიორგი ლალუაშვილი და სომეხი გათევოს გუკასიანი, ეს უკანასკნელი ნადირიანის გვარით ცხოვრობდა გერმანიაში. მათთან ერთად ვენეოდი ტყვეებსა და სანდო გერმანელებში აგიტაცია-პროპაგანდას, რასაც კინალამ შევეწირე. ისევ ანტინაცისტმა გერმანელებმა მიხსნეს გარდუვალი დალუპვისაგან. სანამ თანამდებობიდან გადამაყენებდნენ, სამუშაოზე ყოფნის დროს გავიცანი გერმანელი ფროილაინი შარლოტა შტოლი, მხატვარი კარლ შმიდტი და მერე შარლოტას მამა გერმანიაში ცნობილი კომპოზიტორი, პროფესორი ოტო შტოლი. ამ ბრწყინვალე გერმანელებმა გამიადვილეს ბანაკ-ჯოჯოხეთში ცხოვრება და სიკვდილამდე ვერ დავივიწყებ მათს ამაგსა და ადამიანობას.

1945 წლის მარტამდე ვცხოვრობდი საკონცენტრაციო ბანაკში. ჩვენმა არმიამ აიღო ქ. ბრესლაუ. ომი გერმანიის მიწა-წყალზე იყო გაჩაღებული, დაუახლოვდა თუ არა ჩვენი მაშინდელი მოკავშირე ამერიკის არმია გერმანიის ახლომდებარე ქალაქებს, იწყეს ნაცისტებმა სამხედრო ტყვეთა გარეკვა, როცა ველარ ასწრებდნენ ტყვეთა გარეკვას ზურგში, ბანაკებს ბენზინს ასხამდნენ და ასე ჟღეტდნენ მესამე იმპერიის მტრებს. დაგვიახლოვდა დიდი ხნის მოშინაურებული სიკვდილი, დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, 1945 წლის 28 მარტს, ღამით, როცა მაინის ფრანკფურტი აიღეს ამერიკელებმა და გამოემართნენ ვაილბურგისკენ, წინასწარ ფარულად შემოზიდული იარაღებით გავტყებთ ჩვენი ბანაკი, გავჭერთ ეკლებიანი მავთულხლართები, გერმანელ ესესელ გუშაგებსაც გავუსწორდით და გავიქეცით ვაილბურგის ტყეში, სადაც შევუერთდით ჩვენსავით გაქცეულ ფრანგ, იუგოსლაველ, ამერიკელ და სხვა ყოფილ სამხედრო ტყვეებს და გავაჩაღეთ პარტიზანული ბრძოლა ჰიტლერელების წინააღმდეგ. შემოვიდნენ ამერიკელები ვაილბურგში, დაგტოვეთ ჩვენი მფარველი ვაილბურგის ტყე და შევუერთდით ამერიკელებს.

დამთავრდა ომი, აფრიალდა ბერლინში საბჭოთა დროშა, ექვსი თვე კიდევ დავრჩით გერმანიაში. 1945 წლის 5 აგვისტოს დავბრუნდი სამშობლოში.

დავწერე წიგნი და გამოვიდა 1964 წელს. როგორც ზემოთ მოვიხსენიე, ჩემს წიგნს ეწოდება „ჯარისკაცის ჩანაწერები“. ამ წიგნში დაახლოებით მაინც ავწერე ყველა მნიშვნელოვანი ამბავი, რაც უშუალოდ ვნახე და განვიცადე. დავწერე, მაგრამ ადვილად როდი შევძელი გამოქვეყნება ამ წიგნისა, რის გამოც დიდი ორომტრიალი ატყდა და რომ დამხმარე მწერლები და მკითხველები არ გამოჩენილიყვნენ, ვერც წიგნის გამოცემას მოვესწრებოდი და ალბათ, თანაც გადავყვებოდი.

1960 წელს ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა ნაწყვეტი ჩემი წიგნიდან სათაურით „დაუმთავრებელი სამარე“. უკვე მზად იყო მთელი ტირაჟი ჟურნალისა გასაყვრცელებლად, რომ ვილაც არამზადამ გაიტანა ანაბეჭდები სტამბიდან და წარადგინა, სადაც საჭირო იყო, რადგან იმ არამზადას საეჭვოდ მოეჩვენა მთელი ჩემი 10 წლის ნამუშევარი და განსაკუთრებით კი „მნათობში“ გამოქვეყნებული ის ერთი თავი. მაშინ საქართველოს ცენტრალურ კომიტეტში საქართველოს იდეური აღზრდის საქმეს ხელმძღვანელობდა გიორგი ჯიბლაძე. მას არ ჰქონდა კარგი განწყობილება ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორთან, ჩვენს შესანიშნავ პოეტსა და საზოგადო მოღვაწე სიმონ ჩიქოვანთან. ჯიბლა-

ქემ და ჩიქოვანმა ვერ გამონახეს საერთო ენა, ჯიბლაძეს, როგორც ცენტრალურ კომიტეტში მომუშავე იდეოლოგს, დაუშვებლად მოეჩვენა გამოქვეყნება ჩემი ნაწყვეტისა. სიმონ ჩიქოვანმა კი დაიცვა მისთვის დამახასიათებელი ცოდნითა და ენთუზიაზმით. აქლემები წაიჩხუბნენ და მე – კოზაკი კი შუაში გამომჭყლიტეს. ამოვარდა ჩემი „დაუმთავრებელი სამარე“ „მნათობიდან“ და გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომაც“ ამოიღო ჩემი წიგნი საგამომცემლო გეგმიდან. თავზარი დამეცა, მეორედ მოვხვდი გათავისუფლებული კაცი საკონცენტრაციო ბანაკში, მაგრამ აღმოჩნდნენ საქართველოს ცენტრალურ კომიტეტში ობიექტური ადამიანები თენგიზ ბუაჩიძისა და სხვათა შემწეობით. სიმონ ჩიქოვანი მოხსნეს „მნათობის“ რედაქტორობიდან. ძვირფასმა სიმონმა ძალიან განიცადა უდანაშაულოდ დასჯა, დაავადმყოფდა ისედაც ავადმყოფი კაცი, ბოლოს დაბრმავდა და გარდაიცვალა. მადლიერმა ქართველმა ხალხმა კი მთანმინდის უბეში მიუჩინა სამარადისო განსასვენებელი ღვანღმოსილ თანამემამულეთა გვერდით.

არ შემიძლია, არ მოვიგონო დიდი მადლიერების გრძნობით ორი შესანიშნავი მწერალი – კონსტანტინე ლორთქიფანიძე და ხუტა ბერულავა. ამ ორი მოღვაწის ინიციატივითა და დახმარებით ეღირსა ზოგიერთების მიერ უსაფუძვლოდ ამოგდებულ ჩემს წიგნს „ჯარისკაცის ჩანაწერებს“ გამოქვეყნება. მერე მკითხველებმაც აღიარეს და ასე მოულოდნელად გაგებდნიერდი, რადგან ძნელზე ძნელი საქმეა გამოუქვეყნებლობა წლობით ნამუშევარი ნაწარმოებისა, თუკი აქვს რაიმე საზოგადოებრივი ღირებულება ჩემს წიგნს. ასე რომ არ ევაჟკაცნათ კონსტანტინე ლორთქიფანიძეს და ხუტა ბერულავას, მე საკონცენტრაციო ბანაკიდან თავდახსნილი კაცი, ნამდვილად არსებულ ჯოჯოხეთიდან დაბრუნებული, მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე ისევ საკონცენტრაციო ბანაკში მოვხვდებოდი, ოღონდ იმ საკონცენტრაციო ბანაკს არ ექნებოდა გარშემო შემოვლებული ეკლებიანი მავთულხლართები. კონსტანტინე ლორთქიფანიძემ დამიხსნა ბანაკიდან, რადგან პირველად მან გამოაქვეყნა ნაწილი წიგნისა მისი რედაქტორობით გამომავალ ჟურნალ „ცისკარში“, მერე კი ხუტა ბერულავამ გამოსცა, როცა იგი გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორად მუშაობდა.

როგორც ხედავთ, ძალიან ვრცელი გამომივიდა ჩემი ავტობიოგრაფია, თავი ველარ შევიკავე. უნდა მაპატიოს ამ ჩემი ავტობიოგრაფიის წამკითხველმა არეული სტილი და დაუხვეწაობა ჩემი ამ ნაწერისა. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ, როცა ჩემს ომისდროინდელ თავგადასავალს ვიგონებ, არ შემიძლია ფიქრი მშვიდად, საოცარი ჰალუცინაციები მანვალებს და ტკბილმწარედ ვიტანჯები.

გიორგი ქავთარაძე
1970 წ., 15 ნოემბერი, ქ. თბილისი

მაყვალა მრეველიშვილი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | მრეველიშვილი მაყვალა ალექსანდრეს ასული |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1909 თვე თებერვალი დღე 14 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ქ. თბილისში |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი, ინტელიგენტი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია, დრამატურგია, ნარკვევი |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1927 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1938 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული, ვიცი ფრანგული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი:</p> <p>ა) ჯარის სახეობა</p> <p>ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი)</p> <p>გ) №</p> <p>დ) სამხედრო ნოდება</p> | - |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | არა |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | არა |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | მთარგმნელთა ბიუროს წევრი, საბავშვო ჟურნალის რედაქციის წევრი |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისმგებლობაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | არა |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | მედალი „მამაცური შრომისათვის“ |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღნიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | ჟურნალ „დილას“ რედაქტორის მოადგილე |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | ჯავახიშვილის 3, 3-90-52 |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღ- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1931 | 35 | ექსკურსავოდი | ტურისტთა ბაზისა | |
| 1936 | 36 | რედაქტორი | საბავშვო რადიო- გადაცემათა | |
| 1936 | 40 | უმც. მეც. მუშაკი | საქართველოს მუზეუმი | |
| 1940 | 42 | მხატვრული კით- ხვის ხელმძღვა- ნელი | პიონერთა სასახ- ლეში | |
| 1942 | | ვენეოდი მხოლოდ | ლიტერატურულ მოღვაწეობას | |
| 1947 | წლიდან | ვარ საბავშვო ჟურნალ „დილას“ რედაქტორის მოადგილე, სადაც დღემდე ვმუშაობ | | |
| | | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

მაყვალა ალექსანდრეს ასული მრევლიშვილის ავტობიოგრაფია

დავიბადე ქ. თბილისში, 1909 წელს, 14 თებერვალს. მამა ჩემი იყო მხატვარი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რომელიც იყო ერთ-ერთ დამარსებელთაგანი ახალი ქართული რევოლუციური და რეალისტური მხატვრობისა, გარდაიცვალა 1933 წელს. დედა არის დიასახლისი.

1925 წელს დავამთავრე მე-8 შრომის სკოლა თბილისში და 1930 წელს ლიტერატურულ-პედაგოგიური ფაკულტეტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა.

1930 წელს მუშაობა დავიწყე სხვადასხვა დაწესებულებაში (ბიბლიოთეკის გამგედ, ექსკურსავოდათ, მეთოდისტად, უმცროს სწავლულ მუშაკად), 1936 წლიდან 1940 წლამდე ვმუშაობდი საქართველოს მუზეუმში ხელნაწერების განყოფილებაში.

1940 წლიდან 42 წლამდე ვიყავი მხატვრული კითხვის განყოფილების გამგე პიონერთა სასახლეში.

1938 წელს მიმიღეს მწერალთა კავშირის წევრად და ვენევი შემოქმედებითს მუშაობას.

1946 წლიდან დღემდე ვმუშაობ საბავშვო ჟურნალ „დილას“ რედაქტორის მოადგილეთ.

ჩემს მთავარ მუშაობად მიმაჩნია შემოქმედებითი სამწერლო მუშაობა, რომელსაც ვენევი 1927 წლიდან.

1950 წლიდან ვარ კპსს წევრი.

ჩემი მეუღლე კაკაბაძე გ. ა. არის მსუბუქ მრენველობის სამინისტროს მუშაკი. მყავს ორი ქალიშვილი.

მ. ა. მრევლიშვილის ნაწარმოებთა სია:

1. 1926 წლიდან 1946 წლამდე დაწერილი მაქვს შემდეგი ნაწარმოებები: ლექსები და ნარკვევები ჟურნალ-გაზეთებში, ლექსები და ლექსთა კრებული – 1940 წელს, პიესა „მათე მაია“ – 1939 წ.

2. 1946 წლიდან დღემდე:

ცალკე ლექსები და საბავშვო ლექსები ჟურნალ-გაზეთებში.

პოემა „ჭირნახული“, 1947 წ.

„ლიტ. და ხელოვნება“.

„ქართლის უბეში“, 1949 წ., ლექსთა კრებული.

„ჯეჯილიში“, საბავშვო ლექსთა კრებული, 1949 წ.

„ირმისა“, საბავშვო ზღაპარი, 1950 წ.

„დილა მშვიდობისა“, საბავშვო ლექსთა კრებული, 51 წ.

„ჩემი ძამია“, საბავშვო პოემა, 1951 წ.

პიესა „გარეუბანი“, 1947 წ. რეკომენდირებულია ხელოვნების სამმართველოს ჟიურის მიერ.

მაქვს აგრეთვე რუსი, უკრაინული და მოძმე რესპუბლიკების პოეტების თარგმანები და სხვ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

მამია ასათიანი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ასათიანი მამია ვასილის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1909 თვე მარტის დღე 14 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ქუთაისი |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | აზნაური |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პროზა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1928 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1954 წელს აღდგენილ იქნა |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | საქ. პრ. მწერალთა ასოციაციაში |
| 12. პარტიულობა, № პარტიულისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | გარიცხული ვიყავი დაპატიმრების გამო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | – |

| | |
|---|-------------------------|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, დაუმთავრებელი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული, ქართული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|----------------------------------|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>სამხედროვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>მწერლობა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>იყო (იხ. ავტობიოგრაფია)</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>არაფერი</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>მწერალი</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>თბილისი, ილ. ჭავჭავაძის 8</p> |

„ ____ “ _____ 1954 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1929 | 30 | პედაგოგი | კოლახ-სკოლა | ჩხარში |
| 1930 | 31 | დირექტორი | საჩვენებელი სკოლისა | ქუთაისი |
| 1931 | 32 | განათლების გან. გამგის მოადგილე | | ქუთაისში |
| 1932 | 33 | რედაქტორი | რადიოგაზეთისა | „-“ |
| 1933 | 34 | „-“ | „ახ. სტალინელი“ | ქუთაისი |
| 1934 | 35 | „-“ | „ტრამვაის გაზეთი“ | თბილისი |
| 1935 | 37 | თავმჯდომარე | ქუთაისის მწერალ- თა კავშირის გან- ყოფილებისა | ქუთაისში |
| 1948 | 53 | სამხატვრო ნან. გამგე | თეატრისა | ქუთაისში |
| 1953 | 54 | დირექტორის მოადგ. | საქ. წიგნისა | ქუთაისი |
| | | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

მამია ვასილის-ძე ასათიანის ავტობიოგრაფია

მე, მამია ვასილის-ძე ასათიანი, დავიბადე 1909 წელს, ქალ. ქუთაისში.

მამა გარდამეცვალა 1919 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ დედამ მუშაობა დაიწყო აბრეშუმის ფაბრიკაში, იქვე მუშაობდა ჩემი ძმები. ჩემი უმცროსი ძმა დაიღუპა სამამულო ომის ფრონტზე, ხოლო უფროსი დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

მე 1928-29 წლებში დავამთავრე ქუთაისის პედაგოგიური ტექნიკუმი. 1937 წლამდე ვმუშაობდი სხვადასხვა თანამდებობაზე საბჭოთა დაწესებულებებში, პედაგოგად, სკოლის დირექტორად, გაზეთის რედაქტორად ქუთაისის ახალგაზრდობის ორგანოში, რადიო-გაზეთში და სხვ.

1937 წელს დამაპატიმრეს, ისევე უდანაშაულოდ, როგორც ეს ხდებოდა აღნიშნულ წელს და გადამასახლეს ადმინისტრაციული წესის მიხედვით რუსეთის მხარეს.

დავბრუნდი 1947 წელს. ამის შემდეგ ვმუშაობდი ქუთაისში ქუთაისის თეატრის ლიტერატურული განყოფილების გამგედ და წიგნის გამომცემლობის გამგის მოადგილედ.

მწერლობა დავიწყე და ვიბეჭდები პერიოდულ ჟურნალ-გაზეთებში 1928 წლიდან. 1936 წელს გამოიცა ჩემი წიგნი „ხუთი ნოველა“.

ამჟამად ჩემი ნაწერები იბეჭდება ჩვენს რესპუბლიკასა და მოძმე ხალხთა რესპუბლიკის სხვადასხვა ენებზე.

ჩემი ახალი წიგნი შეტანილია „საბჭოთა მწერალის“ მ/წ საგამომცემლო გეგმაში. ამჟამად ვმუშაობ ახალ მოთხრობაზე.

1954 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

მ. ასათიანი ნაწარმოებთა სია:

1. წიგნი „ხუთი ნოველა“, 1936 წ.
2. „აკვნების ოსტატი“.
3. „საჩუქარი“ (მოთხრობა).
4. „ეთერი“, „-“.
5. „ბერდანა“, „-“.
6. „ბაბუა და შვილიშვილი“.
7. „დავაჟკაცება“.
8. „აგრონომი“.
9. „ოქსანა“ და სხვ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

გიორგი გაბუნია

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | გაბუნია გიორგი ალექსანდრეს ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1909 თვე აპრილი დღე 14 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ზუგდიდი |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | – |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | დრამატურგია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1934 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1943 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | აფხაზეთის მწერ. კავშირში |
| 12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | მე-14 საშუალო შრ. სკოლა, რუსთაველის ორწლიანი დრამატიული სტუდია |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>1929 წლიდან ვენევი საზ. მოღვაწეობას</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედლები: „კავკასიის დაცვისათვის“, „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>ამჟამად მუშაობს სოხუმის თეატრში, ქართული დრამა</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>სოხუმი, ქართული თეატრი</p> |

„ — “ _____ 1952 წ.

ხელმოწერა _____

| <p style="text-align: center;">მუშაობა წარსულში (შრომითი საქმიანობა)</p> | | | | |
|---|--------|--|--|--|
| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1930 | | ქუთაისის თეატრის მსახიობი | | ქუთაისში |
| 1931 | 34 | ჭიათურის თეატრის მსახიობი | | ჭიათურა |
| 1934 | 36 | ხაშურის თეატრის მსახიობი | | ხაშური |
| 1936 | 37 | მსახიობი ჭიათურის თეატრში | | ჭიათურა |
| 1937 | 48 | მსახიობი, დირექტორი და რეჟისორი სუბუმის ქართული თეატრისა | | სოხუმი |
| 1948 | 49 | სამხატვრო ხელმძღვანელი თელავის თეატრისა | | თელავი |
| 1949 | 54 | დირექტორი და რეჟისორი ფოთის თეატრისა | | ფოთში |
| ამჟამად | | უკვე ორი წელია, რაც მუშაობს სოხუმის ქართულ თეატრში | | |
| <p>სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.</p> | | | | |

გიორგი ალექსანდრეს-ძე გაბუნიას ავტობიოგრაფია

დავიბადე 1909 წელს, 14 აპრილს, ქალ. ზუგდიდში, პროვიზორის ოჯახში. დედა იყო დიასახლისი.

1926 წელს დავამთავრე თბილისის მე-14 შრომის სკოლა. შემდეგ შევედი დრამატიულ სტუდიაში, რომელიც არსებობდა რუსთაველის თეატრთან.

1930 წელს დავამთავრე სტუდია, რის შემდეგ მიწვეული ვიყავი აქტიურად თბილისის გარეუბნის სხვადასხვა რაიონებში, რომლებიც მომსახურებას უწევდა კოლმეურნეობებსა და სოფლის მეურნეობებს.

ლიტერატურული მუშაობა დავიწყე 1934 წელს.

ჩემი ნაწარმოებები:

1. „არსენა ოძელაშვილი“ (დრამა), 1935 წ.
2. „თემურ ლეიბა“, „-“, 1939 წ.
3. „საბჭოთა კავშირის გიმრი“, „-“, 1941 წ.
4. „მზის ამოსვლის წინ“, „-“, 1941 წ.
5. „ორჯონიკიძის ხმალი“, „-“, 1943 წ.
6. „ცისკარი“, „-“, 1947 წ.
7. „საგანგებო კომისარი“, „-“, 1949-1950.
8. „უმზითვო“, თარგმნილი რუსულიდან ოსტროვსკის, 1946 წ.
9. „კონსტანტინე ზასლავსკი“, „-“ მოვზონის, 1947 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

არჩილ ჩაჩიბაია

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ჩაჩიბაია არჩილ ესტატეს-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1909 თვე მაისის დღე 1 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ცხაკაია (ყოფ. ახალსენაკი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | ბელეტრისტიკა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1925 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1936 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | საქ. პროლეტ. მწერალთა ასოციაცია |
| 12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|----------|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>რიგითი</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>მწერლობა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედლები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>—</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>შიო ჩიტაძის 11</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უნყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1928 | 31 | პედაგოგი | თბილისის შვიდ- წლიან სკოლაში | |
| 1931 | 37 | დირექტორი | კასპის პედტეხნი- კუმისა | |
| 1937 | | მეთოდისტი | სახალხო განათ- ლების განყოფი- ლება | |
| 1937 | 47 | „-“ | განსახკომი | |
| 1947 | 49 | უმალ. სკოლების უფროსის მოად. | განსახკომი | |
| 1949 | 51 | უფროსი ინსტ- რუქტორი | განათლების სამი- ნისტროსი | |
| 1951 | | მეცნ. მუშაკი | პედაგოგიური მეცნ. ინსტიტუტი | თბილისი |
| | | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

არჩილ ესტატეს ძე ჩაჩიბაიას ავტობიოგრაფია

დავიბადე 1909 წელს, ქ. ცხაკაიაში (ყოფ. ახალსენაკში), გლეხის ოჯახში. საშუალო განათლება იქვე მივიღე – დავამთავრე ჰუმანიტარული ტექნიკუმში 1926 წელს. მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო ამავე წელს ვერ მოვახერხე სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებელში. დავრჩი შინ და ვეხმარებოდი მშობლებს მინის დამუშავებაში. ერთი წლის შემდეგ შევედი ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლასთან ერთად 1928 წელს შეთავსებით დავინყე სკოლაში მასწავლებლობა; 1931 წლიდან ვმუშაობდი კასპის პედტექნიკუმში დირექტორად, სადაც ვასწავლიდი მშობლიურ ენასა და ლიტერატურას და პედაგოგიკას.

1937 წლიდან ვმუშაობდი ქალ. თბილისის რაიონის განათლების განყოფილების ინსპექტორად, ხოლო ამავე წლის ოქტომბრიდან გადაყვანილი ვიქენი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში ინსპექტორ-მეთოდისტად.

1941 წლიდან ვმუშაობდი პედაგოგიურ სასწავლებლის სექტორის უფროსად. ამავე წლიდან ვკითხულობდი ლექციებს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკაში უმაღლეს სასწავლებელში (თბილისის სახ. უნივერსიტეტი, ზუგდიდის სამასწავ. ინსტიტუტი).

ამ პერიოდში სისტემატურად ვაქვეყნებდი მეთოდურ-კრიტიკულ წერილებს გაზეთებსა და ჟურნალებში („საბჭოთა მწერალი“, „სახალხო განათლება“, „კომუნისტური აღზრდისათვის“).

1939 წელს ვიყავი თანაავტორი არასრული საშუალო სკოლის მე-7 კლასის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოსი, ხოლო 1940 წლიდან ვარ საშუალო სკოლის (მე-11 კლასის) ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოს თანაავტორი.

1940 წელს პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა ცალკე წიგნად გამოსცა ჩემი წიგნი „მხატვრული ნაწარმოების ტექსტზე მუშაობის ზოგიერთი საკითხისათვის“.

ლიტერატურული მოღვაწეობა დავიწყე 1925 წლიდან. ჩემი ორი ნოველა პირველად დაიბეჭდა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ორგანო „ლიანდაგი“-ს №1-ში, 1925 წელს. კრიტიკამ დადებითად შეაფასა ჩემი ნოველები. ამან კიდევ უფრო ხელი შეუწყო ჩემს შემოქმედებითს აქტივიზაციას. ამის შემდეგ სისტემატურად ვაქვეყნებდი მოთხრობებსა და რომანს ჟურნ. „პროლეტარული მწერლობა“-ს და „მნათობი“-ს და გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ და სხვ.

1931 წ. გამოვაქვეყნე საწარმოო თემაზე რომანი „ენტუზიასტები“, რომელიც შემდეგ ცალკე წიგნად იქნა გამოცემული „გმირების“ სახელწოდებით. რომანი ეხება სტალინურ ხუთწლეულს. იგი თარგმნილია სომხურად ტიგრან ფირუმიანცის მიერ, ხოლო რუსულად სთარგმნა ს. ქავთარაძემ, რომელიც დაიბეჭდა „მალადაია გვარდიას“ მიერ გამოცემულ კრებულში. კრებული მიძღვნილი იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლის-

თავისადმი. ამ კრებულში დაიბეჭდა ნაწყვეტი რომანიდან „ენტუზიასტების“ სახელწოდებით.

დიდ სამამულო ომის პერიოდში სისტემატურად ვაქვეყნებდი მოთხრობებს ჩვენი ხალხის გმირულ ბრძოლებზე. მოთხრობები დაიბეჭდა ჟურნ. „მნათობში“ და გაზ. „ლიტ. და ხელოვნებაში“.

1948 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა ჩემი მოთხრობების წიგნი. ვმუშაობ რომანზე ომის შემდგომი ხუთწლედის ადამიანებზე. უკვე დავამთავრე დიდი მოთხრობა საწარმოო მონინავე ადამიანებზე, კადრების ნოვატორობა, განუსაზღვრელი სიყვარული სამშობლოსადმი და ლენინ-სტალინის პარტიისადმი. ვარ კპსს წევრი.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ნ. თოფჩიშვილი.

არ. ჩაჩიბაიას ნაწარმოებთა სია:

1. ნოველები: „ეჰ“, „ლოთი“, 1925 წ.
2. „დაშლილი ტალღა“, „მხარდამხარ“.
3. „მძაფრი დღეები“, „ისმის ნაბიჯები“, „აი, მოკლეთ“, 1928 წ.
4. „პარტიზანი“, „ფრონტი შეცვლილია“, მოთხრობა, 1930 წ.
5. „ენტუზიასტები“, რომანი, 1931 წ.
6. „ბუთულა“, მოთხრობა, 1937 წ.
7. „მხედარი“, მოთხრობა, 1941 წ.
8. „შეხვედრა“, „ძველები“, მოთხრობა, 1942 წ.
9. „პატარა გმირი“, მოთხრობა, 1943 წ.
10. „ჰაშიმბაის სიმღერა“, მოთხრობა, 1944 წ.
11. „დარდი“, „მწვერვალები“, მოთხრობა, 1945 წ.
12. „გმირები“ (გამოც. ცალკე წიგნად), 1938 წ.
13. მოთხრობა „ბუთულა“, 1930 წ.
14. „მოთხრობების კრებული“, ცალკე, 1948 წ.
15. „გადაბედილი ველი“, მოთხრობა, 1951 წ.
16. დიდი მოთხრობა „ხეობა გუგუნებს“, 1951 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ვანიონ დარასელი

| პირადი ბარათი | |
|--|---|
| საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | გარდაიცვალა 1954 წლის 14 აპრილს დარასელი ვანიონ ალექსის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | არა მაქვს |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1909 თვე მაისის დღე 25 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ზუგდიდის რაიონი, სოფ. კახათი |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პროზა, დრამატურგია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართული, რუსული |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1929 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1934 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | პროლეტ. მწერალ. ასოციაცია |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | 1941 წ. სამხრეთ ფრონტზე |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | 1941 წელს სამხრეთ ფრონტზე, 1942 წ. ამიერკავკასიის ფრონტზე |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>—</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>—</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>„წითელი ვარსკვლავის“ ორდენი, „საბრძოლო დამსახურებისათვის“, „კავკასიის დაცვისათვის“, „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>—</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ლენინის 66ა</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1929 | 34 | რკკა | ფილიალი სტალი- ნის სახ. | ქუთაისში |
| 1934 | 38 | სტუდენტი | პედ. ინსტიტუტისა | როსტოვში |
| 1941 | 42 | გაზეთ „წინ გა- მარჯვებისაკენ“ თანამშრომელი | სამხრეთის ფრონტი | ჩერკასი |
| 1942 | 42 | ინსტრუქტორი | პოლიტუპრავლე- ნიე ა/კ ფრონტისა | თბილისი |
| 1942 | | რაბკორის მოადგ. | სამხედრო ოლქისა | „-“ |
| | | სწორია: ნ. კ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს | გამგე: ნ. თოფჩიშვილი | |

ვანიონ ალექსის-ძე დარასელის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1909 წელს, 25 მაისს, ზუგდიდის რაიონში, სოფ. კახათში (საქართველოს სსრ), რევოლუციონერ გლეხის ოჯახში. ვსწავლობდი სოფლის სკოლაში, შემდეგ დავამთავრე ბათუმის საშუალო სასწავლებელი 1928 წელს და გუმანიური ტექნიკუმი.

1928 წლიდან 1930 წლამდე ვიყავი მასწავლებლად არასრულ საშუალო სკოლაში სოფ. ლიასა და ხორგაში.

1930 წლიდან მუშურ-გლეხურ არმიაში, სადაც განსაკუთრებულად გამომყვანდა ჩემი მიდრეკილება პოეზიისადმი.

1935 წელს ვიქენი დემობილიზებული მუშურ-გლეხურ წითელ არმიის რიგებიდან და ნავედი მასალების შესაკრებად კიკვიძის გმირობის შესახებ (16 დივიზ. უფროსი) უკრაინაში, დონზე და სტალინგრადში. იქვე დავინყე მეცადინეობა და დავამთავრე ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი რუსულ ენაზე, როსტოვის პედაგოგიურ ინსტიტუტში. სამწერლო ასპარეზზე გამოვედი 1927 წლიდან.

1939–41 წ.წ. სამამულო ომის დაწყებისას მობილიზებული ვიქენი და გაგზავნილი მომქმედ არმიაში უკრაინის მხარეზე, გაზეთებში სამუშაოდ. 1942 წელს მე გამომგზავრეს ამიერკავკასიაში ფრონტის უფროს ინსტრუქტორად, პოლიტსამმართველოს ხაზით. ამ დღიდან მოყოლებული ვმუშაობ რედაქტორის მოადგილედ გაზეთ „ლენინის დროში“ ქართული გამოცემის საქმეში.

დაჯილდოვებული ვარ „წითელი ვარსკვლავის ორდენით“ და მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“.

ჩემი ნაწარმოებების სია:

1. „კიკვიძე“ (პიესა).
2. „დიდი გული“ (დრამა).
3. „გამახარე“.
4. „მოსკოვი, თბილისი“ (პიესა).
5. „უფროსი ძმა“ (დრამა).

სწორია: 6 კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

გრიგოლ ბერძენიშვილი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ბერძენიშვილი გრიგოლ ალექსის ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | არა მაქვს |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1909 თვე ივნისი დღე 30 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ბათუმის გარეუბანი |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | დრამატურგია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართული |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1927 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1945 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | საშუალო |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | ვმსახურობდი 1932 წლიდან 1938 წლამდე რიგით ჯარისკაცად |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | 1941 წლის ივნისიდან რიგითი კულტმუშაკად კერჩის ნახევარ კუნძულზე, მძიმედ დაავიჭერი |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | ვიყავი კერჩის ნახევარ კუნძულზე, წ/არმიის განთავისუფლების შემდეგ, 1944 წელს მეც წამოვედი თავისუფალი |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--------------------------------------|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>არა სამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>არა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>არსად არ მუშაობს</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ავლევის ქ. 32</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|---|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1927 | 1932 | მსახიობი | ბათუმის სახ. თე- ატრისა | ბათუმში |
| 1932 | 1935 | რიგითი კულტმუ- შაკი | მეორე ქართული ბატალიონი | |
| 1935 | 1938 | კულტმუშაკი, სა- მოქალაქო წესის მომუშავე | I ქართული პოლკი | |
| 1938 | წლიდან | ვენევი ლიტერატურულ მუშაობას და არსად აღარ ვმსახურობ | | |
| სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | | | |

გრიგოლ ალექსის-ძე ბერძენიშვილის ავტობიოგრაფია

მე გრიგოლ ალექსის-ძე ბერძენიშვილი დავიბადე 1909 წელს, 30 ივნისს (ძვ. სტ.), ბათუმის გარეუბანში – ბარცხანაში.

ჩემი მშობლები – ლიზა იაკობის ასული და ალექსი მარკოზის ძე ბერძენიშვილები, მიუხედავად სიღარიბისა, ბავშვების აღზრდას დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ. 1927 წელს დავამთავრე ბათუმის საშუალო სკოლა, 1927 წელს დამიბეჭდეს პირველი პიესა „ტარტაროზში“. ვწერდი თითო მოქმედებთან პიესებს კლუბებისათვის.

1932 წელს გამიწვიეს წითელ არმიასში, სადაც ვმუშაობდი კულტმუშაკად 1938 წლამდე.

1936 წელს დავწერე სამ მოქმედებანი დრამა „ოქროს ვერძი“, რომელიც დაიდგა სანიტარულ კულტურის თეატრში 1937 წელს.

მოზარდ მაცურებელთა თეატრს დავუწერე პიესები: „აჭარის მთებში“ და „სერგო“ (სერგო ორჯონიკიძის ჭაბუკობა). შემდეგ რაიონის თეატრებისათვის დავწერე პიესები: „ჩადირული ოქრო“, „ცეცხლი“, „ჩვენი მინა“, „დედაბუდე“, „მოსამსახურე“, „პაემანზე“, „დიადი დღეები“.

ზემოდასახელებული პიესები იდგმებოდა რაიონის თეატრებში.

1940 წლის იანვრიდან 1944 წლის მარტამდე ვიბრძოდი სამამულო ომის ფრონტზე. 1945 წელს დავწერე პიესა „ტირიფის ქვეშ“, რომელიც დადგა რუსთაველის სახელობის თეატრმა, აგრეთვე დაიდგა მოზარდ მაცურებელთა და რაიონების თეატრებში.

გრიგოლ ბერძენიშვილის ნაწარმოებთა სია:

1. „ოქროს ვერძი“, 1936 წ.
2. „აჭარის მთებში“, 1937 წ.
3. „სერგო ორჯონიკიძე“, 1938 წ.
4. „ცეცხლი“, 1939 წ.
5. „ჩვენი მინა“, 1940 წ.
6. „ჩადირული ოქრო“, 1941 წ.
7. „ტირიფის ქვეშ“, 1945 წ.
8. „ვარდობის თვე“, 1947 წ.
9. „სიყვარულის ძალა“, 1948 წ.
10. „ჩემი სილამაზე“, 1948 წ.
11. „მშვიდობის მტრედეები“, 1949 წ.
12. „ბედნიერებისათვის“, 1950 წ.
13. „მთელი გულით“, 1951 წ.
14. „ძველი ჭრილობა“, 1951 წ.
15. „ციხე“, 1952 წ.
16. „ოთარანთ ქვრივი“ (ინსცენირებული ილია ჭავჭავაძის მოთხრობის მიხედვით), 1952 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ირაკლი აბაშიძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | აბაშიძე ირაკლი ბესარიონის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | არა მაქვს |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1909 თვე ნოემბერი დღე 27 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ქ. ხონში (ამჟამად წულუკიძე) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | ყოფ. აზნაური |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე (ცოლშვილიანი) |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულზე |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1929 წლიდან |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1934 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | საქარ. პროლეტ. მწერალთა ასოციაციაში |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, თბილისის სტალინის სახელობის, ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული, ვკითხულობ და ვწერ გერმანულად |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | ვმსახურობდი წითელ არმიაში, პოლიტნაწილში, 1931–33 წ. |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | წითელ არმიაში, პოლიტნაწილში, 1931–33 წ. |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პირველი მდივანი, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და თბილისის საბჭოს დეპუტატი</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>ორდენები: „საპატიო ნიშნის“, „შრომის წითელი დროშის“; მედალები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>საქ. მწერალთა კავშირი, პირველი მდივანი შტატით</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>თბილისი, კობის ქ. 14/16, 3-61-75</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

| <p style="text-align: center;">მუშაობა წარსულში (შრომითი საქმიანობა)</p> | | | | |
|---|--------|--|--|--|
| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უნყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1931 | 1938 | სახელგამი, სარე- დაქციო სამუშა- ოზე | | ქალ. თბილისში |
| 1938 | 1939 | ჟურნალ „ჩვენი თაობას“ რედაქ- ციაში | საქ. მწერალთა კავშირის ორგანო | ქ. თბილისი |
| 1939 | 1944 | პასუხისმგებელი მდივანი საქარ- თველოს საბჭო- თა მწერლების კავშირისა | | თბილისი |
| 1946 | 1953 | პასუხისმგებელი რედაქტორი ჟურ- ნალ „მნათობისა“ | | თბილისი |
| 1953 | – | არჩეული ვარ საქ. საბჭოთა მწერლე- ბის კავშირის გამგე- ობის პირველ მდივ- ნად | | ქ. თბილისი |
| <p>სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.</p> | | | | |

ირაკლი ბესარიონის-ძე აბაშიძის ავტობიოგრაფია

დავიბადე 27 ნოემბერს, 1909 წელს ქ. ხონში (წულუკიძეში), მოსამსახურის ოჯახში. მამა მუშაობდა ხონის სახ. ბანკის მოანგარიშედ, დედა იყო დიასახლისი. მამა გარდაიცვალა 1918 წელს, დედა კი – 1947 წელს.

დავამთავრე ხონის საშუალო სასწავლებელი 1926 წელს, რის შემდეგ შევედი უმაღლეს სასწავლებელში თბილისის სტალინის სახ. უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1930 წელს. 1933 წელს შევედი ასპირანტურაში აღნიშნულ უნივერსიტეტში, სადაც ვსწავლობდი 1935 წლამდე. 1930 წლიდან ვმუშაობდი სხვადასხვა საპასუხისმგებლო სამუშაოებზე (რედაქციებსა და გამომცემლობებში).

წერა დავიწყე და ჩემი ნაწარმოებები დაიბეჭდა 1928 წელს. ჩემი ნაწარმოებები იბეჭდება და გამოდის მოძმე ხალხთა რესპუბლიკის ენაზე (რუსული, უკრაინული, სომხური და სხვ.) ჩემი ლექსების ნიგნები გამოიცა 1931, 41, 50 და 1953 წ.წ.

1939 წელს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მეორე ყრილობის მიერ არჩეული ვიქენი პასუხისმგებელ მდივნად. ამ თანამდებობაზე ვიმუშავე 1944 წლის ბოლომდე. 1946 წელს მუშაობა დავიწყე გაზ. „კომუნისტის“ რედაქციაში (საბ. კ.პ.ც-კ-ს ორგანო) და სახელგამში. ამავე 1946 წელს დანიშნული ვიქენი პასუხისმგებელ რედაქტორად ყოველთვიურ ჟურნალ „მნათობში“ (საქ. მწერალთა კავშირის ორგანო). 1953 წლის ივნისში არჩეული ვიქენი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პირველ მდივნად.

ალკკ რიგებში შევედი 1925 წელს, ხოლო სკკპ წევრი ვარ 1939 წლიდან. პარტიული სასჯელი არ მქონია. სხვა პარტიებში არასოდეს არ ვირიცხებოდი.

ლიტერატურული დამსახურებისათვის საკავშირო უმაღლესი საბჭოს მიერ დაჯილდოვებული ვარ „შრომის წითელი დროშის“ და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის“ და „შრომითი მამაცობისათვის“ დიდ სამამულო ომში 1941–45 წლებში.

1939 წლიდან არჩეული ვარ თბილისის საბჭოს ყველა მოწვევის დეპუტატად. 1954 წელს არჩეული ვარ საკავშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ი. ბ. აბაშიძის ნაწარმოებთა სია:

1. ლექსების კრებული, 1931 წელს. 2. ლექსები, 1933 წ. 3. საბავშვო ლექსები, 1936 წ. 4. ლექსები „ბუნების ნიაღში“, 1939 წ. 5. ლექსები, 1941 წ. 6. ლექსების კრებული, 1947 წ. 7. „–“ „–“, 1948 წ. 8. „ჩვენი ბუნება“, 1950 წ. 9. „ყვავის საქართველო“, 1950 წ. 10. „რას გადაურჩა თბილისი“, 1950 წ. 11. „ერთი სიმღერა“, 1951 წ. 12. „რჩეული“, 1951 წ. 13. ახალი ლექსების კრებული, 1952 წ. აგრეთვე საბავშვო ლექსები და პოემები. ცალკეული ლექსები და ლექსების ციკლები ჟურნალ-გაზეთებში.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვდასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

გიორგი ნატროშვილი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ნატროშვილი გიორგი კონსტანტინეს-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1910 თვე იანვრის დღე 10 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ზემო-მაჩხაანი (სიღნაღის მაზრა) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | კრიტიკა, პროზა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1930 |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1934 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმალლესი, დაამთავრა ფილოლოგიური ფაკულტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | ვმსახურობდი სამამულო ომის დროს |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | მონაწილეობას ვიღებდი დასავლეთის ფრონტზე 1941-42 წ. სმოლენსკის მიმართულებით, ვიყავი დაჭრილი ორივე ფეხებში |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>მობსნილი ვარ</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>გაზეთის რედაქტორი მწერალთა კავშირის გამგეობისა და პრეზიდენტის წევრი</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>„სამამულო ომის“ ორდენი, მე-2 ხარისხის „შრომის წითელი დროშის ორდენი“, მედალი „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>გაზეთ „ლიტ. გაზეთი“, მწერალთა კავშირის ორგანო</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>პლესხანოვის 83/23</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|---|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1929 | 30 | ლიტმუშაკი | გაზ. „ახალგაზ- რდა კომუნისტი“ | |
| 1930 | 32 | ლიტკონსულ- ტანტი | პრ. მწერალთა ასო- ციაციისა | |
| 1933 | 34 | კურსანტი | რკკკ რიგებში | |
| 1935 | 37 | განყ. გამგე | ჟურნ. „მნათობისა“ | |
| 1937 | 41 | რედაქტორის მოადგილე | გაზ. „ლიტერატუ- რული საქართვე- ლო“ | |
| 1941 | 43 | ოფიცერი | წითელ არმიის რიგებში | |
| 1943 | 53 | პ/მგ. რედაქტორი | გაზ. „ლიტ. და ხელოვნება“ | |
| 1953 | წლიდან | დღემდე პ/მგ. რედაქტორი | გაზ. „ლიტ. და ხელოვნება“ | |
| <p>სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.</p> | | | | |

შეკვ. №193. ტ. 1000

ხელმოწერა _____

გიორგი კონსტანტინეს-ძე ნატროშვილის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1910 წ., იანვრის 10, სოფელ ზემო მაჩხაანში (ყოფ. სიღნაღის მაზრა, თბილისის გუბერნია, ახლანდელი წითელ წყაროს რაიონი).

ჩემი მშობლები რევოლუციამდეც და რევოლუციის შემდეგაც ცხოვრობდნენ სოფლად და ეწეოდნენ სასოფლო-სამეურნეო მუშაობას.

პირველ დაწყებითი განათლება მივიღე სოფელ ქვემო მაჩხაანში, შვიდწლიან შრომის სკოლაში, რომელიც დავამთავრე 1925 წელს. ამავე წელს შევედი ქ. სიღნაღის პედაგოგიურ ტექნიკუმში, 1929 წელს აღნიშნული ტექნიკუმი დავამთავრე და ჩავერიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტი დავამთავრე 1932 წელს.

1933 წელს გამიწვიეს ჯარში, 1934 წელს დავამთავრე წითელ არმიის სამსახური ლეიტენანტის ხარისხით.

1935 წლიდან 1937 წლამდე ვმუშაობდი გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციაში განყოფილების გამგის თანამდებობაზე. 1937 წლიდან 1938 წლამდე ვმუშაობდი ჟურნალ „მნათობის“ რედაქციაში განყოფილების გამგედ. 1938 წლიდან ვმუშაობდი გაზეთ „ლიტერატურ. და საქართველო“ პ/მგ. რედაქტორის მოადგილეთ. 1925 წელს შევედი კომკავშირის რიგებში, ხოლო 1939 წლიდან ვარ კპ-ს წევრი.

ლიტერატურულ კრიტიკაში მუშაობა დავიწყე 1930 წელს. გამოცემული მაქვს ნიგნები და ცალკე ნერილები ლიტერატურის საკითხებზე.

გ. ნატროშვილის ნაწარმოებთა სია:

1. ლიტერატურის მეცნიერებათა საკითხები, 1932 წ.
2. დავით კლდიაშვილის მონოგრაფია, 1934 წ.
3. ლიტერატურული ეტიუდები, 1941 წ.
4. დასავლეთის ფრონტზე, მოთხრობების კრებული, 1943 წ.
5. ლიტერატურული ეტიუდები, 1947 წ.
6. ალექსანდრე ყაზბეგი, მონოგრაფია, 1948 წ.
7. ნერილები: კ. ლორთქიფანიძის, ალ. ქუთათელის, გ. ლეონიძის და სხვა ნიგნებზე.
8. „კაფანდარა“ (ზღაპარი), 1950 წ.
9. „დავით გურამიშვილი“, 1955 წ.
10. მოთხრობები, 1955 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

გიორგი სამხარაძე – გიასელი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | სამხარაძე გიორგი აპოლონის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | გიასელი |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1910 თვე იანვარი დღე 12 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. ფერსადი (ბაღდათის რაიონი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია, ლიტერატურული კრიტიკა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1928 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1934 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | საქართველოს პროლეტ-მწერალთა ასოციაცია |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, ქუთაისის პედ. ინსტიტუტი ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>ადმ. შემადგენლობა</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>სადეპუტატო მუშაობა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედეგები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>ქუთაისის პედ. ინსტიტუტის დოცენტი</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ჭავჭავაძის მე-8 შეს. 9</p> |

„ — “ _____ 1952 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშვნით | უნწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|---|---|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1930 | 31 | დირექტორის მოადგილე | 8 შვიდწლედისა | ქუთაისში |
| 1932 | 33 | სტუდენტი | სახ. უნივერსიტე- ტის ფილოლოგიის ფაკულტეტისა | თბილისი |
| 1931 | 32 | დირექტორი | მე-8 შვიდწლიანი სკოლისა | ქუთაისში |
| 1933 | 36 | სტუდენტი | პედ. ინსტიტუ- ტისა | ქუთაისში |
| 1937 | 39 | ასპირანტი | ფილოსოფიისა და ფილოლოგიის ინსტიტუტისა | მოსკოვი |
| 1939 | 41 | ლექტორი | სახ. პედ. ინსტი- ტუტისა | ქუთაისში |
| 1941 | 44 | პ/მგ. მდივანი | გაზ. „ინდუსტრი- ული ქუთაისი“ | „-“ |
| 1944 | | პ/მგ. მდივანი | მწერალთა კავში- რის ქუთაისის განყოფილებისა | „-“ |
| | | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

გიორგი აპოლონის-ძე სამხარაძის (გიასელის) ავტობიოგრაფია

მე, გიორგი აპოლონის-ძე სამხარაძე (ლიტერატურული ფსევდონიმი – გიორგი გიასელი), დავიბადე სოფ. ფერსადში (ბაღდათის რაიონი, საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკა), 1910 წ. 12 იანვარს.

სწავლა დავიწყე 1918 წელს ქ. ქუთაისში. შვიდწლიანი დავამთავრე ქუთაისში, 1930 წელს დავამთავრე ქუთაისის პედაგოგიური ტექნიკუმი.

1932 წელს განვაგრძე სწავლა თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. ეს ინსტიტუტი გადმოტანილ იქნა ქუთაისში, რომელიც დავამთავრე 1936 წელს. როგორც ფრიადოსანი კურსდამთავრებული დატოვებული ვიქენი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრასთან დასასპეციალისტებლად.

ასპირანტურის 2-ე კურსი დავამთავრე ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო 1938 წელს მივლინებული ვიყავი ქ. მოსკოვში ლიტერატურის, ფილოსოფიისა და ისტორიის ინსტიტუტში. იქ ვმუშაობდი ფოლკლორსა და პოეტიკაში აკად. ი. სოკოლოვთან. მოსკოვში დავასრულე ასპირანტურა. ამჟამად ვკითხულობ ლექციებს ფოლკლორსა და პოეტიკაში. მაქვს მეცნიერული სტატიები და გამოკვლევები ლიტერატურისა და ფოლკლორის საკითხებზე.

1941 წელს დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტში „სტალინის სახე ქართულ ხალხურ პოეზიაში“ და მივიღე ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატისა და დოცენტის ნოდება ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრისა, რის შემდეგ ვკითხულობ ლექციებს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში – ქართული ფოლკლორი, თანამედროვე ქართული ლიტერატურის ისტორია (მე-20 საუკ.) და ლიტერატურის თეორიაზე.

ლიტერატურული მუშაობა დავიწყე 1928 წელს. ჯერ ვიყავი პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრი. შემდეგ, 1934 წლიდან, ვარ საბჭოთა მწერლების კავშირის წევრი და ამავე წლიდან ლიტერატურული ფონდის წევრი.

ჩემი ლექსები, რომლებიც იბეჭდებოდა და იბეჭდება როგორც ქუთაისის, ისე რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში და კრებულებში, ემსახურებოდა და ემსახურება საბჭოთა ხალხს, ჩვენს დიად უძლეველ სამშობლოს.

ჩვენი ლექსების თემა – ეს არის ჩვენი ქვეყნის ყოველდღიურობა და მიღწევები, ჩვენი უძლეველი პარტიის ხელმძღვანელობის ჩატარებული მუშაობა.

მე კარგად მაქვს შეგნებული საბჭოთა მწერლის მოვალეობა და როლი ქვეყნის წინაშე და მე მთელი გულითა და ენერგიით ვცდილობ, ვუმღერო ახალ ქვეყანას და ამ ქვეყნის ხალხთა ძმობას.

ვიყავი სრულიად საქართველოს საბჭოების მე-8 საგანგებო ყრილობის დელეგატი, აგრეთვე საკ. მწერალთა V პლენუმისა და სრ. საქართველოს საბჭოთა მწერლების ყრილობის დელეგატი.

ვარ მწერალთა კავშირის ყოველდღიური მასობრივი მუშაობის ხელმძღვანელი და ვკითხულობ მოხსენებებს ლიტერატურის თანამედროვეობის საკითხებზე. ვწერ წერილებს, ბიბლიოგრაფიებს და სხვ.

ვარ წევრი პოლიტიკურ მეცნიერებათა ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებისა, აგრეთვე თეატრალურ საზოგადოების წევრი.

1951 წელს არჩეული ვიყავი ქუთაისის ქალაქის საბჭოს დეპუტატად და ქუთაისის ქალაქკომის წევრად.

1952 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

გ. სამხარაძის ნაწარმოებთა სია

1. პოეტური ნაწარმოებები სოციალისტური მშენებლობის მშვიდობის სსრ ხალხთა მეგობრობის ახალგაზრდობის თემაზე.

2. „საქართველოს ლაჟვარდები“, 1948 წ.

3. „ი. ბ. სტალინი ქართულ ხალხურ პოეზიაში“, ლიტ. ნარკვევი.

4. „სოციალისტური საქართველო“ და პოემა.

5. „მშვიდობა გაიმარჯვებს“, პოემა.

6. წერილები „ხელოვნებასა და ლიტერატურაზე“.

7. „აკაკი წერეთელი და ქართული ფოლკლორი“.

8. „ხალხური წყაროები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში“.

9. „იაკობ გოგებაშვილის ესთეტიკური შეხედულებანი“.

10. „ლერმონტოვი და რუსული ხალხური პოეზია“.

11. პარტიული მოტივები ძველ ხალხურ ქართულ პოეზიაში“.

12. დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთლის იუბილეს ისტორიიდან.

13. „ქართველი პოეტები და ქუთაისი“.

1952 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

კლავდია დევდარიანი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | დევდარიანი კლავდია ემანუელის ასული |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1910 თვე აპრილი დღე 12 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. მირონწმინდა (ორჯონიკიძის რაიონი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | მოსამსახურის ოჯახიდან |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პროზა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1934 |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1945 |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმალღესი, თბილისის სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული, ქართული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემაღგენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღგენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>–</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>–</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>–</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>განათლების სამინისტრო – სახელმძღვანელოების განყოფილება, მეთოდისტ-ინსპექტორი</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ქობულეთის 20</p> |

„ ____ “ _____ 1952 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1931 | 32 | მასწავლებელი | ათნლედი და ტექ- ნიკუმი | ხარაგოული |
| 1932 | 37 | „-“ | V ტექნიკუმი | თბილისი |
| 1937 | 40 | კორექტორი | რედაქ. „საბჭოთა მწერალი“ | „-“ |
| 1940 | 48 | მდივანი | მწერალთა კავში- რის დრამატიუ- ლი სექცია | „-“ |
| 1948 | 49 | ლიტმუშაკი | გაზ. „ნორჩი ლე- ნინელი“ | „-“ |
| 1949 | | ინსპექტორ-მე- თოდისტი | განათლების სამი- ნისტროს სახელ- მძღვანელოების განყოფილება | „-“ |
| | | 1952 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

კლავდია ემანუილის ასული დევდარიანი ავტობიოგრაფია

დავიბადე 1910 წელს აპრილის 12-ს, ს. მირონწმინდაში (ორჯონიკიძის რაიონი, ქუთაისის ოლქი), მოსამსახურის ოჯახში.

1917 წელს შევედი ქუთაისის ცხრანლიან საშუალო სკოლაში, რომელიც დავამთავრე 1927 წელს. იმავე წელს შევედი თბილისის სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე და დავამთავრე 1931 წელს.

1931 წელს დავინყე პედაგოგიური მუშაობა, ვმუშაობდი ქართული ენის მასწავლებლად ცხრანლედებსა და ტექნიკუმებში, შემდეგ გადავედი თბილისის მეხუთე ტექნიკუმში და ვიმუშავე 1937 წლამდე.

1937 წლიდან მუშაობა დავინყე რედაქცია „საბჭოთა მწერალი“-ს კორექტორად და აგრეთვე ვიყავი რედაქციის მდივანიც. ვმუშაობდი აგრეთვე მწერალთა კავშირის დრამსექციის მდივნად. შემდეგ გადავედი გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციაში.

1949 წლიდან დღემდე ვმუშაობ ინსპექტორ-მეთოდისტად სახელმძღვანელოების განყოფილებაში (განათლების სამინისტრო), აგრეთვე შეთავსებით ვმუშაობ სახელგამის რედაქტორად.

ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვედი 1934 წელს, ხოლო ჩემი პირველი წიგნი „ნიას ქოჩორა“ გამოვიდა 1941 წელს. ამის შემდეგ სისტემატურად ვიბეჭდები პერიოდულ ჟურნალ-გაზეთებში და გამოცემულია ჩემი ნაშრომების წიგნებიც.

ნაწარმოებების სია

1. „ნიას ქოჩორა“, მოთხრობების კრებული, 1941 წ.
2. „დღიურის ფურცლები“, „ბულბული“, „ფუტკრები“.
3. „ჩიტუნის დღიური“.
4. „პატარა პარაშუტისტი“.
5. „რუსუდანის გასაჭირი“.
6. „რგვიანა“, „შეჯიბრი“, „შუქი“, „დაბრუნება“, „ზარი“, „დედა“, „სალამური“, „დედოფალი“, „გასრესილი შრომანი“.
7. მოთხრობების წიგნი, 1950 წ.
8. ჩემი მოთხრობები დაბეჭდილია ჟურნალ „დილაში“ და გაზეთ „ნორჩი ლენინელში“.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

გიორგი შატბერაშვილი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|------------------------------------|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | შატბერაშვილი გიორგი ივანეს-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1910 თვე აპრილის დღე 14 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) თბილისი |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | მოსამსახურის ოჯახი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია, პროზა, დრამატურგია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1932 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1934 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული, ქართული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემაღგენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღგენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>მეორე ჯგუფის თადარიგი</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>მწერლობა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>1935 წელს ვიყავი დაპატიმრებული, 1936 წელს გამანთავისუფლეს</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>მწერლობა</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>გოგებაშვილის 43</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უნყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|---|--------------|---|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1938 წლიდან | 44 წლამდე | მასწავლებელი | კასპის საშუალო სკოლაში | |
| 1948 | | ახალგაზრდა მწერლებთან მომუშავე კომი- სიის თავმჯდო- მარის მოადგილე | საქ. მწერალთა კავშირში | |
| 1952 | | ლიტმუშაკი | გაზეთი „გამარ- ჯვება“ | |
| <p>სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.</p> | | | | |

გიორგი ივანეს-ძე შატბერაშვილის ავტობიოგრაფია

დავიბადე ქალ. თბილისში, 1910 წელს, 14 აპრილს, მოსამსახურის ოჯახში. საშუალო სასწავლებელი დავამთავრე 1928 წელს, ქ. თბილისში, ხოლო იმავე წელს შევედი სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1932 წელს.

1933 წელს გამოვიდა ჩემი ლექსების პირველი წიგნი და იმავე წელს მიღებული ვიქენი საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრად.

1934 დავწერე პირველი პიესა „დუშმანი“ საკოლმეურნეო თემაზე. პიესა „დუშმანი“ იმავე წელს დადგმული იქნა რუსთაველის სახელობის სახ. თეატრში.

პროლეტარმწერალთა ასოციაციის რეორგანიზაციის შემდეგ მიღებული ვიყავი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრად.

1935 წ. ვიყავი დაპატიმრებული და გადასახლებული ქალაქ ალმა-ატაში (58-10 მუხ.) სამი წლით. ხოლო საქმეების ხელახალი გადასინჯვის შემდეგ განთავისუფლებული ვიქენი 1936 წელს. ამის შემდეგ 1944 წლამდე ვცხოვრობდი და ვმუშაობდი კასპის რაიონში, ქართული ენის მასწავლებლად საშუალო სკოლაში.

1944 წელს დავწერე მეორე დრამა „ფიქრის გორა“, რომელიც 1945 წელს დადგმულ იქნა მარჯანიშვილის სახ. თეატრში და რაიონის სხვა თეატრებში.

1947 წელს გამოვიდა ჩემი ნაწარმოებთა კრებული „ფიქრის გორის“ სახელწოდებით. დავწერე ახალი დრამა „რკინის პერანგი“, რომელიც თავის სცენაზე დადგა მარჯანიშვილის სახ. თეატრმა.

1948 წელს დავწერე პიესა „ძველი სახლი“, რომელმაც მიიღო რესპუბლიკური კონკურსის პრემია. დაიდგა მარჯანიშვილის სახ. თეატრში.

1949-50-51 წლებში გამოვიდა ჩემი წიგნები, ახალი მოთხრობების კრებული, რომელიც გამოსცა „საბჭოთა მწერალმა“ გამოვიდა საბავშვო მოთხრობების კრებული „კარგი ბიჭი“, აგრეთვე პიესები და სხვა; ზღაპარი „უკვდავი ფესვი“, „ხორბალა“, „მტკვრის სათავისაკენ“, „სიცოცხლის ძალა“ და სხვ.

გ. შატბერაშვილის ნაწარმოებთა სია:

1. ლექსების კრებული, 1932 წ. 2. „დუშმანი“, პიესა, 1934 წ. 3. „ფიქრის გორა“, „-“, 1934 წ. 4. ლექსები და მოთხრობები. 5. პიესების, მოთხრობებისა და ლექსების კრებული, 1946 წ. 6. „რკინის პერანგი“, პიესა, 1947 წ. 7. „ძველი სახლი“, 1949 წ. 8. „დილა“, 1950 წ. 9. „კარგი ბიჭი“, 1949 წ. 10. მოთხრობა „უკვდავი ფესვი“, კრებული. 11. პიესების კრებული, 1950 წ. 12. საბავშვო მოთხრობების კრებული „ხორბალა“, ზღაპარი. 13. „მტკვრის სათავისაკენ“, საბავშვო მოთხრობა, 1951 წ. 14. „სიცოცხლის ძალა“, მოთხრობა. 15. პიესა „ის ქალი“ და სხვა.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

გრიგოლ ჩიქოვანი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ჩიქოვანი გრიგოლ სამსონის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | არა |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1910 თვე სექტემბერი დღე 18 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) დ. კობი (სამეგრელო) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | აზნაური |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პროზა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1934 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1943 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, იურიდიული და კინო-მატოგრაფიული ფაკულტ., აკადემია მოსკოვში |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---------------------------------------|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>სამხედროვალდებული, ვუს 134</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>არა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>წულუკიძის 7, 3-76-03</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|---|--------|--|---|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1928 | 29 | აქტიორი | მოზ. მაყ. თეატრი | თბილისში |
| 1929 | 33 | აქტიორი | კინოსტუდიაში | „-“ |
| 1933 | 36 | ლიტმუშაკი | ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“ | |
| 1939 | 50 | სცენარისტი | 36 წ. ნავედი მოს- კოვს, დავბრუნდი 39 წელს და მუ- შაობა დავიწყე კინოსტუდიაში | |
| ამჟამად მუშაობს გამომცემლობა „საბჭოთა მწერლობაში“. | | | | |
| სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | | | |

გრ. ჩიქოვანის ნაწარმოებთა სია:

1. ცალკე მოთხრობები, გამოვიდა 1941 წელს.
 2. ყარამან ხვინგია, დათვია არაბული, იონა კორშია.
 3. მოხუცის ღიმილი, კაცი გამოქვაბულში, კოლხიდის ჩირაღდნები.
 4. კინოსცენარი, 1943 წელს.
 5. მოთხრობები და ნოველები, 1946 წ.
 6. მოთხრობა „მისი გაზაფხული“, 1947 წ.
 7. პიესა „ორი ქოსატყუილა“, დაიდგა თოჯინების თეატრში, 1950 წ.
 8. მოთხრობების კრებული რუსულ ენაზე, 1945 წ.
- სისტემატურად იბეჭდებოდა ჩემი ნარკვევები საბჭოთა ჟურნალ-გაზეთებში.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვდასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ავტობიოგრაფია

ყოველთვის მიჭირდა ავტობიოგრაფიის დაწერა. ახლა უფრო მეტად მიჭირს, რადგან ამას ლიტერატურული მუზეუმი მავალეხს.

ჩემს ბიოგრაფიაში რაიმე მნიშვნელოვანი მომენტი არ ყოფილა, გარდა ჩემი პირველი მოთხრობისა და ჩემი ვაჟის – ოთარ ჩიქოვანის მედიცინის მეცნიერების კანდიდატობაზე დისერტაციის ბრწყინვალე დაცვისა და აგრეთვე ჩემი დაბადების 60 წლისთავზე პრესის, მეგობრებისა და მკითხველების გულთბილი გამოსმაურებისა.

1910 წლის 15 მარტს დავიბადე. დღემდე მეგონა, რომ 18 სექტემბერს ვიყავი დაბადებული და ჩემი დაბადების 60 წლისთავი ამ თარიღით აღინიშნა.

მამაჩემი ოზურგეთის მაზრის უფროსის მოადგილე იყო. პროგრესულად მოაზროვნე და ხალხის დიდი მოსარჩლე და საყვარელი კაცი იყო. ოთხი წლისა ვიყავი, ხალხის გამოქომაგების გამო მაზრის უფროსთან მოუვიდა უსიამოვნო შელაპარაკება, გადაუწყვეტია მისი მოკვლა, მაგრამ გაუკავებიათ და ნადილი რომ ვერ შეუსრულებია, გული გასკდომია.

დედამ ექვსი შვილი ობლობაში დაგვზარდა. 1921 წელს უფროსმა ძმამ თბილისში წამომიყვანა. აქ 1927 წელს დავამთავრე მესამე საცდელ-საჩვენებელი სკოლა. უსახსრობის გამო 1932 წლამდე უნივერსიტეტში ვერ შევედი. ექვსი წელიწადი ვმუშაობდი ფოთის ნავსადგურში, ქარხანაში, თეატრში, რედაქციაში, სტამბაში.

1934 წელს გაზეთში დაიბეჭდა ცნობა, რომ არსდება ახალგაზრდა მწერლებისათვის ჟურნალი „ახალგაზრდა მწერალი“ (შემდეგ „ჩვენ თაობად“ გადაკეთდა). ცნობაში ნათქვამი იყო, დამწყებ მწერლებს მოეტანათ ლექსები, მოთხრობები და ნარკვევები. მაშინ დავწერე პირველი მოთხრობა „ყარამან ხვინგია“ („სიკვდილი თხრილში“), მივიტანე რედაქციაში. კარებიდან დავინახე ჩემი სათაყვანებელი მწერალი – ლეო ქიაჩელი. მითხრეს, მას უნდა შეუტანო

მოთხრობაო. ვერ გავბედე შესვლა. არ მახსოვს, ვინ იყო, შემატყო, ალბათ, რა გაუბედავად ვიყავი ატუზული დერეფანში, მომიკიდა ხელი და მიმიყვანა ლეო ქიაჩელთან. ლეომ გამილიმა ჭკვიანი, საოცრად კეთილი თვალებით და მოთხრობა გამომართვა. ყარამან ხვინგია, კარგი გვარი და სახელია, მითხრა და ისევ გამილიმა. ერთი კვირის შემდეგ უნდა მივსულიყავი პასუხისათვის. არ მქონდა იმედი, რომ ლეოს მოენონებოდა ჩემი მოთხრობა და არც ერთი კვირის და არც ერთი თვის შემდეგ მივედი.

ერთხელ რუსთაველის პროსპექტზე, ნვიმიან დღეს, თვალი მოვკარი ბატონ ლეოს. მაშინვე თავი ავარიდე იმის შიშით, რომ ჩემი მოთხრობა დაწუნებული ექნებოდა (აბა, რას ვიფიქრებდი, ასეთ დიდ მწერალს თუ მოენონებოდა ჩემი პირველი „ნანარმოები“!). ბატონმა ლეომ მაინც დამინახა და თავისთან მიმიხმო. რატომ არ მოხვედი, ყმანვილო, შენი მოთხრობის თაობაზეო, მკითხა ცოტა გაკვირვებულმა. არ მახსოვს, პასუხად რა წავილულე. შენი მოთხრობა მოგვეწონა და ვბეჭდავთო, მითხრა კმაყოფილებით. ლეო ქიაჩელს მოენონა ჩემი მოთხრობა! ყურს არ ვუჯერებდი. მხარზე ხელი დამადო და მკითხა: შენ სამსონის შვილი არა ხარო? კარგი კაცი იყო მამაშენიო.

ბატონ ლეოს რომ არ წავეხალისებინე, რომ არ მოსწონებოდა ჩემი მოთხრობა, თბილად არ მომქცეოდა, მამურად არ მომქცეოდა, შეიძლება არც დავემდგარიყავი მწერალი.

1936 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დავამთავრე, მაგრამ როგორც იურისტს არ მიმუშავნია. იმავე წელიწადს მწერალთა კავშირმა მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტთან არსებულ აკადემიის ტიპის სასცენარო ფაკულტეტზე გამგზავნა სასწავლებლად. ეს ფაკულტეტი დავამთავრე 1939 წელს. ჩემი სცენარის მიხედვით დადგმულია სამი ფილმი. უნდა ავლნიშნო, რომ 1939 წელს პირველმა მე დაწვერე საბჭოთა კინემატოგრაფიაში სცენარი, რომელიც მშენებლობის მასალაზე და ფონზე იყო გაშლილი. ამ სცენარით გადაღებულ ფილმს ერქვა „კოლხიდის ჩირაღდნები“.

ჩემი ორი მოთხრობა ინსცენირებულია თეატრისათვის.

გამოქვეყნებული მაქვს ნარკვევების ორი ნიგნი.

ჩემი მოთხრობები და ნარკვევები იბეჭდება როგორც მოძმე რესპუბლიკებში, ასევე უცხოეთშიც.

1933 წლიდან ვთანამშრომლობდი ჟურნალ-გაზეთებში. 1950 წლიდან 1955 წლამდე ვმუშაობდი ჟურნალ „მნათობის“ პროზის განყოფილების გამგედ, 1955 წლიდან დღემდე გამომცემლობა „საბჭოთა მწერალში“ მთავარ რედაქტორად. ამ გამომცემლობასთან გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“ და „ხელოვნება“ რომ შემოერთდა, შემდეგ ეწოდა „ლიტერატურა და ხელოვნება“, ამჟამად კი „მერანი“ ჰქვია. თხუთმეტი წელიწადია ამ გამომცემლობაში ვმუშაობ.

წელს შემისრულდა 60 წელი. დაბეჭდილი მაქვს მოთხრობების 25 ნიგნი. აი, ჩემი ავტობიოგრაფია ძალიან მოკლეა.

გრიგოლ ჩიქოვანი
[1970]

ვლადიმერ გოლოვევი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | გოლოვევი ვლადიმერ ესტატეს-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1910 თვე ნოემბერი დღე 6 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. სარბიელი (დუშეთის მაზრა) |
| 4. ეროვნება | ოსი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პროზა |
| 8. რა ენაზე წერს | ოსურ ენაზე |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1940 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1953 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არცერთს |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | დაამთავრა ჟურნალისტიკის უმაღლესი კურსები |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ოსური, რუსული, ქართული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--------------------------------------|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>—</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>—</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>სახელგამის დირექტორი</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>მიქოიანის შეს. 7</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1928 | 30 | მასწავლებელი | სოფ. სარბიელი დანყებითი სკოლა | |
| 1930 | 31 | მონაგარიშე | სოფ. სარბიელის კოლმეურნეობა | |
| 1931 | 35 | სტუდენტი | ჟურნალისტიკის უმაღლესი კურ- სები | მოსკოვი |
| 1935 | 37 | განყ. გამგე | ოსური საოლქო გაზეთი „კომუ- ნისტი“ | სტალინირი |
| 1937 | 40 | პ/მგ. რედაქტორი | რაიონული გაზეთი | ლენინგორი |
| 1940 | 44 | პ/მგ. მდივანი | საოლქო გაზეთი „კომუნისტი“ | სტალინირი |
| 1944 | 49 | რწმუნებული | სად. რადიო კომიტეტისა | „-“ |
| 1949 | 52 | პ/მგ. რედაქტორი | საოლქო გაზეთი „კომუნისტი“ | „-“ |
| 1952 | | დირექტორი | სამხრეთ-ოსეთის სახელგამი | „-“ |
| | | 1953 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

ვლადიმერ ესტატეს-ძე გოლოვეის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1910 წელს, ნოემბრის 6, სოფ. სარბიელში (დუშეთის მაზრა), გლეხის ოჯახში. 1927 წლამდე მე ვმუშაობდი მწყემსად და ვენეოდი თვითგანათლებას. 1927 წელს შევედი მაშინდელი ქ. ცხინვალის ორწლიან სამასწავლებლო კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგ, 1928–30 წლებში, ვმუშაობდი მასწავლებლად მშობლიურ სოფელში. აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი სოფ. სარბიელში ჯერ კომუნისა და შემდეგ კოლმეურნეობის ჩამოყალიბებაში.

1924 წლიდან მე ვიყავი ოსური საოლქო გაზეთის „კომუნისტის“ სოფლკორი, ხოლო 30-იან წლებში გავხდი სკკპ ცეკას ორგანო „საგლეხო გაზეთის“ სოფლკორი. აღნიშნული გაზეთის რედაქციამ 1931 წელს მე, როგორც აქტიური კორესპონდენტი გამგზავნა სასწავლებლად მოსკოვში, სადაც პირველად ვსწავლობდი მუშავაკში, შემდეგ კი შევედი ჟურნალისტიკის უმაღლეს კურსებზე, რომელიც არსებობდა ზემოაღნიშნულ „საგლეხო გაზეთი“-ს გამომცემლობასთან. ამ კურსების დამთავრების შემდეგ 1935 წელს მუშაობა დავიწყე ოსური საოლქო გაზეთ „კომუნისტის“ განყოფილების გამგეთ. 1937–40 წლებში ვმუშაობდი ლენინგორის რაიონული გაზეთის რედაქტორად, შემდეგ კი ისევ დავიწყე მუშაობა საოლქო გაზეთში. 1944–49 წლებში ვმუშაობდი საქართველოს რადიოკომიტეტის რწმუნებულად სამხრეთ ოსეთში, ხოლო 49–52 წლებში საოლქო გაზეთ „კომუნისტის“ პ/მგ. რედაქტორად. 1952 წლიდან კი ვმუშაობ სამხრეთ-ოსეთის სახელგამის ღირექტორად.

ლიტერატურული მოღვაწეობა დავიწყე 1931–40 წლებში. ვწერდი ნარკვევებს, მოთხრობებს, რომელიც იბეჭდებოდა მოსკოვის კრებულებსა, ჟურნალებსა და გაზეთებში. ერთ-ერთი ჩემი ნარკვევი „საკუთრება“ დაიბეჭდა ჟურნალ „ჩვენს მიღწევებში“ (1932 წ.), რომლის რედაქტორი იყო მაქსიმ გორკი.

განსაკუთრებით ინტენსიურად ლიტერატურულ მუშაობაში ჩავები 1940 წლიდან. 1952 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა ჩემი მოთხრობებისა და ნარკვევების წიგნი. ამჟამად ვამთავრებ ნარკვევებისა და მოთხრობების წიგნს „ჩვენი დროის ადამიანები“.

ჩემი ნაწარმოებებია:

1. „მწყემსი“, 1950 წელი.
2. „ბელადის სამშობლოში“, 1950 წ.
3. „საჩუქარი“,
4. „დაბრუნდა“, 1950 წ.
5. „სამგორი“, 1950 წ.
6. „გაზაფხული კოლმეურნეობაში“, 1951 წ.
7. „მკა“, 1951 წ.
8. „მთიელები მშვიდობისათვის“, 1951 წ.
9. „ხალხის ძალა“, 1951 წ.
10. „ახალი მზე“ (ნარკვევებისა და მოთხრობების კრებული), 51 წ.
11. „რიცას ტბასთან“, ნარკვევი, 52 წ.
12. „ანეტა“, მოთხრობა, 1952 წ. და სხვა მოთხრობები და ნარკვევები.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

დიმიტრი ბენაშვილი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | დიმიტრი გიორგის-ძე ბენაშვილი |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | არა მაქვს |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1910 თვე ნოემბერი დღე 25 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ზემო მაჩხაანი (თბილისის გუბერნია) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | კრიტიკა, ლიტერატურისმცოდნე |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულზე |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1928 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1936 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | საქარ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია |
| 12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ-ს წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | – |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის ფაკულტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | კანდიდატი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოცენტი |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | გერმანული, რუსული და ქართული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>რუსთაველის სახელობის ლიტერატურისა და ენის ინსტიტუტის განყ. გამგე სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედლები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>მეცნიერებათა აკადემია</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>გოგებაშვილის 52, 3-31-17</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|---|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1929 | 1933 | განყოფილ. გამგე | „ახალგაზრდა კომუნისტი“ | თბილისი |
| 1933 | 1935 | სასცენარო განყ. გამგე | საქ. სახკინმრეწ- ვში | „-“ |
| 1935 | 1937 | პ/მგ. მდივანი და შემდეგ რედაქ- ტორი | კრებული „ახალ- გაზრდა ბოლშე- ვიკი“ | „-“ |
| 1937 | 1937 | კრიტიკის განყ. გამგე | გაზ. „ლიტერატუ- რული გაზეთი“ | „-“ |
| 1939 | 1941 | პ/მგ. მდივანი | ჟურნ. „ჩვენი თაო- ბა“, სსმკ ორგანო | „-“ |
| 1941 | 1949 | სარეპერტუარო კომიტეტის უფ- როსი | ხელოვნების საქ- მეთა სამმართვე- ლო | „-“ |
| 1947 | 1952 | უფროსი მეცნ. მუშაკი. | ქართული ლიტე- რატურისა და ის- ტორიის ინსტი- ტუტი მეცნ. აკა- დემიასთან | „-“ |
| 1952 წლიდან | | საბჭოთა ლიტე- რატურის განყ. გამგე | მეცნიერებათა აკადემია | „-“ |
| | | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

შეკვ. №193. ტ. 1000

ხელმოწერა _____

დიმიტრი გიორგის-ძე ბენაშვილის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1910 წელს, ნოემბრის 25-ს, ყოფ. თბილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრაში, სოფელ ზემო მაჩხაანში.

ჩემი მშობლები მისდევდნენ სოფლის მეურნეობას. ქართული ანბანი დედამ სახლში შემასწავლა სკოლის ასაკამდე. დედის წყალობით გავეცანი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“, „აბესალომ და ეთერს“, ფოლკლორს, „არსენა“-ს ლექსს. ალექსანდრე ყაზბეგის ზოგიერთ რომანებს, ილია ჭავჭავაძისა და აკაკის ლექსების ნაწილს. მამის საშუალებით, ჯერ კიდევ ბავშვობის პირველ გარიჟრაჟზე, გავეცანი ხალხურ ზღაპრებს. განსაკუთრებით მიყვარდა „შვიდფერი რაინდი“ და „ათასერთლამე“-ს ზოგიერთი თავები.

პირველ დაწყებითი სწავლა მივიღე სოფ. ზემო მაჩხაანის სამკლასიან სასწავლებელში. მასწავლებლად მონაფეებს გვყავდა თავის დროზე ფრიად განათლებული და ქართული კლასიკური მწერლობის უდიდესი მოყვარული ქალი – ელენე ბოსტაშვილი. ამ ადამიანმა შემაყვარა ქართული ენის ისტორია და ქართული მწერლობა. არასოდეს არ დამავინცდებია, როგორ სტიროდა იგი აკაკი წერეთლის ლექსის – „ცა ფირუზ ხმელეთ ზურმუხტო“-ს კითხვის დროს. სამი წელი ვსწავლობდი ამ შესანიშნავი ადამიანის ხელში. სამი წლის მანძილზე მან მონაფეებს შთაუწერგა სიყვარული ქართველი ხალხისა, პატივისცემა ქართველი მწერლობისა და სურვილი სწავლის გაგრძელებისა.

სამკლასიანი პირველ დაწყებითი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ რამდენიმე მონაფე, ჩვენი პირველი მასწავლებლის დახმარებით, შევედით სოფელ ქვევემო მაჩხაანის არასრულ საშუალო სკოლაში. ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა გავაგრძელე სიღნაღის პედაგოგიურ ტექნიკუმში.

პედაგოგიური ტექნიკუმიდან ორი მონაფე, როგორც საუკეთესო მოსწავლეები, გამოგვგზავნეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ შევედი სახ. უნივერსიტეტთან არსებულ ასპირანტურაში. აქ დავეყავი ორწელიწად ნახევარი.

ლიტერატურულ კრიტიკაში მუშაობა დავიწყე 1928 წლიდან. დღემდე ცალკე წერილების გარდა სულ გამოცემული მაქვს 6 შრომა.

1. მატერიალისტური მეთოდოლოგიისათვის მხატვრულ შემოქმედებაში, 1931 წელი.

2. „ბრძოლა კლასიკოსობისათვის“, 1932 წ.

3. „ალექსანდრე ყაზბეგი“, 1938 წ.

4. „ხელოვნების საკითხები“, 1940 წ.

5. „ვაჟა ფშაველა“, 1940 წ.

6. „სახისა და ხასიათის პრობლემები „ვეფხისტყაოსანში“.

7. „ქართული სალიტერატურო კრიტიკა“ (ისტორიული კრებული, მიმოხილვა).

8. „ფორმისა და შინაარსის პრობლემა მე-20 საუკუნის ქართულ პოეზიაში“.

9. „დავით კლდიაშვილის შემოქმედება“.

10. „ხელოვნების დაცემისა და აყვავების მეთოდოლოგიური საფუძვლები“.

11. „ესთეტიკის საკითხები“.
12. ფილოსოფიურ-პოლიტიკურ და ლიტერ. მისტიციზმის წინააღმდეგ.
13. კომიზმის პრობლემა და ქართული საბჭოთა კომედიოგრაფია.
14. „მ. ლერმონტოვის შემოქმედება“.
15. „კ. გამსახურდიას შემოქმედება“.
16. „ალ. პუშკინის ცხოვრება და შემოქმედება“.
17. „ლენინი და სტალინი ქართულ პოეტურ ფოლკლორში“.
18. „სერგო კლდიაშვილის შემოქმედება“.
19. „გიორგი ლენინძის შემოქმედება“.
20. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“
21. „ილია ჭავჭავაძე“.
22. „დიმიტრი ფურმანოვი“.
23. „ნიკოლოზ ოსტროვსკი“.
24. „ისტორიული რომანის პრობლემა“.
25. „ხელოვნების ზოგიერთი საკითხები“.
26. „ლ. ტოლსტოი და ფ. დოსტოევსკი“ და სხვ.
27. „კრიტიკული და სოციალისტური რეალიზმის ურთიერთობის საკითხისათვის“.
28. „ტიპისა და სახის პრობლემა ქართულ საბჭოთა პროზაში“.
29. „ნიკო ლორთქიფანიძე“ (მონოგრაფია).
30. „ლეო ქიაჩელი“ (მონოგრაფია).
31. „პოლიკარპე კაკაბაძე“ (მონოგრაფია).
32. „გალაქტიონ ტაბიძე“ (მონოგრაფია).
33. „თეატრალური კრიტიკის მიზანი და ამოცანები მარქსისტულ ლენინური თვალსაზრისით“.
24. „უმანგი ჩხეიძე“ (მონოგრაფია).
35. „კოტე მარჯანიშვილი“ (მონოგრაფია).
36. „აკაკი ხორავა“ (მონოგრაფია).
37. „დრამის, კომედიის და ტრაგედიის პრობლემა საბჭოთა დრამატურ-გიაში“.
38. „ახალი ფორმის ძიება ქართულ საბჭოთა პოეზიაში“.
39. „არქაისტები და ნოვატორები“ (ლიტერ. პორტრეტები).
40. „ლიტერატურ. ახალგაზრდობა“.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

მარია – მარიამ მიქელაძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | მიქელაძე მარიამ აპოლონის ასული |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1910 თვე დეკემბრის დღე 23 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. კულაში (სამტრედიის რაიონი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | თავადი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია, პროზა, დრამატურგია, თარგმანები |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1929 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1988 წელს |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არცერთს |
| 12. პარტიულობა, № პარტიულისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|-------------------------|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, დაუმთავრებელი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--------------------------------------|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>არა</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>–</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისმგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>არსად არ მუშაობს</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>შევჩენკოს 20</p> |

ავადმყოფობის გამო არსად არ მიმუშავნია.

„ — „ _____ 195 წ. სწორია: ნ. კლ., 1956

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

მარიამ აპოლონის ასული მიქელაძის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1910 წელს, დეკემბრის 23, სოფელ კულაშში (სამტრედიის რაიონი), მცირემინანწლიან თავადის ოჯახში. მამა ჩემი აპოლონ როსტომის-ძე მიქელაძე სამხედრო პირი იყო; იგი მონაწილეობას იღებდა რუსეთ-ოსმალეთის ომში, სადაც დაიჭრა და სამსახურიდან განთავისუფლდა მცირე პენსიის და პოდპორუჩიკის ჩინით.

ჩვენი მრავალგზით დაგირავებული მამული თითქმის არავითარ შემოსავალს არ იძლეოდა და მთელი ჩვენი მრავალრიცხოვანი ოჯახი მამის მცირე პენსიის შემყურე იყო.

ჩემი დაბადების წელს მამული ვალში დარჩა ბანკს და ჩვენი ოჯახი გადასახლდა ქუთაისში.

მე ბავშვობიდანვე სუსტი ჯანმრთელობისა ვიყავი და ექიმებმა კატეგორიულად ამიკრძალეს სკოლაში სიარული. განათლება მივიღე შინ, დედისა და პედაგოგ დების დახმარებით.

1930 წელს ჩავაბარე გამოცდა სიმნიფის მონუმბაზე და ამავე წელს შევედი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურის ფაკულტეტზე (დაუსრებელ სექტორზე). ფრიადოსანი სტუდენტი ვიყავი, მაგრამ როდესაც მეორე კურსზე გადავედი, კვლავ მძიმე ავად გავხდი და იძულებული ვიყავი, სწავლა მიმეტოვებინა. 1936–38 წლებში ვმუშაობდი საქართველოს რადიო კომიტეტში საბავშვო რადიოს გადაცემათა რედაქტორად, მუშაობას თავი დავანებე ჯანმრთელობის გართულების გამო.

ლიტერატურული მუშაობა დავიწყე 1929 წელს.

ჩემი პირველი ლექსები, მოთხრობები და თარგმანები იბეჭდებოდა საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში („ოქტომბრელი“, „პიონერი“). 1931 წელს გამოვიდა ჩემი პირველი წიგნი, საბავშვო მოთხრობათა კრებული „ოთხი და მეხუთე“. შემდეგ წელს გამოვიდა ცალკე წიგნად ჩემი თარგმანები „ედისონის ბავშვობა“ და ვიტალი ბინკის მოთხრობა „ზღვის დიდ გზაზე“. აქედან დაწყებული დღემდე ჩვენი ნაწარმოებები ისტამბება ჩვენს პერიოდულ პრესაში: „კომუნისტში“, „ლიტ. საქართველოში“, „პიონერში“, „ოქტომბრელში“ და სხვ. 1935 წელს ცალკე წიგნებად გამოვიდა ჩემი თარგმანები მარშაკის ლექსები: „მისტერ ტვისტერ“ და „სულელი წრუნუნა“. 1939 წელს გამომცემლობა „ფედერაცია“ გამოსცა ჩვენი წიგნი „ლექსები“, რომელიც 30-მდე ლექსს შეიცავს. ამავე წელს გამოვიდა ჩემი საბავშვო მოთხრობათა კრებული „ციალას ბურთი“. საბავშვო გამომცემლობამ გამოსცა ჩემი საბავშვო წიგნი „მასი“.

1939 წლის განმავლობაში დავწერე საბავშვო კომედია „უჩინარი ზურა“ (დასადგმელად მიიღო მოზარდ მაცურებელთა თეატრმა), ვთარგმნე ჯონ ბინტონ პრისტავის პიესა „სახიფათო მოსახვევი“, აგრეთვე დავამთავრე პიესა „სიყვარულის თილისმა“, სადაც ასახულია კოლმეურნე ახალგაზრდობის ბრძოლა რელიგიის და ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ. განზრახული მაქვს, მიმდინარე წელსვე დავამთავრო პიესა თავდაცვით თემაზე, რომელიც გააზრებული

და დაწყებული მქონდა პოემად, სადაც ასახული უნდა იქნეს ზრდა და წარმატება საბჭოთა სინამდვილისა.

1944 წელს დავწერე პიესა „ორჯერ ორი ხუთია“.

მ. მიქელაძის ნაწარმოებთა სია:

1. საბავშვო მოთხრობები, 1930 წ.
2. ლექსების კრებული, 1939 წ.
3. „ციალას ბურთი“, საბავშვო მოთხრობათა კრებული, 1939 წ.
4. „უჩინარი ბიჭი“, საბ. პიესები, 1939 წ.
5. „სიყვარულის თილისმა“, კომედია, 1940 წ.
6. „ტანია“, პოემა, 1944 წ.
7. „ორჯერ ორი ხუთია“, პიესა, 1944 წ.
8. „თეთრი სახლი“, 2 საბ. პოემა, 1946 წ.
9. „ვიმღეროთ ბრძოლის ამბავი“, ლექსთა კრებული, 1947 წ.
10. „ომგადახდილი“, პიესა, 1947 წ.
11. „გამოდარება“, ლექსთა კრებული, 1948 წ.
12. „გარდამავალი დროშა“, საბავშვო მოთხრობათა კრებული, 1950 წ.
13. „მწვანე მეგობარი“, პიესა, 1950 წ.
14. თარგმანები: ბაინკი „ზღვის დიდ გზაზე“.
15. მარშაკი: „მისტერ ტვისტერ“, „სულელი წრუნუნა“.
16. ტურგენევი: „ნინა დლით“ და „პირველი სიყვარული“.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ივანე შაიშმელაშვილი

ავტობიოგრაფია

მე, ივანე დიმიტრის ძე შაიშმელაშვილი, დავიბადე 1910 წლის 25 სექტემბერს, ქ. თბილისში. მამაჩემი სოფ. ზემო მალაროდან (ქიზიყი) იყო, გლეხის ჩამომავალი (წინაპრები მეცხვარე-მემინდვრეები ყოფილან), თვითონ კი ამ დროს მუშაობდა თბილისში, საპნის ქარხანაში მოტორისტად. დედაჩემიც გლეხის ჩამომავალი იყო (სოფ. მელაანიდან – მარიამ იოსების ასული მესხიშვილი).

1917-1918 წლებში ჩვენი ოჯახი ისევ სოფ. მალაროს დაუბრუნდა (ეკონომიური ხელმოკლეობის გამო). ამ დროიდან მამაჩემი ქ. სიღნაღის წყალსატუმბი სადგურის, შემდეგ კი ელსადგურის მოტორისტად მუშაობდა პენსიაზე გასვლამდე (1941 წ.).

მე სიღნაღში დავინწყე სწავლა. 1927 წელს ჩემი სურვილით ჩამოველ თბილისში და გამოცდები ჩავაბარე ამიერკავკასიის სამხედრო სკოლაში, რომელიც დავამთავრე 1931 წელს და დანიშნულ ვიქენ ქ. გორში, მე-7 ქართული ლეგიონის ოცმეთაურის თანამდებობაზე. სამხედრო სკოლაში დაიბეჭდა ჩემი პირველი ლექსი (1929 წ.), იქვე შევედი კომკავშირში (1928 წ.), ხოლო შემდეგ სკკპ წევრობის კანდიდატად (1931 წ.). გორში ვმუშაობდი 1935 წლის მაისამდე. აქ გვექონდა ლიტერატურული წრე, გამოვეცით რამდენიმე ალმანახი (წრეში ირიცხებოდნენ: ა. გარსევანიშვილი, ხერხეულიძე, ა. აკოფოვი და სხვანი. იქ ერთი მე ვიყავი სამხედრო პირი). ამ პერიოდში ვიბეჭდებოდი გაზ. „წითელარმიელში“ (ლექსები, ნარკვევები). 1935 წელს საქ. მწერალთა კავშირის თავდაცვით ლიტსექციამ გამოსცა ჩემი მხედრული ლექსების პატარა კრებული (16 ლექსი).

1935 წლის მაისში გადმომიყვანეს ქ. თბილისში 1-ლი და მე-2 ქართული დივიზიების პოლიტგანყოფილების გაერთიანებულ ყოველდღიურ გაზეთ „წითელარმიელ“-ს რედაქციაში პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობაზე, სადაც დავყავი ამ დივიზიების დაშლამდე (1938 წ.). ამ პერიოდში ვიბეჭდებოდი გაზეთებში „კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „წითელარმიელში“ (ლექსები, მხატვრული ნარკვევები). ომის წინა პერიოდში ჟურნალი „ჩვენი თაობის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ჩემი პოემები: „ქარიშხალი თბილისში“, „უკანასკნელი ღამე“, „არწივის სიკვდილი“, „მდინარის გაღმა“, ხოლო ჟურნალმა „მნათობმა“ დაბეჭდა ჩემი სამხედრო-ისტორიული ნარკვევი „კრწანისის ბრძოლა“.

1939 წლის დეკემბერში მიმიღეს საქ. მწერალთა კავშირის წევრად, სკკპ წევრი გავხდი 1937 წელს.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ვმუშაობდი ათასეულის, ლეგიონის და ბოლოს, დივიზიის შტაბის უფროსად. ვმონაწილეობდი ირანში ლაშქრობაში, შემდეგ დიდხანს ვიყავი სსრკ-თურქეთის საზღვარზე, საიდანაც ჩვენი დივიზიის ნაწილები კავკასიის ქედის უღელტეხილების დაცვაშიც იღებდნენ მონაწილეობას. 1949 წელში პოლკოვნიკის, ხოლო 1962 წელში გენერალ-მაიორის წოდება მომენიჭა.

ომის წლებში ვბეჭდავდი ლექსებს დივიზიისა და ოლქის გაზეთებში (აგრეთვე მხატვრულ ნარკვევებს). 1944 წელში ცალკე ბროშურად გამოიცა

ჩემი „კრწანისის ომი“, 1963 წელს გამოიცა ჩემი წიგნი „ორი პოემა“ (აქედან ერთი – „გაუხსნელი ბარათი“ – ახალი, ერთი – ომამდელი). 1965 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა გადამუშავებული ვარიანტი ჩემი „კრწანისის ომისა“. 1969 წელს აგრეთვე ცალკე წიგნად გამოიცა ჩემი „ძველი საქართველოს ფოლადის გული“ (პომპეუსის შემოსევა იბერიაში).

1951 წელს დავამთავრე ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემია, ხოლო 1953 წელს გენერალური შტაბის სამხედრო აკადემია. ომის შემდეგ იბეჭდებოდა ჩემი ლექსები გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“, „სოფლის ცხოვრებაში“, სიღნაღის რაიონის გაზეთ „კოლმეურნეში“. რამდენიმე ისტორიული გამოკვლევა მიუძღვენ რუსთაველის სამხედრო ხელოვნების საკითხებს (ჟურნალი „დროშა“, 1958 წ., №11, ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“, 1966 წლის №9 და სხ.). ამჟამად ჟურნალ „მნათობს“ მიღებული აქვს დასაბეჭდად ჩემი „მარაბდა“, ხოლო „საბჭოთა საქართველოს“ – ჩემი წიგნი „ქალაქი-წალკოტი ქიზიყში“ (პირველში განხილულია მარაბდის ომი; მეორეში გადმოცემულია ქიზიყისა და კერძოდ, ქ. სიღნაღის წარსული და აწმყო).

ამჟამად ვამთავრებ გამოკვლევას „ოქროს ხანის სტრატეგია“ (ქართული სამხედრო ხელოვნება XI-XIII საუკუნეებში), ვწერ ლექსებს.

1971 წლის აპრილიდან, არმიაში 42 წლის სამსახურის შემდეგ, გავედი თადარიგში.

ვცხოვრობ ქ. თბილისში, ბარათაშვილის ქ. №12.

*ივ. შაიშმელაშვილი
თბილისი, 1971 წლის 15 თებერვალი*

ილია კაჩმაზოვი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | კაჩმაზოვი ილია თადეოზის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | ილია კაჩმაზოვი |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1910 თვე _____ დღე — |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. კეველთა (ჯავის რაიონი) |
| 4. ეროვნება | ოსი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | დრამატურგია, პოეზია, ლიტერ. ფოლკლორი |
| 8. რა ენაზე წერს | ოსურ ენაზე |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1928 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1941 წლიდან |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არცერთში |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, დაუმთავრებელი სცენიური ხელოვნებისა და კინო-აქტიორული ფაკულტეტი ლენინგრადის ინსტიტუტისა |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული, ოსური |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>არასამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>პირველადი პარტორგანიზაციის მოადგილე</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>არა მაქვს</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>მწერლობა</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>სტალინირი</p> |

„ ____ “ _____ 1952 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1931 | წელი | მსახიობი | სტალინირის სახ. თეატრი | სტალინირში |
| 1931 | 33 | სტუდენტი-მსა- ხიობი | ლენინგრადის სახელმწიფო ინ- სტიტუტი სასცე- ნო ხელოვნებისა | |
| 1933 | 34 | რეჟისორი-მსა- ხიობი | სტალინირის სახ. თეატრი | |
| 1934 | 38 | მსახიობი | რუსთაველის თეატრი | თბილისი |
| 1939 | | მასწავლებელი | რუსული სკოლა | სტალინირი |
| 1939 | 48 | მასიური სექტო- რის გამგე | სამხრეთ ოსეთის მწერალთა კავშირი | სტალინირი |
| 1948 | 50 | პენსიონერი | | „-“ |
| 1950 | წლიდან | პ/მგ. მდივანი | ჟურნ. „ფიდიოუგი“ | „-“ |
| | | 1952 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

ილია თადეოზის-ძე კაჩმაზოვის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1910 წელს, ლარიბი რევოლუციონერის ოჯახში, ჯავის რაიონის სოფ. კევსელთაში. მამაჩემი 1918 წელს მენშევიკებთან ბრძოლის დროს დაიღუპა. 7 წლიდან მე ვმოჯამაგირეობდი კულაკებთან. 1923–30 წლებში ვიზრდებოდი სხვადასხვა საბავშვო სახლებში.

1928 წელს დავამთავრე ქ. თბილისის შვიდწლიანი საშუალო სკოლა, რის შემდეგ ვმუშაობდი თბილისის თვითმოქმედ თეატრში მოკარნახეთ და შემდეგ კი – მსახიობად. 1931 წელს ვმუშაობდი მსახიობად სტალინირის სახელმწიფო თეატრში.

1931–33 წლებში ვსწავლობდი და ვმუშაობდი ლენინგრადის კინემატოგრაფიისა და სასცენო ხელოვნების ინსტიტუტში, რის შემდეგ ისევ დავუბრუნდი სტალინირის თეატრს, სადაც ვმუშაობდი რეჟისორად და მსახიობად.

1934–38 წლებში კი მე ვმუშაობდი და ვსწავლობდი რუსთაველის სახელობის თეატრში (თბილისი).

დანყებულნი 1939 წლიდან 1948 წლამდე ვმუშაობდი სამხრეთ ოსეთის მწერალთა კავშირის მასიური განყოფილების გამგედ.

სამამულო ომის დღეებში შეთავსებით ვმუშაობდი რადიო კომიტეტში და სხვა ორგანიზაციებში.

1948 წლიდან გადავედი პერსონალურ პენსიაზე.

ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვედი 1928 წლიდან. აქედან მოყოლებული ჩემი ლექსები და ნარკვევები სისტემატურად იბეჭდებოდა და იბეჭდება პერიოდულ ჟურნალ-გაზეთებში და გამოცემულია ცალკე წიგნებად.

1959 წლიდან ვმუშაობდი ჟურნ. „ფიდიოუგის“ პ/მგ მდივნად.

ჩემი ნაწარმოებებია:

1. „უკანასკნელი ღამე“, პიესა, 1938 წ.
 2. „მზე“ (პოემებისა და ლექსების კრებული), 1940 წ.
 3. „ისააკი“, პიესა.
 4. „ახალი ცხოვრება“, პიესა.
 5. „მართა“, პოემა, 1947 წ.
 6. „ზანგების ბედი“, პიესა.
 7. „სტალინი“ გ. ლეონიძისა (თარგმანი).
 8. „სამხრეთ-ოსეთი“, კინოსცენარი, 1951 წ.
- და სხვა.

1952 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

აღექსანდრე სანგულია

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | სანგულია ალექსანდრე ლავრენტის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1911 თვე იანვრის დღე 18 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. დჯგერდი (ოჩამჩირის რაიონი) |
| 4. ეროვნება | აფხაზი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეტი, პროზაიკოსი |
| 8. რა ენაზე წერს | აფხაზურ ენაზე |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1932 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1940 წლიდან |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არცერთს |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | 1952 წელს ცკ. ბიუროს გამომიცხადა საყვედური არასერიოზულ მოქმედებისათვის |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | საშუალო, პედაგოგიური ტექნიკუმი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | აფხაზური, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | 1941 წლიდან 1945 წლამდე ლიტმუშაკად |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სათადარიგო ოფიცერი</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>–</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედლები: „მამაცური შრომისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>სუხუმი, ჭავჭავაძის 6</p> |

„ — “ _____ 1952 წ.

ხელმოწერა _____

| <p style="text-align: center;">მუშაობა წარსულში (შრომითი საქმიანობა)</p> | | | | |
|---|-------------------------|--|--|--|
| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უნყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღ- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1930 | 34 | სკოლის გამგე | ახუცინის საშ. სკოლა | ოჩამჩირის რაიონი |
| 1931 | 37 | სასოფლო-სამე- ურნეო ნაწილის გამგე | გაზ. „აპსნი კაპში“ | სუხუმი |
| 1937 | 39 | პ/მგ. რედაქტორი | „აფხაზეთის კომ- კავშირელი“, გა- ზეთი | „-“ |
| 1939 | 41 | სასოფლო-სამე- ურნეო განყ. გამგე | გ. „აპსნი კაპში“ | „-“ |
| 1941 | 42 | კურსანტი | სამხედრო სკოლა | ბაქო |
| 1942 | 44 | ლიტმუშაკი | დივიზიისა და არმიის გაზეთები, ცენტრ. ფრონტი | |
| 1944 | | ა/კ ფრონტის რეზერვში | | ქ. ახალციხე |
| 1944 | 45 | გამგის მოადგილე | წ/არმიის სახლი | |
| 1946 | 51 | სოფლის მეურნ. განყ. გამგე | გაზ. „აპსნი კაპში“ | |
| | 1952 წ. | | | |
| | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. | | | |
| | ვადასტურებ სამდივნოს | გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

ალექსანდრე ლავრენტის-ძე სანგულიას ავტობიოგრაფია

დავიბადე 1911 წლის 18 იანვარს, სოფელ დჯგერდში (ოჩამჩირის რაიონი, აფხაზეთის ასსრ), გლეხის ოჯახში.

1928 წელს დავამთავრე მშობლიურ სოფელში შვიდწლედანი და შევედი სუხუმის პედაგოგიურ ტექნიკუმში. ამ ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, 1930-31 წლებში ვმუშაობდი ახუცინის სოფლის სკოლის დირექტორად (ოჩამჩირის რაიონი).

1931-37 წლებში ვმუშაობდი აფხაზური გაზეთის „აპსნი კაპშის“ სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგეთ.

1937-39 წლებში ვმუშაობდი გაზეთ „აფხაზეთის კომკავშირელის“ რედაქტორად. შემდეგ ისევ დავუბრუნდი გაზეთ „აპსნი კაპშის“ რედაქციას.

1941-45 წლებში ვიყავი საბჭოთა არმიის, სადაც ვმუშაობდი ლიტმუშაკად არმიისა და დივიზიის გაზეთებში.

დემობილიზაციის შემდეგ ისევ დავუბრუნდი „აპსნი კაპშის“ რედაქციას. ამჟამად ვენევი ლიტერატურულ მუშაობას.

1927-29 წლებში ვიყავი კომკავშირის რიგებში, 1940 წელს კი შევედი კომუნისტურ პარტიაში.

ლიტერატურული მოღვაწეობა დავიწყე 1932 წელს.

ჩემი ნაწარმოებები:

1. 19 ლექსი დაიბეჭდა სხვადასხვა ჟურნალებსა და გაზეთებში, 1946 წლამდე.
2. „კოკისპირული წვიმა“, მოთხრობა.
3. „მთვარის დაბნელება“, მოთხრობა.
4. „ტამელი“, ნარკვევი.
5. „ერთი დღე კოლმეურნეობაში“, ნარკვევი.
6. „მწვანე ხავერდი“, ნარკვევი.
7. „ოქროს სხივი“, „-“.
8. „გმირის გზა“, „-“, და სხვ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

აკაკი განერელია

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---------------------------------|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | განერელია აკაკი კონსტანტინეს ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | არა მაქვს |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1911 თვე აპრილის დღე 17 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ფოთში |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | აზნაური |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პროზა, კრიტიკა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართული, რუსული |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1926 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1934 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, დამთავრებული სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატი, დოცენტი |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული, ინგლისური |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>ვიყავი სსმკ გამგეობის წევრი</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>რუსთაველის სახელობის ქართული ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი – დოცენტი</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>პეროვსკაიას 19</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უნწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1934 | 1935 | სასწავლო სექ- ტორის მუშაკი | მეტეხის მუზეუმი | |
| 1935 | 1937 | სტილისტი | სახელმწიფო გამომცემლობა | |
| 1940 | 1950 | უფროსი მეცნ. მუშაკი | მეცნ. აკადემიის აკადემ. ივ. ჯავა- ხიშვილის სახ. ისტორიის ინსტი- ტუტი | |
| 1952 | | დოცენტი | რუსთაველის სახე- ლობის სახელმწი- ფო თეატრალური ინსტიტუტი | |
| | | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

აკაკი კონსტანტინეს-ძე განერელიას ავტობიოგრაფია

დავიბადე 1911 წლის აპრილის 17-ს, ქალ. ფოთში (დასავლეთ საქართველო). პირველ დაწყებითი განათლება მივიღე მარტვილში (ეხლანდელ გეგეჭკორში). 1927 წელს დავამთავრე თბილისის მეორე ვაჟთა გიმნაზია, ხოლო 1932 წელს – თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი.

ლიტერატურული მუშაობა დავიწყე ძალიან ადრე. 1926 წელს შევედი ყოფილ ქართველ ფუტურისტების („მემარცხენეთა“) კორპორაციაში და ვმონაწილეობდი ამ ჯგუფის ჟურნალში „მემარცხენობა“. მას შემდეგ დღემდე ვთანამშრომლობ მწერალთა კავშირის ჟურნალ-გაზეთებში („მნათობში“, „სალიტერატურო გაზეთი“, „ჩვენი თაობა“) და უნივერსიტეტის კრებულებში („თბილისის უნივერსიტეტის შრომები“, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“) და სხვა.

ჩემი მუშაობის ძირითადი დარგია: პოეტიკა, ქართული ლიტერატურის ისტორია, კრიტიკა, კავკასიათ მცოდნეობა.

უმთავრესი შრომები ცალკეა გამოცემული.

აკ. განერელიას ნაშრომთა სია:

1. პლატონ იოსელიანი „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, 1936 წ. (შესავალი, გამოკვლევა, ტექსტის რედაქცია და შენიშვნები).

2. „გრიგოლ ორბელიანი“, ტ. 1 (1832-1850), 1936 (შესავალი წერილი, ტექსტი რედაქცია და ვრცელი შენიშვნები).

3. „გრიგოლ ორბელიანი“, წერილები, ტ. 2. (1851-1870), 1938 წ. (ტექსტის რედაქცია და ვრცელი წერილები, შესავალი წერილი და შენიშვნები).

5. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ – თხზულებათა აკადემიური გამოცემა (საერთო რედაქცია, ბარათების შენიშვნები), 1939 წ.

6. „ნარკვევები ქართული პოეტიკიდან“, 1938 წ. შინაარსი: 1. რუსთაველის პოეტიკის საკითხები. 2. კლერიკალური რეაქცია და რუსთაველი. 3. თეიმურაზ პირველი. 4. სულხან-საბა ორბელიანის პროზა. 5. დავით გურამიშვილი. 6. ბესიკი. 7. ნიკოლოზ ბარათაშვილის სტილი და თემა. 8. პლატონ იოსელიანი. 9. ილია ჭავჭავაძე. 10. გოეტე ქართულ ლიტერატურაში; დამატება: ლიტერატურული ძიებანი („ვეფხისტყაოსანი“ სუნძახში, „ტეოფილ გოტიე და ჩიჩი“, „ნიკოლოზ ბარათაშვილის ადრინდელი ნაწერები და ნიკოლოზ ბარათაშვილის მეტრიკა“).

7. წიგნები და ავტორები, 1940 წ. რუსეთი: 1. ტოლსტოი, 2. დოსტოევსკი, 3. ვასილ როზანოვი, 4. ანდრეი ბელი, 5. იური ტინიანოვი. ევროპა: 1. ჟან ლაბრიუერი, 2. სტენდალი, 3. კნუტ ჰამსუნდი, 4. სელინი, 5. რემარკი, 6. ერნესტ ჰემინგუეი. საქართველო: 1. სულხან-საბა ორბელიანი, 2. ალექსანდრე ყაზბეგი და კავკასიის ომი, 3. დავით კლდიაშვილი, 4. ვასილ ბარნოვი, 5. კონსტანტინე გამსახურდია, 6. ერთი პოეტი: „გალაქტიონ ტაბიძე“. კრებული გამოვიდა 1940 წლის გაზაფხულზე. წერილების უმრავლესობა დაბეჭდილია ქართულ ჟურნალებში.

8. ვმუშაობ „შამილი“ (ორ ტომად), რომლის მასალებს ვაგროვებ 1930 წლიდან. 1932 და 1935 წლებში ვიმოგზაურე ჩეჩნეთსა და დაღესტანში.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

აკაკი კონსტანტინეს ძე განერელია

დავიბადე 1910 წელს ქ. ფოთში. დედა არ მახსოვს, მამა სამსახურში ითვლებოდა. ბავშობა გავატარე სოფ. მარტვილში (ყოფ. სენაკის მაზრა). რამდენიმე წელი დავყავი ს. შუქრუთშიაც (ჭიათურის რაიონი), დედის მშობლების ოჯახში, სადაც პირველად ვისწავლე წერა-კითხვა. შვიდი წელი რომ შემისრულდა, მამამ ისევ მარტვილში ჩამიყვანა. ჩვენს ოჯახში ძლიერი იყო რელიგიური კულტი. ხშირად დავყავდით ნახარებოუს საყდარში, რომელიც აშენებულია ანტონ ჭყონდიდელის მიერ (თვითონ ჭყონდიდელიც აქ არის დამარხული). მარტვილში დავასრულე ოთხკლასიანი სასწავლებელი.

1923 წელს ჩამოვედი ტფილისს და შევედი ყოფ. მე-2 გიმნაზიაში. 1932 წელს დავამთავრე ტფილ. უნივერსიტეტის სიტყვიერების ფაკულტეტი. უნივერსიტეტის კედლებში ყოფნის პერიოდიდან ეხლაც სიამოვნებით ვიგონებ პროფ. გრიგოლ წერეთლის ლექციებს კლასიკური (საბერძნეთისა და რომის) ლიტერატურაზე.

კითხვა ძალიან ადრე დავინწყე. ვკითხულობდი უწესრიგოდ: მოთხრობებსა და რომანებს, პოპულარულ ბროშურებსა და წიგნებს დარვინზე, ძველს ჟურნალ-გაზეთებს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ყაზბეგს და სხვ. 12 წლამდე წავიკითხე ქართულად თარგმნილი დიდაქტიური და ბულვარული რომანები, მაჩაბლის შექსპირი და სხვ. უფრო გვიან, გიმნაზისტობის წლებში, დავინწყე რუსული და ევროპული ლიტერატურის კითხვა. უნდა მოვიგონო თ. დოსტოვესკით გატაცების პერიოდი. ამ რომანისტიკა განუზომელად დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე (უნივერსიტეტში მოხსენებაც კი წავიკითხე მის შესახებ). დოსტოვესკისთან დაკავშირებით ვკითხულობდი ედგარ პოს, ავგ. სტრინდბერგს, ჰენრიხ იბსენს, ანდრეი ბელისა და ექსპრესსიონისტებს. ამ გატაცებას მოჰყვა არა ნაკლები ინტერესი ვასილი როზანოვისადმი. ყველაფერი ეს ამჟამად წარსულს ეკუთვნის.

ბეჭდვა ჟურნალ-გაზეთებში დავინწყე ჯერ კიდევ გიმნაზისტობისას. პირველი წერილი („ექსპრესსიონიზმი“) დავბეჭდე მოწაფეთა გაზეთში 1925 წელს. შემდეგ სისტემატიურად ვათავსებდი წერილებს სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში. ყველა ეს წერილი მოწაფური ვარჯიშობის ნიმუშებია.

1926 წელს ვიყავი საქ. მწერალთა ყრილობის დელეგატი. იმავე წელს ს. ჩიქოვანის მიწვევით შევედი ყოფ. ფუტურისტების კორპორაციაში და ვთანამშრომლობდი ამ ჯგუფის ორგანოში „მემარცხენეობა“ (1926–1928 წ.წ.). ქართველ ფუტურისტებთან ყოფნისას, მე ახლო ვეცნობი იმ დროს ძლიერ სკოლას

რუსულ და გერმანულ ლიტერატურათმცოდნეობაში, ე. წ. „ფორმალიზმს“. ინტერესი პოეტიკის საკითხებისადმი ამ სკოლამ აღმიძრა (პირველი მოხსენება ქართული ლექსის რიტმიკაზე წავიკითხე ხელოვანთა სასახლეში 1929 წელს).

1930 წელს დავიწყე კავკასიური მიურიდიზმის ისტორიის შესწავლა. იმდენად გაფართოვდა ინტერესი ამ უაღრესად რთული და საპასუხისმგებლო თემისადმი („შამილი“), რომ მე ორჯერ ვიმგზავრე დალისტანსა და ჩეჩნეთში, პირველად – 1932 წელს, მეორედ – 1935 წელს. ვიყავი: თემირხანშურაში (ახლანდელი ბუინაკსი), ლევანში, ჯოხალ-მაქში, გერგებელში, გუნიბში (ორჯერ), ონსოქოლოში, გიმრში, აშილტაში, ახულგოში (დალისტანი); ხარაჩოში, შატოში, ვედენოში (ჩეჩნეთი); აგრეთვე – ინგუშეთის რამდენიმე სოფელში. უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე გიმრის უღელტეხილმა, თვითონ გიმრმა (შამილის სამშობლო), გუნიბისა და ვედენოს დათვალიერებამ; დამიდგამს ფეხი ახულგოს ცნობილ მთაქიმზე, და სხვ... დალისტნის მასალაზე ხანგრძლივი მუშაობის ნაყოფი იქნება ბიოგრაფიული რომანი „შამილი“, რომელიც ორ ტომად მაქვს განზრახული.

ჩემი რედაქციით გამოდის გრიგოლ ორბელიანის „წერილების“ სამი ტომი.

ქვემოდ მოგვყავს ბიბლიოგრაფია თემატიური ციკლების მიხედვით. ამიტომ შიგ არ შევიდა ის წერილები, რომელნიც სახელდახელოდ დამიბეჭდავს სხვადასხვა დროს და რომელთაც ამჟამად არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ. სამაგიეროდ, აქ შემოტანილია დაუბეჭდავი წერილები, რომელნიც შევლენ ქვემოდ დასახელებულ კრებულებში (იმ სათაურებითა და იმ სახით, როგორც ამას ბიბლიოგრაფია აჩვენებს):

I. რედაქცია და კომენტარები: 1. ლაზარულიო ტორმესელის ცხოვრება, გამოც. „ფედერაცია“, 1933; 2. თიმსარიანი (პოპულარული გამოცემა), „ფედერ.“, 1935; 3. შარდენის მოგზაურობა საქართველოში, ვ. ბარნოვის თარგ., სახელგამი, 1935; 4. გრიგოლ ორბელიანი: წერილები, ტომი I, სახელგამი, 1936; 5. პლატონ იოსელიანი – ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, „ფედერაცია“, 1936; 6. Грузинские романтики, ლენინგრადი, 1937; 7. ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, „ფედერაცია“, 1937.

II. ნარკვევები ქართ. ლიტ. ისტორიიდან: 1. ვეფხის-ტყაოსნის პოეტიკა (წაკითხული იყო მოხსენებად ხელ. სასახლეში 193... წლის ...); 2. თეიმურაზ პირველი. 3. საბა ორბელიანი. 4. დავით გურამიშვილი. 5. ბესიკი (მნათობი, 1932, №10). 6. ნ. ბარათაშვილის სტილი და თემა (ნ. ბარ., თხზ., 1937); 7. გოეთე ქართულ ლიტერატურაში (მნათობი, 1932, №3-4); 8. პლატონ იოსელიანი (მნათობი, 1933, №7); 9. ვაჟა-ფშაველა.

III. რიტმი და სიტყვა: 1. რიტმი და ემოცია. 2. სმენითი ფილოგიის კრიტიკისათვის. 3. ანდრეი ბელი და რიტმის პრობლემა (ტფილ. უნივერსიტ. შრომები, ტ. 4, 1936); 4. ქართული ლექსი.

IV. უცხოელი ავტორები (იმპრეს. წერილები): 1. მონტენი, 2. სტენდალი, 3. ტოლსტოი, 4. დოსტოევსკი, 5. როზანოვი, 6. ჰამსუნი, 7. მარსელ პრუსტი, 8. ლუი სელინი, 9. ერნესტ ხემინგუეი (მზად.).

V. შამილი [ტ. I და II] (მზად.).

გომიაშვილი ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე

დავიბადე 1911 წლის 15 ივლისს, სოფელ ყაზბეგში, მოხევე გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მივიღე ყაზბეგის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში, საშუალო ცოდნა – თბილისში, ხოლო უმაღლესი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ჩემი პირველი ლექსი „მთის ბალადა“ დაიბეჭდა 1929 წელს ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“, რის შემდეგაც დღემდე სისტემატურად იბეჭდება ჩვენს პერიოდულ ჟურნალ-გაზეთებში ჩემი ლექსები და ბალადები.

ცალკე წიგნებად გამოცემულია ჩემი ლექსების შემდეგი კრებულები:

1) „ანდებიტის სიმღერები“ (რამდენიმე ლექსი), გამოცემა „სახელგამისა“ 1931 წელს; 2) ლექსთა კრებული, გამოცემა „ფედერაციისა“ 1933 წელს; 3) პოემა „ისევ ეძახიან გერმანიას“, გამოცემა „სახელგამისა“ 1933 წელს; 4) „ლექსები“, გამოცემა „ფედერაციისა“ 1937 წელს; 5) „დარიალი“ (ლექსები და ბალადები), გამოცემა „ფედერაციისა“ 1940 წელს; 6) „ბალადები“, გამოცემა „კომუნისტისა“ 1947 წელს; 7) „რჩეული ლექსები“, გამოცემა „საბჭოთა მწერალისა“ 1950 წელს.

1933 წლიდან 1936 წლამდე ვმსახურობ ნითელ არმიასი ჯერ საარტილერიო სკოლის კურსანტად, ხოლო შემდეგ იმავე სკოლაში მეთაურად... ჯარიდან გამოსვლის შემდეგ 1936 წლიდან 1941 წლის 21 ივნისამდე ვიმყოფები მწერალთა კავშირში სხვადასხვა დროს სხვადასხვა თანამდებობებზე (თავდაცვითი ლიტერატურის სექციის ხელმძღვანელად, ჟურნალ „მნათობის“ პოეზიის განყოფილების გამგედ, ჟურნალ „ჩვენი თაობის“ რედაქტორის მოადგილედ და სხვ. კომკავშირში ვარ 1926 წლიდან 1939 წლამდე. სამი წლის განმავლობაში (1936 წლიდან 1939 წლამდე) მწერალთა კავშირის კომიტეტის მდივანი ვარ, ხოლო 1939 წლიდან – პარტიურის მდივნის მოადგილე მწერალთა კავშირში.

გერმანიაში ჰიტლერული გადატრიალების ოთხი დღის შემდეგ გამოქვეყნდა ჩემი პოემა „ისევ ეძახიან გერმანიას“, რომელიც მიმართულია ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ და ვცდილობდი, „კომუნისტური მანიფესტის“ ცეცხლის უძლეველობა ნითელ ზოლად გაჰყოლოდა ამ პოემას. არ ვიცი, რამდენად შეეძელი მე ეს. მაგრამ ერთი კი მართალია:

1933 წლის 4 მარტს გამოქვეყნებულ ამ პოემაში ვწერდი:

„ახ, გერმანია! ნულარა სტირ, კარგო ფლეიტა
„ახალ რეინის გაზეთივით“ განდევნეს ლომი?
კაპიტალიზმიც დაემხო, დაემხო როგორც
ვანდომის სვეტის სიმალლიდან ნაპოლეონი.

და შემდეგ:

– ჰიტლერ, ჩაძალდი! დგება ღამე უკანასკნელი,
უკანასკნელი რეაქციის ვალპურგის ღამე.

და გული სიამაყით მევსება, რომ „ჰიტლერის ჩაძალდებაში“, არა როგორც პოეტს, არამედ როგორც რიგით ჯარისკაცს, მცირეოდენი წვლილი

მეც მიმიძღვის. დიდი სამამულო ომის წლებში, მისი ბრძოლების პირველი დღიდან ვარ წითელ არმიაში, როგორც ოფიცერი და მონაწილეობას ვღებულობ ჯერ 1941-42 წლის ყირიმის სადესანტო ჯგუფში ქერჩის ნახევარკუნძულზე, ხოლო შემდეგ – ჩრდილო კავკასიაში.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, ვბრუნდები დემობილიზაციაში 1946 წელს და იმავე წლის სექტემბრიდან ვარ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პასუხისმგებელი მდივანი, ვარ ამავე ორგანიზაციის პარტბიუროს ხელმძღვანელი და საქ. კ. პ. (ბ). თბილისის კომიტეტის წევრი.

დანარჩენი, ამხ. შალვა,¹ ჩემი შემოქმედებისა შენ უკეთ იცი! რას წარმოადგენს ისინი. რა ნაკლი ან რა ღირსებანი აქვს და ამის შესახებ შენ იცი.

1. ავტობიოგრაფია დაწერილია შალვა რადიანის თხოვნით (გამომცემლის შენიშვნა).

სერგი ჭილაია

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ჭილაია სერგი ესტატეს-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1911 თვე ოქტომბერი დღე 29 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. ნახუნავო (გეგეჭკორის რაიონი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხის ოჯახი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | კრიტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1932 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1945 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, ლიტერატურული ფაკულტეტი თბ. სახ. უნივერსიტეტისა |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | დოცენტი – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სათადარიგო, ვუს არამწყობრითი</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>თბილისის სახ. უნივერსიტეტის დოცენტი</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>„საპატიო ნიშნის“ ორდენი, მედალები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“.</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მდივანი</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ელბაქიდის დალ. 7, 3-88-54</p> |

ს. ქილაიას შესახებ ცნობები მოთავსებულია ავტობიოგრაფიულ ცნობებში. იხ. ავტობიოგრაფია.

„ — “ _____ 195 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

სერგი ესტატეს-ძე ჭილაის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1911 წელს, ოქტომბრის 29-ს, სოფელ ნახუნავოში (გეგეჭკორის რაიონი), გლეხის ოჯახში. პირველ დაწყებითი განათლება მივიღე ამავე სოფლის სკოლაში. საშუალო სასწავლებელი დავასრულე 1928 წელს, და იმავე წელს შევედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ერთი წლის შემდეგ უნივერსიტეტიდან ავიღე აკადემიური შვებულება და დანიშნული ვიქენი მასწავლებლად სოფელ კახში (საინგილო, აზერბეიჯანის სსრ). ერთი წლის შემდეგ გადმომიყვანეს თიანეთის რაიონში საშუალო სკოლის მასწავლებლად.

1930 წელს გავაგრძელე სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომლის კურსი დავასრულე 1936 წელს. იმავე წელს დამტოვეს ასპირანტად ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ასპირანტურის სრული კურსი დავამთავრე 1939 წელს.

1940 წელს დავიცავი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი და იმავე წელს მომანიჭეს დოცენტის წოდება. კრიტიკული წერილებისა და სტატიების გამოქვეყნება დავიწყე 1932 წლიდან.

1931–34 წლებში ვმუშაობდი გაზეთ „კოლექტივიზაციაში“.

1934–36 წლებში სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტის მრავალტირაჟიანი გაზეთის პასუხისმგებელ მდივნად.

1939–41 წელს სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტის ასპირანტურის სექტორის გამგედ.

1941–44 წლებში ფილოლოგიის ფაკულტეტის ჯერ დეკანის მოადგილედ, შემდეგ დეკანად.

1944–49 წელი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ლიტერატურისა და ხელოვნების სექტორის გამგედ.

1949–51 წლები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში პარტბიუროს მდივნად და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სწავლულ მდივნად. 1951 წლის თებერვლიდან საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პასუხისმგებელ მდივნად.

1948 წლიდან ვკითხულობ ლექციებს ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში თბილისის სახ. უნივერსიტეტში.

ვარ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1939 წლიდან.

დღემდე გამოქვეყნებული მაქვს რამდენიმე სტატია და საგაზეთო წერილები. ცალკე წიგნებად გამოცემულია: 1. „ვახტანგ ორბელიანი“, მონოგრაფია, 1940 წ. 2. „საბჭოთა სამშობლოს თავდაცვის იდეა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში“, 1942 წ. 3. „ეგნატე ნინოშვილი“, 1945 წ. 4. „ლიტერატურული წერილები“ (პორტრეტები), წიგნი პირველი, 1946 წ. 5. „ლიტერატურული წერილები“ (პორტრეტები), წიგნი მეორე, 1949 წ. 6. „გალ. ტაბიძის პოეზია“, მონოგრაფია, 1951 წ. 7. „ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზები“ და სხვა.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ანდრო თევზაძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | თევზაძე ანდრო რაჟდენის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1912 თვე იანვარი დღე 3 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. გომი (სამტრედიის რაიონი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართული |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1937 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1938 |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | – |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ-ს წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | – |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, ფილოლოგიური ფაკულტეტი თბილისის სახ. უნივერსიტეტისა |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---------------------------------------|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემაღგენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღგენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>მწერლობა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>გოგებაშვილის 43</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

| მუშაობა წარსულში | | | | |
|-------------------------|--------|--|--|--|
| (შრომითი საქმიანობა) | | | | |
| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უნყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1930 | 32 | პედაგოგი | გომის საშუალო სკო- ლაში | |
| 1934 | 35 | დირექტორი | არასრულ საშუალო სკოლისა | |
| 1935 | 36 | კორრექტორი | გაზ. „კომუნისტის“ რედ. | |
| 1940 | 41 | პ/მგ. მდივანი | რედ. „ოქტომბრელი“ | |
| 1941 | 42 | ლიტმუშაკი | გაზ. „კომუნისტი“ | |
| 1942 | 43 | დირექტორი | მწერალთა სასახ- ლისა | |
| 1943 | 44 | რედაქტორის მოადგ. | ახალგაზრდათა გა- დაცემა კულტსაგან- მანათლ. სამმართველო | |
| 1944 | 47 | განყ. გამგე | ხელოვნების საქმეთა სამმართველო | |
| 1947 | 48 | გან. გამგე | გაზ. „ახალგ. კომუ- ნისტი“ | |
| 1948 | 50 | დირექტორი | გამომცემლობა „ხელოვნება“ | |
| 1950 | 52 | რედაქტორის მოად. | სახელგამი | |
| 1952 | | განყოფილების გამგე | გაზ. „ლიტ. და ხე- ლოვნება“ | |
| | | ამჟამად ვმუშაობ „საბჭოთა მწერალის“ | გამომცემლობა დირექტორად. | |
| | | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს | გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | |

თევზაძე ანდრო რაჟდენის-ძის ავტობიოგრაფია

მე, ანდრო რაჟდენის-ძე თევზაძე, დავიბადე 1912 წელს, სოფელ გომში (სამტრედიის რაიონი), ღარიბი გლეხის ოჯახში. მამა გარდამეცვალა 1919 წელს, დედა – 1944 წელს.

პირველდაწყებითი სწავლა მივიღე გომში, სოფლის სკოლაში. 1930 წელს დავამთავრე სამტრედიის საშუალო ათწლიანი სკოლა.

1930 წლიდან 1932 წლამდე ვენეოდი პედაგოგიურ მუშაობას სოფელ გომში. 1932 წლიდან შევედი ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ორი კურსის დამთავრების შემდეგ, ოჯახური პირობების გამო, იძულებული ვიყავი მიმეტოვებინა სწავლა და დავუბრუნდი სოფლად ისევ პედაგოგიურ დარგს და სოფელ დაფნარში დავიწყე მუშაობა. 1935 წელს მუდმივ საცხოვრებლად გადმოვედი თბილისში და შევედი სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1940 წელს.

სწავლასთან და სამსახურთან ერთად ვენეოდი ლიტერატურულ მუშაობასაც, ვმუშაობდი რედაქციებსა და გამომცემლობებში ტექნიკურ სამუშაოებზე.

1937 წელს გამოვიდა ჩემი ლექსების პირველი წიგნი. ამ დღიდან მოყოლებული, სისტემატურად ვთანამშრომლობ პერიოდულ გამოცემებში. ვარ შვიდი წიგნის ავტორი.

1938 წლიდან ვირიცხები საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრად. 1925 წლიდან 1943 წლამდე ვირიცხებოდი ალკკ წევრად, ხოლო 1943 წლიდან ვარ სკკპ წევრი.

ან. თევზაძის ნაწარმოებთა სია:

1. „პირველი გაზაფხული“, ლექსთა კრებული, 1937 წ.
2. „ვარსკვლავების ღიმილი, ლექსთა კრებული, 1940 წ.
3. „დიდება გმირებს“, ლექსთა კრებული, 1945 წ.
4. ლექსები, კრებული, 1948 წ.
5. „სიხარულის მაისი“, 1948 წ.
6. საბავშვო ლექსები.
7. ცალკეული ლექსები.
8. ლექსები და პოემა ჟურნალ-გაზეთებში.
9. ლექსები საბავშვო, 1952 წ.
10. „უშანგი ჩხეიძე“, მონოგრაფია, 1955 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

კლიმენტი გოგიავა

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | გოგიავა კლიმენტი ლუკას-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1912 თვე იანვრის დღე 15 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. ნასაკოვო (აბაშის რაიონი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პროზა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1928-29 |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1943 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|-------------------------|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | დაუმთავრებელი, უმაღლესი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული, ქართული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|----------------------------|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემაღგენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღგენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>უფროსი შემაღგენლობა</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>მწერლობა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>არაფერი</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>—</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ბოჭორიშვილის 47</p> |

„ — “ _____ 1952 წ.

ხელმოწერა _____

| <p style="text-align: center;">მუშაობა წარსულში (შრომითი საქმიანობა)</p> | | | | |
|---|--------|--|--|--|
| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1930 | 33 | რედაქტორი | გაზ. „გოსკინპრომ- ოვცი“ | თბილისი |
| 1933 | 39 | ლიტმუშაკი | გაზ. „კომუნისტი“ | „-“ |
| 1939 | 48 | „-“ | ჟურნ. „ბოლშევიკი“ | „-“ |
| | | 1952 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

კლიმენტი ლუკას-ძე გოგიავას ავტობიოგრაფია

დავიბადე 1912 წელს, 15 იანვარს სოფელ ნასაკოვოში (აბაშის რაიონი). მამაჩემი ოქტომბრის რევოლუციამდე და მის შემდეგაც იყო მუშა რკინიგზის ხაზით. 1925 წელს მამა გადავიდა პენსიაზე და დღემდე მუშაობს ცხაკაიას რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში.

დედა ადრე, 1922 წელს, გარდამეცვალა. დედის გარდაცვალების შემდეგ მე ვიზრდებოდი დეიდასთან ქალ. ფოთში. ფოთში დავამთავრე საშუალო სასწავლებელი 1929 წელს.

საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ შევედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, სადაც გავიარე ორი კურსი. 1928 წელს დავინწყე ლიტერატურული მოღვაწეობა.

1930 წლიდან 1933 წლამდე მე ვრედაქტორობდი თბილისში მრავალტირაჟიან გაზეთებს.

1933 წლიდან 1939 წლამდე ვმუშაობდი გაზეთ „კომუნისტში“.

1939 წლიდან 1948 წლამდე ვმუშაობდი ჟურნალ „ბოლშევიკში“ (სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანო), ლიტმუშაკის თანამდებობაზე.

ჩემი ნაწარმოებები:

1. „ელექტრო ლანდები“, 1929 წ. (წერილი).
 2. „იალქნიანი გემები“, მოთხრობა, 1939 წ.
 3. „ვლადიმერ ნანეიშვილი“, ნარკვევი, 1940 წ.
 4. „ჩემი ქალაქის ადამიანები“, მოთხრობა, 1945 წ.
 5. „ბანძას ოცნება“, „-“, 1947 წ.
 6. „არმაზის დილა“, 1948 წ.
 7. „გმირი“, 1949 წ.
 8. „მერხეულას გარიჟრაჟი“, 1950 წ.
 9. „სამი გმირი“.
- და სხვა მოთხრობები.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ნ. თოფჩიშვილი.

ავტობიოგრაფია ვასილ ალექსანდრეს ძე ლაფერაშვილისა

დავიბადე 1912 წლის 28 მარტს (10 აპრილს), ქუთაისში, მუშა-ხელოსნის ოჯახში. დედაჩემი მასწავლებელი იყო. 1928 წლამდე ვსწავლობდი ქუთაისისა და თბილისის, შემდეგ კი მოსკოვის საშუალო სკოლაში, რომელიც 1930 წელს დავამთავრე. კომკავშირის რიგებში ვიყავი 1930–1942 წლებში.

1932–1937 წლებში ვსწავლობდი თბილისის სახელ. უნივერსიტეტში. 1938 წლიდან კი ვიყავი უნივერსიტეტის ასპირანტი. 1940 წლიდან ვმუშაობდი უფროს მასწავლებლად უმაღლეს სკოლებში. 1941–45 წლებში მობილიზებული ვიყავი საბჭოთა არმიაში. ამჟამად ვარ თადარიგის უფრ. ლეიტენანტი. 1943 წლის დეკემბრიდან ვარ სკკპ რიგებში. 1946–1951 წლებში ვმუშაობდი საქართველოს კპ ცენტრ. კომიტეტის მდივნის თანაშემწედ. 1952 წლიდან ვმუშაობდი გაზ. „ზარია ვოსტოკაში“, ჟურნ. „ლიტერატურნაია გრუზიაში“ და მოსკოვის (საკავშირო) გაზეთ „ლიტერატურნაია გაზეტას“ საკუთარ კორესპონდენტად.

1927-1928 წლებში იბეჭდება ჩემი ლექსები (ჟურ. „ნაკადული“, „ოქტომბრელი“ და სხვ.). დღემდე გამოცემულია 20-მდე საკუთარი და ნათარგმნი წიგნი. 1964 წელს მივიღე ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომი. 1968 წელს ჩემმა წიგნმა „მაიაკოვსკი და ოქტომბრის რევოლუცია“ მიიღო საკავშირო დიპლომი.

ექვსჯერ მოვუსმინე ვლ. მაიაკოვსკის გამოსვლებს მოსკოვში 1928–1930 წლებში. მაიაკოვსკის შესახებ გამოქვეყნდა ჩემი 110-დე წიგნი, ბროშურა, მოგონება, წერილი. 1971 წელს „მერანი“ გამოსცემს ჩემს წიგნს „თარგმნილი ლექსები“.

ვასილ ლაფერაშვილი
16.11.71 წ.

იოსებ ფალავა ავტობიოგრაფია

მე, იოსებ შვექეთის ძე ფალავა, დავიბადე 1912 წ. 15 ივნისს სოფ. ყოროლისთავში (ხელვაჩაურის რაიონი), ღარიბი გლეხის ოჯახში. 6 წლის ასაკში მამით დავობლდი და 1925 წელს მომანყვეს აჭარელ ბავშვთა სახლში, სადაც მივიღე დანყებითი განათლება. 1928 წ.-დან 1933 წლამდე ვსწავლობდი ბათუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში, 1933-34 წლებში კი – საქართველოს პროფმოძრაობის ერთწლიან სკოლაში. 1935 წელს შევედი და 1939 წელს დავამთავრე ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. იმავე წელს მუშაობა დავიწყე აჭარის ადვოკატთა კოლეგიაში, რომლის სისტემაშიც განვაგრძობ შრომით საქმიანობას დღემდე. 1945 წ. ივნისში მიღებული ვიქენი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრად. 1948 წელს მომენიჭა აჭარის დამსახურებული იურისტის წოდება, დაჯილდოებული ვარ მედლებით: „დიდი სამამულო ომის პერიოდში შრომითი მამაცობისათვის“ და „ლენინის დაბადების 100 წლის თავთან დაკავშირებით“.

სამწერლო მოღვაწეობა დავიწყე 1955 წლიდან. პირველად ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა ჩემი მოთხრობები და ნარკვევები. ამჟამად ვარ ოთხი რომანის ავტორი, მეხუთე გამოდის მიმდინარე წელს, მათ შორის:

ა) 1959 წელს აჭარის საბჭოთა გამომცემლობამ გამოსცა ჩემი პირველი ისტორიული რომანი „ჩაუმქრალი კერა“, 5000 ეკზემპლიარის ტირაჟით. ნაწარმოებში ასახულია 17-ე საუკუნის სამხრეთ საქართველოს და კერძოთ აჭარის მოსახლეობის ბრძოლა თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ.

ბ) 1962 წელს იმავე გამომცემლობის მიერ 5000 ეკზემპლიარის ტირაჟით გამოცემული იქნა ისტორიული რომანი „ქედუხრელნი“, რომელშიაც ასახულია აჭარის მოსახლეობის დუხჭირი ცხოვრება თურქთა ბატონობის დროს.

გ) 1966 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ 10000 ცალი ტირაჟით გამოსცა თანამედროვეობის ამსახველი რომანი „ბედის ვარსკვლავი“, რომელშიაც ასახულია სოფლის ახალგაზრდობის ცხოვრება.

დ) 1969 წელს გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ“ გამოსცა ჩემი მეოთხე რომანი „ცხოვრების ნაპრალი“, რომელიც ეხება ოჯახის სინდინდის საკითხს. ამჟამად ვმუშაობ ისტ. რომანზე, სახელწოდებით „წინაპართა აჩრდილები“.

ავტობიოგრაფია ჩემი ხელით არის შედგენილი და ხელს ვაწერ:

ი. ფალავა
30/III, 72 წ.

ქეთევან ირემაძე

ავტობიოგრაფია

დავიბადე 1912 წელს, ქ. თბილისში, მასწავლებლის ოჯახში. 1927 წელს დავასრულე მე-33-ე შრომის სკოლა. 1928 წ. შევედი სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც 1931 წელს დავასრულე და მივიღე პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების დიპლომი (ამ ხანებში მოხდა უნივერსიტეტის რეორგანიზაცია).

1931 წლიდან ვეწევი დამოუკიდებელ სალიტერატურო-სამეცნიერო და მთარგმნელობით მუშაობას. 1934–38 წლებში ჩემს მიერ რუსთაველის სახელობის ინსტიტუტში და მწერალთა კავშირში წაკითხულ იქნა გამოკვლევები XIX საუკუნის ქართველ მწერალ ქალთა – ბ. ჯორჯაძის, ნ. ორბელიანის და ე. გაბაშვილის შემოქმედების შესახებ; რუსულ „ლიტერატურულ ენციკლოპედიაში“ დაიბეჭდა ჩემი წერილი ე. ნინოშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა სტატიები: „ვინ იყო ავტორი ლექსისა „ისევ შენ და ისევ შენ“ და „ჩერქეზი ქალი აისე“.

ჩემს მიერ თარგმნილია ფრანგულიდან – დიდროს „რამოს ძმისწული“ (გამოცემა „ფედერაციისა“, 1938 წ.), აბატ პრევოს „მანონ ლესკო“ (გამოცემა „ფედერაციისა“, 1939 წ.), ბენჟამენ კონსტანის „ადოლფი“ (გამოცემა „ფედერაციისა“, 1941 წ.), გი-დე მოპასანის „სულით ავადმყოფი“ და „დეული“ (დაიბეჭდა „ლიტერატურულ საქართველოში“ და „მნათობში“ 1949 წ.); ამათ გარდა, რუსულიდან ვთარგმნი ი. ტინიანოვის „კუხლია“, რომელიც ქართულ ენაზე უკვე ორჯერ იქნა გამოცემული სახელგამის და საბლიტგამის მიერ; რუსულ ენაზე ჩემს მიერ თარგმნილია ე. ნინოშვილის „განკარგულება“ და „პალიასტომის ტბა“ (გამოცემა „ზარია ვოსტოკასი“, 1935–1939 წ.წ.)

„მანონ ლესკოსა“ და „ადოლფს“ წამძღვარებული აქვს ჩემს მიერ დაწერილი კრიტიკული წერილები.

ქეთევან ნიკოლოზის ასული ირემაძე

იასონ ჩოჩუა

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ჩოჩუა იასონ ტუკოს-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1912 თვე <u>სექტემბერი</u> დღე – |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. აბზიუბჟა (კოდორის მაზრა) |
| 4. ეროვნება | აფხაზი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | დრამატურგია, მთარგმნელობა |
| 8. რა ენაზე წერს | აფხაზურ ენაზე |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1932 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1943 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|---------------------------------------|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | დამთავრებული მაქვს დრამა-ტიული სტუდია |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული და აფხაზური |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სათადარიგო ოფიცერი</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>–</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედლები: „კავკასიის დაცვისათვის“, „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>აქტიორი</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>სტალინის ქ. 39</p> |

„ — “ _____ 1952 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|--|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1932 | 35 | აქტიორი | სუხუმის დრამ. თეატრისა | თბილისი |
| 1935 | 39 | სტუდენტი | დრამატიული სტუ- დიისა (რუსთავე- ლის სახ. თეატრი) | |
| 1939 | | აქტიორი | სუხუმი, სახ. თე- ატრი | |
| <p>სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.</p> | | | | |

იასონ ტუკოს-ძე ჩოჩუას ავტობიოგრაფია

მე დავიბადე 1912 წლის სექტემბრის თვეში, სოფელ აბზიუბუჯაში (კოდორის მაზრა), ლარიბი გლეხის ოჯახში. მშობლები ადრე გარდამეცვალა და მე აღსაზრდელად გამგზავნეს ბებიასთან. 1925 წელს მე გამგზავნეს აფხაზეთის საბავშვო სახლში, ქალ. გაგრაში, სადაც ვსწავლობდი 1929 წლამდე. შემდეგ გადამიყვანეს სუხუმში და მიმიღეს მე-6 კლასში და იქ 1932 წელს დავამთავრე 9 წლიანი საშუალო სკოლა. სწავლის დროს მუშაობა დავინწყე სუხუმის დრამატიულ თეატრში აქტიორად, სადაც, საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, სულ გადავედი სამუშაოდ. ჩემი აქტიორული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, შემდეგ მე გამგზავნეს სასწავლებლად თბილისში, დრამატიულ სტუდიაში, რომელიც არსებობდა რუსთაველის სახ. თეატრთან. სტუდია დავამთავრე 1939 წელს.

ლიტერატურული მუშაობა დავინწყე 1932 წელს, ვენეოდი მთარგმნელობით მუშაობას, მწერალთა კავშირის წევრად მიმიღეს 1943 წელს.

ჩემი ნაწარმოებები:

1. შექსპირის „ოტელო“, თარგმანი.
2. „–“ „ჰამლეტი“, „–“.
3. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“, თარგმანი.
4. „ორი ბატონის მსახური“, თარგმანი.
5. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“, თარგმანი.
6. შილერის „ყაჩაღები“, თარგმანი.
7. ა. ცაგარელის „ხანუმა“, „–“.
8. ა. წერეთლის „ბაში-აჩუკი“, „–“.
9. ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“, „–“.
10. გ. გულია „გმირის კლდე“, „–“.
11. ბილ-ბელოცერკოვსკის „მესაზღვრეები“, „–“.
12. გ. მუხტაროვისა „ალანის ოჯახი“, „–“.
13. ვ. გაბესკირიას „სამი მეგობარი“, და სხვ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

გიორგი კალანდაძე

ავტობიოგრაფია

დავიბადე 1912 წელს, სოფ. ძირულაში (ზესტაფონის რაიონი), გლეხის ოჯახში. 1927 წელს დავამთავრე ძირულის შვიდწლიანი სკოლა, ხოლო 1931 წელს – ტფილისის ინდუსტრიალური ტექნიკუმი.

1931-1932 წლებში ვმუშაობდი საკავშირო ელექტროგაერთიანების თბილისის განყოფილების საპროექტო ნაწილში ელექტროტექნიკოსის თანამდებობაზე. 1933 წელს ჩავაბარე საკონკურსო გამოცდები და ჩავირიცხე ტფილისის სახელმწიფო უნი-ტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტად. აღნიშნული ფ-კი 1937 წელს დავამთავრე, რის შემდეგაც ერთი წელი ვმუშაობდი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის (ამჟამად ჯანაშიას სახელობის ქართული ხელნაწერების ინსტიტუტი) უმცროს მეცნიერ თანამშრომლად.

1938–1942 წლებში გავიარე ასპირანტურის კურსი ძველი ქართული ლიტ-რის კათედრასთან ქართული ფოლკლორის სპეციალობით (თეორიული ნაწილი, საკანდიდატო მინიმუმის ჩაბარებით). ასპირანტურაში სწავლის პერიოდში 1940-1941 წლის ზამთარში მივლინებული ვიყავი მოსკოვს, აკად. ი. მ. სოკოლოვთან ფოლკლორის ზოგადთეორიული კურსის შესასწავლად.

1942–1949 წ.წ. ვიყავი რეპრესირებული დაუმსახურებლად. 1955 წლიდან მიღებული მაქვს სრული რეაბილიტაცია, ნასამართლობის მოხსნით.

1950–1953 წლებში ვმუშაობდი ქართული და რუსული ენებისა და ლიტ-რის უფროსი კლასების მასწავლებლად ჯერ დმანისის, ხოლო შემდეგ – აგარის საშუალო სკოლებში.

1951 წელს დავიცავი დისერტაცია თემაზე „ქართული ხალხური ბალადა“, რისთვისაც მომენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1957 წლიდან დღემდე ვმუშაობ უფროს მეცნიერ-თანამშრომლად საქ. მეც. აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტ-რის ინსტიტუტის საბჭოთა ლიტერატურის განყოფილებაში. უმაღლესი საატესტატო კომისიის მიერ დამტკიცებული მაქვს უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის ნოდება.

1938 წლიდან ვარ საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის წევრი. გამოქვეყნებული მაქვს ლექსების კრებულები (მათ შორის საბავშვო ლექსებისაც), პოეტური თარგმანების კრებული – „კავკასიური ხალხური პოეზია და რამდენიმე მონოგრაფიული გამოკვლევა. ერთი კრებული ჩემი ლექსებისა გამოცემულია რუსულ ენაზე („Негасимый очаг“).

კუკური გოგიაშვილი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|-----------------------------------|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | გოგიაშვილი კუკური პავლეს-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | კ. გელათელი |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1912 თვე ოქტომბერი დღე 15 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ქუთაისი |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | საბავშვო ლიტერატურა, დრამა-ტურგია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1935 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1952 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|-----------------------------|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | ქუთაისის კლასიკური გიმნაზია |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული, ქართული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემაღგენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღგენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>მეორე კატეგორიის – ვუს</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>–</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედლები: „კავკასიის დაცვისათვის“, „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>ჟურნ. „დილას“ რედაქცია</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>გოგებაშვილის 43</p> |

„ ____ “ _____ 1952 წ.

ხელმოწერა _____

| <p style="text-align: center;">მუშაობა წარსულში (შრომითი საქმიანობა)</p> | | | | |
|---|--------|--|---|--|
| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უნწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1928 | 30 | სტუდენტი-თანამ. | მარჯანიშვილის სახ. თეატრი | |
| 1930 | 31 | მსახიობი | „-“ | ქ. თბილისში |
| 1931 | 32 | „-“ | სახ. თეატრი | ქ. ქუთაისი |
| 1932 | 34 | „-“ | „-“ | ქ. თელავი |
| 1934 | 41 | რეჟისორი-მსახი- ობი | თოფჩინების თე- ატრი | ქ. თბილისი |
| 1941 | 48 | რეჟისორი | მოზ. მაყ. თეატრი | ქ. თბილისი |
| 1948 | | ლიტმუშაკი | ჟურნ. „დილას“ რედაქცია | ქ. თბილისი |
| | | 1952 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩინიშვილი. | | |

კუკური პავლეს-ძე გოგიაშვილის ავტობიოგრაფია

მე, კუკური პავლეს-ძე გოგიაშვილი, დავიბადე ქალ. ქუთაისში, 1912 წლის 15 ოქტომბერს, ლარიბი ხელოსნის ოჯახში. წერა-კითხვა ჩემით შევისწავლე. სკოლაში მიმიღეს მეორე განყოფილებაში. მხოლოდ მეოთხე განყოფილებაში ერთი კვირა ვიყავი, ვინაიდან კარგად ვსწავლობდი, გადამიყვანეს პირველ კლასში, რითაც დავეწიე ორი წლით გასწრებულ ჩემს უფროს ძმას და შემდეგ ერთად ვსწავლობდით.

1928 წელს დავამთავრე ე. წ. „კლასიკური გიმნაზია“; ამ წელს ქუთაისში ჩამოვიდა ქართული თეატრის ნოვატორი, რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი, რომელმაც დააარსა ქუთაისი-ბათუმის ქართული დრამის თეატრი. თეატრთან იხსნებოდა სტუდია, სადაც მეც შევედი სასწავლებლად. ამ თეატრში დავყავი სამი წელი, თეატრთან ერთად ვიმოგზაურეთ რუსეთსა და უკრაინაში, რამაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა.

1928 წლიდან 1948 წლამდე ვმუშაობდი ქუთაისის, თელავის, თბილისის, თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრებში მსახიობად და რეჟისორად. თეატრიდან მოუწყვეტლივ სისტემატურად დავიწყე წერა ლექსების და მისი გამოქვეყნება დაიწყო 1935 წელს. ამ წლიდან უახლოესი თანამშრომელი ვიყავი შემდეგი გაზეთებისა: „ნორჩი ლენინელი“, „მუშა“, „კოლექტივიზაცია“, „ახალგაზრდა კომუნისტი“ და ჟურნალების: „ნიანგის“, „პიონერის“ და „ოქტომბრელის“. ვბეჭდავდი ლექსებს, მოთხრობებს, ნარკვევებს და იგავებს.

1936 წლიდან 1944 წლამდე თოჯინების ქართულ თეატრში დაიდგა ჩემი შემდეგი საბავშვო პიესები: „კაცია ადამიანი“ (ილია ჭავჭავაძის ცნობილი ნაწარმოების მიხედვით. ეს პიესა ნაჩვენები იქნა ქ. მოსკოვში, 1937 წ., სრულიად საკავშირო თოჯინების თეატრების დეკადაზე, რამაც კარგი შეფასება მიიღო), „ბეკეკა“, „მეგობრები“, „რწყილი და ჭიანჭველა“. სამამულო ომის თემაზე 1941–44 წლებში დაიდგა „რუხი მგელი“, „გემრიელი სადილისათვის“ და „ბელიკი“.

1943 წლიდან მოზ. მაყ. სახ. თეატრში დაიდგა ჩემი შემდეგი პიესები თანამედროვე თემაზე: „ვალთა სოკოლოვა“, „ბაღნარში“ (სრულიად საქართველოს საბავშვო პიესების კონკურსზე პრემირებული 1946 წელს) და „ალუბლები ჰყვავიან“ (1948 წელს პიესების კონკურსზე რეკომენდირებული). ამავე და ქუთაისის სახ. თეატრში დაიდგა აგრეთვე ჩვენი ორიგინალური ქართული ზღაპარი „თავფარავნელი ჭაბუკი“.

1940 წელს საბლიტგამის გამოცემით გამოვიდა ჩემი პირველი საბავშვო პოემა „თინიკოს მამალი“, 1947 წელს კი, ამავე გამომცემლობით – საბავშვო ლექსების კრებული „გაზაფხული“.

შეტანილია საბლიტგამის საგამომცემლო გეგმაში სკოლამდელთათვის „ჩვენი ბალის“ სახელწოდებით ჩემი წიგნი.

1935 წლიდან ვარ ქართული ესტრადის რეპერტუარის მრავალი ათეული ნაწარმოების ავტორი, რომლებსაც ასრულებდნენ და ასრულებენ რესპუბლიკის სახალხო და დამსახურებული არტისტები.

ჩემი ოცნება იყო, გავმხდარიყავი საბავშვო მწერალი და დრამატურგი, ამაში ჩემში განსაკუთრებული როლი ითამაშა ჩემმა უფროსმა ძმამ – პოეტმა შალვა კარმელმა (1899–1923).

1948 წლიდან ვმუშაობ საბავშვო ჟურნალ „დილას“ რედაქციაში ლიტმუშაკის თანამდებობაზე. ვარ აგრეთვე ჟურნ. „პიონერის“ და ჟურნ. „ნიანგის“ უახლოესი თანამშრომელი.

კ. გოგიაშვილის ნაწარმოებთა სია:

1. „ვალთა სოკოლოვა“ (სამამულო ომის თემაზე, პიესა), 1943 წ.
 2. „თავფარავნელი ჭაბუკი“, 1944 წ.
 3. „ბალნარში“.
 4. „ალუბლები ჰყვავიან“, 1947 წ.
 5. „ირმის წყარო“, პ. მალიარევსკის მიხედვით.
 6. „ოქროს მათრახი“, თანამედროვე მნიშვნ. ზღაპარი.
 7. „ბეკეკა“, 1936 წ.
 8. „კაცია ადამიანი“ (ინსცენირება), 1937 წ.
 9. „მეგობრები“ (ზღაპარი), 1940 წ.
 10. „რწყილი და ჭიანჭველა“, ზღაპარი, 1940 წ.
 11. „რუხი მგელი“, იგავ-არაკი სამამულო ომის თემაზე, 1941 წ.
 12. „გემრიელი სადილისათვის“, პოლიტიკური პიესა, 1942 წ.
 13. „ბელიკი“, თანამედროვე ანტიფაშისტური ზღაპარი, 1943 წ.
 14. „სათაგური“, ვაჟას მიხედვით.
 15. „ტყის სტუმარი“.
- მრავალი ფელეტონები და სკეჩები, სატირული ნაწარმოებები საესტრადო ნომრები და სხვ.

1952 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

სერგო ფხაკაძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|-----------------------------------|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ფხაკაძე სერგო ივანეს-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | თევანიძე |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1913 თვე იანვრის დღე 1 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ქუთაისი |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია, პროზა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1930 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1934 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი, ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|--|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემაღენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღ-გენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღ-გენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>უფროსი შემაღენლობა, ლეიტე-ნანტი, სათადარიგო</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, რო-დის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>დეპუტატი რაისაბჭოსი, ლექი-ური დატვირთვა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედა-ლი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედეები: „კავკასიის დაცვისათ-ვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>—</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>თავისუფლების 28</p> |

„ — “ _____ 1952 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ხელმოწერა ნ. თოფჩიშვილი.

სერგო ივანეს-ძე ფხაკაძე – თევანიძის ავტობიოგრაფია

მე დავიბადე 1913 წელს, იანვრის 1-ლს, ქ. ქუთაისში. 1920 წელს მიმბარეს ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, სადაც მივიღე არასრული საშუალო განათლება. 1928 წელს შევედი ქუთაისის პედაგოგიურ სასწავლებელში, რომლის სრული კურსი დავამთავრე 1930 წელს.

1930/31 სასწავლო წლის განმავლობაში ვიყავი სოფელ ბანოჯის (ქუთაისის რაიონი) არასრული საშუალო სკოლის ქართული ლიტერატურის მასწავლებელი. 1931 წელს დავინწყე მუშაობა საქართველოს საბჭოთა მწერლების ქუთაისის განყოფილებაში ახალგაზრდა მწერალთა სექტორის გამგედ. პარალელურად ვმუშაობდი ქუთაისის რაიონულ გაზეთში „ლენინის გზით“. ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვედი 1930 წელს.

1933 წელს დამამტკიცეს საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის ქუთაისის განყოფილების პ/მგ. მდივნად და ქუთაისის ლიტერატურულ გაზეთის „საბჭოთა მწერალის“ პ/მგ. მდივნად. ამ თანამდებობაზე ვმუშაობდი 1934 წლის ბოლომდე. 1933 წლის შემდეგ – ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. 1935 წელს დავუბრუნდი პედაგოგიურ მოღვაწეობას. სხვადასხვა ადგილებზე ვმუშაობდი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად 1939 წლამდე.

აგრეთვე 1939 წლიდან მუშაობა დავინწყე წყალტუბოს რაიონულ გაზეთის პ/მგ. რედაქტორად. აგრეთვე შეთავსებით ვმუშაობდი ქუთაისის პედინსტიტუტში, ვკითხულობდი ლექციებს. 1941 წლიდან 47 წლამდე ვიყავი წყალტუბოს რაიონულ გაზეთის რედაქტორი, ხოლო შემდეგ არჩეული ვიქენი წყალტუბოს რაიონული კომიტეტის მდივნად, სადაც ვიმუშავე 1952 წლის აპრილამდე. 1952 წლის აპრილის თვიდან ვმუშაობ ქუთაისის საოლქო გაზეთ „სტალინელის“ პარტიული განყოფილების გამგედ.

1947 წლიდან 41 წლამდე ვიყავი ახ.ლ.კ.კ. წევრი, ხოლო 1941 წელს მიღებული ვიქენი კომუნისტური პარტიის რიგებში.

1943 წლიდან ვარ წყალტუბოს რაიონის პარტიული პლენუმის წევრი. 1948 წელს ორჯერ ვიყავი არჩეული დეპუტატად წყალტუბოს რაისაბჭოსა.

ვარ ნამდვილი წევრი პოლიტიკურ-მეცნიერებათა ცოდნის საზოგადოებისა. დაჯილდოებული ვარ მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“.

ჩემი ნაწარმოებები: 1. ლექსები სოციალისტურ მშენებლობაზე. 2. „ჯანმრთელობის მჭედელი“. 3. „მე თქვენთან ვარ“. 4. „საბჭოთა არმიაზე“ (ლექსების ციკლი). 5. სამამულო ომის თემაზე ლექსების ციკლი. 6. ლექსები „მონინავე კოლმეურნეებზე“. 7. ლექსები „სამშობლოზე“. 8. ლექსები „სტალინზე“. 9. „სამშობლოსადმი“. 10. „გამარჯვების დღესასწაულზე“ და სხვა.

1952 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

გიორგი ძუგაევი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ძუგაევი გიორგი ხოსაკის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1913 თვე მარტის დღე 28 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. ჯომაგი (ჯავის რაიონი) |
| 4. ეროვნება | ოსი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია, პროზა, მთარგმნელობა |
| 8. რა ენაზე წერს | ოსურად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1935 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1941 წლიდან |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | სტალინირის პედინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული, ქართული, ოსური |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | მსახურობდა 1939 წლიდან |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | მსახურობდა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | იყო (იხ. ავტობიოგრაფია) |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | ვიყავი 1941 წლიდან 1943 წლამდე ქალ. ლამსდორფში, ვმუშაობდი სანიტრად |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>არასამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>1943 წლიდან 45 წლამდე მარტის თვემდე ვიყავი სამხედრო ტყვე გერმანიაში</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>მწერლობა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>უმცროსი ძმა იყო ტყვედ და შემდეგ გასამართლებული, როგორც სამხედრო ტყვე</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედეგები: „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“ და „პრალის განთავისუფლებისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>—</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ლენინის ქ. 5</p> |

„ — “ _____ 1952 წ.

ხელმოწერა _____

| <p style="text-align: center;">მუშაობა წარსულში (შრომითი საქმიანობა)</p> | | | | |
|---|--------|---|---|---|
| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებულება, ორგანიზაცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ადგილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1924 | 27 | მოჯამაგირედ | სოფლ. საბჭოში | ს-ოსეთი |
| 1927 | 29 | მოსწავლე | სოფ. რუქის დანყ. სკოლა | |
| 1929 | 30 | „-“ | ნოგირის საშ. სკოლა | |
| 1930 | 32 | კურსანტი | მოჯამაგირეთა კურს. | სტალინირი |
| 1932 | 35 | სტუდენტი | პედ-ტექნიკუმისა | „-“ |
| 1935 | 37 | სტუდენტი და პ/მგ მდივანი | გაზ. „კომუნისტისა“ | „-“ |
| 1937 | 39 | პ/მგ მდივანი | „-“ | |
| 1939 | 41 | კურსანტი, სერ- ჟანტი პოლიტ- ხელის მოადგ. | წ/არმიაში | ქ. პერემიშლი |
| 1941 | 45 | სამხედრო ტყვე | ქალ. შეპეტოვკა, ვინიცა, უმანი და ლამსდორფი (გერმანია) | |
| 1945 | | ოცმეთაურის მოადგილე | წ/არმიაში | |
| 1946 | 50 | ლიტრედაქტორი | ჟ. „ფიდიოგი“ | სტალინირი |
| 1952 | | მწერლობა | | |

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

გიორგი ხოსაკის-ძე ძუგაევის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1913 წელს, მარტის 28, ღარიბი გლეხის ოჯახში, სოფ. ჯომაგ-ში, ჯავის რაიონში (სამხრეთ-ოსეთი).

1924-27 წლებში ვიყავი მოჯამაგირედ ადგილობრივ კულაკებთან. 1927-29 წლებში ვსწავლობდი რუკის დანყებით სკოლაში, 1929-30 წლებში – ნოგირის საშუალო სკოლაში.

შემდეგ წლებში ვსწავლობდი ქალ. სტალინირში მოჯამაგირეთა კურსებზე, 1932-35 წლებში – სტალინირის პედტექნიკუმში. აღნიშნული ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ შევედი სტალინირის პედ-ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე და იმავე დროს ვმუშაობდი საოლქო გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში (პირველად) განყოფილების გამგედ, შემდეგ კი – პ/მგ. მდივნად.

1939 წელს გამინვიეს არმიაში, ვარ დიდი სამამულო ომის მონაწილე. ბრძოლის დროს ჩავარდი ტყვედ, საიდანაც რამოდენიმეჯერ ვცადად გამოქცევა. დემობილიზაციის შემდეგ, 46-50 წლებში, ვმუშაობდი ჟურნ. „ფიდიოგის“ ლიტერატურულ რედაქტორად.

ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვედი 1935 წლიდან. ჩემი პირველი ლექსები იბეჭდებოდა გაზ. „კომუნისტისა“ და ჟურნალ „ფიდიოგში“.

1938 წელს გამოცემულ იქნა ჩემი პოემებისა და ლექსების პირველი კრებული „მზის სხივი“, 1941 წელს კი – ეპიური პოემა „მახვილი“. ჟურნ. „ფიდიოგში“ დაიბეჭდა 1946 წელს პოემა ვ. ი. ლენინზე „უღიადესი“.

ვენევი აგრეთვე მთარგმნელობით მუშაობას რუსულიდან ოსურ ენაზე.

1931 წლიდან ვიყავი ალკკ წევრი, ხოლო 1939 წლიდან სკკპ წევრი ვარ. საკავშირო საბჭოთა მწერლების კავშირის წევრი ვარ 1941 წლიდან.

1952 წ.

გიორგი ხოსაკის-ძე ძუგაევის ნაწარმოებთა სია:

1. „მზის სხივი“, ლექსებისა და პოემების კრებული, 1938 წ.
2. „მახვილი“, პოემა, 1941 წ.
3. „მოთხრობები და ზღაპრები“, 1950 წ.
4. „მზის მაცნე“, პოემა, 1947 წ.
5. „კოსტას კოლმეურნეობა“, პოემა, 1949 წ.
6. „მტირალი კლდე“ (კ. ხეთაგუროვის პოემა), თარგმანი.
7. „პოლტავა“ (პუშკინისა), თარგმანი.
8. „არინა, სალდათის დედა“ (ნეკრასოვის), თარგმანი.
9. „ყვითელი ეშმაკის ხალათი“ და „რესპუბლიკის ერთ-ერთი მეფეთაგანი (გორკისა), თარგმანი.
10. „სოროჩინის ბაზრობა“ და „საშინელი შურისგება“ (გოგოლისა), თარგმანი.

1952 წ.

სწორია: 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

თედორე გაგლოევი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|-------------------------------------|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | გაგლოევი თედორე ზაქარიას ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | გაფაზ |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1913 თვე მაისის დღე 5 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ქ. ბაქოში |
| 4. ეროვნება | ოსი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია, მოთხრობა, დრამატურ-გია |
| 8. რა ენაზე წერს | ოსურ ენაზე |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1935 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1945 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ოსური, ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | მსახურობდა პოლიტხელად, ბატალიონის კომისრად ყირიმის ფრონტზე, 1942 წ. შემდეგ დაიჭრა და დემობილიზებული იქნა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | იხ. მუხ. 20 |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>–</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალია რისთვის</p> | <p>„წითელი ვარსკვლავის“ ორდენი, მედალი „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>ამჟამად მუშაობს ს. ოსეთის მწერალთა განყოფილების პ/მგ. მდივნად</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>სტალინირი, მოლოტოვის 32</p> |

„ — “ _____ 1952 წ.

ხელმოწერა _____

| <p style="text-align: center;">მუშაობა წარსულში (შრომითი საქმიანობა)</p> | | | | |
|--|--------|--|--|--|
| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღ- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1935 | 38 | დირექტორი | ორგოსანის არას- რული საშუალო სკოლა | ლენინგორის რ. |
| 1938 | 41 | ლიტ. გან. გამგე | გაზ. „კომუნისტი“ | სტალინირი |
| 1941 | | ინსტრუქტორი | არმიის გაზეთისა | |
| 1942 | | პოლიტხელი, ბა- ტალიონის კომი- სარი | საბჭოთა არმიაში | |
| 1942 | | ვიყავი დაჭრილი, ვინეტი ევაკოგოს- პიტალში | | დერბენტში |
| 1943 | 45 | განყ. გამგე სა- სოფ. სამეურნეო განყოფილებისა. | გაზ. „კომუნისტი“ | სტალინირი |
| 1945 | | პ/მგ მდივანი | ჟურნ. „ფილიოგი“ | „-“ |
| 1950 | 51 | სასოფ. სამეურნ. გან. გამგე | გაზ. „კომუნისტი“ | „-“ |
| <p>შენიშვნა: ამჟამად იგი მუშაობს სამხრეთ ოსეთის განყოფილების პ/მგ. მდივანად.</p> <p>1952 წ.</p> <p>სწორია: ნ. კ., 1956 წ.</p> <p>ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.</p> | | | | |

თედორე ზაქარიას-ძე გაგლოვის (გაფაზის) ავტობიოგრაფია

დავიბადე 1913 წელს ქ. ბაქოში, ნავთის მრეწველობის მუშის ოჯახში. მამა იყო ნავთის მბურღავი-ოსტატი.

1918 წელს ჩვენი ოჯახი გადავიდა საცხოვრებლად ჯავის რაიონში სოფ. ვანათში. 1921–29 წლებში ვიყავი მწყემსი-მოჯამაგირე. ამასთანავე ზამთრობით კი დავდიოდი სკოლაში, რომელიც დავამთავრე 1929 წელს. ამავე წელს შევედი სტალინის პედტექნიკუმის მოსამზადებელ კურსებზე. 1935 წელს დავამთავრე აღნიშნული ტექნიკუმი და 1938 წლამდე ვმუშაობდი ორგოსანის არასრულ საშუალო სკოლის დირექტორად (ლენინგორის რ.). ამავე წელს გადამიყვანეს საოლქო გაზეთ „კომუნისტის“ სასოფლო-სამეურნეო განყ. გამგედ.

1941 წლიდან ვიმყოფებოდი საბჭოთა არმიის რიგებში და ვმუშაობდი დივიზიის გაზეთის ინსტრუქტორად, ასეულის პოლიტხელად, ბატალიონის კომისრად. 1942 წელს დავიჭერი მძიმედ და 1943 წელს დემობილიზებული ვიქენი. ამავე წელს დავინყე მუშაობა გაზ. „კომუნისტში“ სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგეთ. 1945–50 წლებში ვმუშაობდი ჟურნ. „ფიდიოგის“ პ/მგ. მდივნად, რის შემდეგ ისევ გადამიყვანეს გაზეთის რედაქციაში. ამჟამად ვენევი სამწერლო მუშაობას.

ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვედი 1935 წელს. 1940 წელს გამოვიდა ჩემი კრებული „ფანდირას აკორდები“; 1948-49 წ. გამოვიდა მეორე ნაშრომი „ცხოვრება საამური“ და პოემა „ამინეთი“; „ნაწარმოებები“ (პოემები და ლექსები), 1948 წ.; „ნაწარმოებები“ ქართულ ენაზე 1949 წ.; „მშვიდობა“ (პოემები და ლექსები), 1952 წ.

1952

სწორია: ნ. კლ., 1956

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

გიორგი ჯიბლაძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|-----------------------------------|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ჯიბლაძე გიორგი ნიკოლოზის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1913 თვე მაისი დღე 10 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ქუთაისი |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | კრიტიკა, ლიტმცოდნეობა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1931 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1940 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არცერთს |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, თბილისის სახ. უნივერსიტეტი, ლიტერატურული ფაკულტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული, ქართული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|--|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემაღენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღ-გენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღ-გენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>პოლიტნაწილი</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, რო-დის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>იხ. ანკეტა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალია რისთვის</p> | <p>„შრომის წითელი დროშის“ ორ-დენი, „საპატიო ნიშნის“ ორდენი, მედლები: „კავკასიის დაცვისათ-ვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>განათლების მინისტრი</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>პლესხანოვის 86/90, 3-71-44</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1930 | 31 | კორექტორი | გაზ. „წითელარ- მიელი“ | თბილისი |
| 1932 | 33 | ლიტმუშაკი | გაზ. „ახ. კომუ- ნისტი“ | „-“ |
| 1933 | 34 | მდივანი | „კომუნისტი“ | „-“ |
| 1934 | 37 | მდივანი | გაზ. „სტალინელი“ | ქუთაისი |
| 1937 | 39 | რედ. მოადგილე | „-“ | „-“ |
| 1939 | 41 | რედაქტორი | გაზ. „ინდუსტრ. ქუთაისი“ | „-“ |
| 1941 | 46 | რედაქტ. მოადგ. | გაზ. „კომუნისტი“ | თბილისი |
| 1944 | 46 | მდივანი | საქ. მწერ. კავში- რისა | „-“ |
| 1946 | 51 | აგიტ. პროპაგანდ. განყ. გამგე | საქ. ცეკაში | „-“ |
| 1951 | | მდივანი ამჟამად ვმუშაობ | საქარ. ცენტრა- ლური კომიტეტის განათლების მინისტრად. | |
| | | სწორია: ნ. კ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს | გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | |

ავტობიოგრაფია

ჩვეულებრივად დავიწყებ ჩემს ავტობიოგრაფიას: დავიბადე 1913 წლის 27 აპრილს (10 მაისს), ქალაქ ქუთაისში. ჩემი დაბადების დროს მშობლები ძალიან ახალგაზრდები ყოფილან: დედა – ივლიტე კიკალიშვილი 18 წლისა, ხოლო მამა – კოლია 19 წლის ყმანვილი. ასეთ ახალგაზრდებს თურმე არ მისცეს ქორწინების უფლება, და მე, ჩემს დასთან – გუგულასთან ერთად, მთელი ცხოვრების მანძილზე უმამოდ ვიზრდებოდი. დედა გარდაგვეცვალა 1919 წელს და დავრჩით ობლები. ბებიის დის ქმარი, სარდიონ აბესაძე, რომელმაც მე აღმზარდა, სხვადასხვა დაწესებულებაში დარაჯად მუშაობდა. ის იყო ჩემი დედაც და მამაც, საოცრად მიყვარდა!

მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო, ადრიდანვე ვენეოდი ფიზიკურ შრომას. ვმუშაობდი ქუთაისის საგრენაჟო ქარხანაში. ბავშვობიდანვე ვხელოსნობდი. როგორც პირველი მონაფე, სახლში ვასწავლიდი სხვა მონაფეებს, თვით მასწავლებლების მიერ გამოგზავნილთ. მათი მშობლები ფულს მაძლევდნენ, თვიურად 10–15 მანეთს და 1928–1930 წლებში ამ შემოსავლით ვცხოვრობდი.

1930 წელს დავამთავრე ქუთაისის პირველი ათწლედ. შევედი ლენინურ კომკავშირში. იმავე წელს მიმიღეს თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში (ამჟამად სახელმწიფო უნივერსიტეტი). სწავლასთან ერთად მიხდებოდა ზრუნვა მოხუცი აღმზრდელებისა და ჩემი დის უზრუნველსაყოფად, რომელიც 1922 წლიდან იზრდებოდა უდედმამო ბავშვთა სახლში. 1932 წლის ივნისიდან დავიწყე მუშაობა კომკავშირულ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ (მანამდე ვმუშაობდი გაზეთ „ნითელარმიელსა“ და ჟურნალ „თავდაცვა ავიაქიმში“). ერთი წლის შემდეგ, 1933 წელს დავამთავრე ინსტიტუტი. იმავე წლის აგვისტოში მუშაობა დავიწყე გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის მდივნად (საქართველოს კ.პ. ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო). ამ დროს უკვე მიცნობდნენ, როგორც ახალგაზრდა ლიტერატურულ კრიტიკოსს.

ოჯახური მდგომარეობის გამო, 1934 წლის 1 თებერვალს, სამუშაოდ გადავედი ქუთაისის საქალაქო გაზეთში. „კომუნისტის“ რედაქტორი ნიკო კიკნაძე არ მიშვებდა, მაგრამ, როცა მდგომარეობა გავაცანი, დამეთანხმა – დროებით ნადიო. მშობლიურ ქალაქში ინტენსიურად ვიმუშავე. ახლადდაარსებულ ლიტერატურულ გაზეთ „სიტყვა და საქმის“ კოლეგიის წევრადაც ამირჩიეს, ძალიან ახალგაზრდა – 21-22 წლის ყმანვილი. წიგნიც გამოვეცი. თბილისშიც მბეჭდავდნენ. „მნათობმა“ 1936 წელს ჩემი ვრცელი „ბარათაშვილი და ლერმონტოვი“ ერთ (№5-6) ნომერში დამიბეჭდა.

ქუთაისის საქალაქო გაზეთის რედაქციაში ვმუშაობდი მდივნად, ხოლო 1939 წლიდან 1941 წლამდე – რედაქტორად. 1941 წლის აპრილიდან გადამიყვანეს „კომუნისტის“ პასუხისმგებელი რედაქტორის პირველ მოადგილედ. ლექციების კითხვა გავაგრძელე თბილისის უნივერსიტეტში.

1935 წლიდან ვსწავლობდი ქუთაისის პედაგოგიური ასპირანტურაში, რომელიც 1937 წელს დავამთავრე. ასპირანტურაში ჩემი ხელმძღვანელი იყო

პროფ. მიხეილ ზანდუკელი. მას დიდ პატივს ვცემდი. 1935 წლიდან ლექციებს ვკითხულობდი ქუთაისის პედინსტიტუტში. მას შემდეგ ლექციების კითხვა არ მშემიწყვეტია. 1938 წელს შევედი ს.კ.პ.(ბ) რიგებში.

1939 წლიდან ვარ სკკპ წევრი. 1939 წლის 5 ივნისს შევიერთე მეუღლე და დავიცავი დისერტაცია ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „პრობლემა ბუნებისა და ხელოვნების მშვენიერებისა“. გამოვეცი 24 ნიგნი: „ლიტერატურული საკითხები“ (1934 წ.), „პრობლემა ბუნებისა და ხელოვნების მშვენიერებისა“ (1940 წ.), „კრიტიკული ეტიუდები“ (1945 წ.), „ალექსანდრე წულუკიძის ლიტერატურული შეხედულება“ (1946 წ.), „მხატვრული შემოქმედების ნარკვევები“ (1946 წ.), „ხელოვნება და სინამდვილე“ (1948 წ.), „კომუნიზმის ქებათა ქება“ (1948 წ.), „კრიტიკული უტიუდები“, ტ. I (1950 წ.), „ხელოვნება და სინამდვილე“ (1955 წ., მეორე გამოცემა), „კრიტიკული ეტიუდები“, ტ. II (1955 წ.), „კრიტიკული ეტიუდები“, ტ. III (1959 წ.), „იოსებ გრიშაშვილი“ (რუსულ ენაზე), „ვაჟა ფშაველა“ (1961 წ.), რუსულ ენაზე, „ესთეტიკური თეორიის საკითხები“ (1961 წ.), „კრიტიკული ეტიუდები“, ტ. IV (1963 წ.), „ილია ჭავჭავაძე“ (1966 წ.), „რუსთაველის ესთეტიკური სამყარო“ (1966 წ.), „უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება საქართველოში“ (1967 წ.) ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე, „ბარათაშვილის პოეტური გენია“ (1968 წ.), „ესთეტიკური აღზრდის პრინციპი“ (1968 წ.), რომელმაც გოგებაშვილის პრემია მიიღო, „რომანტიკოსები და რეალისტები XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში“ (1963 წ.) რუსულ ენაზე და სხვ. ბევრი წერილი გამოვაქვეყნე ხელოვნების, ლიტერატურის, ესთეტიკის, განათლების საკითხებზე ჟურნალებსა და გაზეთებში, დაახლოებით 300-მდე. ამჟამად ლექციებს ვკითხულობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1946–1951 წლებში ვმუშაობდი საქართველოს კპ ცკ-ის განყოფილების გამგის მოადგილედ.

1951–1953 წლებში ვიყავი საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი.

1953 წლის აპრილიდან 1953 წლის სექტემბრამდე ვმუშაობდი ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგედ; 1953 წლის სექტემბრიდან 1960 წლის აპრილამდე – საქართველოს სსრ განათლების მინისტრად.

1960 წლის აპრილიდან 1961 წლის სექტემბრამდე ვმუშაობდი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

ამჟამად ვმუშაობ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრად.

1944 წლიდან შეთავსებით ვმუშაობდი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პასუხისმგებელ მდივნად. დღემდე ვარ მისი გამგეობის წევრი. ვიყავი საკავშირო მწერალთა ყრილობების დელეგატი.

1947 წელს დავამთავრე და 1948 წლის აპრილში გამოვეცი ჩემი სადოქტორო დისერტაცია „ხელოვნება და სინამდვილე“. მაქვს ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, წოდება – პროფესორი, აკადემიკოსი.

1955 წლის 10 ოქტომბერს ამირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1960 წლის 31 დეკემბერს – აკადემიკოსად და აკადემიის პრეზიდიუმის წევრად.

1957 წელს ვიყავი განათლების მუშაკთა ჟენევის საერთაშორისო კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში, 1967 წელს – უმაღლესი სკოლების მუშაკთა დელეგაციის წევრი მსოფლიო გამოფენაზე მონრეალში.

1959 წელს ამირჩიეს რსფსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად და აკადემიის პრეზიდიუმის წევრად, ხოლო 1968 წლიდან ვარ სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი-დამფუძნებელი.

რამდენჯერმე ამირჩიეს საქართველოს კ.პ.ც.კ.-ის წევრად, უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და ერთხელ პარტიის ცკ-ის ბიუროს წევრად.

დაჯილდოებული ვარ ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორი ორდენით, საპატიო ნიშნის ორდენით და მრავალი მედლით.

მყავს მეუღლე, ორი ქალიშვილი, ერთი შვილიშვილი და სიძე. ყველა საოცრად მიყვარს, მაგრამ შვილიშვილი ჩემს თავზე მეტად.

ჩემი ცხოვრების დევიზია: ვიმუშაო მთელი ძალით და რა ნიჭიც ბუნებამ მიწყალობა, მთლიანად მოვანმარო მშობელი ქართველი ერის დიდებას, სოციალისტურ სამშობლოს!

გიორგი ჯიბლაძე

15/II-71

თბილისი

ალიო ადამია

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|-------------------------------------|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ადამია ალიო კონსტანტინეს-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | არა მაქვს |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1913 თვე მაისი დღე 20 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ქ. ბათუმი |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია, პროზა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1932 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1940 |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია |
| 12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ-ს წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | დავამთავრე პედაგოგიური ინსტიტუტი, ფილოლოგიის განხრით |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული, ქართული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|--|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემაღენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღ-გენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღ-გენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>რიგ. ჯარისკაცი</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, რო-დის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>–</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედა-ლი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>გამომცემლობა „ხელოვნების“ დირექტორი</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ათარბეგოვის 45ა</p> |

„ 5 “ მაისი 1952 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1931 | 1935 | ლიტგანყოფი- ლების გამგე | „ახალგაზრდა კომუნისტის“ რე- დაქციაში | თბილისი |
| 1936 | 1937 | ლიტმუშაკი | რადიოკომიტეტში | „-“ |
| 1943 | | ლიტმუშაკი | „კომუნისტის“ რედაქციაში | „-“ |
| 1956 | | გამომცემლობის გამგე | გამომცემლობა „ხელოვნება“ | „-“ |
| | | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

ალიო კონსტანტინეს-ძე ადამიას ავტობიოგრაფია

დავიბადე 1913 წლის 20 მაისს ქალაქ ბათუმში.

1921–1928 წლებში ვსწავლობდი ახალ-სენაკის (ამჟამად ცხაკაიას) საშუალო სკოლაში. 1929 წელს გადმოვედი თბილისში და დავამთავრე საშუალო სასწავლებელი.

1932-1933 სასწავლო წლებში დავამთავრე თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

1932 წელს გამოქვეყნდა ჩემი პირველი ლექსები და ბალადები, აგრეთვე პოემა. 1934 წელს პოეზიის ჟანრთან ერთად ვმუშაობდი პროზის ჟანრზე-დაც. გამოვაქვეყნე რამდენიმე მოთხრობა.

ვმუშაობ რომანზე „რაიკომის მდივნის ოჯახი“ და ლექსების კრებულზე „თბილისი საქართველოს გული“.

1943 წლიდან ვმუშაობ რედაქციებში და გამომცემლობებში პასუხისმგებელ სამუშაოებზე.

ალიო კონსტანტინეს-ძე ადამიას ნაწარმოებთა სია

1. „ლექსები“, 1936 წ.
2. „ქორწილი კოლხიდაში“, პოემა, 1941 წ.
3. „შეხვედრა მერხეულში“, ლექსები, 1946 წ.
4. „სოფლის გზებზე“, ნარკვევი, 1948 წ.
5. „მეზაღე“, მოთხრობა, 1948 წ.
6. „მესხეთის გაზაფხული“, ლექსები და ბალადები, 1949 წ.
7. „ყარნაბას ნაპირებზე“, მოთხრობა, 1951 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ილია ფლიევი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|-----------------------------------|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ფლიევი ილია კონსტანტინეს-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1913 თვე ივლისი დღე 15 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. ჯავა |
| 4. ეროვნება | ოსი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია |
| 8. რა ენაზე წერს | ოსურად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1935 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1945 წლიდან |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | სტალინირის პედინსტიტუტის მეოთხე კურსიდან ვარ |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ოსური, რუსული, ქართული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>სამხედროვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>პარტიული ხაზით ვყოფილვარ დატვირთული</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>პ/მგ. რედაქტორი ჟურნ. „ფიდიუგისა“ სტალინირი, ს. ოსეთი</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>მიქოიანის 18</p> |

„ — “ _____ 1952 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1930 | 32 | გამგე | ძიმირის დაწყები- თი სკოლა | ლენინგორის რაიონი |
| 1934 | 35 | პედაგოგი | 104-ე ოსური შრომის სკოლა | თბილისი |
| 1935 | 37 | გამგე | დანეებითი სკოლა | აღბულალის რაიონი |
| 1940 | 41 | საკ. კორესპონ- დენტი | გაზ. „კომუნის- ტის“ რედაქცია | სტალინირი |
| 1941 | 42 | გამგე | დანეებითი სკოლა | ს. კირცინი, სტა- ლინირის რაიონი |
| 1942 | 45 | დირექტორი | არასრ. საშ. სკოლა | „-“ |
| 1945 | 46 | „-“ | დამპალეთის არას- რული საშუალო სკოლა | „-“ |
| 1946 | 50 | პ/მგ. რედაქტორი | ჯავის რაიონული გაზეთი | |
| 1950 | | „-“ | ჟურნ. „ფიდიუგი“ | სტალინირი |
| | | 1952 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

ილია კონსტანტინეს-ძე ფლიევის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1913 წლის 15 ივლისს, სოფ. ჯავაში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 1926 წელს დავამთავრე ჯავის დაწყებითი სკოლის სამი კლასი, ხოლო 1930 წელს – თბილისის 104-ე ოსური შრომის სკოლა. 1930–32 წლებში ვმუშაობდი ძიმირის (ლენინგორის რაიონი) დაწყებითი სკოლის გამგედ. 1935 წელს დავამთავრე თბილისის ოსური პედტექნიკუმი. ამ წლებში ვმუშაობდი თბილისის ოსურ სკოლაში მასწავლებლად.

1940 წელს ვმუშაობდი ოსური საოლქო გაზეთის „კომუნისტის“ კორესპონდენტად. შემდეგ წლებში ვმუშაობდი მასწავლებლად სხვადასხვა ოსურ სკოლებში. ხოლო 1946–1950 წლებში ვიყავი ჯავის რაიონული გაზეთის რედაქტორად.

1950 წლიდან კი ვმუშაობ ჟურნ. „ფიდიუგის“ რედაქტორად.

ლიტერატურული მოღვაწეობა დავიწყე 1935 წელს. ჩემი პირველი წიგნი „განთიადი“ გამოვიდა 1941 წელს. ამჟამად ვმუშაობ კრებულზე „ქართული ფოლადი“.

კომპარტიის რიგებში შევედი 1943 წელს.

მწერალთა კავშირის წევრი ვარ 1945 წლიდან.

ჩემი ნაწარმოებების სია:

1. „განთიადი“, ლექსების კრებული, 1941 წ.
2. „სამშობლო“, „–“, 1954 წ.
3. „ლექსების კრებული“, 1954 წ.
4. „ზარადა“, მოთხრობა, 1951 წ.
5. ლექსები საქართველოზე, 1954 წ.

1952 წ.

სწორია: ნ. კლ., 1954 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

გრიგოლ აბაშიძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | აბაშიძე გრიგოლ გრიგოლის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1913 თვე აგვისტო დღე 1 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ქ. ჭიათურაში (საქართველოს სსრ) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | აზნაური |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე (ცოლშვილიანი) |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულზე |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1934 |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1937 წლიდან |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არცერთს |
| 12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, დამთავრებული, თბილისის სახ. უნივერსიტეტი ფილოლოგიის ფაკულტეტი, 1936 წელს |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | არა |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული – „ვეუს“</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>ჟურნალ „დროშის“ პ/მგ. რედაქტორი</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>სტალინური პრემიის ლაურეატი, ორდენი „საპატიო ნიშანი“, მედლები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>ჟურნალ „დროშას“ პ/მგ. რედაქტორი</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>სანაპიროს ქ. 1, 3-69-25</p> |

„ — — “ ————— 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უნყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|---|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1940 | 1942 | პასუხისმგებელი მდივანი ჟურნალ „მნათობისა“ | საქართველოს საბჭოთა მწერლე- ბის კავშირის ორგანო | ქ. თბილისი |
| 1944 | 1949 | იუმორისტულ ჟურ. „ნიანგის“ პ/მგ. რედაქტორი | | ქ. თბილისი |
| | | ამჟამად მუშაობს ჟურნ. „დროშას“ პ/მგ. რედაქტო- რად | | ქ. თბილისი |
| სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | | | |

გრიგოლ გრიგოლის-ძე აბაშიძის ავტობიოგრაფია

მე დავიბადა 1913 წელს, ქალ. ჭიათურაში (საქართველოს სსრ).

1913 წელს დავამთავრე თბილისის საშუალო სასწავლებელი.

იმავე წელს შევედი თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე და დავასრულე 1936 წელს.

ლექსების სისტემატური ბეჭდვა დავიწყე 1934 წლიდან.

1938 წელს გამოვიდა ჩემი ლექსების პირველი წიგნი.

1938 წელსვე დაიბეჭდა ჩემი პოემა „შავი ქალაქის გაზაფხული“. თემად აღებული მაქვს 1905 წლის არალეგალური მუშათა მოძრაობა ქალ. ჭიათურაში. ეს პოემა გამოვიდა რუსულ ენაზე ლიპსკეროვისა და კაჩეტკოვის თარგმანით.

1940 წელს გამოვიდა ჩემი ლექსთა კრებული „ასფურცელა“.

1942 წელს დავბეჭდე პოემა „გიორგი მეექვსე“. პოემაში მოცემული მაქვს ქართველი ხალხის საგმირო ბრძოლა თემურ ლენგის წინააღმდეგ (პოემა გადათარგმნილია რუსულ ენაზე).

1943 წელს დავწერე პოემა „ძღვევის ქედი“. პოემაში ასახულია გმირული ბრძოლა სამამულო ომის დროს კავკასიის დაცვისათვის.

ამ პოემაში მე შევეცადე, მეჩვენებინა ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა ფრონტზე და ზურგში. რუსი და ქართველი მეზობლების მეგობრობა კავკასიის დაცვის საქმეში.

პოემა დაიბეჭდა ც-კას ცენტრალურ ორგანო გაზეთ „კომუნისტში“, ცალკე წიგნად გამოვიდა 1944 წელს. პოემა თარგმნილია რუსულ ენაზე, თარგმანი ეკუთვნის დერჟავინს, დაიბეჭდა ჟურნალ „ოქტიაბრში“, 1944 წელს, №2-ში.

1943 წელს გამოვიდა ჩემი ლექსების წიგნი „დროშები“. ამ წიგნში დაიბეჭდა ჩემი საუკეთესო ლექსები, დაწერილი სამამულო ომის პერიოდში.

1942 წელს პოემა „გიორგი მეექვსე“ გამოვიდა ცალკე წიგნად.

1946 წელს დავწერე და ცალკე წიგნად გამოვიდა პოემა „ზარზმის ზმანება“. თემა ეხება საქართველოს სამხრეთ რაიონებს, მესხეთის აღორძინებას და მათ მონაწილეობას სამამულო ომის დროს.

1946 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა ჩემი სამი პოემა: „ძღვევის ქედი“, „ზარზმის ზმანება“ და „გიორგი მეექვსე“.

1947 წელს გამოვიდა ჩემი წიგნი „ჯაჭვგაუხდელი“.

1949 წელს დავწერე წიგნი „სამხრეთ საზღვარზე“.

ეს თემა ეხება ამერიკელთა დახმარებას ჩვენ სამხრეთელ მეზობლების – თურქეთისა და ირანის ხალხთა, ქართველი და რუსი ხალხის მეგობრობას... ეს ლექსები დაიბეჭდა ც-კას ცენტრალურ ორგანო „კომუნისტში“ და იმავე წელს გამოვიდა ცალკე წიგნად. აგრეთვე გამომცემლობა „ზარია ვასტოკამ“ გამოსცა რუსული თარგმანი შესრულებული ნ. ზაბოლოცკისა. ამ წიგნის დიდი ნაწილი დაიბეჭდა ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვ“-ში, №5-ში.

1950 წელს დავწერე წიგნი „ლენინი სამგორში“.

დავწერე აგრეთვე საბავშვო პოემები: „ნაბოლარა წინილა“, „ფისოს გასეირნება“, „ხუთი გმირი“, ლექსები და პოემები, 1951 წ.

ამავე დროს ვმუშაობდი სხვადასხვა საპასუხისმგებლო სამუშაოებზე.

1931 წლიდან ვიყავი ალკკ წევრი.

1944 წლიდან ვარ სკკპ წევრი.

1937 წელს მიღებული ვიქენი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრად.

1946 წელს პოეტ ალექსანდრე აბაშელთან ერთად დავწერეთ საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი.

1946 წელს ჩემი ლიტერატურის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებული ვიქენი ორდენით „საპატიო ნიშანი“.

1950 წელს პოემების: „სამხრეთ საზღვარზე“, „ლენინი სამგორში“ მომეცა უმაღლესი ჯილდო – სტალინური პრემია.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

სამუელ მოძვრიშვილი

ავტობიოგრაფია

მეძნელება ავტობიოგრაფიის დაწერა ისევე, როგორც მტკივანი ხელით ლოდის აწევა. პირადი ცხოვრების თარიღების აღწერას რატომღაც უსიამოვნო განცდას მგვრის. ჩემი გაგებით, პოეტი ავტობიოგრაფიას არც უნდა წერდეს, რადგანაც მთელი მისი ცხოვრება, მთელი მისი სულიერი სამყარო, დროისა და გარემოს იმპულსებისაგან დაღდასმული, მხატვრულ ქმნილებებში უფრო ღრმად და ბუნებრივად მჟღავნდება, ვიდრე მშრალ ტექსტსა და თარიღებში. პოეტის შემოქმედება სხვა არაფერია, თუ არა გარემო სინამდვილესთან გარკვეულ კონტაქტში მყოფი პირადი სულიერი ცხოვრების განზოგადებულ ფორმებში მხატვრული სიტყვით გაცხადება.

მიუხედავად ამისა, მოვალეობა მაიძულებს, დავწერო ავტობიოგრაფია.

მე, სამუელ (შამუელ) ისრაელის ძე მოძვრიშვილი, დავიბადე 1913 წლის 15 აგვისტოს, სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშში, ქართველი ებრაელის ოჯახში.

მეხსიერებაში ღრმად ჩამრჩა საქართველოს გასაბჭოების დღეს მოსმენილი შორეული ბათქა-ბუთქი თოფისა და ისიც, რომ სამტრედიიდან მომავალ, კარზე მომდგარ წითელ ჯარისკაცს დედაჩემმა პური მიანოდა და ხონისაკენ მიმავალი გზა ასწავლა.

ბატონი მამაჩემი, ისრაელ არონის ძე მოძვრიშვილი, უაღრესად მართალ და პატიოსან კაცად ითვლებოდა კულაშის საზოგადოებაში. ჩემს ბავშვობაში იგი რომელიღაც მდიდარი ებრაელი ვაჭრის ნოქარი იყო, ჩემს სიტყაბუკეში სახერხი ქარხნის დარაჯად მუშაობდა, ჰქონდა საკუთარი ხელით გაშენებული ბაღი და მეზობლები მიჩურინელ ისრაელს ეძახდნენ. გატაცებით კითხულობდა „თელიმს“, ანუ „ფსალმუნს“. გარდაიცვალა ოთხმოცდათოთხმეტი წლის ასაკში.

სულკურთხეული დედაჩემი, ნანა იოსების ასული მოშიაშვილი კი, წესიერი მანდილოსანი, მაღალნიჭიერი და ინტერნაციონალური სულის ადამიანი გახლდათ. იგი, ქუთაისელი ებრაელის ოჯახში აღზრდილი, ყოველთვის ღმერთს შეავედრებდა ხოლმე ჯერ დედამინაზე მცხოვრებ სხვადასხვა ხალხს, შემდეგ კი ებრაელ ხალხს, შვილებსა და შვილიშვილებს.

მამაჩემი და დედაჩემი, მათი ძმები და დები ტიპიური, კეთილი და გამრჯე ებრაელები იყვნენ. ისინი, თუმცა დრომ შთანთქა, ჩემში კვლავ ცოცხლობენ. მათში დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა, ერთი მხრივ, სანუთროში ადამიანის სიცოცხლის ხანმოკლეობით გაპირობებულ დაძაბულობას, ხოლო, მეორე მხრივ, ღვთისადმი შიშსა და იმედს.

ბიძაჩემ შაბათა მოძვრიშვილს, ჩემს ნათლიას, თორის ანუ ბიბლიური ნიგნების კარგ მცოდნედ თვლიდნენ. იგი ყველა ლოცვას, ღვთისადმი ყველა ვედრებას ამ სიტყვებით ამთავრებდა ხოლმე: აღონაი, მაღირსე, რომ ჩემი ბებერი ძვლები იერუშალაიმის მიწამ მიიბაროსო.

ვიზრდებოდი უაღრესად კაცთმოყვარულსა და ღვთისმოსავ გარემოში.

გადმოცემის თანახმად, ჩემი გვარის წინაპრები ლაილაშიდან უნდა იყვნენ მოსული კულაში, მიქელაძეების სამკვიდროში. როგორც კულაშელი ებრაელების მრავალ ოჯახს, მამაჩემის ოჯახსაც კეთილი მეზობლური ურთიერთობა ჰქონდა ქართულ ოჯახებთან. აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი ბედი დაკავშირებულია ქართველ მასწავლებელ ქალთან, ქსენია მაქსიმეს ასულ ბოლქვაძესთან, რომელსაც ადამიანურობის ეტალონად მივიჩნევ.

ჩემმა მშობლებმა საფლავებში ჩაიტანეს უდიდესი სიმპათია საბჭოთა კავშირისადმი, რომელმაც ისრაელის სახელმწიფოს შექმნას მხარი დაუჭირა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ჩემი ძმა, მოშე და დები – სიფორი, რახილი, თამარი და ფაცია – ამჟამად სოფელში ღირსეულ ადამიანთა რიცხვში იხსენებიან. მათი შვილებიც და შვილიშვილებიც მშობლებს ბაძავენ.

ამ საუკუნის ოციანი წლების პირველ ნახევარში კულაშის ებრაელთა საზოგადოებაში გაბატონებულმა მორწმუნეობისა და მენწვილმანეობის ძლიერმა ქარმა მეც შემაბარბაცა, მაგრამ ვერ დამიმორჩილა. მაშინ, როცა ჯერ კიდევ არც ერთი ლექსი არ მქონდა შეთხზული, ზოგიერთები პოეტობას მიწინასწარმეტყველებდნენ. შეიძლება, იმის გამო, რომ ბავშვობიდანვე გარემო სინამდვილეზე დაკვირვება და ოცნება უფრო მიყვარდა, ვიდრე ლაპარაკი. ძველი ხასიათი არ შემცვლია. ალბათ, თავისებური პოეტური ბუნება თანვე დამყვა და უცვლელად მომდევს.

რამდენიმე წელიწადს ვმუშაობდი ქუდის ხელოსნად, შემდეგ ვსწავლობდი მუშფაკში.

1941 წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით.

მონაწილეობა მივიღე დიდი სამამულო ომის დროს სევასტოპოლის დაცვის ბრძოლებში. დამაჯილდოვეს მედლებით საბრძოლო დამსახურებისათვის.

ჩემი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1943 წელს.

ჩემი პირველი ლექსების წიგნი გამოქვეყნდა 1957 წელს, მეორე – 1962 წელს, მესამე კი – 1969 წელს.

ჩემი ლექსების მეორე წიგნზე გაზეთმა „სოფლის ცხოვრებამ“ 1963 წელს დასტამბა ქება-დიდების შემცველი წერილი, რომელშიც მიმოხილველი აღნიშნავდა: პოეტ სამუელ მოძღვრიშვილის ზოგი ლექსი ფილოსოფიურიაო.

1965 წლიდან ვარ მწერალთა კავშირის წევრი.

ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე დიდხანს ვასწავლიდი ახალ თაობებს და ვუნერგავდი ქართველი ხალხის ენისა და ქვეყნისადმი სიყვარულს.

ჩემი სამუშაო დღე გრძელდებოდა. ვწერ მრავალგზის მეტს, ვიდრე ვბეჭდავ. ვწერ უმთავრესად დილის საათებში. ჩემში ვიღაც მძლავრად გალობს ან აზროვნებს.

ვკითხულობ ჩემთვის ხელმისაწვდომ მსოფლიო მნიშვნელობის მქონე მწერლების თხზულებებს. მართალია, განსწავლულობით კაცი პოეტად ვერ იქცევა, მაგრამ პოეტური პერსონისათვის ცოდნის შეძენა მიმაჩნია ისევე სასარგებლოდ, როგორც ძლიერ ხვატში ყანისათვის მაცოცხლებელი წვიმა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების წიგნს ყველგან და ყოველთვის თან ვატარებ. ჩემთვის სათაყვანო ლექსებს ვიზებირებ და გულში ვიმეორებ, რო-

გორც მორწმუნე ებრაელი ლოცვებს. ჩემი განუყრელი მეგობარი და მფარველი გახლავთ მუზა, ეს „ღმერთი პატარა, როგორც ფუტკარი“, რომელიც მთელ სამყაროსთან მაკავშირებს და ებრძვის წარმავლობას, ვითარცა ბიბლიური იაკობი თავის ღვთაებას.

სამყაროში ჩემთვის სიცოცხლესაც სიცნაურია, სიკვდილი კი – უცნაური. მძაფრად განვიცდი მოკრიალებულ ცაზე ახალი მთვარის გამოჩენას, ბალახის ამოსვლას, კვირტის გახსნას, ტალღის რხევას. ვგრძნობ არსისა და მოვლენის წარმოშობისა და გაქრობის იდუმალ სანყისებს, რომელთა მსგავსი რამ ახლახან შევნიშნე, თუ მომელანდა მხატვარ ლადო გუდიაშვილის ნამუშევრების გამოფენაზე ზოგ მხატვრულ ტილოში.

ცხოვრების გზებზე მრავალი ადამიანური სახე და ხასიათი აღმებეჭდა სულის ფრთებზე. ამათგან უკვე ბევრის მზე ჩაესვენა ბუნებაში, მაგრამ მე კი სიტყვაში ხორცშესხმას ცოცხლებივით მევედრებიან.

მჯერა, საუკუნეების განმავლობაში ჩემზე ნიჭიერი ქართველი ებრაელები ამოეფარნენ საქართველოს დალოცვილ მინას. შეიძლება მეც, მათი პატარა შთამომავალიც, უსახელოდ გავმქრალიყავი, ახალ საქართველოს რომ არ მოვენათლე პოეტად.

ჩემი მსოფლმხედველობა, ბუნებასა და საზოგადოებასთან დამოკიდებულება, სულში აღბეჭდილი ცხოვრებისეული მოვლენები და ეპიზოდები შეძლებისამებრ გავამჟღავნე მხატვრულ თხზულებებში, რომელთა დიდი ნაწილი ჯერჯერობით გამოუქვეყნებელია.

*სამუელ ისრაელის ძე მოძღვრიშვილი
თბილისი, 1970 წლის 25 ნოემბერი*

მიხეილ კვესელავა ავტობიოგრაფია

Родился в 1913 г. в семье крестьянина. В 1930 г. окончил 33-ю школу в г. Тбилиси. 1931–1936 гг. учился в Тбилисском государственном университете. В 1936 г. окончил филологический факультет университета и был зачислен в аспирантуру при кафедре истории зарубежной литературы. С того же года приступил к чтению лекции в университете. Читал курс по истории современной зарубежной литературы. В 1940 г. защитил диссертацию на соискание ученой степени кандидата филологических наук и было присвоено звание доцента.

С 1941 года до окончания войны, служил в действующей армии. После окончания войны принимал участие в Нюрнбергском процессе главных военных преступников. В 1946 г. вернулся в Тбилиси и работал на разных должностях (см. личный листок по учету кадров). Паралельно читал лекции в Тбилисском государственном университете и в Институте иностранных языков.

В настоящее время работаю в Тбилисском государственном университете на должности профессора.

Член КПСС с 1942 г. Награжден 12-ю орденами и медалями.

*27/V–76 г.
М. Квеселава*

შაქრო სამადაშვილი

ავტობიოგრაფია

დავიბადე 1913 წელს, გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხეში. დაწყებითი განათლება სოფელში მივიღე, შემდეგ სწავლა გავაგრძელე თბილისში. 1937 წელს დავამთავრე ა. ს. პუშკინის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტი. 1937 წლიდან 1953 წლამდე ვმუშაობდი საქართველოს სხვადასხვა რაიონების საშუალო და სპეციალური სასწავლებლების ქართული ენის, ლიტერატურისა და ქართული ენის მეთოდის მასწავლებლად. მიყვარდა პედაგოგობა და ამ დიდს, ძნელსა და საინტერესო საქმეს ჩემს მოქალაქეობრივ, პატრიოტულ მოღვაწეობად და უმაღლეს მოვალეობად ვთვლიდი. გაკვეთილებზე მესწრებოდნენ მეთოდისტები, სკოლის ხელმძღვანელები, მასწავლებლები და მშობლები, ყველანი კმაყოფილნი რჩებოდნენ. ბაკურციხის ტექნიკუმის დირექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა, სიმონ მენტეშაშვილმა მითხრა: შენს მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს მე აღმაფრენას ვუნოდებო. ცხადია, მენტეშაშვილმა გადაჭარბებული შეფასება მისცა ჩემს შრომას, ერთი რამ კი შემიძლია ვთქვა: ჩემს მუშაობაში არ დამიზოგია ძალა და ენერჯია, არ შემსუსტებია მონადინება, არ დამიკარგია ხალისი, რის გამოც დამაჯერებლობით, მიმზიდველობითა და პოეტურობით იყვნენ აღბეჭდილნი ჩემი გაკვეთილები.

ლექსების წერა სტუდენტობის პერიოდში დავიწყე. ვიყავი გაერთიანებული მასწავლებლის სახლთან არსებულ ლიტერატურულ წრეში, ამ წრეში ხშირად ვისმენდი ვახტანგ კოტეტიშვილის საუბრებსა და მოხსენებებს, რომლებმაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს. ჩემი პირველი ლექსები დაიბეჭდა ჟურნალ „ჩვენი თაობაში“.

ლექსების პირველი კრებული გამოვიდა 1955 წელს, პირველ წიგნს მოჰყვა შემდეგი წიგნები: „სწორედ ამიტომ“, ლირიკა, „მშობლიური ფერები“, „მნიფე ყანა“, „მაისის ღამე“, გამომცემლობა „მერანმა“ ახლახან გამოსცა ახალი ლექსების კრებული, რომელსაც ვუნოდე „ღია გულით“. მწერალთა კავშირის წევრი ვარ 1958 წლიდან, პარტიის წევრი 1952 წლიდან.

გადამეკიდა და არ მშორდება რამოდენიმე სახის თითქმის უკურნებელი სენი, რომელიც საშინლად ბოჭავს და ამცირებს ჩემს შემოქმედებით შესაძლებლობასა და აღმაფრენას. მინდა, უფრო ნაყოფიერად ვიმუშაო ჩემი სამშობლოსა და ხალხის სასიკეთოდ, მაგრამ ამის საშვალეობას არ მაძლევს ავადმყოფობა. მინდა, გავიმეორო ჩემი აღრინდელი ლექსის შემდეგი სტრიქონები:

„ასე, ამგვარად, გულო, რა უშავს, კვლავაც დაიცვა შრომა მგოსნური, ხელცარიელი უნდა გაუშვა შავი სიკვდილი ჩემთან მოსული.

მაცალე, გულო, გამიგე, მიცან, მწე იყავ ისევ, რომ ვთქვა უთქმელი.

მერე კი... მერე... მშობელო მიწავ, მარად თბილ მკერდზე მოგესუტები!“

მყავს ცოლი, შვილები და შვილიშვილები. მწერლობას ვწევი 1936 წლიდან.

მაპატიოს სამშობლომ, უფრო მეტი და უფრო უკეთესი თუ ვერ შევძელი.

შაქრო გიორგის ძე სამადაშვილი
1970

გიორგი ივლიანეს ძე მერკვილაძე

ავტობიოგრაფია

დავობადე 1914 წლის 1 იანვარს ახლანდელი ტყიბულის რაიონის (ოკრიბა) სოფ. ჯონიაში.

მამა – ივლიანე მერკვილაძე სოფლის მეურნე იყო, თანაც პოეზიას გაეტაცუნა; ლექსებს წერდა (სხვადასხვა დროს გამოცემულია მისი ლექსების ხუთი წიგნი). მისი კორესპონდენციები ხშირად იბეჭდებოდა თბილისის თუ ქუთაისის ჟურნალ-გაზეთებში.

რვა წლისა რომ გავხდი, ჩვენი სოფლის ორკლასიან სასწავლებელში შემეყვანეს. შემდეგ ვსწავლობდი ხრესილის შვიდწლიან სკოლაში, ხოლო უფრო გვიან, 1928-29-30 წლებში, ტყიბულის შახტებში ვმუშაობდი და თანაც იქვე სამთამადნო სკოლაში ვსწავლობდი. ამ დროს ხშირად ქვეყნდებოდა ჩემი წერილები თუ იუმორისტული ლექსები რესპუბლიკურ გაზეთებში, იუმორისტულ ჟურნალებში („ახალგაზრდა კომუნისტი“, „ახალი სოფელი“, „ტარტაროზი“, „შოლტი“ და სხვ.).

1931 წლის იანვარში თბილისში მომავლინეს ჟურნალისტთა გადასამზადებელ კურსებზე. მისი დამთავრების შემდეგ, იმავე წელს, მუშაობა დავიწყე გაზ. „კომუნისტის“ რედაქციაში ლიტმუშაკად. 1935 წლამდე ვმუშაობდი აქ. შემდეგ – 1935–37 წლებში ვიყავი ქობულეთის რაიონული გაზეთის პ.მგ. მდივანი.

1937–49 წლებში აფხაზეთში მომიხდა მუშაობა (ვიყავი გაზ. „საბჭოთა აფხაზეთის“ ჯერ რედაქტორის მოადგილე, ხოლო შემდეგ – რედაქტორი). უმაღლესი განათლება მივიღე აქვე; 1943 წლებში მუშაობის პარალელურად დავამთავრე სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი.

1934-35 წლებიდან ქვეყნდება ჩემი ნარკვევები, პატარა მოთხრობები თუ კრიტიკული წერილები.

1949–52 წლებში ვიმყოფები ქ. მოსკოვში; ვსწავლობ საკ.კ.პ.(ბ) ც.კ.-თან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიაში. აქ ვამთავრებ ასპირანტურას და ვიცავ საკანდიდატო დისერტაციას თემაზე „სოციალისტური რეალიზმის განვითარება 30-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში“.

აკადემიის დამთავრების შემდეგ – 1952-53 წ.წ. – ვმუშაობ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორად.

1953–57 წლებში ვარ საქართველოს სახელმწ. გამომცემლობის („სახელგამი“) დირექტორი, ხოლო 1957 წლის ბოლოდან ვმუშაობ საქართველოს მეცნ. აკადემიის შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად. ვარ აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრა).

1928–39 წწ. ვიყავი კომკავშირის წევრი; 1939 წლიდან ვარ სკკპ წევრი.

ჯილდოები: „საპატიო ნიშნის“ ორდენი, მედლები.

1964 წელს დავიცავი სადოქტორო დისერტაცია თემაზე „თანამედროვე ქართული რომანი“.

დღემდე გამოცემულია ჩემი შემდეგი ნიგნები: „სოციალისტური რეალიზმის შესახებ“ (1954), „პოეზია და ხალხი“ (1956), „ლიტერატურა და ცხოვრება“ (1959), „Современный грузинский роман за рубежом“ (1960), „თვალთახედვა მხატვრისა“ (1963), „თანამედროვე ქართული რომანი“ (1965), „გრიგალას სიმღერა“ (მონოგრაფია მ. გორკიზე) (1968). აგრეთვე დაიბეჭდა მრავალი სტატია თუ გამოკვლევა „ქართ. ლიტ-ის ისტორიაში“, „მნათობში“, „ცისკარში“, „Вопросы Литературы“-ში, „Дружба Народов“-ში, სხვადასხვა კრებულებში.

გამოიცა ჩემს მიერ თარგმნილი რამდენიმე ნიგნიც: მ. გორკის თხზულ. XII ტომი (1968), მ. გორკის კრებული „საუბარი ახალგაზრდებთან“ (1967), ა. იაკოვლევის „ცხოვრების მიზანი“ (1967 და 1969) და სხვ.

გიორგი მერკვილაძე
20.11.71 წ.

ვლადიმერ თორდუა
ავტობიოგრაფია
ვარიაციები საკუთარ თემებზე

ჩემი ხნის ქართველ პროზაიკოსთა შორის ტოლი არა მყავს... ქალაქის ეკონომიაში. ამას ორი გზით ვაღწევ – არ ვწერ, და თუ ვწერ – მოკლედ. თანდაყოლილმა შიშმა – თავი არავის მოვაბეზრო, უთქმელობას ან ცოტას თქმას მიმაჩვია.

ახლა მინდა, გთხოვოთ, ჩემი სამოცდაათი და გამარჯვების ორმოცი წლის თავისათვის მომითავსოთ (ზემოთ აღნიშნული დანაზოგი ქალაქის ხარჯზე) ეს ავტობიოგრაფია. წინასწარ ბოდიშს ვიხდი ოხუნჯობის მომლოდინე მკითხველის წინაშე, იმედის გაცრუების გამო – მას მხოლოდ ნაღვლიანი ღიმილისათვის თუ განვანყო. მეც ვიოხუნჯებდი, ცრემლი რომ არ მიშლიდეს. ჩემი კაკალი ვერ იჩხრიალებს ზოგის ბამბასავით.

...ავტო, მოგეხსენებათ, რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილია და იგი წინ უძღვის ბევრის, ასე ვთქვათ, სწორხაზოვან ავტომატურ ბიოგრაფიას: ჩაისახა; განვითარდა; იშვა; ძუძუ აწოვეს; გაზარდეს; სკოლაში შეიყვანეს – დაამთავრებინეს; უმაღლესში შეიყვანეს – დაამთავრებინეს; სამსახური უშოვეს; ცოლი შერთეს; შვილები დააზრდევინეს და ა. შ. თუ რამ ზიგზაგი შეიმჩნევა ცხოვრების ამ ლარივით სწორ ხაზზე, ეს არის შვებულება, აგარაკები, მოგზაურობა, გართობა...

ჩემი ბიოგრაფია უფრო ავტონომიურია: ჩავისახე; განვვითარდი; ვიშვი; ძუძუ ვწოვე; მერე, ძუძუ რომ გამაშვებინეს და მჭადზე გადავედი, ისე აიბურდა ჩემი ცხოვრების გზა, როგორც ჩემი ბავშვობის დროის თეკლათის ღობეებში ჩახლართული ეკალბარდი, საიდანაც „ჩიტს კურკანტელი ვერ გამოჰქონდა“.

ბავშვობიდანვე მაქვს გამოყოფილი დიდი ნიჭი... მუსიკის მოსმენისა. ეს განაპირობა ჩვენს ოჯახურ „მუსიკალურ ინსტრუმენტებზე“ – ტაშტებსა და ვედროებზე ოდის აქა-იქ ქარისაგან ყავარგადაძრობილი სახურავიდან ჩამოსული წვიმის წვეთების როკვამ, მერე უსახსრობის გამო გაყიდულ ოდაზე აცოცებული უცხო კაცების მიერ ნაჯახებით, ძალაყინებით და გაზმარნუხებით მისი დახსნა-დაშლის კაკუნმა და ღრჭიალმა, ეზოდან ზანტად გამავალი ნაოდარი ფიცარ-დიშაყ-კარ-ფანჯრებით დატვირთული ურმების ჭრიალმა, კოფოზე შემჯდარ მეურმეთა შოლტების ჟუილმა და „ხი, აშო, ჩელას“ მოძახილმა; მერე ამიერიდან ჩვენი ახალი სადგომის – სახელდახელოდ შემონული და ლაქაშით გადახურული ფაცხის ღობურებში მსტვენავ-მკვენესარმა ქარმა... და იცით, კიდევ რამ? – უფრო მოგვიანებით, მედროშე ფაშისტის გვერდით კოლონის თავში მარჯვედ მოაბიჯებდა სვასტიკიანი ოფიცერი და დროშასავით მაღლა ეკავა ხიშტზე წამოცმული... თავის ქალა. და ქარი, სუსხიანი ზამთრის გამყივარი ქარი – ეს გრძნეული მოხეტიალე მუსიკოსი – ადამიანის თავის ქალაში სტვენდა, წიოდა რაღაც შემადრწუნებელს, სამგლოვიარო-სალაშქრო მარშს რასმე.

აღმოსავლეთისაკენ მოიწვედა დივიზია სს-დერ ტოტენ კოპფ – „მკვდარი

თავი“. მასთან ერთ-ერთი შენაბრძოლებთაგანი, აგერ ამ ხნის შემდეგ, წერს ამ სტრიქონებს თავის სამშობლოში.

ეს – მოთხრობაშია, ერთი რომ ლაპარაკობს და მეორე უსმენს, თორემ ცხოვრებაში ამას მე ვინ მაცლის, ან გრძელს ვინ მალაპარაკებს, ან გრძლად ნალაპარაკევს ვინ დამიბეჭდავს. ჩემი „სადემარკაციო ხაზია“, სამიოდე თაბახი და სამიოდე ათასი ტირაფი. ამის იქით „საზღვრის დარღვევად“ მეთვლება და „კოშკურიდან მოთვალთვალე მესაზღვრე“ – ჩემი გამომცემელი, „მესვრის სახელმწიფო საზღვრის დარღვევის“ გამო. მე არც გენიოსი ვარ, არც მკეთებელი, რომ ტომები ვწერო. მე, პირველად თუ არ მოვახვედრე, მეორედ ვინ მასროლინებს! ამიტომაც, რაც ვერ შევძელი, სევდით მახრჩობს, რაც შევძელი – უკმარისობით.

მაშ, ასე – ავტობიოგრაფია!...

ძნელია მღელვარე ზღვის ნაპირიდან პეშვით წყლის და ფათერაკებით აღსავსე ცხოვრებიდან ავტობიოგრაფიის ამოღება. ისე კი, დავბადებულვარ 1914 წლის 3 მარტს, ქუთაისის გუბერნიის სენაკის მაზრის სოფელ თეკლათში, სახალხო მასწავლებლის ოჯახში, რიგით მერვე, იყო მეცხრეც.

ვსწავლობდი: წიგნს – თხუთმეტ წელიწადს სკოლასა და უნივერსიტეტში; ცხოვრებას – 1408 დღესა და ღამეს ბრძოლის ველზე, მინაში თუ მიწის ზევით რკინის ნიაღვრის ქვეშ. სწავლას, ცხადია, სხვა ვითარებაში, დღესაც განვაგრძობ იმ უნივერსიტეტში, რომელსაც არც პირველი კურსი აქვს, არც ბოლო კურსი და არც გამოშვება.

...მაგონდება პირველი სამხედრო-საექიმო კომისია: სხეულმა სწორი აღნაგობა უჩვენა, სასწორმა – მხოლოდ 48 კილოგრამი წონა, არათითის წვერის ჩხვლეტით სისხლის აღებამ – შოკი. ნიშადურის სპირტის ყნოსვითა და ვალერიანის წვეთებით მოსულიერებული, ვარგისი გამოვდექი საომრად, და 22-კილოგრამიანი შეიარაღებით მივაშურე ცეცხლის ხაზს. შინ დამრჩა მომაკვდავი ცოლი და სამი პანია შვილი, უფროსი – არაუმაღლესი მამის მუხლისა! პაპიროსის ქაღალდი ვიყავ, ქვეყნის თავს კოკისპირულ წვიმაში გადაფარებული, მაგრამ, რაღაც საოცრებით პერგამენტად ქცეული!

ოთხი წლის ნაომარი რომ დავბრუნდი თავშენახული, ხარივით ჯანმრთელი ჩემი თანატოლები ჩემი პროფესიისა და მოწოდების სფეროში უკვე მოზრდილ კარიერებზე დამხვდნენ. ჯერ გაუკვირდათ, მერე შეეგუვნენ, ბოლოს გამიბოროტდნენ, რომ გადავრჩი. თუმცა სნაიპერული სიზუსტით ვურტყამდი და „ბურთს“ ბადეში ვხვევდი, გოლს არ მითვლიდნენ – „თამაშვარე მდგომარეობააო“. ზოგიც ჩემს საბრძოლო რეგალიებს ისე უყურებდა, როგორც თავის ნამუსში ჩარჭობილ ლურსმანებს. ასადულებელ რძესავით მიყარაულებდნენ, რომ მათ არ ავცილებოდი. ვხედავდი, ჩემს წილ გზაზე მინას მიგებდნენ, რომ ამიერიდან ფრთხილად მევლო ამ ქვეყანაზე, რომელშიც, როგორც სასტუმროში, ღამის გასათევადლა შემომიშვეს და მიწყეს ცქერა ერთ არასასურველ მოწმეს. მათი დუმილის ტყვიით განგმირული და უმადურობის ცივ სამარეში ჩაგდებული შევიქენი. ჩემი ღონიანი მედუმილენი ყოველ მოშურნეს ნებას აძლევდნენ, ჩემთვის თავში წაეთაქებინა და მერე მასვე შეშფოთებით ეკითხებოდნენ, ხელი ხომ არ გატკინა ამ საძაგლის თავმაო. ჩვენ არასოდეს არ გვიცინია და არ

გვიტყვია ერთი მიზეზით, პატიოსნების სამყაროში გენერალი, მარიფათისაში თითქოს სხვა სახელმწიფოს მუნდირიანი ვხდებოდი. ეს მარიფათიანები არ იშურებდნენ ჩემს კონინდარზე მაზუთის გადასხმას, რკინისგზის ლიანდაგზე ჩამომჯდარსაც გვერდით მომისკუბდებოდნენ და იდაყვსა მკრავდნენ, გაიჩოჩო; ვიპოვიდი ჩემს იდილიურ ნაპირს და ვლალბდი ბედნიერებით, რომ ვიყავ პატარა და მოცილე არავინ მეყოლება-მეთქი, მაგრამ, აი, მპოულობდნენ დიდად წოდებულნი, თავზე დამადგებოდნენ და მიბრძანებდნენ, ნუ იქნებო ის პატარაც. ვიღვწოდი, ვიღვწოდი, ვიღვწოდი – ვინვოდი სიპატარავით, მაგრამ საქმე გაძვრომაზე რომ მიდგებოდა, იმხელა ვხდებოდი, გარეთ ვრჩებოდი. სადაც უფლება მეძლეოდა, მბრძანებელი ვყოფილიყავ, მთხოვნელი გამოვდიოდი. ზოგჯერ ჰაერის უკმარობა პირდაპირ სამარისაკენ მიბიძგებდა, თითქოს იქ მეტი ჰაერი ყოფილიყო. მეხსიერების სიღრმიდან მწარე და სევდიან საკუთარ წარსულს დასაწერ-დასახატავად რომ ამოვიღებდი, თითქოს საყვარელი მიცვალებულის ნეშტი საფლავიდან სხვაგან გადასასვენებლად და, მაშასადამე, ხელახლა დასატირებლად ამომეღოს, და კალამი ხელიდან მივარდებოდა. ვისთვისაც კი გამიზიარებია, რა ცეცხლი მწვავდა, ჩემს ხანძარზე ხელი მიუფიცებია, და იქიდან აღებული ნაღვერდალით თავისი ყალიონი გაუჩაღებია. მე და ჩემი ტრფობის საგანს, ვით სულმნათ ჯავახიშვილის სირბილანთ მიხასა და ფეფელოს, მისივე პეტრედ გვეცევიან, თავგამოდებული რომ იყო, თავისი ფეფელო თავდიდა, უნდილ სიკოიასათვის ერგუნებინა და არა ღარობ მიხასათვის; ერთმანეთისათვის გაჩენილთ თავი „საბძელში“ შეგვიფარებია. ამასობაში, „პეტრეანთი“ შიგნიდან გადარაზულ „საბძელს“ მოსწყდომიან და გარედან კეტები დაუშენიანთ ქვებიც გამოურევიანთ...

ქვები!

ცხოვრებამ მასწავლა, ჩემკენ ნასროლი ქვებისაგან სახლის აგება.

ეს პატარა წიგნიც ის სახლია, რომელშიც ბევრი ჩემკენ ნასროლი ქვაც მაქვს ჩაშენებული.

ერთი ასეთი ქვაც იქნება თავგადასავალი „ერთი წამის უკვდავებისა“.

თითქოს რა თავგადასავალი შეიძლება ჰქონდეს ხუთიოდ სტრიქონს:

მეხსიერებიდან ამოუშლელი წამი:

ბრძოლის ველზე მტრის ჭურვის ნამსხვრევისაგან განგმირული დაეცა მონყალუბის და.

მისი პირველი და უკანასკნელი მოძრაობა იყო... კალთის ჩანევა მუხლებზე...

არ ვიცი, რამდენ ხანს იწერებოდა იგი, უკალმოდ და უქალაღდოდ, პირდაპირ ზედ გულის ფიცარზე. იწერებოდა ალბათ აღწერილი სურათის დანახვის წამიდან, ჩემდა უნებლიედ, ჩემს ჩაურევლად. ვერც იმას მოვიგონებ, როგორ ამოხეთქა გულიდან და ქალაღზე გადაინაცვლა. ის კი ვიცი, რომ ცრემლით დანამული თვალი ველარ არჩევდა ასოებს, სტრიქონებს, იწერებოდა ბრმად, იმასაც ვერ დავითვლი, ერთხელ დანერილი რამდენჯერ ვასწორე, ვამოკლე და გადავწერე, ვიდრე ეს ტექსტი არ დადგა. ასე განილევდა ალბათ ტალღებისაგან ქვა. იქნებ ოდესღაც ლოდები იყო ეს ლამაზი კენჭები, ზღვაში რომ ლივლივებენ ათასფერად. ისიც მესმის, ყვავსაც რომ მოსწონს თავისი ბახალა, მაგრამ მე კი დამწვა, გული დამითუთქა ნანახმა სურათმა და... არანაკლებ – ქალაღზე გადატანილის თავგადასავალმა.

ვიღებ ყურმილს. ვურეკავ ერთ ძველ ნაცნობ რედაქტორს:

– ძვირფასო ქუცი, ბოლოს და ბოლოს, მომაქვს შენთან მოთხრობა, პირდაპირ ნომერში შეგიძლია მოათავსო, დიდი არ არის...

– მოიტანე, მოიტანე, ჩქარა! – უმაღვე მიპასუხა ქუცმა.

– მოვფრინავ!..

მივფრინდი. შევდივარ. მარტოა ქუცი. მძიმედ ამომხედა ქალაღდებიდან. ხელი გამომიშვირა მოთხრობისათვის. მივანოდე.

აღბათ, ასე იქნება, როცა თავად რომ ვერ იმორჩილებს დანას, დასტაქარი მამა სხვას მიანდობს შვილს გასაკვეთად.

– რა არის ეს?! მოთხრობა სად არის?

– რა ვიცი, ეს ნამომილია... უკაცრავად ვარ, სხვა დროს იყო...

ეს ლულული გულიდან კი არა, ცივი ორმოდან ამომდიოდა. თვალთ დამიბნელდა. ძარღვებიდან სისხლი გამომივიდა და სამაგიეროდ ცივი წყალი შემომივიდა. ეჰ, რას გამიგებს, ვისაც ჩემნაირი მარცხი არ განუცდია!

არ ვიცი, როგორ გამოვედი შენობიდან ქუჩაში. იმის შეგრძნებაც დავკარგე, თუ რა მზიანი, არაჩვეულებრივად მშვიდი და ლამაზი დღე იყო – არა ჩემთვის!

– მოდიხარ? – მომესმა ნაცნობი ხმა თეთრი, ქათქათა ახალთახალი „ვოლგის“ კაბინის ღია კარიდან.

უსიტყვოდ მივუჯექი გვერდით საჭესთან მჯდომ მანქანის მფლობელს. ჩვენ ოდესღაც ერთად ვსწავლობდით, ერთად დავამთავრეთ, ჩვენს შორის მაშინაც უფსკრული იყო: ის – ლონიერი, შეძლებული, მე – ღარიბი, სუსტი... ახლაც. ის – ჩვენს საერთო საზოგადოებაში – გავლენიანი, მიღებული კაცი, მე – ისე რა!.. კვლავაც ხელმოკლე. მე ვიცი, მას იმდენად ჩემი პატივისცემა არ სურს, რამდენადაც ახალი „ვოლგით“ თავმონონება.

მაგრამ რალა დროს ეგენია, მე გულიდან სისხლი მდის, ის დარჩენილი ცოტა სისხლიც. იქნებ, ამან „ხელი მაინც მიმიფაროს“, და უსიტყვოდ ვაჩეჩებ ქუცისაგან დაბრუნებულ ჩემს დამარცხებულ ნაწერს, იქნებ რამე მითხრას ისეთი გამამხნეველი, „სისხლდენა“ რომ შემიჩეროს.

იმდენი წამი რომ გავიდა, რამდენიც ჩემი ნაწერის წაკითხვას დასჭირდა, სკოლის ამხანაგმა გადააბრუნა ხელნაწერი და ცარიელი გვერდით იმედგაცრუებულმა უსიტყვოდ გამომიწოდა, მოსახვევში ერთი მოკლედ მჭახედ მიუსიგნალა შემხვედრ მანქანას:

– არ იციან ამ ღმერთგამწყრალებმა, როგორ უნდა მოუხვიონ... აქ ჩადიხარ?

– ჩავალ. დიდი მადლობა. მშვიდობაში მოგახმაროს ახალი „ვოლგა“. კეთილი გზა გქონდეს...

მე კი ვეძებ კაცს, გულის სისხლის დენას რომ შემიჩერებს. არის! აღმოჩნდა ასეთი ვინმე ერთ რედაქციაში, მდივანი – ნაკითხი, მცოდნე, გემოვნებიანი, თავადაც წერს. სულ „ოჰ“ და „უჰ“ იძახა, თან ყურმილს უწვდინა ხელი, ერთი, შინ დავრეკოო.

– ალო, შენა ხარ, ჩემო სიცოცხლე? ყური დამიგდე ერთ წამს, აი, რა მომიტანა ამ კაცმა, აგერ ნაგიკითხავ...

უკითხავს დეკლამაციით, გამომსახველობით, არტისტულად.

– კი, აბა?! როგორ არა, როგორ არა! – ეხმიანება იგი მომსმენს, – ახლავე ვგზავნი ასანყოფად, დაუყოვნებლივ, ნომერშივე ვაძლევ. კორპუსით, ჩარჩოში, რომ არ ჩაიკარგოს პატარა ტექსტი, სათაურს მსხვილი შრიფტით ვუწყობ...

შემიწყდა „სისხლდენა“. მაშ, არ დავმარცხებულვარ!

– ოთხ საათზე მოხვალ, გვერდში კორექტურას ნაიკითხავ, – მომმართავს ფეხზე ადგომით და ორივე ხელის ჩამორთმევით ჩემი სათუთი გულის გამამთელებელი რედაქციის მდივანი.

აღარ იღევა დრო. ოთხ საათზე ვიხილავ ჩემს სტრიქონებს, გაზეთში გადანაცვლებულს. როგორ შეხვდება, ნეტავ, მკითხველი? ვინმე ხომ არ გამოერევა მისი პირველი ორი წამკითხველისნაირი? გული არ ითმენს. აჰა, ოთხი საათიც. სტამბაში ვარ.

– შენი „უკვდავება“ ამოიღეს, – მომაგება პირველმა დამკაბადონებელმა, – რედაქტორი იყო აქ და ამოგვალბინა გვერდიდან. ძალიან გაბრაზებულია.

ოჰ, გულო, რამდენი რამის ატანა გაკისრია!

– ანაბეჭდი მაინც ამომიღეთ, – ჩემს ხმას ვერა ვცნობ, – ვიდრე ანაწყობი არ გადაუყრიათ. ერთი, თვალი შევავლო, როგორ გამოიყურება ჩემი ტანჯული „ერთი წამი“ ბეჭდურად.

იღებენ ანაბეჭდს და მანვდიან.

გამოვდივარ საამქროდან გულმოკლული, დამარცხებული, აგერ გაბრაზებული რედაქტორიც! მეცა, როგორც ქორი წინილას:

– შენ მაგ მეორედ არ გაბედო... მოგვაჩეჩე რაღაცა... უშნოდ მისჩერებინარ უხერხულ ადგილას... – და გასწია საკაბადონოში.

ოჰ, გულო, რამდენის ატანა შეგძლება!

მაგრამ აგერვია, ბედად, კიდევ ერთი რედაქტორი. ნუთუ ამისგანაც ვერ ვპოვო ჯეროვანი პასუხი?

– დიდებულია, აი, ნოველა! ამას დღესვე დავბეჭდავ, პირდაპირ ნომერში, გამოსაჩენ ადგილას. ნახონ ახლა ზოგიერთებმა, მთლად რომ აიმოკლეს კაბა...

ოჰ, გულო, რას არ იტან ამ ნუთისოფელში! – ნუთუ ამ დანიშნულებით ბეჭდავ? ეს რა მოსატანია ჩემი ტრაგიკული მონყალების დის უკანასკნელ მოძრაობასთან? მაგრამ, დაე, დაიბეჭდოს და გამოჩნდებიან, ალბათ, მისი გამგები მკითხველებიც.

დაიბეჭდა;

მერე სხვა გაზეთებმა გადაბეჭდეს;

შევიდა წიგნებში;

ციტირებული იყო ამ წიგნებზე დაბეჭდილ თითქმის ყველა რეცენზიაში (ოლონდ, ერთში – ხელყოფილად!).

გადანაცვლა კალენდრის ფურცლებზეც;

გადაიცა რადიოთი;

ბევრიც ატარებს უბის წიგნაკით;

ბევრგანაც წაუკითხავთ, საკრებულოში – არ გამეორდესო მსგავსი ტრაგედია.

„მეც უბის წიგნაკით ვატარებ ამ პატარა მოთხრობას და, სადაც კი შეხვედრა მაქვს, – მწერს ერთი დიდად პატივცემული მსცოვანი მწერალი, – ვუ-

კითხავ მათ და ყველგან კეთილ რეაქციას იწვევს ეს პატარა, მაგრამ მორალისა და ადამიანური სიფაქიზის მხრივ დიდი წონის ბედნიერი მოთხრობა... კარგია, როცა მოთხრობა ადამიანის გულისათვის იწერება! მაშინ იგი წამალივითაა“.

მწერალთა მცირე ჯგუფს ერთი აუდიტორიის წინაშე მოგვიხდა გამოსვლა. სხვათა შორის, მე წავიკითხე „ერთი წამის უკვდავება“, გარინდული შემომცქეროდა დარბაზი მას შემდეგაც, რაც კითხვა დავამთავრე და თავი დავეუკარი. სხვას ტაში ხვდა, მე – დუმილი.

– შენი „ერთი წამის უკვდავება“ უფრო თვალს ეკუთვნის, ვიდრე ყურს, – მამხნევებდა გზად მეგობარი, დალონებულს, – იგი ლუპაა, რომლითაც ბრძოლის მთელი პანორამა გადაიშლება. „კალთის ჩანევა მუხლებზე“ თვალის მონაპოვარია და მასვე უნდა დარჩეს... მას მხოლოდ დუმილი თუ გაუთანაბრდება თავის უბრალოებაში.

მაგრამ ამასთან ხომ არიან ერთი სახის ჩიტებიც, ნიანგს რომ ჰყავს მიჩვეული. ისინი თამამად შეუფრინდებიან ხოლმე ნიანგს დაღებულ ხახაში, ნაჭამს, ჭიებს ამოუკენკავენ და უსუფთავებენ კბილებს. ნიანგი არას ერჩის მათ: ჩიტებს საზრდო, ნიანგს – კბილების დასუფთავება.

მეც შემომეჩვივნენ გულწითელა წივნივა ჩიტები – მოფრინდებიან, ჩამინისკარტებენ და შემოქმედის მომადუნებელ ჭიას – სიმშვიდეს ამომიკენკავენ ხოლმე. მეც არას ვერჩი მათ: ჩემს ჩიტებს – მგეშავთა წყალობა, მე – გონების სიფხიზლე.

და აი, ასეთი ჩიტთაგანი მრისხანედ გადაუდგა „ერთი წამის უკვდავებას“, ვერაფერი ბედენა ნაწარმოებიანო (როცა ჩემად იმეტებს!) და არც ორიგინალურიანო (როცა ჩემად არ იმეტებს), ეს მომენტი (ნაგულისხმევია საკუთარი თვალით ნანახი – სიკვდილის წინ ქალის მიერ „კალთის ჩანევა მუხლებზე“) ბევრად უფრო ადრე და ბევრად უფრო უკეთ სხვებს აქვთ აღწერილიო: იტალიელი რეჟისორის დადგმაში ქალი სიმაღლიდან „კაბას ჩაფრენილი“ ეშვებაო; აფხაზი მწერლის ნოველაში ქალი მატარებლის ბორბლებში ჩაფარდნამდე „შარვალს იცვამსო“; ქართველი მწერალი კი ბრწყინვალედ აღწერს „კაკლის ხიდან იქ დასაბერტყად ასული დედაბრის ჩამოვარდნას და „კაბის გადაფარებასო“...

კეთილი. სახელი და დიდება მათ! მაგრამ რა საერთო აქვს ჩემი ჩიტის ამ ნაწივნივარს „ერთი წამის უკვდავებასთან“, რომელშიც მტრის ჭურვის ნამსხვრევისაგან განგმირული და ბრძოლის ველზე დაცემული მოწყალების დის „პირველი და უკანასკნელი მოძრაობა იყო... კალთის ჩანევა მუხლებზე“?

...ჩემი წიგნები მიტოვებული შვილებივით დამიდიან ქვეყნად და ერთმა ღმერთმა უწყის, რომელი სად ვის გადაეყრება, სად ვინ მუჟღუგუნსაც უთავაზებს, ვინ კეთილშობილი კიდევ ხელში აიყვანს და გულზე მიიკრავს, რომელს სად ეკალი შეესობა, სად კიდევ ვარდი ყელს მოუღერებს და დააყნოსინებს.

...ამასობაში, ჩემმა ასაკმა ისე ჩაუქროლა წლებს, ვით სინათლისა და სივრცისაკენ მიმსწრაფმა ექსპრესმა გვირაბში ლამპიონებს.

ვლადიმერ თორდუა
[1985 წელი]

რატინი პროკოფი კონსტანტინეს ძე

ავტობიოგრაფია

დავიბადე 1914 წლის 7 მარტს, ქიათურის რაიონის სოფ. რგანში, მუშის ოჯახში. საშუალო სკოლა დავამთავრე 1933 წელს, ქიათურაში. ერთი წლის შემდეგ შევედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1938 წელს, წარჩინებით.

ოჯახის ხელმოკლეობის გამო (ხუთი და-ძმანი ვიყავით და მამის მცირე ხელფასზე ვცხოვრობდით) თითქმის ბავშვობიდანვე, სწავლის პარალელურად, მუშაობაც მიხდებოდა. რამდენიმე ხანს მარგანეცის მრეწველობაში ვმუშაობდი შავ მუშად, შემდეგ კი – რაიონული გაზეთის „ქიათურის მალაროელის“ რედაქციაში განყოფილების გამგედ. უნივერსიტეტში სწავლის დროს პარალელურად ვმუშაობდი თბილისის სხვადასხვა გაზეთების რედაქციებში, ხოლო 1937 წლიდან მუშაობა დავიწყე გაზ. „კომუნისტის“ რედაქციაში. აქ დავყავი რამდენიმე წელიწადს და თანმიმდევრობით მეჭირა თანამდებობანი: ლიტ. მუშაკისა, განყ. გამგისა, რედაქციის პ/მგ. მდივნისა და მთ. რედაქტორის მოადგილისა. ამის შემდეგ, მძიმე ავადმყოფობასთან დაკავშირებით, დაახლ. ერთნახევარი წელიწადი ვიმუშავე აბასთუმანში, სადაც ვმკურნალობდი და თან ვმუშაობდი დასასვენებელი სახლის დირექტორად. დიდი სამამულო ომის პერიოდში (1942–1945 წ.წ.) ვმუშაობდი საქართველოს კ. პ. საჩხერის რაიკომის პირველ მდივნად. ომის შემდეგ კი, ავადმყოფობის ხელახალ გართულებასთან დაკავშირებით, დავსახლდი ქ. სოხუმში, სადაც ჯერ საქართველოს მეცნ. აკადემიის ბოტანიკური ბაღის დირექტორად, ხოლო შემდეგ იმავე აკადემიის აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად ვმუშაობდი. 1932 წლის დამდეგს გადამიყვანეს საქ. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტში, სადაც ჯერ სასკოლო, ხოლო შემდეგ მეცნიერების განყ. გამგედ ვმუშაობდი. 1933 წ. მუშაობა დავიწყე მეცნ. აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტ-ში, განყოფილების გამგედ. ამის შემდეგ (1937 წლიდან) დაახლ. ერთ წელიწადს მეჭირა გაზეთ „კომუნისტის“ მთ. რედაქტორის თანამდებობა. 1938 წლიდან დღემდე ვმუშაობ ისევ ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტ-ში ისტორიული მეცნ. ისტორიის განყოფილების გამგედ.

1945-1946 წლებში შევუდექი მეცნიერულ-ლიტერატურულ მუშაობას. 1948 წელს დავიცავი დისერტაცია და მომანიჭეს ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 1963 წელს – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და პროფესორის წოდება. ჩემი ნაშრომები შეეხება და აშუქებს ქართული საზოგადოებრივი აზრისა და ლიტერატურის ისტორიის საკითხებს, კერძოდ: ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობასა და მსოფლმხედველობას, თერგდალეულთა აზროვნებას და პრაქტიკულ მოღვაწეობას, მე-19 საუკუნის საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებს, შოთა რუსთაველის ვინაობისა და მსოფლმხედველობის საკითხებს და ა. შ.

მწერალთა კავშირის წევრი ვარ 1952 წლიდან, კომუნისტური პარტიისა – 1939 წლიდან.

პ. რატინი
20/II-71

ვლადიმერ ავალიანი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--------------------------------------|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ავალიანი ვლადიმერ შალვას-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | არა მაქვს |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1914 თვე მაისი დღე 15 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ზესტაფონში |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | ინტელიგენტი (ცოლიანი) |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პროზაიკოსი |
| 8. რა ენაზე წერს | ქართული |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1926-27 წლები |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1939 წლიდან |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არცერთში |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | 1940 წელს დავეამთავრე გრაფიკის ფაკულტეტი (სამხატვრო აკადემიაში) |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | კარგად ვიცი რუსული ენა |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|--|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემაღენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღ-გენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღ-გენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>მეორე კატეგორიის თადარიგი, უმწყობრო</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, რო-დის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>–</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედა-ლი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>არა</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>პლესხანოვის გამზირი, 83</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

| მუშაობა წარსულში (შრომითი საქმიანობა) | | | | |
|---|---------|---|--|--|
| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1946 | 1945 წ. | <p>მხატვრული რედაქტორი ჟურნალ „ოქტომბრელისა“</p> <p>გამომცემლობისათვის ჩემს მიერ გაფორმებული იქნა რამდენიმე წიგნი</p> <p>ომამდე – მოსკოვის ლენინგრადისა და კიევის გამომცემლობების დაკვეთით შევასრულე რამდენიმე გრაფიკული გაფორმება რამდენიმე ათეული წიგნებისა</p> <p>სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.</p> | | თბილისი |

ლადო შალვას-ძე ავალიანის ავტობიოგრაფია

მე დავიბადე ქ. ზესტაფონში, 1914 წლის 15 მაისს.

იქვე მიმაბარეს პირველ დანყებით სასწავლებელში.

1924 წლიდან ვცხოვრობ თბილისში მშობლებთან. თბილისში ვსწავლობდი ჯერ მე-21, მერე კი (ყოფ.) 1-ლ საცდელ-საჩვენებელ სკოლაში. დავამთავრე 1-ლი საცდელ-საჩვენებელ სკოლასთან გახსნილი სააღმშენებლო ტექნიკუმი 1933 წ., მაგრამ ამ დარგს საბოლოოდ ვერ შევეგუე. ერთი წელი ვმუშაობდი სახკინმრეწვის სამულტიპლიკაციო ცენტში მხატვრად.

1934 წელს შევედი თბილისის სამხატვრო აკადემიაში, გრაფიკის ფაკულტეტზე. ამჟამად ვარ სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტ-დამთავრებული.

მამაჩემი, რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგაც დღემდე, იყო და არის ბანკის თანამშრომელი. დედაჩემი დიასახლისი.

რაც შეეხება ჩემს ეგრეთ წოდებულ ლიტერატურულ მოღვაწეობას, წერა დავიწყე 1926-27 წ.წ. ამ პერიოდის ჩემი ნაწარმოები, ერთად ერთი პირველი და უკანასკნელი ბალადა „გუნ ეზერ“, გამოქვეყნებული იყო 1 საცდელ საჩვენებელი სკოლის ყოველკვირეულ ხელნაწერ გაზეთში „მომავალი“. ამავე ხანებში გავიგე და დავინტერესდი ჩემივე გვარის და საერთოდ სვანების იმერეთში დასახლების ისტორიით და, გავეცანი რა ამ ისტორიას და სვანების ყოფა-ცხოვრებას – 1928-29 წ.წ., 2-3 პატარა მოთხრობის შემდეგ დავწერე 200 გვერდიანი რომანი „ხალდე“, სვანების 1875-76 წ.წ. აჯანყების მასალაზე.

ჩემი ყველა მოთხრობები სკოლაში, მონაფეთა შორის ვრცელდებოდა ხელნაწერის სახით.

პირველად დაიბეჭდა ჩემი მოთხრობა: „დადამ ხვიბლან“, დაიბეჭდა ჟურნალ „ჩვენ თაობაში“...

ამ პირველი ბიძგის შემდეგ დღემდე გამოვაქვეყნე რამდენიმე ნოველა.

ჩემი ნაწარმოებთა სია:

1. ნოველების კრებული, 1940 წელს.
2. პიესები „ხვაშიადი“, 1942 წ.
3. „გაზაფხულის ქუხილი“, 1946 წ.
4. ნოველების კრებული, 1946-47 წ.
5. ნოველების კრებული, 1948 წ.
6. „ყარიბი მგოსანი“, 1948 წ.
7. „ოქროს მედალი“, საბავშვო პიესა, 1949 წ.
8. პიესა „მშენებლები“, 1949 წ.
9. მოთხრობა „იმედი“, 1950 წ.
10. ახალი ჰორიზონტი, რომანი მემახტეთა ცხოვრებიდან, 1950-51 წ.

1951

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

გივი გაჩეჩილაძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--------------------------------------|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | გაჩეჩილაძე გივი რაჟდენის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1914 თვე აგვისტო დღე 5 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ქ. თბილისი |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია, კრიტიკა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1933 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1939 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არცერთს |
| 12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიისა და ლიტერატურის ფაკულტეტი (ინგლისური ენა) |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული, ინგლისური, ფრანგული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>რიგითი – ვუს 134</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>ვასრულებ სხვადასხვა დავალებებს</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>1943 წლის 7 მარტიდან 15 ივლისამდე ვიყავი რეპრესირებული, ხოლო გამართლების გამო გამანათავისუფლეს</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>უფროსი პედაგოგი, დოცენტი სტალინის სახ. უნივერსიტეტისა</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ძერჟინსკის 14</p> |

„ — „ _____ 1952 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1936 | 39 | ლექტორი | პუშკინის სახ. ინსტიტუტი ინ- გლის. ენისა | თბილისი |
| 1939 | 42 | „—“ | თბილისის სახ. უნივერსიტეტი | „—“ |
| | | 1952 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

გივი რაჟდენის-ძე გაჩეჩილაძის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1914 წლის 5 აგვისტოს, ქ. თბილისში, რკინიგზის სადგურის უფროსის ოჯახში. ბავშვობა გავატარე საქართველოს სხვადასხვა ადგილებში (მცხეთა, ქარელი, რიონი, სამტრედია, გორი, ხაშური). საშუალო სკოლა დავამთავრე ქ. თბილისში 1931 წელს. უმაღლესი სწავლა მივიღე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (დავამთავრე ფილოლოგიის ფაკულტეტი 1936 წ.). ესწავლობდი ასპირანტურაში ინგლისურ ლიტერატურის ისტორიას, თბილისსა და მოსკოვში.

ასპირანტურა დავამთავრე 1939 წელს. დისერტაციის საჯარო დაცვის შედეგად მივიღე ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიტატის ხარისხი, 1941 წელს. მალე დოცენტის სამეცნიერო ნოდებაც მივიღე. ასპირანტურის დამთავრებიდან უნივერსიტეტში ვკითხულობდი ინგლისურ ლიტერატურის ისტორიის კურსს, როგორც უნივერსიტეტის დოცენტი.

ლიტერატურული მოღვაწეობა დავიწყე 1933 წელს.

ჩემი პირველი წიგნი „უცხოელი და რუსი პოეტები“ გამოვიდა 1937 წელს. 1938 წელს გამოვიდა ჩემი წიგნი „ბაირონი“ (ბაირონის შემოქმედების კრიტიკული ანალიზი და ზოგიერთი ლირიკული ლექსების თარგმანი). 1942 წელს გამოვიდა „ინგლისელი პოეტები“, აგრეთვე „ინგლისური ბალადები“. მაქვს მრავალი თარგმანი დასავლეთის (უფრო ინგლისური) პოეზიიდან და ცოტა ორიგინალური ლექსი, გაფანტული სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში.

ვარ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი 1939 წლიდან.

გ. გაჩეჩილაძის ნაწარმოებები:

1. 1933 წელს, ორიგინალური და თარგმნილი ლექსები.
2. თარგმანები რუსულიდან, ინგლისურიდან და ფრანგულიდან – ბაირონის, მურიეს, შელის, ჰუგოსა და სხვ.
3. რუსი და უცხოელი პოეტები (თარგმანები), 1937 წ.
4. ბაირონი, მონოგრაფია, ლირიკის ნიმუშების თანდართვით, 1938 წ.
5. ინგლისელი პოეტები, 1942 წ.
6. გოლსუორსი „ფორსაიტების საგა“.
7. ინგლისური ბალადები, სიმღერები და ლექსები, 1946 წ.
8. შექსპირი, „აურზაური არაფრის გამო“, 1948 წ.
9. შექსპირის სონეტები, 1951 წ.
10. მრავალი სტატიები და ცალკეული თარგმანები და სამეცნიერო და კრიტიკული წერილები ჟურნალ-გაზეთებში.

1952 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

გაბრიელ ჯაბუშანიური

ავტობიოგრაფია

დავიბადე 1914 წლის 11 სექტემბერს, დუშეთის რაიონის სოფ. ახიელში (არხოტი), ხევსურეთში. წერა-კითხვა სოფლის სკოლაში ვისწავლე. 1925 წლის შემოდგომაზე მამამ თბილისში წამომიყვანა და მიმაბარა მთიელთა საბავშვო სახლში. ამის შემდეგ, საშუალო სასწავლებლის დამთავრებამდე, ვსწავლობდი და ვიზრდებოდი თბილისში.

საშუალო სასწავლებელი 1934 წელს დავამთავრე და მაშინვე ჩავაბარე მისაღები გამოცდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, მაგრამ სწავლის გაგრძელება არ დამცალდა.

1933 წელს ჩვენი ოჯახი ხევსურეთიდან კახეთში გადმოსახლდა, ბარში ჩამოსვლასთან დაკავშირებულმა ხარჯებმა კი ოჯახის მატერიალური სივინროვე გამოიწვია და რომ ჩვენებს მივშველებოდი მე, დროებით, სწავლის გაგრძელებაზე ხელი ავიღე და ორი წლის განმავლობაში თელავის რაიონში, ჩვენსავე სოფელ ინგეთში, ვმასწავლებლობდი დაწყებით სკოლაში. ამავე დროს ვმუშაობდი ჩვენი სოფლის კოლმეურნეობის მონაგარიშედ.

1936 წელს სწავლა დავიწყე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოლოგიური ფაკულტეტის დას/ევროპული ენებისა და ლიტერატურის სექციისაზე, გერმანული განხრით. უნივერსიტეტი არ დამიმთავრებია. 1939 წლის დეკემბრიდან ლექციებს აღარ დავსწრებოვარ და მთელს ჩემ დროს ლიტერატურულ მუშაობას ვანდომებდი. მე მაშინ უკვე მწერალთა კავშირის წევრი ვიყავი.

1939 წლის შემოდგომიდან მე თბილისში მუდმივი საცხოვრებელი ბინა აღარ მქონია. ვცხოვრობდი ხან ამხანაგებთან, უფრო მეტწილად კი – სოფელში, მშობლებთან.

ომის დაწყებამ თბილისში მომიწწწრო. ფრონტზე არ წამიყვანეს: ჯარგავლილი არა ხარ და ჯერჯერობით მოიცადეო. მე, როგორც სტუდენტს, სამხედრო სამსახურის გავლა განვადებული მქონდა 1941 წლის 1 სექტემბრამდე.

1941 წლის ზაფხულში ჩვენი ოჯახი ისევ ხევსურეთში, არხოტში, გადასახლდა და ამის შემდეგ მე 1962 წლამდე სულ მთაში ვცხოვრობდი. ვმუშაობდი მასწავლებლად, სამკითხველოს გამგედ, საბჭოს მდივნად და ერთხანს კოლმეურნეობის თავმჯდომარედაც. ისე კი, სახლში, ვაკეთებდი ყველა იმ საქმეს, რასაც ყოველი ხევსური გლახი: ვხნავდი, ვთესავდი, ვთიბდი და ვმკიდი.

1962 წლის დეკემბერში მწერალთა კავშირმა ბინა მომცა თბილისში და ამ ხნიდან ქალაქში ვცხოვრობ და ვმუშაობ.

ლექსების თხზვა ბავშვობიდანვე დავიწყე, ჯერ კიდევ მაშინ, როცა წერა-კითხვა არ ვიცოდი. ჩემი პირველი საბავშვო ლექსები 1927 წელს დაიბეჭდა, ამის შემდეგ მეტ-ნაკლები ინტენსივობით ვთანამშრომლობდი საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში.

1935-36 წლებში ლექსებს ვბეჭდავდი თელავის რაიონულ გაზეთში.

1935 წლის თებერვლის ნომერში ჟურნ. „ჩვენ თაობაში“ დაიბეჭდა ჩემი ლექსი „ცხენი“. ეს იყო ჩემი პირველი გამოსვლა დიდ ლიტერატურაში. აქედან დაიწყო ჩემი მწერლობაც. 1939 წელს მიმიღეს მწერალთა კავშირის წევრად. დღემდე გამოქვეყნებული მაქვს ცხრა წიგნი.

ამჟამად სამ წიგნზე ვმუშაობ, რომელთა გამოცემა მომავალ წელს არის განზრახული.

სკკპ წევრი ვარ 1951 წლის მაისიდან.

გაბრიელ ჯაბუშანური
25 მაისი, 1965 წელი, თბილისი

შალვა ინალ-იფა

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ინალ-იფა შალვა დენისის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1914 თვე თქტომბერი დღე 20 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. გუპი (ოჩამჩირის რაიონი) |
| 4. ეროვნება | აფხაზი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | ლიტერატურული კრიტიკა |
| 8. რა ენაზე წერს | აფხაზურ, რუსულ ენაზე |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1939 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1955 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმალლესი, სუხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | ისტორიული მეცნიერების კანდიდატი |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | აფხაზური, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>მობსნილია აღრიცხვიდან</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>პირველადი ორგანიზაციის მდივნის მოადგილე</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>უფროსი მეცნ. მუშაკი მეცნიერებათა აკადემიისა, აფხაზეთის</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>დ. ჯგუბურიას 27ა</p> |

„ — “ _____ 1956 წ. ნ. კლ.

ხელმოწერა ნ. თოფჩიშვილი

შალვა დენისის-ძე ინალ-იფას ავტობიოგრაფია

დავიბადე 1914 წლის 20 ოქტომბერს, სოფელ გუბში (ოჩამჩირის რაიონი), გლეხის ოჯახში. დაწყებითი განათლება მივიღე მშობლიურ სოფელში. 1928 წელს შევედი და 1936 წელს დავამთავრე სუხუმის აფხაზური სკოლა-ინტერნატი.

1939 წელს შევედი მოსკოვის ლიბკნეხტის სახელობის პედ. ინსტიტუტში ისტორიულ ფაკულტეტზე. 1941 წელს გადმოვედი სუხუმის პედინსტიტუტში, რომელიც იმავე წელს დავამთავრე წარჩინებით. 1943 წელს შევედი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1948 წელს ამავე ინსტიტუტში დავიცავი დისერტაცია ისტორიულ მეცნიერებათა ხარისხის მოსაპოვებლად.

1936-37 წლებში მე ვმუშაობდი ადჯამპადზრინის დაწყებით სკოლაში, 1937-38 წლებში კი – ზემობირუხინის (სუხუმის რაიონი) საშუალო სკოლაში. 1941 წლის ბოლოდან ვმუშაობდი გაზეთ „აპსნი კაპშის“ სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ. მწერლობა დავიწყე 1939 წლიდან.

1946 წლიდან ვარ საქ. მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

1931 წელს შევედი კომკავშირის რიგებში, ხოლო 1944 წლიდან ვარ სკკპ წევრი.

შ. დ. ინალ-იფას ნაწარმოებთა სია:

1. „ორი სიტყვა“ (მოთხრობა თემირის შესახებ), 1939 წ. 2. „რამდენიმე სიტყვა ლ. კვიცინიას პოემის „შარიზანის“ ნაკლოვანებათა შესახებ“, 1940 წ. 3. „პირველი სიმღერები“ (რამდენიმე სიტყვა ბ. შინკუბას შემოქმედებაზე), 1940 წ. 3. „გმირის გზა“ (ლიტერატურულ-ბიბლიოგრაფიული ნარკვევი საბჭოთა კავშირის გმირის ვ. კ. ხარაზიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ), 1942 წ. 4. „გიორგი შერვაშიძე“, 1946 წ. 5. „აფხაზეთის პოეტები“ (აფხაზეთის პოეტების ლექსების კრებულის გამოსვლის გამო), 1948 წ. 6. „მთის კაცი“ (ლ. ქიჩელის ახალი რომანის გამო), 1942 წ., რუსულ ენაზე. 7. „ავამალლოთ ჩვენი პოეზიის ხარისხი“, 1948 წ. 8. „ივანე აბასის-ძე კოლონია“ (ცხოვრება და შემოქმედება), 1949 წ. 9. „მთის წყარო“ (ივანე თარბას პოემებისა და ლექსების კრებულის შესახებ), 1950 წ. 10. „გორკი და საქართველო“, 1951 წ. 11. „მკითხველის შენიშვნები“ (№2 აღმანახის გამოს. გამო), 1951 წ. 12. „ი. პაპასკირის რომანის „თემურის გზის“ შესახებ. 13. „ახალი ადამიანები“ (ბ. შინკუბას რომანის შესახებ).

აგრეთვე ვენევი მთარგმნელობით მუშაობას და ვაქვეყნებ მეცნიერულ-პოპულარულ სტატიებს.

1953 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ხუხუტი ბლაჟბა

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ბლაჟბა ხუხუტი სოლომონის ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1914 თვე ნოემბერი დღე 15 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. გუბი (ოჩამჩირის რაიონი) |
| 4. ეროვნება | აფხაზი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | ლიტერატურული კრიტიკა, მთარგმნელობა |
| 8. რა ენაზე წერს | აფხაზურსა და რუსულზე |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1933 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1934 |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|--|--|
| <p>14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)</p> | <p>საყვედური უპასუხისმგებლო მოქმედებისათვის, სახელმძღვანელო წიგნების გამო, 1948 წელს, მომეხსნა 50 წელს</p> |
| <p>15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)</p> | <p>უმაღლესი, მოსკოვის სახ. უნივერსიტეტი</p> |
| <p>16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)</p> | <p>ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი</p> |
| <p>17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)</p> | <p>აფხაზური, რუსული</p> |
| <p>18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)</p> | <p>არა</p> |
| <p>19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)</p> | <p>არა</p> |
| <p>20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)</p> | <p>არა</p> |
| <p>21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)</p> | <p>არა</p> |
| <p>22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)</p> | <p>არა</p> |
| <p>23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)</p> | <p>არა</p> |

| | |
|---|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>დეპუტატი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაკაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>დოცენტი, სუხუმის პედ. ინსტიტუტი</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>გამარჯვების ქ. 22</p> |

„ — “ ————— 1952 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღ- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|-------------------------|---|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1937 | 38 | პ/მგ. მდივანი | სსმკ აფხაზეთის განყოფილება | სუხუმი |
| 1938 | 41 | ასპირანტი | საქ. მეცნ. აკა- დემიის ენათმეც- ნიერების ინსტი- ტუტი | თბილისი |
| 1942 | | უფროსი მეცნი- ერი თანამშრო- მელი, ენისა და ლიტერატურის განყ. გამგე, დი- რექტორის მო- ადგილე სამეც- ნიერო დარგში (1949 წლიდან) | საქ. მეცნიერება- თა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურ. და ისტორიის ინსტ. | სუხუმი |
| 1945 | 48 | პ/მგ. მდივანი | სსმკ აფხაზეთის განყოფილება | სუხუმი |
| 1943 | წლიდან | დოცენტი (ზო- გად ენათმეც- ნიერებაში) შე- თავსებით | სოხუმის სახ. პედ. ინსტიტუტი | |
| | 1952 წ. | | | |
| | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. | | | |
| | ვადასტურებ სამდივნოს | | გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | |

შეკვ. №193. ტ. 1000

ხელმოწერა _____

ხუხუტი სოლომონის-ძე ბლახუბას ავტობიოგრაფია

დავიბადე 1914 წლის 15 ნოემბერს, სოფ. გუპში (ოჩამჩირის რაიონი, აფხაზეთი). მამაჩემი, სალუმანი, თავადის მოკვლისათვის ათი წლის განმავლობაში კატორღაში იყო გადასახლებული.

1924–26 წლებში მე ვსწავლობდი ოჩამჩირის დაწყებით სკოლაში, ხოლო 1926 წელს შევედი აფხაზურ სკოლა-ინტერნატში (ქალ. სუხუმი). 1933 წელს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შევედი მოსკოვის პედაგოგიურ ინსტიტუტში ლინგვისტურ-ლიტერატურულ ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1937 წელს. ამ წლიდან 1938 წლის სექტემბრამდე ვმუშაობდი აფხაზეთის მწერალთა კავშირის პ/მგ. მდივნად.

1938 წელს მე არჩეული ვიქენი აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პირველი მოწვევის დეპუტატად. ამავე წელს მე შევედი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში. 1941 წელს დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ვითარებით-კავშირებითის ნაწილაკები აფხაზურ ზმნაში“ და მომენიჭა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვედი 1933 წელს. ამ დროიდან ვმუშაობდი აფხაზური ლიტერატურისა და ფოლკლორის შესწავლაზე, აგრეთვე ვენოდი მთარგმნელობით მუშაობას ქართული და რუსული ლიტერატურიდან.

1941 წელს მე არჩეული ვიქენი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პლენუმის წევრად. 1947 წელს მე ამირჩიეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ხოლო 1949 წელს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო კომისიის თავმჯდომარედ. ამავე 1947 წელს არჩეული ვიქენი საქართველოს მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წევრად, 1950 წლიდან ვარ ამ საზოგადოების აფხაზეთის განყოფილების გამგეობის წევრი.

სკკპ რიგებში შევედი 1939 წელს.

ჩემი ნაწარმოებებია: 1. „აფხაზური ლიტერატურის მოკლე ნარკვევები“, 1933 წ. 2. ა. ჩეხოვის მოთხრობები (თარგმანი), 1936 წ. 3. „აფხაზური ანდაზების შესახებ“ (ნარკვევი), 1939 წ. 4. „ნარკვევები აფხაზური ლიტერატურის შესახებ“, 1940 წ. 5. „აფხაზური ზღაპრები“ (შედგენა და მომზადება), 1940 წ. 6. „აფხაზური ხალხური პოეზია“ (დ. გულიასთან ერთად), 1941 წ. 7. „აფხაზური ლიტერატურის განვითარების გზები“, 1941 წ. 8. „გიორგი შერვაშიძე – გამოჩენილი წარმომადგენელი ქარ. კულტურისა“, 1949 წ. 9. აფხაზური ენის სახელმძღვანელო მე-3-4 კლასებისათვის, 1949 წ. 10. აფხაზური ლიტერატურის ქრესტომატია მე-11 კლასისათვის, 1950 წ. 11. „დისკუსია ენათმეცნიერებაში და ჩვენი ამოცანები“ (გამოკვლევა), 1951 წ. 12. ალ. ყაზბეგის „ელგუჯა“ (თარგმანი), 1950 წ. 13. „აფხაზური ხალხური ზღაპრები“ (შედგენა და დამუშავება), 1954 წ. 14. ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიები, ნარკვევები აფხაზეთის მწერლებზე (დ. გულია, პაპასკირი, ი. კოლონია, ბ. შინკუბა და სხვ.), 1933–52 წწ. 15. „აფხაზური ლიტერატურა“ (დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში), 1951 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ალეკო – ალექსანდრე შენგელია

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | შენგელია ალეკო პეტრეს-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1914 თვე ნოემბრის დღე 20 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. ხაბუშე (ჩხოროწყუს რაიონი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1938 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1939 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არცერთს |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად აღკკ წევრი |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | ჰქონდა საყვედური |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, სტალინის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--------------------------------------|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>მწერლობა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>მამა დააპატიმრეს 1937 წელს</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>მწერლობა</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>გოგებაშვილის 43</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1930 | 31 | ლიტმუშაკი | გაზ. „ახ. კომუ- ნისტი“ რედაქცია | |
| 1931 | 33 | განყ. გამგე | იმავე რედაქციაში | |
| 1935 | 37 | რედაქტ. მოად- გილე | რაიონული გაზეთი | |
| 1938 | 40 | ლიტმუშაკი | ჟურნ. „მნათობში“ | |
| 1940 | 45 | ვენეოდი ლიტე- რატურულ მუ- შაობას | | |
| 1945 | 46 | ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფ. გამგე | გაზ. „ახალგ. კო- მუნისტის“ რედა- ქცია | |
| 1946 | 48 | საბლიტგამი | მთ. რედაქტორად | |
| 1948 | წლიდან | ვენევი მარტოდ მარტო | ლიტერატურულ მოღვაწეობას. | |
| | | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

ალექსანდრე (ალეკო) პეტრეს-ძე შენგელიას ავტობიოგრაფია

დავიბადე 1914 წლის 20 ნოემბერს, მთიან სამეგრელოში, სოფელ ხაბუმეში, ჩხორონყუს ახლო, წვრილი ვაჭრის ოჯახში.

ჩემი მშობლები მალე გადმოსახლდნენ ახალსენაკში. აქვე მივიღე პირველდანიებითი განათლება. ბავშვობიდანვე მიტაცებდა ლიტერატურა. სკოლაში მონაწილეობას ვღებულობდი ლიტერატურულ წრეების მუშაობაში. ვცემდით მონაფეთა მხატვრულ ჟურნალს „ნინსვლის ემბლემა“.

შვიდწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ, ოჯახურმა პირობებმა მაიძულა, მუშაობა დამეწყო და სწავლა დროებით შემეწყვიტა.

ჩვენი ოჯახი მრავალრიცხოვანი იყო. მამაჩემი უკვე დაავადებული იყო, ჩვენ ვერ გვინევდა სათანადო მზრუნველობას. მე შეილად ამიყვანა ბიძამ, პეტრე დუტუს-ძე შენგელიამ. მისი დახმარებით შევძელი სწავლა გამეგრძელებინა.

1931 წელს შევედი თბილისის სალამოს ათნლედში. პარალელურად ვმუშაობდი გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“.

1934 წლიდან ვსწავლობდი სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1938 წლამდე ვენეოდი ჟურნალისტურ მუშაობას, ვიყავი მთელ რიგ რაიონულ გაზეთებში ხელმძღვანელ სამუშაოებზე.

1938 წლიდან ჟურნალ „ჩვენს თაობაში“ დავინწყე სისტემატური ბეჭდვა. მას შემდეგ ლიტერატურული მუშაობა არ შემინწყვეტია.

ჩემი ლექსების პირველი წიგნი „გაზაფხულის სიმღერა“ გამოვიდა 1944 წელს და საბავშვო წიგნები „ლიანას მტრედი“ და „წერილი მამას“.

1929–37 წლამდე ვიყავი ალკკ წევრი, ხოლო 1946 წელს გადავედი კპსს წევრად. 1950 წ. არჩეული ვიყავი გაგრის ქალაქის საბჭოს დეპუტატად.

ალ. შენგელიას ნაწარმოებთა სია:

1. ლექსების პირველი წიგნი, 1940 წ.
2. ლექსების კრებული „გაზაფხულის სიმღერა“, 1944 წ.
3. საბავშვო წიგნი „ლიანას მტრედი“, 1942 წ.
4. „წერილი მამას“, 1945 წ.
5. ლექსების კრებული.
6. „ლექსები“.
9. „ანბანის სიმღერა“.
10. „მე მიყვარს“ და სხვ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

მამია ვარშანიძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ვარშანიძე მამია (მამუდ) ომარის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1914 თვე დეკემბერი დღე 15 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. ურკი (ბათუმის რაიონი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია, ჟურნალისტიკა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1928 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1935 წლიდან იყო კანდიდატი, 1955 წლიდან არის წევრი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | – |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|----------------------------------|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, დაუმთავრებელი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | მსახურობდა 1941 წლიდან 45 წლამდე |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>მწერლობა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედეგები: „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“, „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>საოლქო გაზეთში მშრომელთა წერილების განყოფილების გამგედ</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ბათუმი, მოლოტოვის 26</p> |

„ ___ “ _____ 1952 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ხელმოწერა ___ ნ. თოფჩიშვილი.

ვარშანიძე მამედ ომარის-ძეს ავტობიოგრაფია

მე, მამია (მამუდ) ომარის-ძე ვარშანიძე, დავიბადე 1914 წლის 15 დეკემბერს, აჭარის ასსრ ბათუმის რაიონის სოფ. ურეზში, ღარიბი გლეხის ოჯახში. დედა გარდაიცვალა 1924 წ., ხოლო მამა – 1947 წელს.

1934 წელს დავამთავრე საშუალო სასწავლებელი და იმავე წელსვე განვაგრძე სწავლა უმაღლესში, მაგრამ ავადმყოფობის გამო სწავლა შევწყვიტე ერთი წლის შემდეგ. 1938 წლიდან 1941 წ. 15 მაისამდე ვმსახურობდი ბათუმში კომუნალურ ბანკში. იმავე წლის 15 მაისს შემდეგ გამინვიეს ჯარში, სადაც დავრჩი 1945 წლის 10 ოქტომბრამდე. 1945 წ. ნოემბრიდან 1946 წ. ოქტომბრამდე ვმსახურობდი ჯერ აჭარის მასწავლებლის სახლის დირექტორად – ბათუმში, ხოლო შემდეგ აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო სამმართველოში. ამის შემდეგ ორი წელი დავყავი საქართველოს კ. პ. (ბ) ცეკასთან არსებულ ორწლიან სკოლაში, რაც 1948 წელს აგვისტოში დავამთავრე. 1948 წ. ნოემბრიდან ვმუშაობ საოლქო გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქციაში მშრომელთა წერილების განყოფილების გამგედ.

ჩემი პირველი ლექსი დაიბეჭდა გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“, 1933 წელს, ხოლო 1934 წლიდან მოყოლებით ვიბეჭდები აჭარაში გამოცემულ აღმანახებულში, რომელსაც სცემს აჭარის მწერალთა კავშირის განყოფილება. 1939 წ. ჩემი ორი ლექსი დაიბეჭდა მოსკოვში, ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვ“-ში (ვმონაწილეობდი მაშინ ახალგაზრდა მწერლების საკავშირო კონფერენციაში).

1939 წელს დაიბეჭდა ჩემი ლექსი „დედის ბაღა“ გაზეთ „კომუნისტში“, ხოლო 1940 წელს ამავე გაზეთში მეორე ლექსი „ბათუმი“.

1946 წელს გამოვიდა ჩემი ლექსების კრებული „მებრძოლის სიმღერები“, ხოლო 1950 წ. – მეორე წიგნი „ჩემო სამშობლო“.

1951 წელს გამოვიდა აჭარაში მომუშავე ახალგაზრდა მწერლების კრებული „მშვიდობის მტრედი“, რომელშიაც მოთავსებულია ჩემი შვიდი ლექსი. 1943 წლიდან ვარ ს.კ.კ.პ. წევრი.

1952 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

რუთა – თამარ ბეროძე

ავტობიოგრაფია

დავიბადე 1915 წლის 24 მარტს, ქ. ქუთაისში. ჩემი ბაბუა, ისიდორე ლევანის ძე ბეროძე, სოფ. კურსებიდან (ტყიბულის რაიონი) ქუთაისში გადმოსახლებული გლეხი – ეკლარის ქვის კარიერების ამხანაგობებს ხელმძღვანელობდა. იგი ამ ძვირფასი სამშენებლო ქვით ამარაგებდა ფოთის ნავსადგურის, ქუთაისის რეალური სასწავლებლის, ქართული გიმნაზიის, საოლქო სასამართლოს, აგრეთვე ქართული ბანკის (ახლა კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა თბილისში) და სხვა მშენებლობებს.

მიუხედავად იმისა, რომ ბაბუა წერა-კითხვის უცოდინარი იყო და საქმიან ურთიერთობათა გასაფორმებლად ფაქსიმილიეს იშველიებდა, მას გააჩნდა დიდი შინაგანი კულტურა, ადვილად ითვისებდა პროგრესულ აზრს. ამით აიხსნება, რომ მან შეძლო თავისი ორი ვაჟისათვის მიეცა უმაღლესი განათლება (პეტერბურგსა და დრეზდენში), ხოლო სამ ქალიშვილს გიმნაზია დაამთავრებინა ქუთაისში.

სამწუხაროდ, დანამდვილებით არ ვიცი, მაგრამ უთუოდ მეფის დროინდელ ჩინოვნიკობასთან შეუგუებლობა იყო იმის მიზეზი, რომ მამაჩემს, ივანე ისიდორეს-ძეს, ეძნელებოდა ერთ ადგილზე მუშაობა და ძალიან ხშირად გვაცვლევინებდა საცხოვრებელ ადგილს დედას, ჩემს ძმას და მე, რომელთაგანაც მისი პირადი ოჯახი შედგებოდა. ამ მუდმივ „მომთაბარეობას“ უთუოდ ჰქონდა თავისი უარყოფითი მხარეები, მაგრამ მე მაინც ამას უნდა ვუმაღლოდე, რომ ბავშვობის წლებში საქართველოს თითქმის ყველა კუთხე მომივლია და ბევრი წარუშლელი შთაბეჭდილებით გავიმდიდრე გონება.

ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში, იმაში, რომ გამიტაცა ლიტერატურამ და ხელოვნებამ, დიდი როლი მიუძღვის დედაჩემს – ელფრიდა ივანეს ასულ აკმენტინს. მან ჩვილობიდანვე გამიღვივა სიყვარული სისტემატური შრომის, სწავლის, ქართული ენისა და კულტურისადმი. უცხოელმა (ლატვიელი) ქალმა, რომელიც თვითონ დღენიდაც სწავლობდა იმ ხალხის ენას, რომლის შვილების აღზრდას შესწირა, როგორც პედაგოგმა, მთელი თავისი ცოდნა და ენერგია, მასწავლა ქართველ კლასიკოსთა ლექსები, სიმღერები, ზღაპრები.

პირველი ლექსები დავბეჭდე გაზ. „რიონჰესის დამკვრელში“, შემდეგ ქუთაისში გამომავალ სალიტერატურო გაზეთში „სიტყვა და საქმე“. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ რამდენიმე წელს ვმუშაობდი „რიონჰესის“ მშენებლობაზე, მხაზველად. 1935 წელს შევედი თბილისის სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც 1940 წელს დავამთავრე.

თავიდანვე გატაცებული ვიყავი ჟურნალისტიკის საქმიანობით. უნივერსიტეტში შესვლამდე და შემდეგაც ვთანამშრომლობდი ქუთაისის საქალაქო გაზეთ „სტალინელში“, „ინდუსტრიულ ქუთაისში“, „კომუნისტში“, „მოლოდოი სტალინეცში“ (ამ ორი უკანასკნელი გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი ვიყავი). ვწერდი ზოგჯერ „რუთბერის“ და „რ. ბოდბელის“ ფსევდონიმე-

ბით. 1943 წლამდე ვმუშაობდი საქრადიოკომიტეტში, შემდეგ კი გამუდმებით ქუთაისში გამომავალ გაზეთებში ვთანამშრომლობ. 1957 წლამდე ვიყავი რაიონულ გაზეთ „სიმართლის“ პასუხისმგებელი მდივანი, ხოლო აღნიშნული წლიდან დღემდე გაზ. „სტალინელის“ კულტურისა და ყოფაცხოვრების განყოფილების გამგედ ვმუშაობ.

ვარ სკკპ წევრი, სსრ კავშირის მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირების წევრი. ჩემი ცალკეული წერილები და რეცენზიები თეატრალურ დადგმებზე პერიოდულად იბეჭდება „ლიტერატურულ გაზეთში“, ჟურნალში „საბჭოთა ხელოვნება“ და სხვ.

ჩემი შემოქმედებითი მუშაობის პროდუქტია ჩინელი კლასიკოსის, ლუ სინის, მოთხრობების კრებულის და ვ. ლაცირის რომანის „ახალი ნაპირისაკენ“ ქართული თარგმანები, აგრეთვე ჟურნალ-გაზეთებში გაბნეული ლირიკული ლექსები.

*რუთა ბეროძე
28. VI. 60 წ.
ქ. ქუთაისი*

შალვა ამისულაშვილი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ამისულაშვილი შალვა ზაქარიას-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | არა მაქვს |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1915 თვე აპრილი დღე 15 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) თელავი |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1934 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1940 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | – |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ-ს წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | თეატრალური ინსტიტუტი რუსეთის სახელობისა, აქტიორული ფაკულტეტი, 1939 წ. |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | მსახურობდა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | მსახურობდა 1941 წლიდან 45 წლამდე მომქმედ არმიაში, უკრაინის მეორე ფრონტზე |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>სამწერლო</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>სამამულო ომის ორდენი 2 ხარისხისა, მედალი „გერმანიაზე გამარჯვებისა დიდ სამამულო ომის პერიოდში“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>—</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>გოგებაშვილის 43</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

| <p style="text-align: center;">მუშაობა წარსულში (შრომითი საქმიანობა)</p> | | | | |
|---|--------|--|--|--|
| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1941 | ნლიდან | ლვოვის 240 დი- ვიზიაში წ/არმი- ელად | | |
| 1945 | წლამდე | უკრაინის მე-2 ფრონტზე 240 დივიზიაში წ/არ- მიელად | | |
| 1946 | | განყოფილების გამგედ. | კულტსაგანმა- ნათლებლო და- ნესებულებათა სამმართველოში | თბილისი |
| 1948 | | განყოფ. გამგედ | გაზ. „ლიტერატუ- რა და ხელოვნება“ | „-“ |
| 1948 | | „-“ | გაზ. „ახალგაზ- რდა კომუნისტი“ | „-“ |
| <p>სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.</p> | | | | |

შალვა ზაქარიას-ძე ამისულაშვილის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1915 წლის აპრილის 15-ს, ქალ. თელავში, საშუალო გლეხის ოჯახში (ხელოსნის ოჯახში). დაწყებითი განათლება – თელავში, ხოლო შემდეგ გადმოვედი თბილისში საცხოვრებლად დასთან და 1924 წელს შევედი მეოთხე შრომის სკოლაში. შეიდნლედის დამთავრების შემდეგ ვსწავლობდი საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში, შემდეგ გადაველი ათწლედში, რომელიც დავამთავრე 1933 წელს.

ჩემი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1934 წელს ჟურნალში „ახალგაზრდა მწერალი“. 1934 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურის ფაკულტეტზე შევედი, მაგრამ ავადმყოფობის გამო სწავლას თავი დავანებე. როცა გამოვკეთდი და ავადმყოფობამ გაიარა, წავედი რამდენიმე წლით კიევისა და ხარკოვში, აგრეთვე მოვიარე მოსკოვიც.

ჩემი ამ მოგზაურობის შემდეგ მოვეწყვე სასცენარო და ხელოვნების უმაღლეს კურსებზე, მაგრამ ეს კურსები მალე ლიკვიდირებული იქნა და მეც იძულებული გავხდი მოვწყობილიყავი თეატრალურ სასწავლებელში, კ. მარჯანიშვილის თეატრთან. პარალელურად, ვმუშაობდი ჩემს თავზე, ვწერდი ლექსებსა და ისინიც სისტემატურად იბეჭდებოდა პერიოდულ გამოცემებში.

1939 წელს ყველა თეატრალური სკოლები ლიკვიდაცია ქმნილი იქნა და გაიხსნა თეატრალური ინსტიტუტი, სადაც შევედი და დავამთავრე, აქტიორული განხრით. 1940 წელს მიღებული ვიქენი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრად.

სწავდასხვა გამომცემლობების მიერ გამოცემული იქნა ჩემი ოთხი წიგნი ლექსებისა და ნარკვევების. აგრეთვე იბეჭდებოდა და იბეჭდება ჩემი კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული წერილები. კომკავშირულ გაზეთში კარგი მუშაობისათვის დაჯილდოვებული ვიყავი ორი „ქების სიგელით“. 1948 წლიდან ვხელმძღვანელობდი ლიტერატურულ წრეს გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტს“.

ვმუშაობ ამჟამად ლექსების ციკლზე „ცეცხლი და მშვიდობა“.

1939 წლიდან ვიყავი ალკკ წევრი, ხოლო ამჟამად ვარ სკკპ წევრი.

შალვა ამისულაშვილის ნაწარმოებები: 1. ლირიკული ლექსები, გამოვიდა „საბჭოთა მწერალის“ მიერ, 1940 წელს. 2. „თალარი“, ლექსები, 1947 წ. 3. „დარიალიდან ყარაყურამდე“, 1952 წ. 4. გამომცემული მაქვს 1938 წლიდან 46 წლამდე ლექსების სამი კრებული. 5. პოემა „ბაკურციხელი ნალბანდი“. 6. ლექსების ციკლი თუშებზე და ცალკეული ლექსები.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ჩემი მხედრული ბიოგრაფია

საბჭოთა არმიის რიგებში 1940 წლის აგვისტოში გამიწვიეს. დიდმა სამამულო ომმა ქალაქ სერპუხოვში მომიხსნო. როგორც რიგითი ჯარისკაცი, ვიბრძოდი უკრაინის მეორე ფრონტზე, 240-ე მსროლელ დივიზიაში.

რუსეთი, უკრაინა, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, ავსტრია! – აი, ის

ქვეყნები, სადაც მოძმე რესპუბლიკების თავდადებულ შვილებთან ერთად მეც ვინანილებდი საერთო ზედს. სამამულო ომის ფრონტზე იბრძოდა ჩემი უფროსი ძმა, ალექსანდრეც. მას სამშობლოში დაბრუნება არ ელირსა, ბუდაპეშტის მისადგომებთან ვაჟკაცურად დაილუბა. ჩემი გმირული ბალადა „ორი ობელისკი“ სწორედ ამ ამბის მხატვრულ განზოგადებას წარმოადგენს. ბალადის წერის დროს თვალწინ მედგნენ აგრეთვე თანამოკალმე ფრონტელი ძმები: მირზა გელოვანი, სევერიან ისიანი, გიორგი ნაფეტვარიძე და ვლადიმერ უბილავა.

სამშობლოში 1945 წ. დეკემბერში დავბრუნდი. პირველი ლექსი, რომელიც მაშინ გამოვაქვეყნე, იყო „მარხილები“. საინტერესოა ამ ლექსის ისტორია: 1944 წ. დეკემბერში, ქალაქ სიქსოუს ალების შემდეგ, პირი ბუდაპეშტისაკენ ვიბრუნეთ. იმდროინდელ დღიურებში ამასწინათ ასეთ სტრიქონებს წავანყდი: „განმარტოებულად მდგარი ფანჯრებჩაღუნილი სახლი. ხაოიანი ბურანი. ყინვისაგან გაკირჩხლული ხეები. პირქვე დამხობილი მაღიარული ხარი. მოლიპული გზა ბუდაპეშტისაკენ“. სწორედ ამ მოლიპულ გზაზე გამოჩნდნენ ის მარხილები, უნგრეთის დედაქალაქის ბრძოლებში დაჭრილი ჩვენი ჯარისკაცები რომ იწვნენ. არ ვიცი, მათ შორის ვინმე ქართველი თუ ერია, მაგრამ შთაგონებამ მაინც ქართველ ვაჟკაცზე ამომათქმევინა ლექსი „მარხილები“.

1947 წელს გამოქვეყნდა ჩემი ლექსების მეორე წიგნი „თალარი“ (პირველი 1940 წელს დაიბეჭდა), რომელშიც აისახა ჩემს მიერ უშუალოდ განცდილი ომის ამბები... დაჯილდოვებული ვარ სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების მედლით და აგრეთვე საპატიო ნიშნის ორდენით... დიდი დრო გავიდა დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან, მაგრამ თავს დღესაც მებრძოლ ჯარისკაცად ვთვლი, რადგან პოეტურ სიტყვასთან ჭიდილიც მე ნამდვილ ბრძოლად მიმაჩნია.

მიხეილ ჯავახიშვილი იტყოდა ხოლმე: მოვალეობის ფანდურს ზოგჯერ ეშმაკიც აჟღარუნებსო. სიჭაბუკეში მოსმენილი ეს ორიოდ სიტყვა უბის წიგნაკში არ ჩამინერია, ისე, თავისთავად, ძალდაუტანებლად შემორჩა ჩემს მეხსიერებას. და როგორც კი შთაგონების გარეშე დანერილი ვისიმე ნაწარმოები წამიკითხავს, მყისვე მთელი სისრულით მიგრძენია სუსხიანი სიმართლე ჯავახიშვილის ნათქვამისა. მე ვცდილობდი, რომ ამ სუსხიანი სიმართლის თაყვანისმცემელი ვყოფილიყავი ყოველთვის...

მართალია, იყო პოეტი, მოვალეობა კი არა, მოწოდებაა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს იგიც მოვალეობაში გადადის, რადგან პასუხისმგებლობა პოეტური სიტყვის წინაშე ნიშნავს პასუხისმგებლობას სამშობლოს წინაშეც... ეს უწმინდესი გრძნობა მე მიმაჩნია შემოქმედებითი წინსვლის დიდ საწინდრად...

მძიმეა ქართული პოეზიის გრძელი ჯამბარა. ყველას როდი შეუძლია მისი უღლის განევა. ჩვენ, პოეტები, მაინც ჩვენსას ვცდილობთ... მამაჩემი მინას ებრძოდა ბაკურციხეში, მე სიტყვას ვებრძვი თბილისის ცისქვეშ. ბევრია ჩვენს შორის საერთო, რადგან ზოგჯერ პანია კალამიც სახნისივით ყამირის გამტეხავია პოეზიაში. მხედრული ბიოგრაფია დავარქვი ჩემს ავტობიოგრაფიას. ნეტამც აგრე გაგრძელებულიყოს იგი მომავალშიც...

შალვა ამისულაშვილი
13/IV, 75 წ.

შალვა ლორთქიფანიძე ჩემი მოკლე ბიოგრაფია

დავიბადე 1915 წლის 15 აპრილს ხონში (ამჟამად წულუკიძის რაიონში), სოფ. ძეძილეთში. მამაჩემი იყო მიწის მუშა, დედა – დიასახლისი. პირველ დაწყებითი სწავლა მივიღე ხონში. 1932 წელს დავამთავრე ქუთაისის საამ-შენებლო სასწავლებელი, შემდეგ კი ვსწავლობდი ქ. სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

ჩემი პირველი ლექსი დაიბეჭდა მწერალთა კავშირის ორგანო „ჩვენი თაობა“-ში, 1937 წ. მას შემდეგ ვენევი ლიტერატურულ-შემოქმედებით მუშაობას. ჩემი ლექსები დაბეჭდილია რესპ. ჟურნალ-გაზეთებში. გამოცემული მაქვს ლექსების წიგნები: თანავტორობით 1; „ლექსები“, 1940 წ.; „მზის ღიმილი“, 1941 წ.; „თავთავები“, 1963 წ.; „შენ რომ არ იყო“, 1969 წ.; 1969 წ. დაწერილი და გამოქვეყნებული მაქვს წერილები ხელოვნების საკითხებზე, საბავშვო ლექსები და თარგმანები მოძმე საბჭოთა ხალხის ენებიდან – პოეტების ცალკეული ლექსები (ქართულ ენაზე). ამასთან ერთად ვმუშაობდი სხვა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებში, სხვა და სხვა თანამდებობებზე, 25 წლის განმავლობაში.

*შ. ლორთქიფანიძე
9/II-70 წ.*

არჩილ გურჯიძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | გურჯიძე არჩილ ალექსანდრეს ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1915 თვე აპრილი დღე 20 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. ბილა (ჭიათურის რაიონი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1939 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1952 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არცერთში |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | ვსწავლობდი ქუთაისის პედ. ინსტიტუტში ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>რიგითი – ვუს 134</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>არა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედეგები: „კავკასის დაცვისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“ „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პ/მგ. მდივანი</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>კ. ცეცკინის 4</p> |

„ — „ ————— 1952 წ.

ხელმოწერა _____

| <p style="text-align: center;">მუშაობა წარსულში (შრომითი საქმიანობა)</p> | | | | |
|---|-------------|--|--|--|
| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უნყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1939 | 42 | განყოფილების გამგე | გაზ. „ინდუსტრი- ული ქუთაისი“ | ქუთაისში |
| 1942 | 48 | საქალაქო სალექც. ბიუროს გამგე | საქ. სსრ განათლე- ბის სამინისტრო | „-“ |
| 1948 | 50 | მწერ. კავშირის ქუთაისის განყ. მას. განყ. გამგე | საქარ. მწერალთა კავშირის | |
| 1950 | | სამეცნიერო ბიბლ. დირექტო- რი | საქ. სსრ განათლე- ბის სამინისტრო | „-“ |
| 1955 | წლიდან არის | მწერალთა კავშირის ქუთაისის განყ. | პ/მგ. მდივანი. | |
| <p>სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.</p> | | | | |

არჩილ ალექსანდრეს-ძე გურჯიძის ავტობიოგრაფია

არჩილ ალექსანდრეს-ძე გურჯიძე დავიბადე 1915 წელს, ლარიზი გლეხის ოჯახში, ჭიათურის რაიონის სოფელ ბილაში.

1930 წლამდე ჩემი მშობლები მინის მეურნე გლეხები იყვნენ, ხოლო 1930 წლიდან კი, კოლმეურნე არიან.

მე 1939 წლამდე კოლმეურნეობაში ვმუშაობდი და იქვე სოფლად მივიღე საშუალო განათლება. 1939 წლიდან საცხოვრებლად გადავედი ქალ. ქუთაისში და სამსახურიდან მოუწყვეტლად სწავლა გავაგრძელე ქუთაისის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილების ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე.

წლების განმავლობაში, ქალ. ქუთაისში ვმუშაობდი ხელმძღვანელ თანამდებობებზე. ამჟამად ქუთაისის პედაგოგიური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორად ვმუშაობ.

დიდ სამამულო ომის წლებში ვიყავი შსსკ ქუთაისის განყოფილებასთან არსებული გამანადგურებელი ბატალიონის ასეულის პოლიტხელი. ჯილდოდ მიღებული მაქვს სამი მედალი და რამდენიმე სიგელი.

კომკავშირის რიგებში ვმუშაობდი 1930 წლიდან 1943 წლის მაისამდე. 1943 წლის მაისიდან კი საკ. კ.პ.(ზ) წევრი ვარ. პარტიული, კომკავშირული, ან ადმინისტრაციული სასჯელი არასოდეს არ მიმიღია.

ლექსების წერა ბავშვობიდანვე დავიწყე. პირველი ლექსები მხოლოდ 1939 წელს გამოვაქვეყნე. მას შემდეგ ჩემი ლექსები, პოემები და ნარკვევები სისტემატურად ქვეყნდება სხვადასხვა გამოცემებში.

არჩეული ვიყავი მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებასთან არსებულ ახალგაზრდა მწერალთა სექციის ხელმძღვანელად, სადაც ჩემს მოვალეობას სხვა პარტიულ-საზოგადოებრივ დავალებასთან ერთად, პირნათლად ვასრულებ.

ტყვედ და საზღვარგარეთ მე და ჩემი ახლო ნათესავები, ან პატიმრობაში, არავინ ყოფილან.

1952 წ.

ჩემი ნაწარმოებების სია:

1. „გამარჯვებული კოლმეურნე“ (დრამა), 1939 წ.
2. „სამშობლოსათვის სტალინისათვის“, პოეზია, 1943 წ.
3. „ინდუსტრიალური ქუთაისი“, პოეზია, 1949 წ.
4. „მშობლიურ სოფელში“, „-“, 1950 წ.
5. „ჩვენ მშვიდობა გვინდა“, „-“, 1951 წ.
6. „ნათელი ხევში“, „-“, 1952 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვდასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ნინა გალავანოვა

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | გალავანოვა ნინა ანდრიას ასული |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | ნიგა |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1915 თვე ნოემბერი დღე 20 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ბეჟენკაუ (ჯავის რაიონი) |
| 4. ეროვნება | ოსი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პროზა, პოეზია |
| 8. რა ენაზე წერს | ოსურ ენაზე |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1932 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1934 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|-----------------------------------|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, სტალინის პედ. ინსტიტუტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ოსური, რუსული, ქართული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>არასამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>–</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>პედაგოგი (შენიშვნა – ამჟამად სწავლობს მოსკოვში, გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში)</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>სტალინირი, მოლოტოვის 50</p> |

„ — “ _____ 1952 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უნყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1931 | | ბიბლიოთეკის გამგე | პედ. ტექნიკუმი | ცხინვალი |
| 1932 | | კულტ. საყოფა- ცხ. განყ. გამგე | საოლქო გაზეთი „კომუნისტი“ | „-“ |
| 1933 | | მდივანი | განათლების კომისარიატი | „-“ |
| 1933 | 35 | პედაგოგი | სტალინირის სკოლები | სტალინირი |
| 1936 | 41 | პედაგოგი | „-“ | |
| 1941 | 45 | „-“ | „-“ | |
| 1945 | | „-“ | პედინსტიტუტი | სტალინირი |
| | | 1952 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

შეკვ. №193. ტ. 1000

ხელმოწერა _____

ნინა ანდროას ასული გალავანოვას ავტობიოგრაფია

დავიბადე 1915 წლის ნოემბრის 20-ს, სოფ. ბეჟანკაუში, ჯავის რაიონში, ღარიბი გლეხის ოჯახში. ვიზრდებოდი ბიძის ოჯახში. ბიძა ხშირად მიკითხავდა კოსტა ხეთაგუროვის ლექსებს, რომელიც მან ზეპირად იცოდა, რამაც ჩემზე გავლენა იქონია.

9 წლის ვიყავი, როცა შემიყვანეს სოფლის სკოლაში, 1928 წელს კი შევედი ცხინვალის პედტექნიკუმში.

1931 წელს მუშაობა დავინწყე აღნიშნულ ტექნიკუმის ბიბლიოთეკის გამგედ. 1933 წელს ვმუშაობდი საოლქო გაზეთ „კომუნისტის“ კულტურულ-საყოფაცხოვრებო განყოფილების გამგეთ. 1931 წელს ვმუშაობდი სამხრეთ-ოსეთის განათლების სამინისტროს მდივნად და იმავე დროს დავინწყე მასწავლებლობა სტალინირის პედტექნიკუმში.

1952 წელს შევედი სტალინირის პედინსტიტუტში და დავამთავრე საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი 1937 წელს. ამ დროიდან ვმუშაობდი მასწავლებლად სტალინირის საშუალო სკოლებში.

ლიტერატურული მოღვაწეობა დავინწყე 1932 წელს. ჩემი პირველი ლექსები – „ტრაქტორი“, „დედა“, „ნათელი ცხოვრება“ დაიბეჭდა გაზეთ „მაცხარში“. შემდგომში კი ვიბეჭდებოდი ჟურნალ „ფიდიოგას“ და ოსურ საოლქო გაზეთ „კომუნისტში“.

1933 წელს გამოვიდა ჩემი პირველი წიგნი „ეპოქის მეომრები“, სადაც მოთავსებული იყო ლექსები და პოემები.

კომკავშირის რიგებში შევედი 1928 წელს, მწერალთა კავშირის წევრი ვარ 1934 წლიდან. 1943 წელს შევედი სკკპ რიგებში. 1945 წელს დაჯილდოვებული ვიქენი მედლით „მამაცური შრომისათვის“.

ნ. ა. გალავანოვას ნაწარმოებები

1. „ცხოვრების სახე“, პროზა, 1932 წ. 2. „ეპოქის მეომრები“, კრებული, 1933 წ. 3. „კოლმეურნე გოგონა“, პროზა, 1935 წ. 4. „ახალგაზრდობის შესახებ“, პოეზია, 1935 წ. 5. „საყვარელი ბელადი“, პოეზია, 1936-37 წ. 6. „წერილი გერმანიაში“, 1937-38 წ. 7. „დედის ხმა“, კრებული, პოეზია-პროზა, 1941 წ. 8. „სონა“, პროზა, 1943 წ. 9. „მზე“, „პროზა“, 1945 წ. 10. „გმირის სახელი“, პროზა, 1947 წ. 11. „ახალგაზრდა პარტიზანი“, პროზა, 1947 წ. 12. „რაისა“, პროზა, 1949 წ. 13. „ოსეთი“, პოეზია, 1949 წ. 14. „მებრძოლი მეგობრის სიმღერა“, პოეზია, 1949 წ. 15. „თანამემამულენი“, კრებული, პროზა, 1949 წ. 16. „ოცნება ასრულდა“, პროზა, 1950 წ. 17. „მოსწავლეები“, პროზა, 1950 წ. 18. „ზარეტა“, პროზა, 1951 წ. 19. „ნორჩი მეგობრები“, პროზა, 1951 წ. 20. „მწვანე ქუჩა“ ა. სუროვისა (თარგმანი). 21. „კინ პი ლი და სოხ უკ ნი“, პროზა, 1952 წ.

1952 წელი

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

მიხეილ ალავიძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ალავიძე მიხეილ ნესტორის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1916 თვე მაისის დღე 11 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. საირმეში, ცაგერის რაიონი |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | ლიტერატურათმცოდნეობა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1938 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1952 წლიდან |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | – |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, ქუთაისის პედ. ინსტიტუტი ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>მობსნილი ვარ აღრიცხვიდან</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>–</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>ლექტორი, ქუთაისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი ა. ნულუკიძის სახელობისა</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ყაზბეგის ქ. 34</p> |

„ — “ _____ 1952 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ხელმოწერა _ნ. თოფჩიშვილი.

მიხეილ ნესტორის-ძე ალავიძის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1916 წლის 11 მაისს, ცაგერის რაიონის სოფელ საირმეში, საშუალო გლეხის ოჯახში.

ჩემი მშობლები დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე და შემდეგაც ეწეოდნენ შრომას.

დანწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლება მივიღე ქალ. ქუთაისში. 1938 წელს წარჩინებით დავამთავრე ალ. ნულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

1938 წლიდან ვმუშაობ ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში უფროს მასწავლებლად. ვკითხულობ ქართული ენის კურსს.

1938 წლიდან ვთანამშრომლობ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

დღემდე გამოქვეყნებული მაქვს 10 შრომა (მათ შორის ორი წიგნი) და მრავალი საგაზეთო სტატია.

დაჯილდოვებული ვარ მედლით „მამაცური შრომისათვის“.

ვარ უპარტიო. პასუხისგებაში არასოდეს არ ვყოფილვარ მიცემული. ვარ უცოლო. მყავს ერთი შვილი.

ჩემი ნაწარმოებები:

1. „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, 1947 წ.
2. „ქართველი პოეტები და ქუთაისი“, „-“.
3. „დ. თომაშვილის ლექსები“.
4. ოქროპირ ბაგრატიონის პიესა „ვეფხისტყაოსანი“, „-“.
5. „მასალები ვაჟა-ფშაველას ენის განსაკუთრებულობაზე“.
6. „გიორგი ინასარიძის ცხოვრება“.
7. მასალები ლეჩხუმის ეთნოგრაფიაზე.
8. „ნ. ბარათაშვილის ენა“.
9. „ი. ჭავჭავაძე და ნ. ბარათაშვილი“.
10. „პუშკინის შემოქმედებაში საქართველო“.
11. „მაქსიმ გორკი და საქართველო“.

1952 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

თინა დონუაშვილი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | დონუაშვილი თინა გიორგის ასული |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1916 თვე სექტემბერი დღე 21 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) თბილისი |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | მოსამსახურე |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პროზა, დრამატურგია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1947 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1948 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი, 1949 წ. |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | 1938 წელს დავამთავრე სამკურნალო ფაკულტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული, სუსტად ვიცო ფრანგული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | 1939 წლიდან საბჭოთა არმიის კადრის ექიმად, სამედიცინო სამსახურის მაიორი |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | ვმუშაობდი ქირურგად |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>აყვანილი ვარ აღრიცხვაზე, უფრ. ექიმი</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>დრამსექციის ბიუროს წევრი</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>სამამულო ომის ორდენი I ხარისხ., „—“ II ხარისხ. წითელი ვარსკვლავის ორდენი; მედლები: „კენისბერგის ალებისა“, „კავკასიის დაცვისათვის გერმანიაზე“ და „იაპონიაზე გამარჯვებისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>არსად, ვენევი ლიტ. მუშაობას.</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>კალანდაძის 1ა</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1939 | 1946 | ქირურგად | მობილიზებული ვიქენი საბჭოთა არმიაში | |
| 1951 | | ვენეოდი ლიტ. მუშაობას „—“ | | |
| | | სწორია: ნ. კ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

თინა გიორგის ასული დონუაშვილის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1916 წელს, ქ. თბილისში, 21 სექტემბერს.

1932 წელს დავამთავრე ცხრანლედი. 1934 წელს შევედი მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტში. 1939 წელს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მობილიზებული ვიყავი სამხედრო სამედიცინო აკადემიაში, ლენინგრადში. 1939 წელს მომენიჭა მესამე რანგის სამხედრო ექიმის წოდება და ვიქენი გაგზავნილი ქირურგ-ორდინატორად თბილისის საოლქო სამხედრო გოსპიტალში, საიდანაც გავემგზავრე ფრონტზე. ომის დამთავრების შემდეგ მე გადაყვანილი ვიქენი შორეულ აღმოსავლეთში ქირურგის თანამდებობაზე.

მაქვს მთავრობის ჯილდოები: „I ხარისხის სამამულო ომის ორდენი“, „მეორე ხარისხის სამამულო ომის ორდენი“, „წითელი ვარსკვლავის ორდენი“ და მედლები: „კავკასიის დაცვისათვის“, „კენისბერგის ალებისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“ და „იაპონიაზე გამარჯვებისათვის“.

ვარ სკკპ წევრი 1949 წლიდან.

1946 წელს ვიქენი დემობილიზებული.

1947 წელს დავინყე წერა.

ჩემი ნაწარმოებების სია:

1. მოთხრობა „ვერ მიგატოვებ“;
2. პიესა „ახალი ქართლი“, რომელმაც მიიღო მეორე პრემია;
3. პიესა „წათელი გზა“;
4. რომანი „განთიადი“, რომელიც გამოვიდა რუსულ ენაზედაც;
5. პიესა „გამარჯვებულთა ღიმილი“, რომელიც დაიდგა რუსთაველის სახ. თეატრში;
6. პიესა „მინდვრის ზღაპარი“, მიღებულია მარჯანიშვილის სახ. თეატრში დასადგმელად და სხვ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

რევაზ მარგიანი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | მარგიანი რევაზ აკაკის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1916 თვე ნოემბრის დღე 24 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. მულახი (ზემო სვანეთის რაიონი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | მოსამსახურის ოჯახიდან (ლიტერატორი) |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1940 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1939 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმალღესი, თბილისის სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული და გერმანული სუსტად |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | ვმსახურობდი სამამულო ომის დროს |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | 1942 წლიდან ვიმყოფებოდი სამამულო ომის ფრონტზე, ყირიმში, ჩრდილო-კავკასიაში ვმუშაობდი საფრონტო გაზეთის რედაქციებში |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>სსმკ გამგეობის წევრი</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>ორდენი „საპატიო ნიშნისა“; მედალები: „კავკასიის დაცვისათვის“, „მამაცური შრომისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>ჟურნალ „ოქტომბრელის“ პ/მგ. რედაქტორი</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>პლესხანოვის გამზ. 90, 3-48-11</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უნყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღ- გილმდებარეობა (ურვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1938 | | ლიტ. განყოფი- ლების გამგე | გაზეთ „ნორჩი ლენინელი“ | |
| 1941 | | პ/მგ. მდივანი ლიტმუშაკი | ჟურნ. „ნიანგისა“ გაზ. „კომუნისტი“ | |
| 1942 | წლიდან | ვიყავი ფრონტზე და ვხელმძღვანელობდი საფრონტო გაზეთს პედკაბინეტის გამგე პ/მგ. მდივანი რედაქტორის მოადგ. პ/მგ. რედაქტორი „-“ „-“ | ზემო სვანეთის სახალხო განათ- ლებაში გაზეთი „ახალი სვანეთი“ რედაქცია ჟურნ. „ნიანგი“ ჟურნ. „დილა“ ჟურნ. „პიონერი“ ჟურნ. „ოქტომ- ბრელი“ | |
| | | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

რევაზ აკაკის-ძე მარგიანის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1916 წელს, ნოემბრის 24, სოფელ მულახში (ზემო სვანეთის რაიონი, საქართველოს სსრ), მოსამსახურის ოჯახში.

1935 წელს დაავამთავრე თბილისის მე-8 სრული საშუალო სკოლა. იმავე წელს სწავლა განვაგრძე თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის კურსიც დავასრულე 1940 წელს.

1938 წლიდან ვიყავი ალკკ წევრი. 1938 წლიდან 1941 წლის ივლისამდე, სწავლისაგან მოუწყვეტლად, ვმუშაობდი საქართველოს ალკკ ორგანო გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგედ, ხოლო შემდეგ პასუხისმგებელ მდივნად. 1941 წლის სექტემბრიდან ვმუშაობდი საქართველოს კ.პ.(ბ) ცეკას ორგანო გაზეთ „კომუნისტში“, ლიტერატურულ მუშაკის თანამდებობაზე.

1942 წლის დასაწყისიდან ვიმყოფებოდი სამამულო ომის ფრონტზე, ვმუშაობდი საფრონტო გაზეთის რედაქციაში „მედგარი შეტევა“ და „ყირიმის საბრძოლო გაზეთი“. ამავე დროს საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში ვათავსებდი ჩემს ნაწერებს სამამულო ომის ფრონტებიდან.

ჩემი პირველი წიგნი, სახელწოდებით „ლექსები“, გამოვიდა 1940 წელს. მეორე წიგნი „ახალი ლექსები“, რომელშიც მოთავსებულია ფრონტზე დაწერილი ლექსები, 1945 წელს, ხოლო მესამე წიგნი ლექსებისა და ბალადების გამოვიდა 1946 წელს.

1944 წელს შევდივარ კომუნისტური პარტიის რიგებში.

1944 წლის სექტემბრიდან ვმუშაობდი იუმორისტულ ჟურნალ „ნიანგში“ პ/მგ. რედაქტორის მოადგილედ. 1944 წლის თებერვალში დანიშნული ვიყავი საბავშვო ჟურნალ „ოქტომბრელის“ პ/მგ. რედაქტორად.

1946 წლის თებერვალში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავზე, მთავრობამ დამაჯილდოვა „საპატიო ნიშნის ორდენით“, დაჯილდოვებული ვარ აგრეთვე მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“.

1945 წელს საქართველოს ალკკ ყრილობის მიერ არჩეული ვიყავი საქ. ალკკ ცეკას წევრობის კანდიდატად. 1946 წელს საქართველოს საბჭოთა მწერლების ყრილობის მიერ არჩეული ვიყავი კავშირის გამგეობის წევრად.

1945 წლიდან 1952 წლამდე ვიყავი დანიშნული საბავშვო ჟურნალ „დილას“ პ/მგ. რედაქტორად. 1952 წელს კი გადამიყვანეს საბავშვო ჟურნალ „პიონერის“ რედაქტორად, სადაც დღემდე ვმუშაობ.

რ. მარგიანის ნაწარმოებთა სია: 1. ლექსების კრებული გამოვიდა 1940 წელს. 2. ახალი ლექსები, 1945 წ. 3. „მუმლი მუხასა“, ლექსებისა და ბალადების კრებული, 1946 წ. 4. „აქა მშვიდობა“, კრებული, 1948 წ. 5. „სიმღერა კომუნიზმისა“, 1949 წ. 6. მძევს დაწერილი ცალკეული ლექსები და პოემები. გამოცემულია ჩემი ნაწერები რუსულ და მოძმე ერების ხალხთა ენაზე.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

რამდენიმე სიტყვა საკუთარ თავზე (ავტობიოგრაფიიდან)

რატომღაც მეუბნებულა საკუთარ თავზე საუბარი. ჩემს ბიოგრაფიაში არაფერია არაჩვეულებრივი და თითქმის არ განსხვავდება ჩემი თანატოლების ბიოგრაფიისაგან.

ჩემი მამა-პაპეული კერა სვანეთშია, სოფელ მულახში, მთავარი კავკასიონის ქედის კალთაზე, დედული – იმერეთში, სოფელ კლდეეთში. ამ ორ კუთხეში მაქვს გატარებული ბავშვობა და ყრმობა.

ჩემი მშობლიური კუთხე სვანეთია, მარადთოვლიანი მწვერვალებითა და სიმღერებით. საქვეყნოდ ცნობილი „ლილე“ მზის საგალობელი ჰიმნია, იგი კავკასიონის მწვერვალებზეა დაბადებული, ჩემს მშობლიურ მხარეში, იქ, სადაც ბნელ ძალებს დატყვევებული ჰყავდათ ამირანი... მულახი დიდი სოფელია, მას თავზე დასცქერის თეთრი თეთნულდი და ორთავა უშბა, საიდანაც სათავეს იღებს ბევრი ჩანჩქერი და პატარა მდინარე. მგონი, ქვეყნიერებაზე ვერსად ნახავ ამდენ კოშკსა და ციხე-სიმაგრეს, რამდენიც ჩემს სოფელშია აღმართული. მათ შორის ახლაც დგას, ჩვენი პატარა სახლი, რომლის უფროსიც, როგორც მაშინ ამბობდნენ – „განათლებული მახვში“ – პაპაჩემი დარისპან მარგიანი გახლდათ...

...მამაჩემიც სემინარიელი გახლდათ. ახალგაზრდობაში ლექსებს სწერდა და ბეჭდავდა კიდეც რევოლუციამდელ ქართულ პრესაში, ე. წ. „დემოკრატიულ პოეტა“ ჯგუფს ეკუთვნოდა. პაპაჩემივით, ბევრს მუშაობდა ეთნოგრაფიასა და ფოლკლორისტიკაში. ორმოცდაცამეტი წლის ასაკში მოგვტაცა სიკვდილმა...

საშუალო სკოლის ბოლო კლასებში თბილისში ვსწავლობდი. სკოლაში იცოდნენ, რომ ჩუმი ლექსებს ვწერდი... და აი, ერთხელ, ეს იყო 1934 წელს, შემოდგომაზე, ჩვენს სკოლას ეწვია მწერალთა საკავშირო I ყრილობის დელეგატების ჯგუფი. შეხვედრაზე ლექსი დავიკითხე. გულთბილად შემხვდნენ და მწერალთა კავშირში მიმიპატიჟეს. 1934 წლის 30 დეკემბერს „ლიტერატურულ გაზეთში“ დაიბეჭდა ჩემი პირველი ლექსი „მირანგულა“.

1935–1940 წლებში თბილისის უნივერსიტეტში ვსწავლობდი. ჩემი პირველი წიგნი გამოვიდა 1940 წელს. მას შემდეგ ბევრი კრებული გამოვეცი. დიდი სამამულო ომის დროს ფრონტზე ვიყავი. ორი ათეული წლის განმავლობაში ვრედაქტორობდი საბავშვო ჟურნალებს: „დილასა“ და „პიონერს“. კარგა ხანს ვმუშაობდი გამომც. „ლიტერატურა და ხელოვნების“ დირექტორად. ამჟამად ვრედაქტორობ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“.

იმით ვამთავრებ, რითაც უნდა დამეწყოს. დავიბადე 1916 წლის 24 ნოემბერს. დანარჩენი ჩემს ლექსებშია თქმული...

რევაზ მარგიანი
1971

ალექსანდრე ალექსის-ძე საჯაიას ავტობიოგრაფია

დავიბადე სოფელ ოდიშში (ზუგდიდის რაიონი). რევოლუციამდე მამაჩემი მინის მუშა იყო, ამჟამად შრომის უნარმოკლებულია.

პირველად სოფლის სკოლაში ვსწავლობდი. შემდეგ ზუგდიდში, ხოლო საშუალო განათლება თბილისში მივიღე.

1930 წლიდან ვარ კომკავშირელი. ახალ საკოლმეურნეო მოძრაობის წლებში ჩვენს რაიონში მოწაფეთა უჯრედმა თავი ისახელა კარგი მუშაობით. მე მისი ერთი უაქტიურესი წევრი ვიყავი. ხშირად ვყოფილვარ არჩეული ა.ლ.კ.კ. ბიუროებში და მრავალი საზოგადოებრივი დავალება შემისრულებია. ლექსების გამოქვეყნება 1935 წელს დავიწყე. მას შემდეგ ვთანამშრომლობ ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. გამოქვეყნებული მაქვს პოემა, ლექსები და აგრეთვე თარგმნილი ლექსები.

ვარ თბილისის სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტის მე-5 კურსის სტუდენტი.

ასეთია მოკლედ ჩემი ბიოგრაფია.

1939 წ.

შენიშვნა: იგი გარდაიცვალა 1944 წელს.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

თინათინ ქიქოძე ავტობიოგრაფია

დავიბადე 1916 წ., ქ. თბილისში, მწერლის ოჯახში. 1923 წელს შევედი თბილისის პირველ შრომის სკოლაში, რომელიც დავამთავრე 1933 წ. ამავე წელს შევედი სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. პარალელურად შევისწავლე ფრანგული ენა. 1936 წელს მუშაობა დავიწყე განათლების სამინისტროსთან არსებულ სამეცნიერო ტერმინოლოგიის კომიტეტში. 1937 წ. დავასრულე უმაღლესი სასწავლებელი. როდესაც სამეცნიერო ტერმინოლოგიის კომიტეტი შევიდა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, მუშაობა განვაგრძე ენისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებაში, მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.

1947 წელს დავიწყე მთარგმნელობითი მუშაობა, რომელშიც მნიშვნელოვანი ხელმძღვანელობა გამიწია მამაჩემმა მწერალმა გერონტი ქიქოძემ. უპირატესად ვთარგმნი ფრანგულ მხატვრულ ლიტერატურას. 1965 წლიდან ვარ სსრკ მწერალთა კავშირის წევრი. 1966 წელს არჩეული ვიყავი საქართველოს მწერალთა VI ყრილობის დელეგატად გადამწყვეტი ხმის უფლებით.

მონაწილეობას ვიღებ საბჭოთაკავშირ-საფრანგეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების მუშაობაში. 1965 წლიდან ვარ ამ განყოფილების გამგეობის წევრი. 1967 წელს ვიმოგზაურე საფრანგეთში, საზოგადოების მიერ წარგზავნილ სპეციალიზირებული ტურისტული ჯგუფის შემადგენლობაში. ვარ უპარტიო.

მეუღლე ჩემი, ინჟინერი გიორგი ბაგრატიის ძე მიქელაძე, მუშაობს მელიორაციისა და ირიგაციის დარგში. უფროსი ვაჟი ვახტანგი, სპეციალობით არქიტექტორია, უმცროსი დავითი – ბიოქიმიკოსი.

1970 წლის 23 ნოემბერი
თინათინ ქიქოძე

ლადო ასათიანი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | გარდაიცვალა 1943 წელს, 24 ივნისს ასათიანი ლადო მექის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1917 თვე _____ დღე — |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ლენინბუმი, სოფ. ბარდნალა |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | თავადი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1937 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1940 წლიდან |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არცერთს |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | კომკავშირელი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|----------|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>განთავისუფლებული სამხედრო ვალდებულებისაგან</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>–</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>–</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>–</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ძერჟინსკის ქ. №3</p> |

„ ____ “ _____ 195 წ. სწორია: ნ. კლ.

ხელმოწერა ____წ. თოფჩიშვილი.

ლადო მექის-ძე ასათიანის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1917 წელს ლეჩხუმში, სოფელ ბარდნალაში.

ჩემი მშობლები იყვნენ სახალხო მასწავლებლები.

1934 წელს დავამთავრე ცაგერის სას. სამ. ტექნიკუმი და ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში შევედი, რომელიც დავამთავრე 1938 წელს.

ლიტერატურული მოღვაწეობა დავიწყე 1937 წლიდან და დღემდე სისტემატურად ვიბეჭდები ქართულ პერიოდულ ჟურნალ-გაზეთებში.

1940 წელს საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ჩემი ლექსების წიგნი, რომელშიც თავმოყრილი იყო ჩემი ლიტერატურული პროდუქცია. ვარ საქართველოს ახალგაზრდა ლენინური კომუნისტური კავშირის წევრი 1939 წლიდან. მაქვს საგაზეთო მუშაობის პრაქტიკა: ვმუშაობდი საქ. კ.პ.(ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ყოველდღიურ ორგანო – გაზეთ „სტალინელის“ და შემდეგ საქარ. ალკკ ცეკას ორგანო გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციაში.

დანერილი მაქვს პოემა „კოლხიდა“, აგრეთვე ცალკეული ლექსები, რომლებიც დაბეჭდილია ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

1940 წ. 20 სექტ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ნ. თოფჩიშვილი.

ბაგრატ შინკუბა

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | შინკუბა ბაგრატ ვასილის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1917 თვე მაისის დღე 12 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. ჩლოუ (ოჩამჩირის რაიონი) |
| 4. ეროვნება | აფხაზი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია |
| 8. რა ენაზე წერს | აფხაზურ ენაზე |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1930 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1943 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|-----------------------------------|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | 1947 წელს მქონდა საყვედური |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, ასპირანტურა |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | აფხაზური, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>–</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>(ამჟამად არის) საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აფხაზეთის განყოფილების პ/მგ. მდივანი</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>გორის ქ. 15</p> |

„ — „ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1941 | 42 | მასწავლებელი | ჩლოუს სკოლა | ორამჩირის რაიონი |
| 1942 | 43 | მრეწველობისა და ტრანსპორ- ტის განყ. გამგე | გაზეთ „აპსნი კაპ- ში“ | სუხუმი |
| 1942 | 43 | უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი | აფხაზეთის სამეცნ. საკვლე- ვო ინსტიტუტი | „-“ |
| 1943 | | დამწყებ მწერალ- თა სექციის გამგე | საქ. მწერ. კავში- რის აფხაზეთის განყოფილება | „-“ |
| 1943 | | ლიტ. ნაწილის გამგე | თეატრი | „-“ |
| 1945 | | უფროსი მეცნ. მუშაკი | აფხაზეთის ენის ლიტ. და ისტო- რიის ინსტიტუტი | „-“ |
| 1955 | წლიდან | პ/მგ. მდივანი (შენიშვნის სახით) 1952 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | საქ. საბჭოთა მწერლების კავში- რის აფხაზეთის განყოფილებისა | „-“ |

ბაგრატ ვასილის-ძე შინკუბას ავტობიოგრაფია

დავიბადე 1917 წლის 12 მაისს, სოფ. ჩლოუში, ოჩამჩირის რაიონში, გლეხის ოჯახში. დაწყებითი განათლება მივიღე მშობლიურ სოფელში. 1931–35 წლებში ვსწავლობდი აფხაზეთის პედაგოგიურ სასწავლებელში. 1939 წელს დავამთავრე სუხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. ამის შემდეგ აფხაზეთის სამეცნიერო საკვლევო ინსტიტუტმა გამგზავნა სასწავლებლად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1941 წელს, ოჯახური მდგომარეობის გამო, იძულებული გავხდი, დავბრუნებულიყავი მშობლიურ სოფელში, სადაც დავიწყე მუშაობა აფხაზური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

1942 წლიდან ვიყავი გაზეთ „აპსნი კაპშის“ სამრეწველო განყოფილების გამგე. იმავე დროს ვმუშაობდი აფხაზეთის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1942 წლის მაისიდან ვმუშაობდი სუხუმის თეატრის ლიტერატურის განყოფილების გამგედ. ამასთანვე ვათავსებდი მუშაობას საქ. მწერალთა კავშირის აფხაზეთის განყოფილების დამწყებ მწერალთა სექციის გამგედ. 1943 წელს სწავლა გავაგრძელე საქ. მეცნ. აკად. ასპირანტურაში, რომელიც დავამთავრე 1944 წელს. შემდეგ წელს დავიცავი დისერტაცია და მომენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1945 წლიდან დღემდე ვმუშაობ აფხაზეთის ენის ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე.

ლიტერატურული მოღვაწეობა დავიწყე 1930 წლებში. პირველი ჩემი ლექსი დაიბეჭდა 1935 წელს. ამ დროიდან დაწყებული ჩემი ნაწარმოებები სისტემატურად იბეჭდება აფხაზეთის ჟურნალ-გაზეთებში. ჩემი ლექსები იბეჭდებოდა აგრეთვე ქართულ და რუსულ ენაზე თარგმნილი. დაწყებული 1938 წლიდან, აფხაზური ენისა და ლიტერატურის ყველა სახელმძღვანელოში არის მოთავსებული ჩემი ნაწარმოებები. ვენევი აგრეთვე მთარგმნელობით მუშაობას. ჩემს მიერ აფხაზურ ენაზე თარგმნილია პუშკინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის, შევჩენკოს, გორკის, რუსთაველის (ნაწყვეტი), ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, ტაბიძის, ლეონიძის, გრიშაშვილის, მინიშვილის, ჰენრიხ ჰეინეს და სხვათა ცალკეული ნაწარმოებები.

1941 წელს შევედი სკკპ რიგებში. 1943 წლიდან ვარ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრი.

ჩემი ნაწარმოებების სია: 1. „პირველი სიმღერები“, ლექსების კრებული, 1937 წ. 2. „აფხაზეთის პოეტები“, კრებული რუსულ ენაზე, 1941 წ. 3. „მახვილი“, პოემა, 1943 წ. 4. კრებული „აფხაზური პოეზია“, ქართულ ენაზე, 1941 წ. 5. კრებული „აფხაზეთის პოეტები“, რუსულ ენაზე, 1947 წ. 6. „ლექსები“, 1948 წ. 7. „ახალი ადამიანები“, რომანი ლექსად, 1951 წ. 8. „აფხაზური ლექსთა წყობის პრინციპების შესახებ“, სტატია, 1952 წ. 9. სტატიები ლერმონტოვისა, მაიაკოვსკისა და ჟუკოვსკის შესახებ, სხვადასხვა დროს.

1952 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

შოთა ქურიძე ავტობიოგრაფია

მე, შოთა ისიდორეს ძე ქურიძე, დავიბადე 1917 წლის 22 ივნისს, ქალაქ ოზურგეთში (დღევანდელ მახარაძეში).

1934 წელს წარჩინებით დავამთავრე მახარაძის პედაგოგიური ტექნიკუმი, ხოლო 1938 წელს – ალ. ნუღუციძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ერთდროულად ვმუშაობდი გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის“ რედაქციასა და პედინსტიტუტში (ჯერ ასისტენტად, მერე ვკითხულობდი ლექციებს).

1941–1946 წლებში ვრედაქტორობდი ქუთაისის საქალაქო გაზეთ „ინდუსტრიულ ქუთაისს“.

1946–1949 წლებში ვსწავლობდი მოსკოვში, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში. დავამთავრე ამ სკოლის ჟურნალისტიკის (გაზეთის რედაქტორთა) ფაკულტეტი.

1949 წლიდან ვმუშაობ აჭარაში. ვიყავი საოლქო გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორი, საზოგადოება „ცოდნის“ აჭარის საოლქო განყოფილების გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობის კომიტეტის თავმჯდომარე.

ათ წელიწადს – 1958–1968 წლებში ვრედაქტორობდი ჟურნალ „ლიტერატურულ აჭარას“. ამჟამად ვარ გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორი.

რამდენჯერმე ამირჩიეს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო და ბათუმის საქალაქო კომიტეტის წევრად.

დაჯილდოებული ვარ „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით, საპატიო სიგელებით.

ვარ საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი.

ჩემი წიგნებია: „საბჭოთა ადამიანის სახე საბჭოთა ლიტერატურაში“, „ლიტერატურული წერილები“, „ხალხთა ძმობა-მეგობრობის იდეა ქართულ ლიტერატურაში“, „წერილები ქართულ საბჭოთა ლიტერატურაზე“, „მხატვრული სიტყვის განვითარება აჭარაში“.

შოთა ქურიძე

გივი გოგიჩაიშვილი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | გოგიჩაიშვილი გივი სიმონის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1918 თვე ივნისი დღე 23 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ზუგდიდი |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | დრამატურგია, პროზა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულზე |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1944 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1952 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი |
| 12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, თეატრალური ინსტიტუტი და უმაღლესი პარტიული სკოლა |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული, ქართული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--------------------------------------|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემაღგენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღგენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>პოლიტშემაღგენლობა, ლეიტენანტი</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>–</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>„ნიანგი“</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>პეტრიაშვილის 33</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უნყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|---|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1940 | 41 | აქტიორი | მესხიშვილის სახ. ქუთაისის თეატრში | ქუთაისი |
| 1942 | | აქტიორი | რუსთაველის სახ. თეატრში | თბილისი |
| 1945 | 1946 | უფ. ინსპექტორი | ხელოვნების საქმე- თა სამმართველო | თბილისი |
| 1946 | 1950 | ხელოვნების საქ- მეთა სამმართვე- ლო, სარეპერტუ- არო კომიტეტში | პოლიტმუშაკი | „-“ |
| 1951 | | ლიტმუშაკი | ჟურნალი „ნიანგი“ | „-“ |
| <p>სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.</p> | | | | |

შეკვ. №193. ტ. 1000

ხელმოწერა _____

გივი გოგიჩაიშვილის ნაწარმოებთა სია

1. „გადამწყვეტი შეხვედრა“, მოთხრობა, 1944 წ.
2. „ცხენის თვალი“, მოთხრობა, 1946 წ.
3. „დედა“, ნოველა, 1947 წ.
4. „ჩვენი დროის ახალგაზრდობა“, პიესა, 1949 წ.
5. „ფიცი“, „–“, 1949 წ.
6. „ცხოვრების გზა“, მოთხრობა, 1950 წ.
7. „ნათელი გზა“, პიესა, 1951 წ.
8. „ჯილდო“, მოთხრობა, 1951 წ.
9. „მეშვიდეკლასელები“, პიესა, 1952 წ.
10. „ცისარტყელა“ (არჩილის დედა), მოთხრობა, 1950 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ავტობიოგრაფია

მე, გივი სიმონის ძე გოგიჩაიშვილი, დავიბადე 1918 წლის 23 ივნისს, ქ. ზუგდიდში, პედაგოგების ოჯახში.

1927 წელს ჩემი ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა ქ. ოჩამჩირეში, სადაც მამა ერთხანს მუშაობდა ოჩამჩირის ქართული საშუალო სკოლის დირექტორად, შემდეგ განათლების განყოფილების ინსპექტორად.

1936 წელს დავამთავრე ოჩამჩირის ქართული საშუალო სკოლა და იმავე წელს შევედი თბილისის რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრის დრამატიულ სტუდიაში, რომელიც 1940 წელს გადაკეთდა თეატრალურ ინსტიტუტად. პარალელურად ვსწავლობდი ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე, ქართული ენისა და ლიტერატურის განხრით. 1940 წელს დავამთავრე თეატრალური ინსტიტუტი, ხოლო 1942 წელს – სახელმწიფო უნივერსიტეტი.

1940 წლიდან მუშაობა დავიწყე ქ. ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. თეატრში მსახიობად, 1942 წლიდან ქ. თბილისის რუსთაველის სახ. თეატრის მსახიობად. 1946 წელს გადამიყვანეს საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს თეატრალური განყოფილების უფროს ინსპექტორად, შემდეგ რეპერტუკომის პოლიტრედაქტორად.

1950–54 წ.წ. ვმუშაობდი ჟურნალ „ნიანგის“ ლიტმუშაკად, 1960–62 წ.წ., ქვიშხეთის მწერალთა შემოქმედებითი სახლის დირექტორად, 1962–66 წ.წ., საქართველოს მწერალთა კავშირის კლუბის დირექტორად, ხოლო 1966 წლიდან დღემდე – მწერალთა კავშირის ლიტერატურულ კონსულტანტად.

1944 წელს გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ დაიბეჭდა ჩემი პირველი მოთხრობა „გადამწყვეტი შამათი“. 1947 წელს საუკეთესო საბჭოს

პიესების რესპუბლიკურ კონკურსზე ჩემმა პიესამ, „ჩვენი დროის ახალგაზრდობამ“, პრემია დაიმსახურა. პიესა დაიდგა ქუთაისის, ფოთის, ჭიათურისა და სხვა რაიონულ თეატრებში. პიესა „ნათელი გზა“ მრავალი წლის განმავლობაში იდგმებოდა თბილისის მოზარდ-მაყურებელთა ქართულ თეატრში.

1950 წელს გამოვიდა ჩემი მოთხრობების პირველი წიგნი „ცისარტყელა“. ვარ ავტორი ორი რომანისა: „პირველი დღეები“ და „გაზაფხულიდან გაზაფხულამდე“, რომლებიც ჯერ ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა და შემდეგ ორჯერ ცალკე წიგნებად გამოვიდა. გამოცემული მაქვს მოთხრობების 6 კრებული: „თოვლის ფიფქი“, „მეტოქენი“ და სხვ. რომანი, „გაზაფხულიდან გაზაფხულამდე“, რუსულად თარგმნა მწერალმა ემ. ფეიგინმა და დაიბეჭდა ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“ 1970 წლის №№11 და 12-ში. იგი ამ დღეებში ცალკე წიგნად გამოვა გამომცემლობა „მერანში“, რომელიც 1971 წ. აგრეთვე სცემს ჩემი მოთხრობების კრებულს ქართულად „ოცი წლის შემდეგ“.

ჩემს მეუღლესთან, ესპანელ მარტინა მინტეგი ბილბაოსთან ერთად, ესპანურიდან გადავთარგმნე ბენიტო პერეს გალდოსის ორი რომანი: „დონია პერფექტა“ და „სარაგოსა“. მას 1971 წელს გამოსცემს გამომცემლობა „მერანი“. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დაკვეთით გადავთარგმნეთ „ესპანური ნოველა“, რომელიც შეტანილია 1972 წლის საგამომცემლო გეგმაში.

1952 წლიდან ვარ სსრ კავშირის მწერალთა კავშირის წევრი.

1945 წლიდან ვარ სკკპ წევრი. 1968 წლიდან ამირჩიეს საქართველოს მწერალთა კავშირის პარტბიუროს მდივნად, უკვე მესამედ. ვარ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მე-12 მოწვევის დეპუტატი, საქ. კ.პ. თბ. ორგ. კალინინის რაიკომის წევრი.

მყავს ოჯახი. მეუღლე, მარტინა მინტეგი ბილბაო, ბასკია, ავტორი წიგნისა „ჩემი ბასკეთი“, ქალიშვილი – ნანა – წელს ამთავრებს ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტს, ვაჟიშვილი – გიორგი – მეექვსე კლასის მოსწავლეა.

გივი გოგიჩაიშვილი
11 იანვარი, 1971 წელი

ვალერიან კანდელაკი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | კანდელაკი ვალერიან ლაზარეს-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1918 თვე ივლისის დღე 19 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. სუფსა (ლანჩხუთის რაიონი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | მოსამსახურე |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | დრამატურგია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1940 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1955 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|--|---|
| <p>14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)</p> | <p>1949 წელს მქონდა საყვედური აჭარის ხელოვნების სამმართველოს გამგის გაკრიტიკებისათვის, მომენხნა 1950 წელს</p> |
| <p>15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)</p> | <p>თბილისის სტალინის სახ. უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი</p> |
| <p>16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)</p> | <p>არა</p> |
| <p>17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)</p> | <p>ქართული და რუსული</p> |
| <p>18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)</p> | <p>არა</p> |
| <p>19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)</p> | <p>არა</p> |
| <p>20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)</p> | <p>არა</p> |
| <p>21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)</p> | <p>არა</p> |
| <p>22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)</p> | <p>არა</p> |
| <p>23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)</p> | <p>არა</p> |

| | |
|---|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>აჭარის პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილედ მწერალთა კავშირის განყოფილებაში</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>მწერლობა</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>თბილისი, ლენინის მე-2 შეს. 1ა</p> |

იხ. ავტობიოგრაფიული ცნობები.

„ — “ _____ 1955 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ვალერიან ლაზარეს-ძე კანდელაკის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1918 წელს, 19 ივლისს, ლანჩხუთის რაიონში, სოფ. სუფსაში, მოსამსახურის ოჯახში.

1925 წელს შემიყვანეს ქალ. ბათუმის პირველდანყებით სკოლაში. 1936 წელს დავამთავრე ბათუმის ლენინის სახ. საშუალო სკოლა, 1938 წელს კი – ბათუმის რუსთაველის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტი, ხოლო 1940 წელს – თბილისის სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. პარალელურად ვსწავლობდი საკავშირო დაუსწრებელ იურიდიულ ინსტიტუტში IV კურსამდე.

1940 წელს სწავლის დამთავრების შემდეგ, ვენვეი შრომით საქმიანობას. ვმუშაობდი ქალ. ბათუმის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იურისტკონსულტად, აჭარის სახელმწიფო თეატრში მსახიობად. აგრეთვე ქალაქის სხვადასხვა ორგანიზაციებში იურისტკონსულტად, ხოლო 1945 წლიდან ვმუშაობდი აჭარის დამცველთა კოლეგიის წევრად.

1946 წლიდან ვარ სკკპ წევრი.

ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვედი 1940 წლიდან.

დაჯილდოვებული ვარ მედლით: „მამაცური შრომისათვის“.

ვ. კანდელაკის ნაწარმოებთა სია

1. „ბაბუა თევდორე“ (პიესა), 1944/46 წ.
2. „რევან პირველი“, „–“, 1947/49 წ.
3. „ამაღლებული სოფელი“, „–“, 1948/51 წ.
4. „უშრეტი წყარო“, „–“, 1952/53 წ.
5. „სარეველა“, „–“, 1953/55 წ.
6. „ორი სპეციალისტი“, „–“, 1954/5 წ.
7. „მაია წყნეთელი“, „–“, 1955 წლიდან.

ცალკე ნიგნებად გამოცემულია ჩემი პიესები:

1. „ამაღლებული სოფელი“, ბათუმის „სახელგამი“, 1952 წ.
2. „რევან პირველი“, „–“, ბათუმის „სახელგამი“, 1954 წ.
3. ორი პიესა („ორი სპექტაკლი“, „უშრეტი წყარო“), ბათუმის „სახელგამი“, 1956 წ.

საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების აღმანახებში – „ორი პიესა“, 1954/55 წ.

1956 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ლადო სულაბერიძე

ავტობიოგრაფია

დავიბადე 1919 წლის 20 აპრილს, ვანის რაიონის სოფ. შუამთაში. მამა-ჩემი, სიმონ პორფირეს ძე სულაბერიძე იყო მოსამსახურე, დედა – მარიამ პავლეს ასული ნამიჭეიშვილი – დიასახლისი.

საშუალო სკოლა დავამთავრე ქ. ქუთაისში 1938 წელს და იმავე წელს შევედი თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

ჩემი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1935 წელს გაზეთ „ინდუსტრიულ ქუთაისში“. 1938 წლიდან ვიბეჭდები ჟურნალ „ჩვენი თაობასა“ და სხვა ცენტრალურ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე.

1941 წლის 5 აგვისტოს უნივერსიტეტის მე-3 კურსიდან გამიწვიეს ჯარში. 1942 წელს, თებერვალში ლეიტენანტის ჩინით დავამთავრე თელავის სამხედრო სასწავლებელი და მაშინვე გამაგზავნეს ყირიმის ფრონტზე, ქერჩის ნახევარკუნძულზე. 93-ე საზღვაო ბრიგადაში, რომელიც ხმელეთზე ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდა, ვმეთაურობდი ოცეულს. ქერჩის ტრაგედიის დროს, 18 მაისს, მტრის ალყის გარღვევისას, მძიმედ დაჭრილი, ჩავვარდი ტყვედ. 1944 წლის ბოლოს პოლონეთის ქალაქ პოზნანში ტყვეთა ბანაკიდან გამანთავისუფლა საბჭოთა არმიამ და კვლავ ჩავდექი შემტევი არმიის რიგებში. ვიბრძოლე კიუსტრინგთან და ასე შევედი ბერლინში. ჩემი ფრონტელი ეპიზოდები ნაწილობრივ აისახა ჩემს ლექსებსა და პოემებში, ნაწილობრივ მოგონებებსა და წიგნში „ომის ბოლო მინდორი“, რომელზედაც ამჟამად ვმუშაობ.

1945 წლის დეკემბერში დემობილიზაციით დავბრუნდი სამშობლოში.

1948 წლიდან 1956 წლამდე, გარკვეული მიზეზების გამო იზოლირებული ვიყავი შორეულ ციმბირში, მაგადანის ოლქში.

ჩემი ლექსების პირველი წიგნი „ყირიმის ღამეები“ გამოვიდა 1948 წელს. მას შემდეგ გამოცემული მაქვს მრავალი კრებული: „წარწერები კლდეზე“, „პატარა ზღვები“, „შუადღის ჩრდილში“, „ჩრდილები მღერიან“, „მზე მავთულხლართებში“, „რჩეული“ და სხვა.

ჩემი ლექსები, ბალადები და პოემები თარგმნილია რუსულ და სხვა ენებზე.

ლადო სულაბერიძე
2. V. 75

დავით კვიციანი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|-----------------------------------|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | კვიციანი დავით ვასილის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1919 თვე მაისის დღე 2 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ქუთაისი |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია, დრამატურგია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართული, რუსული |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1944 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1952 წლიდან |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიულისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | საბჭოთა კავშირის კომ. პარტ. წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | წ/არმიის რიგებში ვიმყოფებოდი 1939 წლიდან 1944 წლამდე, სამამულო ომის დროს ვიყავი პარტიზანთა რაზმში |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | ვიმყოფებოდი ვიტებსკის ოლქში პარტიზანულ შენაერთებში |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული უფროსი ლეიტენანტი</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>–</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>„წითელი ვარსკვლავი“, ორი ორდენი „სამამულო ომის პარტ. I ხარისხის“, მედლები: „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>გაზ. „სტალინელის“ კორესპონდენტი</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ქუთაისი, კომინტერნის 63</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უნწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|---|--------|--|---|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1946 | 49 | საკონსერვო ქარხნის დირექ- ტორის მოადგი- ლე | კვების მრეწვე- ლობის სამინის- ტრო | ქუთაისი |
| 1949 | 51 | გაზ. „ინდუსტრი- ულ ქუთაისის ლიტმუშაკი | | „-“ |
| 1951 | | გაზ. „სტალინე- ლის“ კორესპონ- დენტი | | ქუთაისი |
| <p>სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.</p> | | | | |

დ. კვიციანიძის ნაწარმოებთა სია:

1. დედის ფიცი. 2. გორკის ქუჩაზე. 3. მაისის ქუთაისი. 4. კორეელ პარტიზანულს. 5. მისთვის მიყვარხარ, ჩემო ქვეყანავ. 6. გოგოლის საფლავთან. 7. დგანან პალმები. 8. ლექსები ქუთაისზე. 9. ყვავილი სტუმრად. 10. ხარაჩოები. 11. ნარინჯები. 12. ოთხი ლექსი კორეაზე. 13. ბელადს. 14. სამშობლოს. 15. მშვიდობის გზაზე. 16. ბელადის მონუმენტთან. 17. სამგორი. 18. ჩემი დედული. 19. ბავშვის ფიქრები. 20. ბელადს. 21. სახელის მოზიარენი (მოთხრობა). 22. შეხვედრა (მოთხრობა). 23. სტადიონის ხეივანში (მოთხრობა). 24. ჩინარის ტევრში (ნარკვევი). 25. ჭიდილი ცეცხლთან (ნარკვევი). 26. ერთ კოლმეურნეობაში (ნარკვევი).

მოთხრობები: 27. ნათელი გზა. 28. ბედნიერების დიდ გზაზე. 29. პარტიზანის დღიურიდან. 30. ოჯახური ტრადიცია.

პიესები: 31. მეგობრები. 32. ნათელი საქმე. 33. ცეცხლთან ჭიდილი და სხვ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ავტობიოგრაფია

დავიბადე 1919 წლის 2 მაისს, ქალაქ ქუთაისში.

ჩემი მშობლები: დედა, კალისტინა გრიგორის ასული კვიციანიძე, ამჟამად შრომის პირველი ჯგუფის პენსიონერია; მამა გარდაიცვალა 1944 წელს.

1937 წელს დავამთავრე ქუთაისის სტალინის სახელობის მე-24 საშუალო სკოლა და შევედი ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ლექსების წერა დავიწყე საშუალო სასწავლებელში.

საკუთარი ლექსების კითხვით გამოვდიოდი საღამოებზე და ვბეჭდავდი კედლის გაზეთებში, აგრეთვე ხელნაწერ ჟურნალებში.

1939 წლიდან ვიდრე 1943 წლის მაისამდე ვიმყოფებოდი ნითელი არმიის რიგებში. 1941 წლიდან 1943 წლის მარტამდე ვიბრძოდი ბელორუსიაში, ვიტებსკის ოლქში, პარტიზანულ შენაერთებში.

დაჯილდოებული ვარ „ნითელი ვარსკვლავის“ ორდენით, „სამამულო ომის პარტიზანის“ I ხარისხით; მედლებით: „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“, 1941–45 წწ.

1943 წლის ოქტომბრიდან ვმუშაობდი ქუთაისის საკონსერვო ქარხნის დირექტორის თანაშემწეთ მიღება-დათხოვნის დარგში. ამ სამუშაოზე დავყავი 1948 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში არ შემინყვეტია ლიტერატურული მუშაობა. ვიბეჭდებოდი ადგილობრივ გაზეთებში დროგამოშვებით.

1953 წელს მიღებული ვიქენი საბჭოთა მწერლების კავშირის წევრად. კანდიდატად დავყავი ერთი წელი. ვიბეჭდებოდი სისტემატურად რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში. ვაქვეყნებდი ლექსებსა და მცირე მოცულობის მოთხრობებს.

1954 წლიდან დანიშნული ვიქენი ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო

თეატრის დირექტორად. ამ თეატრში განხორციელდა ჩემი პიესები: „ბულ-ბული“, „რობერტოს სიმღერა“, „მაისის ღამე“ და რუსულიდან გ. სამხარაძესთან ერთად თარგმნილი „დიდი ჯადოსანი“.

ამ პერიოდში ვმუშაობდი წიგნზე – ავტობიოგრაფიულ რომანზე პარტიზანული ცხოვრებიდან. ეს წიგნი, სათაურით „ორდშევის ტყეში“, დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“ და 1957 წელს ცალკე წიგნად გამოსცა საბლიტგამმა.

ლექსების კრებული „გზა“ 1959 წელს გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“. გამოქვეყნებული მაქვს მოთხრობები: „გული“, „ბარათი“, „ერთხელ, ღამით“, „ბილიკი ტყეში“, „დედა“, „ნათელა“ და სხ.

აღმანახ „რიონის“ პირველ ნომერში გამოვაქვეყნე ერთი თავი ახალი რომანიდან „აღმართი“. ეს ნაწარმოები უკვე დასრულებული მაქვს.

1958 წელს უკრაინის ჟურნალ „ზმინაში“ დაიბეჭდა ჩემი ლექსები, ო. ნოვიცკის თარგმანი. „ორდშევის ტყეში“ წელს გამოდის რუსულ ენაზე. წიგნს სცემს გამომცემლობა „ზარია ვასტოკა“. ვთარგმნე ვ. ჰიუგოს რამდენიმე ლექსი, აგრეთვე ო. ნოვიცკი, პ. ვორონკო, ი. ცხოვრებოვი, გ. მაზურინი და სხვ.

ვარ სკკპ წევრი.

ვმუშაობ საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პ/მგ. მდივნად. ვარ აღმანახ „რიონის“ პ/მგ. მდივანი. ვარ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი. ვარ ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი. დავამთავრე მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს 3 წლიანი უნივერსიტეტი.

*დავით ვასილის-ძე კვიცარიძე
27 ივნისი, 1960 წელი*

კაპიტონ რუსიძე

ავტობიოგრაფია

დავიბადე 1919 წლის 30 მაისს ქუთაისის გუბერნიის, ოზურგეთის მაზრის (ამჟამად საქ. სსრ ლანჩხუთის რაიონის) სოფელ ნიგვზიანში, რკინიგზის მუშის ოჯახში.

1928 წელს მიმაბარეს ჩემივე სოფლის სკოლაში, სადაც ვსწავლობდი 1932 წლამდე. 1932 წლიდან სწავლა გავაგრძელე ქ. ბათუმში, მე-18 არასრულ საშუალო სკოლაში, რომელიც პუშკინისა და ჯაფარიძის ქუჩათა კუთხეში მდებარეობდა. არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, შევედი ბათუმის პედსასწავლებელში (ახლა იმ შენობაში პედინსტიტუტია), მაგრამ უბინაობის გამო, იძულებული შევიქენი, სოფელში დავბრუნებულიყავი და რამდენიმე თვეს ვმუშაობდი ნიგვზიანის კლუბ-სამკითხველოს გამგედ. ეს იყო 1935 წლის ზაფხულში. მალე გავიგე, რომ იმავე რაიონის სოფელ ჩიბათში შვიდწლიანი სკოლა რევანიანად გადაკეთდა. მივატოვე სამსახური და სწავლა განვაგრძე ჩიბათში. ვცხოვრობდი სკოლის წინ, კოლმეურნეობის ბუღალტერ პატარაიას სახლში. მერვე კლასის დამთავრების შემდეგ გადავედი ქობულეთში, პედსასწავლებელში. 1937 წელს სწავლის პარალელურად მუშაობა დავიწყე რაიონულ გაზეთ „ქობულეთელი კოლმეურნის“ რედაქციაში. ვცხოვრობდი ძმის ბინაში, რკინიგზის მუშაკთა სახლში, სადგურთან, მაგრამ ძმა სხვა სადგურის უფროსად გადაიყვანეს და მეც იძულებული გავხდი, სხვაგან მეძებნა თავშესაფარიცა და სკოლაც. 1938 წლის თებერვლიდან გადავედი ლანჩხუთში, მუშაობა დავიწყე რაიონულ გაზეთ „დამკვრელ კოლმეურნეში“, ხოლო სწავლა განვაგრძე პედსასწავლებელში. იმავე წლის ივლისში პედსასწავლებლის დირექციამ (დირექტორად იყო ქსენია ანთიძე, ამჟამად დოცენტი) კურსდამთავრებულთა გამოშვებისას დამასაჩუქრა რუსთაველის ბიუსტით (მაშინ ოქროსა და ვერცხლის მედლები არ იყო). 1938 წლის აგვისტოდან დავბრუნდი ბათუმში. მუშაობა დავიწყე გაზეთ „ახალგაზრდა ლენინელში“ და სწავლა განვაგრძე ორწლიან სამასწავლებლო ინსტიტუტში. ვცხოვრობდი ჯერ პუშკინის ქ. №54-ში, ლორთქიფანიძის ბინაში, ხოლო შემდეგ, ნათესავის სახლში, ტელმანისა და საბჭოს ქუჩების კუთხეში. 1939 წლიდან გადამიყვანეს ბათუმის რაიონულ გაზეთ „კოლმეურნის გზის“ პასუხისმგებელ მდივნად. 1940 წლის აპრილში მძიმე ავად გავხდი, ნახევარი წელიწადი ლოგინად გავატარე ნიგვზიანში. სექტემბრიდან თუ ნოემბრიდან ისევ დავუბრუნდი რედაქციას. მინდოდა ლენინგრადის ჟურნალისტიკის ინსტიტუტში შესვლა, საბუთებიც გავგზავნე, მაგრამ მომდევნო, 1941 წელს ომი ასტყდა... იმავე წლის სექტემბრიდან პარტიის საოლქო კომიტეტმა გამგზავნა ქედაში, რაიონულ გაზეთ „ბოლშევიკური კოლმეურნეობისათვის“ პასუხისმგებელ რედაქტორად. ამავე დროს ვიყავი გამანადგურებელი ბატალიონის ოცეულის პოლიტხელი. ქედაში დავყავი 1944 წლის ზაფხულამდე. შემდეგ გადამიყვანეს ბათუმში, აჭარის რადიოკომიტეტის თავმჯდომარედ და გადაცემათა მთავარ რედაქტორად. ერთხანს ვცხოვრობდი კიროვის ქ. №15-ში, ხოლო შემდეგ, სასტუმრო „1 მაისში“. 1946

წლიდან დამნიშნეს გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტად აჭარის ასსრ-ში. ავადმყოფობის გამო ამ სამუშაოდან გავთავისუფლდი, 1949 წელს. ვმკურნალობდი წყალტუბოში. 1950 წელს დამნიშნეს აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორად, ხოლო ორი წლის შემდეგ გადავედი გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქციაში. 1951 წელს ექსტერნად დავამთავრე რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ამ წლებში ვცხოვრობდი ტელმანის ქ. №22-ში (საკუთარ, კერძო სახლში) და გორკის ქ. №45-ში. 1955 წლიდან საცხოვრებლად გადავედი კიროვის ქ. №24-ში. 1959 წლის თებერვლიდან გადამიყვანეს აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობის მთავარ რედაქტორად.

ჩემი პირველი ლექსი 1929 წელს, როცა მეორე კლასის მოსწავლე ვიყავი, გამოქვეყნდა ჯერ ნიგეზიანის სასკოლო კედლის გაზეთში, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ, გადაბეჭდეს ლანჩხუთის მრავალტირაჟიანი გაზეთში. 1936 წლიდან ჩემი ლექსები, ნარკვევები, პუბლიცისტური წერილები და ფელეტონები, ნოველები და მოთხრობები სისტემატურად იბეჭდება პერიოდულ პრესაში, კრებულებსა და ალმანახებში. ჩემი რამდენიმე მოთხრობა გამოქვეყნებულია მოსკოვის („რაბოტნიცა“, „კოლხოზნიცა“...), კიევის („დნიპრო“) და სხვა ჟურნალებში რუსულ, უკრაინულ და სხვა ენებზე.

ჩემი პირველი წიგნი გამოიცა 1939 წლის მარტში. სულ დღემდე გამოცემულია ჩემი თორმეტი წიგნი, სახელდობრ:

1. „მეთვრამეტე გაზაფხული“, ლექსები, 1939 წ.
2. „მამული გვეძახის“, ლექსები, პოემები და ნოველები, 1943 წ.
3. „ინერებოდა სისხლით“, ამბავი, 1944 წ.
4. „ყედირ დედე“, ამბავი, 1946 წ.
5. „გამარჯვება“, რომანი, 1947 წ.
6. „ნოველები“, 1949 წ.
7. „ლიანას ამხანაგი“, საბავშვო მოთხრობები, 1950 წ.
8. „სარფს გაღმა“, მოთხრობები, 1951 წ.
9. „ორი ნაპირი“, ნოველები, 1953 წ.
10. „მოუსვენარი ადამიანები“, რომანი, 1956 წ.
11. „ბენვის ხიდზე“, რომანი, 1957 წ.
12. „ნაზიბროლა“, რომანი, 1958 წ.

1960 წელს, მკითხველთა მოთხოვნით მეორედ გამოიცა რომანი „მოუსვენარი ადამიანები“.

1936–39 წლებში ვიყავი კომკავშირის რიგებში. პროფკავშირში შევედი 1937 წელს. კომპარტიის წევრად მიმიღეს 1940 წელს. ვარ სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირისა და სსრკ ჟურნალისტთა კავშირის წევრი.

დაჯილდოებული ვარ მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „სსრკ 1941–1945 წ.წ. დიდი სამამულო ომის პერიოდში მამაცური შრომისათვის“.

ოჯახს მოვეციდე 1947 წელს.

კაპიტონ რუსიძე
12.7.60
ქ. ბათუმი

დომენტი ახობაძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ახობაძე დომენტი ივანეს ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | — |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1919 თვე _____ დღე — (ძველი თუ ახალი სტილი) |
| | ს. მთისძირში (ვანის რაიონი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1940 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1953 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | — |

| | |
|---|-----------------|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემაღგენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღგენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>ვარგისი, არა სამწყობრო</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>–</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმეთა სამმართველო ქუთაისში</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ქუთაისი, მაიაკოვსკის 35</p> |

„ — “ _____ 1953 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|---|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1941 | 45 | რაიგაზეთის რედაქტორი ვანის რაიონში | | ვანი |
| 1947 | 52 | მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების მდივანი | | ქუთაისი |
| 1953 | | ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმეთა საოლქო სამმართველოს ცენზორი | | „-“ |
| <p>სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.</p> | | | | |

დომენტი ივანეს-ძე ახოზაძის ავტობიოგრაფია

მე, დომენტი ივანეს-ძე ახოზაძე, დავიბადე 1919 წელს, საქართველოს სსრ, ვანის რაიონის სოფელ მთის ძირში, გლეხის ოჯახში. მამა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი, გარდაიცვალა 1941 წელს. დედა კოლმეურნე-მეოჯახეა.

1937-38 სასწავლო წელს დავამთავრე საშუალო სკოლა. 1941 წლიდან 1945 წლამდე ვმუშაობდი ვანის რაიონული გაზეთის რედაქციის პასუხისმგებელ მდივნად.

1944 წელს ვსწავლობდი და დავამთავრე საქართველოს კ.პ. ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული სკოლა.

1947 წლიდან 1953 წლის ნოემბრამდე ვმუშაობდი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ქუთაისის განყოფილებაში. 1953 წლის ნოემბრიდან დღემდე ვმუშაობ ქუთაისის ოლქლიტში.

ლექსების ბეჭდვა დავიწყე 1940 წლიდან.

ვარ დაჯილდოვებული მედლით „შრომითი მამაცობისათვის“.

ვარ სკკპ წევრი 1941 წლიდან.

ვარ მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

ვარ საქლიტფონდის წევრი.

ჩემი ლიტერატურული ნაწარმოებების სია:

1. „კოსტია კრავჩუკი“, პოემა.
 2. „სინიდისი“.
 3. „გამხმარი ლეღვის ხე“.
 4. „ლირიკული მასალები“.
 5. „ბარათი სოფლიდან“.
 6. „ჩონგური“.
 7. „შენი ვარ“.
 8. „ორი დედა“.
 9. „საკოლმეურნეო ბაზარი“.
 10. „ნასერელა“.
 11. „მადლობელი ვარ“ და სხვ.
- სულ დაბეჭდილი მაქვს 100 ლექსი.

1953 წ.

სწორია: 1956 წ.

ვადასტურებ სამდ. გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

პეტრე გრუზინსკი

ავტობიოგრაფია

მე, პეტრე პეტრეს ძე გრუზინსკი, დავიბადე 1920 წლის 28 მარტს, ქალაქ თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. 1927 წელს შევედი მე-3 საცდელ საჩვენებელ სკოლაში (ამჟამად ი. ჭავჭავაძის სახელობის) და საბოლოოდ დავამთავრე მე-4 რკინიგზის საშუალო სკოლა 1937 წელს. იმავე წელს შევედი სახ. უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1941 წელს, მაგრამ დიპლომი არ დამიცავს.

სხვადასხვა დროს ვმუშაობდი სახ. უნივერსიტეტში თვითმოქმედი თეატრის, ხაშურის თეატრის რეჟისორად და მარჯანიშვილის თეატრის რეჟისორის ასისტენტად. 1939 წლიდან ვენევი ლიტერატურულ მუშაობას. 1979 წელს მინიჭებული მაქვს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

იოსებ ნონეშვილი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ნონეშვილი იოსებ ელიოზის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1920 თვე აპრილის დღე 19 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. კარდანახი (გურჯაანის რაიონი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1938 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1942 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, თბილისის სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული, რიგითი</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>სსმკ პრეზიდიუმისა და გამგეობის წევრი, პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედელები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>საბავშვო ჟურნალ „დილას“ რედაქტორი</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>გოგებაშვილის 43</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1941 | 43 | ლიტმუშაკი | გაზ. „კომუნისტი“ | |
| 9143 | 46 | რედ. მდივანი | ა/კ ფრონტის გა- ზეთ „ლენინის დროშით“ | |
| 1946 | | რედ. მოადგილე | ჟურნ. „ნიანგი“-ს რედაქცია | |
| | | ამჟამადაც მუშაობს | ჟურნ. „დილას“ | რედაქტორად |
| | | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს | გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | |

იოსებ ელიოზის-ძე ნონეშვილის ავტობიოგრაფია

მე დავიბადე 1920 წელს, აპრილის თვეში, გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახში.

მამა ჩემი, ელიოზ ილიას-ძე ნონეშვილი, იყო ძველი ბოლშევიკი. მენშევიკური მთავრობა მას დევნიდა და იყო დაპატიმრებული რევოლუციური მუშაობისათვის. იგი განთავისუფლებულ იქნა მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წელს და მაშინვე იქნა არჩეული სოფელ კარდანახის რევკომის თავმჯდომარედ, სადაც იგი მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე. გარდაიცვალა 1922 წელს.

დედა, მანანა თევდორეს ასული ხელაშვილი, იყო აგრეთვე ბოლშევიკური პარტიის წევრი, მუშაობდა კოლმეურნეობაში. იგი გარდაიცვალა 1936 წელს.

1934 წლამდე ვსწავლობდი სოფელ კარდანახში არა სრულ საშუალო სკოლაში, საიდანაც შემდეგ გადმოვედი თბილისში და დავამთავრე საშუალო სკოლა, ხოლო 1942 წელს დავამთავრე თბილისის სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი.

1942 წლიდან 1943 წლის იანვრამდე ვმუშაობდი გაზეთ „კომუნისტში“ ლიტ-მუშაკად, შემდეგ განვეული ვიქენი საბჭოთა არმიაში.

1943 წლიდან 1944 წლამდე ვიყავი სასროლო დივიზიის გაზეთის თანამშრომელი, ხოლო 1944 წლიდან 1946 წლამდე პასუხისმგებელი მდივანი ამიერ კავკასიის ფრონტის გაზეთისა „ბოეც-ერკაკა“-ს რედაქციისა.

1946 წელს დემობილიზებულ ვიქენი წითელ არმიიდან.

1947 წლიდან 1950 წლამდე ვიყავი ჟურნალ „ნიანგის“ მთავარ რედაქტორის მოადგილეთ.

1950 წლიდან ვმუშაობდი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პოეტების სექციის თავმჯდომარედ.

ჩემი პირველი ლექსი გამოქვეყნდა 1938 წელს ჟურნალ „ჩვენ თაობაში“, ორი წლის შემდეგ კი საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ჩემი ლექსების პირველი კრებული. ხოლო შემდეგ თანმიმდევრობით გამოცემულ იქნა ქართულ ენაზე ჩემი ლექსების ექვსი კრებული.

1947 წელს მონაწილეობას ვიღებდი ახალგაზრდა მწერლების საკავშირო თათბირზე. იმ დროს პოეტებმა – ლუკინინმა, ნედაგონოვმა, გუდძინსკიმ და მეფიროვმა – პირველად სთარგმნეს ჩემი ლექსები და გამოცემულ იქნა 1947 წელს რუსულ ენაზე გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ მიერ.

1948 წელს ჩემი ლექსების კრებული რუსულ ენაზე გამოსცა მოსკოვში „ახალგაზრდა გვარდიას“ გამომცემლობამ. ლექსების თარგმანი ეკუთვნით პოეტებს ნ. ტიხონოვს, ანტოკოლსკის, ზაბოლოცკის, ლუკინინსა და სხვებს.

1951 წელს დავწერე ლექსთა ციკლი „სიტყვა თბილისზე“, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა გაზ. „კომუნისტი“-ში და გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ში მეფიროვის თარგმანით.

იმავე 1951 წელს დავწერე და გამოვაქვეყნე პოემა „ამბავი ერთი ქალიშვილისა“ (ყირიმის არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაციის მონაწილის ზოია რუხაძის შესახებ).

კომკავშირის რიგებში შევედი 1934 წელს, ხოლო კომუნისტური პარტიის წევრი ვარ 1945 წლიდან.

1946 წელს არჩეული ვიყავი ქალაქის კომკავშირის კომიტეტის წევრად.

1948 წლიდან ვიყავი წევრი კომკავშირის საქართველოს ცენტრალური კომიტეტისა.

1950 წელს არჩეული ვიქენი კომკავშირის საკავშირო მე-11 ყრილობის დელეგატად.

1950 წლიდან არჩეული ვიყავი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პირველადი პარტორგანიზაციის მდივნად;

1951 წლის ნოემბერში არჩეული ვიქენი პარტიის თბილისის კომიტეტის წევრად. ამჟამად არჩეული ვარ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის წევრად, პირველადი პარტორგანიზაციის მდივნად.

ი. ნონეშვილის ნაწარმოებთა სია:

1. ლექსების კრებული, 1940 წ.
2. ლექსების კრებული, 1944 წ.
3. ლექსების კრებული, 1946 წ.
4. ლექსები „სტალინი“, 1947 წ.
6. ლექსების კრებული რუსულად, 1948 წ.
7. „ქარიშხლის შემდეგ“, ლექსები, 1949 წ.
8. ახალი ლექსები, 1950 წ.

მრავალი ცალკეული ლექსები ქართულ, რუსულ და მოძმე ერების ხალხთა ენაზე; მოძმე ერთა პოეტების თარგმანები.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ამირან აბშილავა

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | აბშილავა ამირან ალექსანდრეს ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | არა მაქვს |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1920 თვე მაისის დღე 5 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია, დრამატურგია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართული, რუსული |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1944 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირთან არსებული ახალგაზრდა მწერ. მომუშავე კომისიისა |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | – |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმალღესი, სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1951 წელს; რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო კურსიდან გამოვედი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული, რიგითი 50364</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>არა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>არა</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>თბილისის კინო-სტუდია, ხელოვნების საქმეთა სამმართველო ხელშეკრულებით, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, შტატ გარეშე ლექტორი</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>თბილისი, გოგოლის 62 ტელ. 3-00-20, დამ. 34-36</p> |

„ — “ _____ 195 წ. წ. კლ., 1956 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ამირან ალექსანდრეს-ძე აბშილავას ავტობიოგრაფია

მე, ამირან ალექსანდრეს-ძე აბშილავა, დავიბადე 1920 წელს, 5 მაისს ქ. ცხაკაიაში. 4 წლის ასაკში დამელუპა მამა, რის შემდეგ დედა წამოვიდა თბილისში და მუშაობდა დღემდე ბუხჰალტრად.

საშუალო სკოლაში სწავლასთან ერთად 12 წლის ასაკიდან დავიწყე მუშაობა. ვმუშაობდი კინო-თეატრში მხატვარ-რეკლამიორად, თეატრში მოკარნახედ, წიგნის მაღაზიაში გამყიდველად და სხვ. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შევდივარ უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე და თეატრალურ ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე. სწავლის პერიოდში ვმუშაობდი რუსთაველის სახელობის თეატრში რეჟისორის თანაშემწედ, მიასნიკოვის სახ. კლუბში რეჟისორად.

1942 წელს ვამთავრებ უნივერსიტეტს (სახელმწიფო გამოცდების ჩაუბარებლად). ამავე წელს იხსნება სარეჟისორო ფაკულტეტის ჩვენი კურსი, ვღებულობ რეჟისორის ნოდებას, რის შემდეგ ვმუშაობ ცხაკაიას თეატრში რეჟისორად, ცხაკაიას კულტურის სახლის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად, ხობის თეატრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად, შემდეგ რუსთაველის სახ. თეატრში რეჟისორ-ასისტენტად, თბილისის ცენტრ. კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელად.

1951 ვაბარებ სახელმწიფო გამოცდებს უნივერსიტეტში.

ლიტერატურულ მუშაობას ვენევი 1944 წლიდან და ვიბეჭდები ქართულ და რუსულ პერიოდულ პრესაში. 1952 წელს გამოიცა ჩემი ლექსების კრებული „სიმღერა მშობლიურ ქალაქზე“.

1951-52-53 წლებში რესპუბლიკის სხვადასხვა თეატრებში დაიდგა ჩემი პიესები: „ჩვენთან მთებში“ (დრამა 4 მოქმედებად), „ვაზისუბნელი ძმაკაცები“ (კომედია 4 მოქმედებად). დავწერე საოპერო ლიბრეტო „თბილისის ვარსკვლავები“, რომელზედაც კომპოზიტორი ა. კერესელიძე მუშაობს ამჟამად. კინოსტუდიის დაკვეთით, ვმუშაობ სცენარზე სრულმეტრაჟიან მხატვრული ფილმისათვის და ახალ პიესაზე.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

აღიქსი ჯონუა

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ჯონუა აღიქსი ნესტორის ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1920 თვე მაისის დღე 7 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. ჩლოუ (ოჩამჩირის რაიონი) |
| 4. ეროვნება | აფხაზი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია |
| 8. რა ენაზე წერს | აფხაზურ ენაზე |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1938 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1944 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | სუხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | აფხაზური, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | სუხუმში, 1941 წლიდან 45 წლამდე |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემაღგენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღგენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>დეპუტატი სუხუმის ქალაქის საბჭოსი</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედლები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>—</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ზაბესლედსკის ქ. 20</p> |

„ — “ _____ 1952 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1939 | 40 | სტუდენტი | სუხუმის სახ. პედ. ინსტიტუტისა | სუხუმი |
| 1940 | 44 | ტანკისტი | საბჭოთა არმია | „-“ |
| 1944 | 47 | სტუდენტი | პედ. ინსტიტუტი | „-“ |
| 1947 | | პედაგოგი | სუხ. სახ. პედაგ. სასწავლებელი | |
| 1947 | | ლიტკონსულტან- ტი | საქ. საბჭოთა მწე- რლების კავშირის აფხაზეთის განყო- ფილება | |
| | 1952 წ. | | | |
| | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. | | | |
| | ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | | |

ალექსი ნესტორის-ძე ჯონუას ავტობიოგრაფია

დავიბადე 1920 წლის 7 მაისს, სოფელ ჩლოუში (ოჩამჩირის რაიონი, აფხაზეთის ასსრ), ღარიბი გლეხის ოჯახში. ჩლოუს დამწყებ. სკოლის დამთავრების შემდეგ, 1932 წელს, შევედი და 1939 წელს დავამთავრე სუხუმის აფხაზური სკოლა. იმავე წელს შევედი სუხუმის პედინსტიტუტში ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. 1940 წელს გამიწვიეს საბჭოთა არმიაში. სამამულო ომის დღეებში ვიბრძოდი ფაშისტების წინააღმდეგ. რამდენიმეჯერ ვიყავი დაჭრილი, მოვხვდი ტყვედ, საიდანაც გამოვიქეცი და შემდეგ ვიბრძოდი უკრაინაში პარტიზანულ რაზმში. ეს პარტიზანული რაზმი შედიოდა სტალინის სახელობის უკრაინის მეორე პარტიზანულ ბრიგადაში. დემობილიზაციის შემდეგ განვაგრძე სწავლა და დავამთავრე სუხუმის ინსტიტუტი 1947 წელს. 1947 წლიდან ვენევი პედაგოგიურ მუშაობას სუხუმის პედაგოგიურ სასწავლებელში. ამავე დროს ვარ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აფხაზეთის განყოფილების ლიტკონსულტანტი.

სამწერლო მოღვაწეობა დავიწყე 1938 წელს. ამ დროიდან ჩემი ლექსები, მოთხრობები და ნარკვევები იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში, კრებულებში და ალმანახებში.

1949 წელს გამოვიდა ჩემი ლექსების პირველი კრებული „დილის სხივები“.

1938 წლიდან 1951 წლამდე ჩემს მიერ დაბეჭდილია 120 ლექსი, 4 მოთხრობა და ხუთი ნარკვევი.

სკკპ რიგებში შევედი 1947 წელს.

ამჟამად მე ვამზადებ ლექსების კრებულს „ბედნიერი თაობა“, რომელშიც შევა ლექსები ბავშვებზე. კომუნიზმის დიად მშენებლობებზე, საბჭოთა აფხაზეთზე და მის მოწინავე ადამიანებზე.

ა. ნ. ჯონუას ნაწარმოებების სია:

1. „აფხაზეთის პოეტები“ რვა ლექსი, 1941 წ. რუს. ენაზე.
2. კრებულში „აფხაზური პოეზია“ შვიდი ლექსი, 1941 წ. (ქართულ ენაზე).
3. კრებულში „აფხაზეთის პოეტები“, 18 ლექსი, 1948 წ.
4. „დილის სხივები“, ლექსების კრებული, 1948 წ.
5. აფხაზური ლიტერატურის ქრესტომატია მეათე კლასისათვის, 1951 წ.
6. ალმანახში ათი ლექსი, 1950-51 წ.
7. „მომავლისათვის“, მოთხრობა, 1951 წ.

1952 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

შოთა აკობია

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | აკობია შოთა სოფრომის ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1920 თვე მაისი დღე 18 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. ჩალეში (ზუგდიდის მაზრა) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1945 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1952 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | დამთავრებული მაქვს თბილისის სამხატვრო აკადემია და 3 კურსი თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--------------------------------------|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემაღგენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღგენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>–</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>სოხუმი</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>სოხუმი, წერეთლის 32</p> |

„ — “ _____ 1952 წ. სწორია: ნ. კლ.

ხელმოწერა _ნ. თოფჩიშვილი.

შოთა სოფრომის-ძე აკობიას ავტობიოგრაფია

დავიბადე 1920 წელს, 18 მაისს (ძვ. სტილით), სოფ. ჩალეში (ზუგდიდის მაზრა, ამჟამად წალენჯიხის რაიონი, ქუთაისის ოლქი). ჩემი მშობლები არიან გლეხები, კოლმეურნეობის წევრნი.

პირველ დაწყებითი სწავლა სოფლად მივიღე. 1937 წელს დავამთავრე წალენჯიხის პედაგოგიური ტექნიკუმი. ბავშვობისას მიტაცებდა მხატვრობა და პედაგოგიურ ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ შევედი თბილისის სამხატვრო აკადემიაში სკულპტურის ფაკულტეტზე. ერთსა და იმავე დროს ვსწავლობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე.

სამხატვრო აკადემიისა დავამთავრე 4 კურსი და ლიტერატურული ფაკულტეტის 3 კურსი.

1942 წელს ავადმყოფობის გამო თავი დავანებე სწავლას და ვიყავი მშობლიურ სოფელში. 1943 წელს მუშაობა დავიწყე წალენჯიხის რაიონულ გაზეთ „სტალინელში“ ლიტმუშაკად. ამავე დროს ვმუშაობდი მხატვრად, ვაკეთებდი დაწესებულებებისა და წარმოებების დაკვეთით სხვადასხვა სამუშაოებს. ვხატავდი პორტრეტებს გამოფენისათვის და დეკორაციებისათვის.

1945 წელს მიღებული ვიქენი სკკპ წევრობის კანდიდატად, ამავე წლიდან ვმუშაობდი რაიონულ გაზეთ „სტალინელის“ მდივნად ივნისიდან ნოემბრამდე კი ადგილობრივ რადიოგადაცემის რედაქტორად. 1945 წლის ნოემბრიდან 49 წლის სექტემბრამდე ვმუშაობდი მდივნის მოადგილედ წალენჯიხის რაიონულ კომიტეტისა.

ამჟამად ვმუშაობ გაზეთ „საბჭოთა აფხაზიას“ რედაქციაში.

ჩემი ნაწარმოებები იბეჭდება რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში 1951 წ. გამოვიდა ჩემი ლექსების პირველი წიგნი „სამშობლოს დილა“. ლექსების ციკლი „ჩემი სოფელი“, პოემა „თქმულება მწყემსზე“ და სხვა.

1952 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ოთარ ჩხეიძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--------------------------------|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ჩხეიძე ოთარ რევაზის ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | არა მაქვს |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1920 თვე ნოემბრის დღე 28 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) გორი |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პროზა, კრიტიკა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1940 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1947 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | ალკპ – წევრი |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | იხ. მუხ. 15 |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ინგლისური, რუსული, ქართული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სათადარიგო II ხარ. რიგითი ჯარისკაცი</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>მწერლობა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>არაფერი</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>ლექტორი ინსტიტუტისა</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>საბჭოს ქ. 365</p> |

„ — „ ————— 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|---|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1948 | 49 | კათედრის გამგე | უცხო ენათა ინსტიტუტისა | ბათუმში |
| 1949 | | ლექტორი | გორის პედ. ინსტიტუტისა | თბილისი |
| 1950 | 51 | პ/მგ მდივანი | საქ. საბჭოთა მწერლების კავშირისა | |
| ამჟამად მუშაობს ლექტორად გორის ინსტიტუტში | | | | |
| სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | | | |

ოთარ რევაზის-ძე ჩხეიძის ავტობიოგრაფია

მე, ჩხეიძე ოთარ როსტომის-ძე (რევაზის-ძე), დავიბადე 1920 წელს, 28 ნოემბერს ქალ. გორის მახლობლად სოფ. ყელქცეულში. პირველდაწყებითი განათლება მივიღე სოფლად. საშუალო სკოლა დავამთავრე 1938 წ. ქალ. თბილისში. ამავე წელს შევედი სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე (უცხო ენების განხრით), რომელიც დავამთავრე 1942 წ.

ამის შემდეგ ერთხანს ვცხოვრობდი და ვმასწავლებლობდი სოფლად ქ. გორის რაიონში.

1945 წ. შევედი სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში, სადაც ვირიცხებოდი დამთავრებამდე და დავიცავი დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატისა 1949 წ.

1949 წელს ვიყავი ბათუმის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტის უცხო ენათა კათედრის გამგე. აგრეთვე ვკითხულობდი ლექციებს გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის ინსტიტუტში.

1950 წლის თებერვლიდან 1951 წლის თებერვლამდე ვმუშაობდი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პ/მგ. მდივნად.

1938 წლიდან 47 წლამდე ვიყავი ალკკ წევრი, ხოლო 1947 წელს აგვისტოს თვემდე ვიყავი კპ-ს კანდიდატი, აგვისტოს 1948 წლიდან ვარ კპ-ს წევრი.

ლიტერატურულ სარბიელზე გამოვედი 1940 წელს. სადებიუტო ნაწარმოები გამოვაქვეყნე ჟურნ. „ჩვენ თაობაში“ აღნიშნული წლის მე-10 ნომერში, რის შემდეგ პერიოდულად ვთანამშრომლობ ჟურნ. „მნათობში“, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, საბავშვო ჟურნალებში („პიონერი“, „ოქტომბრელი“) და სატირა-იუმორისტულ ჟურნ. „ნიანგში“. დღემდე გამოქვეყნებული მაქვს 40-მდე მოთხრობა, ნოველა და ეტიუდი.

პირველი ჩემი ნაწარმოები გამოქვეყნდა 1940 წელს „ჩვენ თაობაში“.

დღემდე გამოქვეყნებულია ჩემი შემდეგი ნაწარმოებები:

1. მოთხრობები: „შეხვედრა“.
2. „–“ „ვერუშიო“.
3. „–“ „გამქრალი ნათელი“.
4. კრებული „ხელეული“.
5. „–“ „ურწყავი“.
6. „–“ „ტინის ხიდი“.
7. ჩემი პირველი წიგნი კრიტიკული წერილებისა და სხვა.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ელიზბარ მაისურაძე

ავტობიოგრაფია

დავიბადე 1920 წელს, კასპის რაიონის სოფ. სასირეთში, რკინიგზელის ოჯახში. სასირეთის ოთხკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განვაგრძე თბილისის რკინიგზის მე-6-ე საშუალო სკოლაში. 1940 წელს შევედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. 1941–1945 წლებში ვიმყოფებოდი დიდ სამამულო ომში. ბრძოლებში მონაწილეობა მივიღე ქერჩში და სევასტოპოლში. დაჭრილი ვარ სამჯერ. საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული ვარ სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით და მედლებით.

სამწერლო ასპარეზზე ომის დამთავრების შემდეგ გამოვედი. ჩემი პირველი მოთხრობა „სევასტოპოლის დღეები“ გაგრძელებებით დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“.

მას შემდეგ კალამი არ გამიგდია ხელიდან. ჩემი მოთხრობები, წერილები, რეცენზიები სისტემატურად იბეჭდება ჩვენს პერიოდულ პრესაში. დღემდე გამოცემული მაქვს 15 წიგნი. ესენია: „სევასტოპოლის დღეები“, „გარდაბნელი მაყრები“, „ქართლის საღამოები“, „ორი შეხვედრა“, „სიყვარული იმარჯვებს“, „ისევ შეხვედრებით“, რომანის „დაკარგული ოცნებების“ პირველი და მეორე წიგნი და სხვ.

1965 წელს მოსკოვში გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელმა“ რუსულ ენაზე გამოსცა ჩემი მოთხრობების კრებული. ჩემი ნაწარმოებები იბეჭდება, აგრეთვე, მოძმე რესპუბლიკების ხალხთა ენებზე.

ამავე დროს აქტიურად ვმუშაობ მხატვრული ნარკვევის ორბიტაზე. ვწერ ნარკვევებს ჩვენი ცხოვრების აქტუალურ პრობლემებზე, ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ადამიანებზე, მათ გმირულ შრომასა და ცხოვრებაზე. ამ მიმართულებით გამოქვეყნებული მაქვს მთელი რიგი ნარკვევები ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე: „კომუნისტში“, „ზარია ვოსტოკაში“, „ლიტერატურულ საქართველოში“, ჟურნალ „მნათობში“ და სხვ.

1961 წელს შევედი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში, 1951 წლიდან ვარ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. 1954 წლიდან დღემდე ვმუშაობ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ რედაქციაში განყოფილების გამგედ.

ელიზბარ ლუკას ძე მაისურაძე
22.1.1971 წელი

ვახტანგ გორგანელი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|-----------------------------------|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | გორგანელი ვახტანგ პეტრეს ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1921 თვე თებერვალი დღე 25 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) თბილისი |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1944 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1945 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | ალკკ წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმადლესი, დაუმთავრებელი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული, ქართული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | 1940 წლიდან 43 წლამდე რიგით ჯარისკაცად |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | ვმსახურობდი რიგით ჯარისკაცად, მონაწილეობას ვიღებდი ბრძოლებში, დავიჭერი და ვიქენი დემობილიზებული |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---------------------------------|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>მობსნილი ვარ აღრიცხვიდან</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>–</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>–</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღნიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>მწერლობა</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>საბჭოს ქ. 227</p> |

„ — “ _____ 1952 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1940 | 43 | წ/არმიელი | საბჭოთა არმიაში | თბილისი |
| 1948 | 51 | ლიტმუშაკი | გაზ. ლიტერატურა და ხელოვნებას“ რედაქცია | |
| | | ვარ აგრეთვე სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა ლიტ- წრის ხელმძღვანელი | | |
| | | 1952 წ. | | |
| | | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. | | |
| | | ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

ავტობიოგრაფია

დავიბადე 1921 წლის 25 თებერვალს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ დღეს. ჩემამდის დედას ექვსი შვილი ჰყოლია, მაგრამ არცერთი არ შერჩენია. მეშვიდე მე მოვევლინე ამ ქვეყანას. როცა გავჩნდი, ისიც ბიჭი, მამა სიხარულისაგან გარედ გავარდნილა, სამჯერ უსვრია თოფი, მერე სახლში შეჭრილა, თოთო ბავშვი ავუყვანივარ ხელში და 25 თებერვლის დილას დაფნის ტოტივით წინ შემაგება თურმე: ეს გამარჯვება შენი სიცოცხლის თავდები იყოსო, შვილო!

ჩემი წინაპრები მესხეთიდან არიან წამოსული, გვარად ბერძენიშვილები ყოფილან, სოფელ გორგანიდან, ჩემი გვარი გორგანელიც იმ სოფლის სახელიდან მოდის. პაპის პაპას ავზე ავი ბატონი ჰყოლია, ხალხს საშინლად ავინროებდა, აბუჩად იგდებდა. ბოლოს გამწყდარა მოთმინების ძაფი, პაპის პაპას ბატონი მოუკლავს, თვითონ ოჯახიანად აყრილა და კახეთს შეჰხიზვნია. იმის გამო რომ ოჯახი ხელშეუხებელი ყოფილიყო თეთრი გიორგის ეკლესიის ყმა გამხდარა მთელი ოჯახი. პაპის პაპას გული ისევ მესხეთისკენ მიუწევდა, ერთხელ გადაუწყვეტია კიდეც უკან დაბრუნება, როგორც კი წასასვლელად გამზადებულა, ამბავი მოსვლია: სოფელი გორგანი თურქებმა მიწის პირისაგან აღგავესო. ოჯახის წაყვანაზე ხელი აუღია, მაგრამ თვითონ მაინც წასულა შურისსაძიებლად. წასულა და აღარც გამოჩენილა. დროთა მანძილზე ოჯახი თიანეთის მაზრაში გადასულა. მამაჩემ პეტრეს ხევსურთსოფელში მცხოვრებ გიორგი ჯამაგაძის ქალიშვილი სოფიო შეურთავს ცოლად, თბილისში გადმოსულა საცხოვრებლად, „ნახალოვკაში“ (ახლანდელ ლენინის რაიონში) დასახლებულა. მამას მუშაობა დაუწყვია ჯერ რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში, მერე კი ქუჩის ფარნების ამნთების მოვალეობას ასრულებდა.

მიდიოდნენ დღეები... ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმრები, ახლობლები და მეზობლები მუშები იყვნენ. მათ ოჯახებს ეკონომიურად შეიძლება ბევრი რამ აკლდათ, მაგრამ გულის სითბო, პატიოსნება, ერთგულება, გამტანია-ნობა და სიმართლე ყოველთვის გულუხვად ჰქონდათ, ჰქონდათ და მეც მათ შორის ვტრიალებდი, ვიზრდებოდი... დადგა სკოლაში შესვლის დრო, ერთხანს რკინიგზის მეექვსე (ახლა 112 სკ.) სკოლაში ვსწავლობდი, მერე 31-ე (ახლა 10 სკ.) სკოლაში გადავედი. პარალელურად ჩაბმული ვიყავი თბილისის ჯაფარიძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ლიტერატურულ წრეში, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ: მურმან ლებანიძე, ოთარ ჭელიძე, თეიმურაზ ჯანგულაშვილი, რევაზ ჯაფარიძე, შალვა ფორჩხიძე, ვაჟიკა ფხოველი, ვახტანგ ჯაჭვაძე, შალვა მჭედლიშვილი, ავთანდილ შიშინაშვილი და სხვები. სამწუხაროდ, ვაჟიკა ფხოველი და ვახტანგ ჯაჭვაძე ფრონტზე დაიღუპენ, ავთანდილ შიშინაშვილი თბილისში გარდაიცვალა. მათი სახით საიმედო ძალა მოაკლდა ჩვენს პოეზიას, დანარჩენი ზემოთ ჩამოთვლილი ამხანაგები დღეს აქტიურად მოქმედებენ ლიტერატურის სარბიელზე.

1940 წელს დავამთავრე საშუალო სკოლა და ამავე წელსვე გამინვიეს არმიაში. 1942 წლის გაზაფხულამდე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ვმსახურობდი ჯარში, მერე დასავლეთის ფრონტზე გადმომიყვანეს. ამ

დროს ციმბირში იქმნებოდა სპეციალური არმია ზამთრის შეტევებისათვის, დიდი ქალაქების დასაცავად. მეც ამ არმიაში მოვხვდი. ცოტახანს მოსკოვის მისადგომებთან ვიდექით, მერე სტალინგრადის დასაცავად წავედით. ფრონტზე მზვერავი ვიყავი. ბევრზე ბევრი რამ განვიცადე ფრონტზე. იქ ნახული და განცდილი საგზლად მეყოფა მთელ სიცოცხლეში. ერთი შეტევის დროს მძიმედ დამჭრეს, ჯერ ქ. ენგელსის ჰოსპიტალში ვინექი, მერე ციმბირში, ორსკუი ვმკურნალობდი. 1943 წლის გაზაფხულზე თბილისში დავბრუნდი და ამავე წელსვე შევედი უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ლექსების წერა ბავშვობაში დავინწყე, ფრონტმა პოეზიისადმი სიყვარული უფრო გამიღრმავა, იქ, ფრონტზე, იმ ტყვიების ზუზუნში და ჭურვების გრიალშიც ვპოულობდი დროს და ნახულ-განცდილი გადამქონდა ლექსის სტრიქონებში, ეს ფრონტული ლექსები ჩამოვიტანე თბილისში. დაიწყო ლიტერატურული ცხოვრება, ომი იყო და მთავარი თემაც მტერზე გამარჯვების თემა იყო. 1944 წლიდან იწყება ჩემი ლექსების ბეჭდვა რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში.

ჯერ კიდევ ომის დროს, 1945 წელს, მიმიღეს მწერალთა კავშირის წევრად. 1946 წელს, ჩემი ბავშვობის მეგობარ პოეტებთან (მ. ლებანიძე, ო. ჭელიძე, თ. ჯანგულაშვილი) ერთად გამოდის ლექსების პირველი კრებული „სალამურები“. ამის შემდეგ ისტამბულა ჩემი დამოუკიდებელი ნიგნები: „სიცოცხლის ტალღები“, „გზა მთებში“, „მალხაზები“, „მთელი გულით“, „დედის იმედი“, „ნოდარის ოცნება“, „დედოფლის მინდორზე“, „ზამთარი, ზაფხული და გივი“, „ცეცხლი და ყვავილი“, „მთები და ვარკვლავები“... თ. ჯანგულაშვილთან ერთად ვთარგმნე და ცალკე ნიგნად გამოვიდა თათარი პოეტის მუსა ჯალილის „მოაბიტის რვეული“, სხვადასხვა დროს გამოდის კრებულები, რომელშიაც მეც ვმონაწილეობ.

1947 წლიდან 1951 წლამდე ვმუშაობდი გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ ლიტ-მუშაკად, ამავე დროს ვიყავი მწერალთა კავშირის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, 1962 წლიდან 1965 წლამდე მწერალთა კავშირის ქვიშხეთის შემოქმედებითი სახლის დირექტორად ვიყავი, 1948 წლიდან ვხელმძღვანელობდი თბილისის ორთქმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პლენარის სახ. კულტსახლის ლიტერატურულ წრეს. 1958 წელს შევედი კომუნისტური პარტიის რიგებში. დაჯილდოებული ვარ სხვადასხვა მედლებით, დიპლომებით, სიგელებით...

პოეზიის გარდა, მინდა, პროზაშიაც ვსინჯო თავი, ჯერჯერობით ნარკვევების მიჯნას ვერ გავცდი, ალბათ, დავწერ კარგ პროზას. დრამატურგიაში გავბედე, შოთა რუსთაველზე დავწერე პიესა „დევნილი გენიოსი“, თუმცა პიესას დღის სინათლე არ უნახავს, მაგრამ მჯერა, რომ არ არის ცუდი, თუ არა და იმედი მაქვს, უფრო კარგს დავწერ. ერთი სიტყვით, მთელი ჩემი ცხოვრება შემოქმედებას დაუკავშირდა და ღმერთმაც ნუ გამყაროს მასთან. მინდა, ჩემს სამშობლოს, ჩემს ხალხს, ჩემი პატარა შემოქმედებით დავუმტკიცო დიდი სიყვარული და თავდადება, ერთგულება და პატიოსნება. ამ კეთილშობილ საქმეში სიმხნევეს მმატებენ ჩემი ერთი ცოლი და ორი ვაჟიშვილი – ნოდარი და სოსო, ღმერთმა მიცოცხლოს მათი თავი.

*ვახტანგ პეტრეს-ძე გორგანელი
1970 წ., 8 ნოემბერი*

ივანე თარბა

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | თარბა ივანე კონსტენტინეს ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1921 თვე მარტის დღე 21 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. ბესლახუბა (ოჩამჩირის რაიონი) |
| 4. ეროვნება | აფხაზი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია |
| 8. რა ენაზე წერს | აფხაზურ ენაზე |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1936 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1943 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|-------------------------------|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | სუხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | აფხაზური, ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|--|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემაღენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღ-გენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღ-გენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>მობსნილი ვარ აღრიცხვიდან</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, რო-დის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>არა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედა-ლი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედლები: „კავკასიის დაცვისათ-ვის“, „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ლენინის 25</p> |

„ — “ _____ 1952 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღ- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1937 | 41 | პ/მგ. მდივანი | გაზ. „ბოლშევიკ- კური გზა“ | ოჩამჩირე |
| 1941 | 43 | აგიტპროპაგან- დის განყოფი- ლების გამგე | გაზ. „აფსნი კაპში“ | სუხუმი |
| 1943 | 46 | ინსტრუქტორი | კომპარტიის აფ- ხაზეთის საოლქო კომიტეტი | „-“ |
| 1946 | 48 | მსმენელი | რესპუბლიკური ორწლიანი პარ- ტიული სკოლა | თბილისი |
| 1949 | | პ/მგ. მდივანი | საქ. მწერალთა კავშირის აფხა- ზეთის განყოფი- ლება | სუხუმი |
| | | 1952 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

ივანე კონსტანტინეს-ძე თარბას ავტობიოგრაფია

დავიბადე 1921 წლის 21 მარტს, სოფ. ბესლახუბაში (ოჩამჩირის რაიონი, აფხაზეთს ასსრ), ღარიბი გლეხის ოჯახში. ორი წლის განმავლობაში ვსწავლობდი მშობლიური სოფლის დანყებით სკოლაში, ხოლო 1933 წელს შევედი ქალ. ოჩამჩირის საშუალო სკოლაში. ამავე დროს ვმუშაობდი რაინული გაზეთის „ბოლშევიკური გზის“ რედაქციაში. 1941 წელს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა დამამატკიცა საოლქო გაზეთ „აპსნი კაპის“ პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ, სადაც ვმუშაობდი 1943 წლამდე.

1943 წლიდან ვმუშაობდი კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორად. 1944 წელს შევედი სუხუმის პედიინსტიტუტში ექსტერნატზე რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. 1946 წელს გაგზავნილ ვიქენი ორწლიან რესპუბლიკურ პარტიულ სკოლაში. 1948 წელს დავამთავრე სუხუმის პედიინსტიტუტი და პარტიული სკოლაც.

1948 წელს არჩეული ვიქენი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აფხაზეთის განყოფილების პ/მგ. მდივნად, სკკპ წევრი ვარ 1941 წლიდან.

ჩემი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1936 წელს რაიონულ გაზეთ „ბოლშევიკურ გზაში“. აქტიური ლიტერატურული მოღვაწეობა კი დავიწყე 1941 წლიდან.

ვარ პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და კომკავშირის საოლქო კომიტეტის წევრი.

ი. ვ. თარბას ნაწარმოებების სია:

1. თხუთმეტი ლექსი სხვადასხვა თემაზე, 1937–41 წლები, გაზეთი „ბოლშევიკური გზა“, ქალ. ოჩამჩირე. 2. ორი ლექსი, 1939 წ. „ლიტერატურული ჟურნალი“, სუხუმი. 3. „მეორე შეხვედრა“, მოთხრობა, 1941 წ., „–“. 4. სამი ლექსი, 1940 წ., „ალმანახი“, სუხუმი. 5. ექვსი ლექსი, კრებული „სამშობლოსათვის“, 1942 წ. 6. სამი ლექსი, კრებული „გამარჯვების სიმღერა“, 1942 წ. 7. ექვსი ლექსი, „–“ „წინ, დასავლეთისაკენ“, 1943 წ. 8. რვა ლექსი, „–“ „აფხაზეთის პოეტები“, 1947 წ. 9. ორი ლექსი, „–“, „–“ (რუსულ ენაზე) სუხუმი. 10. შვიდი ლექსი, „–“ „აფხაზური პოეზია“, რუსულ ენაზე, 1947 წ., თბილისი. 11. ექვსი ლექსი, ალმანახი, 1948 წ., სუხუმი. 12. რვა ლექსი, „–“, 1949 წ., სუხუმი. 13. სამი ლექსი, „–“ „ხალხთა მეგობრობა“, 1949 წ., მოსკოვი. 14. ლექსების კრებული „მთის წყარო“, 1949 წ. 15. ლექსების კრებული, 1952 წ. 16. „ახლის ნიშნები“ და სხვ.

1952

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვდასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

გიორგი ლორთქიფანიძე

ავტობიოგრაფია

მე, გიორგი მიხეილის ძე ლორთქიფანიძე დავიბადე 1921 წელს, 17 ნოემბერს, ქალაქ სოხუმში.

მამა, მიხეილი ნესტორის ძე ლორთქიფანიძე, იყო მოსამსახურე. გარდაიცვალა 1929 წელს სოფელ დიდ ჯიხაიშში.

დედა, სოფიო სამსონის ასული მეძმარიაშვილი იყო მუშა. გარდაიცვალა 1947 წელს ქალაქ ბათუმში.

1940 წელს წარჩინებით დავამთავრე ქალაქ ბათუმის ლენინის სახელობის საშუალო სკოლა და სწავლა განვაგრძე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც ოჯახური პირობების გამო არ დამიმთავრებია.

სამამულო ომის პერიოდში, 1941-1942 წლებში ვმსახურობდი საბჭოთა არმიას. 1947 წლამდე სხვადასხვა დროს ვმუშაობდი საქ. ალკკ ბათუმის საქალაქო კომიტეტის აღრიცხვის სექტორის გამგეთ, ბათუმის სახელოსნო სასწავლებლის პოლიტაღმზრდელად და აჭარის სახელმწიფო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მსახიობად.

1947 წლიდან მუშაობა დავიწყე გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“. 1948 წლიდან ვიყავი გაზეთ „საბჭოთა აჭარისა“ და გაზეთების „საბჭოთა აჭარისა“ და „სოვეტსკაია ადჟარისა“ გაერთიანებული რედაქციების ინფორმაციის განყოფილების გამგე. 1967 წლიდან ვარ გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე.

1953 წელს გავხდი კომუნისტური პარტიის წევრი. 1970 წელს მომენიჭა აჭარის ასსრ დამსახურებული ჟურნალისტის წოდება.

1950–1955 წლებში გამოიცა ჩემი მხატვრული ნარკვევების სამი წიგნი: „ვარდო ბრუნჯაძე“, „ნათელი გზა“ და „სოფლის სიხარული“ – საკოლმეურნეო სოფლის ვეტერანებისა და მონინავეთა ცხოვრებაზე.

1958 წელს გამოვიდა ჩემი პირველი რომანის პირველი წიგნი „უკანასკნელი ცრემლი“, ხოლო 1964 წელს დაისტამბა მეორე წიგნი.

1970 წელს გამოიცა „უკანასკნელი ცრემლის“ გადამუშავებული ვარიანტი, სახელწოდებით „სოფელი ღონიერია“.

გიორგი მიხეილის ძე ლორთქიფანიძე
28 მარტი, 1972 წ.

ელენე დიდიმამიშვილი მოკლე ავტობიოგრაფია

დავიბადე 1921 წელს – ქალაქ ახალციხეში, მოსამსახურის ოჯახში. საშუალო განათლება იქვე მივიღე. 1939 წელს შევედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – ფილოლოგიის ფაკულტეტზე (რუსულ სექტორზე), დამთავრების შემდეგ ვმუშაობდი ქ. ახალციხეში, ადგილობრივი გაზეთის რედაქციის პასუხისმგებელ მდივნად, შემდეგ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორად და სხვა.

1946 წლიდან ვცხოვრობ და ვმუშაობ ქ. თბილისში ვმსახურობ ჯერ ცენტრალური გაზეთების რედაქციებში, შემდეგ რადიოს ხაზით.

1941 წლიდან ვბეჭდავ ლექსებს, ნარკვევებს, ლიტერატურულ წერილებს და სხვ. ვიბეჭდები აგრეთვე ლიტერატურულ აღმანახებში, საერთო კრებულებში (მათ შორის რუსულ ენაზე გამოცემულ კრებულში „საქართველოს ახალგაზრდა პოეტები“, 1951; სომხურ ენაზე გამოცემულ კრებულში „გულის ხმა“ – 1970 წ.) და სხვა.

ვარ მწერალთა კავშირის წევრი. რუსთაველის საიუბილეო წელს ვიყავი საიუბილეო-რაიონული კომისიის მდივანი – მესხეთის ხაზით. ამ საკითხზე, რუსთაველზე დავწერე ლექსების ციკლი, ნარკვევები, ლიტერატურული წერილები, რომლებიც ქვეყნდებოდა რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში. დავწერე აგრეთვე დრამატული კომპოზიცია „შოთა რუსთაველი“, რომელიც იდგმებოდა საქართველოს რაიონებში. ვარ რიგი ლექსების კრებულების ავტორი. ჩემი ლიტერატურული რედაქციით გამოცემულია მრავალი მუსიკალური კრებული. არასრული სიით ჩემს 122 ლექსზე დაწერილია მუსიკა ქართველი კომპოზიტორების: ს. მირიანაშვილის, რ. გაბიჩვაძის, შ. მილორაგას, ბ. კვერნაძის, მ. ჩირინაშვილის, მ. დავითაშვილისა და სხვათა მიერ. ვარ რ. გაბიჩვაძის ოპერა „ნანას“ – ლიბრეტოს ავტორი. 1970 წელს გამომცემლობა „მერანმა“ – გამოსცა ჩემი ახალი ლირიკული ლექსების კრებული „გზები და წლები“. ვარ საზოგადოება „ცოდნას“ წევრი. 1953 წელს დავამთავრე მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი (ორწლიანი), მწერალთა კავშირის ჯგუფთან ერთად.

პრესაში ენერგიული მუშაობისათვის მთავრობისაგან მიღებული მაქვს ჯილდოები: მედალი, სიგელები – უმაღლესი საბჭოდან, მადლობები. აგრეთვე კულტურის სამინისტროდან – საზოგადოებრივი მუშაობისათვის და სხვა.

*ელენე დიდიმამიშვილი
1971 წლის მარტი*

გიორგი სალუქვაძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | სალუქვაძე გიორგი გრიგოლის ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1922 თვე ივნისი დღე 15 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) კობნარი (ჩოხატაურის რაიონი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1938 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1948 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არცერთს |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|-------------------------|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, დაუმთავრებელი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული, ქართული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>სხვადასხვა ორგანიზაციის კედლის გაზეთის რედაქტორი და სხვა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქციაში</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>რუსთაველის 35</p> |

„ ___ “ _____ 1952 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ხელმოწერა ___ნ. თოფჩიშვილი.

სალუქვადე გიორგი გრიგოლის-ძის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1922 წლის 15 ივნისს, ჩოხატაურის რაიონის სოფ. კონნარში, ღარიბი გლეხის ოჯახში. მამა, გრიგოლ გრიგოლის-ძე სალუქვადე, სოფლის მეურნეობას ეწეოდა, ხოლო შემდეგ ქალაქს წავიდა სამუშაოდ.

1930 წელს მამა თბილისის სამხედრო სასწავლებელში შევიდა და ჩვენი ოჯახიც იქ გადავიდა საცხოვრებლად. სწავლა მე თბილისში დავიწყე.

1933 წელს მამამ დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი და იგი ბათუმს გაგზავნეს სამხედრო სამსახურში. სწავლა განვაგრძე ბათუმში მე-9 ქართულ საშუალო სკოლაში, რომელიც 1941 წელს დავამთავრე. 1941 წლის ივნისში მამა, თადარიგის ოფიცერი, მობილიზაციით გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. იმავე წლის აგვისტოში იგი სამამულო ომის ფრონტზე დაიღუპა.

1941 წლიდან 1943 წლამდე ვმუშაობდი ქ. ბათუმის №9 საშუალო სკოლაში უფროს პიონერ-ხელმძღვანელად.

1943 წელს შევედი რუსთაველის სახელობის ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტში ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე და დავამთავრე 1945 წელს.

1934 წლიდან 1945 წლამდე სწავლასთან ერთად ვმუშაობდი ბათუმში გაზ. „საბჭოთა აჭარის“ რედაქციაში, ჯერ კორექტორად, ხოლო შემდეგ მთარგმნელად.

1945 წლიდან 1947 წლამდე ვმუშაობდი აჭარის სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორის მოადგილედ, შეთავსებით ბათუმის სახელმწიფო თეატრში სალიტერატურო ნაწილის გამგედ.

1947 წლის მაისიდან ვმუშაობ გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქციაში კულტურისა და ყოფა-ცხოვრების განყოფილების გამგედ.

კომკავშირის რიგებში შევედი 1938 წელს.

ჩემი ოჯახი შესდგება სამი სულისაგან – მყავს მეუღლე და შვილი.

ახლო ნათესავებიდან პასუხისგებაში მიცემული ან საზღვარგარეთ მყოფი არავინ მყავს.

ჩემი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1938 წელს, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ გამომცემულ ერთდროულ ჟურნალში „სტალინურ თაობაში“.

ჩემი ლექსების პირველი კრებული „ლექსები“ გამოსცა აჭარის სახელმწიფო გამომცემლობამ 1945 წელს, მეორე „დაბრუნებულან“ – 1946 წელს.

ჩემი ნაწარმოებები:

1. „ლექსები“ (ლექსთა კრებული).
2. „დაბრუნებულან“, კრებული.
3. „აყვავებული აჭარა“.
4. „ჩემი ქალაქი“ და სხვ.

1952 წელი

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ნადიდე გვარიშვილი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | გვარიშვილი ნადიდე მამედის ასული |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1922 თვე ნოემბრის დღე 7 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. ხალაში (ქობულეთის რაიონი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1939 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1952 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არცერთს |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | ალკპ წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული, ქართული, თათრული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>—</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>ბათუმის ქალაქის საბჭოს დეპუტატი</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>არა</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (ალინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>ბათუმის აკ. წერეთლის სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში დირ. მოადგილე</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>შაუმიანის 17</p> |

მუშაობის შესახებ იხ. ანკეტა.

„ — “ _____ 1952 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ხელმოწერა ნ. თოფჩიშვილი.

გვარიშვილი ნადიდე მემედის ასულის ავტობიოგრაფია

მე, ნადიდე მამედის ასული გვარიშვილი, დავიბადე 1922 წელს სოფელ ხალაში, ქობულეთის რაიონი, გლეხის ოჯახში. მშობლები მალე გადმოსახლდნენ ბათუმში საცხოვრებლად და პირველ დაწყებითი სწავლა მივიღე ბათუმის პედ. სასწავლებელში. 1939 წელს დავამთავრე ლენინის სახ. საშუალო სკოლა და ამავე წელს სწავლა განვაგრძე რუსთაველის სახელობის ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტში. 1942 წელს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობას ვიწყებ სამხარეთმცოდნეო ინსტიტუტში მეც. მუშაკად ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის დარგში, ამასთან ერთად ვმუშაობდი ბათუმის რადიო კომიტეტში ლიტ-გადაცემისა და ახალგაზრდობის გადაცემის რედაქტორად. 1943 წლიდან 1947 წლამდე სწავლას ვაგრძელებ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1948 წლიდან ბათუმში მუშაობას ვიწყებ მეთოდისტად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმეთა სამმართველოში. 1950 წლიდან დღემდის ვმუშაობ აკ. წერეთლის სახელობის ბათუმის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში დირექტორის მოადგილეთ.

ლექსების წერა დავიწყე 1930 წლიდან. პირველად ჩემი ლექსი დაიბეჭდა 1939 წელს. მას შემდეგ ჩემი ლექსები სისტემატურად იბეჭდება სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. 1948 წელში აჭარის გამომცემლობამ გამოსცა ჩემი ლექსების კრებული „ჩემო აჭარავ“. 1949 წელს გამოიცა ჩემი საბავშვო ზღაპარი „თითისტოლა“, 1950 წელს – ლექსების მეორე კრებული „მზიური მხარე“.

1952 წლისათვის გამოსაცემად ვამზადებ ლექსების წიგნს „აჭარელი ქალიშვილები“, სადაც მოცემული იქნება თანამედროვე წარჩინებული აჭარელი ქალის სახე. ამ თემაზე ნაწილი ლექსებისა ციკლების სახით დაიბეჭდა ჟურნალ-გაზეთებში. ამასთან ერთად ვამზადებ საბავშვო წიგნს „ზღაპარი დედაენაზე“. ვარ ა.ლ.კ.კ. წევრი 1939 წლიდან და 1950 წლიდან ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

გამოცემულია ჩემი ნაწერების ოთხი კრებული. ვიბეჭდები პერიოდულ ჟურნალ-გაზეთებში და სხვ.

1952 წ.

სწორია: 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

მურმან ლებანიძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ლებანიძე მურმან სილოვანის ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | არა |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1922 თვე ნოემბერი დღე 14 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) დ. აღსტაფა (აზერბეიჯანი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია, პროზა, თარგმანი |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1944 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | – |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არცერთს |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრობის კანდიდატი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | მსახურობდა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | მსახურობდა 1922 წლიდან 1943 წლის აგვისტომდე |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>სამხედროვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>რედაქტორის მოადგილე ჟურნალი „დილა“</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>არაფერი</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>ჟურნ. „დილას“ რედაქცია</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>გოგებაშვილის 43</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1943 | 45 | გამომძიებელი | მილიციის საგა- მომძიებლო ორ- განოებში | თბილისი |
| 1946 | | მდივანი | გაზ. „ნორჩი ლე- ნინელი“-ს | |
| 1947 | წლიდან | რედ. მოადგილე | ჟურნ. „დილა“ | |
| | | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

ლებანიძე მურმან სილოვანის-ძე ავტობიოგრაფია

დავიბადე 1922 წელს, ნოემბრის 14, დაბა აღსტაფაში (აზერბეიჯანი), სადაც ჩემი მშობლებით დროებით ცხოვრობდნენ. ამავე წელს ჩვენი ოჯახი გადმოსახლდა თბილისში და დავრჩით მუდმივ საცხოვრებლად აქ.

მამა, სილოვან ლებანიძე, საქართველოს გასაბჭოებამდე მუშაობდა შუა-აზიის თეატრებში პარიკის მკეთებლად, ხოლო შემდეგ დალაქად.

დედა იყო დიასახლისი.

1930 წელს დავიწყე სწავლა. საშუალო სასწავლებელი დავამთავრე 1940 წელს თბილისში.

1939 წელსვე შევედი კომკავშირის რიგებში.

1940 წელსვე საშუალო სასწავლებლის შემდეგ შევედი თბილისის სახ. უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე. სამამულო ომის დროს გამინვიეს ჯარში და ვიბრძოდი მონინავე ხაზზე – ვიყავი კრასნოდარში 1942-43 წლებში, დავიჭერი ფეხში. ვიყავი აგრეთვე, ჩრდილო-კავკასიის უღელტეხილზედაც.

დაბრუნების შემდეგ ისევ განვაგრძე სწავლა და დავასრულე 1948 წელს. შევირთე ცოლი და მყავს ორი შვილი.

ლიტერატურული შრომა დავიწყე 1944 წლიდან. ძირითადად ვმუშაობ პოეზიის ჟანრზე, აგრეთვე ვწერ პროზასაც, განსაკუთრებით ბავშვებისათვის. გამოცემული არის ჩემი ნაწერების ექვსი ნიგნი.

მურმან ლებანიძის ნაწარმოებთა სია:

1. „სალამურები“, 1946 წ.
 2. საბავშვო ლექსები „ძმები“, 1948 წ.
 3. საბავშვო ლექსების კრებული.
 4. „ზაზა მესხი“, მოთხრობა, 1949 წ.
 5. ლირიკული ლექსები, 1950 წ.
 6. ლექსების კრებული „აფხაზეთი“, 1950 წ.
 7. ლექსები სხვადასხვა პერიოდულ ჟურნალ-გაზეთებში.
 8. ნეკრასოვის ლექსების თარგმანი, 1951 წ.
- და სხვ.

1956 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი

კუმფ – კონსტანტინე ლომია

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ლომია კუმფ შირინის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1923 თვე თებერვალი დღე 14 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. კვიციანი (ოჩამჩირის რაიონი) |
| 4. ეროვნება | აფხაზი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია |
| 8. რა ენაზე წერს | აფხაზურ ენაზე |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1944 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1954 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიულისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | ალკკ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმალლესი, სუხუმის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი და მოსკოვის გორკის სახ. ლიტერატურული ინსტიტუტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ვკითხულობ ფრანგულად, რუსულად, აფხაზურად, ქართულად |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>კომკავშირის პირველადი ორგანიზაციის მდივანი</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>არა</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>პ/მგ. მდივანი, ჟურნ. „ალაშარა“</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>წერეთლის 27</p> |

„ ___ “ _____ 1954 წ.

ხელმოწერა _____

კონსტანტინე (კუმე) შირინის-ძე ლომიას ავტობიოგრაფია

დავიბადე 1923 წელს, თებერვლის 14, ოჩამჩირის რაიონში სოფ. კვიტაულში (აფხაზეთის ასსრ) გლეხის ოჯახში.

ჩემი მშობლები არიან კოლმეურნენი, მამა ადრე გარდამეცვალა, მყავს ორი დაი და ერთი ძმა. როდესაც დავამთავრე შვიდწლედ, შევედი აფხაზეთის პედასანავლებელში, რის დამთავრების შემდეგ შევედი სუხუმის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში და დავამთავრე 1950 წელს. ამავე წელს შევედი მოსკოვის გორკის სახელობის ლიტერატურულ ინსტიტუტში და დავამთავრე 1952 წელს, რადგან იქ მიმიღეს მეოთხე კურსზე.

1945 წლიდან ვარ – ალკკ წევრი.

1944 წლიდან დავიწყე ლიტერატურული მოღვაწეობა. ჩემი ნაწარმოებები იბეჭდება 1945 წლიდან. პირველად ვიბეჭდებოდი საოლქო გაზეთებში და შემდეგ კი – კრებულებში და ალმანახებში.

1949 წელს გამოვიდა ლექსების წიგნი ახალგაზრდა პოეტებისა „ახალგაზრდათა ხმა“, აღნიშნულ კრებულში დაიბეჭდა ჩემი ლექსები.

1952 წელს კი გამოვიდა ჩემი ლექსების კრებული „პოტოკ ლუბვი“.

1954 წელს გამოვიდა მეორე კრებული სახელწოდებით „მინიერი ვარსკვლავები“.

1954 წლიდან ვარ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმის წევრი და სუხუმის ქალაქის ალკკ წევრი.

1953 წლიდან ვმუშაობ გაზეთ „აპსნი კაპშის“ რედაქციაში საყოფაცხოვრებო და კულტურული განყოფილების გამგედ.

1954 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ილია რურუა

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | რურუა ილია პარმენის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | არა მაქვს |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1923 თვე თებერვალი დღე 20 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. ორქაში (გეგეჭკორის რაიონი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | მუშა |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | ჟურნალისტიკა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1944 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1953 წლიდან |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არცერთს |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|------------------------|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, დამთავრებული |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული, ქართული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>სათადარიგო – ვუს 134</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>მწერლობა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აჭარის განყოფილების პ/მგ. მდივანი</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ცხაკაიას 73</p> |

„ — “ _____ 1953 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1940 | 41 | კულტმუშაკი | აჭარის ადგილობ- რივ მრეწველობისა | ბათუმი |
| 1941 | 44 | კორრექტორი | გაზ. „საბჭოთა აჭარა“ | „-“ |
| 1944 | 45 | პ/მგ. მდივანი | „-“ | „-“ |
| 1945 | 46 | განყ. გამგე | მარქსიზმ-ლენი- ნიზმ. პროპ. განყ. გაზ. „საბჭოთა აჭარა“ | „-“ |
| 1947 | 49 | პ/მგ. მდივანი რედაქციისა | გაზ. „საბჭოთა აჭარა“ | „-“ |
| 1949 | | უფროსი | აჭარის მთავლი- ტისა | |
| 1953 | წლიდან | პ/მგ. მდივანი | საქართველოს საბჭ. მწერ. კავ- შირის აჭარის განყოფილებისა | |
| | | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

შეკვ. №193. ტ. 1000

ხელმოწერა _____

ილია პარმენის-ძე რურუას ავტობიოგრაფია

მე, ილია პარმენის-ძე რურუა, დავიბადე 1923 წლის 20 თებერვალს, გეგეჭკორის რაიონში, სოფელ ორქაში.

მამა რევოლუციამდე იყო მუშა, რევოლუციის შემდეგ მოსამსახურეა. ამჟამად მუშაობს აჭარის სახელმწიფო გამომცემლობაში, არის საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრი, დედა კი – დიასახლისია.

1930 წელს შევედი ბათუმის I საშუალო სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ, 1940 წელს, მუშაობა დავიწყე აჭარის სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სამრეწველო კომბინატში კულტმუშაკად.

1941 წლიდან 1946 წლამდე ვმუშაობდი საოლქო გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქციაში პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების განყოფილების გამგედ, მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილების გამგედ.

1946 წელს შევედი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ორწლიან პარტიულ სკოლაში, მაგრამ ავადმყოფობის გამო მისი დამთავრება ვერ შევძელი.

1948 წლის იანვრიდან 1949 წლის ნოემბრამდე ვმუშაობდი ისევ გაზეთ „საბჭოთა აჭარას“ რედაქციაში პასუხისმგებელ მდივნად. 1949 წლის ნოემბრიდან დღემდე ვმუშაობ აჭარის ასსრ მთავლიტის უფროსად.

ლიტერატურული მუშაობა დავიწყე 1944 წელს. ძირითადად ვთანამშრომლობ გაზეთებში: „საბჭოთა აჭარა“, „ბატუმსკი რაბოჩი“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, ალმანახში „ლიტერატურული აჭარა“ უმთავრესად ვაქვეყნებ კრიტიკული ხასიათის წერილებს მხატვრულ ნიგნებზე და თეატრალურ დადგმებზე. გარდა ამისა, ვარ ავტორი მხატვრულ ნარკვევების, რომელთაგან ორი სოციალისტური შრომის გმირზე – ცალკე არის გამოცემული.

1938-დან 1945 წლამდე ვიმყოფებოდი კომკავშირის რიგებში, ხოლო 1945 წელს გადაყვანილ ვიქენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრად.

ამჟამად ვსწავლობ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის დაუსწრებელ განყოფილების მეოთხე კურსზე, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე.

პარტიული სასჯელი არ მიმიღია, პასუხისგებაში მიცემული არ ვყოფილვარ. ახლო ნათესავებიდან რეპრესირებული ან საზღვარგარეთ არავინ მყავს.

1953 წლიდან ვარ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრი.

წინარმოება დასახელება:

1. ნარკვევი სოციალისტური გმირის შესახებ.
2. სხვადასხვა კრიტიკული წერილები და რეცენზიები.

1953 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ვლადიმერ გელაშვილი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | გელაშვილი ვლადიმერ სოლომონის ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1923 თვე მარტი დღე 10 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. ნიკორტი (ხაშურის რაიონი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია, პროზა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1940 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1952 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი სტალინირის პედ. ინსტიტუტისა |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგით ჯარისკაცად 1942-43 წ. |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | ვმსახურობდი სამამულო ომის დროს და მონაწილეობას ვიღებდი ბრძოლებში, დაჭრილი ვიყავი მძიმედ |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემაღგენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღ-გენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღ-გენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, რო-დის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>სამხრეთ-ოსეთის მწერალთა განყოფილების ქართული სექციის გამგე</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალები: „კავკასიის დაცვისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“, „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>—</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>სტალინის ქ. 77</p> |

„ — “ _____ 1952 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1942 | 43 | წ/არმიელი | 414 სმრ. დივიზია | ბორჯომი |
| 1943 | 45 | პ/მგ. მდივანი | გაზ. „ბოლშევი- კური ტემპით“ | ბორჯომი, ხაშუ- რი, ქარელის რაიონი |
| 1945 | 46 | საკ. კორესპონ- დენტი | გაზ. „კომუნისტი | თბილისი |
| 1946 | | „-“ | სამხრეთ ოსეთში გაზ. „კომუნისტი“ | თბილისი „-“ |

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.
ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ვლადიმერ სიმონის-ძე გელაშვილის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1923 წლის 10 მარტს, სოფელ ნიკორტში, ხაშურის რაიონი, გლეხის ოჯახში.

1930 წელს შევედი წალვერის საშუალო სკოლაში, რომელიც დავამთავრე 1940 წელს. 1942 წელს გამიწვიეს არმიაში. მონაწილეობას ვღებულობდი სამამულო ომის ფრონტზე ბრძოლაში.

1943 წელს ჭრილობების გამო დემობილიზებული ვიქენი.

1943 წელს დავიწყე მუშაობა ბორჯომის რაიონული გაზეთის „კომუნისმის დროშით“ პ/მგ. მდივნად, 1945 წლიდან კი – ვმუშაობდი რესპუბლიკურ გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტად ბორჯომის, ხაშურისა და ქარელის რაიონებში.

1946 წლიდან ვმუშაობდი ამავე გაზეთის კორესპონდენტად სამხრეთ ოსეთში. 1953 წელს დავამთავრე სტალინის სახელმწიფო პედინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. 1954 წლიდან ვმუშაობ საოლქო გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქციაში რედაქტორის მოადგილეთ.

ლიტერატურული მოღვაწეობა დავიწყე 1940 წელს. დღემდე გამოსულია ჩემი ნაწარმოებების (ლექსები, პროზა) ექვსი კრებული.

1937 წელს შევედი კომკავშირის რიგებში. მაქვს მთავრობის ჯილდოები, მედლები.

ჩემი ნაწარმოებები:

1. „ლექსები“ (კრებული), 1948 წელი.
2. „გამარჯვების სიმღერები“ (კრებული), 1951 წ.
3. „მშვიდობა“ (კრებული), 1952 წ.
4. „მოთხრობა ერთ მეცხვარეზე“, 1952 წ.
5. „ბავშვებს“ (კრებული), 1953 წ.
6. „ჩვენი სოფლის ადამიანები“ (მოთხრობებისა და ნარკვევების კრებული), 1954 წ.

1954 წ.

სწორია: 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

აკაკი გელოვანი ავტობიოგრაფია

1923 წლის 28 მარტი...

დაბადების თარიღი ყველაზე უფრო მოსაწყენი საკითხავია საერთოდ, მაგრამ ჩემთვის ეს დიდი მოვლენა იყო, რადგან იმ დღეს ვიხილე პირველად მსოფლიოს უმშვენიერესი კუთხე – სვანეთი. ეს მოხდა ლალხორალში, ზემო სვანეთის ერთ-ერთი უმაღლესი ჩანჩქერის თავზე არწივის ბუდესავით დადგმულ ვიწრო სავანეში. ლალხორალი სვანურად „საკრებულოს“ ნიშნავს. ამ ვიწრო სოფელში, სადაც კალის ადგილი ძლივს მოიძებნება, რა საკრებულო იქნებოდა. ეტყობა, სწორია გადმოცემა, რომლის მიხედვითაც, ჩემი წინაპრები კალის სოფელ ლალხორიდან, „გელოვანრე ლალზიგიდან“ ჩამოსულან. მართლაც, ეს მეორე, პატარა ლალხორი, შედარებით ახალი სოფელია.

ჯერ ხაიშის ოთხწლიანი სკოლა დავამთავრე, მერე ლახამულისა და ჭყუბერის შვიდწლიანი სკოლები, მესტიის პედაგოგიური სასწავლებელი – მამისეული სახლიდან 100 კილომეტრის დაშორებით, და ბოლოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც ასპირანტურაში დავიწყე სწავლა და მივატოვე, რადგან მთელი ჩემი ფიქრი და ოცნება სკოლის მერხიდანვე მხატვრულ სიტყვას დასტრიალებდა და სისულელედ ჩავთვალე ორი კურდღლის დევნა.

1936 წელს დაიბეჭდა პირველად ჩემი ლექსები და სტატიები („ახალ სვანეთში“, „ახალგაზრდა კომუნისტში“, „პიონერში“, „ოქტომბრულში“...).

1953 წელს გამოვეცი პირველი ნიგნი. ამჟამად, 1970 წელს, გამოდის ოცდამეცამეტე ნიგნი. ვთანამშრომლობ თითქმის ყველა ქართულ ჟურნალსა და გაზეთში, აგრეთვე გერმანულ პრესაში... ბევრი რამ მაკავშირებს საზოგადოება „ცოდნასთან“, რადიო-ტელევიზიასთან, აკადემიასთან, უცხოეთთან კულტურულ ურთიერთობის საზოგადოებასთან და სხვ. მთელი ჩემი სიცოცხლის აზრი და არსი – მშობლიური მწერლობისა და ერის ღირსებისათვის ბრძოლაც – ნიგნებში, პრესაში, მიმონერაში თუ გამოსვლებში.

ჩემი პირადი, მოკლე ბიოგრაფია სულ ეს არის. უფრო ვრცელი ჩემს ნიგნებშია.

აკ. გელოვანი
20. XI. 1970

რევაზ ჯაფარიძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ჯაფარიძე რევაზ ანდრეას-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | არა აქვს |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1923 თვე მაისის დღე 23 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. ბაჯითი (საჩხერის რაიონი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პროზა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1940 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1952 |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არცერთს |
| 12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, ფილოსოფიური ფაკულტეტი, თბილისის სახ. უნივერსიტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული, ქართული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | მსახურობდა 1942 წლიდან 1949 წლამდე, უკანასკნელ დროს ლიტმუშაკად დივიზიის გაზეთში, ბათუმში |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | ვმსახურობდი ა/კ ჯარებში ბელორუსიის ფრონტზე და სხვ. |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|--|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემაღენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღ-გენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღ-გენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული უმცრ. შემაღგენ.</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, რო-დის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>ვასრულებ სხვადასხვა ლიტერა-ტურულ და პარტიულ დავალებებს</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედა-ლი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედეგები: „კავკასიის დაცვისათ-ვის“, „გერმანიაზე გამარჯვები-სათვის“ და XXX წლის არმიისა და ფლოტის არსებობისა</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>ამჟამად მუშაობს ჟურნ. „მნა-თობში“</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ენგელსის 15</p> |

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1942 | 43 | კურსანტი | 406 დივიზიისა | ახალციხე |
| 1943 | 44 | სერჟანტი | „-“ | ახალქალაქი |
| 1944 | 46 | კურსანტი | კიროვობადის ფეხოსანთა სას- წავლებელი | კიროვობადი |
| 1946 | | როტის სტარშინა | 75 დივიზია | |
| 1946 | 47 | უფრ. პ/მგ. მუ- შაკი | 11 აეროდრომის უფრ. შემადგ. პოლკისა | |
| 1947 | | უფრ. მუშაკი | 414 დივიზიის | ბათუმი |
| 1947 | 49 | ლიტმუშაკი | „-“ | |
| 1949 | | სტუდენტი | თბილისის სახ. უნივერსიტეტისა | |
| | | შემდეგ ვარ მწერალთა კავშირის წევრი და ვმუშაობ ლიტერატურის დარგში | | |
| | | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

რევაზ ანდრიას-ძე ჯაფარიძის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1923 წლის 23 მაისს – საჩხერის რაიონში სოფ. ბაჯითში (ახალ-სოფელი, ქუთაისის ოლქი).

ჩემი მშობლები სოფლის მეურნეები იყვნენ, ახლა კოლმეურნეობის წევრები არიან.

არასრული საშუალო განათლება საჩხერეში მივიღე, ათი კლასი კი თბილისში დავამთავრე რეინადის მე-4 საშუალო სკოლაში.

1941 წელს ფილოლოგიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტში. მერე კი, 1942 წლის სექტემბერში, არმიასი გამინვიეს, საიდანაც 1949 წლის ივლისში დავბრუნდი.

ამჟამად ფილოსოფიის ფაკულტეტი დამთავრებული მაქვს.

წერა 15 წლისამ დავიწყე. პირველი ლექსები გაზეთ „ნორჩ ლენინელში“ 1940 წ. დაიბეჭდა შემდეგ სამხედრო პრესაში იბეჭდებოდა.

სერიოზული ნაბიჯი მწერლობაში რომან „ხევის პატარძალის“ გამოქვეყნებით გადავდგი. ამავე პერიოდში გამოვაქვეყნე 15-ამდე ნოველა, მოთხრობა და ნარკვევი.

ვარ სკკპ წევრი 1945 წლიდან.

ნაწარმოებების სია:

1. „სიზმარი ზღვაზე“ (ნოველა).
2. „ძვირფასი ნივთი“ (ნოველა).
3. „კეთილი ადამიანები“.
4. „ნატყვიარი თოჯინა“.
5. „სად არის ჩემი ფული“.
6. „ჩირალდანი“.
7. „ბედნიერება“.
8. „მოვიდა იორი, მოვიდა სამგორში“.
9. „ხევის პატარძალი“ და სხვა.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ნ. თოფჩიშვილი.

ავტობიოგრაფიის მაგიერ

შინ მოგვიანებით დავბრუნდი. ომმა შორი გზები და ბილიკები მომატარა. ზემო იმერეთის პატარა სოფელი ბაჯითი, სადაც დავიბადე და ბავშვობის წლები გავატარე და საიდანაც ცხოვრების დიდ გზაზე გავედი, თითქმის დაცარიელებული დამხვდა. აღარ იყვნენ ისინი, ვინც ჩემს პატარა ბიჭობაში, ის იყო, ვაჟკაცდებოდნენ და ახლადწვერულვაშნამოშლილნი უნებლიედ წითლდებოდნენ თანატოლ ქალიშვილებთან შეხვედრისას. მათ უფრო ადრე ერგოთ ომში

ნასვლა. ბევრმა ფინეთის ომი მოიარა და სწორედ მაშინ, როცა მონატრებულ სამშობლოს უნდა დაბრუნებოდა, დიდი მსოფლიო ხანძარი აგიზგიზდა.

დაბოლოს, აღარ დამხვდნენ ჩემი თანატოლები, თანაკლასელები. მათი დიდი უმრავლესობა დაიღუპა სამამულო ომის ფრონტებზე ან უგზოუკვლოდ დაიკარგა. სოფელი ახალგაზრდა ქვრივებისა და უმამოდ დარჩენილი ობლების ცოდვით იწვოდა. ნაშიმშილარი, სანახევროდ შიშველ-ტიტველი ადამიანები ცხოვრებას თავიდან იწყებდნენ. ჭრილობა თითქოს პირს იკრავდა, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად ჩანდა ასე. ხალხს ძალიან უჭირდა. 1945–1950 წლები ომით გაჩანაგებული უზარმაზარი სახელმწიფოს დიდი სიძნელეების წლები იყო.

ნაადრევად დაბერებული გუშინდელი ყმანვილი ქალები, რომელთაც მტრის მიერ თავს მოხვეულმა ომმა ქვრივობის ძაძები და კერიის წარბშეუხრელი დარაჯის მძიმე მოვალეობა არგუნა, ლუკმაპურს დაეძებდნენ წვრილშვილის გამოსაკვებად.

ომში ბევრი საშინელება მინახავს, ბევრი საზარელი სანახაობის მოწმე გავმხდარვარ, მაგრამ ეს, რასაც ახლა ვხედავდი, ყველაფერზე უფრო გულსმომწველი იყო. მე მათ ვიცნობდი, ამ ადამიანებს, ისინი ხომ ჩემი ახლობელი არსებანი იყვნენ, საოცნებონი, სათნონი, მიუწვდომელნი და ერთადერთნი. მე ახლა მათ მუხთალი ბედის მიერ დამცირებულთ, მაგრამ მაინც ამაყთ, შეუდრეკელთ და ხვალინდელი დღისათვის, თავიანთი შვილების მომავლისათვის მებრძოლთ ვხედავდი.

რამოდენა ფარული ვნება იმალებოდა მათ ჩაფერფლილ უძილარ თვალებში, რამოდენა თავშეკავება და ჯანყი იგრძნობოდა მათ ყოველ მიმოხვრაში. წლები კი გადიოდა, შვილები იზრდებოდნენ, ვაჟკაცდებოდნენ, ეს თავდადებული დედები კი სამუდამოდ ეთხოვებოდნენ თავიანთ სიყმანვილეს, რომელიც ყველასათვის ერთნაირად ძვირფასია და რომელიც არავის არ ეძლევა ხელმოკრედ...

ასე იღვიძებდა გულში „ჯარისკაცის ქვრივის“ დაწერის იდეა. ამ წიგნს მე დიდხანს ვწერდი და ყოველ წამს, ყოველ წუთს ჩემი ხალხის ცხოვრებით ვცხოვრობდი. ვწუხდი, ვხარობდი, გულს ნალველი არ შორდებოდა, მაგრამ ვცდილობდი ჩემი გმირებისათვის ის შეუპოვრობა და სიცოცხლის სიყვარული შთამენერგა, რომელიც მათ შესატყვის ადამიანებს ცხოვრებაში ასულდგმულებდათ.

მაგრამ მტერს რომ ეძალა? მის ურდოებს რომ კავკასიის ქედი გადმოელახა და ხოცვა-ჟლეტა მრავალტანჯულ ქართულ მიწაზეც გაჩაღებულიყო? უბრალო წარმოდგენა ამისა ახლაც კი მზარავს. როდესაც „მარუხის თეთრ ღამეებს“, ხოლო შემდეგ „ბუხენვალდის სამრეკლოს“ და „ვნების კვირას“ ვწერდი, თვალწინ ისევ ისინი, უკაცოდ დარჩენილი ოჯახები, უმამოდ დაყრილი ბავშვები და დღედაღამ თავაუღებელი მუშაობით გატანჯული ადამიანები მიდგნენ.

დღეს უკვე ხათუნა მინდელის შვილების – ზურიას, პავლეს, შალვას თაობა დგას ცხოვრების შუაგულში. ომის ჭრილობები ხალხმა და ქვეყანამ დიდი ხანია მოიშუშა. დღევანდელი დიდი ცხოვრება სწორედ მათი ხელით შენდება.

მე მინდა, მათი მესაიდუმლე ვიყო, მათი მწერალი, მათი ჭირისა და ღმერთის მოზიარე.

*რევაზ ჯაფარიძე
1 ნოემბერი, 1970 წ.*

აკაკი გენაძე ავტობიოგრაფია

დავიბადე რაჭის მაზრის სოფელ წესში, 1923 წლის 16 ოქტომბერს. მამა მეპურედ მუშაობდა ვლადიკავკავში, დედა დიასახლისობდა. ბავშვობისას ერთხანს მეც ვცხოვრობდი ვლადიკავკავში (მეორე და მესამე კლასში იქ ვსწავლობდი კიდევ ქართულ სკოლაში). სწავლა დავიწყე მშობლიურ სოფელში 1930 წელს, იქვე დავამთავრე შვიდწლიანი სკოლა 1937 წელს. სამი წლის შემდეგ დავამთავრე ამბროლაურის საშუალო სკოლა და სწავლა დავიწყე თბილისის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ ოჯახის ხელმოკლეობის გამო მხოლოდ რამდენიმე თვეს დავეყავი აქ.

1942 წლის იანვარში გამინვიეს ჯარში. ვიბრძოდი სტალინგრადის, კურსკის და პირველი უკრაინის ფრონტებზე, ბრძოლით გავიარე რუმინეთი, უნგრეთი და ჩეხოსლოვაკია. ვიყავი ჯერ „კატუშების“ დამცველი ოცეულის ჯარისკაცი, შემდეგ თანამდებობა ბატარეას ქიმიანსტრუქტორისა მეჭირა, მაგრამ რაკი ეს თანამდებობა ფიქტიური იყო, ხან „კატუშას“ მომიზნებობას მავალებდნენ, ხან მეთაურობას. დაჯილდოებული ვარ „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით, მედლით „მამაცობისათვის“ და სხვა მედლებით.

1947 წლის მაისში დემობილიზაციით დავბრუნდი შინ და მაშინვე დამინიშნეს გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტად ამბროლაურის, ონის და ცაგერის რაიონებში. 1953 წელს დავასრულე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი.

პირველი ჩემი ლექსი გამოქვეყნდა 1940 წლის იანვარში (მაშინ მეათე კლასის მოსწავლე ვიყავი). ლექსების პირველი კრებული „ჩემი ასეული“ გამოვიდა 1953 წელს. ამჟამად გამოცემული მაქვს ლექსთა ექვსი კრებული, დაბეჭდილი მაქვს რომანები: „ყარამან ყანთელაძე“, „ჯვარცმული მზე“, „მუზარადში ამოსული ყვავილი“, ვრცელი მოთხრობები „ლაზარეს წყარო“, „შვილო-გოგია“, „მხოლოდ ერთი ნაბიჯი“ და რამდენიმე ნოველა. სხვადასხვა დროს პრემირებული ჩემი პიესები: „სულხარ-საბა“, „მზე ცრემლში“, „წმინდანები ჯოჯოხეთში“ და „პაემანი ცაში“.

აკ. გენაძე
1970 წელი, 18 ნოემბერი

გიორგი მარგველაშვილი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | მარგველაშვილი გია (გიორგი) გიორგის ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | გია მარგველაშვილი |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1923 თვე ოქტომბერი დღე 31 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ქ. თბილისი |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | მოსამსახურე |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | კრიტიკა, ლიტერატურათმცოდ- ნეობა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულ, რუსული, გერმანული |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1949 |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1950 |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებ- ში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმალლესი, ლიტერატურული ინსტიტუტი გორკის სახელობისა |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული, გერმანული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|-----------------------------------|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>არასამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>მწერლობა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>არა</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>ჟურნალ „მნათობის“ რედაქცია</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>მარჯანიშვილის 29</p> |

„ — “ _____ 195 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

გიორგი გიორგის-ძე მარგველაშვილის ავტობიოგრაფია

მე, გიორგი გიორგის-ძე მარგველაშვილი დავიბადე ქ. თბილისში 1923 წელს, 31 ოქტომბერს ექიმ გ. ბ. მარგველაშვილის და ა. ვ. დარახველიძის ოჯახში.

1941 წელს დავამთავრე ქ. თბილისის პირველი საშუალო სკოლა. 1941 წლის განმავლობაში ვმუშაობდი თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებლობის ქარხანაში, რის გამო არ შემეძლო მიმელო უშუალო მონაწილეობა სამამულო ომში.

1942 წლიდან ვიყავი ალკკ წევრი.

1942 წელს შევედი თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ხოლო 1945 წელს გადავედი მოსკოვში გორკის სახელობის ლიტერატურულ ინსტიტუტში (კრიტიკის ფაკულტეტზე), ლიტერატურულ ინსტიტუტში, როგორც თბილისის უნივერსიტეტში, ვღებულობდი სტიპენდიას, ჯერ გრიბოედოვის სახელობისა, ხოლო შემდეგ სტალინის სახელობის.

1945 წელს ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ამავე ინსტიტუტის ასპირანტურაში შევედი, რომელიც დავამთავრე 1952 წელს.

1949-1950 წლების განმავლობაში ვმუშაობდი ალმანახ „დრუჟბა ნაროდოვ“-ში. 1951 წელს ვკითხულობდი ლიტერატურულ ინსტიტუტში ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსს და ვთანამშრომლობდი ჟურნალ „ნოვი მირში“.

1949 წლიდან დავიწყე ჩემი კრიტიკული წერილების ბეჭდვა მოსკოვში – „ლიტერატურნაია გაზეტა“-ში, „ნოვი მირ“-ში, „ზნამია“-ში, „დრუჟბა ნაროდოვ“-ში და საქართველოს ჟურნალ „მნათობში“ და გაზეთ „ლიტერატურულ გაზეთ“-ში. აგრეთვე აზერბეიჯანულ და სხვა რესპუბლიკების პრესაში.

ვთანამშრომლობ აგრეთვე რადიო-კომიტეტში და საბჭოთა საინფორმაციო ბიუროში.

ჩემი რედაქციით და წინასიტყვაობით გამოვიდა:

ს. შანშიაშვილის რჩეული პიესები („სოვეტსკი პისატელი“) და აკ. წერეთლის რჩეული ლექსების კრებული („დეტგიზ“).

საკავშირო მწერალთა კავშირის გამგეობის და პარტიუროს დავალებით, ვღებულობდი მონაწილეობას სხვადასხვა ლიტერატურულ ღონისძიებებში.

საზოგადოებრივ მუშაობას ვენეოდი უმთავრესად როგორც აგიტატორი, რაიკომის ლექტორი და ლიტერატურულ წრეების ხელმძღვანელი.

1953 თებერვლიდან ვიმუშავე „ლიტერატურულ გაზეთში“ პ/მგ. მდივნად.

შემდეგ გადაყვანილი ვიქენი „ზარია ვოსტოკა“-ს მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში.

ამჟამად ვმუშაობ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო ჟურნალ „მნათობის“ რედაქციაში.

დანერლი მაქვს კრიტიკული წერილები და გამოკვლევები.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ოთარ მამფორია

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|-----------------------------------|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | მამფორია ოთარ ანტონის ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1924 თვე იანვრის დღე 1 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ქუთაისი |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1940 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1952 წელს |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, თბილისის სტალინის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის ფაკულტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სათადარიგო</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>ლექცია-პროპაგანდა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>არაფერი</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>სწავლობს მოსკოვში გორკის სახელობის ინსტიტუტში</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ქუთაისი, მახარაძის ქ. 3</p> |

„ ____ “ _____ 1952 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

| თარიღი (თვე, წელი) | | თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით | უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო | დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა) |
|-----------------------|--------|--|--|--|
| შეუდგა | წავიდა | | | |
| 1943 | 44 | ავიო ტექნიკი | საავიაციო ქარ- ხანა | თბილისში |
| 1951 | | ლექტორი | სალექციო ბიურო | ქუთაისში |
| | | ამჟამად სწავლობს მოსკოვში გორკის სახ. ინსტიტუტში | | |
| | | სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი. | | |

ოთარ ანტონის-ძე მამფორიას ავტობიოგრაფია

მე, ოთარ ანტონის-ძე მამფორია, დავიბადე ქ. ქუთაისში 1-ლ იანვარს 1924 წელს. მამაჩემი იყო „პარტნოი“ (მკერავი), დედა – დიასახლისი.

საშუალო ცოდნა მივიღე ქ. ქუთაისში. დავამთავრე მე-28 სკოლა 1940 წელს, 1943 წელს დავამთავრე ქუთაისის საავიაციო ტექნიკუმი და 1945 წლიდან ვმუშაობდი ავიო-ქარხანაში, ავიოტექნიკად. 1945 წელს შევედი თბილისის სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე და დავამთავრე 1950 წელს.

ჩემი პირველი ლექსი დაიბეჭდა ქუთაისის გაზეთში „ინდუსტრიული ქუთაისი“, 1940 წელს. ამ წლიდან მოყოლებული, სისტემატურად იბეჭდებოდა ჩემი ლექსები და პოემები პერიოდულ ჟურნალ-გაზეთებში.

ვმუშაობ ქუთაისის სალექციო ბიუროში ლექტორად.

შენიშვნა: (ამჟამად წასულია მოსკოვს გორკის სახელობის ლიტერატურულ ინსტიტუტში სწავლის გასაგრძელებლად).

ჩემი ნაწარმოებები:

1. „ფიროსმანი“ (პოეზია).
 2. „ლამით სოფელში“.
 3. „დედა და სამშობლო“.
 4. „გამარჯვების სადღეგრძელო“.
 5. „საქართველოს მთებს“.
 6. „ჩვენი სიტყვა“.
 7. „სამშობლო“.
 8. „ბებერი მებაღე“ და სხვა მრავალი.
 9. „ლექსები და პოემები“.
- 1956 წელს გამოვიდა ჩემი ლექსების წიგნი.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ნ. თოფჩიშვილი.

ედიშერ ყიფიანი

Автобиография

Я, Эдишер (Эдуард) Лаврентьевич Кипиани, родился в 1924 г. 21 ноября в г. Тбилиси. Отец мой, Лаврентий Баакович Кипиани, до 1931 г. работал в г. Кутаиси в доме офицеров, а потом переехал в Тбилиси, и начал работать в сельско-хозяйственном институте преподавателем военного дела. Одновременно отец учился в лесном институте, при окончании института, в 1936 г. отец скончался.

Мать, Мария Александровна Кипиани, работала машинисткой в Тбилиском медицинском институте, потом – в институте усовершенствования врачей. С 1960 г. она пенсионерка.

В 1943 г. я окончил Тбилисскую 20-ую среднюю школу на золотую медаль и поступил в ТБИИЖТ, а 1946 г. перешел в ГПИ, на строительный факультет, который окончил в 1949 г.

В 1950 г. начал работать в Н/И институте охраны труда им. Кирова, 1951 г. перешел в журнал „Дроша“, а с 1961 г. работаю в журнале „Мнатоби“, сперва зав. отделом, а сейчас ответств. секретарем.

Первые мои литературные произведения были опубликованы в 1949 г. 1956 г. вышел первый сборник моих рассказов. Бил участником 3-го всесоюзного съезда молодых писателей. С 1958 г. член КПСС.

Э. Кипиани
25.7.68

ანა კალანდაძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | კალანდაძე ანა პავლეს ასული |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1924 თვე დეკემბრის დღე 15 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. ხიდისთავი (ჩოხატაურის რა- იონი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1946 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1945 |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არცერთს |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | ალკკ წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტი ფილოლოგიის ფაკულტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|-------------------|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | - |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | არა |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | არა |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | - |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | - |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | - |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | - |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | ნინოშვილის ქ. №42 |

„ ____ “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

ავტობიოგრაფია

მე, ანა პავლეს ასული კალანდაძე, დავიბადე 1924 წლის 15 დეკემბერს სოფ. ხიდისთავში (ჩოხატაურის რაიონი), მოსამსახურის ოჯახში.

პირველდაწყებითი განათლება მივიღე ქ. ქუთაისში, აქვე დავამთავრე საშუალო სკოლა 1941 წელს. ამავე წელს შევედი სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1946 წელს დავამთავრე კავკასიური ენების სპეციალობით.

ჩემი ლექსები პირველად 1946 წელს დაიბეჭდა ჟურნ. „მნათობში“ და „ლიტერატურულ გაზეთში“, ლექსების პირველი კრებული 1953 წ. გამოვიდა, მეორე – 1957 წელს, მესამე – 1960 წელს და მეოთხე – 1967 წელს. 1967 წელს გამოვიდა ერთფორმიანი საიუბილეო კრებული ჩემი ლექსებისა ქართულ და რუსულ ენაზე მიძღვნილი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისადმი. რუსულ ენაზე ჩემი ლექსების პირველი კრებული (ბელა ახმადულინას თარგმნებით) გამოვიდა 1959 წელს თბილისში (გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“), მეორე კრებული (თარგმნილი სხვადასხვა ავტორთა მიერ) გამოსცა „ახალგაზრდა გვარდიამ“ 1961 წელს მოსკოვში.

1946 წლიდან ვარ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.

1952 წლიდან დღემდე ვმუშაობ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.

ორგზის ვიყავი არჩეული ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის (მე-7 და მე-8 მოწვევა) დეპუტატად (1959, 1961 წწ.) და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს (მე-10, მე-11 მოწვევა) დეპუტატად (1965, 1967 წწ.). ამჟამად (1969 წლიდან დღემდე) ვარ ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მე-12 მოწვევის დეპუტატი.

დაჯილდოვებული ვარ საპატიო ნიშნის ორდენით 1958 წელს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით 1960 წელს.

ანა კალანდაძე
1971

დავით ხუროძე ავტობიოგრაფია

მე, დავით ივანეს-ძე ხუროძე, დავიბადე 1924 წელს, ქალაქ ქუთაისში მოსამსახურის ოჯახში. მამა საბჭოთა არმიის ოფიცერი იყო. დედა, ყოფილი პედაგოგი, ამჟამად ქუთაისის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის პერიოდ-სექტორის გამგეა.

8 წლის მიმაბარეს ქუთაისის II საშუალო სკოლაში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გავაგრძელე ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. ინსტიტუტი 1956 წელს დაუსწრებლად დავასრულე.

ლექსების წერა ჯერ კიდევ ადრე, ბავშვობაში დავიწყე. პირველი ჩემი ლექსი დაიბეჭდა 1954 წელს გაზეთ „ინდუსტრიულ ქუთაისში“. ვიბეჭდები როგორც ადგილობრივ, ისე რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში, ერთდროულ კრებულებსა და გამოცემებში.

1957 წელს „საბლიტგამმა“ გამოსცა საბავშვო ლექსებისა და პოემების პირველი ჩემი წიგნი „ოქროს ხელები“.

1958 წელს მოსკოვში ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადასთან დაკავშირებით, ჩემი ლექსები რუსულად ითარგმნა და შევიდა „მოლოდაია გვარდიას“ მიერ გამოცემულ ქართველ პოეტთა კრებულში, რომელსაც „საქართველოს გაზაფხული“ ეწოდება.

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“ დასაბეჭდად ამზადებს ჩემს ლირიკულ ლექსების წიგნს. ვმუშაობ ნოველებზე.

ვარ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრი.

დავით ხუროძე
26 ივნისი, 1960 წ.

სტეფანე მხარგრძელი

ავტობიოგრაფია

სტეფანე პავლეს ძე მხარგრძელი (არლუნელი) დავიბადე 1924 წელს, გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში. 1941 წელს აქვე დავამთავრე საშუალო სკოლა და მუშაობა დავიწყე რაიონული გაზეთის რედაქციაში. 1942 წელს გამიწვიეს საბჭოთა არმიაში, სადაც ძირითადად ვმუშაობდი დივიზიისა და საფრონტო გაზეთების რედაქციებში. სამამულო ომის დროს ჩემი ლექსები ხშირად იბეჭდებოდა გაზეთ „კომუნისტში“, წითელარმიულ გაზეთებში.

1947 წელს „ლიტერატურულ გაზეთში“ ზედიზედ გამოვაქვეყნე ორი პოემა საკოლმეურნეო თემაზე – „გარდამავალი დროშა“ და „მოლოდინი“ – რომლებმაც მაღალი შეფასება დაიმსახურეს. „გარდამავალი დროშა“ ითარგმნა და დაიბეჭდა რუსულადაც.

1949 წლიდან მუშაობას ვიწყებ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში ჯერ ლიტმუშაკად, შემდეგ განყოფილების გამგედ. პარალელურად ვსწავლობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჟურნალისტიკის განყოფილებაზე, რომელიც 1954 წელს დავამთავრე. ამჟამად ვმუშაობ „ნიგნის სამყაროს“ პასუხისმგებელ მდივნად.

ჩემი ლექსებისა და პოემების პირველი წიგნი გამოვიდა 1953 წელს. ერთი წლის შემდეგ მიმიღეს მწერალთა კავშირში. ვარ რამდენიმე წიგნის ავტორი. სკკპ წევრი ვარ 1943 წლიდან.

ვმუშაობ ძირითადად პოეზიაში, ვწერ აგრეთვე პიესებს, რომლებიც იდგმება სახალხო თეატრის სცენებზე. ჩემი იუმორისტული მოთხრობები იბეჭდება როგორც ქართულად, ისე მოძმე ხალხთა ენებზე. მაქვს მთავრობის რამდენიმე ჯილდო.

სტეფანე მხარგრძელი

ფრიდონ – ხემიდ ხალვაში

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ხალვაში ხემიდ იშაღის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | ფრიდონ ხალვაში |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1925 თვე მაისი დღე 17 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. გეგელიძეები (აჭარის სსრ ქედის რაიონი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1943 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1952 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არცერთში |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | დაუმთავრებელი უმაღლესი, ამჟამად სწავლობს მოსკოვში გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული, ქართული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოადგილე</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედლები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>სწავლობს მოსკოვში</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | |

„ — “ _____ 1952 წ.

ხელმოწერა სწორია: ნ. თოფჩიშვილი.

ხემიდ (ფრიდონ) იშალის-ძე ხალვაშის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1925 წელს 17 მაისს, აჭარის ასსრ-ში, ქედის რაიონის სოფელ გეგელიძეებში, გლეხის ოჯახში. მშობლები კოლმეურნეობაში გაერთიანდნენ 1935 წელს.

სოფლის დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ ვსწავლობდი ცხმორისის (ქედის რაიონის) შვიდწლიან სკოლაში, რომელიც ფრიადი წარმატებით დავამთავრე 1938 წელს და სწავლა განვაგრძე ბათუმის პოლიტ-საგანმანათლებლო სასწავლებელში.

1941 წლის ნოემბრიდან მუშაობა დავიწყე ქედის რაიონის ცხმორისის სასოფლო კლუბის გამგედ, ხოლო 1943-დან 1949 წლამდე ვმასწავლებლობდი იმავე სოფლის რევანლიან სკოლაში.

1949 წლის ნოემბრიდან 1951 წლის ივნისამდე ვიყავი აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოში მეთოდ-კაბინეტის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე.

ამჟამად ვმუშაობ აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორად (შენიშვნა: ამჟამად იგი სწავლობს მოსკოვში, გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში).

ს.კ.კ.პ. რიგებში შევედი წევრად 1945 წელს.

ლიტერატურულ-მემოქმედებით მუშაობას ვენეგოდი ჯერ კიდევ მონაფეობის დროს. ვთანამშრომლობდი ადგილობრივ პრესაში და რესპუბლიკის პიონერულ ორგანოებში.

ჩემი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1943 წელს. იქიდან მოყოლებული გამუდმებით ვბეჭდავ ლექსებს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში.

1948 წელს გამოვიდა ჩემი ლექსების პირველი წიგნი „მზის ქვეყანაში“ და 1950 წელს მეორე – „დილა მშვიდობისა“. ამ უკანასკნელმა ჟურნალ „მნათობში“ და გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ დადებითი რეცენზიები მოიხვეჭა. უკანასკნელი წიგნის შემდეგ დავწერე ბევრი ლექსები მშვიდობაზე, მათ შორის პოემა „მშვიდობის ჯარისკაცი“, რომელიც მომავალ წელს გამოქვეყნდება.

1951 წლის გაზაფხულზე მონაწილე ვიყავი ახალგაზრდა მწერლების მეორე საკავშირო თათბირისა მოსკოვში. ამ თათბირმა დაადგინა, რათა 1952 წელს მოსკოვში გამოიცეს ჩემი ლექსების კრებული.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გადაწყვეტილებით და რეკომენდაციით, აგრეთვე გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“ გამოსცემს ჩემს ლექსებს.

მე გამუდმებით ვმუშაობ თავისთავზე, ვიმალლებ ჩემს იდეურ პოლიტიკურ დონეს და მთელი ენერგიით ვსწავლობთ ჩვენს საბჭოთა ცხოვრებას.

1951 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ვახტანგ დიომიდეს-ძე ძნელაძე

დავიბადე 1925 წლის 25 სექტემბერს, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბურნათში, გლეხის ოჯახში.

ერთი წლისამ ავადმყოფობის შედეგად ორივე თვალში მხედველობა მთლიანად დავკარგე.

1934 წელს სწავლა დავიწყე თბილისის უსინათლო ბავშვთა არასრულსაშუალო სკოლა-ინტერნატში (ამჟამად ეს სკოლა სრული საშუალოა), რომელიც 1942 წელს დავამთავრე. უსინათლოთა შრიფტით დაბეჭდილი სპეციალური სახელმძღვანელოების უქონლობის გამო, აღნიშნულ სკოლაში შვიდი კლასის პროგრამის გავლას რვა წელიწადი სჭირდებოდა.

ამ სკოლაში გატარებული წლები მუდამ დაუვინყარი იქნება ჩემთვის. აქ შევიგრძენი პირველად წიგნის სითბო და სიტკბო, აქ შევიყვარე პოეზია და მუსიკა, აქ განათდა ჩემთვის სამყარო ცოდნის პირველი სხივით. აქ დღენიადაგ ზრუნავდნენ იმისათვის, რომ უსინათლონი კულტურულ, მონინავე და შეგნებულ მოქალაქეებად აღეზარდათ.

1943 წლიდან სწავლას ვაგრძელებ თბილისის ვაჟთა მე-16-ე სრულსაშუალო სკოლაში.

ჩემი შესანიშნავი თვალხილული მეგობრებისა და მასწავლებლების ჭეშმარიტად ენერგიული დახმარებით, 1947 წელს საშუალო სკოლა ოქროს მედლით დავამთავრე, ხოლო 1952 წელს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი – წარჩინების დიპლომით.

1943 წლიდან 1955 წლამდე ვიყავი საკ. ალკვ ნევრი.

1953 წლის სექტემბრიდან 1957 წლის დეკემბრამდე ვმუშაობდი უსინათლოთა ლიტერატურის რედაქტორად სახელგამის სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურის რედაქციაში, ხოლო 1957 წლის დეკემბრიდან დღემდე ვმუშაობ იმავე თანამდებობაზე სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნაში“.

ამჟამად მამა, დიომიდე ილარიონის ძე ძნელაძე, პენსიონერია, დედა, მელანია მაქსიმეს ასული ძნელაძე კი – დიასახლისი.

ლექსებს ბავშვობიდან ვწერ.

ჩემი პირველი ლექსი გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ 1941 წლის 25 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა, 1947 წლიდან კი ჩემი ლექსები რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებსა და უნივერსიტეტის სტუდენტთა ლიტერატურული აღმანახის – „პირველი სხივის“ ნომერებში ქვეყნდება.

1959 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა ჩემი ლექსების პირველი წიგნი „მზეს გაუმარჯოს!“

ხოლო გამომცემლობა „ცოდნამ“ გამოუშვა ჩემს მიერ რუსულიდან თარგმნილი კრასნოუსოვისა და შოევის ისტორიულ-ბიოგრაფიული ნარკვევი „ლუი ბრაილი“, რომელიც უსინათლოთა შრიფტით დაიბეჭდა, და ამ შრიფტის შემქმნელის, გენიალური ფრანგი გამომგონებლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხება.

მძიმე ფიზიკური მდგომარეობის მიუხედავად, მე მუდამ ვცდილობ არ ჩამოვრჩე ჩვენი მდიდარი და მრავალფეროვანი თანამედროვეობის აქტუალურ მოვლენებს და ცხოვრებისეული სიმართლე ლექსის სტრიქონებში ჩავაქსოვო.

ვ. დ. ძნელაძე
1960 წელი, 27/IX

ავტობიოგრაფია ოთარ გალაქტიონის ძე კუპრავა

ჩემი დაბადების თარიღია 1925 წლის 20 ოქტომბერი. დავიბადე აბაშაში. ვსწავლობდი აბაშის I საშუალო სკოლაში. ლექსებს ბალღობიდანვე ვწერდი. 1940 წელს სკოლამ ჩემი ნაწერები გაგზავნა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციაში. მათ დაბეჭდეს ჩემი პირველი ლექსი იმავე წელს.

მერე ვცხოვრობდი სოხუმში და ვმუშაობდი გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქციაში, იქვე ვბეჭდავდი ლექსებს. მოვეწყვე სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. სამი კურსის დამთავრების შემდეგ, სწავლის გასაგრძელებლად, გადავედი მოსკოვში და 1952 წელს დავეამთავრე სსრ კავშირის მწერალთა კავშირთან არსებული მ. გორკის სახელობის ლიტ. ინსტიტუტი. ამ წელს მოსკოვში გამომცემლობა „მოლოდიაა გვარდიამ“ გამოსცა რუსი პოეტების მიერ თარგმნილი ჩემი ლექსების პატარა წიგნი. მაშინ რომელიღაც ქართველ პოეტს უთქვამს: კუპრავამ პირველი წიგნი რუსულად გამოსცაო, მაგრამ მას არ ჰქონია ნანახი ჩემი, მანამდე გამოცემული ორი ქართული წიგნი „ლექსები“ და „ნაცრისფერი ყაბალახი“ – პოემა.

მწერალთა კავშირის წევრი ვარ 1952 წლიდან.

გამოცემული მაქვს ლექსებისა და პოემების წიგნები: „ორი არაგვი“, „ახალი“, „ცუდლარის წყალი“, „მგზავრული“, „მზე შინა და მზე გარედა“, „ლექსები“ და სხვა. აგრეთვე ჩემი ერთადერთი რომანი „ლურჯი იების ზღაპარი“. ახლა გამოსაცემად მოვამზადე ახალი ლექსების მოზრდილი წიგნი „გზა უღელტეხილს უახლოვდება“.

ო. კუპრავა
18 თებერვალი, 1971 წელი
თბილისი

ივანე ცხოვრებოვი

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | ცხოვრებოვი ივანე ლაზარეს-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1926 თვე <u>მარტი</u> დღე <u>13</u> |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. მსხლეტი ჯავის რაიონი |
| 4. ეროვნება | ოსი |
| 5. სოციალური წარმოშობა | გლეხი |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია, კრიტიკა |
| 8. რა ენაზე წერს | ოსური |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1942 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1952 წელი |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არცერთს |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არცერთს |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, დაუმთავრებელი (შენიშვნა – ამჟამად სწავლობს მოსკოვში გორკის სახ. ინსტიტუტში) |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული, ოსური, ქართული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>–</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>არაფერი</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>სტუდენტი გორკის სახ. ლიტ. ინსტიტუტისა</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>სტალინის ქ. 91</p> |

„ — “ _____ 1952 წ.

ხელმოწერა _____

ივანე ლაზარეს-ძე ცხოვრების ავტობიოგრაფია

მე დავიბადე სოფ. მსხლებში, ჯავის რაიონში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. 1926 წლის 13 მარტს, გლეხის ოჯახში.

მშობლები ოქტომბრის რევოლუციამდე იყვნენ გლეხები. რევოლუციის შემდეგ მამა მოსამსახურეა, დედა კი – დიასახლისი.

1934 წელს შევედი სოფელ მსხლების დაწყებით სკოლაში და დავამთავრე ოთხი კლასი. 1938 წელს შევედი ქ. სტალინის საშუალო სკოლაში და ათი კლასი დავამთავრე 1943 წელს.

1945 წელს შევედი ქ. სტალინის პედაგოგიურ ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე და დავამთავრე სამი კურსი. შემდეგ გადავედი დაუსწრებელზე.

1942 წელს შევედი ალკკ რიგებში. 1950 წლის სექტემბრიდან ვარ სკკპ წევრი. 1949 წელს დავიწყე მუშაობა საქართველოს სამხრეთ-ოსეთის მწერალთა კავშირის მასიური განყოფილების გამგედ.

1941 წლიდან დავიწყე ლიტერატურული შემოქმედება, ვწერ ლექსებს, პოემებს და კრიტიკულ სტატიებს.

ჩემი ნაწარმოებები იბეჭდება 1942 წლიდან. იბეჭდებიან გაზ. „კომუნისტში“, „ლენინელში“, ჟურნ. „ფიდიოგში“, გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“, ჟურნ. „მნათობში“ და მწერალთა აღმანახში მოსკოვში.

1950 წელს გამოვიდა ჩემი ნაწარმოებები, ლექსებისა და პოემების კრებული „წითელი ვარსკვლავი“. 1951 წელს გამოვიდა ჩემი მეორე წიგნი ლექსებისა და პოემების კრებული „ბედნიერი გზები“.

1951-52 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ფიდიოგში“ და გაზეთ „კომუნისტში“ ჩემი პოემები: „საბჭოთა საქართველო“, „ბათუმის ღამე“. მუშაობას ვაგრძელებ. ვმუშაობ ახალ კრებულზე „საბჭოთა საქართველო“.

ვიყავი დელეგატი საკავშირო ახალგაზრდა მწერალთა მეორე თათბირისა. პასუხისგებაში არასოდეს არ ვყოფილვარ, არ მქონია პარტიული სასჯელი.

ამჟამად ვმუშაობ საქართველოს სამხრეთ ოსეთის მწერალთა განყოფილების მასიური განყოფილების გამგედ.

ჩემი ნაწარმოებები:

1. „წითელი ვარსკვლავი“, ლექსებისა და პოემების კრებული. გამოვიდა 1950 წელს. 2. ლექსების კრებული „ბედნიერ გზაზე“, 1951 წ. 3. ლექსების კრებული „მშვიდობა“, 1951 წ. 4. „მეციტრუსეთა შრომა“, ლექსების ციკლი, 1951 წ. 5. „ბათუმის ღამე“, პოემა, „-“. 6. „სამგორი“, პოემა, „-“. 7. „საბჭოთა საქართველო“, 1952 წ. 8. „კოლმეურნე ქალიშვილი“, 1950 წ. 9. „დედა“, ლექსების ციკლი, 1950 წ. 10. კრიტიკული სტატიები სამხრეთ-ოსეთის ლიტერატურაზე, 1948-50 წლები.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

მურმან ქოიავა

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | მურმან ალისტრახოს-ძე ქოიავა |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1926 თვე აპრილის დღე 18 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) აბაშის რაიონი |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | მოსამსახურე |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1949 |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1953 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არცერთს |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმალლესი, პედაგოგიური ინსტიტუტი სუხუმის გორკის სახელობისა |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|-------------------------------|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სათადარიგო ოფიცერი</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>–</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>არა</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>მწერლობა</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>სუხუმი, ორჯონიკიძის 60</p> |

„ — “ _____ 1953 წ. სნორია: ნ. კლ., 1956 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

მურმან არისტახოს-ძე ქოიავას ავტობიოგრაფია

მე, მურმან ქოიავა, დავიბადე 1926 წლის 18 აპრილს, აბაშის რაიონში.

1933 წლიდან მშობლები მუდამ საცხოვრებლად გადავიდნენ ქ. ფოთში, სადაც 1944 წელს დავამთავრე მეზღვაურთა საშუალო სკოლა.

1944 წელს მამაჩემი სამუშაოდ მივლინებულ იქნა აფხაზეთში, ქ. გაგრაში. მე 1946 წელს შევედი ქ. სუხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1950 წელს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ხელმძღვანელი ორგანოების მიერ დატოვებული ვიქენი ქალ. სუხუმში, სადაც ვენევი ლიტერატურულ მუშაობას.

1949 წელს დავინყე შემოქმედებითი მუშაობა.

ჩემი პირველი ლექსები დაიბეჭდა საოლქო გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“. მას შემდეგ ჩემი ნაწარმოებებში იბეჭდებოდა როგორც საოლქო გაზეთებში, ისე ლიტერატურულ აღმანახებშიც, რომელიც ყოველწლიურად გამოდის ქ. სუხუმში.

1951 წელს გამოვიდა ჩემი პირველი ლექსთა კრებული, სათაურით „მზის სადღეგრძელო“, რომელშიც 60-ზე მეტი ლექსია. ამას გარდა აღმანახებსა და აფხაზეთის ცენტრალურ გამოცემებში ვაქვეყნებდი მოთხრობებსაც.

1951 წელს აფხაზეთის სკკპ საოლქო კომიტეტის დავალებით მწერალთა კავშირმა გამგზავნა კომუნიზმის დიად მშენებლობებზე, ქ. კუბიშევში. გარდა ლექსებისა, დიადი მშენებლობის შესახებ ვაქვეყნებდი ნარკვევებს. დაბეჭდილი იქნა შემდეგი ნარკვევები: 1. „გეოდებისტი ოთარ ხვედელიძე“, 2. „იგი კომკავშირმა აღზარდა“, 3. „სტალინგრადელთა საჩუქარი“, 4. „მონინავენი“ და სხვ.

1953 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

თენგიზ გოგოლაძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|---|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | თენგიზ გიორგის-ძე გოგოლაძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1926 თვე აგვისტოს დღე 9 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. ახალქალაქი (კასპის რაიონი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | მოსამსახურე |
| 6. სოციალური მდგომარეობა | სტუდენტი |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პროზა |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1949 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1952 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიულისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | სკკპ წევრობის კანდიდატი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არა |

| | |
|---|--|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | სწავლობს სტალინის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული, ქართული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | მსახურობდა 1945 წლიდან 50 წლამდე |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | უმცრ. სერჟანტად |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|--|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემაღგენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღგენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>–</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>მედალი „XXX წელი საბჭოთა არმიისა და ფლოტის“</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>–</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>გრიბოედოვის 18</p> |

„ — “ _____ 1952 წ.

ხელმოწერა სწორია: ნ. თოფჩიშვილი.

ავტობიოგრაფია

მე, თენგიზ გიორგის-ძე გოგოლაძე, დავიბადე 1926 წლის 9 აგვისტოს, კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქში. მამაჩემი მოსამსახურე იყო, დედა – დიასახლისი.

საშუალო სკოლა თბილისში დავამთავრე. სკოლაში ყოფნისას, 1942 წელს, შევედი კომკავშირში. მალე ამირჩიეს სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1945 წლიდან 1950 წლამდე, ვმსახურობდი საბჭოთა არმიის რიგებში; მიღებული მაქვს სარდლობის მრავალი მადლობა და ფულადი ჯილდო.

არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ, ვსწავლობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

არმიაში ყოფნისას დავწერე პირველი ჩემი პროზაული ნაწარმოები, ვრცელი მოთხრობა „გარიყულას განთიადი“, რომელსაც გულთბილად შეხვდა მკითხველი. მოთხრობა მალე ითარგმნა რუსულ და ჩინურ ენებზე.

ამის შემდეგ ვწერ მცირე მოცულობის მოთხრობებს, ორიოდე ვრცელ მოთხრობასაც. ზედიზედ გამოდის ჩემი წიგნები: „მომავლის ჩირაღდნები“, „კარგი დღე“, „აღმართი“, „ოქროყანა“ და სხვები.

1966 წელს გამომცემლობა „მერანმა“ დასტამბა ჩემი ვრცელი რომანის „კაცი კაცითა“ პირველი წიგნი, ხოლო იმავე გამომცემლობამ 1970 წლის ბოლოს ამ რომანის მეორე წიგნიც გამოსცა. საერთო მოცულობით ორივე წიგნი 35 საავტორო თაბახია. ეხება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამთავრებას და გოელროს პირმშოს – ზაჰესის მშენებლობის ამბავს.

1969 წელს ლენინის დაბადების 100 და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტისა და მწერალთა კავშირის მიერ საუკეთესო პროზაულ და პოეტურ ნაწარმოებზე გამოცხადებულ კონკურსში მივიღე მონაწილეობა. ჩემმა რომანმა „ჟამი ჩვენი“ მესამე პრემია დაიმსახურა. იგი მუშათა კლასისა და ახალგაზრდების ცხოვრებას ეხება.

1952 წელს, დავგოჯახდი. ჩემი მეუღლე ექიმია. მყავს ორი ვაჟიშვილი. უფროსი მალე სტუდენტი გახდება. ორივეს ძლიერ იტაცებს ხელოვნება.

ვარ სკკპ წევრი 1953 წლიდან, მწერალთა კავშირის წევრი 1952 წლიდან.

სხვადასხვა დროს ვმუშაობდი გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციაში ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგედ, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ – რედაქტორად. ამჟამად ჟურნალ „დროშის“ პასუხისმგებელი მდივანი ვარ.

თ. გოგოლაძე

რევაზ კონსტანტინეს ძე ინანიშვილი ავტობიოგრაფია

დაბადებული ვარ 1926 წლის 20 დეკემბერს, საგარეჯოს რაიონის სოფ. ხაშში, მოსამსახურის ოჯახში. მეექვსე კლასამდე იქვე ვსწავლობდი. შემდეგ, ოჯახთან ერთად, თბილისში გადმოვედი. საშუალო სასწავლებელი რომ დავამთავრე, ქარხანაში დავინყე მუშაობა (1943 წ.). ვმუშაობდი ჯერ ზეინკლის ხელქვევითად, მერე – ამწყობ-ზეინკლად. 1945 წელს შევედი თბილისის საავიაციო ტექნიკუმში, მაგრამ არ დამიმთავრებია. 1947 წელს ტექნიკუმში მივატოვე და გამოცდები ჩავაბარე თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტში. მეორე კურსზე რომ გადავედი, უფრო ზუსტად – კურსის ბოლოს, უნივერსიტეტიც მივატოვე და სამუშაოდ წავედი იმ დროს ძლიერ პოპულარული სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობაზე. იქ ვიმუშავე 1952 წლის სექტემბრამდე. სექტემბერში უნივერსიტეტში დავბრუნდი და დავამთავრე (ფილოლოგიის ფაკულტეტი) 1956 წელს. მთელი სამი წელიწადი (და მეტიც) არსად მიმუშავია, ვცხოვრობდი ლიტერატურული შრომით. 1960 წელს მუშაობა დავინყე გამომცემლობა „ნაკადულში“. ვმუშაობდი ჯერ რედაქტორად, შემდეგ განყოფილების გამგედ. 1966 წლის 21 სექტემბრიდან დღემდე ვმუშაობ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენარო-სარედაქციო კოლეგიაში (კოლეგიის წევრად).

ვარ მწერალთა კავშირის წევრი (1957 წლიდან).

პირველი ჩემი მოთხრობა დაიბეჭდა 1950 წელს, უნივერსიტეტის ლიტერატურული წრის აღმანახ „პირველ სხივში“.

პირველი წიგნი (სათაურად „პირველი მოთხრობები“) გამოვიდა 1953 წელს.

მას შემდეგ გამოქვეყნებული მაქვს შემდეგი „სადიდო“ და „საბავშვო“ წიგნები: „მეგობრებისადმი მინაწერი წერილებიდან“ – 1958 წ. „ბედნიერი მთა“ – 1960 წ. „ზეიმი სხვენში“ – 1961 წ. „წვეთები ფოთლებზე“ – 1962 წ. „ოთხი პატარა ამბავი“ – 1963 წ. „ბიბო“ – 1964 წ. „წვეთები ფოთლებზე“ (მეორე გამოცემა) – 1965 წ. „ცისფერი გორგალი“ – 1968 წ. „სამი ტკბილი პაპისა“ – 1970 წ. „სად ცხოვრობს მეზღაპრე“ – 1970 წ.

წელს, 1971 წელს გამოვა „სალამო ხანის ჩანაწერები“.

ვმუშაობ კინოდრამატურგიაშიც. ჩემი სცენარების მიხედვით დადგმულია შემდეგი ფილმები: „არდადეგები“ – 1964 წ. „დაბრუნებული ლიმილი“ – 1967 წ.

თანაავტორი ვარ კიდევ ორი ფილმის სცენარისა – „ალავერდობა“ და „განგაში“. ამჯერად ვმუშაობ მხოლოდ და მხოლოდ მცირე ფორმის მოთხრობებზე.

ჩემი შემოქმედებითი ლაბორატორიის ერთი თავისებურება – „შავად“ ვწერ მეღნით, „ვათეთრებ“ ფანქრით, მხოლოდ და მხოლოდ კარგი ხარისხის ქალაქზე.

რ. ინანიშვილი
23. // 71

ქსენია მჟავიას ავტობიოგრაფია

დავიბადე 1926 წ. 21 დეკემბერს, ლანჩხუთის რაიონის სოფ. სუფსაში. აქვე მივიღე დაწყებითი და საშუალო განათლება. 1946–1951 წ.წ. ვმუშაობდი სუფსის საშუალო სკოლაში, ჯერ დაწყებითი კლასის მასწავლებლად (დროებით სამუშაოზე), ხოლო შემდეგ – უფროს პიონერხელმძღვანელად. სკოლაში მუშაობის წლებში ჩავირიცხე ქ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დ/განყოფილების ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

1951 წლის სექტემბრიდან გადმოვედი საცხოვრებლად ბათუმში და მუშაობა დავიწყე ქ. ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა სახლში (ამჟამად პიონერთა და მოსწავლეთა საოლქო სახლი) კულტმუშაკად. აქ ვიმუშავე 4-5 თვე. შემდეგ კი, 1952 წლის 1 სექტემბრიდან, ვმუშაობ საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილებაში კონსულტანტად.

1954 წელი ჩემს ცხოვრებაში სამი დიდი სასიხარულო მოვლენით აღინიშნა: ამ წლის ივნისში დავამთავრე ბათუმის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტი, ივლისსა თუ აგვისტოში გამოვიდა ჩემი ლექსების პირველი კრებული, ხოლო დეკემბერში მიმიღეს სკკპ წევრად (კომკავშირის რიგებში ვიყავი 1947–1951 წ.წ.).

ლექსების წერა დავიწყე საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდში, VII-VIII კლასში. ამ დროისათვის მოთხრობებსაც ვწერდი. ჩემი პირველი ლექსი დაიბეჭდა თბილისში, გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ (ახლანდელი „ლიტერატურული გაზეთი“), 1945 წლის მაისში. ამ ლექსის სათაურია „დღესასწაული“ და მიძღვნილია გამარჯვების დღისადმი. ამ წლიდან ჩემი ლექსები ხშირად იბეჭდებოდა ლანჩხუთის რაიონულ გაზეთ „დამკვრელ კოლმეურნეში“ (ახლა ამ გაზეთს ქვია „სოციალისტური შრომა“), გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების ალმანახებში: „დაფიონი“, „ლიტერატურული აჭარა“, „ტალღა“, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე და სხვ.

1959 წელს აჭარის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ჩემი ლექსების მეორე კრებული „სიცოცხლე მღერის“.

ქსენია მჟავია
ბათუმი, ტელმანის ქ. №126
13/VII – 1960 წ.

ელგუჯა მალრაძე

ბიოგრაფია

მე, ელგუჯა სამუელის ძე მალრაძე, დავიბადე 1927 წლის 1 იანვარს, ქ. ხაშურში, მოსამსახურის ოჯახში. 1933 წელს ჩვენი ოჯახი საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში. აქ შევედი სასწავლებლად 32-ე საშუალო შრომის სკოლაში, რომელიც დავამთავრე 1943 წელს. სწავლა გავაგრძელე იურიდიულ ინსტიტუტში, რომელიც 1949 წელს დავამთავრე. 1946 წელს შევედი, ხოლო 1952 წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი ინგლისური ენის განხრით.

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ჩაბმული ვიყავი საზოგადოებრივ მუშაობაში. 1947-1948 წლებში არჩეული ვიქენი უნივერსიტეტის სტუდენტთა პროფკომის თავმჯდომარის მოადგილედ, 1950-1951 წლებში – დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივნად.

შრომითი საქმიანობა დავიწყე 1951 წლიდან. დავინიშნე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის კაბინეტის პრეპარატორად.

1952 წელს ამირჩიეს თბილისის კალინინის რაიონის კომკავშირის რაიკომის პირველ მდივნად. სხვადასხვა დროს ვმუშაობდი თბილისის პიონერთა სასახლეში, მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის დირექტორად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერების, კულტურისა და სკოლების განყოფილების ინსტრუქტორად.

1957 წელს დავინიშნე სატირიკულ-იუმორისტული ჟურნალის „ნიანგის“ რედაქტორად, საიდანაც 1959 წელს გადაყვანილი ვიქენი გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ მხატვრული ლიტერატურის რედაქციის გამგედ. 1960-1961 წლებში ვმუშაობდი საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანოს – ჟურნალ „მნათობის“ პასუხისმგებელ მდივნად და მთავარი რედაქტორის მოადგილედ. 1961 წლის დეკემბრიდან დავინიშნე გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მთავარ რედაქტორად, ხოლო 1964 წლის იანვრიდან ამავე გამომცემლობის დირექტორად.

1967 წელს ივნისში დავინიშნე საქართველოს მწერლების კავშირის მდივნად, საიდანაც 1967 წლის ნოემბერში გადაყვანილი ვიქენი ჟურნალ „მნათობის“ მთავარ რედაქტორად.

1952 წლიდან ვარ სკკპ წევრი.

1959 წლიდან ვარ საბჭოთა კავშირის ჟურნალისტთა კავშირის, ხოლო 1963 წლიდან საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრი.

1964 წლის 14 ოქტომბერს დავიცავი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1970 წლის 8 აპრილს დავიცავი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ნოდარ გურეშიძე

| პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
|--|--|
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | გურეშიძე ნოდარ ვარლამის-ძე |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1927 თვე მარტი დღე 10 |
| | (ძველი თუ ახალი სტილი) ს. მარანში (აბაშის რაიონი) |
| 4. ეროვნება | ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | – |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულად |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1946 წ. |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1955 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | ალკკ – წევრი |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | არსად |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | რუსული, ქართული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|---------------------------------------|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>სამხედრო ვალდებული</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>–</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>–</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>ჩერნიშევსკის 9</p> |

„ — “ _____ 1954 წ.

ხელმოწერა _____

ნოდარ ვარლამის-ძე გურეშიძის ავტობიოგრაფია

მე, ნოდარ ვარლამის-ძე გურეშიძე, დავიბადე 1927 წლის 10 მარტს, სოფ. მარანში (აბაშის რაიონი, საქართველოს სსრ-ი).

1944 წელს დავამთავრე მე-3 სალამოს რკინიგზის სკოლა ქ. თბილისში.

1945 წ. შევედი თბილისის სტალინის სახელობის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1950 წელს.

1952 წლის სექტემბრიდან ვმუშაობ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო, გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებას“ რედაქციაში პოეზიის განყოფილების გამგედ.

ლიტერატურულ სარბიელზე გამოვედი 1946 წელს. ამის შემდეგ ვთანამშრომლობ ყველა პერიოდულ ჟურნალ-გაზეთებში.

ჩემი ნაწარმოებები (ლექსები, მოთხრობები, კრიტიკული წერილები, ნარკვევები, კორესპონდენციები) სისტემატურად ქვეყნდება პერიოდულ გამოცემებში 1946 წლიდან.

ზოგიერთი ჩემი ნაწარმოები გამოცემულია რუსულ ენაზე.

დამზადებული მაქვს ლექსების წიგნი გამოსაცემად.

ვარ ალკკ წევრი.

ჩემი ნაწარმოებების სია:

1. „ბელადის მოგონება“, 1946 წ.
2. „იმერეთის გაზაფხული“, 1947 წ. (ლექსების ციკლი).
3. „სატირიკული მოთხრობები“ (პროზა), 1948 წ.
4. ლექსები სამშობლოზე, პოეზია, 1947–54 წ.
5. „დილა მშვიდობისა, ამხანაგებო“ (ლექსების ციკლი), 1952 წ.
6. „ლექსი ტყეზე“, „-“.
7. „მოსკოვის ცა“, ლექსი, 1952 წ.
8. „ლექსები უკრაინაზე“, 1953 წ.
9. „ლირიკული ლექსები“, 1954 წ.
10. „სამაისო სიმღერები“, „-“.
11. „იზაბელას დღესასწაული“, 1954 წ.
12. „სიტყვა ვოლგა-დონზე“, „-“, და სხვა.

ნ. კლ., 1956 წ.

ნ. თოფჩიშვილი.

გივი ძნელაძე ავტობიოგრაფია

მე, გივი ალექსანდრეს-ძე ძნელაძე, დავიბადე 1927 წლის 23 აგვისტოს, ჩოხატაურის რაიონის სოფ. ბურნათში.

დედა – ელისაბედ ელიზბარის ასული ჩხაიძე, დაბადებული 1901 წელს, კოლმეურნე.

მამა – ალექსანდრე ივლიანეს-ძე ძნელაძე, მოსამსახურე, გარდაიცვალა 1932 წელს.

მეუღლე – ლამარა სიმონის ასული კაკაბაძე, მუშაობს თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, უფროს ბიბლიოთეკრად.

მყავს ორი შვილი – ვახტანგი (დაბადებული 1962 წ.) და ძიძია (დაბადებული 1965 წელს).

1947 წელს დავამთავრე ჩოხატაურის რაიონის სოფ. კოხნარის საშუალო სკოლა და იმავე წელს სწავლა გავაგრძელე ქ. თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის პედ. ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე.

ვიყავი კოხნარის საშუალო სკოლის კომკავშირის კომიტეტის პირველი მდივანი, გაზეთ „სამგორის“ სტამბა-რედაქციის პარტორგანიზაციის მდივანი (თბილისში).

ამჟამად ვმუშაობ ჟურნალ „ცისკრის“ პოეზიის განყოფილების გამგედ.

ვარ სკკპ წევრი 1949 წლიდან, საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრი – 1957 წლიდან.

გ. ძნელაძე
1976 წელი

ნაზი კილასონია

| პირადი ბარათი | |
|--|------------------------------------|
| საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა) | |
| 1. გვარი, სახელი და მამის სახელი | კილასონია ნაზი გიორგის ასული |
| 2. ლიტერატურული ფსევდონიმი | – |
| 3. დაბადების თარიღი და ადგილი | წელი 1927 თვე ოქტომბრის დღე 20 |
| | ს. აბისი (ქარელის რაიონი) |
| 4. ეროვნება | (ძველი თუ ახალი სტილი) ქართველი |
| 5. სოციალური წარმოშობა | მოსამსახურე |
| 6. სოციალური მდგომარეობა | მოსამსახურე |
| 7. ლიტერატურული ჟანრი | პოეზია |
| 8. რა ენაზე წერს | ქართულზე |
| 9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი | 1951 წელი |
| 10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის № | 1954 წ. |
| 11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე | არსად |
| 12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე | უპარტიო |
| 13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე | – |

| | |
|---|---|
| 14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი) | არა |
| 15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი) | უმაღლესი, სტალინის სახელობის უნივერსიტეტი, ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი |
| 16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება) | არა |
| 17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს) | ქართული, რუსული |
| 18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება) | არა |
| 19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე) | არა |
| 20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში) | არა |
| 22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან) | არა |
| 23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს) | არა |

| | |
|---|-----------------------------|
| <p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p> | <p>არა</p> |
| <p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p> | <p>არა</p> |
| <p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p> | <p>არა</p> |
| <p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p> | <p>არა</p> |
| <p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p> | <p>არა</p> |
| <p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p> | <p>არა</p> |
| <p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p> | <p>ლიტერატურული მუშაობა</p> |
| <p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p> | <p>კერესელიძის 6</p> |

„ — “ _____ 195 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამიდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ნაზი გიორგის ასული კილასონიას ავტობიოგრაფია

მე, ნაზი გიორგის ასული კილასონია, დავიბადე 1927 წლის 20 ოქტომბერს სოფელ აბისში, ქარელის რაიონში.

1928 წელს ჩემი მშობლები მუდმივ საცხოვრებლად გადმოვიდნენ თბილისში.

1951 წელს დავამთავრე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. ამავე წელს დაიბეჭდა ჩემი პირველი ლექსები ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

1951 წელს გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა ჩემი ლექსების პირველი წიგნი.

1955 წელს მიღებული ვიქენი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრად.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

Автобиография Гурама Левановича Асатиани

Родился В 1928 г., 12 августа, в Тбилиси, в семье грузинского писателя Л. Асатиани. Окончил грузинскую школу. В 1945–47 гг. учился на филологическом факультете Тбилисского гос. Университета. В 1947 году поступил и в 1951 г. окончил филологический факультет Московского гос. Университета. В 1956 году в Московском Областном Педагогическом Институте защитил диссертацию на соискание степени кандидата филологических наук. С апреля 1956 года живу в Тбилиси. С 1957 года работаю в Институте истории грузинской литературы им. Руставели. С 1966 года являюсь руководителем отдела Новой грузинской литературы данного Института.

Печатать литературоведческие статьи начал еще в студенческие годы. Печатаюсь в грузинской и русской периодике. В разное время (с 1958 г.) вышли мои книги: „Тициан Табидзе“ (на русск. языке), „Поэзия и поэты“, „Грузинские лирики“, „Мерани“ и его автор“, „Николоз Бараташвили“, „От „Витязя“ до „Бахтриони“ (на грузинском языке).

В 1962 г. принят в Союз писателей СССР. В данное время являюсь членом президиума союза писателей Грузии, Членом Совета по критике Союза писателей СССР. Членом редколлегии газеты „Литературули Сакартвело“ и журнала „Литературное обозрение“.

В 1974 году получил совместную премию союза писателей и журналистов СССР за лучшую критическую работу года.

Г. Асатиани
12/1. 75 г.

მუხრან მაჭავარიანი

ავტობიოგრაფია

დავბადებულვარ 1929 წლის 12 აპრილს, საჩხერის რ-ნის სოფ. არგვეთში (არგვეთი სხვაა და არგვეთა – სხვა! ნურვინ გარევ ერთმანეთსა)!

ბებიაჩემს თურმე ჩემთვის თავისი მამამთილის სახელი – ლუარსაბი უნდოდა დაერქმია (კიდევ კარგი – არ დამარქვა)!

მუხრანი დედაჩემს დაურქმევია.

1930 წელს ჩვენი ოჯახი საცხოვრებლად გადმოსულა თბილისში.

ლექსების თხზვა წერა-კითხვის შესწავლამდე დამიწყია.

თბილისის ვაჟთა მე-7 საშ. სკოლის დამთავრების შემდეგ (1947), სწავლა განვაგრძე თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე.

ყოველ საზაფხულო არდადაგებს მშობლიურ სოფელში ვატარებდი. ალბათ ამიტომაც, ასე ჭარბად, ჩემს შემოქმედებაში – ჩემი სოფლის სურათები.

ფართო აუდიტორიის წინაშე პირველად 1949 წელს წარვსდექი, მაგრამ მხოლოდ 3 წლის შემდეგ, 1952 წელს მოხერხდა ჩემი ორიოდე ლექსის გამოქვეყნება, ისიც უნივერსიტეტის აღმანახ „პირველ სხივში“.

ახლა, როცა ვიხსენებ ჩემს პირველ ლექსებს, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ქართულ პოეზიაში ჩემი გამოჩენა, დიდი მოულოდნელობაც იყო და დიდი სიახლეც (საოცარია, როგორ ახერხებდა, იმ დროს, ზოგიერთი ჩვენი გამოჩენილი პოეტი, ჩემს მიმართ, დღემდე ჩემთვის გაუგებარ, გულგრილ დამოკიდებულებას)!

1954 წელს მიმიღეს საქ. მწერლების კავშირის წევრად.

ჩემი ლექსების პირველი წიგნი გამოიცა 1955 წელს.

დღემდე, საყმაწვილო წიგნების ჩათვლით, გამოცემული მაქვს ათამდე წიგნი. ვენევი მთარგმნელობით მუშაობასაც.

ახლახან დავამთავრე თანამედროვე ბულგარული პოეზიის თარგმნა.

მუხრან მაჭავარიანი

15/XII-70

თბილისი

შოთა ნიშნიანიძე

ავტობიოგრაფია

დავიბადე 1929 წელს ქ. თბილისში.

1946 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 37-ე საშუალო სკოლა, 1953 წელს – თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, 1960 წელს – მოსკოვის გორკის სახ. ლიტერატურულ ინსტიტუტთან არსებული უმაღლესი ლიტ. კურსები.

პირველი ლექსი დაიბეჭდა 1950 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“.

პირველი წიგნი „მე და შენ“ გამოქვეყნდა 1956 წელს (გამ-ბა „საბჭოთა მწერალი“).

დღემდე გამოქვეყნებულია ლექსების 12 კრებული ქართულ ენაზე, 3 კრებული რუსულ ენაზე. ვთარგმნე და ცალკე წიგნებად გამოვაქვეყნე რუსი პოეტების 3 კრებული.

1957 წლიდან ვარ სსრკ მწერალთა კავშირის წევრი.

შოთა ნიშნიანიძე

25.1. 1971

მორის ფოცხიშვილი

დავიბადე 1930 წლის 11 ივნისს, ქ. თბილისში.

1949 წელს დავამთავრე თბილისის ვაჟთა 37-ე საშუალო სკოლა, ხოლო 1954 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი ჟურნალისტიკის განხრით.

პირველი ლექსები გამოვაქვეყნე 1950 წელს, პირველი წიგნი ლექსებისა სახელწოდებით „ალუბლები წვიმაში“ – 1957 წელს.

ამჟამად ოცამდე პოეტური კრებულის ავტორი ვარ. რამოდენიმე წიგნი ბავშვებისათვის არის განკუთვნილი.

შევადგინე და ვთარგმნე ანთოლოგიური ხასიათის კრებული „მსოფლიოს პოეტები – დედას“.

ჩემი ლექსები თარგმნილია საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე.

1958 წლის ივნისში მიმიღეს მწერალთა კავშირის წევრად.

1962 წელს – სკკპ რიგებში.

1971 წელს ლექსების კრებულისათვის „რწმენა“, საბავშვო პოემისათვის „ხარულა და ხარხარა“ და საქართველოს კომკავშირისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლისათვის მომენიჭა საქართველოს კომკავშირის პრემია.

1974 წელს ლექსების რკალისათვის „ცის გახსნა“ – ნიკოლოზ ოსტროვსკის სახელობის საკავშირო ლიტერატურული პრემია.

1976 წელს ლექსისათვის „არ ხარ უცნობი“ – გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემია.

1979 წელს ვიღებ მწერალთა კავშირის ლიტერატურულ პრემიას 1978 წელს „მნათობში“, „ცისკარში“ და „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული ლექსებისათვის.

წლების მანძილზე ვმუშაობდი გამომცემლობებში, მწერალთა კავშირში – რედაქტორად, ლიტ. კონსულტანტად.

ამჟამად ჟურნალ „ცისკარის“ მთავარი რედაქტორი ვარ.

4.05.79 წ.

ნოდარ შამანაძე ავტობიოგრაფია

მე, ნოდარ შალვას-ძე შამანაძე, დავიბადე 1930 წელს, საჩხერის რაიონის სოფელ მერჯევში. 1948 წელს დავამთავრე საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთის საშუალო სკოლა, 1953 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, 1957 წელს – თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის გერმანული ენის ფაკულტეტი, ხოლო 1962 წელს – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურა ფოლკლორის განხრით.

1957 წელს გამოვეცი ლექსთა პირველი კრებული. 1958 წელს მიმიღეს საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრად.

გამოცემული მაქვს ლექსების, მოთხრობებისა და მეცნიერული ნაშრომების ათზე მეტი კრებული: „სულმა სულში ჩაიხედა“, „იმედის თეთრო ყვავილო“, „სამახარობლო“, „შორენას სიმღერა“, „ფოლკლორული ეტიუდები“ და სხვ.

1964 წელს დავიცავი დისერტაცია და მომენიჭა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

საკ. კ. პარტიის წევრი ვარ 1950 წლიდან.

*ნ. შამანაძე
17. XI. 70 წ.*

ნოდარ ნარსია ავტობიოგრაფია

დავბადებულვარ 1931 წლის 15 მარტს, საქ. სსრ., აბაშის რაიონის სოფ. ძველ აბაშაში, კოლმეურნის ოჯახში.

ჩემი ბავშობისა და ყრმობის პერიოდი დიდი სამამულო ომის მსვლელობას დაემთხვა. ასე რომ, სამამულო ომის ძნელმა ცხოვრებამ ჩემს ბავშვობასაც დააჩნია თავისი კვალი.

ახლაც ნათლად მახსოვს, როცა მამა სამამულო ომში გაიწვიეს და ხუთი ბავშვი დედას დავრჩით სარჩენად. მახსოვს ის დღეც, როცა ინვალიდი მამა დაგვიბრუნდა, ორთავე ფეხმოკვეთილი.

ბავშვობის წლებში, სწავლასთან ერთად, ფიზიკურადაც ვმუშაობდი.

1948 წელს დავამთავრე დაბა აბაშის II საშუალო სკოლა.

1948–1951 წ.წ. ჩემი ფიზიკური შრომით ოჯახს ვეხმარებოდი.

1951 წელს ჩავირიცხე მოსკოვის სავაჭრო-ეკონომიური ინსტიტუტის თბილისის ფილიალში, სააღრიცხვო ფაკულტეტის საღამოს დასწრებულზე.

1954–1956 წ.წ. ვმსახურობდი საბჭოთა არმიის რიგებში, რიგითად. დემობილიზაციის შემდეგ მუშაობა დავიწყე თბილისში სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა თანამდებობებზე.

ლექსების წერა დავიწყე 16 წლის ასაკში. პირველად 1952 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ დავბეჭდე ლექსი. ჩემი პირველი ლექსების კრებული, თანაავტორებთან ერთად, 1960 წელს ერთ წიგნად გამოსცა გამომცემლობა „ნაკადულმა“. 1961 წელს გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა ჩემი პირველი დამოუკიდებელი წიგნი, სახელწოდებით „მზეს გამოჰყევით“.

დღემდე ვარ სამი დამოუკიდებელი წიგნის ავტორი: „მზეს გამოჰყევით“ (1961 წ.), „ლამაზო დღეო“ (1966 წ.) და „ლექსები“ (1967 წ.). ჩემი თარგმანები აფხაზური და ოსური პოეზიის ნიმუშებისა შესულია აფხაზური და ოსური პოეზიის ქართულად გამოცემულ ანთოლოგიებში.

1965 წლიდან ვარ საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრი. ვარ სკკპ წევრი 1969 წლიდან. 1971 წლისათვის გამომცემლობა „მერანი“ გამოსცემს ჩემს ახალ ლექსების წიგნს.

ნოდარ ნარსია
20/XI – 70 წელი

როსტომ ბეჟანიშვილი

ავტობიოგრაფია

როსტომ ტიტკოს ძე ბეჟანიშვილი დავიბადე 1931 წლის 1-ლ ივნისს საქართველოში, წითელ-წყაროს რაიონის სოფ. ზემო მაჩხაანში, მოსამსახურის ოჯახში. 1938 წ. შევედი და 1949 წ. დავამთავრე თბილისის მე-7 ვაჟთა საშუალო სკოლა. იმავე წელს შევედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტი დავამთავრე 1954 წ. 1965 წ. მოვიპოვე ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

შემოქმედებითი მუშაობა დავიწყე მონაფეობის პერიოდში, 1946-47 წ.წ. საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში გამოვაქვეყნე პატარა მოთხრობები და ეტიუდები.

პირველი დიდი მოთხრობა „ოსტატი“ დაიბეჭდა „ახალგაზრდა მწერლების კრებულში“, 1951 წელს, რომლის რედაქტორები იყვნენ იმ ხანად საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, გამოჩენილი პოეტი სიმონ ჩიქოვანი და მწერალი რაჟდენ გვეტაძე.

ამის შემდეგ სისტემატურად იბეჭდებოდა ჩემი მოთხრობები ქართულ პერიოდულ პრესაში, ხოლო 1954 წ. გამოვიდა ცალკე წიგნად პირველი რომანი „ჯარისკაცის ბედი“. იმავე წელს მიმიღეს მწერალთა კავშირის წევრად.

საბავშვო ნაწარმოებების რესპუბლიკურ კონკურსზე გამარჯვებული ჩემი ვრცელი მოთხრობა „აღმაფრენა“ ცალკე წიგნად გამოვიდა 1956 წ. ამას მოჰყვა „მოთხრობების“ კრებული 1957 წ.

1959 წ. ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნების შემდეგ ცალკე გამოცემით დაისტამბა რომანი „სამამულე რქა“, შემდეგ კი მოთხრობების კრებულები: „გარეუბნელი მეზობლები“ – 1960 წ., „გულაღმა მოთიბული ბალახზე“ – 1961 წ.

1963 წ. გამოიცა რომანი „ჩვენი უკანასკნელი თამაში“.

1967 წ. რომანი „სამამულე რქა“ მეორე გამოცემით იხილა მკითხველმა, რასაც 1969 წ. მოჰყვა რომანი „შურისგების კალი“. იმავე წელს დაიბეჭდა ვრცელი კრიტიკული ეტიუდი „ნიკო ლორთქიფანიძე“.

რუსულ ენაზე ჟურნალმა „Юность“-მა 1958 წ. დაბეჭდა „აღმაფრენა“ („Взлет“), 1961 წ. გამომცემლობა „Заря Востока“-მ რომანი „Побеги грядущего“ – 1961 წ.

მოსკოვის გამომცემლობა „Советский писатель“-მა გამოსცა ჩემი ორი წიგნი: მოთხრობებისა და ნოველების კრებული „Взлет“ – 1961 წ. და რომანი „Поединок“ – 1968 წ.

გამომცემლობა „ნაკადული“ 1971 წელს გამოსცემს ჩემს ჰეროიკულ ბალადას „სამასი არაგველი“, რომელიც 1970 წელს ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა. ამ ნაწარმოებში ვცადე ქართველი ხალხის უკვდავი გმირობის ასახვა. ამჟამად ვმუშაობ რომანზე მუშათა კლასის ცხოვრებიდან.

როსტომ ბეჟანიშვილი
1971 წ. 22 იანვარი

ოთარ შალამბერიძე

ავტობიოგრაფია

დავიბადე 1932 წელს ქ. თბილისში. 1950 წელს შევედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე. ამავე წელს დაიბეჭდა ჩემი პირველი ლექსი.

1957 წელს გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“ (ამჟამად „მერანი“) გამოსცა ჩემი ლექსების პირველი წიგნი – „ლირიკული აპრილი“, ხოლო მომდევნო – 1958 წელს. მიმიღეს სსრკ მწერალთა კავშირის წევრად.

1960 წელს საქართველოს მწერალთა კავშირმა გამაგზავნა მოსკოვში მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებულ უმაღლეს ლიტერატურულ კურსებზე, რომელიც დავამთავრე 1962 წელს.

1965 წელს გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელმა“ რუსულ ენაზე გამოსცა ჩემი ლექსების წიგნი „Моя голубятня“.

დღემდე გამოცემული მაქვს ლექსების 10 წიგნი. ხშირად ვთარგმნი მოძმე რესპუბლიკის პოეტების ლექსებს.

მყავს მეუღლე და ორი შვილი – ქალ-ვაჟი.

ოთარ შალამბერიძე

ლევან გელაძე ავტობიოგრაფია

დავიბადე 1932 წელს, 5 დეკემბერს, ხულოს რაიონის სოფ. ლურტაში, გლეხის ოჯახში. აქვე მივიღე არასრული საშუალო განათლება.

1947 წელს შევედი ხულოს პედაგოგიურ სასწავლებელში, რომელიც დავამთავრე 1951 წელს. პედსასწავლებელში, სწავლის პერიოდში, ვცხოვრობდი სოფ. დეკანაშვილებში, დეკანაძის ბინაში.

1951 წელს ჩავირიცხე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში პედიატრიულ ფაკულტეტზე. ამ პერიოდში ვცხოვრობდი მედექალაქში №74 ოთახში.

1957 წელს სამედიცინო ინსტიტუტი დავამთავრე პირველი ხარისხის დიპლომზე და მუშაობა დავიწყე ქ. ბათუმის ბავშვთა საავადმყოფოში ექიმ-ორდინატორად, სადაც ვმუშაობ ამჟამადაც. ბათუმში პირველად ვცხოვრობდი მოსკოვის ქ. №107 სახლში, გელაძის ბინაში, შემდეგ ბარათაშვილის ქ. №14, დოლიძის ბინაში.

1958 წელს მივიღე საკუთარი ბინა მარქსის ქ. №48 სახლში, სადაც ვცხოვრობ ამჟამადაც.

პირველი ლექსი დავწერე 1947 წელს. 1951 წელს, სამედიცინო ინსტიტუტში შესვლასთან დაკავშირებით, შევწყვიტე წერა. 1952 წელს ისევ დავიწყე.

პირველი ლექსი სათაურით „მეც მივდივარ“ დაიბეჭდა 1954 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“.

1957 წელს ვმონაწილეობდი აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაში, რომელიც გაიმართა თბილისში. 1957 წელსვე გამოვიდა ჩემი პირველი კრებული „მაღალი მთიდან“, 1958 წელს – მეორე კრებული „მწვანე აკვანი“, ხოლო 1959 წელს გამოვიდა მე-3 ნიგნი „ნალვერდალი“, რომელშიც დაიბეჭდა პოემა „გუნემ“.

1947 წელს შევედი ალკკ რიგებში. 1951 წლიდან ვარ საკ. კპ. წევრი.

1958 წლიდან ვარ საბჭოთა მწერლების კავშირის წევრი.

1950 წელს მოვეკიდე ოჯახს. მყავს ორი შვილი, ვაჟი და ქალი.

ლ. გელაძე
25. VII. 1960 წელი

ვალერიან ჩეკურიძე ბიოგრაფიული ცნობები

დავიბადე 1932 წელს ახმეტის რაიონის სოფელ ყვარელწყალში, გლეხის ოჯახში. მამა, გრიგოლ ივანეს ძე ჩეკურიძე, ფშაველი, პანკისში ჩამოსახლებულა უკანაფშავიდან (დუშეთის რაიონი). სკკპ წევრი იყო 1921 წლიდან, გარდაიცვალა 1954 წელს. დედა, თამარ პაპას ას ჩეკურიძე, ფშაველი, დიასახლისი, გარდაიცვალა 1948 წელს.

დუისის საშუალო სკოლა დავამთავრე 1953 წელს. ამავე წელს მუშაობა დავიწყე გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციაში, სადაც ათი წელი ვიმუშავე. 1962 წელს დავამთავრე ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი.

1963 წელს შევედი სკკპ რიგებში.

1963 წელს მუშაობა დავიწყე საქართველოს მთავლიტში რედაქტორად. ახლაც იქ ვმუშაობ.

პირველი ლექსი გამოვაქვეყნე გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ 1953 წელს. 1960 წელს ჟურნალ „მნათობში“ სიმონ ჩიქოვანმა დამიბეჭდა პირველი მოთხრობა. იმ დღიდან ლექსების წერას თავი დავანებე და დავიწყე მოთხრობების წერა.

1964 წელს გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებამ“ გამოსცა ჩემი მოთხრობების პირველი კრებული „გაჯავრებული მაყარი“.

1967 წელს გამოვიდა ჩემი მეორე წიგნი „ჩვენებური კაცი“.

1968 წელს გამოვიდა მესამე წიგნი „სამი უჩინმაჩინი“.

1968 წლის 6 თებერვალს მიმიღეს სსრკ მწერალთა კავშირის წევრად.

მოთხრობებს ვაქვეყნებ ჟურნალების – „ცისკრის“, „მნათობის“, „საქართველოს ქალის“, გაზეთების – „ლიტერატურული საქართველოს“, „კომუნისტის“ ფურცლებზე.

ვალ. ჩეკურიძე

ზაურ ბოლქვაძე

ავტობიოგრაფია

მე, ზაურ ემელიანეს ძე ბოლქვაძე, დავიბადე 1933 წლის 2 აპრილს, ჩოხატაურის რაიონის სოფელ გუთურში, გლეხის ოჯახში.

მამაჩემი, ემელიანე ილარიონის ძე ბოლქვაძე, დაბადებული 1904 წელს, იყო კოლმეურნე. 1941 წელს იგი გაიწვიეს სამამულო ომში, სადაც დაიკარგა უგზო-უკვლოდ.

დედაჩემი, კესარია ანთიმოზის ასული სიმონიშვილი-ბოლქვაძისა, დაბადებული 1909 წელს, არის პენსიონერი.

მყავს 4 და.

სწავლა დავიწყე 1941 წელს სოფელ გუთურის რვანლიან სკოლაში, რომელიც ფრიადებზე დავამთავრე 1948 წელს.

1946 წელს შევედი ლენინური კომკავშირის რიგებში.

1948 წელს სწავლა გავაგრძელე ჩოხატაურის საშუალო სკოლაში და დავამთავრე იგი 1951 წელს ოქროს მედლით.

სკოლაში სწავლის პერიოდში ვმუშაობდი სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად, ვიყავი სკოლის კედლის გაზეთისა და მოსწავლეთა ხელნაწერი ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორი, აგრეთვე რაიონული კომიტეტის წევრი, საქ. ალკკ მე-18 ყრილობის დელეგატი.

1951 წელს ჩავირიცხე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებაზე. სტუდენტობის წლებში ვასრულებდი სხვადასხვა კომკავშირულ სამუშაოებს.

1956 წელს დავამთავრე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარჩინებითი დიპლომით.

ერთი წელი ვიმუშავე საქართველოს რადიოინფორმაციის მთავარი სამმართველოს კორესპონდენტად.

1957 წელს მუშაობა დავიწყე უნივერსიტეტის მრავალტირაჟიანი გაზეთის – „ახალგაზრდა სტალინელის“ რედაქციაში, პასუხისმგებელ მდივნად.

1962–65 წლებში ვიყავი ჟურნალ „ცისკრის“ განყოფილების გამგე.

ამჟამად ვმუშაობ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სატირისა და იუმორის ჟურნალ „ნიანგის“ პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობაზე.

1961 წლიდან ვარ სკკპ წევრი.

ვარ სსრ კავშირის მწერალთა კავშირის წევრი, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ლექტორი, საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის წევრი, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

დაჯილდოებული ვარ მედლებით: „1941–45 წწ. სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“, „ყამირი მიწების ათვისებისათვის“, აგრეთვე საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით.

უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის წევრი ვიყავი 1951 წლიდან. 1958–61 წლებში ვასრულებდი აღნიშნული წრის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობას და ვიყავი აღმანახ „პირველი სხივის“ სარედაქციო კოლეგიის პასუხისმგებელი მდივანი.

პირველი ლექსი დავბეჭდე გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“, 1951 წელს.

1952 წელს ქართველ ახალგაზრდა მწერალთა აღმანახში, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა, დაიბეჭდა ჩემი რამდენიმე ლექსი.

„პირველი სხივის“ IV და V–VI ტომებში გამოქვეყნდა ჩემი ლექსები და თარგმანები.

1959 წელს გამომცემლობა „ნაკადული“ გამოსცა ოთხი ახალგაზრდა პოეტის კრებული „სიმღერის დაბადება“, რომლის ერთ-ერთი ავტორი მეც ვარ.

1961 წელს გამოვიდა ჩემი ლექსების პირველი კრებული „ღელვის დასაწყისი“ (გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“).

გამოცემულია ჩემი წიგნები: „ლექსები“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1964 წ.), „მინის სიმწვანე“ (გამომცემლობა „ნაკადული“, 1966 წ.), „ლექსები“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1968 წ.), „ვარსკვლავები“ (გამომცემლობა „მერანი“, 1970 წ.).

ვთარგმნე და გამოვაქვეყნე ნიკოლოზ ტიხონოვის, ალექსანდრე ტვარდოვსკის, ბელა ახმადულინას, იანკა კუპალას, ემილ ლოტიანუს, სომეხი, ტაჯიკი, აფხაზი და ოსი პოეტების ლექსები.

ჩემი ლექსები დაიბეჭდა რუსულ, უკრაინულ, პოლონურ, გერმანულ და ბერძნულ ენებზე.

„ნიანგის“ ბიბლიოთეკის“ სერიით, „ბათუ მელიას“ ფსევდონიმით, 1969 წელს გამოვიდა ჩემი სატირულ-იუმორისტული ნაწარმოებების კრებული.

წელს გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელი“ რუსულ ენაზე გამოსცემს ჩემი რჩეული ლექსების კრებულს.

მყავს მეუღლე და ორი შვილი.

ბინის მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი, III კვარტალი, VII კორპუსი, ბინა 15, ტელეფონი 31-05-86.

სამსახურის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი №42, ჟურნალ „ნიანგის“ რედაქცია. ტელეფონი: 93-10-78.

ზაურ ბოლქვაძე
1971 წელი, 10 თებერვალი

ლეილა ერაძე ავტობიოგრაფია

მე, ლეილა უშანგის ასული ერაძე, დავიბადე 1935 წელს, ქ. თბილისში, მოსამსახურის ოჯახში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1953 წელს, შევედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის თურქული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე. სტუდენტობის წლებშივე დავიწყე თარგმნა თურქული და აზერბაიჯანული ენებიდან.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1958 წელს მუშაობა დავიწყე ჟურნალ „დილას“ რედაქციაში ლიტერატურულ მუშაკად, სადაც ვმუშაობ დღემდე. 1959 წელს საქ. ალკკ ცკ-მა გამგზავნა მოსკოვში, ცენტრალურ კომკავშირულ სკოლაში სასწავლებლად, რომლის დამთავრების შემდეგ კვლავ „დილას“ რედაქციაში განვაგრძე მუშაობა.

1965 წელს შევედი საქ. მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერატურულ ურთიერთობათა დარგის ასპირანტურაში, რომელიც დავამთავრე 1969 წელს.

1970 წელს დავიცავი დისერტაცია თემაზე: „აზერბაიჯანელი მწერლები და საქართველო“. დღეისათვის ნათარგმნი და ცალკე წიგნებად გამოცემული მაქვს 12 სხვადასხვა სახელწოდების პოეტური და პროზაული ნაწარმოებების კრებული, აზერბაიჯანული ენიდან. ხოლო ჩემს საბავშვო და სადიდო ლექსთა კრებულებს გამოსაცემად ამზადებს გამომცემლობები: „ნაკადული“ და „მერანი“.

საბჭ. კავშ. კომუნისტური პარტიის წევრი ვარ 1963 წლიდან, ხოლო მწერალთა კავშირისა – 1965 წლიდან.

ლ. ერაძე
10. 4. 73

ზურაბ გორგილაძე

ავტობიოგრაფია

დავიბადე 1937 წელს, 5 მაისს, სოფელ ხალაში. საშუალო სკოლა 1954 წელს დავამთავრე. პირველი ლექსი კოდმის იაზე დავწერე. იგი ნუნუ მასნავლებელს ვაჩვენე, ნუნუ მასნავლებელმა კედლის გაზეთში დამბეჭდა... ყოველივე ასე დაიწყო.

1954 წელს გავხდი სტუდენტი. სიყვარულით ვისმენდი ქალბატონი ნელი დუმბაძისა და ბატონი კონა გიგინეიშვილის ლექციებს. სტიპენდიას არასოდეს ვლებულობდი, მაგრამ ლექტორ-მასწავლებლებს მაინც ვუყვარდი. ვიყავი ლიტერატურული წრის რიგითი წევრი, ჩემი გატაცება იყო შანდორ პეტეფისა და ალექსანდრე საჯაიას საოცრად მიწიერი პოეზია. ყველას ქვეყნის შვილი გვქვია და იმთავითვე განვიცდიდი აჭარის ბედუკულმართ წარსულს. აჭარა, ეს მთებზე მიკიდული ხურჯინი, ქუდის კაცივით ედგა დედა საქართველოს. ჩემს წინაპრებს არასოდეს არავისთვის არაფერი უხვეწნიათ, ისინი ყოველთვის იბრძოდნენ. ჩადრით თუ ჩაქურით, მაჭახელათი თუ რწმენით, გადამირჩინეს ჩემი ძირძველი სიტყვა.

ამან დამანერინა ჩემთვის ყველაზე ახლობელი ლექსი „სულხან-საბა“. „აჭარაში განმძარცვესო ფრიად“ – ბრძანა ამ დიდებულმა კათოლიკემ და თითქოს ყოველივე ჩემი დანაშაული იყო. დიახ, მე გავქურდე იგი, მე წარვსტაცე ბაჯალლოთი სავესე ხურჯინი, მისი სიბრძნე მამულს დავურიგე, სიცრუე დღემდე ვმალე და ასე გადავრჩი. შემინდო და მაპატია ეს ქურდობა მისმა უნეტარესმა სულმა. დღეს ოთხი წიგნის ავტორი და ორი შვილის მამა ვარ. ვფუსფუსებ ჩემს ბათუმში, ჩემს პალმებთან, ჩემს ზღვასთან და რასმე მაიმედებს პორტიდან გასული გემების უკან დაბრუნებული კვამლი. ამ პალმების იქით, ამ ანძებისა და აფრების იქით იწყება ჩემი ასპარეზი. მედიდგულება, რომ მთებსშორის ჩავარდნილი ქალაქში არ ვცხოვრობ. ჩემს წინ სივრცეა ზღვისა, თავისი მიქცევითა და მოქცევით, შტორმებითა და სამუშეებით, მე ჰორიზონტალურად ვიხედები და ეს, ალბათ, თანამედროვე თავმდაბლობაა. ასე მოვედი დღემდე.

ვნახოთ...

ზურაბ გორგილაძე

იზა ორჯონიკიძე

ავტობიოგრაფია

მე, იზა (იზოლდა) არჩილის ასული ორჯონიკიძე, დავიბადე 1938 წლის 21 ნოემბერს, ქ. თბილისში, სტუდენტთა ოჯახში. დედა – თამარ გრიგოლის ასული სრესელი-ორჯონიკიძე – დაწყებითი სკოლის მასწავლებელი გახლდათ. მამა – არჩილ მალაქიას ძე ორჯონიკიძე – მე-2 კურსის სტუდენტი იყო სამხატვრო აკადემიისა, როცა მოხალისედ წავიდა დიდი სამამულო ომის დაწყების პირველსავე დღეებში.

1947 წელს სწავლა დავიწყე ქ. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლაში და დავასრულე იგი 1957 წლის მაისს. ერთი წელი ვმუშაობდი ს. ორჯონიკიძის სახ. №1 სამკერვალო ფაბრიკაში მუშად, ხოლო 1958 წელს ჩავირიცხე სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. 1959 წელს გავხდი დედა. 1961 წელს სწავლა განვაგრძე ქ. მოსკოვში, მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სლავურ განყოფილებაზე. 1965 წელს დავამთავრე მოსკოვის უნივერსიტეტი და მუშაობა დავიწყე №72 სკოლა-ინტერნატში პედაგოგ-აღმზრდელად, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. აქ დიდხანს არ მიმუშავია. 1967 წელს ოჯახური პირობების გამო დავბრუნდი საქართველოში და მას შემდეგ ვცხოვრობ და ვმუშაობ აქ.

1968 წელს ვმუშაობ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ რედაქტორად – დროებით, 1968 წლის ოქტომბრიდან – გამომცემლობა „ნაკადულში“ რედაქტორად, 1971 წლიდან – გამომცემლობა „მერანში“ ქართული მხატვრული ლიტერატურის განყოფილების რედაქტორად. 1976 წლის 3 ნოემბრიდან ვარ საქართველოს სახელმწიფო გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი.

1954 წლიდან ვირიცხებოდი კომკავშირელად. 1971 წელს გავხდი მწერალთა კავშირის წევრი. პერიოდულ პრესაში ვიბეჭდები 1958 წლიდან.

პირველი წიგნი – „ორი დღეკეთილი“ გამოვეცი 1968 წელს გამომცემლობა „ნაკადულში“, მეორე – „ნათელი“ – 1969 წელს გამომცემლობა „მერანში“. 1971 წელს „მერანმა“ გამოსცა ჩემი მესამე წიგნი „ქვის სასთუმალი“. ყველა ეს მცირე კრებული 1974 წელს ერთად გამოიცა „საბჭოთა საქართველოში“, ერთ წიგნად, სახელწოდებით „წვიმის მოსვლამდე“. 1977 წელს გამოიცა „ავტოპორტრეტი“ და ახალბერძნულიდან ნათარგმნი იანის რიცოსის რჩეულ ნაწერთა კრებული „შენიშვნები დროის მინდვრებზე“. წელს გამომცემლობა „მერანი“ გამოსცემს ჩემი ლექსების ახალ კრებულს „ყველაფერი, რაც მტანჯავს“ და რჩეულ ლექსთა თარგმანებს რუსულ ენაზე. თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის მარკით გამოიცემა ჩემ მიერ თარგმნილი ხუთფორმიანი წიგნი „ბერძენი პოეტები“. ვმუშაობ მ. ცვეტაევას განთქმული წიგნის „ჩემი პუშკინის“ თარგმანზე, რომელიც დიდი რუსი პოეტის საიუბილეოდ უნდა დაიბეჭდოს მიმდინარე წელს.

იზა ორჯონიკიძე
1979 წლის 15 თებერვალს

* * *

დავიბადე 1938 წლის 21 ნოემბერს, ვეფხვის წელიწადს და ღრიანკალის ნიშნით. დღეს ჩემი მარსი თავშეკავებულიც არის და სამართლიანიც და რაც ხანი გადის, ბრძენდება კიდევ. ვერ ვიტყვი, რომ აბრეშუმით ხასიათი მაქვს, მაგრამ უფალს არ ვემდური ჩემი არაორდინარული ბედის გამო.

მქონდა ძალზე პოეტური და სევდიანი ბავშვობა, ეჭვებითა და აურაცხელი უპასუხო კითხვით სავსე სიჭაბუკე. ძნელია, დაიბადო, იცხოვრო და იღვანო დამონებულ, უფლებაყრილ ქვეყანაში. მთელი შეგნებული ცხოვრება უნდა იბრძოლო, რომ ადამიანად დარჩე. ერთი სიტყვით, დიდი ვაჟკაცობაა, არ მოკვდე სიკვდილამდე. თანაც არ დაგავინწყდეს, რომ ქალი ხარ!

წერა ათი წლისამ დავიწყე.

პირველად 1958 წელს დავბეჭდე ორიოდ ლექსი.

1961 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (სადაც აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ვსწავლობდი) სასწავლებლად მოსკოვის ლომონოსოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სლავური ფილოლოგიის ფაკულტეტზე გადავედი. ერთხანს მოსკოვში ვცხოვრობდი და ვმუშაობდი.

1967 წელს სამშობლოში დავბრუნდი. 1968 წელს ორი პატარა წიგნიც გამოვეცი. დღესდღეობით შვიდი ორიგინალური კრებული ავტორი ვარ. ორი წიგნი ვთარგმნე ახალბერძნულიდან: იანის რიცოსის „შენიშვნები დროის მინდვრებზე“ და „ახალბერძნული პოეზია“, რომელშიაც შევიტანე დიდი ბერძენი პოეტების – კონსტანტინოს კავაფისის, ანგელოს სიკელიანოსის, კოსტას ვარნალისის, კოსტას კარიოტაკისის, გიორგოს სეფერისის, იანის რიცოსის, ნიკიფოროს ვრეტაკოსის, ოდისეას ელიტისის – ის ნაწარმოებები, რომლებზედაც ხელი მიმიწვდა. ჩემი დიდი ოცნებაა, ცალკე წიგნებად გამოვცე კავაფისი, სეფერისი და ელიტისი. კიდევ მრავალი მეოცნებება საბერძნეთთან დაკავშირებით, მაგრამ, სჯობს, ვიყუჩო...

1964 წლიდან ვთარგმნი ბერძენ პოეტებს. ბედნიერი ვარ, რომ ვეზიარე სულს ნათესავსა და მახლობელს, სულს დიდი პოეზიისას, რომელიც უიმედობის ჟამს მწედ და ქომაგად მომეველინა.

მუდამ მადლიერების გრძნობით მემახსოვრება ჩემი კეთილისმყოფელი ბერძენი მეგობრები: ქალბატონები – ალიკი ზეი და მარია ბეიკუ, ბატონები – გიორგოს სევასტიკოგულო, ანტონის ვოაზოსი, დიმიტრის სპატისი, პეტროს ანთეოსი. მარად დაუვინყარია ჩემთვის მათთან მოსკოვში გატარებული 7 წელი, რომლებიც სავსე იყო მათგან გულუხვად გაცემული სიტბოთი და სიკეთით.

არ მინახავს საბერძნეთი, მაგრამ თითქოს ფეხით მქონდეს შემოვლილი მისი ყოველი კუთხე, ისე ვგრძნობ ელადის მკვიდრთა გულისტემას, განუმეორებელ ხიბლს საბერძნეთის მინა-წყლისა და მიხარია, რომ ასე ენება არსთაგანმრიგეს.

იზა ორჯონიკიძე
18. VII. 1991

ავტობიოგრაფიული ცნობები

დავიბადე 1938 წლის 21 ნოემბერს, ქ. თბილისში, ინტელიგენტებისა და ნიგნის მოყვარულთა ოჯახში.

ჩემი გამზრდელები – დიდედა და პაპა – ოლლა და ყარამან ორჯონიკიძეები მორწმუნე, მშრომელი და პატიოსანი ადამიანები იყვნენ.

1946 წელს სწავლა დავიწყე ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლაში. თერთმეტი წელი ვისწავლე.

1958 წელს სწავლა განვაგრძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე.

1962 წელს საცხოვრებლად გადავედი ქალაქ მოსკოვში და სწავლა განვაგრძე მოსკოვის ლომონოსოვის სახ. უნივერსიტეტში, სლავური ფილოლოგიის ფაკულტეტზე. რადგან მე-2 კურსზე დამსვეს, უნივერსიტეტი 1965 წელს დავამთავრე.

1967 წლამდე ვცხოვრობდი და ვმუშაობდი ქ. მოსკოვში (ერთ-ერთ სკოლა-ინტერნატში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, აღმზრდელად).

1968 წელს დავბრუნდი სამშობლოში და მუშაობა დავიწყე გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“, შემდეგ გადავედი გამომცემლობა „ნაკადულში“ და ბოლოს – „მერანში“. სამივე გამომცემლობაში რიგითი რედაქტორი გახლდით.

1976 წლის 3 ნოემბრიდან დავინიშნე გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმის დირექტორად და სწორედ ჩემი მცდელობით დაერქვა მას ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.

მუზეუმის დირექტორად მუშაობის 30 წლის მანძილზე, ერთხელ, 1982 წელს (სუკისა და ცკ-ას მცდელობით), ხოლო მეორედ 1991 წელს (ეროვნული ხელისუფლების მცდელობით) გამათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან. პირველი განპატიოების შემდეგ დამაბრუნეს „მერანში“, გამომცემლობის რუსული რედაქციის მთავარი რედაქტორის მოადგილედ, ცოტა ხანში კი გადამიყვანეს ქართული რედაქციის მთავარი რედაქტორის მოადგილედ.

1988 წელს კოლაუ ნადირაძის ცნობილი ლექსის „25 თებერვალი“-ს გამო ატეხილ სკანდალს „მერანის“ 12 თანამშრომელი შეეწირა, მათ შორის – მეც. სულ მცირე 30 წელი საბჭოთა სუკის ყურადღება არ მომკლებია!

ერთი წელი უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გამომინოდა დახმარების ხელი. სასულიერო სემინარიისა და აკადემიისათვის ჩემ მიერ შექმნილი მთარგმნელთა ჯგუფი რუსულიდან სახელმძღვანელოებს თარგმნიდა.

1989 წელს დავბრუნდი მუზეუმში და დღემდე, არა მარტო ჩემი აზრით, კეთილსინდისიერად ვემსახურები ქართულ კულტურას!

ვარ მრავალი პოეტური კრებულისა და ერთი პროზაული ნიგნის ავტორი, რომელშიც ჩემი ესეები, ნერილები და ინტერვიუები შევიდა. პირველი ლექსები 1958 წელს გამოვაქვეყნე, პირველი ნიგნი კი – „ორი დღეკეთილი“ – 1968 წელს. დღემდე გამოქვეყნებული მაქვს ლექსთა რამდენიმე კრებული:

„ნათელი“, „ქვის სასთუმალი“, „წვიმის მოსვლამდე“, „სასწაულია შეხვედრა ჩვენი“, „აქ, სამუდამოდ“, „ავტოპორტრეტი“, „დაბინდებამდე“, „ვით ყინულ-ქვეშ წყალი“, „ჩემი საბრალო, შეშლილი დედა“. 1999 წელს გამოვიდა ჩემი შედარებით სრული კრებული „ოდესღაც და სულ ახლახან“, ამას მოჰყვა „რომაული არდადეგები“ და „წვიმიანი გაზაფხულის ქრონიკა“.

წლების განმავლობაში ჩემს მეგობრებთან ერთად მრავალი ქართული საქმე ვაკეთე. ძალიან მეამაყება, რომ ვმონაწილეობდი საინგილოში, სოფელ ალიბეგლოში, სახალხო თეატრის დაარსება-აღორძინებაში, ქვემო ქართლში ქართული ცნობიერების გაღვივებაში, მარნეულის ორი, კომუნისტ ხელი-სუფალთაგან მიტოვებული, სოფლის – სიონისა და წერაქვის ხელახალ აღ-მშენებლობაში (ამ სოფლებზე დღემდე ვზრუნავ), სოფელ წერაქვში ახალი სკოლისა და მიხეილ ჯავახიშვილის მუზეუმის მშენებლობასა და შემდგომ ფუნქციონირებაში. ჩემი ინიციატივით, 1980 წელს დაარსდა სახალხო ზეიმი „ჯავახიშვილობა“. 1997 წელს, ჩემი ინიციატივით და მცდელობით, მიხეილ ჯავახიშვილის მუზეუმის ეზოში დაიდგა დიდი მწერლის ძეგლი და გაჩნდა მისი სიმბოლური საფლავიც. საფლავის ქვაზე ამოტვიფრული ტექსტის ავტორიც მე გახლავართ: „აქ არ განისვენებს დიდი ქართველი მწერალი – მიხეილ ჯავახიშვილი, აქ მისი სული ტრიალებს“.

ახალბერძნული პოეზიის თარგმნა 1962 წელს დავინწყე და საქართველოში პირველად მე გამოვაქვეყნე (1986–1999 წლებში) ახალბერძნული პოეზიის ნიმუშებიც და მცირე ანთოლოგიაც – „გიჟმაჟი ბროწეული“. ამ წიგნში შევიდა თანამედროვე საბერძნეთის და მსოფლიოში აღიარებული (მათ შორის ნობელის პრემიის ორი ლაურეატის) რვა პოეტის საუკეთესო ნაწარმოები.

2005 წელს ცალკე წიგნად (თავისი შენიშვნებითა და კომენტარებით) გამოვეცი კონსტანტინოს კავაფისის მთელი შემოქმედება.

რუსულიდან ვთარგმნე და ცალკე წიგნად გამოვეცი ანა ახმატოვას 50 რჩეული ლექსი.

მყავს ერთი ქალიშვილი, შვილიშვილი და ერთიც შვილთაშვილი.

ვცხოვრობ ქ. თბილისში, ს. ზაქარიაძის ქ. №8, ბ. 15, და-ძმასთან ერთად.

არ ვყოფილვარ კომპარტიისა და არც რომელიმე სხვა პარტიის წევრი! ამჟამადაც უპარტიო გახლავართ.

1993–1996 წლებში ვიყავი საქართველოს პარლამენტის წევრი.

დაჯილდოებული ვარ ღირსების ორდენით.

ვარ თბილისის საპატრიო მოქალაქე.

იზა ორჯონიკიძე
[2006 წელი]

ელდარ კერძევაძე

ავტობიოგრაფია

დავიბადე 1942 წლის 7 იანვარს, თიანეთის რ-ნის სოფ. საყარაულოში, მოსამსახურის ოჯახში.

1955 წლიდან ვცხოვრობ ქ. თბილისში. 1960 წელს დავამთავრე თბილისის რკინიგზის №3 საშუალო სკოლა. 1961 წელს ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებაზე. იმავე წელს გამიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. საბჭოთა არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ, 1964 წელს, სწავლა განვაგრძე იმავე განყოფილებაზე, რომლის სრული კურსი 1970 წელს გავასრულე.

1970 წლიდან 1980 წლის 20 ოქტომბრამდე ვმუშაობდი საქართველოს მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტში. ჯერ რადიომაუწყებლობის მხატვრულ გადაცემათა მთავარი რედაქციის რედაქტორად, ხოლო შემდგომ – ამავე რედაქციის პასუხისმგებელ მდივნად. ამ ხნის მანძილზე მრავალი გადაცემა მოვამზადე, რომელთაგან ბარეორი რადიოს ფონდშია დაცული. 1960 წლიდან ვენევი პოეტურ და ჟურნალისტურ მოღვაწეობას. გამოცემული მაქვს ლექსებისა და თარგმანების ათიოდე კრებული. ჩემი ლექსები თარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა რამდენიმე ენაზე. 1974 წლიდან ვარ საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრი.

ელდარ კერძევაძე
25/IX – 83 წ.

ანბანური საძიებელი

- აბაშელი ალექსანდრე (1884–1954) – I, გვ. 415
აბაშიძე გრიგოლ (1913–1994) – II, გვ. 471
აბაშიძე ირაკლი (1909–1992) – II, გვ. 342
აბაშიძე კოკი (1889–1937) – I, გვ. 594
აბაშიძე ჰაიდარ (1893–1966) – I, გვ. 660
აბრამია პოლიო (1899–1975) – I, გვ. 803
აბულაძე სავლე (1890–1964) – I, გვ. 597
აბშილავა ამირან (1920–1986) – II, გვ. 598
აბხაიძე შალვა (1894–1968) – I, გვ. 683
აგიაშვილი ნიკოლოზ (1903–1984) – II, გვ. 157
აგლაძე ანასტასია (1902–?) – II, გვ. 95
აგლაძე ილია (1872–1948) – I, გვ. 239
ადამია ალიო (1913–1980) – II, გვ. 461
ავალიანი ვლადიმერ (1914–1998) – II, გვ. 491
ავჩიანი სურენ (1904–1985) – II, გვ. 183
აზიანი ნატალია (1878–1943) – I, გვ. 325
აკობია შოთა (1920–1996) – II, გვ. 607
ალავიძე მიხეილ (1916–1996) – II, გვ. 540
ალხაზიშვილი შალვა (1899–1980) – I, გვ. 797
ამისულაშვილი შალვა (1915–1981) – II, გვ. 523
არაგვისპირელი შიო (1867–1926) – I, გვ. 112
ასათიანი გურამ (1928–1982) – II, გვ. 711
ასათიანი ლადო (1917–1943) – II, გვ. 557
ასათიანი ლევან (1900–1955) – II, გვ. 39
ასათიანი მამია (1909–1970) – II, გვ. 316
ახვლედიანი დარია (1873–1941) – I, გვ. 269
ახნაზაროვი არტემ (1866–1942) – I, გვ. 67
ახობაძე დომენტი (1919–1987) – II, გვ. 586
- ბააზოვი გერცელ (1904–1938) – II, გვ. 208
ბარათაშვილი მარია (1908–2008) – II, გვ. 291
ბარამიძე ალექსანდრე (1902–1994) – II, გვ. 75
ბახტურიძე პეტრე (1900–1962) – II, გვ. 45
ბელიაშვილი აკაკი (1903–1961) – II, გვ. 122
ბენაშვილი დიმიტრი (1910–1982) – II, გვ. 379
ბეჟანიშვილი როსტომ (1931–2001) – II, გვ. 717
ბეროძე რუთა (1915–1984) – II, გვ. 521
ბერძენიშვილი გრიგოლ (1909–1962) – II, გვ. 337
ბზვანელი ლადო (1871–1953) – I, გვ. 205

ბობოხიძე კალე (1904–1982) – II, გვ. 189
ბოლქვაძე ზაურ (1933–2010) – II, გვ. 721
ბუხნიკაშვილი გუგული (1897–1979) – I, გვ. 771
ბლაჟბა ხუხუტი (1914–2000) – II, გვ. 507

გაბაშვილი ეკატერინე (1851–1938) – I, გვ. 12
გაბესკირია ვიქტორ (1903–1964) – II, გვ. 112
გაბრუაშვილი დავით (1869–1943) – I, გვ. 188
გაბუნია გიორგი (1909–1957) – II, გვ. 321
გაგლოევი თედორე (1913–1983) – II, გვ. 449
გაზაევი ვლადიმერ (1895–1961) – I, გვ. 714
გალავანოვა ნინა (1915–?) – II, გვ. 535
გამსახურდია კონსტანტინე (1891–1975) – I, გვ. 621
გარიყული მარიამ (1883–1960) – I, გვ. 373
გაფრინდაშვილი ვალერიან (1889–1941) – I, გვ. 561
გაჩეჩილაძე ამბრეკი (1905–1985) – II, გვ. 250
გაჩეჩილაძე გივი (1914–1974) – II, გვ. 496
გაჩეჩილაძე დავით (1902–1974) – II, გვ. 90
განერელია აკაკი (1911–1994) – II, გვ. 402
გეგეჭკორი ვლადიმერ (1888–1980) – I, გვ. 522
გელაშვილი ვლადიმერ (1923–1988) – II, გვ. 652
გელაძე ლევან (1932–1959) – II, გვ. 719
გელოვანი აკაკი (1923–1996) – II, გვ. 657
გენაძე აკაკი (1923–2008) – II, გვ. 664
გვარიშვილი ნადიდე (1922–2000) – II, გვ. 634
გვეტაძე რაჟდენ (1897–1952) – I, გვ. 779
გოგიავა კლემენტი (1912–1979) – II, გვ. 420
გოგიაშვილი კუკური (1912–1982) – II, გვ. 434
გოგიჩაიშვილი გივი (1918–1977) – II, გვ. 567
გოგოლაძე თენგიზ (1926–1996) – II, გვ. 695
გოლოევი ვლადიმერ (1910–?) – II, გვ. 374
გომიაშვილი ალექსანდრე (1911–1997) – II, გვ. 409
გორგანელი ვახტანგ (1921–1996) – II, გვ. 617
გორგაძე ვასილ (1895–1973) – I, გვ. 723
გორგილაძე ზურაბ (1937–2006) – II, გვ. 724
გრიშაშვილი იოსებ (1889–1965) – I, გვ. 568
გრუზინსკი პეტრე (1920–1984) – II, გვ. 591
გულია დიმიტრი (1874–1960) – I, გვ. 274
გურეშიძე ნოდარ (1927–2004) – II, გვ. 702
გურჯიძე არჩილ (1915–1974) – II, გვ. 530

დადიანი შალვა (1874–1959) – I, გვ. 279
დანელია სერგი (1888–1963) – I, გვ. 550
დარასელი ვანიონ (1909–1954) – II, გვ. 332
დგებუაძე ორდე (1905–1963) – II, გვ. 246
დგებუაძე-ფულარია ფუცუ (1887–1969) – I, გვ. 507
დევაძე მიხეილ (1879–1933) – I, გვ. 349
დედარიანი კლავდია (1910–2002) – II, გვ. 358
დიდიმამიშვილი ელენე (1921–1997) – II, გვ. 629
დოლიძე ნინო (1906–1968) – II, გვ. 263
დონუაშვილი თინა (1916–1992) – II, გვ. 544

ეგნატაშვილი ვასილ (1888–1956) – I, გვ. 555
ეკალაძე ია (1872–1933) – I, გვ. 227
ერაძე ლეილა (1935–1998) – II, გვ. 723
ერისთავი-ხოშტარია ანასტასია (1869–1951) – I, გვ. 179
ერთანმინდელი სეზმან (1888–1944) – I, გვ. 553
ეული სანდრო (1890–1965) – I, გვ. 610

ვაკელი იონა (1900–1988) – II, გვ. 47
ვარდოშვილი ხარიტონ (1895–1971) – I, გვ. 730
ვართაგავა იპოლიტე (1872–1967) – I, გვ. 222
ვარშანიძე მამია (1914–1998) – II, გვ. 517

ზედგინიძე ელიზბარ (1903–1993) – II, გვ. 164
ზომლეთელი ნოე (1880–1938) – I, გვ. 366
ზურაბიშვილი ილია (1873–1955) – I, გვ. 257

თავაძე სოლომონ (1890–1960) – I, გვ. 598
თარბა ივანე (1921–1994) – II, გვ. 623
თარიშვილი ნინო (1904–1990) – II, გვ. 205
თევზაძე ანდრო (1912–1974) – II, გვ. 415
თორდუა ვლადიმერ (1914–1999) – II, გვ. 484
თუმანიშვილი-წერეთელი ანასტასია (1850–1932) – I, გვ. 10
თურდოსპირელი დავით (1888–1948) – I, გვ. 513

იაშვილი პაოლო (1894–1937) – I, გვ. 679
იმედაშვილი იოსებ (1876–1952) – I, გვ. 299
ინალ-იფა შალვა (1914–1995) – II, გვ. 503
ინანიშვილი რევაზ (1926–1991) – II, გვ. 699

ინგოროყვა პავლე (1893–1983) – I, გვ. 662

ირემაძე ქეთევან (1912–1945) – II, გვ. 427

კაკაბაძე პოლიკარპე (1893–1972) – I, გვ. 650

კალანდაძე ანა (1924–2008) – II, გვ. 675

კალანდაძე გიორგი (1912–1993) – II, გვ. 433

კალანდაძე ლავროს (1903–1977) – II, გვ. 169

კალაძე კარლო (1904–1988) – II, გვ. 177

კანდელაკი ვალერიან (1918–1983) – II, გვ. 573

კაპანელი კონსტანტინე (1889–1952) – I, გვ. 587

კასრაძე დავით (1885–1965) – I, გვ. 454

კაჩმაზოვი ილია (1910–1984) – II, გვ. 392

კაჭახიძე გიორგი (1907–1979) – II, გვ. 273

კეკელიძე კორნელი (1879–1962) – I, გვ. 342

კერძევაძე ელდარ (1942–2009) – II, გვ. 729

კეშელავა ბონდო (1908–1985) – II, გვ. 300

კეშელავა პლატონ (1893–1965) – I, გვ. 667

კვესელავა მიხეილ (1913–1981) – II, გვ. 480

კვიციანიძე დავით (1919–1999) – II, გვ. 578

კიკვაძე თედო (1868–1939) – I, გვ. 166

კილასონია ნაზი (1927–1996) – II, გვ. 707

კინწურაშვილი მიხეილ (1885–1955) – I, გვ. 431

კლდიაშვილი დავით (1862–1931) – I, გვ. 49

კლდიაშვილი სერგო (1895–1986) – I, გვ. 735

კოპტონაშვილი ვასილ (1866–1958) – I, გვ. 71

კორინთელი არჩილ (1897–1972) – I, გვ. 767

კრეიტანი გიორგი (1900–1951) – II, გვ. 36

კუპრავა ოთარ (1925–1977) – II, გვ. 686

კურდღელაშვილი ნიკოლოზ (1872–1938) – I, გვ. 245

ლაკერზაი მიხეილ (1901–1965) – II, გვ. 70

ლაფერაშვილი ვასილ (1912–1982) – II, გვ. 425

ლებანიძე მურმან (1922–2002) – II, გვ. 638

ლენონიძე გიორგი (1899–1966) – II, გვ. 5

ლისაშვილი იაკინთე (1897–1972) – I, გვ. 784

ლომთათიძე გიორგი (1887–1916) – I, გვ. 505

ლომია კუმე (1923–1999) – II, გვ. 643

ლომიძე ანდრო (1907–1988) – II, გვ. 280

ლომოური ნიკო (1852–1915) – I, გვ. 21

ლორთქიფანიძე გიორგი (1921–1995) – II, გვ. 628

ლორთქიფანიძე კონსტანტინე (1904–1980) – II, გვ. 210
ლორთქიფანიძე ნიკო (1880–1944) – I, გვ. 351
ლორთქიფანიძე შალვა (1915–1972) – II, გვ. 529
ლორია პარმენ (1896–1978) – I, გვ. 759

მაისურაძე ელიზბარ (1920–1998) – II, გვ. 616
მალაზონია ნესტორ (1892–1983) – I, გვ. 645
მამფორია ოთარ (1924–2000) – II, გვ. 669
მარგველაშვილი გიორგი (1923–1989) – II, გვ. 665
მარგიანი რევაზ (1916–1984) – II, გვ. 549
მარიჯანი (1890–1978) – I, გვ. 604
მალრაძე ელგუჯა (1927–1999) – II, გვ. 701
მაცაშვილი კოტე (1876–1929) – I, გვ. 311
მაჭავარიანი ივანე (1863–1943) – I, გვ. 52
მაჭავარიანი ლადო (1893–1939) – I, გვ. 671
მაჭავარიანი მუხრან (1929–2010) – II, გვ. 712
მგალობლიშვილი სოფრომ (1851–1925) – I, გვ. 18
მგელაძე საფო (1894–1936) – I, გვ. 696
მეზუქე დავით (1892–1961) – I, გვ. 641
მეგრელი დუტუ (1867–1938) – I, გვ. 100
მეგრელიძე ლიდია (1883–1968) – I, გვ. 383
მერკვილაძე გიორგი (1914–1997) – II, გვ. 482
მესხი აკაკი (1905–?) – II, გვ. 245
მეტრეველი ლევან (1885–1941) – I, გვ. 464
მეუნარგია იონა (1852–1919) – I, გვ. 25
მეძველია კონსტანტინე (1907–1974) – II, გვ. 284
მთვარაძე სიმონ (1905–1968) – II, გვ. 238
მირიანაშვილი ალექსი (1860–1925) – I, გვ. 43
მირცხულავა ალიო (1903–1976) – II, გვ. 127
მიქაბერიძე ალექსანდრე (1869–1943) – I, გვ. 193
მიქელაძე კატო (1877–1942) – I, გვ. 316
მიქელაძე მარიკა (1910–1959) – II, გვ. 385
მოსაშვილი ილო (1896–1954) – I, გვ. 743
მოძღვრისძვილი სამუელ (1913–1979) – II, გვ. 477
მჟავია ქსენია (1926–2005) – II, გვ. 700
მრევლიშვილი მაყვალა (1909–1968) – II, გვ. 311
მრევლიშვილი მიხეილ (1904–1980) – II, გვ. 195
მუმლაძე გიორგი (1884–?) – I, გვ. 421
მღვიმელი შიო (1866–1933) – I, გვ. 56
მჭედლიშვილი იოსებ (1888–1950) – I, გვ. 518

მხარგრძელი სტეფანე (1924–2012) – II, გვ. 680
ნადირაძე გიორგი (1902–1960) – II, გვ. 106
ნადირაძე კოლაუ (1895–1990) – I, გვ. 698
ნაკაშიძე ნინო (1872–1963) – I, გვ. 213
ნარსია ნოდარ (1931–1991) – II, გვ. 716
ნატროშვილი გიორგი (1910–1998) – II, გვ. 347
ნახუცრიშვილი გიორგი (1902–1992) – II, გვ. 80
ნახუცრიშვილი დავით (1874–1932) – I, გვ. 289
ნიკოლაძე კონსტანტინე (1860–?) – I, გვ. 41
ნიშნიანიძე შოთა (1929–1999) – II, გვ. 713
ნონეშვილი იოსებ (1920–1980) – II, გვ. 592

ონელი არნო (1901–1979) – II, გვ. 57
ორბელიანი ელისაბედ (1870–1942) – I, გვ. 196
ორბელიანი მარიამ (1852–1941) – I, გვ. 23
ორჯონიკიძე იზა (1938–2010) – II, გვ. 725
ოყრეშიძე დომენტი (1876–1952) – I, გვ. 306

პაპასკირი ივანე (1902–1959) – II, გვ. 107
პატარაია ვასო (1895–1969) – I, გვ. 708

ჟურული ვარლამ (1908–1965) – II, გვ. 295
ჟღენტა ბესარიონ (1903–1976) – II, გვ. 151

რადიანი შალვა (1904–1977) – II, გვ. 221
რატინი პროკოფი (1914–1987) – II, გვ. 490
როსტომაშვილი ივანე (1852–1924) – I, გვ. 28
რურუა ილია (1923–1997) – II, გვ. 647
რურუა პარმენ (1888–1963) – I, გვ. 545
რუსიძე კაპიტონ (1919–1996) – II, გვ. 584
რუხაძე ვარლამ (1874–1935) – I, გვ. 292

სალუქვაძე გიორგი (1922–1987) – II, გვ. 630
სამადაშვილი შაქრო (1913–1969) – II, გვ. 481
სამხარაძე გიორგი (1910–1982) – II, გვ. 352
სანაკოევი ვასილ (1901–?) – II, გვ. 52
სანაკოევი პავლე (1882–?) – I, გვ. 368
სანგულია ალექსანდრე (1911–?) – II, გვ. 397
სახოკია თედო (1868–1956) – I, გვ. 125
საჯაია ალექსანდრე (1916–1944) – II, გვ. 555

სინაურიძე ანდრია (1896–1976) – I, გვ. 765
სიხარულიძე ილია (1889–1963) – I, გვ. 589
სულაბერიძე ლადო (1919–1993) – II, გვ. 577
სულავა ალექსანდრე (1904–1942) – II, გვ. 202
სულიაშვილი დავით (1884–1964) – I, გვ. 401

ტაბიძე გალაკტიონ (1891–1959) – I, გვ. 630
ტაბიძე ტიციან (1895–1937) – I, გვ. 719
ტატიშვილი ვლადიმერ (1899–1979) – II, გვ. 28
ტატიშვილი იოსებ (1886–1952) – I, გვ. 499

ფანცხავა იაკობ (1867–1955) – I, გვ. 80
ფალავა იოსებ (1912–1982) – II, გვ. 426
ფაშალიშვილი სიკო (1894–1970) – I, გვ. 690
ფლიევი ილია (1913–?) – II, გვ. 466
ფოცხიშვილი მორის (1930–1997) – II, გვ. 714
ფხაკაძე სერგო (1913–1981) – II, გვ. 440

ქავთარაძე გიორგი (1908–1989) – II, გვ. 303
ქავჭარაძე იროდიონ (1893–1988) – I, გვ. 654
ქვარიანი სიმონ (1868–1946) – I, გვ. 160
ქიაჩელი ლეო (1884–1963) – I, გვ. 394
ქიქოძე გერონტი (1885–1960) – I, გვ. 448
ქიქოძე თინათინ (1916–1996) – II, გვ. 556
ქოიავა მურმან (1926–1977) – II, გვ. 691
ქორქია როდიონ (1894–1984) – I, გვ. 673
ქუთათელი ალექსანდრე (1897–1982) – I, გვ. 791
ქურიძე შოთა (1917–1989) – II, გვ. 566
ქუჩიშვილი გიორგი (1886–1947) – I, გვ. 484

ღვინიაშვილი ანა (1904–1981) – II, გვ. 175

ყანჩელი ალექსანდრე (1875–1948) – I, გვ. 295
ყიფიანი ედიშერ (1924–1972) – II, გვ. 674
ყიფიანი ნინო (1867–1948) – I, გვ. 118

შაიშმელაშვილი ივანე (1910–1992) – II, გვ. 390
შალამბერიძე ოთარ (1932–2012) – II, გვ. 718
შამანაძე ნოდარ (1930–2002) – II, გვ. 715
შანიძე ალექსანდრე (1907–1994) – II, გვ. 289

- შანშიაშვილი სანდრო (1888–1979) – I, გვ. 527
შატბერაშვილი გიორგი (1910–1965) – II, გვ. 363
შენგელაია დემნა (1896–1980) – I, გვ. 752
შენგელია ალექო (1914–1975) – II, გვ. 512
შინკუბა ბაგრატ (1917–2004) – II, გვ. 561
შიუკაშვილი ნიკო (1870–1938) – I, გვ. 200
- ჩაჩავა ნიკოლოზ (1901–1974) – II, გვ. 61
ჩაჩიბაია არჩილ (1909–1999) – II, გვ. 326
ჩახუნაშვილი ალექსანდრე (1885–1934 წლის შემდეგ) – I, გვ. 463
ჩეკურიშვილი ვალერიან (1932–2003) – II, გვ. 720
ჩიქოვანი გრიგოლ (1910–1981) – II, გვ. 368
ჩიქოვანი სიმონ (1902–1966) – II, გვ. 100
ჩიხლაძე ვარლამ (1871–?) – I, გვ. 211
ჩოჩუა იასონ (1912–?) – II, გვ. 428
ჩხეიძე ბორის (1904–1979) – II, გვ. 215
ჩხეიძე ოთარ (1920–2007) – II, გვ. 611
ჩხიკვაძე პანტელეიმონ (1903–1940) – II, გვ. 146
- ცაიშვილი სოლომონ (1900–1957) – II, გვ. 30
ცეცხლაძე გრიგოლ (1894–1976) – I, გვ. 747
ცხოვრებოვი ივანე (1926–?) – II, გვ. 687
- ძნელაძე გივი (1927–2002) – II, გვ. 706
ძნელაძე ვახტანგ (1925–1983) – II, გვ. 685
ძუგაევი გიორგი (1913–1988) – II, გვ. 444
- წერეთელი პაპუნა (1904–1982) – II, გვ. 201
წვერავა სიმონ (1905–1982) – II, გვ. 229
- ჭავჭავაძე ილია (1837–1907) – I, გვ. 5
ჭეიშვილი ალექსანდრე (1903–1962) – II, გვ. 117
ჭელიძე ამბაკო (1878–1940) – I, გვ. 340
ჭილაია სერგი (1911–1993) – II, გვ. 411
ჭიჭინაძე კონსტანტინე (1891–1960) – I, გვ. 616
ჭიჭინაძე ლავრენტი (1906–1997) – II, გვ. 268
ჭუმბაძე არისტო (1886–1971) – I, გვ. 478
- ხალვაში ფრიდონ (1925–2010) – II, გვ. 681
ხაშბა მუშნი (1903–1992) – II, გვ. 141

ხახუტაშვილი ანა (1886–1960) – I, გვ. 473
ხელაძე ლუარსაბ (1867–1925 წლის შემდეგ) – I, გვ. 122
ხეჩუაშვილი გიგო (1879–1961) – I, გვ. 347
ხოსიტაშვილი ბაბილინა (1884–1973) – I, გვ. 423
ხუროძე დავით (1924–?) – II, გვ. 679
ხუროძე ვარლამ (1883–1939) – I, გვ. 391
ხუციშვილი სოლომონ (1908–1995) – II, გვ. 301

ჯაბუშანური გაბრიელ (1914–1968) – II, გვ. 501
ჯავახიშვილი თინათინ (1902–1976) – II, გვ. 89
ჯავახიშვილი მიხეილ (1880–1937) – I, გვ. 356
ჯანაშვილი მოსე (1855–1934) – I, გვ. 36
ჯანელიძე დიმიტრი (1906–1994) – II, გვ. 256
ჯაფარიძე მიხეილ (1906–1964) – II, გვ. 251
ჯაფარიძე რევაზ (1923–1999) – II, გვ. 658
ჯიბლაძე გიორგი (1913–1989) – II, გვ. 454
ჯონუა ალექსი (1920–1989) – II, გვ. 602

სარჩევი

| | |
|-------------------------------|-----|
| გიორგი ლეონიძე..... | 5 |
| ვლადიმერ ტატიშვილი | 28 |
| სოლომონ ცაიშვილი..... | 30 |
| გიორგი კრეიტანი..... | 36 |
| ლევან ასათიანი..... | 39 |
| პეტრე ბახტურიძე..... | 45 |
| იონა ვაკელი..... | 47 |
| ვასილ სანაკოევი..... | 52 |
| არნო ონელი..... | 57 |
| ნიკოლოზ ჩაჩავა..... | 61 |
| მიხეილ ლაკერბაი..... | 70 |
| ალექსანდრე ბარამიძე..... | 75 |
| გიორგი ნახუცრიშვილი | 80 |
| თინათინ ჯავახიშვილი..... | 89 |
| დავით გაჩეჩილაძე | 90 |
| ანასტასია აგლაძე | 95 |
| სიმონ ჩიქოვანი | 100 |
| გიორგი ნადირაძე | 106 |
| ივანე პაპასკირი | 107 |
| ვიქტორ გაბესკირია | 112 |
| ალექსანდრე ჭეიშვილი | 117 |
| აკაკი ბელიაშვილი | 122 |
| ალიო მირცხულავა..... | 127 |
| მუშნი ხაშბა..... | 141 |
| პანტელეიმონ ჩხიკვაძე | 146 |
| ბესარიონ ჟღენტი | 151 |
| ნიკა აგიაშვილი | 157 |
| ელიზბარ ზედგინიძე..... | 164 |
| ლავროსი კალანდაძე..... | 169 |
| ანა ღვინიაშვილი | 175 |
| კარლო კალაძე..... | 177 |
| სურენ ავჩიანი | 183 |
| კალე ბობოხიძე | 189 |
| მიხეილ მრევლიშვილი | 195 |
| პაპუნა წერეთელი | 201 |
| ალექსანდრე სულავა..... | 202 |
| ნინო თარიშვილი | 205 |
| გერცელ ბაზოვი | 208 |
| კონსტანტინე ლორთქიფანიძე..... | 210 |

| | |
|-----------------------------|-----|
| ბორის ჩხეიძე | 215 |
| შალვა რადიანი..... | 221 |
| სიმონ წვერავა..... | 229 |
| სიმონ მთვარაძე | 238 |
| აკაკი მესხი..... | 245 |
| ორდე დგებუაძე | 246 |
| ამბერკი გაჩეჩილაძე..... | 250 |
| მიხეილ ჯაფარიძე | 251 |
| დიმიტრი ჯანელიძე..... | 256 |
| ნინო დოლიძე..... | 263 |
| ლავრენტი ჭიჭინაძე | 268 |
| გიორგი კაჭახიძე..... | 273 |
| ანდრო ლომიძე..... | 280 |
| კონსტანტინე მეძველია | 284 |
| ალექსანდრე შანიძე..... | 289 |
| მარიკა ბარათაშვილი | 291 |
| ვარლამ ჟურული..... | 295 |
| ბონდო კეშელავა..... | 300 |
| სოლომონ ხუციშვილი | 301 |
| გიორგი ქავთარაძე..... | 303 |
| მაყვალა მრევლიშვილი..... | 311 |
| მამია ასათიანი | 316 |
| გიორგი გაბუნია | 321 |
| არჩილ ჩაჩიბაია | 326 |
| ვანიონ დარასელი..... | 332 |
| გრიგოლ ბერძენიშვილი | 337 |
| ირაკლი აბაშიძე..... | 342 |
| გიორგი ნატროშვილი | 347 |
| გიორგი სამხარაძე..... | 352 |
| კლავდია დევდარიანი | 358 |
| გიორგი შატბერაშვილი..... | 363 |
| გრიგოლ ჩიქოვანი | 368 |
| ვლადიმერ გოლოევი..... | 374 |
| დიმიტრი ბენაშვილი | 379 |
| მარიკა მიქელაძე | 385 |
| ივანე შაიშმელაშვილი..... | 390 |
| ილია კაჩმაზოვი | 392 |
| ალექსანდრე სანგულია | 397 |
| აკაკი განერელია..... | 402 |
| ალექსანდრე გომიაშვილი | 409 |
| სერგი ჭილაია..... | 411 |

| | |
|--------------------------|-----|
| ანდრო თევზაძე..... | 415 |
| კლემენტი გოგიავა | 420 |
| ვასილ ლაფერაშვილი | 425 |
| იოსებ ფალავა..... | 426 |
| ქეთევან ირემაძე | 427 |
| იასონ ჩოჩუა..... | 428 |
| გიორგი კალანდაძე | 433 |
| კუკური გოგიაშვილი | 434 |
| სერგო ფხაკაძე | 440 |
| გიორგი ძუგაევი..... | 444 |
| თედორე გაგლოევი | 449 |
| გიორგი ჯიბლაძე..... | 454 |
| ალიო ადამია | 461 |
| ილია ფლიევი | 466 |
| გრიგოლ აბაშიძე | 471 |
| სამუელ მოძღვრიშვილი..... | 477 |
| მიხეილ კვესელავა..... | 480 |
| შაქრო სამადაშვილი | 481 |
| გიორგი მერკვილაძე | 482 |
| ვლადიმერ თორდუა | 484 |
| პროკოფი რატიანი..... | 490 |
| ვლადიმერ ავალიანი | 491 |
| გივი გაჩეჩილაძე..... | 496 |
| გაბრიელ ჯაბუშანური..... | 501 |
| შალვა ინალ-იფა..... | 503 |
| ხუხუტი ბლაჟბა | 507 |
| ალეკო შენგელია | 512 |
| მამია ვარშანიძე | 517 |
| რუთა ბეროძე..... | 521 |
| შალვა ამისულაშვილი..... | 523 |
| შალვა ლორთქიფანიძე | 529 |
| არჩილ გურჯიძე..... | 530 |
| ნინა გალავანოვა | 535 |
| მიხეილ ალავიძე | 540 |
| თინა დონუაშვილი | 544 |
| რევაზ მარგიანი..... | 549 |
| ალექსანდრე საჯაია | 555 |
| თინათინ ქიქოძე | 556 |
| ლადო ასათიანი..... | 557 |
| ბაგრატ შინკუბა | 561 |
| შოთა ქურიძე..... | 566 |

| | |
|----------------------------|-----|
| გივი გოგიჩაიშვილი | 567 |
| ვალერიან კანდელაკი | 573 |
| ლადო სულაბერიძე | 577 |
| დავით კვიციანიძე | 578 |
| კაპიტონ რუსიძე..... | 584 |
| დომენტი ახობაძე..... | 586 |
| პეტრე გრუზინსკი | 591 |
| იოსებ ნონეშვილი | 592 |
| ამირან აბშილავა | 598 |
| ალექსი ჯონუა | 602 |
| შოთა აკობია | 607 |
| ოთარ ჩხეიძე | 611 |
| ელიზბარ მაისურაძე..... | 616 |
| ვახტანგ გორგანელი..... | 617 |
| ივანე თარბა | 623 |
| გიორგი ლორთქიფანიძე..... | 628 |
| ელენე დიდიმამიშვილი | 629 |
| გიორგი სალუქვაძე..... | 630 |
| ნადიდე გვარიშვილი | 634 |
| მურმან ლებანიძე | 638 |
| კუმფ ლომია..... | 643 |
| ილია რურუა | 647 |
| ვლადიმერ გელაშვილი | 652 |
| აკაკი გელოვანი..... | 657 |
| რევაზ ჯაფარიძე | 658 |
| აკაკი გენაძე..... | 664 |
| გიორგი მარგველაშვილი | 665 |
| ოთარ მამფორია..... | 669 |
| ედიშერ ყიფიანი | 674 |
| ანა კალანდაძე..... | 675 |
| დავით ხუროძე | 679 |
| სტეფანე მხარგრძელი | 680 |
| ფრიდონ ხალვაში | 681 |
| ვახტანგ ძნელაძე..... | 685 |
| ოთარ კუპრავა | 686 |
| ივანე ცხოვრებოვი | 687 |
| მურმან ქოიავა | 691 |
| თენგიზ გოგოლაძე | 695 |
| რევაზ ინანიშვილი..... | 699 |
| ქსენია მჟავია | 700 |
| ელგუჯა მალრაძე | 701 |

| | |
|----------------------------|-----|
| ნოდარ გურეშიძე..... | 702 |
| გივი ძნელაძე..... | 706 |
| ნაზი კილასონია | 707 |
| გურამ ასათიანი | 711 |
| მუხრან მაჭავარიანი | 712 |
| შოთა ნიშნიანიძე | 713 |
| მორის ფოცხიშვილი | 714 |
| ნოდარ შამანაძე..... | 715 |
| ნოდარ ნარსია | 716 |
| როსტომ ბეჟანიშვილი | 717 |
| ოთარ შალამბერიძე..... | 718 |
| ლევან გელაძე | 719 |
| ვალერიან ჩეკურიშვილი | 720 |
| ზაურ ბოლქვაძე | 721 |
| ლეილა ერაძე | 723 |
| ზურაბ გორგილაძე..... | 724 |
| იზა ორჯონიკიძე | 725 |
| ელდარ კერძევაძე | 729 |
| ანბანური საძიებელი | 730 |

